ISSN 0132—599 X
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

6

1988

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 64-ე | № 6 | ივნისი, 1988 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

### პროზა, პოეზია

ოთარ ჩხეიძე — გამოცხადებაი. რომანი. . . . 3
მარი აბრამიშვილი — ლექსები . . . 44
ჯარჯი ფხოველი — ლექსები . . . 49
ნუნუ ქადაგიძე — სინათლის ბავშვი. მოთხრობა . . . 53
გიორგი გიგაური — ლექსები . . . 65
ბელა შალვაშვილი — ლექსები . . . 67
ზურაბ ლორთქიფანიძე — ლექსები . . . 70
ნიკა ჯამბაზიშვილი — ლექსები . . . 72
ნანული გოცაძე — და იქმნა ერი. რომანი. გაგრძელება . . . 74

### ნარკვევი

მირონ ხერგიანი — იმედის მურყვამები. დასასრული . . . 107

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ლადო სულაბერიძე — წუთისოფელს კაცად შერჩა ბოლომდე . . . 124
თამაზ ნატროშვილი — ახალი სული ჩაუდგა . . . 134

### მეცნიერება

იაკობ ახუაშვილი — ეთნიკური პროცესები ბარისის მიწაზე . . . 141
თეიმურაზ მიბჩუანი — სანიგთა ეთნიკური ვინაობის შესახებ . . . 152
გოჩა ჯაფარიძე — ქართველთა ერთი ეკლესიის შესახებ ეგვიპტეში . . . 157

### მოგონებები, ფაქტები

შალვა ხიდაშელი — საბჭოთა არმიის ოფიცრის ჩანაწერები. დასასრული . . . 160

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, ქ. ქალაძე, მ. ლასურია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

# გამოცხადება

**რომანი**

არ დავჰსცხრე ვირე ვიყო
**ანტონ პირველი**

## I

„...აჰა ესერა ვდგა კარსა ზედა და ვჰრეკ. უკეთუ ვინ ისმინოს ხმისა ჩემისაი და განმიღოს კარი...“

და არავინ გაუღო,

ალბათ არავინ ისმინა და არც გაუღო არავინა.

მეშვიდე დღეა, უკეთუ საღამოა მეშვიდეი, — მეშვიდედ გამობრუნდა. ეგ არაფერიო. მანამდისაც შვიდი თვე გავიდა. ნუვინ იტყვის ეგეც არაფერიო, ნუვინ იტყვის, სხვამან სხვისა არცთუ რა იცის, არცთუ სცოდნია, თავისას თუ შეიტყობს, ეგეც დიდი რამე ყოფილა, თუ შეიტყობს რაღა თქმა უნდა. რაც უნდა იყოს, ამას ასე ემართებოდა, შვიდამდის მისდევდა თმენაი თუ ძალი, შვიდამდისა ჰყოფნიდა და უწყდებოდა შვიდზედა. არ გაეგებოდა თუ რადაო, ბევრი სხვა რამეც არ გაეგებოდა, ოღონდ ამჯერად ამდენს მაინც მიმხვდარიყო, თუ წავიდოდა, წავიდოდა საბოლოოდა.

ერთხელ უკვე წავიდა, წავიდა ვითომ საბოლოოდა, მაგრამ მაშინ არცთუ არაფერს მიმხვდარიყო, არც არაფერსა გულისხმობდა, ადგა და წავიდა. ის კარამდის მიჰყვა, იმ კარამდისა, ალარავინ რო აღარ გაუღო, მიჰყვა ცრემლიანი თვალებითა, იქ ერთბაშად ამოიმშრალა თვალები, ამოიწმინდა, მოიკრიალა, ვითომდა რაო, არაფერიც არ მომხდარაო, ურდული აუგდო და, ვიდრე გაუშვებდა, მშრალადვე მოახსენა: „გულმა ოდესმე თუ გამოგწიოს, მობრუნდი, მოგიტევებ...“ იმან მოახსენა და ამანაც იგრძნო, მაშინდა იგრძნო, ადრე თუ გვიან კიდევ გამოსწევდა გული, შეიგრძნო ყრუდა, ითქმის, ლამის გაუგებრადაო ან თუ ვით იყო, მაინც შეიგრძნო, მაინც აუხდა, მაინც გამოსწია გულმა, მაგრამ არავინ გაუღო კარი, მიმტევებელი არ გამოუჩნდა, არცთუ სხვა ვინმე გამოუჩნდა, — არც გამოუჩნდებოდა, — და ისევ იგრძნო, ისევე ყრუდა, ისევე ძლივძლივს გასაგებადა, — თუ წავიდოდა, წავიდოდა საბოლოოდა. კიდევაც უნდა წასულიყო, ანთუ ალარცთუ მიბრუნებულიყო შვიდი თვის მერე, შვიდჯერ ზედიზედ გამობრუნების მერე მაინც უნდა დაჰხსნოდა, დიახაც რო საბოლოოდა, საბოლოოდა. მაგრამ არაო, ფეხს არ იცვლიდა, იდგა,

იდგა და ფეხს არ იცვლიდა, — იმ კართან ალარა, მოშორებით, — იდგა ხიდზედა, იდგა, იდგა და ფეხს არ იცვლიდა..

პოდა ხიდზედაო...

არცთუ მდინარე გადიოდა იმა ხიდქვეშა, ალარ გადიოდა, გზა გადიოდა, მანქანები მასრიალებდა თუ მირახრახებდა, სულერთიაო, დინება გახლდა, ის იდგა და დიოდა, დიოდა. იმისთა ფერხთა ქვეშა. წყალიცა დიოდა არცთუ ისე დიდიხნის წინათა, გადაჭრით რო ითქვას, ამ საუკუნის ორმოციან წლებამდისაცა დიოდა წყალი, დიოდა მდორედა, უკეთუ ვინ უწყის არცა დიოდა, ისიც თუ იდგა, ტბასავით თუ ითქმოდა, მტკვარს იქავე გამოჰყოფოდა, იქავეც მისდგომოდა, მხოლოდ ესაა, კუნძული მოეგდო, პატარა კუნძული, ოდესღაც კუნძული ორბელიანებისა, მერე ბევრგვარი სახელი შერქმეოდა, ბევრნაირადაც დატრიალებულიყო წუთისოფელი, სახელებიც ისე გამოეცვალათ, იმა ტრიალის სისწრაფითა თუ შესაბამისადა. შერქმეოდა თუ გადარქმეოდა, კუნძული კუნძულად შემართულიყო, მხრები შეედგა ხიდებისათვისა, იქით კუკიის ხიდისათვისა, აქეთ ყაბახისა თუ ორბელიანთა უბნის ხიდისათვისა, მხრები შეედგა და გადაება თბილის-ქალაქი, გაღმით გამოღმა გადაეჯაჭვა, გადაექვანძა, გადაექვანძა ძველი თბილისი, თუმცა არა, არც ისე ძველი, მეტეხის ხიდს რო გადაექვანძა, — ის სხვა ძველია, ძველთა ძველია, ეს სხვა ძველია, ახალი ძველიო, ასეც თუ ითქმის რალა თქმა უნდა, შედარებით ახლად წარმოქმნილი და გარდაქმნილი ვინ უწყის რამდენჯერა. იქ ქუჩაც გახლდა ხიდიდან ხიდამდისა, ერთადერთი ქუჩა იმა კუნძულისა, ხმაურიანი, სავსე ხალხითა, წინა საუკუნის ელფერიც იქ შერჩა ბოლომდისა. სხვაგან თითქოს გამოიცვალა, სხვა იერი დაედო, ამტყდარიყო სხვაგვარი ხმაური, სხვაგვარი სამოსი შემოსულიყო, ოლონდ იქ კიდევ შეხვდებოდი ძველი საუკუნის ინტელიგენტებსა, ცოტა თუ წელში გატეხილთა, — ეგ არაფერი, აქ მთავარი მხოლოდ ისაა, რო შეხვდებოდნენ კიდევ პარიზში შეკერილი კოსტიუმებითა, ბერლინსა თუ ლონდონში ნაყიდი ქუდებითა, ჟენევური ყავარჯნებითა, ანთუ ეგებ თუ სხვაგანაც ეშოვნათ ყავარჯნები. ეგეც არაფერიო რალა თქმა უნდა, შეგხვდებოდნენ და სანიშნო ესაა, იმა ქუჩაზე, იმა კუნძულის ერთადერთ ქუჩაზედა. ბუკინისტებიც იქ შემორჩენილიყვნენ, ანტიკვარებიცა, ძველებური პატარა მალაზიებითა, კარგად შეფერთხილი და შენჯლრეული მალაზიებითა, ოლონდ მაინც თავიანთითა, ჯერკიდევ, ჯერკიდევ თავიანთითა, აკანკალებული ხელებითღა რო აგროვებდნენ გრომკაპიკებსა უჩვეულოდ გაბერილი ბეგარებითვისა, აგროვებდნენ, ოლონდ ალარ ცოდნენ, შეათავებდნენ როგორმე თუ არა, ანთუ კიდევ აბოგინებდნენ. იქავე შერჩა უკანასკნელი სალონიცა, წესიც შემორჩა მილების დღეებისა, ხუთშაბათობითა, შაბათობითა, კვირაობითა, წესი შემორჩა, მიმსვლელი ალარა; პო ალარ გახლდა მიმსვლელმომსვლელი საზეიმოდა თუ გონების ალმავსები საუბრებისათვისა, პოეზიითა თუ ტრფობით გათანგული მიმსვლელი ალარ იყო, არა, ალარა, ალარცთუ გახლდა მიმგებებელი, პოეზიითა და ტრფობით გათანგული მიმგებებელი რალა თქმა უნდა, იჯდალა დედაბერი, უკბილო დედაბერი, ლოყებჩაცვენილი დედაბერი, ვინ უწყის როდინდელი თუ პარიზისა თუ პეტერბურგის რომელ ატელიეში შეკერილი საზეიმო სამოსითა, უკვე გაცვეთილი, დალაქავებული სამოსითა, იჯდა და ელოდა თუ ვინმეს შეუცდებოდა ფეხი, თუ ვინმე მოიხდიდა ბერლინსა თუ ლონდონში შეძენილ ქუდსა, ანთუ ყავარჯენს მიაყუდებდა, ვთქვათ ჟენევაში შეძენილ ყავარჯენსა, ქუდს მაინც არსად ჩამოჰკიდებდა, არც არსად დადებდა, ხელში ეჭირა, აწვალებდა და ისმენდა მოთქმასა დედაბერისა, მასპინძელთა თუ სტუმართა, დალუპულთა თუ გადახვეწილთათვის მოთქმასა, ვა-

ლალისა, ისმენდა და ითმენდა, იტანდა, ელოდა წუთისა გამომშვიდობებისასა, ელოდა და ითმენდა, ელოდა და ქუდს აწვალებდა თუ ეფერებოდა, თვალს შეავლებდა ყავარჯენსაცა, აქ არ დამრჩესო, თუ მიაყუდებდა რაღა თქმა უნდა. უკანასკნელი ოქრომჭედლებიც იქვე შემორჩნენ, საუკეთესო მკერავებიცა, salve-ც იქ ეწერა ყველა სადარბაზოს ზღურბლსა, მეძველმანეებსაც იქ გადაეყრებოდით, ბევრსა, უამრავსა, საყასბოებიც იქვე გადარჩენილიყო, ნაირნაირი თევზეულიცა, იქვე გაისმოდა, „ცოცხალი!.. ცოცხალიიიიი!.. მხოლოდ იქაღა გაისმოდა, წყნეთის მაწონიც იქა სადღებოდა მომეტებულადა, უკანასკნელი თაბახიც იქვე დალეწეს უკანასკნელმა კინტოებმა,- იქვე შემოსძახეს ძველი სილაღისა, იქვე იცეკვეს უკანასკნელადა, ცეკვით ჩაიარეს, ცეკვით ჩაათავეს ის ლვიძლი ქუჩაი, მამინაცვლად რო გადაჰქცეოდათ. კრივითაც იქ იკრივეს უკანასკნელადა, ცხვირპირი დაუქეჟეს ერთიმეორესა, მერე მიეხუტნენ, ერთიმეორესა რაღა თქმა უნდა, მიეხუტნენ და იტირეს, იტირეს, იქვითინეს უკანასკნელადა. ისიცლა ითქმის ჯიბგირთა ბუნაგებიც იქვე რო ბოგინობდა, საკახპოებიცა, — ეს მაინც ყველაზე გამძლე გამოდგა, ბუკინისტებიც რო აიხვეტნენ, ანტიკვარებიცა, უკეთუ ახვეტეს, პარიზში შეკერილი კოსტუმებიც რო დაიძენძა, ბერლინსა თუ ლონდონში შენაძენი ქუდებიცა, სალონიც რო ალარავის აგონდებოდა, სასაცილოდაც რო გამხდარიყო თავაზიანობა თუ ზრდილობა სალონური, ხორციც რო გაწყვა, თევზეულიცა, მაწონიცა წყნეთური, უკანასკნელმა ეტლმაც რო ჩაიარა, არღანიც რო დადუმდა საბოლოოდა, ჯიბგირებიც რო დაიფრინეს იქიდანა, ეს მაინც გადარჩა კიდევ კარგახანსა, კიდევ გაუძლო, არცთუ ადვილად დაჰყარა იარაღი, იქა ცხადია, იმ ქუჩაზედა. ბოლოს იმანაც ველარ გაუძლო, მაშ აბა რაო, — ტოტი გადაკეტეს, ის მდორე ტოტი თუ ტბაო, გადაკეტეს, დააშრეს, გააკრეს გუდრონი და ფაფუ კუნძულიო, ფაფუ!.. ქუჩაც მომალეს, დაუშვეს, დაანგრიეს ერთადერთი ქუჩაი იმა ერთადერთი კუნძულისა, უკეთუ უკვე ნაკუნძულარისა, დაანგრიეს და, როცა ანგრევდნენ, ნგრევა ჰო ნგრევაა თავისი გუგუნითა თუ გრიალ-ხრიალითა, ოღონდ ეს იმდენი არაფერიო, ისე წიოდა ის უკანასკნელი საკახპოიო, გეგონებოდათ, წიოდა და ზანზარებდა უკანასკნელი ნაკუნძულარიო. მერე იქ გამართეს სანაპირო, გამართეს პარკი, ძეგლი აღმართეს ფარაჯიანი, და მიწყდა ხმაური ადამიანთა. ტრამვაის ხმაური არ მიწყვეტილა, არცთუ რახრახი თუ ხრიგინი, თუნდაც სრიალი მანქანებისა არ მიწყვეტილა, შრიალებდა ვერხვებიცა, ვითარცა სხვაგანა, ამოლტილიყო და შრიალებდა, ნაძვებიც იდგა ისე მხრებდაყრილი, ვითარცა სხვაგანა, ბუჩქებიც ისევე ბუჩქებივითა, ყვავილებიც ყვავილებივითა, ძეგლიც ძეგლივითა რაღა თქმა უნდა.

ამან რა იცოდა... თუმცა რადაო, ვერხვების შრიალი ჰო მაინც იცოდა?... იცოდა და ანგრე!.. სოფლიდან მოვარდნილიყო ტლუ ბიჭი ქალაქშია, მოვარდნილიყო თუ მიტმასნებოდა დიდ ქალაქსა, ეს ჰო სულერთია, — თან მოჰყოლოდა ვერხვების შრიალიცა, ბუჩქებიც იქ დახვდა, სხვა ამგვარებიცა, ძეგლიც იქ დახვდა, სხვა არაფერი მოეხსენებოდა, კუნძულისა არა იცოდა, არც გაეგონა, წყალი თუ დიოდა იმა ხიდქვეშა, ანთუ მერე რაო, — წყალი თუ დიოდა, მანქანები დიოდა იმის შემდგომა, მდინარება მდინარებააო, ჰოდა დიოდა, რაცა დიოდა, ისა დიოდა და იდგა იგი ფეხმოუცვლელადა, იდგა და იდგა, რაღაც არ უშვებდა, გულიო თუ იტყვი, არა მგონია, რაღაც არ უშვებდა, უფრო იდუმალი, უფრო უცნაური, გულზე იდუმალი, გულზე უცნაური. რაც ნდა იყოს ეცნაურებოდა შრიალი ვერხვთა, ოღონდ არ ესმოდა, აღარ ესმოდა ენაი ვერხვთა, ეცნაურებოდა ძეგლიცა იგი, — სად არ ენახა, როგორ არ ენახა, ანთუ ძეგლადვე, ანთუ სუ-

რათადა, — ეცნაურებოდა, ოღონდ იმდენი არ გაეგებოდა, რომ ეს არ გახლდა მიღწევა თუ საოცრება ხელოვნებისა, ანთუ საოცრება რა მოსატანია, თუ არც რა ეცხო ხელოვნებისა, არც ალიკვალი მიჰკარებოდა ჭეშმარიტი ოსტატობისა, — არა, ამდენი არ გაეგებოდა, ბევრი რამ სხვაც არ გაეგებოდა, თუმცა და რაო, მერე და რაო, ბევრ სხვასაც თუ არ გაეგებოდა, მერე და რაო, ვინც თუ ალმართა, ვინცთუ ბრძანა, უკეთ ვინც თუ ალმართულიყო, იმას მაინც მოეხსენებოდა, დარწმუნება უნდოდა ადამიანსა, დარწმუნებისათვის იძულება გამოდგებოდა, იძულებაში ხელოვნებაც გამოდგებოდა, ყველაფერი გამოდგებოდა, ყველაფერი, ოღონდ ყოფილიყო ჩიჩინი, ჩიჩინი, გაუნელებელი, ჩაძახილი გაუნელებელი, ხელოვნებაც ჩიჩინად იქცა. და უჩიჩინებდნენ და უჩიჩინებდნენ ქანცგაწყვეტამდისა, ჩასძახოდნენ და უხატავდნენ, ჩასძახოდნენ და ძეგლებად უგებდნენ, უგებდნენ კერპადა, სხვა კერპებს ანგრევდნენ და ამას უგებდნენ, უშრობდნენ თვალსა, უშრობდნენ აზრსა რწმენად უგებდნენ, ხელოვნება მერელა მოვაო, შთაგონება მერელა მოვაო, — თუ მოვიდოდა რალა თქმა უნდა, ანთუ მანამდის არ დალეწავდნენ ამა კერპსაცა, ამა ძეგლსაცა, სურათთა მსგავსთაც თუ არ დაფხრეწდნენ, თუ მოვიდოდა, მოვიდოდა რალა თქმა უნდა; ამან არ იცოდა, არც ისა თუ არც ესა, — თუ დამდგარიყო ჟამი ნგრევისა, არც იცოდა და არც ეკითხებოდა, ბევრი რამ სხვაც არ ეკითხებოდა, იდგა და იცდიდა, იცდიდა ხიდზედა, იმა ხიდზედა, ქვეშ ჰო მიედინებოდა მანქანები, ზედაც მანქანები, ტრამვაიცა, ჰო, ჰო ტრამვაიცაო, — იქლა შემორჩენილიყო ტრამვაის ხაზი, უკანასკნელი ხაზი.

დაჰბედებოდა თუ რა იყო, ქმნილიყო ადგილად ალსასრულისა.

ის მაინც იდგა, იდგა და იდგა ფეხმოუცვლელადა...

სხვა არავინ იდგა.

არც მიდიოდა არავინა.

ფეხით არავინ მიდიოდა, მისდევდნენ ავტობუსებსა თუ მსუბუქ მანქანებსა, ალბათ მისდევდნენ, [illegible] არჩევდა, აებლანდებოდა ლანდებადა თუ ჩაუქროლებდა ლანდებადა, თვალსაც არ მიატანდა, ვერც მიატანდა, თუმცა უკუნი არ ითქმოდა, სინათლეც არ ითქმოდა, — არა, დღისა არა, ცხადზე ცხადია, კარგახანია შეღამებულიყო, მაინც არ გაეჩაღებინათ ელნათურები, თუმცა აენთოთ, ოღონდ ჩაეწიათ, ჩაეწიათ, ჩაჰქრეს თუ არაო, ჩაჰქრეს თუ არაო, ბჟუტავდნენ ეგრე გაჭირვებით. არცა ციოდა, არცა ცხელოდა, ვერცთუ სითბოს იგრძნობდა ვინმე. არც ქარი ჰქროდა, არც ექროლა დიდიხანია, ალარცთუ მზე აწუხებდა ქალაქსა, ალარცთუ ვინმე ნატრობდა მზესა, ალარცთუ თოვლით შეწუხებულიყვნენ, ალარცა ყინვითა, ალარცა ჭონჭყოთი, არცა გაუთავებელი წვიმებითა, გალეულიყო ეგრე შემოდგომაი, ზამთარიც ეგრევე გალეულიყო, ეგრედვე დამდგარიყო გაზაფხულიცა, დამდგარიყო და არც დამდგარიყო, ჰაერს არ ეგრძნო ჯერ არაფერი, გაშეშებულიყო როდის აქეთა, არას დაეკრა, არც თავისთავად შეძონძგინებულიყო, დარღვეულიყო წესი დროებისა, თითქოსაო რალა თქმა უნდა, ალრეულიყო, ათქვეფილიყო თუ გასწორებულიყო, ეგება მართლაც გასწორებულიყო, ეგება ლარში გამოეყვანათ; თვეობით თუ გამოითვლიდნენ, კალენდრით თუ დაიდასტურებდნენ, გასულაო თუ დამდგარაო, ოღონდ ეს სხვანიო, სხვანი და სხვანიო თუ მოიცლიდნენ საამისოდა, ხოლო თუ მხოლოდ ამისას ვიტყვით, თუ გავიხსენებთ შვიდი თვის წინანდელსა, ზაფხული იდგა, ჯერ ისევ ზაფხული, ოღონდ არათუ ცხელი, ძველი, თბილისური, არცა თუ ცივი, ვინ უწყის სადაური, არცა თუ თბილი, როგორღაც უცნაური, მაგრამ და მაინც რაც უნდა იყოს ეს მიტანტალებდა თხელი ხალათითა მიტანტალებდა ყელმოღლეტილი, ქუდმოშვლეპილიცა რალა თქმა უნდა, ეს ჰო ისედაც იგულისხმე-

ბა: ახლა თუ იდგა, იდგა ისევე ქუდმოშვლეპილი, უკეთუ ვინ უწყის ალარც ახსოვდა, რა იყო ქუდი, ანთუ ვინ იცის არც გაეგონა ქართველი კაცის ქადილით ნათქვამი, ქუდი მხურავს ქვეყანაზეო, — რაც უნდა იყოს, ამას მაინც ალარ ეხურა ქუდი, პალტოს მაგვარი რალაცა ემოსა, შესაძლოა მინამგვანი საგაზაფხულო პალტოსი, ნახმარი, გახუნებული, ამასთან ეგების ნაჩუქარიცა, ბოლოები ისე ჩახთრევდა, ზამთარიც ისე გამოეტარებინა, შემოდგომაცა, ისევე მისდგომოდა გაზაფხულის პირსა. და იდგა, იდგა ფეხმოუცვლელადა შვიდი თვის მერე, ამ გასწორებული თუ გაერთბაშებული შვიდი თვისა, წელიწადის დრონიც რო ველარ შეამჩნეოდა თბილისშია, სწორედაც თბილისში, განათუ სხვაგანა, სხვა მატერიკსა თუ მერედიანზედა, თბილისშიმეთქი, — თითქოს აეხვეტათ, თითქოს აელოთ და გადაეტანათ მართლაც სადღაცა, სხვა მატერიკსა და სხვა მერიდიანზედა, ისე უეცრადა, ისე სწრაფადა, ვერავის გაეგო ტექნიკისა თუ მეცნიერების ამ გასაოცარი პროგრესის დროსა, ვერც ამას გაეგო რალა თქმა უნდა, ისედაც ბევრი რამ პო ვერ გაეგო, — და იდგა ხიდზედა, იდგა და იდგა, თითქოს სარი გადაუყლაპავსო.

იდგა და იდგა.

იდგა უწყინრადა, ურხევად იდგა, უშფოთველადა.

მაინც რალაცას მოასწავებდა დგომა იგი, ლოდინი იგი, ჯიუტი, მიდეგა ლოდინი თუ ნდომა, უთუოდ რალაცას მოასწავებდა:

ანთუ წინაალმდეგობისათვის განაწყობდა.

ანთუ დაეთრგუნებოდა თუნდაც ოდნავ დარტყმასა, დაეთრგუნებოდა ისევე წყნარადა, უშფოთველადა ისევე, როგორადაც იდგა, როგორც ელოდა..

თუმცა არც ელოდა, არა, არ ელოდა, მხოლოდ იდგა, მხოლოდ უნდოდა, და სწორედაც რო ის იყო, ნდომა იგი, ის იყო, რაც იყო, ნდომა, ჟინი, წყურვილი მძაფრი, ნიშანთა გარეგანთა გარეშე, უცხოთათვის დაუნახავი, მოუხილავი გარეშეთათვისა, ფეით მისთვისაც მოუხელთებელი, [illegible] გამთანგველი, ატეხილი და მისელებული, ავარდნილი და... აქ დავარდნილი თავისთავად მოიწევს, მაგრამ ჯერ კიდევ იდგა ფეხზედა. ზლაპრადაც უთქვამთ, ქარიშხალიც ამოვარდნილა გამძაფრებული თუ გამთანგველი ნდომისაგანაო, გამოუწვევიათ ბუნების ძალნი ქურუმთა ძველთა, წარმართთა ქურუმთაო რალა თქმა უნდა, ზლაპრად უთქვამთ და ზლაპრადაც, ჩაუთვლიათ. ალბათ იმიტომა, ნდომა თუ დალეულა. ალბათ ველარას ირწმუნებენ ნდომადალეულნი, თუმცა და რაო, ბუნება პო მაინც ბუნება ყოფილა, ზლაპარი თუ ყოფილა, იქნება კიდევაცა, იქნება ისიცა, ის იდუმალი ბორიალი სულისა, იდუმალი სწრაფვა, კავშირი იდუმალი, უხილავი, შეუცნობელი; თუნდაც სხვა გახლდეს, იგივე წარმართული, ბედისწერა გახლდეს, — ბედისწერას დაება და ალარ უშვებდა, იდგა და იდგა, სხვა დიოდა ხიდზედა, ხიდქვეშაცა, წყალი თუ არა, პო დიოდა, რაცა დიოდა, — ეს იდგა, იდგა.

როდის იყო თუ როდის ალარა, სხვაც შეჩერდა შორიახლოსა.

თითქოს მიწიდან ამოვიდაო, იქვე ამოვიდა და იქვე დაზიდა რალამაცაო, — ჩანთა ეჭირა, ჩანთამ თუ დაზიდა, დასდო, მოინაცვლა ხელი, ამართა და, როგორღაც ალმოხდა, შეკრთომამ რო იცის, ანთუ მოულოდნელობას რო სჩვევია:

— ლენტო?! — გაისმა თუ არცაუ გაისმა, ეს სულერთია, ამან მაინც დაუდასტურა, ამდენიხანი ხიდზე რო ეყუდა:

— პო... აბა ვინ ვიქნები?! — დაუდასტურა უფრო ჩურჩულითა, ვინმეს შეთქმული ეგონებოდა, იმგვარი ჩურჩულითა, არც შეტოკებულა, ფეხიც არ წაუდგამს რალა თქმა უნდა, აქამდის ელოდა, კიდევ შეეძლო დალოდებოდა თუნდ ისევ შეკითხვასა, თუნდ სხვაგვარ სიტყვასა, ხიდიც გაუძლებდა ამა-

საცა, ბევრს კიდევ სხვასაცა, ბევრ სხვა რამესაცა.

— მე რო მეჩქარებაʔ! — ისევ იმის ხმა გაისმა, ისევ შემკრთალი, ცოტა შემკრთალი, ცოტა დაბნეული, აგრეთვე ცოტა გაკვირვებულიცა, ცოტა უარის მაგვარიცა. ის მაინც არ მითქვამს: ქალი გახლდა, ახალგაზრდა ქალი, მეჩქარებათ, თქვა და ფეხი არ წაუდგამს.

— ჰოოოო... — გააგრძელა ვაჟმა, გაურკვევლადა, უაზროდა, თითქოს თავის ფიქრს ეპასუხებაო, თუ რამესა ფიქრობდა აქამდისა.

— ერთი კვირაა იქ აღარ გამივლია...

— ქალი ჩურჩულებდა იმა „ჰოოს“ მოდევნებითა.

— ვიცი. — დაუდასტურა ვაჟმა.

— იცი?! — ქალმა გაიკვირვა, წელან თუ ცოტათიო, ახლა გაიკვირვა მომეტებულადა.

— ჰოოოო. — ისევ წააგრძელა ვაჟმა.

— რატომ?! — ხმასაც აუწია, შემფოთებაც გაისმა ქალის ნათქვამშია.

— ვიცი, როʔ!. — მიუგო ვაჟმა, თითქოს უცოდინარობითა მართლულობს თავსაო.

— შენ ჰოʔ! — შეახსენა ქალმა.

— ჰო!.. — დაუდასტურა ვაჟმა, თანაც შეახსენა ამანაცა: — ოლონდაო თუ ოდესმეო...

ოდნავ ამოიოხრა ქალმა, სულ ოდნავა:

— მაშინ სხვა იყო...

— ...ოდესმეო!.. — გაიმეორა ვაჟმა ჯიუტადა.

ქალი მოუახლოვდა, თორემ ისე ვერ გააგონებდა, ისე ჩაიდუდღუნა, ისე ჩუმადა, ისე მღელვარედა, ისე დაუთმობლადა:

— ნუ! წადი! რაც იყო, იყო... წადი!..

— ნწ!.. — ასე იუარა ვაჟმა, ნაცნობი სუნთქვა, ნაცნობი სითბო, ნაცნობი სილბო მიახლოებოდა.

— არაფერი მეორდება, — ცოტა სინანულით მოადევნა ქალმა, — არც ვარგებულა განმეორებული, [illegible], ათასაფერი მეორდება.

— მეორდებათ. — [illegible] ვაჟი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისე აღარაო.

— როგორც იქნება...

— აღარ იქნება!.. — მოჭრა ქალმა და მოსწყდა მაშინვე სწრაფი ნაბიჯითა.

— იქნება... — დაადევნა ვაჟმა სიტყვაცა, ნაბიჯიცა, ჩანთასაც მისწვდა მოგეშველებიო, იმან არ დაანება, ესეც არ მოეშვა და მიჰქონდათ ერთადა, მხარდამხარ მიდიოდნენ, მშრალი ხიდი ქვგრე იარეს, მხარდამხარა და მდუმარედა, კუნძულს გაუყვნენ, უკეთუ ითქვა, ნაკუნძულარსაო.

მერე შეჩერდა ქალი, თქმა დააპირა თუ ისე შეჩერდა, — არცთუ რა უთქვამს, ნაბიჯიც წასდგა, ისევ შეჩერდა, შეუშვა ხელი ჩანთასა და ისე წავიდა, მიატოვა ჩანთაცა, ლენტოცა, წავიდა, წავიდა მოჩქარებითა, შედრკა ანაზდადა, შედრკა, შეჩერდა, დაელოდა ვაჟსა, დაყოვნებული ნაბიჯით რო მისდევდა, დაყოვნებულითა და დაჯერებულითა, მაინც თუ ვერსაით წამივაო, დაელოდა და მიახალა ისე, თითქოს გული ამოიგლიჯაო:

— მე... უკვე... სხვა... — მიახალა და მიადევნა სუნთქვა მოხშირებული, სუნთქვა დაღლილი, დაქანცული, ანთუ ვინ იცის სათქმელი მიადევნა, მიაყოლა დანარჩენიცა, სიტყვები მიადევნა, მღელვარე სიტყვები, ყველაფერი თუ ამოიტანა, რაცთუ აქამდის გულს უღარავდა, ანთუ გადაუხსნა გული და მიყუჩდა.

ვაჟმა ვერ გაიგო, ახლოს მივიდა, სულ ახლოსა, ზედ აეფარა: გამტკნარებული სუნთქვა ესმოდა ,გამტკნარებული, ლამის არის, რომ უნდა შეწყდესო, ჩაკმედილი, უკეთუ უკვე ჩათავებული. სხვა ვინმე ალბათ შეშინდებოდა, ემანდ ხელში არ შემომაკვდესო, ანთუ ეგების აღარც არისო,—ეს არა, ლენტონას ვამბობ რალა თქმა უნდა, იმიტომაცა, რო ასეთი გახლდა, შიში ადვილად არ მოეკიდებოდა, არცა თუ ფიქრი მოეკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა ადვილადა, იმიტომაცა, რო ღუოდა, ბრიალებდა თვალნი ქალისა, ლამის ნაპერწკლებიც ამოცვივოდა. ჩაბჟუტულ ნათურებსაც ამდენი შეეძლო, ანთუ ამოეტანა გულის ქურასა ჰო და ჰოო, ჩაბჟუტულსაო. ხოლო მანამდე ვერავინ ჩაბჟუტავდა იქაურ ნათურებსა. იქაობას სიბნელეს ვერავინ მიაკარებდა, ვერა, ვერავინა. ასეთი განდუღლი აღარსად გახლდა, არც დაიჯერებდნენ. ზღაპრად რო ეთქვათ, არცთუ მთქმელი გამოჩნდებოდა, დაფრქვევოდა მძლავრი შუქურების ძეგლსა ფარაჯიანსა. შუქში ლივლივებდა ძეგლი, ლივლივებდა და ელვარებდა, თითქოს აღარც იდგა, ადიოდა და ადიოდა, ფხრეწდა სიბნელესა ზევზევითა და აჰქონდა შუქი ზეცადა, ზეცად აჰქონდა და რაღა თქმა უნდა არცთუ დედამიწას მოაკლდება შუქსა. თუნდაც გამორთოდა დენი მთელ ქალაქსა, იქ მაინც ენთო, იქ შუქი იდგა, ადიოდა და ადიოდა ძეგლი ნათელმოსილი... აღარ ადიოდა, ალანძულიყო ბნელში უფრო სიშავედა, უფრო ბნელოდა, კუნაპეტადა. გამქრალიყო პროჟექტორები თუ სულაც აეყარათ, მიმქრალიყო სანაპიროს ლამპიონებიცა, — ზევით არაო, არცთუ ქვევითა, არცთუ გაღმაო, იქ მიმქრალიყო, იმა მიდამოში, ნაკუნძულარზედა. ეგება შუქი მაინც ატანდა საიდანაცა, ეგება ბჟუტიალსაც მოეცა ძალი, გულის ძგერასაც მიემატებინა თავისი, ქალის თვალები რო გაღვივებულიყო, ეგება უფრო იმედისა გახლდა, ვუთხარი და ჩამომეცლებაო. მაგრამ არაო, შენც არ მომიკვდე: ხელი მოჰხვია ვაჟმა, ხელი მოჰხვია და მიიკრა გულზედა.

— რაო, რა სხვაო?! — ესეც იკითხა, იკითხა ისე, ნამდვილად რო არ ეკითხებოდა.

— ვინ სხვაო, — შეუსწორა ქალმა, — თუ გინდა იცოდე, ასე მაინც იკითხე!.. — შეუსწორა და შეუწყრა, ოღონდ არ გამფრთხალა, შერჩა ეგრე უნებლიედა, ვაჟს შერჩა გულზედა.

— ერთია... ნეთუ არც [illegible]... ოდესმეო...

— რას იტირე?!

— მახსოვს და რა ვქნა?!

— დაივიწყე!

— არ მავიწყდება.

— უნდა დაივიწყო!

— თუ დამავიწყდება.

— უნდა...

— როგორო.

— როგორც სხვები...

— ეგება მეხსიერება დაჰკარგეს იმათ?!

— რაც უნდათ, ახსოვთ, რაც არა — არა!..

— მე ეგრეთი ვარ, ყველაფერი მახსოვს. — და ძირს დაუშვა ვაჟმა ჩანთაი. მეორე ხელიც მოიშველია, ვერც მოიშველია ეგრე ადვილადაცა, გაუდგა ქალი, გაეცალა, იყო ეგრე წამიერადა, თვალებმაც ელვა წამიერადა, ელვა და ჩაჰქრა, შებრუნდა ქალი, შებრუნდა და წავიდა. ქუსლების ბაკუნი გაიბა კუნძულზედა, გაიბა სწრაფადა ჩაბჟუტულსა და ჩასაქრობელ ნათურათა შორის.

ვაჟი როდი გასდევნებია, იქვე დაელოდა, ჩანთა აიღო და დაელოდა, დაელოდა ისმენდა თუ ვითარ მიაპობდა ბაკიბუკი ხიდსა, თუ ვითარ შეძრკა ბაკიბუკი იგი, უკუმოიქცა უფრო სწრაფი, გაწიწმატებული, უკუმოიქცა და აქვე დაერჭო, სადღათუ ილტვოდა, ლენტოსთან დაერჭო და ჩანთას წაეტანა რაღა თქმა უნდა, დამიბრუნეო, წაეტანა და ვერცთუ წაეტანა, ზურგთუკან გაიგდო ჩანთაი ვაჟმა, ვერ წაეტანა, მაინც არ იშლიდა, მაინც მიიწევდა, მიიწევდა და ეწენოდა ზედა, ეწენოდა და ბრუნავდა ვაჟი, ბაკუნიცა ბრუნავდა, ბრუნავდა ვაჟი შემოწნული ქალიანადა, ბრუნავდა და იცინოდა, იცინოდა გულიანადა; მერე დაეხსნა ჩანთასა, სიცილსაც დაეხსნა ვაჟი, ჩანთა დააგდო და ქალი აიტაცა, აიტაცა და შემოიწნა მომეტებულადა, შემოიწნა და შემოიქნა, შემოიმწყვდია, გათანგა იგი

სასურველი, დაკარგული იგი შვიდი თვისა და შვიდი დღისა.

და ჰყავდა ეგრე, ვიდრე გალხვებოდა ქალი, მოეშვებოდა ვიდრე, ჩათბებოდა, გაიტვრინებოდა, მერე დაუშვა, დაუშვა მიწაზედა თუ ასფალტზედა, — ჰო ასფალტზედა რაღა თქმა უნდა, ქალი დაუშვა და ჩანთა აიტაცა, ცალი ხელი ქალსაც ჩაავლო, წავიდა და გაიყოლია, წავიდა, გაქანდა გრძელი ნაბიჯითა.

II

„...განგაზრახებ შენ, რაითა იყიდო ჩემგან ოქროი გამოხურვებული ცეცხლითა, რაითა განჰმდიდრდე, და სამოსელი სპეტაკი რაითა შეიმოსო და არა გამოცხადნეს სირცხვილი სიშიშვლისა შენისაი, და სალოცავი, რაითა იოლნე თუალნი შენნი და ჰხედვიდე...“

დიახაც გრძელი ნაბიჯითაო... ნაბიჯიც მისდევდა მაღალკანჭა ბიჭსა, სურვილი ჰო ერეკებოდა და ერეკებოდა, — ქალიც მისდევდა, მომცრო ქალი, სირბილით მისდევდა. ჰოდა გადაიარეს ხიდი, ასე ამგვარად გადაიარეს მშრალი ჰო წელან გადაიარეს, უკვე მტკვრის ხიდიც გადაირბინეს, ეგრეთვე გადასჭრეს პატარა მოედანი, არცრას მორიდებიან არცთუ რა იყო მოსარიდებელი, მარჯვნივ დაუხვიეს ვიწრო ქუჩითა, მერე ჩიხითა, კვლავ მარჯვნივა, ისევ ჩიხითა უკვე მარცხნივა და შეჩერდნენ ვეება სადარბაზო კართან, მართლაც ვეება და ბრწყინვალე კართან, შენობა არცთუ ისეთი სჩანდა, კარი ჰფარავდა სიდიადითა. იქ არცა ბნელოდა, ნათურების შუქი ეფინა კარსა. და იქ შეჩერდნენ, იმა შუქქვეშა, წამით შეჩერდნენ, ქალმა გასაღები მოარგო კარსა, შეაღო, შევიდნენ, გაუჩინარდნენ. გაუჩინარდნენ მხოლოდ აქედანა, ქუჩიდანა რაღა თქმა უნდა, თორემ იქ რაო, — არცთუ რა გახლდა გამაუჩინარებელი თუ ჩასაკარგავი: დიდებულ სადარბაზოს დიდებული კიბეც თუ ასდევდა, ოღონდ ვინ უწყის აღარ ასდევდა როდის აქეთია, მეშვიდე სართულზე გადამკედლილიყო, გამოჩრილიყო ფურებიცა ულაზათოდა თუ [illegible]ოდა, იქით ქვები გამო[illegible] თუ ბაცი, ალაგ თუ მომწვანო, კუკიის მთებისა, იქით ფიცრებით გადაელობათ უსწორმასწოროდაცა, უსწორმასწორო ფიცრებითაცა, ვის როგორც მოესწრო თუ ვის როგორც ენება, ხოლო კართანვე პატარა თაღედიდან თვალდათხრილი ამური ვარდებოდა, ვარდებოდა თუ ვერცა ვარდებოდა როდის აქეთია; იქ არც შეუცდიათ, არც თვალი მოუვლიათ საგულდაგულოდა, გავიდნენ ვიწრო დერეფანში, ვინ იცის რამდენჯერ თუ რამდენისაგან გადაკეთებულსა თუ გადაჯღანებულ დერეფანშია, ჩაიჭედნენ, გაძვრნენ, კიდევ კარს მიადგნენ, კიდევ შეაღეს და ცოტა ხალვათად ამოისუნთქეს, — მოზრდილ ოთახში ამოჰყვეს თავი, ძველი შენობის ძველებურ ოთახში. მოულოდნელი არ გახლდა რა თქმა უნდა, ვაჟიც კარგად იცნობდა იმ ოთახსა, ქალი ჰო იცნობდა და იცნობდა, თუმცა ქალი უფრო მისდევდა, ვიდრე მიუძღოდა, ამიტომ ახლა ის უფრო სათქმელია, ვაჟი რო იცნობდა, რო არ ედებოდა არაფერსა, ხელის ფათური რო არა სჭირდებოდა, არც შუქი უძებნია, არა, არაფერი უძებნია, მხოლოდღა ჩანთა მიაგდო სადაც თუ მოხვდა და ქალი დააწვინა სად თუ ჩვეულიყო, საიდანაც ადგა შვიდი თვისა და შვიდი დღის წინათა, ადგა და წავიდა, წავიდა და მობრუნდა, მობრუნდა და იქვე დააწვინა, დააწვინა და თან მიჰყვა ცხადია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მხართეძოზე ეგდო ვაჟი.

ეგდო მინაბული, მიყუჩებული.

ქალი ზურგთუკან ამოსწოლოდა, დანდობოდა მხარზედა, დანდობოდა თუ შემოჰხვეოდა, რამეთუ შუბლზე რო უწეწავდა თმასა ცალი ხელითა, მეორეთი კეფაზე უჩეჩავდა თუ უხვევდა, უკეთუ წიწკნიდა, გამოსწევდა, გამოსწევდა, თითქოს უნდა დააძროს სათითაოდო. არცთუ ვაჟი ეურჩებოდა, ასეთებს არც ეურჩებოდა ხოლმე, იწვა ყუში, ყუჩი, უდარდელი, ისე, იმგვარა-

და, ერთი მისამღერი რომაა ურმულისა: „კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია, ლაფში ჩაფლული ურემი, შინ მიტანილი ჰგონია"-ო, სწორედაც ისე, სწორედაც იმგვარადა, თითქოს ამისთვის გამოეთქვა ხალხსა, უკეთუ შეენახა, ხოლო გამოთქმით, ვინ უწყის ვინ იყო პირველი მთქმელი, ანთუ პირველად როდის ითქვაო, ვინ იცის, ვინ უწყის?! წარმართობაზე გვიანდელი მაინც რი იქნება, წარმართობისაა პოეზიაო; თუმცა ჰო იწვა ურდორდელადაო, — სამგიეროდ ვერ მოესვენა ქალს, ამიტომაც თუ აწიწკნიდა თმასა.

აწიწკნიდა და აწიწკნიდა.

— მოისვენე?!

მერე ესეც იკითხა ქალმა, იკითხა ისე, ან ამას დასცინოდა, ან თავის თავსა, ანთუ ორივესა, თმაც დაიხვია სალოკ თითზედა, ასწია, ასწია, ლამის კანი ააფხრიწოსო. არაფერი მიუგო ვაჟმა, გადახვეული თმა წაართვა, თითებით დაიფარა ნატკენი ადგილი. მაშინ სხვაგან გადაინაცვლა თითებმა ქალისა, თხელმა თითებმა, მოუსვენარმა, გადაინაცვლა და რბოდა, წრიალებდა, ხანდახან მოეშვებოდა, დაანდობოდა, ჩაკვდებოდა. ჩანავლდებოდა, მაშინ თვალიც გამეშდებოდა, — მაგიდიდან შუქი მცირედად მაინც გადაჰფენდა საწოლის წინა: პალტოც იქ ეგდო, ის საგაზაფხულო, გახრესილი პალტოი, ვინ უწყის როდიმდელი, ვინ უწყის სადით შემოტანილი, მაშინ ერთბაშად რო წამოიცვა ბევრმა, ბევრიც რო დაეძებდა, ემეტებოდა ორმაგი თუ სამმაგი ფასიცა, მალე ერთბაშად რო გადააგდო ყველამა, ამასლა რო შემორჩენოდა, ჰო იქვე ეგდო თუ ჩამოფენილიყო, სკამს მოსდებოდა ცალი კალთაი, ეგრე ჩაშლილიყო იატაკზედა. პიჯაკი არ ეგდო, არც ჩამოჰკიდებდა საგულდაგულოდა, არც ეცმოდა რაღა თქმა უნდა, თორემ იმასაც ეგრევე მოისროდა. ხალათიც იგივე შემორჩენოდა, შვიდი თვის წინათ რო ჩაიტანა შარვალშია, — შვიდი დღე გამომრჩა, არაფერიაო, — მთავარი ისაა, ხალათი რო იგივე გახლდათ, ისევე მუქლურჯი, ჩამ[illegible]-კალთებითა, ზევითდაზევით [illegible]-ცისფრებული ბეჭებზედა, საყელოგახრესილი, გადაკემსილი წმინდადა, ამასთან სუფთა, ახლადჩამოხსნილი თოკიდანა, უთონადგამი სულ ახლახანა. ხალათის ქვეშაც რაღაცა მოუჩანდა, ღაზლისა, შინნაქსოვი, დედისა თუ დისა, ეგება დიდედისა, ესეც სულერთია რაღა თქმა იყო, რაც იყო თუ ვისგანაც იყო, თბილი ის უჩანდა, იმითი თუ გაიტანდა ზამთარსა, რა ვუყოთ თუ მშრალ ზამთარსაო, ზამთარი მაინც ზამთარიაო.

ქალი მაინც ხალათს მიაცივდა:

— ისევ დაი გირეცხავს?

— დაი...

— ველარ ამოიღებს.

— საიდან თუ რასაო...

— ხალათსაო... სარეცხიდან ველარ ამოიღებს.

— ამოიღებს.

— ხელზე შეადნება.

— მაქვს ერთიცა.

— ახალი?

— არც ისე.

— ახალივითაა?

— ჰო...

— შეეგებები გაზაფხულსა!..

თქვა ქალმა როგორღაც უცნაურადა, მწვავედა თუ მწარედა, დამცინავადაცა, ერთი სიტყვით უცნაურადა, ოღონდ არაფრად ჩაუგდია ვაჟსა, თვალი მილულა, გაახილა და ისევ მილულა, — არც არად ჩაუგდია, არც არა მიუგია, რაც უნდა ეთქვა, ქალი ზედ ეხვია, ვაზივით ეხვია, რაც უნდა ეთქვა. ქალი მაინც როდი მოეშვა:

— თვალს დაუყენებ გაზაფხულსა!..

არც მოეშვა და იმატა დაცინვამაცა, ალაგ ყლურტულით გაგრძელდა ნათქვამი, ვითომც უკვე გაზაფხულია, ვითომც მერცხალიც მოფრენილაო.

ვაჟმა მაინც არ შეიმჩნია:

— არც მე დამიდგება თვალი...

— თუ აღარა გსურს...

— არცა...

— თუ აღარა სურთ, არც არსებობენო.

— ვისი ნათქვამია?

— ცხოვრების ნათქვამია.

— მასწავლებელი კარგი გყოლია.

— შენიცაა.

— მე ვერ დავუდე გული სკოლასა.

— ეს სხვა სკოლაა.

— სულერთია რაზან სკოლაა.

— სხვა რამე დავარქვათ.

— სულერთიამეთქი, ნუმცა ყოფილა.

— არის და!..

— იყოს.

— და შენც აქა ხარ.

— ვიყო.

აქ ქალმა ისევ მოსწია თმაი, ნიკაპიც მოსწია, გადაიხარა თვითონაცა, შემომხედოსო. არ აჰხედა, არ უნდოდა და არ აჰხედა.

— არაფერი, არაფერი, — ნაღვლიანად გააგრძელა ქალმა,—არაფერი იცვლება შენში.

— რა უნდა შეიცვალოს?!

— დრო მიდის.

— იაროს.

იტვრინა ქალმა, უფრო შემოეტმასნა ვაჟსა და იტვრინა, და იყო ასე გასუსული, გამტკნარებული, იყო და იყო, უცებ დააცხრა, მომეტებულად აუწეწა ქოჩორი ვაჟსა, მერე ნელნელა ჩაცურდა საწოლიდანა, ნელნელა წამოდგა, ნელნელა გაიარა, თითქოს რაღაცას ეპარებაო, გაიარა თუ გაგოგდა, — უფრო გაგოგდა თუ როგორ იყო, უჯრა გამოსწია საწერი მაგიდისა, ამოურია ისევე ნელნელა, იფათურა თუ ეძება რაღაცა, ეძება დიდხანსა თუ არც ეძება, ეჭირა ხელში, ატრიალებდა, აკვირდებოდა თუ არც აკვირდებოდა, აცრთუ დაუხედავს, უფრო ფიქრობდა, რაღაცასა ფიქრობდა, ვერც მოშვებოდა, ვერც გადაეწყვიტა, იდგა ეგრე ფეხშველა ფეხითა, თითის წვერებზე აწეულიყო, ამაღლებულიყო, ტანი თხელი, თხელი წელი უცახცახებდა, ანთუ სციოდა, ან არცა სციოდა, აცახცახებდა თავისი ფიქრი. მერე წაგოგდა თითის წვერებითა, ვაჟს წინ ჩაცუცქდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აი!..

ჩაცუცქდა და ბეჭედი გაუწოდა, ბეჭედი იაგუნდის თვლითა, მოზრდილი თვლითა იაგუნდისა, გარშემო მარგალიტით მოჟიჟმატებული.

— რაი?!

გულცივად იკითხა ვაჟმა, ვითომდა რაო, არც დაუნახავსო, ვითომდა რაო, ვერას მიმხვდარაო.

— ბეჭედი!..

თითქოს აუხსნაო, პირველად აუხსნაო, ხელიც გამოუწია ვაჟსა, ფრთხილად დაუდო ხელის გულზედა, მერე თითები წამოუკეცა, გრძელი თითები წამოუმტვრია, ვერც წამოუკეცა, ვერც წამოუმტვრია რაღა თქმა უნდა, შეეცადა, თუმცა ვერ დაუგვარა ვერაფერი, გაჭიმულიყო სილა ვაჟისა, გაფშეკილიყო უდრეკელადა.

— ჰა?!

თითქოს ნიშნი მოუგო ვაჟმა.

— ბეჭედი!..

იგივე უთხრა ქალმა, ნიშნის მოგებარად ჩაუგდო.

— ბეჭედი!..

გაიმეორა ვაჟმა უაზროდა.

— ბეჭედი! — ქალმაც დაუდასტურა, თითქოს ახლა შეაგნებინაო, — წაიღე, დამიბრუნე, როცა შეგეძლოს, დამიბრუნე თუნდაც ათმაგადა... არა მჭირდება. შენა გჭირდება, გამოიყენე.

— ნწ!..

ამგვარად გამოსთქვა ვაჟმა თუ ესეც გამოთქმაა. ცხადზე ცხადია, შეუვალობა მაინც იგრძნობოდა და ჩაჯდა ქალი, აქავე ჩაჯდა იატაკზედა, თვალებზე აიფარა ხელი.

— გჭირდებამეთქი...

გაიმეორა მხრების თახთახითა, თვალთაგან ხელი არ ჩამოულია. ვაჟი წამოჯდა, ჩამოყარა ფეხები ძირსა. ქალმა უმალ ხელები შეაწყო მუხლებზედა, აიწია, აიწია ჩახსნილ საყელოში ჩაურგო ტუჩები და ისე ჩასდუდღუნა, გამიგონეო, შენი ცხოვრება ცხოვრება არ არის, ცოდო ხარ, ცოდოო, შენც უნდა

იცხოვრო, ცხოვრება უნდა დაიწყო როგორმე.

ვაჟმა ჩაბლუჯა მხრები თითქოს პატარა ქალისა, თითქოს თხელი ქალისა, ხელში რო მაინც მკვრივად მოდიოდა, ჩაბლუჯა და გასჭიმა მკლავები, გრძელი მკლავები გასჭიმა და გაიტანა ქალი, დაიშორა და ეგრე შესცინა ნიშნისმოგებითა:

— თითქოს არაფერი მეორდებაო?!

— მაშ რაღად დაბრუნდი?!

გაჰკვირდა ქალი, უნდოდა მხრებიც შეერხია შესატყვისადა, ვერ შეარხია ჩაბლუჯული მხრები.

— იდესმეო...

დუნედ მიუგო ვაჟმა, მიხვდა პასუხად ვერ ივარგებდა.

— სწორედაც იდესმეო!

მოუშრა ქალმა, გადაიყარა ხელები ვაჟისა, უკვე მოშვებული, მოდუნებული, გადაიყარა და ადგა, აიმართა, სხვა არაფერი მიგულისხმიაო, ესეც დასძინა, ფეხის ცერით შეაგროვა მიყრილ-მოყრილი ფეხსაცმელები, ჩაიცვა, ჩამოჯდა შორიახლოსა, სხვა არაფერიო, გაიმეორა.

ჰო სწორედაც სხვა არაფერიო: წაეღო ბეჭედი, გაეყიდა ცხადია, საქორწილოდ გამოწყობილიყო, შეერთო ეს ქალი, დასახლებულიყო ამ ოთახშია, — აი ამასა გულისხმობდა, სხვას არაფერსა, ცხოვრების დაწყებად ეს მიაჩნდა, ამას ურჩევდა, ურჩევდა და ამოსდგომოდა მხარშიაცა, თავგანწირვა გამოდიოდა. სხვისა რა გითხრა, აქ მაინც ასე გამოდიოდა და ცუდიც არ ეთქმოდა, განახლდებოდა რაღაცა თუ როგორღაცაო, რაღაც ახალი დაიწყებოდა, ამას ვერ მიმხვდარიყო ვაჟი, ეს აგულისებდა ქალსა; ვაჟი არ ამბობდა თუ რად ვერ მიმხვდარიყო, ან რადა უარობდა, ესეც აგულისებდა, ეს უფრო აგულისებდა ქალსა, თუ იტყოდა გაუქარწყლებდა, აუხსნიდა და გაუქარწყლებდა, ამიტომაც არას ამბობდა ვაჟი, ესეც აგულისებდა ქალსა, თვითონ საძნელოდ არაფერი ესახებოდა, არა, არაფერი ბეწვისოდენადაცა, სულმთლად ადვილად ასრულდებოდა: წაეღო ბეჭედი, ფუჭად ექცა, შეერთო ეს ქალი, დასახლებულიყო ამ ოთახში: ვთქვათ, გაყრა ეძნელებოდა. — ეგეც არაფერი, ამასაც თვითონ მოუვლიდა ქალი, ოღონდაც ეთქვა, ეთქვა მხოლოდ, კრინტი დაეძრა, მაგრამ არაო, არას ამბობდა, ამასაც არაო, მით უფრო იმას რა ათქმევინებდა, სულ ცოტა ორი სიძნელე რო ელობებოდა ამ ქორწინებასა, ჯერ ერთი ესაო, ქალს ქმარშვილი უნდა მიეტოვებინა, შვილი თუ არაო, ქმარი ჰო უნდა მიეტოვებინა, ოჯახი დაენგრია, მეორეც ესაო, ვაჟს დაძმანი უნდა დაეყარა უპატრონოდა, სოფლიდან წამოყოლილი დაძმანი, ანაბარანი ამისი. ქალს ეგება გაჰხარებოდა, თუ გამოშორდებოდა ქმარშვილსა, შვილს თუ არაო, ქმარს ჰო მაინცაო, ვაჟისათვის ეგება დიდი შეღავათიც გახლდა, ზურგს თუ შეაქცევდა დაძმათა, მაგრამ განა შეიძლებოდა?! როგორღა უნდა აეხსნა ქალსა, ანთუ როგორღა გაეადვილებინა?! არ შეიძლებოდა, არ შეიძლებოდა, ამიტომაც არას ამბობდა, ქალსაც ვერ ეთქვა ვეღარაფერი, მოფიქრებული პასუხი ვერ ეთქვა: ერთად ვიზრუნებთო, უკეთესადაც ვიზრუნებთო და სხვა და სხვაო, ამაო იქნებოდა ალთქმანი ესე, ამაო იქნებოდა, ჩაიწეწებოდა იმავე დღესა, საღამომდისაც ვერ მიატანდა, ან ერთ ღამესაც ვერ გაათევდა, ვერა, ვერაო, იცოდა ვაჟმა და არას ამბობდა და აგულისებდა ქალსა, ეს აგულისებდა.

ვთქვათ ასეც არა ყოფილიყო.

უკეთუ გაუთხოვარი ყოფილიყო ქალი, თახახიანი, უმტვერო ქალიშვილი ყოფილიყო, თავისი ანაბარა ყოფილიყო ვაჟიცა, მაინც პირში წყალს დაიგუბებდა, რამეთუ ქორწინება, თუნდაც უბრალოდ ხელის მოწერა, ვერ წარმოედგინა, ჯერ ვერ დაეტანა გონებამდისა თუ სურვილამდისა; მწვავე სიყვარულიც გადაეტანა, ჩაყურყუმელავებულიყო ქალებშიცა, ფულსაცა შოულობდა ბლომადა, თავის ანაბარაც გახლდა, თვითონვე მოსავდა, თვითონვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეელოდა სხვათა და სხვათა, განეცადა გაცრუებაცა იმედისა, ხელისმოცარვაცა, რასაც არ შეხვედროდა, რას არ მოსწრეოდა, ეს მაინც გულში ვერ ამოექრა, — ცოლი შევირთოო, უნდა შევირთოო, ვერც გულში ამოექრა, ვერც გონებაში, ვერც ამოართვა აბურდულ ფიქრისა; სხვისა თუ გაეგონა, მოულოდნელობა ეგონა, სასჯელი თუ სასწაული ეგონა, ხოლო აქ უბრალოდ გამოდიოდა: წაელო ბეჭედი, გამოწყობილიყო სასიძოდა, უკეთუ სანეფოდა, დასახლებულიყო ამ ოთახშია, — ძალიან უბრალოდ გამოდიოდა. ვინ უწყის მერეც არ გაძნელებულიყო, ანთუ ისე შეედგა ულელი, ვერც ვერა გაეგო, ვინ იცის, ვინ უწყის, — დაე, ყოფილიყო როგორცთუ იქნებოდა, ახლა არაო, არ მოხერხდებოდა, შვიდი თვის წინათ რაც არ მოხერხდა, შვიდი თვის მერეც არ მოხერხდებოდა, არც რა შეცვლილიყო, არც მოხერხდებოდა; თუმცა რადაო, ბევრიც შეცვლილიყო, ძალიან ბევრი, აზრი თუ მტკიცება ამობრუნებულიყო, ძირფესვიანად ამოტრიალებულიყო, აზრი სხვათაო, ლენტოსი არა, იგივე იყო, იგივე გახლდა. და სდუმდა ვაჟი ამიტომაცა, ეს თუ აღარ იცოდა ქალმა, ამიტომაც თუ გაგულისებულიყო; და სდუმდა ვაჟი მაინც რაღაცა უნდა ეთქვა, უსათუოდა, გარდაუვალადა, ვაჟს თუ თავისი სურვილი ჰქონდა, ქალს თუ თავისი, ერთმანეთისთვის შორეული, შეუგუებელი, უნდა შეებლანდათ სიტყვით მაინცა, ისე ერთად რაღა უნდოდათ, უკეთუ რაღად მისტანებოდა ვაჟი?

ჰო უნდა ეთქვაო.

უნდა ეთქვაო და თქვა იმანაცა:

— სხვა აბა რაო?

თქვა, თუ უფრო სიტყვები ამოიტანა, დუმილის გასატეხადა, მაინც გამოედო ქალი, მაინც იგივეს ჩაეკითხა:

— მაშ რაღად დაბრუნდი?

ახლა ის მთლად უმწეო გახლდა, აღარც თვითონ გააჩნდა პასუხი, აღარც ამისგან ელოდა აღარაფერსა.

— იცი, ელი...

ვაჟმა წამოიწყო თუ ვერც წამოიწყო, ქალი მიეშველა, შეაწყვეტინა:

— არაფერი ვიცი, არაფერი, არაფერი ვიცი... — ჩაიჩურჩულა ხმის კანკალითა.

— შვიდი თვე გავიდა.

თითქოს მიახვედრა ვაჟმა, ალბათ მიახვედრა:

— ვერავის გადააწყდი?

თითქოს შეიბრალაო ქალმა, თითქოს დასცინაო უფრო თავის თავსა, ტუჩები წამობურცა, შემბრალოისადაცა, დაცინვისადა. ის ტუჩები მოსწონდა ვაჟსა, იმ ტუჩებს აჰყვა, როცა აჰყვა, კიდევაც მოჰგვრიდა სითბოსა ის ტუჩები, თუმცა ისე აღარაო, რა ვუყოთ მერე, მაინც მოჰგვრიდა, მაინც მოალბობდა, სინანულამდის მაინც მიატანდა.

— ვერავისა...

მიუგო ვაჟმა.

ქალს აღარ უთქვამს, თითქოს აღარცა სუნთქავდაო, თითქოს გაქვავდაო, ვაჟი მიხვდა, უნდა წასულიყო, ან ვითომ რაღა მიხვედრა უნდოდა? უჯობდა წელანვე წასულიყო, ამდგარიყო და წასულიყო, არ შეჰყოლოდა სიტყვა-პასუხში, უჯობდა სულაც არ დაბრუნებულიყო, მაგრამ ის სხვა გახლდა, იმას ვერ გაუძლო, ახლა სხვა იყო, უნდა წასულიყო, ახლავე, ამწუთში, წასულიყო სამუდამოდა, ანთუ ვინ უწყის რამდენი ხნითა, თუნდაც ისევე შვიდი თვითაო, მანამდის ვინ იცის რა მომხდარიყო, — გარეთ არაო, გარეთ ისედაც ბევრი რამ ხდებოდა, ამას არაფერი შეეხებოდა, არ ეკარებოდა ოდნავადაცა, ოღონდ და რაო, ეგება მომხდარიყო ისეთი რამეცა, ესეც შეერყია, ერთბაშად თუ არა თანდათანობით მაინცა, შეერყია და შემოებრუნებინა, შემოებრუნებინა და გამოერთმია ბეჭედი, გამოერთმია და გაეყიდა, გაეყიდა და გამოწყობილიყო საქორწინოდა, არცთუ დაბრკოლებანი გახსენებოდა, ანთუ გამქრალიყო დაბრკოლებანი, — ეგება მომხდარიყო ასეთი რამეცა; მოხდებოდა თუ არ მოხდებოდა, ახლა მაინც

უნდა წასულიყო. და ადგა ვაჟი. შეირხა ქალი გაქვავებული, შეირხა და ისევ გაქვავდა. ოღონდ თვალები ისე დაუჩრა, თითქოს კიდევ პასუხსა სთხოვდა, თითქოს საბოლოოდ ეთხოვებოდა, თითქოს არც უნდოდა გაეშვა, ანთუ გაჰყოლოდა თანა. ვეღარცთუ დაიძრა ვაჟი. ფეხი თუ გაებლანდა, დაიხედა უნებლიედა. ვერც რა შეამჩნია, უხილავად თუ გაბლანდოდა.

— მაშ რას აპირებ?

ქალმა თქვაო თუ ვილაცამა თქვა იმის მაგივრადა.

— არ ვიცი...

მიუგო ვაჟმა.

— არა?!

— ნუ, არა!..

— რაღაცა ჰო უნდა განგეზრახოს, რაღაცა უნდა გსურდეს?

— რა ვი...

— მოგწონს ასე?

— ნუ, არა!

— მაშ რა უნდა ჰქნა?

იმავე კითხვას უბრუნდება სხვადასხვანაირადა, ალბათ ვიღაცაო, რამეთუ ქალი არ არხევდა ბაგეთა, არცთუ თვალებს ახამხამებდა, მისჩერებოდა გაოგნებული.

— აბა რა ვი, რო!... — ჯერე ასეთნაირად ამოილუღლუღა ვაჟმა, მერე მიაყარა უჩვეულოდა, — არც ასე მომწონს, არც ისე ვიცი თუ უმჯობესი როგორი იქნება, თუ რამეს ვეწევი, არ გამეგება ამისაც არაფერი, არც სხვა არაფერი გამეგება და ტყუილადაც ჩამცივებიხარ; რო არ უნდა მოვსულიყავი, ამდენს მივხმდარვარ, რო აღარ შემეძლო, გამოგიტყდი, რო უნდა წავიდე, ესეც ვიცი, მოვბრუნდები, თუ არა კიდევა, ამისას მაინც ვეღარას გეტყვი. ეგება მოვბრუნდე, ხვალვე მოვბრუნდე, არ გაგიკვირდეს, ცუდია თუ კარგი, არ გამეგება და ნურც ამიხსნი ცუდი არისო, ვეღარ მოვერევი მაინც ჩემს თავსა, რაღაცამ დამიტანა, რაღაცამ დამჯაბნა, იმის ხელთა ვარ, სადთუ მიმაგდებს, ნება მისია, აღარაფერია ჩემი კითხული.

— მელოდები...

თითქოს შორით გაისმა [illegible]

— არა, რადაო, ალბ[illegible]უნდა იყოს ამნაირადა, ხოლო ვიღაცაც თუ უნდა იყოს, მე ვიყო, თუნდა მე ვიყო მხოლოდლა, სხვა, ჰო, უარესადაც იქნება და მეც რო ვიყო უარესადა, ეგეც არაფერი, მე ვიქნები თუ სხვა იქნება, რა ბედენაა?..

— ბოდავ?!

ეს ქალმა იკითხა ნამდვილადა, სახეს გადაჰკრა შიშის ფერმაცა.

— არა!.. სიტყვა თუ ამებურდა... რად გვინდა... მოდი!..

— არა!

ისევ გაქვავდა ქალი.

— მოდი და წავალ...

თითქოს დაიგმინაო ვაჟმა, იქავ იყო და ბლანდი არ უშვებდა, რალაც არ უშვებდა, ვერ წაეწია ოდნავადაცა, არც ის იძვროდა ოდნავადაცა, ოღონდ ტიროდა, არცთუ ტიროდა, თითქოს წყლითუ გადაასხეს ქვასაო. დიოდა ცრემლი, ანთუ წვეთები, ეგრე დიოდა. იდგა ვაჟი და ყურს მიუგდებდა თუ როგორა ტიროდა ქალი, ანთუ განა ქალი ტიროდა,—არაო, არა, ვიღაც სხვა ტიროდა, ეს თითქოს ქვააო და ქვასა რეცხავენო, მეტი არაფერი, ჰოო და ჰო თითქოს ქვააო და სიტყვაც იმისი არ იქნებოდა ბოლოს რო გაისმა:

— წადი თუ მიდიხარ!

— წავალ...

მიუგო ვაჟმა და შეეხსნა ბლანდიცა.

ქალიც შეირხა, განიბანა ცრემლითა და შეირხა.

განიბანა და მორჩა, მოთავდა ყველაფერი, უცხონი გახდნენ, იქავე იყვნენ, მაინც დაშორდნენ ერთმანეთსა, გაცივდა გული, ქალისას ვამბობ, გაცივდა, გაიყინა, აღარ აძგერდებოდა ამისათვისა, კიდევ თუ ეტყოდა, თუ მიმართავდა, მიმართავდა, ვითარცა შორეულსა.

— მამაჩემიც აღარ გინახავს?

მშრალად იკითხა ქალმა.

— აღარა...

მშრალადვე მიუგო ვაჟმა.

— გამოხვალ?

ისევე იკითხა ქალმა.

— გამოვალ...

ისევ მიუგო ვაჟმა.

მერე ქალი სარკეს მიექცა, მიექცა და რო გამობრუნდა, გამოცვლილიყო რაღა თქმა უნდა, გამოცოცხლებულიყო, განახლებულიყო, თითქოს ცქრიალა გოგონააო, გამზადებული სალოლობოდა, ასაფრენად გამზადებულიო, ოღონდ ეს იერი თხლად გადავლებოდა, მეტად თხლადა, სიფრიფანადა, სევდა თუ წუხილი ტალღა-ტალღად გადადიოდა, გადაევლებოდა თვალებზე, შუბლზე, ხელებზედაცა, უცახცახებდა თხელი ხელები, აღრეულიყო განცდაი ორი, განგებ მოგვრილი უზრუნველობა და მოურეველი სანაღვლებელი. ამას კიდევ სხვაც ემატებოდა: შუათთაში უნდა გაევლოთ და წინაში გასულიყვნენ, თუმცა აქედან შემოვიდნენ, წინა დაერქმიათ იქითასათვისა, ოღონდ თუ რაო, — რა დაერქმიათ თუ როგორ დაერქმიათ, ვინ გახლდნენ თუ რა დამართნოდათ, თანდათან ისედაც ნათელი იქნება, წინასწარ ისაა მხოლოდ ასახსნელი, შუათთახის ნახევარი კარგახანია რო დაეკარგათ, მეზობლებს ეძალავათ და წაერთმიათ, ეს კარგახანია, ბოლოს მთლიანადაც მოენდომებინათ, ჩამოენგრიათ თავიანთივე კედელი, ბარემლა კარებს ამოვაშენებთ აქეთაცაო და იქითაცაო, გზას შევუკრავთო, ასე გამოდის, ანთუ ვინ უწყის რა განეზრახათ, ოღონდ ჯერ მინც ვერ მიეტანათ ბოლომდისა, ეს აღდგომოდა, ეს ქალი ცხადია, მიემართა სადაც თუ ჯერ არს, ხალხი ჩაერია, ჯერ კიდევ გაეტანა თავისი, ანუ ვითომ რა გაეტანა, — ძარღვები აშლოდა, ევავადმყოფა, მაინც როდი აეტანათ კედელი. და შიშობდა კართან მიმდგარი, კიდევ არაფერი დამემართოსო, ანთუ უარესი არ ჩაედინოთო, შიშობდა, ცახცახებდა, ვერადავერ გამოეღო კარი, ვერ გამოეღო და იდგა უმწეოდა. არცთუ ეს გაეგო ვაჟსა, იმდენსლა მიხვდა, იქ რაღაცაა საშინელიო, და მიიჭრა კართან, ჩაბღუჯა სახელური, ჩაბღუჯა და გამოსწია, გამოსწია და გამოგლიჯა რისხვიანად, ვაითუ ვინმე დაჰხვედროდა იქა, ვაი იმის დედის ღმერთსაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოღავებულიყო კედლის ნანგრევი სხვა არაფერიო, სხვა არავინაო...

III

„...და თავი და თმანი მისნი სპეტაკ, ვითარცა მატყლი სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და თვალნი მისნი, ვითარცა ალი ცეცხლისაი. ...და ხმაი მისი, ვითარცა ხმაი წყალთა მრავალთაი“.

იქვე ესეცაა ნათქვამი: და ფერხნი მისნი მსგავს იყვნეს რვალსა გუნდრუკსა, ვითარცა ცეცხლსა შინა გამოხურვებულნიო, მაგრამ გამოვტოვე, რადგან ეს აღარ შეეფერებოდა იმ კაცსა, იქით ვინც დახვდათ, წინათთახშია, — სწორედ ფეხები არ უვარგოდა, დასიებოდა, გაფუებოდა, ფეხების ტკივილს დაება შინა. თუ მიჩოჩიალდებოდა საწოლიდან მაგიდამდისა, ორიოდ ნაბიჯსაც თუ გადაადგამდა, უნდა აეტანა წამება საშინელი, ალბათ შესადარი გოლგოთისაი.

და მაშინ უკვე გადაეტანა წამებაი იგი, მაგიდას უჯდა, ვეება მაგიდასა, ვეება რუკაც ეფინა ზედა, — კედლებსაც ეფინა რუკები უამრავი, მოხატულობაც ეს გახლდა კედლებისა, — წიგნებიც მოეფინა, აეკოკლავებინა აქეთ-იქითაცა.

წიგნები მხოლოდ ისტორიანი გახლდა, რაცთუ საქართველოს შეეხებოდა თუნდაც რამოდენიმე სტრიქონითა, მოკიდებული ჰეროდოტედანა.

ჰო კედლებსაც ეკიდა რუკებიო.

ოღონდ ის ნამდვილი რუკები გახლდა, ნამდვილი ანუ დასტამბული.

მაგიდაზე სხვაგვარი რუკები გაეშალა, საკუთარი რუკები, მოხაზული საკუთარი ხელითა: ერთი წინარეისტორიული საქართველოსი, ერთი ანტიკური საქართველოსი, ერთიცა თამარის საქართველოსი. წიგნებიც ჰო ზედ ეყარა, ეხროვა თუ დაშლილიყო ფურცელ-ფურცელა, ჟურნალებიც ეგრევე, გაზეთებიცა, ამონაწერებიცა, მოფენი-

ლიყო თუ ქექავდა ყოველივე ამასა, ჩხრეკდა, ამოწმებდა, განსჯიდა თუ გაიაზრებდა საგულდაგულოდა და მერე გადაჰქონდა რუკებზედა, ფერებად გადაჰქონდა. ფერადი ფანქრებიც ძრავლად მობნეულიყო, წამახულები, წვერმოტეხილები, ნათალიც ეგროვა, ნათალი ფანქრებისა, მაგიდის კუნჭულში, იატაკზედაც ჩაფრქვეულიყო, — ვაჟი რო წავიდა შვიდი თვის წინათა, ისე დაახსოვდა, ასევე დახვდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს ამის გარშემო, თითქოს კედელი არც ჩაენგრიათო, არც ოთახის წართმევა მოენდომებინოთ მეზობლებსაო, თითქოს მანამდისაც არ წაეგლიჯათ აქეთა თუ იქითაო, თითქოს არც გაეგო, ანთუ არაფრად ენაღვლებოდაო, ანთუ რა იყო ოთახიო, ან დერეფნები თუ აივნები ვითომ რა იყოო, წიგნებში როცა გაფაციცებულიყო, დაკარგულ მიწებს როცა დაეძებდა გამალებითა, დაეძებდა და ჰპოებდა მატიანეებსა თუ ქრონიკებში, თიხის ფირფიტებსა თუ მეცნიერთა ვარაუდებში, ჰპოვებდა და უმატებდა რუკებსა. გოჯი-გოჯ უმატებდა წინარეისტორიულსა, ანტიკურსა თუ თამარის რუკებსა, უმატებდა და თრთოდა, უმატებდა და ხარობდა, ჰყლოპინებდა თუ გაბრუვდებოდა, გაითანგებოდა, მიეცემოდა თვლემასა ნეტარისა. ეგება თრობასაო, ეგებაო, ვინ უწყის უფრო თრობა თუ მიესადაგებოდეს ამგვარ განცდასა, — ანთუ რაც უნდა მიესადაგებოდეს, ერთი რამ ცხადია, გადაიკარგებოდა ამა სოფლიდანა, წავიდოდა, წავიდოდა, ჩაიფლებოდა, ჩაყურყუმელდებოდა, გადაიკარგებოდა ერთისიტყვითა. აღარ უნდოდა მაშინ აღარაფერი, აღარცა საჭმელიო, აღარცა სასმელიო, აღარაფერიო, აღარაფერიო, დაე შემოსეოდნენ ოთხივ კუთხითა, შემოსეოდნენ და ჰო წაეღოთ, ჰო გადაემკვდლათ დერეფნები, აბაზანაც ჰო წაერთმიათ, სამზარეულოც წაერთმიათ, საწოლიცა, გადაეტიხრათ საპირფარეშოცა, კიდევაც წარეტაცათ ის შუაოთახიცა, წარეტაცა ვისაც ენება, რომელ გადამთიელსაც მოესურვებინა, წაეღო, წარეტაცა. ოლონდ შერჩენოდა [illegible] იგი, თრობაი დიდებ[illegible] დიდებითა, წარსულის დიდებითა.

ეს უცებ გაუჩნდა, უცებ დაეტაკა თრობაი თუ განცდაი ამგვარი.

დაეტაკა და დაიმორჩილა.

ესეც დანებდა სიხარულითა, მუხლმა რო უმუხთლა, შინ გამოიკეტა, მაშინღა დანებდა.

მანამდე სხვა იყო, წარსულიც სხვა გახლდა ამისათვისა, მომავალიცა, სულ სხვა რამ გახლდა, ანუ არ იყო არცა ერთი, არცთუ მეორე, იყო ოდენ დღედღევანდელი, იყო თვეი და ხელფასის გაწვდენაი თვიდან თვემდისა, ამიტომაც დაესწავლა ცრუ დიმიტრი თუ მღვდელი გაპონი, დაესწავლა, გაეზუთხა და აზუთხებდა მოწაფეებსა, ხოლო როცათუ ეს არა კმაროდა, უკეთუ ამითი რო ველარ გასწვდებოდა თვიდან თვემდისა, ათეიზმის ლექციებსაც კითხულობდა დაწესებულებებშია და მღეროდა სიონის გუნდშიცა. მღეროდა ფარდასამოფარებული კვირაობითა, შობა-ახალწელიწადსაცა, აღდგომასაცა მღეროდა თავგამოდებითა. მეტი ფული გამოდიოდა, თავგამოდებაც იმისი გახლდა, თორემ ისე, რა მოგახსენო, ათეისტიც ისეთივე ბრძანდებოდა, როგორიც თეისტი, ანუ ოჯახი გაჰყავდა თვიდან თვემდისა, ერთითაცა და მეორითაცა, გაჰყავდა ჯახირითა, დავიდარაბითა. რას გამოადგებოდა თრობაი მაშინა, თრობაი დიდებითა, წარსული დიდებითა?! ოდენ სიფხიზლით თუ გაიტანდა თავსა და ფხიზლობდა ესეცა, ფხიზლობდა და ფხიზლობდა ცრუ დიმიტრითა, გაპონითა, სვიატოსლავითა, სხვათა მსგავსითა თუ მინამგვანითა, მაშინ თამარი ჯერკიდევ მეფედ ითვლებოდა საქართველოსი, ჯერ არ დაერქმიათ ერთა მეგობრობის წარსული ფურცელი, არც გამოადგებოდა რაღა თქმა უნდა, აღარც ახსოვდა, კიდევაც დავძენ, რაღა თქმა უნდამეთქი. ჰო ეს მაშინაო, ხოლო თუ მერე თუ რამ სხვა მოხდა, თუ რამ შეიცვალა, შეიცვალა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არ შეიცვალა, ამას არ შერჩა ბევრი არაფერი, თვინიერ ერთი ასულისა. იმა ასულისა, ჭაბუკს რო შემოჰყვა გამონგრეული ოთახიდანა, — სხვა არცვინ შემორჩა, ჯანიც აღარ შემორჩა, აღარც გამოადგა ცრუ დიმიტრიო თუ გაპონიო, აღარც ათეიზმის ლექციებიო, აღარცა კუნდი სიონის ტაძრისა, გარეთ ფეხი ველარ გაადგა და რუკებს მოეჭიდა, რუკებსა ძველსა, თამარისაო და ბევრად ძველსა. წყალწაღებული ხავს მოეჭიდაო, ასე გამოდის, რაც უნდა იყოს ნეტარებდა, ნეტარებდა გარდასულითა, გარდასული სიდიადითა, ნეტარებდა და სიმარტოვეს აღარ განიცდიდა, უყუჩდებოდა ტკივილიცა, სიკვდილის შიშიც უყუჩდებოდა, ან შიში რაღა მოსატანია, — ასეთ წუთებში მეუფე გახლდა, იყო განმგებელი საყოველთაო, მღვიმეებიდან გამოჰყავდა მრავალი ტომი, შეადუღაბებდა, ერად გარდაჰქმნიდა, ძლევამოსილ ერადა, ცეცხლის დანთებას ასწავლიდა, რკინის დამუშავებას ასწავლიდა, სახელს გაუთქვამდა პურითა და ღვინითა, სიკეთეს უმოძღვრებდა, სიკეთესა ყოველთა ამა ქვეყანასა ზედა, უმოძღვრებდა პირველი ქართველი, პირველი აღმომჩენი სიკეთისა, პირველი მოციქული, უშურველი, უზოგველი, თავგადადებული, გადალეული ყველაზედა. მერე ის ყველამ თუ გაიმეტა, რა ვუყოთ მერეო, კალოთ თუ დაიდეს და ლეწეს და ლეწეს, რა ვუყოთ მერეო, მაინც სიკეთე უდიდესი ღირსება ყოფილა, უალრესი ჯილდო ყოფილა შემოქმედისა, ეს ჯილდო ყველას არ მინიჭებია, ყველას არ შესძლებია ალვსება სიკეთისა. ზოგს მტაცებლობა მინიჭებია, უკეთუ მეტად იოლი ყოფილა, თვითონ მისტანებია მტაცებლობასა, ბევრიც მისტანებია და ბევრის გაძლებაც უნდა გვქონოდაო. გამძლეს გაუძლია, სიკეთეს გაუძლია, მტაცებელი გარდაგებულაო. — ასეთ წუთებში მეუფე გახლდა, განმგებელი გახლდა საყოველთაოი, განიცდიდა და ამბობდა კიდეცა, ამბობდა ისე მარტოდმარტო, გამოკეტილი, ამბობდა და ტკბებოდა თვითონვე თავისი ნაამბობითა.

ყოველთვის მარტო [illegible] რაღა თქმა უნდა.

ვინმეც ეწვეოდა თუ შეუსწორებდა.

ის ისე განაგრძობდა, ვითომც მანამდეც არ მოჰკლებია მსმენელიო.

თუ შეუსწრებდა, ისევ თავისი ასულიო — ელისო შეუსწრებდა, მიჰხედავდა, მიეპატრონებოდა, ხან ვინმეც შეჰყვებოდა, თუნდაც ეს ჭაბუკი — ლენტოი, — და ამისათვის სულერთი გახლდა თუ ვინ იყო ჭაბუკი იგი, რად მოჰყოლოდა, რა უნდოდა, აქ დარჩებოდა თუ მალე წავიდოდა, მოუსმენდა გულმოდგინედა თუ მიაჩერდებოდა გულგარეშე, ცარიელი თვალებითა, სულერთი გახლდა, არად ჩააგდებდა, თავისას განაგრძნობდა წამოგზნებული, წამონთებული, ვითარცა ქურუმი წარმართთა შორისა. და ეგების მართლაც წარმართადა თქმულიყო ჭაბუკი იგი, უშუალობითა, მიამიტობითა, დამჯერებლობითა, ამტანობითა, თუ გაჯიქდებოდა, გაჯიქებითა, ყოველშემთხვევაში ქრისტიანობისა ვერა გაეგო, სხვა ცივილიზაციისაც ვერა გაეგო, ვთქვათ ინტერნაციონალიზმისა თუ სხვათა მინამგვანთა, ვერა გაეგო, ან არ მიიკარებდა, ყველაფერი თავისთვის იყო, ეს თავისთვისა, ანთუ მომხიბლაობა დაჰკარგოდა ყოველივესა, ვითარცა ლოზუნგებსა, ალუფხულთა წვიმისაგანა, ჩამოფხრეწილთა ქარისაგანა. შეეძლო ამიტომაც გაოცებულიყო პირველყოფილი გაოცებითა, მცირედს წარეტაცა, მითუფრო წარეტაცა დიადსა, ნამდვილ დიადსა, არათუ შერქმეულსა რაღა თქმა უნდა, — შერქმეულს ვერას იგუებდა უშუალობაი, ვერ იგუებდა, ბუნებრიობა ვერ იგუებდა უბუნებოსა, თავისთავადაც ვერ იგუებდა, გარეშე აზრისა, გარეშე ცოდნისა, ჩაგონებისა თუ ამგვარების გარეშე; ერთისიტყვითა, გაოცდებოდა მცირედითაცაო, მითუფრო გაოცდა აღმოჩენითა სამშობლოისა. სკოლაში ამას ვერ აღმოაჩენდა, ცუდად რო სწავლობდა თუ არცა სწავლობდა.

განათუ იმიტომა, — არაო, კარგადაც ესწავლა, ვერ ალმოაჩენდა, მაშინ უფრო ვერ ალმოაჩენდა, ალარ აზეპირებდნენ „სამშობლოს ხევსურისა“, ალარ აუხსნიდნენ „მგზავრის წერილებსა“, „ელგუჯას“ უკულმა განუმარტავდნენ, ყველაფერს უკულმა განუმარტავდნენ, ვერ ალმოაჩენდა, ვერას გაიგებდა, წალმისა ვერ გაეგო, ვერას ჩასწვდებოდა უკულმა ნათქვამისასა. და აკი არც თუ რა გაუგია, ისე იტრიალა, იბორიალა, ისე აწყდებოდა ლობე-ყორესა, ისე მოატანა აქნობამდისა, — მიქელ ბარდაველამდის ისე მოატანა, მოატანა და ერთხანს აქაც ვერ აართვა აზრი თუ რას ამბობდა ეს ფერმკრთალი მოხუცი, თუ რა ალაგზნებდა ისე უეცრადა, სახეს რა აუნთებდა თუ გაუჩირაღდნებდა, რა ჩაუქრობდა აგრეთვე უეცრადა, გადატეტკავდა, გადააფითრებდა? ვერ აართვა აზრი და ვერც გაექცა; ითქმის ელისო იპყრობდაო, მაგრამ არაო, — აქ ჰო მერე შემოდიოდა, დაპყრობის შემდეგა, დაპყრობისაო თუ რალაც ამგვარისა, შემოდიოდა წასვლას რო იყო, მიდიოდა და ვერც მიდიოდა. მაინც ჰო წავიდა!.. შვიდი თვე გასულიყო მას შემდეგა, სიტყვაც მონატრებოდა, — იმ ნატრულობისა ჰო უკვე ითქვა, — მიქელის სიტყვაც მონატრებოდა, სიტყვაი იგი თბილი, მომხიბლავი, მომჯადოები, გადამკარგავი დლესდლეობიდანა, სწორედაც ესაო, ეს მონატრებოდა, გადაკარგულიყო დლესდლეობიდანა, ეგება იმიტომა, კარგი დლე არ ადგა, ველარ გაეტანა თავი, ვერ მორეოდა მრავალ საძნელოსა, ანთუ სირთულესა, უცნაურობასა მრავალსა, უფროდაუფრო რო რთულდებოდა, უცნაურდებოდა უფროდაუფრო, ვერ მორეოდა, ეჩვენებოდა, ვერც მორეოდა, ეჩვენებოდა თუ დაჯერებულიყო, ვერც მოერეოდა, და გადაკარგვა ერჩივნა ამიტომაცა, ფიქრში გადაკარგვა ერჩივნა.

ფიქრი მხოლოდ აქ უხერხდებოდა. სხვაგან ვერადავერააწყო. ფიქრი.

პირდალებული მიაჩერდებოდა მიქელსა, ანთუ ჯერ ისე, ჩვეულებრივ მიაჩერდებოდა, მერედამერე [illegible] პირსა.

ბიბლიოთეკა

მიაჩერდებოდა და მიადევნებდა ფიქრსა.

ოლონდ ესაა, მაინც ბუნდოვანი გახლდა ფიქრი იგი, ფიქრი ლენტოსი, აბურდული, დაულაგებელი, აზრი აზრამდის ვერ დაეტანა, საცოდნელი საცოდნელამდისა, არმაზ-სამთავროსა, თრიალეთის თუ ვანის მონაპოვარი არეოდა ერთმანეთშია, ჰომეროსისა და ქსენოფონტესეულიც არეოდა ერთმანეთშია, ოლონდ დიდად არ დაგიდევდა არცა მთქმელიო, არც გამგონეო, მთქმელი ბრუვდებოდა თავისთვისა, გამგონე თავისთვისა, მაინც ძაფი გაიბმებოდა, ძაფი განცდისა, გალვივდებოდა, გაფუვდებოდა, ავიდოდა, ალიმართებოდა სვეტიცხოველადა, რწმენადა, ალიმართებოდა და საცოდნელიც სხვა რა ყოფილიყო, — ალმართულიყო გაუნელებელ რწმენადა. სწორედაც ასეო, მიქელი ბრძანებდა, საცოდნელი ყოფილა საფუძველი რწმენისა, საცოდნელს ამიტომაც გამოგიცვლიანო, საფუძველი რო გამოგაცალონო, ბრძანებდა მიქელი, უკეთუ მთქმელი ასე იტყოდა, გამგონე მაინც ვერ გაუგებდა, ვერას ჩასწვდებოდა, არც მიეტანებოდა საგულისგულოდა, — რწმენას ჰო ჰპოვებდა, ჰო ალივსებოდა, გადიკარგებოდა გადასაკარგავში, მეტიც ალარა უნდოდა რაო; ხოლო ამასობაში, მტვერსასრუტს თუ ახრიალებდა ელისო, — ეხრიალებინა, თეთრეულს თუ სცვლიდა, — გამოეცვალა, თუ აკუნჭულავებდა მიქელის მაგიდასა, პატარა სუფრის გასაშლელადა,—შეეკუნჭულებინა, ხელს არ შეუშლიდა არცა მთქმელსაო, არცა გამგონესაო, იმ ერთ გამგონესაო, რადგან ელისო არ მოუსმენდა, ვინმე თუ ახლდა, არ მოუსმენდა, თუ არავინ ახლდა, — სხვა რა გზა ჰქონდა, ჩამოუჯდებოდა იქვე, მახლობლადა, მოსმენის თავი მაინც არა ჰქონდა, შიში შეიპყრობდა, დაიტანდა შიში, — მარტოდმარტოდა ჰო ასევე მოუბნობსო,

ვინ უწყის რა ელის, რა ეშველებაო, დაიტანდა ამისი შიში. აქეთ ეს ატეხილი ლაპარაკი, იქით ის განმტკნარება თუ გაოგნება, ეს გადაჩეხვა ნაპირიდან ნაპირამდისა, უკეთუ უნაპირობიდან უნაპირობამდისა, კარგს არას უქადდა. მკურნალებიც ვერას ამბობდნენ საიმედოსა თუ გარკვეულსა, მხოლოდ ესაა, უნიშნავდნენ უახლეს წამლებსა და იმედოვნებდნენ. იმედოვნებაც უახლესად ითქმოდა ცხადია, უძველესი გახლდა, უახლესიც გამოდიოდა, უძველესი და უებრო, უებრო და ამაო ძველადაცა და ახლაცა, — იცოდა ელისომ, ვერ დამშვიდდებოდა იმედოვნებითა, და კვლავაც მოჰყავდა, ვისაც თუ ურჩევდნენ, — მრავალტიტულიანი, მრავალჯილდოიანი პროფესორები, ნამდვილი წევრები თუ წევრკორესპონდენტები, — მოჰყავდა და უსხდნენ, უსხდნენ და ამისი არ იყოს, ლენტოსი არ იყოს, შეჰყურებდნენ ისინიცა პირდაღებულნი, რეებსა ლაპარაკობს ეს კარგამოკეტილი კაციო, — თუ ლაპარაკობდა რაღა თქმა უნდა, ხოლო გათანგულს თუ შეუსწრებდნენ, თავს არაცრაცებდნენ და იმედოვნებდნენ, რა ხნისაო, ამასაც იკითხავდნენ და იმედოვნებდნენ, ვითომ უფრო იმედოვნებდნენ. თავშეკავება შეეძლო ელისოსა, მიაჩერებდა გასამრჯელოსა და მიაცილებდა კარამდისა. მერე სხვა ვინმეს წამოუძღვებოდა, მერე ისევ მიაცილებდა, ოთახში რჩებოდა სიტყვები უამრავი, იმედოვნებისა, ეფინებოდა, როგორცა მტვერი, და სწმენდდა ელისოცა, როგორცა მტვერსა.

მიქელს სახსრების მკურნალები ეგონენ, დაინახავდა და დაიკარწახებდა ფეხებსა.

მუხლებსაც უსინჯავდნენ რაღა თქმა უნდა.

თვალებში ჩაჰყურებდნენ, ჩასციებოდნენ, თვალებს უსინჯავდნენ მომეტებულადა.

ეკითხებოდნენ და ეკითხებოდნენ, ისეთ რამეს ეკითხებოდნენ, ფეხებს რო არ შეეხებოდა, უფრო ჭკუას რომ შეეხებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიქელი მაინც ტლოკეს მიუჯდა, დაბერილ, დაბურცულ, დაფუებულ ფეხებსა, შესჩიოდა, ველარ ვერევიო.

ხან არას შესჩიოდა, არც გაეგებოდა თუ რას ეკითხებოდნენ, თავისას ამბობდა თუ ამოიძახოდა სადღაც ჩაკარგული თუ თავდავიწყებული.

თავიანთსას ამბობდნენ მკურნალებიცა, ერთს მაინც რაღაცა წამოსცდა, თითქოს გარკვეული, შედარებითა რაღა თქმა უნდა, უკიდურესობანი რომა გვგონია, ასე წამოსცდა, ეგება მხოლოდ სხვადასხვანაირი გამოხატულებაა ერთიდაიგივე თავდავიწყებისაო, და თუ გამოვიხსნით ამისაგანო — თავდავიწყებისგან თუ გამოვიხსნით, ეგება მყისვე გაჯანსაღდესო. ელისოც ჩაეჭიდა ამა ნათქვამსა, უაზროსაო თუ აზრიანსაო, ამას ნუ იკითხავ, საკითხავი მხოლოდ ისაა, თუ რად უნდა ამოეგდო კაცი თავდავიწყების საბუდარიდანა, რად უნდა წაერთმია წუთი ბედნიერებისა, რა ვუყოთ თუ მოჩვენებითი ბედნიერებისაო, რა ვუყოთ მერეო, მართალი ბედნიერება სად გაგონილაო. მაინც აღარც აცდიდნენ, რამეზე ეფიქრა ელისოსა, რამდენჯერაც თუ მიბრუნდებოდა მამასთანა, იმდენი კარი დახვდებოდა შემტვრეული, იმდენი კედელი შენგრეული, იმდენი ტიხრი თუ ამონაშენი და ველარ გაეგო, საით თუ გავიდა, საიდანღა დაბრუნებულიყო. ნათქვამია და მწარე ნათქვამია, უპატრონო ეკლესიას ეშმაკები შეესიენო, ეგრე შეესივნენ, შეესივნენ და ეუფლებოდნენ თანდათანობითა, არც ცოდო-ბრალიო, არც სირცხვილიო, ხეირობდნენ ადამიანის ავადმყოფობითა, დამშვიდებული ნამუსითა ხეირობდნენ. მიქელი რაღაო ვითომდა აქ არაფერიაო, ყურსაც არ იბერტყავდა, თვალის გახელაც არ უნდოდა, თუ გაახელდა, დახამხამება აღარ უნდოდა, საღერღელი თუ აეშლებოდა, ჰყვებოდა და ჰყვებოდა, ვთქვათ ლაშქრობასა ათიათასიანელთა, ჰხატავდა და ჰხატავდა, ვთქვათ, უძველეს ქართულ

აყვავებულ ქალაქებსა, — უყვებოდა და უხატავდა თვით იმა შემოსეულთაცა, სულერთი იყო ვის უყვებოდა. ისინი ქირქილებდნენ, ქირქილებდნენ და იტაცებდნენ, ერთმანეთსაც ედავებოდნენ, არა, შენ მეტი მიიტაცე, არა, შენო, მოუვლიდნენ იმ სადაოსაცა, მოუვლიდნენ და ქირქილებდნენ, არად აგდებდნენ აღშფოთებასა ელისოსი, — სადთუ მიმართავდა, იმათი საჩივარიც იქ დახვდებოდა, გათხოვილი და წასული, აქ რაღა უნდა, რა ესაქმებაო. შეპასუხება გაძნელებულიყო, მითუფრო მიქელი თავისას არ იშლიდა, ქაქანებდა თუ ფიქრებში ჩაიკარგებოდა, ეძიებდა და ეძიებდა თუ რომელი იყო ქართული ლაშქარი ტროის მოალყეთა შორისა, ტროის გმირთაგან რომლის ძარღვებში ქოთქოთებდა ქართული სისხლი, ქართველები თუ რად იკლავდნენ თავსა ბერძენთა გულისთვისა, სპარსელთა გულისთვის რაღად იხოცებოდნენ, ქსერქსეს ლაშქარში რომელნიღა იყვნენ ქართველნი, — ეძიებდა და ეძიებდა, ჭირსაც წაელო სამზარეულო თუ აივანიო, საპირფარეშოც ჭირსაც წაელო, ოღონდ მაგიდა შეენარჩუნებინათ, წიგნები, რუკები შეენარჩუნებინათ, ის კედლები შეენარჩუნებინათ, რუკები რო ეკიდა, მაგრამ ვთქვათ აღარაო, ისიც რო აღარ შეენარჩუნებინათ? ამდენის თავი აღარა ჰქონდა, რახან ჯერ მაგიდა არ დაეძრათ, არცა წიგნები, არცა რუკები, წინ გახედვა აღარც შეეძლო, ეძიებდა და ეძიებდა უუუძვირფასესსა, უუუუუძველესსა და საამაყოსა...

ეძიებდა და ეძიებდა, ქაქანებდა და ქაქანებდა.

არწმუნებდა და აზრი არა ჰქონდა დარწმუნებასა, რო არავის არაფერი ეკითხებოდა.

შვილი რა არის, შემოსწყრებოდა შვილიცა, რად არ აღშფოთდები, რას უთმობ და რას ეძიებო.

კიდევ ამასაც გაუბედავდა შვილი, — ვისაცთუ აღშფოთება აღარ შეუძლიან, ანთუ ისე გაბრიყვებულა, ვეღარ მიმხვდარა თუ როდის აღშფოთდე[illegible] არსებობს ამა ქვეყნად[illegible]

არცთუ შეედავებოდ[illegible] დაამოშმინებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი თვითონვე უნდა მორეოდა თავსა.

იმ კვირას ჰო კარიც მიაგდო, ვეღარ მიაკითხა.

სხვა არც არავინ მიაკითხავდა.

და ვითომ ესეც არაფერიაო, შიშშილობაც შეეძლო მიქელსა, — წიგნებში მჯდარიყო, რუკებში მჯდარიყო, შიმშილობასაც გადაიტანდა, ვეღარც ძილისას გაიგებდა ხოლმე, თუ მიართმევდნენ სამაძღროსა რაღა თქმა უნდა.

და ისევ ელისოს მიერთმია ცხადია, გემრიელი კერძები შეერჩია, სიბრალულისადაცა, შეგვიანებისა გამოსყიდვისადაცა, ისეთი კერძები, მიქელი რო ეტანებოდა ოდესღაცა, ჰო ოდესღაცაო, თორემ კარგახანია აღარას დაგიდევდა, ერთნაირადა ნთქავდა ყველაფერსა. სტუმარს არ აცდიდა, არცა სთავაზობდა, წინანდლური მაინც გაახსენდა, ელისოსავე მიერთმია საახალწლოდა, ახლაღა გაახსენდა, გაახსენდა და სვამდა სიამითა, ლეჰავდა სიამითა; სიამე იგი მადლობისად გამოხატულიყო, მადლობისად შვილისა, ვისი ხელისშემყურეც გამხდარიყო, ვის ხელსაცა ლოცავდა, ახრამუნებდა და ლოცავდა, ლეჰავდა და ლოცავდა, კრუტუნებდა და ლოცავდა, მოიკითხავდა შვილიშვილსა რაღა თქმა უნდა, სიძესაცა, მძახლებსაცა, მოიკითხავდა და იფშვნეტდა ხელებსა, ახალ კერძს რო გადასწვდომოდა. გადასწვდებოდა და ეგება იქვე დაჰხვედროდა მეორე ხელიცა, — მეორეც ჰო უჯდა მაგიდასა, ორივე რო ცალკუნჭულს მოსჯდომოდა. ანთუ ორივე რო ერთნაირად გადაჰფაფროდა, ერთნაირადა ნთქავდა ორივე, გეგონებოდა, შეჯიბრებულანო. ცქეროდა ჰლიოდა!.. და შესცქეროდა ელისოცა, უცნაური თუ გაურკვეველი განცდით შესცქეროდა, — ვითარცა შორეულსა, ვითარცა ეკრანსა, რო აღარც ახსოვდა თუ რა კადრს გადაევლო ამის წინა.

ალბათ ალარც იმით ახსოვდათ, იმა მადიან პურიმჭამლებსა, ნაქავდნენ და შაინოქუმულიყვნენ. ალარ ახსოვდათ რაღა თქმა უნდა, როცა იქნებოდა სულს მოითქვამდნენ. — და ჯერ ლენტომ მოითქვა სული, ცოტა არ იყოს მუქარითა თუ ტრაბახით გამოსთქვა:

— ავფიცრავ!.. — მადლიერების გრძნობაც მიატანა ცოტაოდნავა.

— აფიცრავ?! — გაიკვირვა ელისომა, არც მოელოდა, ალარც არაფერი უნდოდა ამისი.

— ავფიცრავ ... — ისევე გაიმეორა ლენტომა.

— ფიცარი?.. — თითქოს დაბრკოლება ეძებდა ელისო.

— მოვიტან...

— საიდანა?!

— ეგ მე ვიცი.

— არა ... — თითქოს შეაყრიალა ქალსა, შეაყრიალა და ისე ეურჩა, — არა! იყოს... ხელოსანს მოვძებნი.

— ავფიცრავმეთქი, — უფრო მკვეთრად გამოსთქვა ლენტომა, და ესეც მოადევნა ასევე მკვეთრადა, — და დედიმისის შვილი იქნება ვინც კიდევ მიაკარებს თითსა!..

მიქელი მაინც არ ჩაერეოდა, ჯერ ისედაც არას იკითხავდა კედელ-კუთხისასა, მითუფრო შემთვრალი, არც დაახანებდა, გადაეჭრებოდა ცდუნებულ მეფეებსა, ედავებოდა, მკაცრად განჯიდა, აქედან ასწავლიდა თუ რა გზა აერჩიათ, რა სჯობდა თუ როგორა სჯობდა, ასწავლიდა და გადასძახოდა ზოგჯერ ისე მჭექარედაცა, ფანჯრები ზრიალებდა, მაგრამ არაო, მაინც ველარას გაიგონებდა აქედან იქა. დაყრუებულიყვნენ საუკუნენი, ცდუნებულნი ცდუნებულიყვნენ. მარცხიანნი დამარცხებულიყვნენ... ვერ შერიგებოდა, ბობოქრობდა მიქელი, ლენტოს აქეზებდა, აიყოლიებდა, ანთუ ვერც ეგრე ადვილად აიყოლიებდა.

### IV

„ვიცნი საქმენნი შენნი, რამეთუ არცა გრილი ხარ, არცა ტფილი. ჯერიყო, რაითამცა ანუ გრილი იყავ, ანუ ტფილი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთად გამოვიდნენ, ერთი გზა არა ჰქონდათ.

ლენტო ნაძალადევისაკენ უნდა წასულიყო, ელისო — ორბელიანთი უბნისაკენა.

მაინც ერთად იარეს, იარეს უბრადა, ჩიხი თუ ქუჩა, მოედანი, ორივე ხიდი გადაიარეს, მტკვარში ალანძულ ძეგლსაც გასცდნენ. რაღა თქმა უნდა, კრინტი არ დაუძრავთ.

ქალს უნდოდა, მალე გასცლოდა.

ვაჟი ფეხს ითრევდა.

— თუ არ დაიშლი, — ისევ ქალმა თქვა, — აფიცვრისას გეუბნები... სულერთია, იმედი მაინც ნუ გექნება.

— არ მექნება.

— ბარემ დაიშალე!

— არ დავიშლი!..

— იმედი მაინც ნუ გექნებამეთქი.

— არ მექნებამეთქი.

— მაშ რაღა გინდა?!

— არაფერი!.. ვთქვი და...

— მამაჩემს არც გაუგონია, არც უნდა, მეც უარს მოგახსენებ.

— მე ვთქვი და...

— ისეთი რა თქვი?!

— რაცა!.. სიტყვას ვერ გავტეხავ.

— ვერც მე...

— გავიგე.

— არა, ჯერ არ გაგიგია... ქმარი მეყოლება.

— ქმარი გყავს.

— ის... ის არა...

— აბა?.. ჩემი მაგიერი?..

— ნამდვილი ქმარი...

— ახ!.. მაგრამ ბედედი?!

— იმას ერთი ხელი სამისი მაინცა აქვს.

— ცოტაც მოგეცადა.

— ვითომ რადღა?

— უფრო შეძლებულიც შეგხვდებოდა.

— ნუ სულელობ!..

— ბევრი მისულელნია.

— ჰოდა გეყოფა!

— ჩემს ნებისად რო იყოს...

— იყოს, გეყოფა. რაც იყო, იყო, დაივიწყებ, კარგი იქნება, არა და, რას იზამ, ცუდად მაინც ნუ მომიგონებ, ვითომც ჩემს სასაფლაოსთანა დგახარ.

— არა, სასაფლაოსთან არა ვდგავარ.

— ვითომამეთქი.

— არა, და...

— ნუ!.. მშვიდობით!

— მოიცა...

ოღონდ არათ, ადგილიდან მოწყდა ელისო, ფეხის ხმამ გაპო ქუჩაი დაყურსული, გაიბა, გაიბაწრა, მერე ტრამვაის ხრიგინი წაეკეცა და ჩაიყლაპა ჩქამიცა, ქალიცა, ვინ უწყის სამუდამოდაც ჩაიყლაპაო. და რაღაცა ჩასწყდა ლენტოსა, რაღაცა დაეწვა, ისე დაეწვა, ხელი წაატანა, ოღონდ ვერ მიაგნო, ისე ბრუნავდა, ისე მონაცვლეობდა გულგვამშია, — ვერა, ვერ მიაგნო, ვერ დაიყუჩა. ასეთ დროს ცრემლიც ჩამოიფრქვევაო, გულქვაც რო იყოს, გული მაინც მოეწურებაო, ცრემლი შვებაა და ამიტომაც მოეწურებაო, — მაგრამ არაო, ლენტო შვებას არ ეძიებდა და იდგა ეგრედვე გულდამწვარი თუ გულჩაწყვეტილი, იდგა ყაბახზედა, — ვინ უწყის თუ რაოდენი გულდაწყვეტილის ნაადგილარზე იდგა ისიცა. თუმცა პო იქ აღარ გახლდა მოედანი, ყაბახი აღარ ერქვა დიდიხანია, ბაღიღა გახლდა, ანთუ პარკი, სახელიც შესცვლოდა ბევრჯერ თუ ბევრნაირადა, ოღონდ რაც იყო თუ როგორც იყოო, გულდამწვრობა თუ ჩათუთქულობა ისევ ყაბახს უფრო შეეფერებოდა, რომანტიკოსების ყაბახსა. სარაინდოც ისა ყოფილა, საკაეშნოცა, ადგილი იგი სიკისკასისა, სიმარდისა, ვაჟკაცობისა, ადგილი იგი საზეიმო და საჯიროთო, საასპარეზო, სასეირნოცა, გუნდთა და გუნდთა ყმაწვილ-ქალთა და ყმაწვილ-კაცთა, სასეირნო და საამიკო რაღა თქმა უნდა, გაჩაღებული მთვარის შუქითა, გალაღებული კოჯრის ნიავითა, გალაღებული, აცელქებული, — კაბის ბოლოსაც ჩამოუქროლებდა კოჯრის ნიავი, აშლიდა ბოლოსა, მიმოურევდა, გამოაჩენდა ბუდეშურ ფეფთა და გრძნობათა[illegible] აშლიდა. შედარება ბარათაშვი[illegible]ს მერე, პოეზიას თუ გამოუ[illegible], დღევანდელ ლექსებსაც თუ გადაშლი, ბარძაყიც გაშიშვლდა, ოღონდ იმ გრძნობათა ველარ აშლისო. ის შედარება მაინც ბარათაშვილისა გახლავს, ყაბახიც იმისა, ანთუ ყაფლანისაა, ორბელიანისა, ურომლისოდაც მოიწყენდა ყაბახი, მოიწყენდნენ გუნდნი ქალთა, მოიწყენდნენ და აფოფინდებოდნენ გამოჩნდებოდა თუ არა ყაფლანი, აფოფინდებოდნენ და გარსმოეხვეოდნენ, გარსმოეხვეოდნენ და ენუკვოდნენ, ემღერა რამე, და: „ყაფლანიც, სულდგმული აშიკობით, დაიღიღინებს გულის საკლავად და თან და თან ყელს მოიღერებს. ვის არ სმენია ლექსი ესე, რომ მყის სევდები არა აშლოდეს...“ ასე ყოფილა ღამე ყაბახზედა, ყაფლანის ყაბახზედა, მერე სხვისაო, მერე სხვისაო, სხვისა და სხვისაო, ყველა წასულა, ყველა გადამქრალა, ახლა ეს შემდგარა გულდაწყვეტილი.

ოღონდ რაო, —

არცა თუ მთვარეო,

არცა თუ ნიავი კოჯრისაო,

არცა ღიღინით გულსაკლავი თუ სახალისოო, —

„სვებედი“ მაინც იგივე ყოფილა.

ეს ყველაფერი მიქელ ბარდაველისაგან გაეგონა ლენტოსა, — ყაბახიცაო, ნიკოლოზ ბარათაშვილიცაო, ყაფლანიცაო, ორბელიანებისა. და სხვანიცა ორბელიანნი, ერისთავნი, დოდაშვილიცა თუ ფილადელფოს კიკნაძეცა, გაეგონა და ბუნდად გაეგო, ასევე ბუნდად წამოუჩქეფდებოდა თუ რამ გაეგო, მოედებოდა, აიტანდა, — იმათებრ ვერა რაღა თქმა უნდა, ამასაც სევდად მოედებოდა, — იმათებრ ვერა რაღა თქმა უნდა. სხვა ყოფილა რთული ხასიათი, მარტივი ხასიათი სხვა ყოფილა, ოღონდ თუ სევდა შემოსევვია, დაუჩაგრია ერთნაირადა. ეს სევდისაო. ოღონდ თუ მაინც ვინმეს უნდა მიმგვანებოდა ბედისწერა ლენტოსი, ეგება უფრო ჯორჯიაშვილისას მიმგვანებოდა. მითუფრო.

— იქ იდგა, იქით ავიდა, აჰყვა ქუჩას ჯორჯიაშვილისა, იდგა, იდგა და მერე აჰყვა. ისიც ასევე ყმაწვილ-კაცი ყოფილა, ისიც ასევე შემოჰკედლებია ქალაქსა, დიდი იმედით შემოჰკედლებია, თავს რო დაირჩენდა, იმხელა იმედითა. და ერთ დღეს დამსხვრევია იმედი იგი: ავი მმართველი დაუგორებიათ იმა თავდაღმართზედა, გრიაზნოვის ჯილაგისა ყოფილა, აუწევიათ და დაუგორებიათ, ყუმბარა შეუგდიათ ეტლის ქვეშა, ეგრე აუწევიათ, ეგრე დაუგორებიათ, დაუგორებიათ და გამსხლტარან, მიმალულან; მდევარსაც თავი გამოუდვია რაღა თქმა უნდა, ამას წასწყდომია, ამა ალალსა, პირლია ბიჭსა, წასწყდომია და აუკიდნია სარჩოლელაზედა. ასე დაფუშხვნილა იმედი იგი ქალაქს გადმოვარდნილი სოფლელი ბიჭისა, იმედი დაფუშხვნილა, გვარი მაინც შემორჩენილა ქუჩის სახელადა, აღმართის სახელადა, უკეთუ დაღმართისა, — გააჩნია თუ საით დადგები, საით ახვალ თუ საით ჩამოხვალ, — ეს აღმართს აჰყვა, ლენტოზე ვამბობ რაღა თქმა უნდა, აჰყვა და ავიდოდა გამზირზედა რუსთაველისა, მერე იქ რამეში ჩაჯდებოდა, ტროლეიბუსი იქნებოდა თუ ავტობუსი იქნებოდა, სულერთია მიატანდა რკინიგზის სადგურამდისა, იქ ხიდს გადასჭრიდა, ნაძალადევის მთას ავიდოდა ხვეული თუ დაგრეხილი ქუჩებითა, რა ვუყოთ მერეო, თუნდაც თვალდახუჭულსაც მიაგნებდა ულიმლამო თუ უბადრუკ ბინასა, ისე უბადრუკსა თუ ისე პატარასა, ოთხი ტახტით რო ამოჭედილიყო. სამს ალბათ უკვე რო ჩასძინებოდა სამ ტახტზედა, — ერთსა დაიკოსა, ორსაცა ძმასა, — მეოთხეზედაც ეს მიეგდებოდა ჩუმადა, უთქმელადა, ემანდ რომელიმემ არ გაიღვიძოს, ანთუ სამივემ არ გაიღვიძოს, ემანდ არაფერი შემომჩივლონო.

ჯერ აღმართს აჰყვა.

ის აღმართიც მიყრუებულიყო.

თუმცა არც ისე მიყრუებულიყო, ხანდახან მანქანა ჩაიქროლებდა.

ამას არაფერი გაეგებოდა, ეს მიყრუებულიყო თუ გამოყრუებულიყო.

ადამიანები თუ [illegible] სიყრუიდანა თუ ჩაკარგულობიდანა, მაგრამ არაო, ადამიანი არსაით მოსჩანდა, არცა ამჩატებული თავდაღმართზედა, არცა დამძიმებული აღმართზედა, არცა ხორხორობდნენ კინო „თბილისთანა", — იქავე, გამზირის მისაბჯენთანა, — ბოლო სეანსიც თუ გამოსულიყო.

სახინკლე „თბილისს" მაინც შერჩენოდნენ, იქავე, გამზირის მისაბჯენთანა.

სახინკლე თბილისსაო.

შერჩენოდნენ და ამოტივტივდებოდა ქოჩორი თუ მელოტი თავი, გადაკეცილი თუ ჩამოწეწილი თმაი, ანთუ ჯერ თავი ამოტივტივდებოდა, ამოჰყვებოდა ტანიცა ცხადია, ამოსხეპილი ანთუ ზორზოხა ტანი, ანთუ ჩაგვერაი, ან ჩასლუტული, დაგვალული თუ გაჯგიმული, მუცელგადმოვარდნილი, ჩამრგვალებული თუ გამოყვანილი წელშია, მრავალგვარი, მრავალნაირი: ეს ქვევიდანა, ქვევიდან თუ მოტივტივებდნენ, ახლა ზევიდან აღარ იკითხავ? ზევიდან ჰო იძირებოდნენ, ჩადიოდნენ, ჩაყურყუმელავდებოდნენ, ჯერ ტატყი ფეხი ჩაიძირებოდა, ტატყი თუ მოყვანილი, სულერთიაო, ჯერ ფეხები ჩაიძირებოდა, მერე მუცელი, ოდნავ წამოზრდილი თუ გადმოვარდნილი, როგორიც გახლდა, თავიც ჩაჰყვებოდა, როგორიც გახლდა აგრეთვე თავიცა, აქედან ჩაჰყვებოდა თუ ამოჰყვებოდა იქიდანაცა. იქით დინება სხვაგვარი გახლდა, ეს იქითაო — კაფესაო, რესტორანსაო თუ სასტუმროშიო, იქით პირდაპირ შეალაჯებდნენ, გამოალაჯებდნენ გამომლაჯებელნიცა ეგრეთვე პირდაპირა, აქეთ სხვა იყო, — იძირებოდნენ, იძირებოდნენ თვალდათვალა; ალბათ იქითაც იძირებოდნენ, ალბათ სხვაგანაც იძირებოდნენ, ოღონდ არა სჩანდა ასე თვალდათვალა, ასე ნათლადა, კანთიელადა. ერთხელ ამასაც უქროდა ქარი, ლენტოსას ვამბობ რაღა თქმა უნდა, ერთხელ ესეც ჩაძირულიყო, არცა ნანობ-

და, არც სიამაყით მოიგონებდა, რაც უნდა ყოფილიყო, ახლა მაინც ვერ ჩაიძირებოდა, აღარცა სურდა, აღარცა... ათი შაური ედო ჯიბეში ერთისიტყვითა, ეს მაშინაო, გაზეთი რო აბაზი ღირდა, ბევრიცა სდებოდა, ორხადა ჰყროდა, — აღარ უნდოდა, აღარა სურდა, არცთუ ესაო, არცთუ სხვა რამეო, მინამგვანიო თუ არცთუ მინამგვანიო, აღარა სურდა აღარაფერი.

იქ მაინც აღარ ესაქმებოდა.

ათავდებოდა ის აღმართიცა.

გამზირზე გავიდოდა, ანთუ დაერჭობოდა სამხატვრო გალერეასთანა.

იქ დაელოდებოდა, ანთუ კიდევაც მიუსწრებდა ტროლეიბუსსაო თუ ავტობუსსაო, სულერთი იყო და არც იყო სულერთიო.

ათი შაური ედო ჯიბეშიო, არა?

ეყოფოდა ავტობუსისათვისაცა, ოღონდ ტროლეიბუსი ერჩივნა მაინცა, ორი აბაზი ღირდა ბილეთი ტროლეიბუსისა, ათკაპიკიანი უნდა მოენარჩუნებინა, უნდა დაერეკა.

უნდა დაერეკა დილასაქეთია, ბოდიში უნდა მოეხადა, ველარ მოვალო, უნდა დაერეკა დილასაქეთია, ვერ დაერეკა და ველარც დარეკავდა, — დაგვიანებულიყო; ჯანდაბას თუ დაგვიანებულიყო, ხვალ დარეკავდა, ხვალაც ამ თვისაა, იტყვიან ხოლმე დაუნანებლადა, ოღონდ ამან აღარ იცოდა, ხვალაც იმ თვისა იქნებოდა თუ არა, — თებერვალი მიწურვილიყო, მიწურვილიყო თუ გათავებულიყო? სათვალავი აღარა ჰქონდა, მაინც ხვალაო, მაინც უნდა მოენარჩუნებინა ათკაპიკიანი. ერთი დარეკვა ათ კაპიკადა ფასობდა, ასანთის ფასიც ეგევე გახლდა, ასანთი და ერთი დარეკვა გათანაბრებულიყო. როდისაო თუ როგორაო? — ვილა გაარკვევდა, ანთუ ვილას ეკითხებოდა? ერთ ძველ თბილისელს ამნაირად წაუწერია საფლავის ქვაზედა: კაპიკად ასი კვერცხი მიყიდია და ცოლშვილი ისე შემინახიაო, ვინც ამის შემდეგ გაიტანოს თავი, ვაჟკაცობაც იმან დაიტრაბახოსო, — თარიღი არ დაუჭდევია არცა ქორონიკონითა, არცა ანბანის სათვალავითა, ვილა გაარკვევდა, ვილას ეკითხებოდა თავისა?

ბიბლიოთეკა

ეს მაინც არ გაიცხელებდა.

აჰა, აათავებდა გამზირსა.

აათავა და კიდეც გადმოადგა გუნდი ყმაწვილ-კაცთა, შემოეფეთნენ, თითქოს მოსდევდნენ და წინ უყელესო. ერთმა იმათგანმა იცნო, არც აცივა და არც აცხელა, ხელი წაავლო, ჩაეჭიდა და წარიტაცა. გუნდმა აიხვია, გუნდამ აიკრა, დაგორდა და დააგორა, ჩაყურყუმელდა და ჩააყურყუმელა, ჩაიძირა და ჩაიტანა თანა, სახინკლე „თბილისში" ჩაიტანა, შემოერტყა და შემოაკრა აყალყულ მაგიდასა, ისე აყალყულსა, ისე ზომიერადა, შემოდგამ თუ არა ლუდის კათხასა, არცთუ ხელის მიშველება გინდა, არცთუ დაყუდება გინდა, გაიშვერ ტუჩებსა და მოწრუპავ ისევე; ჰოდა ჩაიტანა იმა გუნდმაო, ოღონდ არცთუ გაჰკვირვებია, არცთუ უარი წამოსცდენია, არც მონდომებია, არცთუ ფიქრად ამობლანდვია, ვინ არიან თუ ვისთან მოვხვდიო. იმ ერთს ჰო იცნობდა, ვინც ხელი წაატანა? ანთუ იცნობდაო, რა სათქმელია, თუ იყო, ის იყო, მხოლოდ იმა ერთს მისთვისებოდა იმხელა ქალაქშია, იმ ერთს ასდევდა და აჰყვა მაშინაცა, როცა აღარაფერი ეკითხებოდა, არაფერი ენაღვლებოდა თუ არ გაეგებოდა არაფერი, აჰყვა და ჩაჰყვა, დააყენეს და იდგა უძრავადა, ფეხმოუცვლელადა. სხვები წვალობდნენ, მიძვრებოდნენ გამოჭედილ მაგიდათა შორისა, იქაურ სმა-ჭამას დარქმეოდა თვითმომსახურეობა და მიძვრებოდნენ, მიიჭედებოდნენ, იწელებოდნენ, იწვდენდნენ ხელთა, თვითმსახურობდნენ ერთისიტყვითა. ეს არაო, ფეხს არ ადგამდა, თითქოს მიაკრეს იმა აყუყულ მაგიდასაო, მიაკრეს და იდგა ისიცა, მაღალი, აწოწილი, გადასცქეროდა აყუყულ მაგიდასა. მიჰქონდათ სხვებსა ქაბაბი თუ ხინკალი, კათხები ლუდისა, აქაფებული ლუდისა, კონიაკიც მიჰქონდა, ამაყად მიჰქონდა ერთსა იმათგანსა, მაღლა აეწია დრო-

შასაითა, მიჰქონდა და მიაფრიალებდა. იყო ფრიალი, გადაძახილი: ე ბიჭო, ჭიქაო, ე ბიჭო წიწაკაო, ლუდიო, ხინკალიო, გადაძახილი ამათიცა, სხვათაცა, ნემსი არსად ჩავარდებოდაო, და იყო წრიალი, ბრუნვა, ტრიალი ერთობლივი და განუწყვეტელი, ეს მაინც ერჭო ჩაკირულივითა, ერჭო და ზედ გადასდიოდა მორევი სახინკლე თბილისისა, აქაფებული კათხები გადასდიოდა ზედა; არცთუ იძვროდა, არცთუ თითი დაუკარებია რაიმესათვისა, არც კრინტი დაუძრავს, არც იქ უნდოდა, ვერცთუ წასვლა მოეფიქრებინა, სხვა რა უნდოდა, — არც ის იცოდა, რა ექნა, რა ელონა, — არაფერი გაეგებოდა, ნდომა დაჰკარგოდა, წასვლოდა სურვილი.

თითქოს იმათაც აღარ ახსოვდათ.

აღარ ახსოვდათ თუ ვინ წამოიღეს, ვინ ჩამოიტანეს.

მოდიოდნენ სიტყვის ქარბუქითა, ვინთუ აიდევნეს, აღარ არჩევდნენ.

მოდიოდნენ სიტყვის ქარბუქითა და ქარბუქიც ჩაიტანეს ისედაც სიტყვით გატენილ სარდაფშია.

მაინც თავიანთი ქარბუქი შემოიტყუს, მაინც მიიწევდნენ ერთმანეთზედა, მიიწევდნენ და ეხლებოდნენ აყუყულ მაგიდასა, მხრებითა თუ მკერდით აწყდებოდნენ, იქნევდნენ მუშტებსა თუ გაფარჩხულ თითებსა, ვისაც თუ როგორა სჩვეოდა გახურებული კამათის დროსა. ვიღაცას ხინკალიც შესციებოდა ხელშია, მიიწევდა იმა გაციებული ხინკალითა, ვიღაცას ჭიქა შემოფშხვნოდა ხელშია, მიიწევდა გასისხლიანებული ხელითა, ქაღალდის ხელსაწმენდსაც მოიშველიებდა, მოიმწყვევდა მუშტშია, სრესდა და სრესდა, მოისვროდა მერე სისხლიანსა, კალათში ისროდა, სადაცა ცვივოდა ჭიპები ხინკლისა; ვიღაცას არცთუ მოესვა ლუდი, ისე დააქანებდა კათხასა, ისეც დაეცალა, მოეწუწა იქაობაი, ესეც ვითომ არაფერიო, სახელდახელოდა სწმენდდნენ ნაწუწსა თუ იფერთხავდნენ მხრებიდანა და ბრუნავდნენ ქარბუქში სიტყვისა, გაღწევაც უნდოდათ და ვერც შელეოდნენ. [illegible] ნა თმობდა, რა ჩაგდებ[illegible] ქსა, ანთუ ვის დაეთმ[illegible] ვნენ, ამოისროდნენ დაბნეულ სიტყვებსა, გაჯიქებულიყვნენ დაბნეულობითა, თანხმობა აღარ გამოვიდოდა, არ ჩადგებოდა ქარიშხალი იგი, ქარბუქი იგი, არ ჩადგებოდა, ქუჩიდან თუ შემოჭრილიყო სახინკლეშია, მერე ისევ გაიჭრებოდა ქუჩაშივე, გავარდებოდა, მოითარეშებდა ცარიელ ქუჩებსა, ანთუ ვინმენი შეეფეთებოდნენ, ისეთივენი იქნებოდნენ, ისევე დაბნეულნი თუ აღელვებულნი და აჰყვებოდნენ ისინიცა დაუფიქრებლადა, — მშრალად რო ჩაევლო ოცდაერთ დეკემბერსა, ცივად რო ჩაევლო, ამაზე აჰყვებოდნენ დაუფიქრებლადა, ამაზე დაობდნენ, ამყოლნიც ამაზე აჰყვებოდნენ რაღა თქმა უნდა. ცივადაც ჩაივლიდა ცივი დეკემბერი, მაშ რაო, — ოღონდ, ჰო ოღონდ, რაც თავი ახსოვდათ, სხვაგვარად ახსოვდათ, სხვანაირად ახსოვდათ, დღესასწაულად ახსოვდათ ერთისიტყვითა, და გამქრალიყო დღესასწაული იგი, დაედგინათ და გამქრალიყო, რაც თავი ახსოვდათ, დადგენილების მორჩილებაც ახსოვდათ, მაგრამ ამას ვერა, ველარ დამორჩილებოდნენ ეგრე ადვილადა, სხვა რამ გამოდიოდა, სხვაგვარად უნდა გადაბრუნებოდათ ტვინი და ვერც გადაბრუნებოდათ ეგრე ადვილადა: ბრძენი გახლავთო, შთააგონებდნენ, რაც თავი ახსოვდათ, და უცებ დაუდგინეს, უვიცი იყოო, ადამიანის სიკეთისად მოვლენილაო, ჩასძახოდნენ, რაც თავი ახსოვდათ, და უცებ დაუდგინეს, მკვლელი იყოო, ღმერთი არ არისო, უჩიჩინებდნენ, ოღონდ ეს მაინც ღმერთი გახლავთო, და უცებ დაუდგინეს, სატანა იყოო, — დაუდგინეს და უნდა გადატრიალებულიყო ტვინი, მაშინვე, მყისვე, დაუდგინეს თუ არა, მაგრამ ვერაო, ვერ გადატრიალებულიყო ეგრე ადვილადა და ამაზე დავობდნენ, ამაზე შესჯავახებოდნენ ერთმანეთსა ანუ ამისი ქარბუქი იდგა, ანთუ ასე ადუღებულიყო ტვინი ანუ ადუღებულიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამათი მაგიდის ირგვლივაცა, იქითაცა, იქითაცა, იქითაცა, ასევე ადუღებულიყო და ბრუნავდა, ტრიალებდა, ქოთქოთებდა სახინკლე „თბილისი"; ან არცა დავობდნენ, იგივეს ამბობდნენ და ყელში სწვდებოდნენ ერთმანეთსა, ეს როგორაო, რანაირადო, მართლაც ვერ გაეგოთ, ხეირიანად არ ჩაეხედათ ისტორიაში და ვერც გაეგოთ, არ ჩაეხედათ თუ არ ჩაეხედინებინათ, ანთუ აეხსნათ სხვანაირადა: ის სხვა იყოო, ჩვენ სხვანი ვართო, — ჰოდა დავობდნენ, იგივეს ამბობდნენ და მაინცა დავობდნენ, ლამის თვალებში ატაკებდნენ გაფარჩხულ თითებსა. თუმცა არაო, განსხვავებულიც გამოსდიოდათ: ცოცხლობდაო და დღესასწაულობდნენ შობის დღესაო, მიიცვალა და იდღესასწაულებენ დღესა მიცვალებისა, ეგრეცა ყოფილა, ვინცთუ წასულა, ერთი დღეღა შერჩენიაო. ქრისტეს თუ ორი აქვსო? სად ქრისტეო და სად... ამაზეც შეჰხლოდნენ, შესჯავახებოდნენ ერთიმეორესა. და ჰოჩაევლო, ცივად ჩაევლო ოცდაერთ დეკემბერსა, ცივადა, მშრალადა, აჰა დგებოდა მარტის დღეებიცა, მიწურულიყო თებერვალი, აჰა დგებოდა მარტის იდები, და რადიოც გაქვავებულიყო, ტელევიზორიცა, გამშრალიყო გაზეთებიცა, ოღონდ განა თუ სუმთლად გამშრალიყო, — რა სათქმელია, გაიძახოდა რადიოცა, ტელევიზორიცა, დაფრიალებდა გაზეთებიცა, განურჩეველი გაზეთები, უთვალავი და ერთნაირი, დაფრიალებდა დაუბრკოლებლადა რაღა თქმა უნდა, დაფრიალებდა დაგრიალებდა, მხოლოდ საამისოდ გაქვავებულიყო, გამშრალიყო საამისოდა, იყო და არა იყო რაო, ვითარცა ყველასა, ასევე მოსწყენოდა ამასაცა, უკვდავი რო ეგონათ, ასევე მოსწყენოდა, მაგრამ მაინც თუ მოიგონებდნენ, მოიგონებდნენ მხოლოდ აუგადა, სხვა რამ სიკეთისა არ დასცდებოდა ახალ მოთავესა, ანთუ მემკვიდრესა, არც სიკეთისა დასცდებოდა და არც მოისაკლისებდა ტაშის დამკვრელთა, არა, არაო, რა სათქმელია!.. და უკრავდნენ და უკრავდნენ ტაშსა, ჰერი იქცეოდა, მთელი ჰერი, ამაღლებული საგანგებოდ, [illegible] და ახლაცაო: ღმერთი არისო, და იქცეოდა ჰერი, სატანა იყოო, და იქცეოდა ჰერი ტაშითა, იმავე ტაშითა, იმათივე ტაშითა, იგივე ჰერი ამაღლებული, ატანილი საგანგებოდა. თითქოს იქცეოდაო თუ ლამის იქცეოდაო რაღა თქმა უნდა. იქ ისე ერთობლივი ტაში მქუხარებდა, აქ შებმულიყვნენ სახინკლე „თბილისშია", შეჯავახებულიყვნენ ახალგაზრდანი, ვისაც აგრეთვე ტაში მართებდა, სხვა არაფერი, სხვა არაფერი, უკაცრავადო, სხვა არაფერი! ტაში ტაშიაო, ტვინი მაინც ვერ გადაბრუნებულიყო ეგრე ადვილადა, — დღესასწაულს მაინც ელოდნენ, სამგლოვიარო დღესასწაულსა, ზეიმსა დიდსა, არნახულსა, ელოდნენ ეგრე ერთპირიანადა და, საკვირველია, კამათი მაინც არა სცხრებოდა, ბრაზი მაინც არა სცხრებოდა, ლამის ვილაცას ყელში სწვდომოდნენ, ლამის ვილაცას თავში წაეშენა, თავისი ხელები თავის თავშია. ასეთი ჯანყი სცოდნია სახინკლესა, გაბრუება თუ დაბნეულება სცოდნია ასეთი ლუდისა და არაყსა, ლუდისა და კონიაკსა, აბურბურებულ ხინკალსა სცოდნია. ღვინოს სხვაგვარი განსჯა მოჰყოლია, სხვაგვარი კამათი, შეპაექრება სულ სხვანაირი, — ნელნელა ჩაითლება მწვადი შამფურზედა, ანთუ აითლება ბეჭი ასევე ნელინელა, და სადღეგრძელოშიც ნელა ამოვა ავკარგი ამა წუთისოფლისა, მარადიული წუთისოფლისა, წუთიერების ტკივილისა მარადისობაში.

ღვინოსა სცოდნია ამნაირადა.

აქ ასე არ გახლდა.

აქ ყველაფერი საშარო იყო და ბოლოს ესეც საშაროდ იკითხეს, ეს ვიღააო, კრინტს რო არა სძრავს, არც არასა სჭამს, არც არასა სვამსო, — იკითხა ერთმა იმათთაგანმა, ლამის ლენტოზე მომაღლომა, ლამის მომეტებულად შეფიცხებულმა, ლამის ყველაზე დაუთმობელმა.

— ეს ლენტოა!.. — მიუგო მახლობელმა ლენტოსი.

— როგორი რა ლენტოა?!

— როგორი და ასეთი! —ცერი შემართა მახლობელმა ლენტოსი.

— რას გატვრენილა, სიტყვის გამტანია?..

— არაფერი შეგეშალოს.

— მაინც ვინაა?

— ჩვენთანა მუშაობს.

— რეჟისორია?

— არა...

— მსახიობი?

— არა...

— მხატვარია?

— ნწ...

— კომპოზიტორი?

— არა, ჰა!

— ბუღალტერი?

— კარგი, ერთი და!

— ოპერატორი მაინც არ არის?!

— მორჩი, რა!... ლენტოა!.. მორჩა და გათავდა.

გაგულისდა მახლობელი ლენტოსი, — ლენტოაო, გაიმეორა და კათხა დაათხლიშა აყუყულ მაგიდასა. არ გატეხილა, არც ჩხუბი აჰყოლია, თუმცა არცთუ გასაკვირი გახლდა, მხოლოდ ესაა, კონიაკის ბოთლს შესტაცა ხელი მახლობელმა ლენტოსი, შესტაცა და გააგამოაქანა. წვეთიც აღარ იდგა. გამომშრალიყო არყის ბოთლებიცა, ქაფის კვალიც არ შერჩენოდა ლუდის კათხებს, ხახვის ნაკეპიც აღარ ეგდო ქაბაბის ლანგარზედა, ანთუ ქაბაბი სად ეწყო მანამდისან, ხინკალი სადა, — ვიღა გაარჩევდა, დახლისაკენაც აღარავინ იცქირებოდა, ამოეცალათ ჯიბეები, ამოეფხეკათ, უნდა აყრილიყვნენ, უნდა აჰყოლოდნენ კიბესა, ატივტივებულიყვნენ. ჯერ ქოჩრები უნდა აეტანათ ზევითა, ჯერ ქოჩრები ამოჩნდებოდა მიწის პირზედა, ანთუ ასფალტის პირზედა ცხადია, დაქოჩრიანებულიყვნენ, ჯერ სიქაჩლე არ მოსწეოდათ, ჯერ ლიპიც არ მოჰკიდებოდათ, ჩასლუტულიყვნენ, ერთ ყალიბში ამოყვანილებივითა. მხოლოდ სიმაღლით თუ განსხვავებულიყვნენ, ერთ ყალიბში ამოყვანილიყვნენ, და სწორედ [illegible]ლონი ატივტივდებოდნენ [illegible]ვლისა, — და ატივტივდნენ კიდევაცა, ავიდნენ ერთადა ლენტოი და ისა, ვინ არისო, რო ახირებულიყო, ერთად ავიდნენ და ერთდროულადვე შეაქციეს ზურგი ერთიმეორესა, ცივად შეაციეს, გამომშვიდობებაც არ მოფიქრებიათ.

ზევით სიმშვიდე სუფევდა.

მიწის პირამდისაც როდი აღწევდა ქოთქოთი სახინკლისა.

ჯერ არ აღწევდა.

## V

„რამეთუ დაიმარხე შენ სიტყუაი მოთმინებისა ჩემისაი, და მეცა დაგიცვა შენ ჟამისა მისგან განსაცდელისა, რომელსა ეგულების მოსლვად ყოველსა ზედა სოფელსა გამოცდად მკვიდრთა მათ ქუეყანისათა“.

გადადებული ათკაპიკიანი ვერ გამოიყენა, — ლენტოსას გეუბნები, მივყვები ლენტოსა, — ვერ დარეკა, სადაც უნდა დაერეკა რაღა თქმა უნდა, ვეღარც მივიდა, საქმეც იმდენი არაფერი გამოსჩენია, საბაბად მოედო, ხოლო მიზეზი ჰქონდა საფუძვლიანი, მტკიცე და შეუვალი, მიზეზიც ის გახლდა, — მასწავლებელთან სიარული რო აღარ უნდოდა, აღარ უნდოდა გაკვეთილები. ახლა ამას აღარ იკითხავ, რის მასწავლებელიო, რა გაკვეთილებიო?.. იკითხავ და მეც მოგახსენებ: ის მასწავლებელიო და ის გაკვეთილებიო, საშუალო სკოლა რო არ დაუმთავრებია თავის დროზედა, ჰო უნდა დაემთავრებინა ბოლოსდაბოლოსა?.. შეეძლო არც დაემთავრებინა, რა ვუყოთ მერეო, საშუალო სკოლა სავალდებულოდ თუ დაუდვიათ, რა ვუყოთ მერეო, გამოჩნდებიან ისეთი ადამიანებიცა, ვალდებულებას რო გადაუდგებიანო, სიკეთესაც გადაუდგებიან, საკუთარ თავსაც გადაუდგებიანო, ამრიგად აეწყო ლენტოს საქმეცა, თავიდან აეწყო ასე, ამრიგადა, გვერდი იბრუნა მერე უეცრადა თუ თანდათანობითა, გვერდი იბრუნა და

უნდა დამორჩილებოდა, — უნდა მიეღწია რაიმესათვისა, რაღაც უნდა გადაელახა, უნდოდა თუ არა, აღარ იყო ამისი კითხული, უნდა გადაელახა, უნდა მიეღწია. და აღიმართა გადასალახველი, თამაშთამაშითაც თუ გადაივლიდა თავის დროზედა, აღიმართა დაბრკოლებადა. და სწორედ იმ ხანად კინოსტუდიას მიაგდო ბედმა, მიუახლოვა თავის ოცნებასა, კინოოპერატორობას მიუახლოვა, მიუახლოვა და ვერც მიუახლოვა, ნაგლეჯიც რო არა ჰქონდა ქაღალდისა, ცნობა არა ჰქონდა არავითარი განათლებისა, არცა საშუალოსი რაღა თქმა უნდა, სწავლა რო განეგრძო, დაუსწრებლადაო თუ რაღაც ამგვარად რო მაინც განეგრძო. უამისოდ არც იქნებოდა, არავინ ჩამოაკრეფინებდა ოცნების ყვავილებსა თუ ყვავილებსაც მიემგვანებოდა ოცნებაი რაღა თქმა უნდა; ამგვარად გასწირა ბედმა ლენტორი, წყაროსთან მიიყვანა და არ ასმევდა წყალსა თუ წყურვილსაც მიემგვანებოდა ოცნებაი რაღა თქმა უნდა. რაც უნდა ყოფილიყო, სწყუროდა და ვერ მოეკლა წყურვილი, მოხიბლულიყო და ვერ შესწვდენოდა მშვენიერსა. აქ გაიჭედა, აქ დადრკა, მოეშვა. სხვები მართავდნენ კინოაპარატებსა, ბრძანებდნენ, შეეძლოთ წყრომაცა, სიამოვნებაცა, თავგამოდებაცა იმ გარშემოში, ხოლო გარშემო გახლდნენ სახელგანთქმული მსახიობები, ვინ უწყის ვილას რო არ განასახიერებდნენ, თვით მეფე-დედოფალთა, თვით უძლიერესთა წარსულისა თუ უახლესი ჟამისა. ეს მხოლოდ აპარატებს დაათრევდა, შეიტანდა, გაიტანდა, შეაწყობდა, გადმოალაგებდა, ყუთებად შეიტანდა, ყუთებად გაიტანდა, შიგ ჩაჭვრეტასაც როდი ანდობდნენ, გაგორ-გამოგორებასაც როდი ანდობდნენ იმდენადა და ისიც განა დიდი ფილმების გადაღების დროსა, — არა, რა სათქმელია, კინოქრონიკის ახალბედა რეჟისორებისა თუ ოპერატორებისათვის მიემაგრებინათ.

და ის მახლობელი,

ჰო ის მახლობელი, სახინკლე „თბილისში“-რო ჩაიტაცა, სწორედ ასეთი რეჟისორი გახლდა.

სწავლის აზრზედაც იმან მიაგდო, უმაღლესში სწავლისა.

საშუალო სკოლის ექსტერნის წესით დამთავრებაც იმან გამოუგონა.

იმანვე გამოუძებნა მასწავლებელიცა,

ანთუ პროფესორ ბერთელმა მიუჩინა მასწავლებელი.

მაინც უიმისოდ არაფერი იქნებოდა. მახლობელიცაა და მახლობელიცაო, აი თუ როგორი მახლობელი გახლდა.

იმან წამოიწყო, ბევრს შესჩივლა და შეწევნა სთხოვა, ბევრმაც მოუთათუნა ხელი მხარზედა, ყოჩაღ, ეგრეო, ეგრე უნდა ადამიანისათვის ზრუნვაიო, მხოლოდ პროფესორ ბერთელმა აუბა მხარი, არც აცივა და არც აცხელა, მასწავლებელი მიუჩინა, გაიგო თუ არა, ფიზიკა-მათემატიკური საგნების მოსამზადებლად მიუჩინა თავისი ასული... აი თუ საღ გაწამებულიყო, აი თუ საღ უნდა დაერეკა.

თუმცა ჰო:

იმხანად საიუბილეო ზეიმი მზადდებოდა პროფესორ ბერთელისა, ყველამ თავისი საქმე იცოდა, ლენტოსაც ებარა საქმეი თავისი, — ყუთებს დაათრევდა აუდიტორიიდან აუდიტორიაში, კაბინეტიდან კაბინეტში, თბილისიდან სოფელში, ეზო-ეზო, მდინარის ნაპირასა თუ ტყის გასწვრივა; ეზო-ეზო ბავშვობის მეგობრები უნდა გადაეღოთ პროფესორ ბერთელისა, გატეხილი, დაჩიავებული ბერიკაცები უნდა გადაეღოთ, ტყე-ტყე ნადირობა უნდა გადაეღოთ პროფესორ ბერთელისა, ნადირობის ტროფიალი ვარო, დაეტრაბახნა ჟურნალისტებთანა და უნდა გადაეღოთ ტროფიალი ნადირობისა, არსად ნადირი რო აღარ იყო, არცსად ფრინველი რო აღარ იყო, ტყეც ტყე რო აღარ იყო რაღა თქმა უნდა, მაგრამ და რაო, რა გაუჭირდებოდა კინოაპარატსა, ლენტო რო მხოლოდ დაათრევდა და დაათრევდა, შეაწყობდა და გადმოიღებდა, — კინოაპარატს არაფერი გაუჭირდებოდა და

ესეც იქ გადაწყდა, მაშინ გადაწყდა, გამოგონილ ტყის პირას რო ისვენებდა სანადიროდ გამოწყობილი პროფესორი, ვითომ ნადირობით დაღლილი რო ისვენებდა. მართალი რო ითქვას, რეჟისორმა შეარჩია ამგვარი სურათები, წარმტაცი ფილმი უნდა შევქმნაო, პროფესორს მხოლოდ უბრალოდ ეთქვა, ნადირობის ტროფიალი ვარო, ანთუ ძალით წამოეცდენინებინათ, რო აღარ მოშვებოდნენ ჟურნალისტები, — ბოლოს ამ კითხვაზეც გვიპასუხე, რა არის თქვენი ჰობიო, — ნადირობის ტროფიალი ვარო წამოეცდენინებინათ და იქიდან დაიწყო წამებაცა ლენტოსი, სწორედ აქ გადაწყდა შესვენებისა თუ გამოგონილი ნადირობის წინა. ამგვარივე საქმე რო კიდევ გამოსჩენოდათ, კაი გვარიანი საბაბი იქნებოდა, კარგახანს გაარიდებდა თავსა, მაგრამ როგორღაც შემოლეულიყო იუბილეები თუ ამის რეჟისორს აღარ უკვეთავდნენ, არც სადმე გზავნიდნენ, შრომის პროცესი რო გადაეღო, გამოცდილების გაზიარების მიზნითაო, როგორც იტყვიან და წერენ ხოლმე, — ვთქვათ ჩაისა თუ ციტრუსების პლანტაციებში, ხილნარებსა თუ ზვრებშია, აჰა, მისდგომოდნენ გაზაფხულსა, ვითომ რატომ არა გზავნიდნენ ჰა? ამასაც შეეწუხებინა ლენტოი, უნებლიედ შეჭრილიყო გეგმებსა თუ განზრახვებში კინოქრონიკის დირექციისა.

სხვა რაღათი გაემართლებინა თავი, გაკვეთილები რო გაეცდინა?

ვერც დაერეკა ბოდიშის მოსახდელადა.

ანთუ ბოდიში როგორ მოეხადა თუ არ გაგზავნიდნენ სადმე სასწრაფოდა?

ანთუ რაღაცათუ არ გამოუტყვრებოდა...

იფიქრა, იფიქრა და — ავფიცრავო, — რო გაახსენდა, ცას ეწია სიხარულითა, საბაბიც გახლდა გაკვეთილებზე მიუსვლელობისა, დანაპირებსაც აღასრულებდა.

გონიერებად არ ითქმოდა ცხადია, მაგრამ რა ვუყოთ, სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ამასღა შეაფარა თავი, — დავპირდიო.

ეროვნული

ადვილად დაჰპირდა, ადვილადაც წარმოედგინა: მაშ როგორაო, — მრავლად ეყარა ნარჩენები თუ გადანაჭრები კინოსტუდიის ეზოსა თუ სახელოსნოებში, მიმობნეულიყო ახალი მასალაცა, გამოუყენებლადაც გაფუჭებულა ახალი მასალაცა, ყველგან გამოირჩეოდა ორიოდ ნაჭერი ჩამონგრეული ტიხრის ასაფიცრადა, ამიტომაც დაჰპირდა ისე ადვილადა, ოღონდ მერე რო არცთუ ადვილი გამოვიდა, აღარცა ნაღვლობდა, არც ეზარებოდა, წერდა განცხადებებსა, იდგა რიგებში რეზოლუციებისათვისა, უცდიდა მრავალასლიანი ფურცლების შევსებასა, აწერდა ხელსა, სხვებთანაც დაჰქონდა ხელმოსაწერადა, უფროსებთანა თუ უმცროსებთანა, ველარც გაეგო, ვინ თუ ვისი უფროსი ბრძანდებოდა, ვინ განმკარგულებელი, ვინ შემსრულებელი. შემსრულებლად მაინც თვითონ მოდიოდა, ოღონდ ეს მერე, ბევრი ფურცელი რო შეივსო, ბევრგანაც რო შეიტანეს დავთრებშია, გამოარჩიეო, ნება რო დართეს; არც გამორჩევა დაზარებია რაღა თქმა უნდა, თუმცა ძლივსღა გამოარჩია, ძლივსღა წააწყდა გამოსადეგსა; არც ის უნაღვლია, ახალი გაწამაწიაც რო ელოდა თურმე, — გატანა უნდოდა, გატანას — მანქანაი, მანქანას — ნებართვაი, უნდოდა და 5დომოდა-რა, ისიც შეუდგა იმავე გზასა, ანთუ ცოტა განსხვავებულსა კაბინეტებისა თუ ხელისმომწერლების მიხედვითა, შეუდგა და შეათავა ისიცა, სხვაც გამოსჩენოდა, არად ჩააგდებდა.

იქ ნებართვა აღარ დასჭირებია: მიაყარა ფიცარი, ლურსმანი, ჩაქუჩი, ხერხი და ასტეხა ბრახუნი, ჰახუნი, თვითონვე ასტეხა, ხელოსანი აღარ უნდოდა. ბრახუნმა ვიღაცა წამოაგდო იქითა მხრიდანა, წამოაგდო და გამოაგდო. ამან არ იცოდა, იქ თუ ვინ იყო, ვის ენდუროდა ელისოი, არ იცოდა და იხილა უეცრადა ბოხოხა კაცი, კისერგანიერი, წოპწოპა თავიანი, გაავებუ-

ლი, გაბოროტებული, ვითომდა იმას არ ასვენებენ, ვითომც ესაა, კიდევ მისჭრიანო. ამან ყურიც არ შეიბერტყა, — ლენტოსი ითქმის, — უმატა ბრახუნსა, ჭახუნს უმატა, აცალა, რამე მწარე მითხრასო, უთხრა იმანაცა, მწარისაც უთხრა და მწარეზე მწარისაცა, დედაც შეაგინა. აქ შენ დედა აუგად მიხსენეო, — ჩაქუჩი მოისროლა ლენტომა, არ შემომაკვდესო, ჩაქუჩი მოისროლა და ნაშალს გადაევლო, ნაშალს გადაევლო და აღარც აცივა, აღარც აცხელა, ცხვირპირი ჩაულეწა მუშტებითა, წიხლიც უთავაზა და დააზლერთა ძირსა. იქავე ფარდაზე შეიწმინდა ხელი და გადაინაცვლა თავის ადგილასა. მაშინვე კიდევ სხვაც გამოიჭრა, არცთუ ისე ბოხოხაი, არცთუ ისე განიერკისერაი, არცთუ ისე წოპწოპა თავიანი, ოღონდ ჯერ ბევრად უმცროსი გახლდა და, რო ივლიდა, იმ კვალზე ივლიდა, ალი-კვალი ის იქნებოდა; რაც უნდა ყოფილიყო, ისევ გადაევლო ნაშალსა ლენტოი, ოღონდ იმდენი ველარ მოასწრო, ქალებიც გამოცვვივდნენ წიოკობითა, უმცროსიც გაიტაცეს, უფროსიცა, და ლამის ლენტოსაც ჩამოაფხოტნეს თვალები. იმათთვის აღარ გაუყადრებია თავი ლენტოსა, აღარც ყური უგდია თუ რასა ყაყანებდნენ, თუ რასა ქაქანებდნენ იქითა, თუ ვინა ყაყანებდნენ, თუ ვინა ქაქანებდნენ, აბრახუნებდა და ახშობდა, აჭხუნებდა და ახშობდა, განა თუ განგება, განა თუ გულმოსული, არაო, რადაო, ეგრე გამოდიოდა თავისთავადა, ადვილად როდი ნებდებოდა ფიცარი. ბოლოს დანებდა, გადაიმკედლა, გადაიტიხრა, გადაიფიცრა. საღებავიც მოუხდებოდა რა საკვირველია, საღებავსაც მევე მოვიტანო, ასე წარუდგა მიქელ ბარდაველსა, — საქმეს იჩენდა, ახალ საქმესა, მოუცლელობდა ყმაწვილ-კაცი.

იმას თუ რაო, — მიქელისა ითქმის, ვითომც გაუგონია, ვითომც არაო, ვითომც დაუნახავს, ვითომც არაო, თუმცა შეჰყურებდა, თვალი ოდნავადაც არ გაუხრია. მაინც გაქარწყლებულიყო იმის თვალშია, იქავე იყო და მაინც გაქარწყლებულიყო, ვით[illegible]ლი ვარსკვლავი, შორი[illegible] უუშორესი, თუნდაც უახლეს ტელესკოპებშია. ითქვას ამნაირი შედარებაცა, ვითომც ტელესკოპს დამგვანებოდეს, ერის დიდების ვარსკვლავებს რო ეძებდა, ვინ უწყის როდის ჩამქრალ ვარსკვლავებსა, ვინ უწყის როდის ასხლეტილსა თუ გადაკარგულსა, ანთუ ვინ უწყის როდის-როდის რო გამოკაშკაშდებოდა, ვინ იცის, ვინ უწყის, როდის-როდისა? ჰოდა რაო, იმას თუ რაო, — იჯდა და იჯდა ეგრე ურხეველი, კაცი-ტელესკოპი, თითქოს წაშლილი თვალებითა, ანთუ წასული, გადაკარგული ფიქრითა, აზრითა, გადაკარგული თუ გაკიდული აზრისა თუ უაზრობის ბეწვის ხიდზედა, სიცოცხლისა და უსიცოცხლობისა თუ ბარემ სიკვდილის ბეწვის ხიდზედა. უცხოსა ვინმეს ცოცხალიც არც ეგონებოდა, ეგება მართლაც გათავებულიყო ეგრე მჯდომარი, ეგება მუმიადაც გამოეყვანათ, თვალებიც ჩაედგათ ხანთუ წაშლილი, ხან მოციალე, გაბრწყინებულიცა მომეტებულადა, როგორც ენებათ, როგორ მუქსაც მიანათებდნენ ზურგთუკნიდანა, — უცხო ვინმესთვისა რაღა თქმა უნდა, ლენტოს ჰო არ გაუკვირდებოდა, — არც არაფერი გაუკვირდებოდა, აჰკვიატებოდა თავისი დარდიცა: მართლაც საღებავზე გადამდგარიყო, დაერეკა თუ ბარემ გამოცხადებულიყო გაკვეთილზედა? — ყოყმანობდა და იდგა ამიტომა, იდგა ეგრე გაქარწყლებული მიქელის თვალშია, გაქარწყლებულად იმეორებდა, საღებავს მოვიტანო, რა ფერი მოვიტანოო.

— მწვანე!.. — ამოიძახა მიქელმა უეცრადა, ლენტოს რო ეგონა, აღარაფერი გამოაბრუნებს თუ მართლა არ გათავებულაო, — მწვანე... სიცოცხლე... მიწა ბალახითა ხარობს, ხე ფოთლითა, ადამიანიცა, ადამიანსაც თავისი ფოთოლი ასხია, ფოთოლი უხილავი, თუ დაინახავ, მწვანე იქნება, ისე ვერ იხარებს, ვერ იცოცხლებს, ვერ

ილივლავებს; ერი რო ერია, თავის ფოთოლი ასხია ერსაცა, რაც უფრო სალია, უფრო ხასხასა ფოთოლი ასხია, რაც უფრო... არა!.. რაც უნდა იყოს, თამარის მრჩევლად რო დავბადებულიყა, მწვანე დროშას ავაფრიალებინებდი.

— შინდისფერიო...

— მწვანესამეთქი.

— იყოს!.. — თავისთვის დაიდასტურა ლენტომა, — ოღონდ მწვანეც ჰო ბევრნაირია...

— ბევრნაირი!.. ყველაფერი ამიტომაც განსხვავებულა, ბევრნაირია, ბევრნაირი! ადამიანიც ბევრნაირია და ბევრნაირი ფოთოლიც ასხია, როგორიც ასხია, ისეთიც გამოდის, ოჯახიცა, ერიცა... ყურძენს არ მოისხამს ლენცოფას ფოთოლი.

ეს მაინც კარგად უწყოდა ლენტონმა, ყურძენს არ მოისხამდა ლენცოფას ფოთოლი, მაინც ფეხს ითრევდა, მაინც ჯერ ვერ გადაეწყვიტა: ჯერ შეელებო თუ ჯერ დაერეკა?

— შევლებავ... — ასე დაიდასტურა.

— თუ დაგხვდა!.. — გამობრუნებულიყო თუ ისევ შორიდან გამოიძახოდა მიქელი.

— ხელს ვერ ახლებენ.

— რახან გულში ამოიჭრეს...

— გულსაც დავუნაყავ.

— ჰა, ჰა, ჰა... დაგესჯიან.

— დამსაჯონ, ცხვირპირი ჰო დავუნაყე...

— განათუ მართლა?! — თითქოს გამობრუნდა, თითქოს გამოცოცხლდაო მიქელი, — ჰა, ჰა, ჰა... მაინც რომელსა?..

— რომლებია?

— მანდ მამაშვილია, ერთი აქტივიაო, ასე უწოდებენ, მეორე პერსპექტიული ახალგაზრდააო.

— პერსპექტიული ხელიდან გამომგლიჯეს.

— ჰა, ჰა, ჰა... — აქ იყო, აქ გახლდა, გამობრუნებულიყო, ჭერი ჭახჭახებდა სიცილისაგანა. — რო არ გაპატიებენ!.. უკვე აიკლებდნენ ქვეყანასა, თავსდაგვესხნენო, მოგვეშველეთო.

— აიკლონ.

— მოეშველებიან.

— მოეშველონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ წადი.

— დავუცდი...

კიდევაც გაიხარა ლენტომა, ამოისუნთქა, ეს არის და მეშველებაო, — მოსულიყვნენ და წაეყვანათ, აღარც დარეკა დასჭირდებოდა, აღარცთუ გამოცხადებაი გაკვეთილებზედა, ერჩივნა, ათასწილ ერჩივნა, სასჯელიც დიდი არ იქნებოდა, ვითომ თუ ისეთი რა ეკუთვნოდა ნიკაპის ამონაყვისთვისა, —. ოღონდ ესაა შეიბღალებოდა თავისი მასწავლებლის თვალშია, ვერც ეს მიბედავდა, აღარც თუ ის მილებდა შებღალულსა ცხადია და ესეც ერჩივნა, ათასწილ ერჩივნა. ესეცა ხსნაიო, ეძიებდე და ჰპოვებდეო, თუ ხსნა ეთქმოდა ამასაცა!.. მიქელი მაინც მრჩევლად აღარ გამოადგებოდა, მრჩევლობა ენება მეფე თამარისა, ლენტოსათვის თავს არ დაიმდაბლებდა ისედაცა, მერე და უკვე გადაკარგულიყო, ჩაფლულიყო დიდ სიმწვანეშია, ჩაფლულიყო და ბუტბუტებდა: სხვა ბედისწერა დაჰყოლია ჩვენს სიმწვანესაო, ავუტანივართ ბედისწერას დიდი ქვეყნების წინამძღოლობისა, და უსათუოდ ნატეხი ვართ დიდი ქვეყნისა, დიდი, დიადი სახელმწიფოსიო; ნატეხი ვართ თუ ნამსხვრევი ვართო, სიმწვანე ისეთი გამოგვყოლია, ბევრჯერაც რო ვყოფილვართ მბრძანებელნი სხვათა და სხვათა, ბევრჯერაც ვძლეულვართო; ანთუ ვყოფილვართ მოკავშირენი, დამორჩილებულნი მოკავშირენი, ანთუ ყმადნაფიცნი, ბატონთა შორის ჩვენთაგანი მაინცა გვყოლია პირველთაგანი, ანთუ პირველი ვინცა ყოფილა, დამჯერე ყოფილა ჩვენთაგანისაო. აღზევებულა პყრობილი მპყრობელთა შორისა ბიზანტიის კარზეცა, სპარსთა, არაბთა, მონგოლთა კარზეცა, ეგვიპტესაცა, თურქთა კარზეცა, აღზევებულა უმრისხანესებში, მრისხანებითვე წაუჭარბებია, გამჭრიახობითაც წაუჭარბებია, ერთგულებითაცა, გასაოცარი ერ-

თგულებითა, თავისივე ქვეყნის აკლებით რო დაუბეჭდია, თავისი ხალხის გალეწვით რო დაუდასტურებია, რადგან თუ რამეთუ ჟამსა პყრობილებისა მორჩილი მაინც არა ყოფილა ქვეყანა ჩვენი, არც თუ სხვა ყოფილა, მომეტებული რისხვა მაინც ჩვენ დაგვტეხია, აღზევებული ჩვენთაგანისგანა, მომეტებული ერთგულებაც ესა ყოფილა, მომეტებული წარმატებაც ამას მოჰყოლია. ოღონდ ბედიც ჰო არ გაახარებს ბოლომდე არავისა, არცა ისა თუ ისინი გაუხარებია ბოლომდისა, ერთიც არა. შენ არაფერი გეტკინოს რაი, ერთი მათგანიც არ გაუხარებია, დამხობილა ან დაუმხიათ. მიუყლეტიათ იქვე თანმდგომნიცა მისნი და ეს ქვეყანაც ისევ აუკლიათ, ქვეყანა ესე, მბრძანებელი რო ეშვა მორჩილებაშიცა, აუკლიათ და როგორ აუკლიათ! ვაგლახ და ვაი!.. ძველბერძენთაგან ასე ყოფილა, რომაელთაგანაცა, მერეცა, მერეცა, დღესდღეობითა თუ აქამომდისაც არ გამოსტოვეთ, ხოლო იქით თუ რაი ყოფილა, დაბეჯითებით ჰო არა ვიცით, და თუ მაინც გვეცოდინება, ალბათ იგივე გვეცოდინებაო, იქამდისაო, იმა დიდად სახელმწიფომდისა, სიმწვანე ჩვენი, განსხვავებული, საიდანაც წამოგვყოლიაო; ბედისწერაც ეს არის ჩვენი, თუ გაგვიძლია, ამითი გაგვიძლია, ანდერძს თუ აგვიგებს, ესევე აგვიგებსო, ეს უცნაური, უცნაური უცნაურზედა, ჩვენი ნაშობი ჩვენივე რო გვლეწავს და თუ დაემხო, აუცილებლად რო დაემხობა. ჩვენივე მწარედ რო გვაზღვევინებენო. შაჰები ტახტზე აგვიყვანია, სულთანები აგვიყვანია, იმპერატორები აგვიყვანია, კიდევაც დაგვიმხია შაჰებიცა თუ იმპერატორებიცა, აქედან შორსა, შორსა და შორსა. დაგვიმხია და ჩვენც დავმხობილვართ, იქაცა, აქაცა, ამ ჩვენს მიწაზეცა, პასუხი აქაც მოუთხოვიათ, ამა მიწაზე, ასედად მწვანე, ასე ხასხასა, გასაკვირველად ხასხასა მიწაზე, აქ დაუღვრიათ მჩქეფარე სისხლი, მწვანეზე უდენიათ, უჩქეფებიათო. — მოსთქვამდა მიქელი, არცთუ ტიხრი აგონდებოდა, არცთუ ამტიხვრელი, თუმცა იქ იდგა, ფეხი მიებჯინა, მოვიდნენ და წამიყვანონო, ასე ერჩივნა, [illegible] უნდოდა გაკვეთილები, თუმცალა ესეც გაკვეთილი გახლდა, ოღონდ ამეებს აღარავინ ეკითხებოდა გამოცდებზედა, არც გაეგებოდათ გამომცემლებს ამნაირადა, არც ევალებოდათ, გაპონი იცოდნენ, გაპონი უნდა გამოეკითხათ. მიქელს უკვე დავიწყებოდა ბევრად უფრო სახელოვანნიცა სხვისნი, თავისი ქვეყნის ტრაგედიებში გახლართულიყო, ალტაცებულიყო სიდიადის გამოშუქებითა, ჩათუთქულიყო სიავითა თუ სიმდაბლითა, ტრაგედია ჰო ყველაფერს მოიცავდა, ისტორიაც მოიცავდა სიდიადესა და სიმდაბლესა, ორივეს მოიცავდა, ავსილიყო ორივეთი, ყელამდის ავსილიყო ერი, ავსილიყო და გათანგულიყო, დალეულიყო, დაწრეტილიყო, ვაგლახ და ვაიო; და ვინ უწყის თუ რამდენი ერი დაწრეტილიყო თუ გამქრალიყო, კიდევაც გამქრალიყო, რამდენის სიმწვანე გაცრეცილიყო, გაყვითლებულიყო, რამდენის ფოთოლი ჩამოცვენილიყო, რამდენისა კიდევ ჩამოცვივოდა, რამდენს დაიტანდა ცივი ზამთარი, ყიამათი ზამთარი, რამდენილა გაიზაფხულებდა...

თითქოს მიქელი პასუხს ელოდა, ვილაცას პასუხსა.

თითქოს არც ელოდა.

რაც უნდა იყოს, ლენტო მაინც არ ასდევნებია, თავისას ელოდა, თავის წილხვედრსა, ელოდა და გაუწყალდა გული, ალბათ აღარ მიჩივიანო, ბოლოს ესლა ჩაიდუდუნა, ჩაიდუდუნა თავისთვის, ოღონდ პასუხი მიქელმა მიუგო:

— ხვალაც ამ თვისაა... — ასე მიუგო, დაახანა და სიცილი მორთო, სიცილი იმისა, ნაკიანი წელი რო დასდგომოდათ, თორემ ამ თვისა აღარ იქნებოდა.

ლენტო ვერ მიუხვდა, შემდგარიყო ტრაბახის გუნებაზე:

— ვერას გაბედავენ...

— მარტი რო წინ გედოსო... — უკვე შორიდან მოისმა, იქვე ითქვა და

მოისმა მორიდანა, მორჩა ალარ გამობრუნდებოდა.

მარტი წინ იდო.

„მიკურწულიყო ზამთარი მშრალადა, მშრალადვე დგებოდა მარტი, ოღონდ არავინ იცოდა თუ რას მოიმოქმედებდა მარტი. არა, არავინ იცოდა, ამიტომაც იმეორებდნენ ძველისძველ ნათქვამსა, იმეორებდნენ და ანდაზად ექციათ: მარტი რო წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებო და ნურც აძაგებო. — წინ იდო მარტი.

VI

„...და სხვაი ანგელოზი მოვიდა და დადგა საკურთხეველსა ზედა, რომელსა აქუნდა სასაკუმეველე ოქროისაი და მიეცა მას საკუმეველი ფრიადი, რაითა მისცეს იგი ლოცვასა წმიდათასა...“

მარტი თუ წინ იდო, მანძილიცა მოკლდებოდა საექსტერნო გამოცდებამდისა, წარმატების იმედიცა მოკლდებოდა, იხრუკებოდა, ილეოდა თუ ჯერაც არ გამქრალიყო პირწმინდადა, ხალისი მაინც დალეულიყო, თან გადაჰყვებოდა იმედიცა. რაღაცა დაემართა თუ როგორღაც გაიხლართა, ველარ აჰყოლოდა მასწავლებელსა, ეს ვერ აჰყოლოდა, ვერ იკმარებდა გარჯაი იმისი. თუმცა მაინც მისდევდა საგანსა, მისდევდა და უჩიჩინებდა, ოღონდ უკვე მოლლილივითა თუ გულგატეხილივით უჩიჩინებდა. მერე ჰო სულაც დაეკარგა ერთხანსა და ეგება სულაც დამეკარგოსო, მასწავლებელიც ცგაიფიქრებდა, ნეტავი მართლაც დამეკარგოსო, არად ჩააგდებდა იმდენ გარჯასა. რა ვუყოთ მერეო, რამდენი შრომა ჩაყრილა წყალშია!.. მოწაფეც ჰო იგივეს ისურვებდა თუ მოინებებდა, იგივე სურვილით შეჰხედავდნენ ერთმანეთსა, ოღონდ ესაა, ჯერ მაინც ვერ გამოტეხილიყვნენ, რაღაცა ჰბოჭავდათ თუ ვიღაცა ჰბოჭავდათ, შეჰხედავდნენ, თითქოს ტუჩებიც უნდა გაჰხსნანო, მაინც ჩაიკვნეტავდნენ ტუჩსა, ტუჩს ჩაიკვნეტავდნენ და თვალსაც დაჰხრიდნენ. ლენტო აქეთკენ ჩაჰყლაპავდა ნერწყვსა, ის იქითა, ჩაჰყლაპავდა და ვერც ჩაჰყლაპავდა, ნეტავი როდის [illegible]; ჰოდა ნეტავიო... იყო [illegible]-დისა, გაცდენები ამიტომაც გამოიგონა, მაინც ვერ წაუვიდა, ანთუ მიუბრუნდა მაინცაო, ჰო მიუბრუნდა: მე- შენ გეტყვი, რამე შეცვლილიყო, — არაო, არაფერი, — დაფაც ისევ ისე ეკიდა, ხელსაწყოც ისევ ის ხელსაწყო ეხატა, თითქოს მას მერე არც წაუშლიათო, ხელსაწყო იგი, რითაც დაადგინეს დაელექტროებულ სხეულთა ურთიერთ მოქმედების კანონი. მხოლოდ ფორმულა გადაეშალათ, ფორმულა იგი, რაზედაც მაშინ მოიტეხა კისერი, რასაც თუ მოჰყვა მერე გაცდენანი. რაღა ფორმულა გადაეშალათ?! ბარემ ხელსაწყოც გადაეშალათ!

და იჯდა შუშაბანდში.

დაფაც იქ ეკიდა.

პალმებიც იდგა იქვე, დაფასთანა, ერთი აქეთა, მეორე იქითა, მუხის კასრებით იდგა ცხადია, ცოტა ფერმკრთალი, ცოტა ულონო, ცოტა უიმედო ლენტოსავითა, მაინც იდგა, მაინც ეცინებოდა, პალმებსა ცხადია, ორივე პალმასა, საშინელი მხეცები რო ამოცვივოდნენ დაფაზედა, საშინელნი ლენტოსათვისა, ამოცვივოდნენ უამრავნი თუ შემზარავნი კანონთა თუ ფორმულათა სახითა, ამოცვივდებოდნენ და შეჰკრავდნენ კამარასა იმა პალმებზედაცა, ვეფხთა მაგვარადა, ლომთა მაგვარადა; ესენი აქეთ შეჰკრავდნენ კამარასა, იმას იქით აიტანდა კანკალი, — და პალმებსაც ეცინებოდათ, ფერგამკრთალ პალმებსა, გაცრეცილ პალმებსა.

ისევ ისე თუ ეცინებოდათ, — თითქოსაო, ითქმის, ოღონდ და რაო, რაც უნდა ითქვას, ლენტოს ასე ეჩვენებოდა.

იგვიანებდა მასწავლებელი, ანუ ასული იგი პროფესორ ბერთელისა.

წინკარი დედამისმა გაუღო, ჯერ იმან გაიკვირა, აშვილდა წარბები, სად იყავი თუ რაღამ მოგიყვანაო, — როგორღაც ასე აშვილდა წარბები, თქმით მხოლოდ ეს უთხრა, მოითმინეთ და გეახლებათო.

საით წასულიყო თუ სად მოეთმინა, — ამდენი იცოდა; იცოდა ის პალმები, ის დაფა, ის ხელსაწყოც გაიხსენა, ზედ ეხატა და გაიხსენა, გაახსენდა დავალებაცა, ოღონდ ესაა და მხოლოდაც ესაა, სხვა ველარაფერი გაიხსენა, ველარცა კანონიო, ველარცა ფორმულაო, ანთუ რაო, რაც ერთია, ის მეორეო, ერთი შეწვი და მეორე ზედ შეაცხეო, — ამით თული ინუგეშებდა თავსა, კარგი ანდაზააო, მოიწონებდა და გულს გადააყოლებდა მცირე ხნობითა. მასწავლებელი იგვიანებდა, თუმცა არც ითქმის, იგვიანებდაო, აყოვნებდა განგებისადა, ეგება ცოტა რამ გაიხსენოსო, შეემზადოსო, განეწყოსო. ლენტოც ასე ვარაუდობდა, შეემზადებოდა, განეწყობოდა, გახსენებისა რა მოგახსენო, აქ საქმე უზურში ვერ მოდიოდა, თუმცა ვითომდა რატომაც არაო: ხელსაწყო ეხატა, ბურთულები გამოყვანილიყო მკაფიოდა a და b ბურთულები, სხვა ნიშნებიც იჯდა თავთავის ადგილასა, — რად არ უნდა მოსულიყო უზურში?.. არ მოდიოდა და!..

ის მაინც შემოვიდა, სუსტი ქალიშვილი, ფერმკრთალი თავისი პალმებივითა, გამხდარი, ჩასლუტული, ელვართვალებიანი, — ეს იყო და ესა, ძალაც ეს გახლდა, გონიერებაცა, სილამაზედაც ეს ითქმოდა თუ რამე ითქმოდა, თუ საამისოდაც ენას ვინმე დაასველებდა, შემოვიდა და მიესალმა თავის დაკვრითა, სხვა არაფერიო, არც არაფერიო, თუნდაც ბაგეც არ გაუხსნია, სულ ოდნავადაც არ გაუხსნია. ეს აიზიდა, აიმართა ნელნელიადა, აიტოქა, სალამის სიტყვაც ამოიძახა რიხიანადა, მართალი კაცივითა. იმან ხელი ჩაიქნია მოსხეპითა, მარცხენა ჩაიქნია, მარჯვენა მიმართა ნახაზსა. ესეც უმალვე დაემორჩილა, დაემორჩილა მარცხენა ხელსა, ჩაჯდა უმალვე, მარჯვენას ვერა, ვერა და ვერ დაემორჩილა, ვერ დასძრა კრინტი და პალმებმა ხითხითი მორთეს, ეს გაილრიჯა, თითქოს პალმებს მიუგო ნიშნით. ის მიაჩერდა აუმღვრეველადა, თითქოს თუ ვერას მიმხვდარაო, გაჰხსნა ბაგეცა, თითქოს თუ/კიდევაც უჩურჩულებსო, თითქოს აქეზებსო, ნახაზს უჩვენებს და აქეზებსო, აბა შენ იცი, აბა თუ როგორ გამოიჩენ თავსაო. ეს აიწურა, მეტი არაფერი, აიწურა და გაისუსა. პალმებმა სიცილი მორთეს, ერთადაც როდი, — ჯერ ერთი იცინოდა, მერე მეორეი, ენაცვლებოდნენ ერთიმეორესა. იმან ცარცი აილო, მასწავლებელმა რაღა თქმა უნდა, ანთუ ცარცი აილო მეუფემ ჯუნგლებისა, ამოცვივდებოდნენ მხეცებიცა, ის შეიპყრობდა, დაიმორჩილებდა, ათამაშებდა თავის ნებაზედა იმ თეთრი ნატეხითა, ცარცის ნატეხითა, მხოლოდ ამას ვერ ათამაშებდა, ვერ მოათვინიერა ვერანაირადა ეს ყოვლად უდგრეში, ჯუნგლების ბინადრებზე ბევრად უდგრეში; იმან ცარცი აილო, გამოსახა პირველი ნიშანი. ამან დაიქნია თავი, ეგრეაო, გამახსენდაო, ვითომ რო გაახსენდაო, საგულდაგულოდ დაიქნია თავი, ისე რო პალმებს აარიდა თვალი. იმას იმედი მიეცა, შემდეგიო, მოსთხოვა. მხრები აიწურა ამანა. აიწურა. მაშინ იმან ტოლობის ნიშანი დასვა, დასვა და მიაჩერდა, მიაჩერდა და დაელოდა. ისევ აიწურა მხრები ამანა. აიწურა. აიწურა. მაშინ გაცხარდა ცარცი, ნაპერწკლები გაჰყარა დაფაზედა, გაჰყარა, გაჰყარა, გამოსახა ფორმულაი ელვის უსწრაფესადა და ძირს დავარდა. და ჩაჰქრა ნაპერწკლები და აღარცა ელავდა თვალები და აღარც პალმებს ეცინებოდათ. იმან თითები შეიწმინდა, ცარციანი თითები. ამან ჯიბეში დაიწყო ფათური, ფანქარი უნდა ჰქონოდა, რვეული უნდა ჰქონოდა, იცოდა, არა ჰქონდა, ოღონდ უნდა ჰქონოდა და ეძებდა ამიტომა. დამდგარიყო წუთი უმძიმესი, არ ემსუბუქებოდა აქამდისაცა, ოღონდ ეს მაინც სულ სხვა რამ გახლდა, თუ გადალახავდა, თითქოს აღარა უჭირდა რაო, მხოლოდ თითქოსაო, მოჩვენებითაო; დამდგარიყო წუთი უმძიმესი და სუფევდა დუმილი, ისეთი დუმილი, ფათური ისმოდა, ჯიბეში ფათური, ცარციანი თითების წმენდაც ისმოდა; დამ-

დგარიყო წუთი უმძიმესი და ბევრი რამ უნდა მოჰყოლოდა იმა წუთსა, ბევრი რამაო, ოღონდ ყველას რო ჩამოვეხსნათ, დათხოვნა მაინც უნდა მოჰყოლოდა, ყველაფერი აქეთ მიდიოდა, ბოლობოლო ეს უნდა ყოფილიყო და ეთქვა ბარელამ, ეთქვა, წადიო, იმანაც ჰო უთხრა, — ელისომა, წადიო, უთხრა და ქვეყანა არ დაქცეულა, უთხრას ამანაცა, უთხრას, წადიო, ალბათ ქვეყანა არც ამით დაიქცევა. ეს გაექცა, ლენტოი ცხადია, გაექცა და ისევ მობრუნდა, არ დაუთხოვნია და იმიტომ მობრუნდა, დაითხოვს და აღარ მობრუნდება. ის სხვაა, იქ რო მიბრუნდა, აქ აღარ მობრუნდება, უთხრას წადიო. კიდევაც აპირებს, აპირებს თქმასა, დამდგარა წუთი უმძიმესი თუ თავდება წუთი იგი, აი აჰა, გააპობს ბაგესა, ანთუ რა ბაგესა, რაღაც ჭრილსა სიფრიფანასა, რაცაა თუ როგორიცაა, გააპობს და ეტყვის, აი აჰაა, აი აჰაა:

— ძალა, რომლითაც ორი წერტილოვანი მუხტი ურთიერთმოქმედებს, პირდაპირპროპორციულია მუხტების სიდიდისა, უკუპროპორციულია მათს შორის მანძილის კვადრატისა და მიმართულია ამ მუხტების შემაერთებელი წრფის გასწვრივ. — ჰოდა აჰაა, ეს წარმოსთქვა დაბალ ხმაზედა, ოღონდ მკაფიოდა, შთამბეჭდავადა, პედაგოგის ხელოვნებითა.

და მოთავდა იგი წუთი, წუთი გაუსაძლისი, გაუძლო და აათავა უღელტეხილი, რახან აათავა, ჩამოათავებდა კიდევაცა, არც ეს იქნებოდა ადვილი, რა ვუყოთ მერე, ჩამოათავებდა მაინც როგორმე, ჯერ აათავა და ამოისუნთქა:

— ჰო... — ასე გამოთქვა შვებითაცა და, ვითომდა რაო, გამახსენდაო, ამის ნიშნადაცა.

— გაიმეორეთ!..

გაიმეორა. გაიმეორა თუთიყუშივითა, ისე ვერა, ვერც გაიმეორებდა ამგვარად დალაგებულ წინადადებასა.

— დაწერეთ!..

დაწერა. დაწერითაც დაწერა. საკვირველია, აქამდისაც მიჰყვა.

მანამდე წაშალა იმანა, ამას თვალიც არ დაუხამხამებია, იყო დაწერდა ისე უშეცდომოდა, გაიმეორებდა ისე უშეცდომოდა, ეგეც ალმართიო, გადასახედი უღელტეხილისაო, მერე თუ რა იქნებოდა, არც რაფერიო, აქ მაინც არ უჭირდა, დაწერდა და გაიმეორებდა, დაწერდა და გაიმეორებდა, აღარაფერი შეეშლებოდა კეტიც რო გადაელეწათ თავზედა, არც არასოდეს დაივიწყებდა თუ სხვას აღარაფერს აუხსნიდნენ, დიახ, დიახო, თუ აღარაფერს მიუმატებდნენო, — ეს იყო ჭირი, ვაგლახი ეს გახლდა, ამას რო არ დააჯერებდნენო, ან რა თქმა უნდა, ანთუ რაღა განმარტებანიო. და მოსდევდა კანონი კანონსა, ფორმულა ფორმულასა, მოსდევდა და მოსდევდა, მოსდევდა და მოსდევდა უდასაბამოდა და აურაცხელადა, იტვიფრებოდა ერთი ამის ტვინზედა, მეორე შლიდა, ერთი მეორესა შლიდა, ბღლვნიდა, გლეჯდა, ფლეთდა, ანაკუწებდა თუ დღვებავდა, სრესდა თუ ჰყლეტდა, დამართებდა ათასგვარ ჭირსა და დარდუბალასა. არც ასე გახლდა თავდაპირველადა, მერე და მერე დარია ხელი, ხელი დარია და ამოიდო ქვეშა. რაღაც იღონა თავდასაღწევადა, ეგება გასჭრას, ეგება ეშველოს: ჯერ აგერ აი აათავა უღელტეხილი, გაიხსენა და გაიგო, ჩაებეჭდა, ჩაედულაბა ტვინშია; და აი აჰაა, ჯდება ისევ თავის ადგილასა, ახალი გაკვეთილი იწყება, აჰა, ისევ დაფასთან დგას სუსტი ასული, ჩასლუტული ასული, ტერეფა გოგო, ლასტივით გოგოი, მასწავლებელი და მეტი არაფერი, არაფერი, გატაცებული თავისი ახსნითა, დგას და მეტყველებს, წერს და ხსნის, ხსნის და შლის, შლის და წერს, ფორმულებით ალავსებს დაფასა, წაშლის კვლავაცა, კვლავაც ალავსებს, იმეორებს და უმატებს, ძველსა თუ ახალს შეუფარდებს ერთიმეორესა, დაანაწევრებს და შეაერთებს, განმარტავს და კიდევ განმარტავს, კიდევდაკიდევ მონდომებითა, კიდევდაკიდევ დაბეჯითებითა; და აი აჰაა, მაინც არაფერი გაეგება ამასა, რაღაც იღონა, — იღონა მაშა, მაინც

არ გაეგება, აღარ გაეგება აღარაფერი, დაფისა არ გაეგება, ახსნისა არ გაეგება, სხვა რამ გაეგება, სხვა რამეს შეუბოჭავს დაუურვებია, დაუღვედია სხვასა, დაფა გაჰქცევია ამიტომაცა, ფორმულები აღრევია ამიტომაცა, სიტყვები აბურდვია თუ გაჰფანტვია ამიტომაცა, — ეს გოგო უნდა, გოგოდ უნდა, ეს ტერეფა, ეს ჩასლუტული, ლასტივით გოგო, ეს უნდა, ესა, მეტი არაფერი. ასე არ იყო თავდაპირველადა, გოგო არ იყო ამისთვის გოგოდა, არ იყო და არც იქნებოდა, ასე ფუჩეჩა რა გოგო იქნებოდა!.. იყო მხოლოდღა მასწავლებელი და კიდევაც გაეგებოდა, და კიდევაც დაისწავლიდა, ადვილადაც გაიმეორებდა, შესტრაბახებდა ელისოსაცა, საუცხოო რამ მასწავლებელი გამომადგაო, განა თუ მასწავლის, ტვინში მიბეჭდავსო, — ჰო, ჰო შესტრაბახებდა ელისოსაცაო, ჯერ რო ბეჭედი არ გამოეჩინა ელისოსა, ჯერ რო არ დამფრთხალიყო ლენტოი, კიდევ რო ართობდა, აღავსებდა სიყვარულითა, როგორღაც უცნაური, ათრთოლებული სიყვარულითა. მაშინ რა უჭირდა, — გოგო გოგოდ ახლდა, მასწავლებელი მასწავლებლადა, — არ უჭირდა, არაფერი უჭირდა. მერეღა აირია მონასტერიო, იტყოდნენ ხოლმე, რაც აირია, აირია,— ეს აირია თუ აიფუტკნა, სხვა არავინა თუ სხვა არაფერი, ის ისევ ფუჩეჩა ასულად დარჩა, ისევა მშრალ, ისევე ტერეფა ასულადა, ისევე ზომიერ და გულმოდგინე მასწავლებლადა, ოღონდ ესაა, ხანდახან მაინც გადაჰხედავდა გაკვირვებითა, რა დაემართა, რამ დააბნია, რამ გამოსცვალაო, დაეხსნა მერე გაკვირვებასაცა თუ ძიებასა, რამ გამოსცვალაო, დაეხსნა და გაუმკაცრდა ზარმაც მოწაფესა, ანთუ რატომღაც გაზარმაცებულსა. პალმებმაც მაშინ მორთეს სიცილი, ფორმულებიც მაშინ დაემგვანენ ჯერ ლექვებსა, მზვარეზე საღოლობოდ გამოსულ ლეკვებსა, მერე იზარდნენ, მხეცებად იქცნენ, ბღლვინავდნენ, ღმუოდნენ, ყალყზე დგებოდნენ, კამარას შეჰკრავდნენ, — ასე აირია მონასტერი, ანთუ მონასტერი არიო, ეს აირია, ნდომა მოერია [illegible] ხვდა, როგორც იქნა, [illegible] ვერა, მერეღა მიხვდა, უკეთუ იგულისხმა, ამისგან იქნებაო, ისიც ახსოვდა, თუ მობრუნდები, მოგიტევებო, და მიუბრუნდა, და იდგა მშრალ ხიდზედა, იდგა და იდგა, მერე ჰო ის იყო, — რაც იყო, ითქვა; ორშაურიანსაც ჰო აწვალებდა ჯიბეშია, — აქ უნდა დაერეკა, ველარ მოვალო, მერე ჰო ის იყო, — რაც იყო, ითქვა, ეს იყო, ეს ილონა, მასწავლებელი რო შერჩენოდა მასწავლებლადა, და თურმე ვერ ილონა, ვერაფერი ილონა: ისევ ისევე ებურებოდა თვალები, ინუსხებოდა, იძაბებოდა, ითანგებოდა თუ ბრუვდებოდა იდუმალებითა, ბრუვდებოდა და თან მიმხვდარიყო, მიმხვდარიყო და ერიდებოდა ისიც არ მიხვდესო, ერიდებოდა და იბნეოდა მომეტებულადა. დროდადრო თითქოს გამოფხიზლდებოდა, იმედოვნებდა, თავს მოვერევიო, თითებს იმტვრევდა, ატკაცუნებდა თითებსა, მხოლოდ თითებს ჩასციებოდა, აღარ შეჰყურებდა ი მოღიჯღიჯე პალმებსა, აღარც მასწავლებელსა, — მასწავლებელს სულ აღარა, იმტვრევდა და იმტვრევდა თითებსა. მასწავლებელიც იმ თითებს მიაჩერდა, ცარცი დააგდო და მიაჩერდა, ჯერ თითქოს შეამცივნა, ერთი შეძაგძაგდა, მერეღა დააგდო ცარცი:

— ამით დავამთავროთ! — მოსჭრა მკვეთრადა.

— ჰოო... — ამოისუნთქა ლენტომა, მართლაც შვებით ამოისუნთქა.

— ამით დავამთავროთ, — გაიმეორა პროფესორის ასულმა, — და... ვა... მთავ... როთ... — ჩამარცვლა მკაფიოდა, — რა ვუყოთ, დავამთავროთ...

— ჰა?! — თითქოს შეეჭვდა ლენტოიო, აიწია და ჩაჯდა, თითქოს აღარც ადგებაო.

— დავამთავროთ!.. — იგივე გამოსთქვა და შვებითაც ამოისუნთქა პროფესორის ასულმა.

— ესეიგი?.. — იკითხა ლენტომა,

იკითხა და თვითონვე მიუგო, — აღარ მოვიდე?..

— აღარა!.. — ულმობელი იყო პასუხის პასუხი, ანთუ კითხვიანი პასუხის პასუხი.

— აღარა... — გაიმეორა ლენტომაცა და გაიღრიჯა უაზროდა თუ სულელურადა.

— ვწუხვარ... — თანაუგრძნო მასწავლებელმა.

— არა... რათა... — კვლავაც უაზროდ გამოსთქვა ლენტომა.

— ჯერ არავისთვის მისწავლებია, ასპირანტობა მასწავლებლობა არაა რა თქმა უნდა, პირველი შემთხვევა მომეცა, დავმარცხდი.

— პირველი მარცხი გამარჯვების საწინდარიაო. — ანუგეშა ლენტომა.

— სადაური ანდაზაა?

— ნარდში იციან.

— ნარდს არა ვთამაშობ.

— ჰო... — ისევ გაიღრიჯა ლენტოი.

— ჰოდა დავმარცხდი.

— ჩემი ბრალია.

— მაინც მე დავმარცხდი.

— უკეთესი მოწაფე რო შეგხვედროდათ?..

— უკეთესსაცა ჰგავდით დასაწყისში.

— ჰოო... — გაიბადრა ლენტოი.

— დიახ!..

— ეგლა მრჩება ნუგეშად მის იმედისა დიდისაო. — ოდნავადაც ამოიოხრა ეგრე გაბადრულმა.

— რაღაც თუ მოხდა, ეგება ავადაცა ხართ, ექიმს ეჩვენეთ, ეგება გადაიღალეთ, დაისვენეთ, ძალღონე აღდგება, უნუგეშო არაფერია.

— ისევ მიმიღებთ მერე?

— არა, მე აღარა... მე დავმარცხდი.

— ეგება?

— ხელახლა გვეცადა?

— ჰო, ჰო, დიახ...

— მე დავმარცხდი. ოღონდ მაინც ნუ შეფიქრიანდებით, მამაჩემი მოწადინებულია, სხვას გამოგიძებნით, უფრო გამოცდილსა, მოწაფეების მეტი რა გააჩნია!

— რა ვიცი...

— მე გარწმუნებთ. მე გამშვიდობებით.

ეროვნული

— მშვიდობით. — გამოემშვიდობა ლენტომაცა, აკოკრებოდა ფერმკრთალი ღაწვებიცა, თოხა კბილებიც გადმოეყარა, ვითომდა საამურ რამეს ისმენსო; სკამსაც წამოედო, გადაელობა სკამი.

— ოღონდ შეიცადეთ ერთი წუთითა, — ისევ ასულმა ბრძანა, — შინ არის მამაჩემი, იმასაც მოვახსენებ. — და გაჰქრა ასული, სუსტი, მილეული, გაცრეცილი ასული, გაჰქრა ამისთა თვალთაგანა, ამის ცხოვრებიდან გაჰქრა, უეცრად მოვარდა, ააფორიაქა და გაჰქრა უეცრადვე, — ააფორიაქა!.. სასეიროც ეგ არის, რო ააფორიაქა, ვისაცთუ ვერავინ აეფორიაქებინა აქამდისა და ვერცთუ ამიერიდან აართუ ააფორიაქებდა ვინმესა, სასეიროც ეგ არის და გამოსაცნობიცა; რაც არის, არის, მთავარი ჭკუა მაინც დაეკარგა და რა ეშველებოდა, აღარ იცოდა, ანთუ პროფესორი რაღას უშველიდა, ვეღარ გაეგო, მასწავლებელს თუ შეუცვლიდა, მერე და რაო ვითომდა ლენტოსა, ლენტო ჰო არ გამოიცვლებოდა, — არ გამოიცვლებოდა და ვითომდა იმდენს რას შეეწეოდნენ გამოცვლილი მასწავლებლები? არც გამოიცვლებოდა და სხვა რამ საბაბიც გამოუჩნდებოდა, რახან გულისყური აღარა ჰყოფნიდა, რახან გონება ეფანტებოდა, რა ვუყოთ თუ სწყუროდა ატესტატი სიმწიფისა, სწყუროდა ცოტა არ იყოს გადამწიფებულ ახალგაზრდასა, სიმწიფის ატესტატი სწყუროდა ისე, ლამის სული ეუბნებოდა, რა ვუყოთ მერე იოლადაც თუ არ მოეპოვებოდა უდროუდროსა; არც იოლად მოიპოებოდა, არც იქნებოდა უიმისოდა, — არ იქნებოდა, გზა ვერ გაეკაფა უიმისოდა, ვერც გაიკაფავდა, ერთ საფეხურსაც ვერ აინაცვლებდა, ვერა, ვერ აინაცვლებდა, ისევ უნდა ეთრია აპარატები. თუ ვეება შუქურები უიმისოდა, ისევ უნდა აესრულებინა ბრძანება ყოველთა, თითით მინიშნება ყოველთა, განაფიქრი თუ

ზრახვანი ყოველთა, თვითონ არც უნდა ეფიქრა უიმისოდა, მცირე ხელფასსა თუ შემოსავალს უნდა დასჯერებოდა, ვერაფრით ვერ უნდა გაეხარებინა დამანი უიმისოდა, ვერც გაეხარებინა, ვერც გაეძლო, ვერც შეემოსა, უიმისოდა, უიმისოდა, უიმისოდა, — რაოდენ შემძლე ეგონა თავი, არც რა შესძლებია უიმისოდა. და გამშრალა ყმაწვილკაცი, გამშრალა სინანულითა, დაკარგულის ამოგება მოუნდომებია გამშრალ ყმაწვილსა, მეტიცა ყოფილა წყურვილი, ოღონდ ეს მაინც მეტისმეტი ყოფილა. და იდგა, ელოდა, დაჰყურებდა იგივე სკამსა, რომელსთუ წამოედო, დაჰყურებდა გამშრალი და მწყურვალი, უმწეოდ დაჰყურებდა, უაზროდ დაჰყურებდა.

უაზროდაო, არა, — ჰო უაზროდა და ვერც მერე მოიკრიბა დიდი რამ აზრი, პროფესორთან რო იხმეს; ამან ჰო ვერ მოიკრიბა და ვერა, ისიც ძალასიტანდა, დაღლილიყო თუ გაბეზრებულიყო, ძლივს გამოსთქვამდა გამოსათქმელსა, მალიმალ შუბლზე ხელს გადაისვამდა, ოფლის ცვარს იწმენდდა თუ ბინდს იშორებდა გონებიდანა, არც რა შერჩენოდა ძველი მხურვალებისა, საიუბილეო დღეებისა რაღა თქმა უნდა, ანთუ იმისა, იმა წუთებისა, სამონადირო საჭურველს რო ისხამდა და უწინასწარმეტყველებდა ლენტოსა, დიდი რამ ხელოვანი დადგები, თუ გნებავს, დიდი მეცნიერიც გამოხვალ, ოღონდ უნდა მოინდომოო. იფ! კარგი რამ იყო, არა?! მხურვალება არ შერჩენოდა ერთისიტყვითა, „მონდომება" მაინც შერჩენოდა: მასწავლებელი რას გიშველისო, ვინც უნდა იყოს, როგორიც უნდა იყოს, რას შეგეწევა, შენვე თუ არ მოინდომეო, — შერჩენოდა და იმეორებდა დუნედა, უნდილადა, რამდენი ხელს გადაისვამდა შუბლზედა, იმდენი დუნედა, იმდენი უნდილოდა. მაინც კეთილიო, დასძენდა ამასაცა, იყოს შენი ნებისადაო, ვთხოვ ვინმესაო, ჩემს შეგირდთაგანაო, ოღონდ მანამდე დაისვენეო. ცუდი არ იქნებ, ექიმსაც თუ ეჩვენებით, იმოგზაურეთ, იმოგზაურეთ. იფ! კარგი რამ იყო, ა[illegible]ი, რო არ ემოგზაურებ[illegible]. და აღარ უნდოდა, თვალი გაესწორებინა პროფესორისთვისა. და არც დაეძებდა პროფესორი ბერთელი იმის თვალებსა, სჯეროდა ძალა თავისი სიტყვებისა, აღარ ინდომებდა ზემოქმედებას თვალისა თუ ხელის ნიშნებითა. დამთავრებულადაც თუ მიიჩნევდა საუბარსა, მოკითხვას აბარებდა კოტესთანა, კოტე ბალოელთანა, თავის კეთილისმყოფელ რექისორთანა, მოკითხვასაც აბარებდა და ოდნავადაც წამოიწია, ხელი მაინც არ გაუწოდებია, ისევ შუბლს ისრესდა თუ ეფერებოდა თავისსავე შუბლსა. რაც უნდა იყოს, სხვას გამოგიძებნიო, მაინც ჰო დაჰპირდა, შენვე უნდა მოინდომოო, ასეც დაარიგა, და სხვა რა ელონა პროფესორ ბერთელსა, პროფესორი გხლდა, ღმერთი ჰო არა, — თუნდაც ყოფილიყო ღმერთიცა, იგივეს ურჩევდა ერთი არაკისა არ იყოს, კაცი რო ილრჩობოდა და ღმერთს ევედრებოდა, მიშველეო, ხელი გაანძრიე და გიშველიო, ჩამოსძახოდა ღმერთი. ამასაც თუ შეჰკვროდა ხელი, ახირებულად მოსდებოდა ნდომაი ამის გოგოსი და იხრჩობოდა, იხრჩობოდა, ანთუ მიუბრუნდებოდა ისევ ელისოსა, ანთუ ველარ მიუბრუნდებოდა და იხრჩობოდა, იხრჩობოდა, — უძახე, ხელი გაანძრიეო, რჩევა ადვილია, ადვილია დარიგებანი და ღმერთსაც მეტი არ შესძლებია, სხვა ისეთი არ უნდა ყოფილიყო თუნდაც პროფესორი ბერთელი. რაც იყო, თუ როგორადაც იყო, წამოიქოჩრა უეცრად ლენტოი, მოერია წყურვილი საშინელებისა, მიწისძვრა მოუნდა, მოუნდა ხანძარი დამბუგველი, წარღვნა მოუნდა მეორედ მოსვლისა, ანთუ რაც უნდა ყოფილიყო, ოღონდ ისეთი, გმინვას მოეცვა იქაობაი, განწირულთა გმინვასა, საყოველთაო განწირულთა, — ავი წყურვილი მოერია და ისე გაითანგა, თითქოს ამოჰქაროდა სული უკანასკნელი. სუნ-

თქვა უკანასკნელი. წამისა გახლდა განცდაი იგი, ანთუ განცდაც არ დაერქმეოდა, წამონთება თუ იყო წამიერი, ავი, უაზრო, გაუგებარი, რაც იყო, იყო, ჩაწყდა, უმალვედა, ვერც თვითონ აჰყვა და არცრა აჰყოლია, არცრა იგრძნობოდა საბედისწეროი, არცრა ირღვეოდა ქალაქშია, სუფევდა წესრიგი სოცარი, იდეალური, რო ინატრებდნენ, რო ქადაგებდნენ, სწორედ ისეთი, ისეთი სოცარი. მინარნარებდნენ ტროლეიბუსნი, ავტობუსნი, მიცურავდნენ მსუბუქი მანქანანი, ლაღადა, რხევითა, ნიავსაც გამოსცემდნენ სულ მცირესა, მცირედად ირხეოდნენ ჭადარნიცა. უქმად ეყუდნენ მილიციელნი. სოცარი სიმშვიდე ეფინა ხალხსა, თითქოს არასოდეს ამღვრეულაო, არც არასოდეს აიმღვრევაო, — ეს ხალხიო, ადამიანიო. შენობანი მითუმეტესა და, შენობანი ზვიადნი, მთანი ზვიადნი, შემოგარენი ქალაქისანი იდგნენ ურყევადა, ურყევ ბურჯებადა. ჰოდა ასეო, არცრა აჰყოლოდა, არცრა აჰყვებოდაო, ამაოდაც აფეთქებულიყო თუნდაც წამიერადა. ვინ უწყის კიდევ რამდენი ასევე აფეთქებულიყო, რამდენი აეტანა შურსა თუ მრისხანებასა, წამი რა არის, გაუნელებლადაც აეტანა, — აეტანა და აეტანა, არცრა ყოფილა შური თუ რისხვა იმედდამსხვრეულთა, მრისხანება არაფერი ყოფილა იმათი, ოღონდ ძლიერთა შური ყოფილა საშინელი, ოღონდაო და ოღონდაცაო, შური ძლიერთა, მტაცებელთა. ბევრჯერაც რო დაუქცევია თბილის-ქალაქი, დიდებული ქალაქი, დიდებული და მშვენიერი. — დაიქადოს ყველამ თავისი, ინეტაროს ყველამ თავისითაო, ლენტოსი ეს არის, ამითი ანთებულა თუ ანთებულა, თუ აენთება, ისევ ამისგანა, ამისგანვე გათანგულა, აქ უნდა ადგილი, მოსაკიდებელი, ამის ქრუოლას აუტანია, სამკვიდრო აქ უნდა და, რო ვერა ჰპოვებს, სულის კაწკაწიც ამას მოჰყოლია, დაბნეულებაც ამისგანაა, რო ვერა ჰპოებს, რო ვერა ჰპოებს...

თირემ რაო, ვითომ რაო ი ფუჩეჩაო გოგოი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

VII

„...და ერთმან მათგანმან მრქვა მე: ნუ სტირ..."

იქავე იცოდა, ვერ აღასრულებდა პროფესორის რჩევა-დარიგებასა, ოღონდ მიიტანდა დანაბარებს მაინცა, უკეთუ მოიკითხვას გადასცემდა კოტე ბლოელსა, ადვილი იყო, გადასცემდა რაღა თქმა უნდა, მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოუხერხდა, ესეც გაუჭირდა, ასე უბრალო რამეც გაუჭირდა, დარღვეულიყო, დაშლილიყო, დაფუტკნულიყო და თუ ერთი დაიფუტკნა ადამიანი, ველარასოდეს აეწყობაო. მაინც მოკითხვაც ვერ გადაეცაო და მერე როგორაო, ცისმარია დღე ერთად რო იყვნენო, — მიდი და ჰკითხე, ანთუ ვითომ რა საკითხავია, იყვნენო და იყვნენ, შედგადიოდნენ ერთადა და ერთდროულადა, ანთუ ისხდნენ, ისხდნენ ერთადა, ისხდნენ და ელოდნენ. ერთადაც მიადგებოდნენ, ვთქვათ თუ ერთ შენობასა, ერთადაც შევიდოდნენ და ერთადაც დაბორიალებდნენ, რეჟისორი თავისასა ბრძანებდა, რეჟისორიო, ანუ კოტე ბლოელიო, ოპერატორი — თავისასა, ოპერატორიო, ოღონდ ლენტო არა რაღა თქმა უნდა, ტექსტის ავტორი — კიდევ თავისასა, ყველა ბრძანებდა და ეს ერთი ასრულებდა, ლენტო ასრულებდა ყველა ბრძანებასა, ანთუ დაათრევდა აპარატებსა აღმა თუ დაღმა, დაათრევდა ვეება შუქურებსაცა აღმადაღმაცა, ვესტიბულებსა თუ დერეფნებშიაცა, დარბაზებსა და ლაბორატორიებშიცა, დაათრევდა გაბეზრებული. ბრძანებდნენ ისინიცა გაბეზრებულნი თუ გულგაწყალებულნი, საქმე რო ვერ აეწყობოდა, გაემზადებოდნენ და უარიც ითქმოდა, ანთუ მკაცრი, ანთუ მსგავსი თხოვნისა, ცოტა გვაცალეთო, რაღაცა გვაკლიაო, ვიღაცა გვაკლიაო, აცდიდნენ ესენიცა, გაემზადებოდნენ და აცდიდნენ, აცდიდნენ და მაინც რაღაცას მოისაკლისებდნენ, — ეს ისი-

ნი, იმათ ვერ დაეწყოთ, თორემ მოისაკლისებდნენ ესენიცა. ანთუ ვინმესათ, ანთუ რამესათ, ყოველშემთხვევაში ჯერ იმათ აკლდა, ესენი ბუზღუნებდნენ, ანთუ ეპასუხებოდნენ, ეპასუხებოდნენ გაგულისებული თავაზიანობითა, ანთუ გარბოდნენ სადმე თუ საითმე, — ვთქვათ იმ ხანებში, ქუჩის გადაღმე, ვეება დარბაზში, გარბოდა რეჟისორი, ოპერატორი მიჰყვებოდა, მერელა ლენტორი, რაც შეხება ტექსტის ავტორსა თუ სცენარისტსა, ანთუ წინ მოექცეოდა, ანთუ ჩამორჩებოდა, ანთუ სულაც გადაიკარგებოდა, ეს სამნი მაინც ჩამოსხდებოდნენ იმა დარბაზში, სვამდნენ „ტარხუნასა“, ციცქნიდნენ ხაჭაპურსა და ბუზღუნებდნენ, ორნი ბუზღუნებდნენ, რეჟისორი და ოპერატორი, ლენტო არათ რაღა თქმა უნდა, ბუზღუნის ნება რო მისცემოდა, უნდა ჰყოლოდა ერთი ხელქვეითი მაინცა, — არცა ჰყავდა და არც ეყოლებოდა, ისე ბუჩნავდა იმისი სარგო წუთისოფელი; ანთუ ვითომ რა ებუზღუნა? აიტანეო, — აიტანდა, გაიტანეო, — გაიტანდა, წამოიღეო, — წამოიღებდა, მეტი არცარა ეკითხებოდა, არცა კითხულობდა, ისე, თავისთავად თუ გამოარჩევდა თუ რა მომხდარიყო, თუ რას ელოდნენ; გამოარჩევდა, ახალი საკვლევო დაწესებულება რო მოეწყოთ, რიღაცის ფილიალი თუ სულაც ინსტიტუტი, რაღაც ახალს რო ეყრებოდა საფუძველი, რაღაც ახალსა თუ დიდმნიშვნელოვანსა, მოსათავებელი რო გახლდა კიდევ ერთი ლაბორატორია, მოსათავებელი თუ რაღაც პატარა დეტალი აკლდა, სულ პატარა, პატარა, მეტი არაფერი, იმასაც მოარგებდნენ და მსგავსი რაიმე არ იქნებოდა თურმე არსად, არსად ამა ქვეყანაზედა, რო უნდა გაეხსნათ და გახსნას რო უნდა დასწრებოდა წარმომადგენელი მოსკოვისა და რო უფროსი ამა მომავალი საოცრებისა უკვე სოხუმს გაფრენილიყო მოსკოველი წარმომადგენლის შესახვედრადა თუ შესაგებებლადა, — ამდენ რამეს გამოარჩევდა, იმა უფროსთა, თავის უფროსთა ბუზღუნიდანა, გამოარჩევდა და იყო თავისთვისა, არც აჭყვებოდა იმათ ბუზღუნსა; იყო და ისმენდა, როგორ ჰკიცხავდნენ „ტარხუნასა“, ციცქნიდნენ გამხმარ ხაჭაპურსა, მეტი არაფერი იქ არ გაიჩნდათ, არც არავინ მოსჩანდა, იყო დარბაზი, ვეება დარბაზი, ატაცებული სვეტებითა, ლითონ-პლასტმასის უამრავი მაგიდითა, უამრავივე ხრიგინა სკამითა, იმავე ლითონ-პლასტმასისათ რაღა თქმა უნდა, სადღაც დახლიც მიკარგულიყო ხილის წვენების ჩამშრალი თასებითა, ოჩიაურისა და გურულის ჰედურობანიც მიკარგულიყო ვეება სვეტებზედა, ვეება ფანჯრების შუქშია, უკეთუ უკიდოლო დარბაზშია, შუშის დარბაზშია, ერთ რამედა ლირდა სახინკლისათვისა, ლირდა და რათ, მაგრამ რათ, რათ და არათ, ცდებოდა დარბაზი „ტარხუნისა“ და ხაჭაპურისთვისა, ისიც გამხმარი ხაჭაპურისთვისა, ციცქნა ყველი რო დაპოსკოდა პურსა, ვითომდა რათ, ხაჭაპურიათ; პოდა წრუპავდნენ ისინიცა, ციცქნიდნენ ისინიცა და თუ მოინდომებდა მოკითხვასაც ადვილად გადასცემდა, მოკითხვასა პროფესორისა, გადასცემდა რაღა თქმა უნდა, ოღონდ ამას ისიც მოჰყვებოდა, — დამითხოვათ პროფესორის ასულმათ, მოჰყვებოდა უცილობლადა, ეს არ უნდოდა, ეს აღარ უნდოდა, ამიტომაც აეკრა პირი.

პირიც აეკრა და ცხვირიც ჩამოეშვა, ცხვირიც ჩამოეშვა და თავიც ჩაექინდრა. კოტე ლოდინით რო გაბეზრებულიყო, ლენტოზედა იყრიდა ჯავრსა: ე შენ რაღათ, ემანდ შენ რაღას მოჰმუხნულხარო, ასწიე თავი, წარბი გაჰხსენიო. თავს ასწევდა ისიცა, წარბს ვერ გახსნიდა, ოდენ უხეიროდ გაილკრიჯებოდა, ერთს გაილრიჯებოდა და მყისვე დაუვარდებოდა თავი, ლამის ცხვირი დაენაყა მაგიდაზედა. პო ეგრეო, ეგრეო, შენს ცხვირზე ამოიყარე ჯავრიო, — იღიმოდა თუ ღიმებასა ცდილობდა კოტეცა, — კაცმა შეიძლება თავიც მოიკლას, ოღონდ ცხვირს არ დაინაყავს, ეს ისე მწარეა, ისე სამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი განაჩენია. თვითმკვლელობაზე საშინელიაო, ცხვირის დანაყვა რომ მიესაჯათ სოკრატესთვისა, არა მგონია, შეესრულებინათ. თვითმკვლელობა რომ მიუსაჯეს, ვითომც აქ არაფერიაო, დასცინა მსაჯულთა და აღასრულა განაჩენი მათი. მაშ აღსასრული უფრო ადვილი ყოფილაო ან ადვილი თუ იყო მხოლოდ მაშინა, როცა არ იცოდნენ, სად იყვნენ და სად მიდიოდნენ. ხოლო თუ ვიცით, სადა ვართ და საით მივდივართ თუ დაკარგულა სიხარული სიკვდილისა თუ გამწარებულა სიკვდილი, ცხვირის დანაყვა მაინც უფრო მწარე გამოდის, ამისთვის ვეღარ წაუქარბებია. ჰოდა ასწიე თავი, ასწიე და გამაგრდი, გასალკლდევდი, უქონელი კაცი ქვაზე მაგარიაო, სხვა რა დარჩენია, სხვა რიღათიღა გაუძლებს წუთისოფლის ჭაპანწყვეტასაო. ხელი თუ შეგშლია, ეგ ვითომ რა არის, — ყოველთვის შეგეშლება ხელი, ყოველსაც ეშლება ხელი, ყველასა, ყველასა, გამონაკლისი არავინ გეგონოს, მაგრამ მაინც არავინ იშლის ულუფსა, ყველა თავისასა ცდილობს, ნემსის ყუნწში გაძრომასა ცდილობს ყველაი, ყველა მიიწევს, მიიწევს ვაივაგლახითა, რაც უნდა იყოს მაინც მიიწევს, მაინც შემოგცინებს, არ გეგონოს გული უცინოსო, სიცილიც ვაივაგლახისაა, ტირილია, მშრალი, უცრემლო, მაინც სიცილი უკეთესია, ვაივაგლახისაც რო იყოს. შენ ემანდ ცხვირი ნუ ჩამოგიშვიაო. შენც შენსას ეცადე, რაც არის ეს არის, რაც არის მცდელობაა, აზრიც ეს არის, შინაარსიცა, მიზანიცა უმიზნობაცა თუ უაზრობაცა, რაც უნდა იყოს გაადვილება ესაა ცხოვრებისა, ეცადე და გაიადვილე, ეცადე და მიატანე იქამდისა, ეჰა, იქამდისა, სადამდისაც მიგწვდენია თვალიო, მიატანე შენს ნდომამდისა, ეცადე და მიატანე, ეცადე და ეცადე, ეცადე და ეცადე, ჰო ეცადე, სხვა რაო თუ მიატან ჰო არა გგონია, მართლაც მიეწევი რაიმესა. მართლაც რაიმე დაგხვდება იქაო. შენ ეცადე, ეცადე, ემანდ ცხვირი ნუ ჩამოგიშვია. მტერნი არ შეგვიბრალებენ ტირილითა და ვიშითაო. მე ჰო მე გგონივარ, დიდი, რამეც ნუ გგონივარ. მხოლოდ [illegible] ცხვირაჩამოშვებული არ გინახივარო, მეტი არაფერი, მეტი არაფერი, მომეტებულად ნუ წარმომიდგენო, წუთით შეიძლება მეც რამე დამემართოს, სიმძიმემ დამზიდოს თუ წამაფორხილოს, მაგრამ წუთისა იქნება ესა, ოდენ წუთისა, წუთით ყველაფერი შეიძლება, წუთის მერე არა, აღარა, წუთის მერე კატასტროფააო. ისევ იქა ვარო, მე ჰო მე გგონივარ, შენ ჰო ჩემი გშურს, მაგრამ იცი, რა ცეცხლი მიკიდია, ეთიმ გურჯისა არ იყოს, წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდიაო. მოიცა, მოიცა, შენ რაო, ის არ გეჭაშნიკება, ჩემი გშურსმეთქი, რო გეუბნები? ეგ არაფერიო, ნდომა და შური ვის გაუყვია, თუ გაუყვია, ზრდილობის გულისთვისა, ნდომაც შურია თავაზიანი. შენ ის იცოდე, სადაც უნდა იყვე, ვერ გაექცევი გასაჭირსა, სადაც უნდა მოხვდე, გასაჭირს უნდა დაალწიო თავი, დაალწიო და ისევ დაალწიო, ისევა და ისევა, რაცა გაგაჩნია, იგივე გექნება, რაც მოგიპოვებია, იგივეს მოიპოვებ, რაც ესაა, ის ისაა, რაც ისაა, ის ესაა, ესაა და ესაო, შენ ემანდ ცხვირი ნუ ჩამოგიშვიაო. — ასე წყრებოდა თუ ასე ბუზღუნებდა კოტე უსაქმურობითა თუ მოლოდინით გაბეზრებული, წრუპავდა „ტარხუნასა“, ციცქნიდა გამხმარ ხაჭაპურსა და ლენტოზე იყრიდა გულისბუხარსა, ხოლო შუაბოძიდან გადასცქეროდა ნაჭედობა შიშველი ქალისა, გადასცქეროდა სიშიშვლე იგი, მიჩქმალული აქნობამდისა ფერწერაშიცა, ქანდაკებაშიცა, მუსიკაშიცა, ყველგან მიჩქმალული თუ აკრძალული, ჭედურობამ რო შემოაპარა...

თუმცა ერიჰაა, საიდან სადაო, საით გადაჰქნევს, საით გვეწევა?.. უმჯობესია ლენტოს მივხედოთ, კოტესაცა რაღა თქმა უნდა, ოპერატორსაცა, ისიც ჰო იქვე დასკუპებულიყო, ოღონდ მდუმარებდა, არცრას ამბობდა, არცვის უსმენდა, გამოუსადეგად მიაჩნდა

ნათქვამი კოტესი, ქადაგება კოტესი, უსტვენდა თავისთვისა, ოდნავ უსტვენდა თუ ფსუტუნებდა, იხსენებდა ვინ უწყის სადაურ სიმღერასა, რადიოთი გაგონილ სიმღერასა. სამაგიეროდ ლენტოს ეს არ ესმოდა, ეს სტვენა თუ ფსუტუნი, ეს საიდღაცღაც გაგონილი, მოვარდნილი საიდანღაცა, ქარის მოტანილი, ის გაეგებოდა, უაზრობა რო იყო დაფარვა რაიმესი, მითუმეტეს მოკითხვისა, განხეთქილებისა, ყოველივესი, ყოველივესი. ჰოდა მოკითხვაც გადასცა, დათხოვნის ამბავიცა, მე ვტყუოდიო, ასეც დასძინა, სიკეთე ვერ შევიშვნიეო. და მოიმართა, აეშალა სალერლელი ლაპარაკისა, თვითკიცხვის ხასიათზე დამდგარიყო, სინანულს მისცემოდა, აშლილიყო სინანულითა. — რა ვუყოთ თუ წრუპავდნენ „ტარხუნასა", რა ვუყოთ თუ ციცქნიდნენ გამხმარ ხაჭაპურსა, მაინც გამოდიოდა ლაპარაკი, კოტეს დიდაქტიკა თუ შთამაგონებელი ქადაგებაც გამოდიოდა, სინანულიცა ლენტოსი. გამოდიოდათ და გამოვიდოდა, ლაპარაკი გამოვიდოდა. ოღონდ საქმეს თუ ეშველებოდა, აი, რა იყო საკითხავი და თავსატეხი. ამა საფიქრალს თუ მიეცა კოტეი, დადუმება რო ამჯობინა ბოლოსდაბოლოსა, მოლოდინის უამურობაც რო გაუქარწყლდა, ყურადღებასაც აღარ აქცევდა თუ რას წამოვარდებოდა ოპერატორი, იქით, იმა მომავალი საოცრებისა თუ უკვე საოცრების სადარბაზოსთან რო შექუჩდებოდა. ხალხი. მაგრამ ეს იყო ხალხი, ქუჩაში მოარული. უამრავი ხალხი, მოულოდნელად რო გაიჭედებოდა თუ გაიხვლანჯებოდა, ხან აქა, ხან იქა, იმა სადარბაზოსთანაცა რაღა თქმა უნდა, გაიხვლანჯებოდა ყველგანა და იქაცა ცხადია, მხოლოდ ეს გახლდა, სხვა არაფერი, ზეიმი ჯერ არ დაწყებულიყო, არც დაიწყებოდა უამათოდა, თუ დაიწყებოდა, ეგეც არაფერი, მივიდოდნენ და გაიმეორებდნენ კინოაპარატის წინა, მაშ რაო, რომ [illegible]-ცა ასე მძვინვარებს წყურვილი უკვდავებისაო. ჰოდა არცა ღირდა შიში საამისოდა, რა ვუყოთ თუ წამოვარდებოდა ოპერატორი, კოტეს თითქოს აღარც ახსოვდა, ლენტოს სულაც აღარა, მოსთქვამდა თუ მონანიებდა თავისასა, ამ სურვილმა თუ ნდომამ სულმთლიანად ამომთუთქაო, აღარც აღარაფერი მინდაო, რაცა ვარ, ესა ვარ, ასე გავათრევ წუთისოფელსაო. ამასაც თავისი პასუხი უნდოდა, პასუხი კოტესი, მაგრამ რო აღარ დასცალდა კოტესა? სად იყო სად არა, შემოეყუდა ბეგლარ კრაწაშვილი და გათავდა გულითადი საუბარიცა, გათავდა უადგილო ადგილასა, როცა დალებულიყო სულის უფსკრულები და გადაჩეხვას აღარა უკლდა რაი. ყველაფერი ზედმეტია ამ დროსაო, ყველა ზედმეტია, ვინც უნდა იყოსო, თუ ვერ აიცილებ, ხელს დაგრევს სიძულვილი, მძვინვარე სიძულვილი. ასეაო და იქ რაღად იქნებოდა სხვანაირად, — სიძულვილივე წამოვარდა მყისვე, წამოვარდა და აღიმართა მძლეთამძლე სვეტადა, მითუმეტეს რო ბეგლარი ის გახლდა, ის მაღალი ყმაწვილ-კაცი, ლამის მაღალი ლენტოზედა, სახინკლე „თბილისში" რო ახირებულიყო, ვინ ლენტოაო, რა ლენტოაო. აქ სახინკლე აღარ იყო და „ტარხუნა" შეუკვეთეს იმისთვისაცა, ხაჭაპურიცა, რა ვუყოთ თუ გამხმარი ხაჭაპური, ან შეუკვეთესო, სიტყვის მასალაა მხოლოდა, თვითმომსახურება რო გასულა მოწონებაშია, ოღონდ აქ მთავარი ისაა, კოტემ სთხოვა ლენტოსა, ვუმასპინძლოთო ანუ შენ მოართვიო და იმანაც მოართვა, მოართვა, ოღონდ ვაი იმ მორთმევასა, — სიძულვილს რაღა მოშეტება უნდოდა ნეტავი?!

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარი აბრამიშვილი

## რა შეუძლია ერთ ადამიანს

— ერთ ადამიანს?!
ერთ ადამიანს შეუძლია შეუძლებელი!
ერთია ქვეყნად, მხოლოდ ერთი,
მძლეთა-მძლეველი!
ერთ ადამიანს —
შინაგანი თავისუფლებით —
დაიმორჩილოს შეუძლია ყველა უკლებლივ.
ერთი კაცისგან ზღვად ქცეულა
მდინარე მდორე,
ზღვა კი ზღვა არის და ტალღების
აგორებს გორებს.
ერთ ადამიანს შეუძლია, უყვარდეს ყველა!
ერთ ადამიანს შეუძლია სიყვარულს შველა!
ერთს შეუძლია, ცალუღელამ ზიდოს
უღელი,
ქვეყნის ვარამი —
გამხელილი თუ გაუმხელი.
შთაგონებული ყოვლისმომცველ ტრფობით
მამულის,
ერთი კაცია გამოსული თუ
დამალული.
ერთ ადამიანს,
შემართული არის რომელიც
მზისადმი მტრულად,
შეუძლია მოსპოს ყოველი!
ერთ ადამიანს თუ ეს ძალუძს,
ერთ ადამიანს,
მაშინ ხომ... მაშინ, თუ ეს ერთნი
ერთად არიან?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## რისთვის?!

— არა! როგორ თუ არაფრისათვის?!
ყველაფრისათვის!
ყველაფრისათვის:
სიცოცხლისათვის, სიკვდილისათვის,
დაურწყულებელ წყურვილისათვის;
კარგად წერისთვის, კარგად ხატვისთვის,
ტკბილ ოცნებათა გალაღებისთვის;
ერთი ყმაწვილის ფარულ ტრფობისთვის,
ბავშვურად ალალ ცრემლებისათვის;
მეგობრობისთვის, ერთგულებისთვის,
იმ ყმაწვილური სიამაყისთვის;
საქართველოში დაბადებისთვის,
ზიზღამდე მისულ სიყვარულისთვის;
მხოლოდ ლექსისთვის,
მართალ ლექსისთვის —
თავისით მოსულ სიმღერებისთვის, —
აი, ამისთვის (რამდენ რამისთვის!)! —
არა, როგორ თუ —
არაფრისათვის?!

* * *

ცაზე რონინობს ღრუბლის ფარა,
თანაც მზე არი,
ბუნებას — მეფეს
ცისარტყელას გვირგვინი ადგას, —
მე მეყოლება ცოტა მეტი თანაზიარი,
არ მიწერია სიხარულის ლექსები
რადგან.
რადგან ცრემლია პოეზიის წმინდა
ცვარ-ნამი
და ჰკვებავს გული ყოველ სიტყვას —
პოეტის ნათქვამს,
სავსე ხარ, გულო, ამ ცხოვრების შენ
ჭირ-ვარამით,
ტიალ საწუთროს არ უხდება
სიცილი რადგან.

* * *

ნეტავ მოვეკალ მტერს მეც
იმ ომში,
არ გავეყიდე ოლონდ მოყვარეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## იმ წერტილიდან

ნუ ჩაიქნევ ხელს ყველაფერზე!
ეს ყველაფერი რომ
    არაფერი იყოს,
ამ არაფრის ფონზე ხომ
    ქვეყნის თვალწინ იკიაფებდნენ
მაგ თვლთაგან მონაყური
    სისხლის ცრემლები?
ისინი კი არ ჩანან, რადგან ეცემიან
    ატალახებულ გზას,
რომელსაც შენ მხოლოდ გუმანით მიჰყვები,
რათა იმ წერტილიდან წარსდგა
    ნაბიჯი წინ,
სადაც წინაპართა კვალი შეწყვეტილა.

* * *

მიწაზე ვბობღავ, ცაში ვნავარდობ,
ძირს ღარიბი ვარ, მაღლა მდიდარი;
მკლავს და დამცინის მზერა
                    საავდრო
ათასი ბრიყვის და ვიგინდარის.

რა იციან მათ?
    მათ რა იციან,
იმ ნანატრ წუთის მოსვლისთანავე,
სიკვდილიც ისე რომ შემიძლია,
როგორც სიცოცხლეს გავეთამამე.

## წინასწარ წუხილი

სუყველაფერი მოსწრებაზეა:
მოსვლა თუ წასვლა,
    ჭამა თუ ძილი...
მოსწრებაზეა ადგომა დილით
და თვით სიკვდილიც —
            მოსწრებაზეა.
შენ სხვამ დაგასწრო უკვე სიკვდილი
და საბურთალო დაკეტილია,
მამადავითზე ვერც იოცნებებ —
არც აკაკი ხარ და არც ილია;
შენ ვინ გაღირსებს
    დიდუბის მიწას
(თუმც კი იქ შენზე მცირედნიც წვანან)
და მე არ ვიცი, მაშინ რას იზამ,
მუხათგვერდისკენ
    ის გზა თუ წავა?
ცოცხალი თავით, თუ მკვდარი თავით
როგორ, შენ როგორ გასცდები
                თბილისს?!
და თუ ეს მოხდა, მაინც თბილისში,
მაინც თბილისში,
            მაინც თბილისში
გერგება ბოლოს
            სამარე თბილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გმობა

(ხალხურ კილოზე)

მე რომ არ მოვკლა,
        სხვა მოკლავს, —
სთქვა ხარბმა მონადირემა,
ესროლა —
        მოხნა მიწანი
რქებით ქორბუდა ირემმა.
მკვლელმა ჩასცურა ციცაბო,
ფორჩხილით ქვა ფხოჭნა ტინისა. —
ფუი, შენდობას ვინც ამბობს
უგულო მონადირისას!
რა ვაჟკაცია ის კაცი,
ვინც თოფით დაეხეტება,
ვის ირმის რქები — სანთლები
ჩაქრობად გაემეტება;
ვინც მკერდზე უხვად შეიბნევს
ცრემლად ჩამოყრილ მძივებსა,
სისხლიან მწვადებს შეირგებს,
მერე ცოლს გაუცინებსა.

## ლანდი

ცხელოდა და ღია მქონდა კარი,
ფიქრი მქონდა იმ გარდასულ დღეთა,
შემომესმა, რომ მღეროდა ქარი,
დავიწყებულ სიყვარულზე მღეროდა:

მომაგონდი შენ — დღეს ჩემთვის
                        მკვდარი,
ჩაიქროლა ქარმა შენთან ერთად
და გულგრილად უცებ ხელი ვკარი
გარდასული სიყვარულის ელდას.

ღამე იყო და ტიროდა ქარი,
მთელი ღამე თუმცა ქარი მსდევდა,
ძველი გრძნობის მხოლოდ ლანდი არი
ეს მშვიდი და მოწყენილი სევდა.

## გაფრენილ სიჭაბუკეზე სინანული

ჯერ კიდევ გუშინ
        მოშარიშურეთ,
მოწყენა შეპარვიათ ფოთლებს, —
ბებერ სიცოცხლეს
        ვით დაიშურებ,
ოღონდ იმ წამის სიგიჟე მქონდეს,
მაშინ, ო, მაშინ რომ გამიფრინდა,
შეუძლებელი
        შემეძლო იდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისე მწარედ მყვარებია

დღეს რასაც შენ ამბობ, კაცო,
ის მე მითქვამს ეჰა, როდის!
მაშინ მითქვამს, როცა ნაცნობ
გაზაფხულებს შევხაროდი.

ხე ჯერ მზისკენ ილერება,
ტკბილ ნაყოფს კი მერე ისხამს, —
ჩემი ძველი სიმღერების
მესმის გადამღერების ხმა.

რომ გაგიჟდე, ვინ გიშველის,
სად იშოვნი ან მეგობარს?
კაცს არა და ლექსს კი შვენის
სიგიჟე და თავნებობა.

ეს ცხოვრება მაინც შეშლის
ავს თუ სათნო ბუნებიანს, —
ცოტა მეც კი გავუხეშდი,
ცოტა მეც კი მძულებია.

ველარც სიყრმე შევიფერე,
ველარცა ვწვდი ცხენის ფაფარს,
არ მოუხდა ჩემს სიბერეს
ახალი და ჭრელი კაბა.

სოფლის გზებზე სანთლით ვეძებ
ურემს ლაზახარებიანს, —
მტრისა მტრობა ველარ შევძელ,
ისე მწარედ მყვარებია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

## შენი დღე

მაინც რა ერქვა, რას გავდა: რა დარდუბალა იყო.
დრო შენს თვალებში დაიმსხვრა: შუაზე გადაიყო...
სად ბედისწერის ჰიტლაყი, სად მოყვასისა ჯანყი.
რა ყაყანი და ყროყინი, რა ქროლვა, რა ჯაყჯაყი.
ბედი მდევარი მოგდევდა: გულს გიყინავდა სუსხი.
დროს ვერაფერი ვერ არგე: ვერც სისხლი გადაუსხი.
წარსულში თვალი გელევა და აღარც სული მიგდის.
ლოდიც კი ვერ იგუებდა: რასაც შენ შეურიგდი.
აწ დარჩენილმა დღეებმა უნდა გამტვრიოს, გჯეკოს.
არც შავი ღვინის წინწკალი, არც არაყი და წეკო.
მხოლოდ ცა მწუხარებისა: გულზე რომ დაილეკოს...
ცივი ხანჯლებით დაგკეპეს, მუხლუხებითა გსრისეს.
საცაა დარეკს წყეული: ჯალათს წაუგდებ კისერს.
შენ რომ გზა გამოიარე: სხვებსაც უვლიათ ისე...
ეს დღე არის თუ ღამეა: დევის სისხლივით მქისე.
ცრემლს რად მიანთხევ, სად მიხვალ: არავინ გკითხავს მიზეზს.
ანდა: რა წვიმა გაწვიმდა, ან: გიტირია რაზე.
სიყვეულამ შიგ გაიარა: გული ვერ გადარაზე..
დრო ხარ თუ წყევლის ღრუბელი: რამდენი დაადედლე.
რამდენი მუხლით ახოხე: ათხოჰვინებდი კედლებს.
რა გერქვა, რა სახე გქონდა: სული რად მიეც ეშმაკს.
რამდენი შენი მნახველი: უფსკრულში გადაეშვა.
რამდენის სული წალეკა გახელებულმა ლეშმა.
იქნება იყავ მაცილი, ანდა: სპა იყავ როქის.
წინ გედგა სისხლით ავსილი: გამოსაცლელი დოქი.
მთელი გზა გამოგვატარე კანტურით, მუხლისჩოქვით.
მაინც რა იყავ, ვინ იყავ: დევის სისხლივით მქისე.
ცივი ხანჯლებით დაგვკეპე, მუხლუხებითა გვსრისე..

შხამის ტბორების მჩქვეფელო: გულგაპობილო, ბრიყვო,
მოყვარემ გიქნა ყოველი: რაც მტერმა უნდა გიყოს...
ხომ ნახე: წუთისოფელი ამაოება იყო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

შენ, მწუხარებავ, იმდენი ხარ და ისე დიდი...
და ქართული სიტყვა რომ არა,
აბა, როგორ მოგერეოდი...

ის კი: სიტყვა
ხან ცრემლად გაქცევს,
ხან სიცილად,
ხან სიმღერებად...
და გამსუბუქებს ისე,
თითქოს ანგელოსის პერანგი იყო...

* * *

ზამთარში მისი არსებობა მავიწყდება —
მაგრამ ეს ხე
ყოველ გაზაფხულზე თავს მახსენებს:
ჯერ არის და: გაიჩირთება...
მერე: თითქოს ერთი ღრმად ამოისუნთქაო —
ფოთლებს წამოშლის და ალაგ-ალაგ
ყვავილის ცვარიც გამოერევა...

და იმ პეიზაჟს —
მანქანების ფერად ნიჟარებს
და მაზუთით გაწებილ ასფალტს —
დაეფარება და ყოველ წელს ამჩნევ,
თანდათან
მაღლა-მაღლა რომ მოიწევს
და შენს ფანჯრებს უახლოვდება...

მიწას შორდება და შენსკენ მოდის...

და შენს ფანჯრებს როცა მოაღწევს,
შენ, ალბათ, უკვე შორს იქნები და შენს შორეთში
და დავიწყების შავ უკუნეთში,
ალბათ, ეს ხე გზას გაგინათებს.

* * *

ხეებიც ხომ სიზმრებს ხედავენ:
წყალდიდობის საშინელებებს,
ცისპირეთიდან წამოსულ ზვავებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხომ ისმენენ დამშეული ნადირის ყმუილს,
ტყისმჭრელის ლილინს
და მოყვასის დანარცხების ხმას...

და უძლებენ...
და უძლებენ...
და როყროყის სავალობლებზე,
კვირტის გაშლის სასწაულზე
და მზის ლოცვაზე
არცერთ მათგანს
დღემდე ხელი არ აულია!

## მსხვერპლთა საფლავები

ჯალათის საფლავი ერთია...
მსხვერპლთა საფლავებია უთვალავი.

ჯალათის საფლავი დუმს..
მსხვერპლთა საფლავები მღერიან.

მათი სიმღერა ქვითინია —
ის მომავლის ლურჯ ბურუსში დაძრულ ლანდებს
სისხლს აუდუღებს...
შეჩქვეფს წარსულის გარინდულ ზღვას
და საფლავებს გაალვიძებს ძვლების ძგრიალით.

სიმართლე დამარხული
ბალახად ამოდის
მიწის პირზე გაფანტული გორაკებიდან.

ჯალათის საფლავი ერთია,
მსხვერპლთა საფლავებია უთვალავი...

და სადაა არა... და სადაა არა...
ალმოსავლეთის მდინარეთა ყრუ ხეობებში.
ტაიგის ირმისტუჩდანაკარებ გულმკერდზე...
საფლავები უსახელონი...

და სადაა არა... და სადაა არა...
ტუნგუსკის პირქუშ არემარეში.
კავკასიონის ლურჯ ხერხემალზე...
საფლავები უსახელონი.

ჯალათის საფლავი დუმს...
მსხვერპლთა საფლავები მღერიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შავეთის გრილ დუმილში
ჩაფესვილ სიტყვებს
დაატარებს
უსამშობლო ქარი ქვითინით.

ეს საფლავების სიმღერაა: ყური მიუგდე.
შორიდან მოდის, ძალზე შორიდან...
მილიონი ფოთლის შრიალი.
უთვალავი მდინარის ხმა, ერთად შეკრული.
ქარის გუგუნი,
წამოსული სამყაროთა ნაპირებიდან.

ცრემლის შხეფით გადანამული.
წამების ცეცხლში გამომწვარი.
მოთმინების
გლუვი კლდიდან გამოკვეთილი...
შორიდან მოდის, ძალზე შორიდან...

რასა შრიალებს ეკლიანი ბალახის ღერი?
შორიდან მოდის ეს სიმღერა,
ძალზე შორიდან...
ჯალათის საფლავი ერთია...,
მსხვერპლთა საფლავებია უთვალავი.

ჯალათის საფლავი დუმს...
მსხვერპლთა საფლავები მღერიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუნუ ქადაგიძე

# სინათლის ბავშვი

(მოთხრობა)

## I

ციდან ჩამოვარდაო, ასეთ დროს იტყოდნენ ალბათ: ბავშვი იპოვა, სულ ქორფა, სახვევებში მუთაქასავით გამოკრული. იპოვა თავისი სახლის კართან ადრიან დილით რძის საყიდლად გამოსულმა.

აიყვანა და ოთახში შეარბენინა მაშინვე. კარგად იცოდა, ასეთ შემთხვევაში სიფრთხილეა საჭირო. ვთქვათ, განგებ მიუგდო ვინმემ, თუმცა ეს ნაკლებად სავარაუდოა. ჩვენს დროში ბავშვებს ასე უფასოდ (?) აღარ არიგებენ. ზოგიერთი აჯილდა (დედა არ შეიძლება ეწოდოს, რაკი მისი სხეულიდან გაჩნდა) სარგებლობასაც კი ნახულობს ამით. ჰო, თუ განგებ მიუგდო ვინმემ, ესმასთვის სულერთია, მაშინაც ვერ აიყვანს ამ ბავშვს. დღესვე საბავშვო სახლს ჩააბარებს ალსაზრდელად. ესმა ბავშვზე მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იტყვის უარს, თუ მისი ღვიძლი შვილი იქნება.

ანდა ვთქვათ, დაავიწყდა ვინმეს. მაგრამ რაღა ჩემი სახლის კართან? მაინც, თუკი დავუშვებთ ასეთ რამეს, ცხადია, ძებნას დაუწყებენ. ესმაც ახლავე დარეკავს მილიციაში, აღნიშნავს ბავშვის გარეგნულ ნიშნებს და მხოლოდ ამის მიხედვით ჩააბარებს პატრონს, რათა ბავშვი ვინმე არამკითხემ არ მიისაკუთროს.

ჯერ ისევ თბილ ლოგინზე დააწვინა ბავშვი, თვითონ ხელახლა გავიდა სახლიდან რძის მოსატანად. კიბეები სულ სირბილით ჩაირბინა, ბავშვი მყავს მარტო დატოვებულიო. რძე აუდუღა პატარას, თვითონ მასაც მიხედა: სახვევები გამოუცვალა. ყველაფერ ამას ნახევარი საათი მაინც დასჭირდა. მერეღა აიღო ყურმილი და ბავშვთა სახლში დარეკა, მილიციასაც შეატყობინა თავისი ამდილანდელი თავგადასავალი. რაც შეიძლება ჩქარა მოაგვარეთ ყველაფერიო, შეეხვეწა მორიგეს. მაშინვე გამომიგზავნეთ, თუ ვინმე გამოჩნდეს. დღეს მთელი დღე სახლში ვარ, ყველაფერი ხვალამდე უნდა მოესწროს, თუ არადა, მე არ მცალია, თვითონვე ჩავაბარებ ბავშვთა სახლში.

მორჩა ამ გაწამაწიას და ბინის დალაგებას შეუდგა. საგულდაგულოდ გააპრიალა პარკეტი, მტვერი გადაწმინდა. თავიც მოიწესრიგა. თავდაპირველად დინჯად ირჯებოდა. რაც დრო გადიოდა, მით უფრო მოუთმენლობა ეტყობოდა მის მოქმედებას. თითქოს უმიზნოდ მიმოდიოდა ოთახში, საათისკენაც ხშირ-ხშირად გაურბოდა თვალი.

ჩაიცვა თავისი საუკეთესო კაბა, რო-

მელიც ჯერ საგულდაგულოდ დააუთოვა. მერე გაიხადა, ხალათით შეიმოსა (არ იფიქროს, თითქოს საგანგებოდ ველოდები). ხალათშიაც პეწიანად გამოიყურებოდა. საყოველდღეო არ იყო ის ხალათი, ხანდახან თუ წამოისხამდა ხოლმე. ათიოდე წუთის შემდეგ ისევ გაიძრო, ისევ კაბა ჩაიცვა და მერე აღარ გაუხდია. სადა, მაგრამ კოხტად შეკერილი თეთრი კაბა იყო... თეთრი ფერი საიმედოა. თუ გაგიძნელდეს ფერების შერჩევა, თეთრს დაადგი თვალი, იშვიათად გიმტყუნებს. თეთრი ფერი ყველას ალამაზებს და აახალგაზრდავებს. ყველას უხდება, განურჩევლად კანის ფერისა.

იდაყვზე დაყრდნობილი იჯდა სავარძელში, ისე კოხტად და მსუბუქად, თითქოს პეპელა დააფრინდა ყვავილსო. ორიოდე წუთის შემდეგ წამოხტებოდა და კედლებს აწყდებოდა ვიწრო ოთახში: სად არის ამდენ ხანს, სად? გაზულუქებული ბერბიჭა, ნამდვილი არამზადა, ნამდვილი. საერთოდ ვერ ამჩნევს, რა ზვარაკიც არ უნდა გაუფინო ფეხქვეშ... მოვალეობად გითვლის, მოვალეობად.

ვაითუ, არც დღეს მოვიდეს...

ამის გაფიქრებაზე ცხადად გრძნობდა, თუ რა არაბუნებრივად უფართოვდებოდა თვალები და შეშინებული, თვითონვე იწყებდა საკუთარი თავის დამშვიდებას: მოვა, აუცილებლად მოვა, რისი გეშინია? მაშინდელივით, გესმის? (სამი თვის წინანდელ ამბავს იხსენებდა) მოვა და შენ სულ ტყუილუბრალოდ შეგრჩება ამდენი ნერვიულობა.

ძალიან ცოტა ხანს ჰყოფნიდა ეს თვითდამშვიდება. ოჰ, ნეტავი შენ არ გაჩენილიყავი ამქვეყნად — კვნესოდა მეორე წუთს ხურვებაშეყრილივით და ხელებს სიმწრით უჭერდა ერთმანეთს. — ანდა მე თვითონ არ გავჩენილიყავი. ეს უკეთესი იქნებოდა. როგორმე ავცდენოდით ერთმანეთს. სხვადასხვა დროში და სივრცეში დავბადებულიყავით... დარეკოს მაინც, დარეკოს იმ ჩემი ცოდვით სავსემ. ასე რომ მაწამებს. გამაგებინე მაინც, მოხვალ თუ არ მოხვალ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვის ტირილმა რამდენჯერმე გამოაფხიზლა. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიემატაო, ბუტბუტებდა უაზროდ. ერთი შენღა მაკლდი, ნეტავი რაში მჭირდებოდი? რაღა ჩემს კართან მოგაგდეს...

ფათიფუთით უცვლიდა სახვევებს, ნაღდად არ ჰქონდა მისი თავი, მაინც ეცოდებოდა უმწეო პატარა. ფაფაც მოუმზადა, აჭამა, საწოვარას მოძებნა დასჭირდა საამისოდ, საწებლის ბოთლს აამრო და საგულდაგულოდ გარეცხა.

მაძღარ, დამშვიდებულ პატარას საწოლზე მიაგდებდა და ისევ თავიდან იწყებდა ოთახში უთავბოლო წრიალს წვრილქუსლებიანი ფეხსაცმელების ხმამაღალი ბაკუნით: ვიცოდე მაინც, მოხვალ თუ არ მოხვალ, სახლში არ დავჯდებოდი მთელი დღე... სადმე წავიდოდი, იქნება გული გადამეყოლებინა, თორემ ასე შეიძლება გაგიჟდე ადამიანი. ზღვაზე მაინც წავიდოდი; ჩემი ზღვა, ჩემი აღთქმული ქვეყანა... კიდევ კარგი, ზღვის პირას ახლოს ვცხოვრობ.

როგორც ცოცხალ, მსუნთქავ არსებას, ისე აღიქვამდა ესმა ზღვის მარად მოძრავ, მოუსვენარ ტალღებს, არ ბეზრდებოდა მათ გვერდით ყოფნა, მათთან მუსაიფი. როგორც კი დროს იშოვიდა, მაშინვე ზღვისკენ გარბოდა. უმეტესად საღამო ხანი ერჩივნა თავისი აღთქმული ქვეყნის საჭვრეტად, ულრუბლო, წყნარ ამინდში, როცა მზის ბრიალა დისკო დაუბრკოლებლად მიცურავს ერთიანად ავარდისფერებულ, მოსარკულ ცაზე (ღრუბლები არ უშლიან ხელს) და სანამ ტალღებს იქით ჩაეშვება, სხივოსან ოქროსფერ ბილიკს მოისვრის ზღვის მერწყევ ზედაპირზე. ამ სხივოსანი ბილიკის ჭვრეტისას ესმას ათასნაირი ფიქრი გაუვლიდა ხოლმე თავში. ასე ეჩვენებოდა, აუცილებლად რაღაცას უნდა ნიშნავდესო ეს საოცარი, ღვთაებრივი ნიშნით აღ-

ბეჭდილი სანახაობა, ეს ცეცხლოვანი ნიშნები, უხილავი ხელით ცაზე წარწერილნი, იდუმალი იეროგლიფებივით. მათში რაღაც დიდი სიცხადე ჩანს, ჩვენთვის მიუწვდომელი სიცხადე.

ერთ საღამოს სუსხიანი ქარი ქროდა. ესმა გაზიანი წყლის გასაყიდ ფარდულს მოეფარა, იქიდან უნდოდა მზის ჩასვლის ყურება. სანახაობა მართლაც შთამბეჭდავი იყო; ცისკიდურს ალისფრად გაჰქონდა ბრიალი, როგორც ქარიან დღეში იცის ხოლმე. როცა ესმა ფარდულთან მივიდა, იქ უკვე დახვდა ვიღაც ქალი. ისიც მასავით გამოირიდებოდა სუსხიან ქარს. ესმა იმ ქალის მხარმილმა შეჰყურებდა ზღვაში ჩამავალ მზეს და მასზე გაფენილ სხივოსან ბილიკს. ო, როგორ გააღიზიანა ესმა იმ ქალის იქ ყოფნამ. ნატრობდა, ნეტავი აქ არ იყოსო, ამასთან ერთად მკაფიოდ გრძნობდა, თვით ის ქალიც როგორ ღიზიანდებოდა მისი იქ ყოფნით. ორივე თავის საკუთარ სამყაროში იყო ჩაღრმავებული, ხელს უშლიდნენ ერთმანეთს და იქნებ ამიტომაც იმ წუთს საშინლად სძულდათ ერთმანეთი. მაინც ვერ სცილდებოდნენ იმ ფარდულს, რადგან სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. იქაურობა ყველაზე ხელსაყრელი ადგილი იყო ზღვის საყურებლად. მაშინ ასე იფიქრა ესმამ; ადამიანები, ანუ მათი სხეულები რა ძალიან ავიწროებენ ერთმანეთსო. ხანდახან. იქამდეც კი მიდის საქმე, სასიკვდილოდაც იმეტებენ ერთმანეთს. მხოლოდ ამ სხივოსან ბილიკზე დაეტევა ერთად უთვალავი ადამიანი... უფრო სწორად, მათი ოცნებები, მათი ფიქრები, სულის სამყარო... ოცნებით რამდენიც გინდა ინავარდე ამ სხივოსან ბილიკზე. წინ არავინ გადაგეღობება, არავის დაეჯახები. ჩვენი ოცნებებით უსასრულოდ ბევრნი ერთად დავეტევით ამ ბილიკზე, სხეულით კი ორნიც როგორ ვავიწროვებთ ერთმანეთს.

და იქნებ სულაც არაა შემთხვევითი ამბავი, როცა მზე ამ სხივოსან ბილიკს გვიფენს ფეხქვეშ. სადაც არ უნდა გადაინაცვლო, ეს სხივოსანი ბილიკიც თან მოგყვება. თითქოს [illegible] იგი შენთვისაა, მხოლოდ შენთვის... და ამავე დროს ყველასთვისაა. ყველას გეყოფათ, ყველანი დაეტევით, ამ ბილიკზე თქვენ ერთმანეთს აღარ შეაწუხებთო.

სანამ მთლიანად არ აკრეფდა მზე თავის სხივებს, მანამდე თვალმოუცილებლად შეჰყურებდა ესმა ამ ოქროვან ბილიკს და ყოველთვის მოწესრიგებული, ანუ დამშვიდებული სტოვებდა ზღვის სანაპიროს. დღესაც წავიდოდა, ზღვას მიანდობდა თავის აბორგებულ ფიქრებს. ასე აღარ გაუჭირდებოდა მაშინ. ზღვა ყოველთვის დაუზარებლად ეხმაურება მის ფიქრებს, ზღვას მისი ესმის. სხივოსანი ბილიკიც ეტყოდა თავის სათქმელს. თითქოს განგებ, დღეს ცა დილიდანვე მოწმენდილია, საღამოს სულ მთლად მოისარკა. მზის ჩასვლა ამ საღამოს მაცხოვრის გარდამოხსნას ემგვანებოდა.

დაღამებისას ესმას ვიწრო ოთახში, სიბნელესთან ერთად სიწყნარეც დამკვიდრდა, აღარ გაისმოდა ქუსლების აჩქარებული ბაკი-ბუკი. მაგრამ ამ სიწყნარეს სიმშვიდესთან არაფერი ჰქონდა საერთო. ესმა დაიღალა, სიარულის თავი აღარ ჰქონდა. ფიქრიც კი აღარ შეეძლო. თვალგაშტერებული, გაუნძრევლად იჯდა საწოლზე. ერთად-ერთი ისღა რიალებდა მის თავში, ამ ღამეს რა გაათენებსო. მგონი ყველაფერს სჯობია, საძინებელი ტაბლეტების დიდი დოზა მიიღოს და მოისვენოს ერთხელ და სამუდამოდ.

ბავშვის ტირილის ხმამ გამოიყვანა ამ გარინდებიდან. ძლივს წამოიწია საწოლიდან. შუქი აანთო. ჰო, მართლა. ამ ბავშვსაც არავინ მოაკითხა. დაგვივიწყეს მე და შენ, ორივენი დაგვივიწყეს.

ულონოდ გაეღიმა ამის გაფიქრებაზე. პატარასკენ დაიხარა, ისეთი ბრაზი აღარ ედგა თვალებში, უფრო შესაბრალისი ეთქმოდა მის იერს.

ისევ მოგშივდა? ახლავე...

სანამ ბავშვი საჭმელს ჭამდა, ესმას სახიდან არ მოსცილებია გაურკვეველი, შესაბრალისი გამომეტყველება. „დაგვივიწყეს, ორივენი დაგვივიწყეს". უხმოდ, ტუჩების მოძრაობით იმეორებდა. მაძღარმა პაწიამ მაშინვე დაიძინა. ესმა დაფიქრებული შეჰყურებდა ბავშვის ქორფა სათუთ სახეს. უმწეობა აერთიანებდათ მათ ამ წუთას. საკუთარი თავიც ამ პაწიასავით უმწეო მოეჩვენა, თვითონაც ბავშვის გამომეტყველება მიიღო უნებურად. ცრემლიც კი მოადგა თვალზე. „გაიგე? მე და შენ ორივენი დაგვივიწყეს". საწყალობელი ბავშვური ხმით გაუმეორა პაწიას. სახე ახლოს მიუტანა, მათი გამაერთიანებელი უმწეობა უნდოდა ახლოდან დაენახა. რაღაც უჩვეულოდ მოესალბუნა ეს პაწია, ქორფა სახე.

თითქოს პირველად დაინახაო, თვალხარბად შეჰყურებდა ესმა პაწია, მძინარე სახეს. შეჰყურებდა და გრძნობდა, ამ პაწია, უმწეო სხეულიდან როგორ გადმოდიოდა მასში სიმშვიდე. თითქოს უხილავი ნაკადი ილვრებოდა ერთი ჭურჭლიდან მეორეში. გრძნობდა, წამიდანწამს როგორ ლაგდებოდა მასში, რაც ასე აბორგებული იყო აქამდე. დაშოშმინდნენ, კრუნჩხვისებური მოძრაობით აღარ ეხლართებოდნენ ერთმანეთს თითები. თვალებიც ჩასხდნენ თავიანთ ბუდეებში, გულმა შეანელა სრბოლა. ნელა, მაგრამ შეუჩერებლად უბრუნდებოდა ესმა თავის თავს.

უეცრად ბავშვმა გაიღიმა. სათუთი ბაგეები ამოძრავდნენ, საოცრად მეტყველად გამოხატეს ღიმილი.

ესმა სახტად დარჩა, თითქოს რაღაც საოცრება იხილაო. ვის უცინი, პაწია, ვის უცინი? წაიჩურჩულა და თავისდა უნებურად, თვითონაც გამოეხატა სახეზე ისეთივე ღიმილი. ამ გაუცნობიერებულმა ღიმილმა საბოლოოდ მოაჯადოვა ესმა. იგი განაცვიფრა მისმა სრულიად განსაკუთრებულმა გულწრფელობამ და სიცისკროვნემ. ეს იყო ყოველგვარი ზედმეტისგან თავისუფალი, პირველქმნილი სიხარულის ყველაზე ცხადი გამოხატულება, [illegible]სმე ეხილა ესმას. უსასრო[illegible]ც განუყრელად თან ახლდა, მაგრამ რაღაც მიუწვდომელი, სიღრმისეული ძალაც იგრძნობოდა მასში. თითქოს ნათელმა იელვაო, იმ ნათელის მიღმა თვალჩაუწვდენი სიღრმის უფსკრული გამოკრთა წამით, პაწიამ ხომ არ იცის, ვის უღიმის და საერთოდ, რისთვის იღიმება. განა სასწაული არაა ღიმილი, რომელიც არავისკენ და ამავე დროს ყველასკენ არის მიმართული. არავის არ ეკუთვნის, თან ყველას აქვს უფლება თავის საკუთრებად ჩათვალოს. ასე მხოლოდ მზე იღიმება. მხოლოდ მზეს შეუძლია ასე გულწრფელად და დაუნანებლად აჩუქოს ღიმილი ყველას, ყველას განურჩევლად, მიუხედავად იმისა, თუ ვისი თვალი შეჰყურებს, ურჩხულისა თუ ანგელოზის.

თვალგაშტერებული შეჰყურებდა ესმა, თითქოს მისი თვალებით ჩანთქმა სურდა. მის სახეზეც თითქოს სარკეაო, მაშინვე აისახა ისეთივე ღიმილი, რომელსაც თან განცვიფრებაც ერთვოდა, ძალიან დიდი განცვიფრება. მერე ცრემლიც ჩამოუგორდა სახეზე.

ხელებით საწოლის თავს დაეყრდნო, ზედ თავი დადო და ჩუმად ასლუკუნდა, ოდნავადაც არ გაუწევია წინააღმდეგობა ცრემლების ღვარისთვის, ერთბაშად რომ მოასკდა. გამოცდილებით იცოდა: ეს იყო უკანასკნელი საზღაური სიმშვიდის მოსაპოვებლად. ესმამ უკვე აიარა უსასრულო აღმართი, ახლა ვაკე იწყება. ქარიშხალი ჩადგა, სიწყნარის ჟამმა მოაწია. ცრემლმა ქარიშხლის ნაკვალევი უნდა გადარეცხოს.

დილით ესმამ ბავშვთა სახლში დაპირა დარეკვა, აკრიფა კიდეც ნომერი და მერე გადაიფიქრა. ერთი-ორი ღამით კიდევ იყოს ჩემთან ეს პაწაწინაო. როგორ მიშველა, როგორ მომაწესრიგა, იქნებ მართლა რამე ამეტეხა საკუთარი თავისთვისო. მადლიერი თვალით შეჰყურებდა ესმა პაწიას. როცა იქნე-

ბა, ესმა შეძლებს, როგორმე თავი დააღწიოს ამ კოშმარს. ადამიანის ცხოვრება მდინარესავითაა, არასოდეს არ დგას ერთ ადგილას. ხან აჩქარდება, ხან მდოვრდება, ხანაც ღვარცოფად იქცევა, როგორმე უნდა გაუძლო და ეს ღვარცოფი გადაიტანო.

საბავშვო სახლის ნაცვლად საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ბიუროში დარეკა ესმამ, ძიძა ითხოვა. დაახლოებით ნახევარ საათში სასიამოვნო გარეგნობის შუახანს მიტანებული ქალი გამოცხადდა. ანიკო მქვია, კარებშივე აცნობა. ესმამ სიამოვნებით მოისმინა ანიკოს სიტყვები, ნუ გეშინია, არხეინად წადი სამსახურში, შენს პაწიას ცივ ნიავს არ მივაკარებო. რაღაც ახალი განცდა გაუჩნდა, თითქოს რაღაც აკლდა და ახლა აივსო, მთელი დღე არ მოსცილებია ეს განცდა. სიამოვნებით იღიმებოდა, როცა წარმოიდგენდა, თუ როგორ ეძინა პაწიას მის საწოლში და შეუცნობლად უღიმოდა ვიღაცას, ამ შემთხვევაში ესმას... სახლში მისული, ჯერ ტანსაცმელიც არ გამოეცვალა, საჩქაროდ მიიჭრებოდა პაწიასთან, რათა ერთი კიდევ დაეხედა მისთვის. დაღამების აღარ ეშინოდა. დააძინებდა პაწიას, თვითონ საწოლის გვერდით ჩამოჯდებოდა და დააცქერდებოდა მის მშვიდ სახეს. თვალხარბად მომზირალი ესმა ისე ეწაფებოდა ამ სიმშვიდეს, როგორც დაჭრილი ნადირი დაეწაფება წყაროს ცივ წყალს. მართლაც წყალივით ილვრება მასში ეს სიმშვიდე.

და რა დიდი იყო მისი შეცბუნება, როცა ერთ დილას ვიღაც სამი ქალი დაადგა თავზე, ბავშვის თაობაზე გეახელითო. ესმა კუშტად შეეგება, ზარის ხმამ მისი პაწია გააღვიძა. რამდენი ხანია აპირებდა ადგილის შეცვლას ზარისთვის და ერთი ვეღარ მოაბა თავი.

— ამდენ ხანს სად იყავით? — უნებურად მოსწყდა ეს კითხვა.

— რა, თქვენ გგონიათ, სხვა საქმე აღარაფერი გვაქვს? — შემოუღრინა ჭოტივით თვალდაკუსულმა ქალმა, როგორც ჩანდა, უფროსმა ამ სამში. — ჩაგვაბარეთ ბავშვი, მალე, ახლაც ძლივს მოვიცალე აქ მოსასვლელად. ძალიან ცოტა დრო გვაქვს.

ესმა გაუნძრევლად იდგა და შეჰყურებდა: და ამ ჭოტმა უნდა მოუაროს მის პაწიას. უნდა უყუროს მის აუმღვრეველ, წმინდა სიმშვიდეს მისი ღიმილის ენითგამოუთქმელ სიცისკროვნეს. რაში სჭირდება მერე ეგეები ამ ჭოტისთვალებიანს... დაინახავს კი რაიმეს? ნეტავი რას ხედავს საერთოდ ეს უბედური. დავურეკე, სასწრაფოდ მოდით, უპატრონო ბავშვი ვიპოვე-მეთქი. ყურიც არ შეიბერტყა. კარგი, ვთქვათ, მე მოვუარე, ღვთის ანაბარა არ დამიტოვებია, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ისეთ ვინმეს ჩავარდნოდა ხელში, თავი არ შეეწუხებინა მისი მოვლით. ესმას ცივად გააჟრჟოლა ამის წარმოდგენაზე... უმეთვალყურეოდ მიგდებული უმწეო პატარა... უმწეობა, რომელიც ესმამ დაინახა და შეიგრძნო, როგორც კოლოსალური ძალის მეორე მხარე. და ეს სასწაული ამ საქმიანი ქალის ხელში ჩავარდნილი...

— უკაცრავად, — თქვა ესმამ, — დარეკვით მე დავრეკე, მაგრამ ის სხვა ბავშვია, ვიღაცამ წაიყვანა, ჩემთვის უცნობმა ადამიანმა. მე ჩემი შვილი მყავს.

სამი წყვილი თვალი ეჭვით მიაჩერდა ესმას.

— აბა, ერთი საბუთები გვიჩვენეთ.

— ამდენი ხნის დაგვიანებით საქმე გააფუჭეთ და ჩემზე აპირებთ ჯავრის ამოყრას?

ბოლოს და ბოლოს ჭოტების შემოტევა მოგერიებულ იქნა. მათ წაბრძანების მერე ესმა დიდხანს ვერ დამშვიდდა. „მირჩევნია ძუ მგელს ჩავაბარო ბავშვი, ვიდრე ამ ჭოტებს ჩავუგდო ხელში“. იმეორებდა და ხელებს ისე გამწარებით იფშვნეტდა, თითქოს ვიღაცასთან საჭიდაოდ ემზადებაო. ამ წუთებში ესმა არც ამის წინაშე დაიხევდა უკან, კინწისკვრით გაჰყრიდა გარეთ იმ სამეულს. ძალღონის საოცარ მოზღვავებას გრძნობდა მთელ სხეუ-

ლში. „ძუ მგელიც გაზრდის ბავშვს, ყოფილა ასეთი შემთხვევებიც. ძუ მგელსაც ათვინიერებს ამ პაწია სოიცრების უმწეობა და ღიმილი, მხოლოდ ამ საქმიან ჭოტებს არ ემველებათ არაფერი. მთელი სიცოცხლე ჭოტებად დარჩებიან. სიცოცხლით კი, იცოცხლე დღეგრძელნი არიან ჭოტები. მაგათ რა მოკლავს, რა მოერევა".

მაგრამ საბუთების ხსენება ხიწვივით ჩარჩა გულში ესმას. გადაწყვიტა ამ საქმისთვის მოევლო, რათა ვინმეს ასე არხეინად არ შეძლებოდა მის პაწიაზე ენის მოქავება. სულ რაღაც ორიოდე კვირაში მოაგვარა ყველაფერი. არავინ არ კითხულობდა ამ პაწიას, ამიტომაც დიდი წინააღმდეგობა არსად არ შეხვედრია. პატარ-პატარა საჩუქრების შემდეგ ამოქმედდა კანცელარიული აპარატი, რომელმაც ეს პაწია მის ღვიძლ შვილად აღიარა.

ორიოდე კვირაც არ გასულიყო, რაც ესმა კანცელარიულ წვრილმანებს მორჩა, როცა ერთ მშვენიერ დღეს მის პაწიას ისევ დაუფრთხო ძილი ზარის ხმამ. ესმა საჩქაროდ გაქანდა კარებისკენ, თან თავის თავს წყევლა-კრულვა შეუთვალა, რომ ამდენ ხანს ვერ მოაბა ამ საქმეს თავი და ეს უხეირო ზარი ვერ გამოცვალა. ამ ფიქრებით ისე იყო შთანთქმული, ხეირიანად არც კი შეუხედავს, თუ ვინ რეკავდა ზარს. როცა კარი გააღო, კინაღამ ჰკითხა, რა გნებავთო.

როცა იცნო, ჩუმად მიდგა გვერდზე. „შემოდი". ძლივს ჩაილაპარაკა.

შემოვიდა...

ესმა ხმაამოუღებლად იდგა, უნდოდა ეგრძნობინებინა, თუ რა გაბრაზებული იყო. რამდენხანს ელოდინა, არც დარეკა, არც შემოუთვალა რამე... სრულებითაც არ ენაღვლება, ესმა მის ლოდინში ჯავრისგან კვდება თუ მიახლის თავს. ალბათ გულში ხარხარებს კიდეც მსგავსი სურათის წარმოდგენისას. ეს უკვე აბუჩად აგდებაა, ამის ადვილად პატიება აღარ შეიძლება...

ასე ფიქრობდა ესმა, თან იმასაც აკვირდებოდა, რომ თავს რაღაც მ[illegible] მშვიდად და არხეინად [illegible]ნი უწინდელივით არ [illegible]დეს ელეთ-მელეთი გაზულუქებული ვაჟბატონის დანახვაზე. ოღონდ ერთი მისი ხმა გაეგონა, ოღონდ ხელი მოეხვია მხარზე, იმწამსვე უკვალოდ ავიწყდებოდა მისგან მიყენებული ყოველგვარი ტკივილი და წყენა. რა გაბრაზებულიც არ უნდა ყოფილიყო ესმა, როგორც არ უნდა შეემზადებინა საკუთარი თავი წინასწარ, ახლა კი მაგრად დავხვდებიო, მისი ხმის ბგერაც კი ისე გაფანტავდა მთელ „წინასწარ მზადებას", როგორც ძლიერი ქარი გაფანტავს ბზის ულონო გროვას.

თან აკვირდებოდა, თან ახარებდა ესმას თავის თავში მომხდარი ცვლილება. ის კი... მგონი არაფერი უგრძვნია, არ შეუმჩნევია მასში მომხდარი ცვლილება. ვერ ამჩნევს, რომ ახლა ფხიზელი, დინჯი თვალებით შეჰყურებს, რაც აგრერიგად განსხვავდება წინანდელი, შიშით და მღელვარებით სავსე გამოხედვისგან. ანდა რას შეამჩნევს საკუთარ ცხვირს იქით ვეღარ იხედება. მამაკაცური გულუბრყვილო ეგოიზმის სრული ხორცშესხმა: შემომხედე, ეს მე ვარ, მე... უფლებას გაძლევ გიყვარდე. რაღა გინდა ამაზე მეტი?

— გაბრაზებული ხარ ჩემზე?

— გაბრაზებული? რისთვის?

— იმ დღეს რომ...

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ...

მგონი რაღაც იგრძნო, ხელი მოაცილა მხრიდან და დაკვირვებით შეხედა.

— გეფიცები, არ შემეძლო.

— ცხადია...

— ვერც დაგირეკე, ვერ მოვიცალე, იმდენი საქმე მქონდა...

— რა საჭიროა ამდენი ახსნა-განმარტება...

— სამაგიეროდ, დღეს საღამომდე თავისუფალი ვარ.

— ნუთუ?

— ჰმ... თუ გინდა, სადმე გავიაროთ.

— ახლა მე აღარ მცალია.

ესმამ ბავშვზე ანიშნა, რომელიც

მას აქამდე არ შეუმჩნევია, „რას შეამჩნევს, საკუთარ ცხვირს იქით ვეღარ იხედება“.

— ეს რაა... ბავშვია?

— როგორც ხედავთ...

— შენია?

— ოჰ, ღმერთო ჩემო, — თეატრალურად ამოიხვნეშა ესმამ.

— ჰო, მართლა, გამახსენდა. ქვეყნის გადაუდებელი საქმე მაქვს. აბა, დროებით... როცა მოვიცლი, აუცილებლად დაგირეკავ.

— რა თქმა უნდა, აუცილებლად დარეკავ.

კარები მაგრად მიაჯახუნა ესმამ, მერე ისტერიული სიცილი აუვარდა. თავს ძლივს იმაგრებდა, ხმამაღლა არ ახარხარებულიყო და ბავშვი არ გაეღვიძებინა.

— ღმერთივით ყოვლისშემძლე ყოფილხარ, — მძინარე ბავშვს წაუჩურჩულა ესმამ, როცა ძლივს სული მოითქვა, სიცილისგან მოგვრილი ცრემლი სახეზე შეჰყინვოდა. — ნამდვილი ღმერთი ხარ, ეს რა შემაძლებინე. რას წარმოვიდგენდი, თუ ამდენს მოვახერხებდი ოდესმე. მისი დანახვისას მთელი სხეული მერღვეოდა, თითქოს ბამბის ძაფით ვიყავი დაბლანდული.

ბავშვმა გაიღვიძა, ტირილით ამცნო მას ეს მნიშვნელოვანი ამბავი. რა გატირებს, სულო? გამოეხმაურა იმწამსვე ესმა. ალბათ მზეს ღრუბლები მოეფარა... აბა როგორ გინდა, სულ მუდამ დარი ხომ არ იქნება, ხანდახან წვიმაც მოდის... მოდის და მერე როგორ. აბა, მოდი ჩემთან, უნდა ვიჭყუმპალაოთ მე და შენ. მერე საჭმელს მოგიმზადებ.

ბავშვის მოვლა ადვილი არასოდეს არ ეჩვენებოდა ესმას. იქნებ ვერც ვერასოდეს შევძლოო, ასე ფიქრობდა, როცა სხვებს შეჰყურებდა მორიდან. მართლაცდა, არც ისე ადვილი იყო, ათასგვარი წვრილმანი საზრუნავი ეხვია მუდამ თავს, მაგრამ პაწიას სარკესავით ნათელი, გულუბრყვილო და მომხიბვლელი ღიმილი ერთი ასად ანაზღაურებდა ყველაფერს. თანდათან მოიზარდა ესმას პაწია, აზრი აუკიაფდა თვალებში, და ეს აზრი ისეთივე წმინდა და ნათელი იყო, როგორც ნამის წვეთში აციაგებული მზის სხივი. ესმა ასე თვლიდა: თუ ეს ღიმილი მე მეკუთვნის, ეს უფრო მეტიცაა, ვიდრე ჩემი ღვაწლია. „მე ვალში ვარ შენთან“, წაუჩურჩულებდა ხოლმე პატარას, „შენ უფრო მეტს მაძლევ, ვიდრე მე ვცდილობ შენთვის“. თანაც დღითი დღე უფრო და უფრო ლამაზდებოდა ეს პატარა ეშმაკუნა, პირდაპირ მთვარესავით ივსებოდა და მშვენდებოდა.

მალე პაწიამ ფეხიც აიდგა, სასაცილოდ მიბაჯბაჯებდა ესმასკენ, ისიც ხელგაწვდილი ელოდა: აბა, მოდი სულო, ერთი-ორი... ნუ გეშინია, ფეხი მაგრად დაადგი მიწაზე... იცი რამდენ რამეს უძლებს ეს დალოცვილი მიწა? შენც გაგიძლებს, მიწას არ დაამძიმებ... აბა, ერთი კიდევ ვცადოთ... არა უშავს, რა გატირებს, სულელო? როცა დაეცემი, ტირილი არ უნდა მორთო. უნდა წამოხტე და გზა გააგრძელო, ასეა ჩვენი ცხოვრება მოწყობილი. აი ასე... ყოჩაღ. ახლა უკვე ქვიშაზე სიარულსაც შევძლებთ. ზღვის პირას გავისეირნოთ, ჩემო სიხარულო...

ზღვაში ბანაობასაც შეაჩვია ესმამ თავისი პაწია. პირველად პატარა, მწვანე ტაშტში ჩაუყარა მზის სხივებზე გახურებული კენჭები და ამგვარად შემთბარ წყალში აბანავა, მერე ნელნელა თვით ზღვის პატარა ტალღაშიც გააგორა. ტალღები მაინცდამაინც არ სიამოვნებდა პატარას, ისე ხმამაღლა მორთავდა ჭყივილს; აბა, სწრაფად მოუსვი მკლავი და ფეხები. — გულდინჯად არიგებდა ესმა.—სწრაფად, სწრაფად, ზღვის წყალსაც უნდა შეეჩვიო. მთელ ზღვას ხომ არ გაგითბობენ. ა.

ასე, კიდევ უფრო სწრაფად. უნდა შეეჩვიო, უნდა გამაგრდე. ამოხვალ თუ არა ზღვიდან, მაშინვე გათბები მზის სხივებზე, ნახე, როგორ გიცინის მზე... ოქროს ბილიკს გიფენს ფეხქვეშ. თავისთან გეპატიჟება, შენთან თამაში უნდა. არა, მზეო, არა, შენთან ვერ გამოვუშვებ ჩემს პაწიას. შენ თვითონ მოდი მასთან. ორივემ ერთად ირბინეთ ამ ოქროსფერ ბილიკზე. ეს თქვენთვისაა, ორივესთვის. ჩემი სიყვარული არ ჩაიძირება ზღვაში, შენთან ერთად ირბენს ამ ოქროსფერ ბილიკზე.

ყოველთვის ჭრელი ხალხი ირეოდა პლაჟზე. ესმა თითქოს ვერავის ვერ ამჩნევდა, იმდენად იყო შთანთქმული თავის პაწიასთან თამაშით და მუსაიფით. მხოლოდ ერთი ქალი ეჩხირებოდა თვალში უსიამოვნოდ. ზღვის პირას გაფენილ ჭრელ ფარდაგზე იწვა ხოლმე, იქ სადაც ზღვა და ხმელეთი ჰკოცნიდნენ ერთმანეთს... ესმაც ასე იქცეოდა, რაც შეიძლება ზღვასთან ახლოს ირჩევდა ადგილს, ნამიან ქვიშაზე ჩაიმუხლებდა ხოლმე, ტალღები ქამიდანქამს უწვდენდნენ წინწკლებს. იმ ქალს ერთხელაც არ შემოუხედავს მისთვის ჯიქურ, მაგრამ მის შეუნელებელ ყურადღებას ყოველთვის აშკარად გრძნობდა ესმა. კარგად იცოდა, რომ ვერაფერს ვერ გამოაპარებდა, მიუხედავად იმისა, რომ კინკრიხომდე იყო საკუთარ თავში ჩაფლული, საკუთარ ცხვირს იქით არაფრის დანახვა არ უნდოდა. მზის სხივებისგან დამცავ კრემს ისე ისვამდა, თითქოს საკუთარ სხეულს ეფერებაო. რომ შესძლებოდა ალბათ ასევე ამოხაპავდა მთელ ზღვას და წაისვამდა თეძოებზე, ისე რომ ერთ გრამსაც არ დაუტოვებდა ესმას და მის სიყვარულს...

თვითონაც არიდებდა იმ ქალს თვალს, თუმცა ყოველთვის ფხიზლად კი იყო. თუ მისი პაწია სიხარული, თამაშობაში გართული, ცოტად თუ ბევრად მიუახლოვდებოდა ჭრელ ფარდაგს, ესმას მღელვარება იპყრობდა. მაშინვე შესძახებდა, ჩემთან მოდიო. ისიც, პაწია ანგელოზი, მაშინვე მისკენ გამორბოდა თავისი ფუნთუშა ფეხ[illegible]ხისვამდა კალთაში, დღე[illegible], წაუღლაპარაკებდა და მასთან ერთად დამშვიდებით უჭვრეტდა ზღვას.

იმ საღამოს ზღვა რაღაც განსაკუთრებულად წყნარი იყო, მისი მოსარკული ზედაპირი სულ ოდნავ ხუჭუჭდებოდა ნაპირებთან. ვარდისფრად აბრდღვიალებულ ცაზე ღრუბლის ერთი ფთილაც არ ჭაჭანებდა. მზე ენთო დიდი, ბრიალა თვალივით. დაუბრკოლებლად მიცურავდა ზღვასთან შესახვედრად. ესმა იჯდა მზით გამთბარ ქვიშაზე. იქ, სადაც ზღვა და ხმელეთი ჰკოცნიდნენ ერთმანეთს. კალთაში თავისი პატარა სიხარული ეჯდა, თითებით ფრთხილად ევლერსებოდა მის ლუნლულა თავს და თვალწინ გადაშლილი მშვენიერი სანახაობით ტკბებოდა.

მზის ბრიალა თვალი ნელნელა მიუახლოვდა ზღვას, ცეცხლოვანი კიდით შეეხო და ოქროსფერი ბილიკი მოისროლა ლაჟვარდოვან, ოდნავ მერწევ ზედაპირზე. მისი დანახვისას ესმას ჩვეული ფიქრები აეშალა: ოქროსფერი ბილიკი, გზა ზღაპრული სამყაროსკენ, სინათლის სამყაროსკენ... გზა, რომელიც ყველასთვისაა, ყველას ერთნაირად ეკუთვნის... თანაც ჯერ არასოდეს არ მინახავს ასე მკვეთრად გამოხატული ეს ოქროვანი ბილიკიო, აღნიშნა ესმამ გულში. ისე მგონია, მართლა შეიძლება მასზე სიარული. ალბათ ასე იმიტომ ჩანს, ამინდი ძალზე წყნარი რომაა, მზის სხივებს წინ არაფერი ელობება...

უეცრად ბავშვმა თავი გაინთავისუფლა ესმას ხელებისგან, წამოდგა და ზღვისკენ გადაადგა ნაბიჯი. ესმას წინაალმდეგობა არ გაუწევია. შეიძლება ერთხელ კიდევ იბანაოს, სანამ მზე არ ჩასულაო, იფიქრა... მაგრამ პაწია, როგორც ჩანს, არ აპირებდა ბანაობას. მან ორიოდე ნაბიჯი კიდევ გადაადგა და ესმას წინ შეჩერდა. ზღვის ხუჭუჭა ქაფი ლამის ეხებოდა მის ფეხებს. ესმას ანაზდად თვალები ისე გაუფართოვდ-

ნენ, თითქოს ქუთუთოების მიღმა აპირებდნენ გადმოცოცებას: ბავშვი ხომ მასა და მზეს შუა ჩადგა, წესით მზე უნდა მოეჩრდილა მისთვის. პირიქით, ბავშვის სხეულის მიღმა ისევ დაინახა ესმამ მზე, დაინახა კიდევ უფრო ბრწყინვალე, უფრო ბრიალა და ცეცხლისფრად განფენილი, ვიდრე ოდესმე ენახა. თვით ოქროსფერი ბილიკიც დაუბრკოლებლად დაინახა ესმამ, უჩვეულო ძალით აბრდღვიალებულ, საოცრად დიდ მზეს უერთდებოდა ამ პატარა ფიგურის მიღმა.

მზის სხივების სითბოსაც აშკარად გრძნობდა ესმა, გრძნობდა როგორ ელამუნებოდნენ ბავშვის სხეულში გაცრილი ოქროვანი სხივები... ზღაპრულად მოელვარე თბილი ათინათი მოეფინა მათგან.

ხმაამოუღებლად შეჰყურებდა ესმა თავის პატარა სიყვარულს და მზეს, ერთმანეთში ჩამდნარს. მას არაფერი არ გაკვირვებია, არც ეუცხოვა რაიმე, მხოლოდ და მხოლოდ მოიხიბლა ამ მართლაცდა ლამაზი, მიმზიდველი სანახაობით.

ამ დროს ესმამ ვიღაც სხვა თვალის მზერაც იგრძნო. მიიხედა, ის ქალი დაინახა, ჭრელ ფარდაგზე მოკეცილი, დაჟინებით შემოჰყურებდა.

ესმა შეაკრთო ამ ჯიქურმა შემოხედვამ, როგორც ჩანს, ამ ქალმა ყველაფერი დაინახა, დაინახა საოცრად დიდი ბრიალა მზე, ესმას პატარა სიყვარულის სხეულში გაცრილი, მისგან მოგვრილი უჩვეულოდ ელვარე ათინათი, რომელიც მთელ სხეულზე მოეფინა ესმას და ასე საამოდ მოელამუნა. ყველაფერი კარგად დაინახა, არაფერი გამოპარვია...

და ესმამ ხელები გაიწოდა ბავშვისკენ, თავისკენ მოუხმო: „მოდი ჩემთან, ჩემო სიხარულო... უკვე გვიანაა, ბანაობას სხვა დროსაც მოასწრებ".

ბავშვი გამგონედ მოტრიალდა, მივიდა მასთან და კალთაში ჩაუჯდა. სანამ მზე არ მიიმალა, გაუნძრევლად იჯდა ესმა, თითებით ეფერებოდა პაწიას ღუნღულა თავს. მერე ჩუმად გაპარა თვალი „იმ ქალისკენ". ისევ [illegible] ცვლელად იჯდა ზღვის პირას, სადაც ზღვა და ხმელეთი ჰკოცნიდნენ ერთმანეთს, და ისეთი სახით გაჰყურებდა ზღვას, თითქოს სხვა არაფერი აინტერესებს ამქვეყნადო.

მერე ასევე ჩაეძინა, მკლავებზე თავჩამოდებულს.

ესიზმრა, ვითომ ზღვის პირას დასეირნობდა თავის პატარა სიყვარულთან ერთად. მზე ჩასვლას ეპირებოდა, ოქროვანი ბილიკი იყო გაფენილი ზღვის მერწყევ ზედაპირზე. ესმა ნათლად ხედავს მზის დიდ, ბრწყინვალე ბადროს მისი პაწიას სხეულის მიღმა... ზუსტად ისევე, როგორც ცხადში იხილა. სულ ერთიანად ბრიალებს პატარა სხეულში გავლილი მზე, ესმა იმ მზის სხივების სითბოსაც გრძნობს მთელ სხეულზე, ოღონდ ცხადისგან განსხვავებით, ნამიან ქვიშაზე როდი დგას ესმას პაწია სიყვარული. არა, იგი თვით იმ ოქროვან ბილიკზე შემდგარა, მზეს რომ გაუფენია ცის დასალიერამდე.

— ნუ, ჩემო სიყვარულო, — ეუბნება ესმა და მისკენ იწვდის ხელებს. — ნუ მიუახლოვდები მზეს. დაგინახავენ, წამართმევენ შენს თავს.

ესმას პაწია სიყვარულმა, გაიგონა მისი ნათქვამი, მაგრამ მისკენ არ გამოქცეულა. ისევ ისე დგას იმ მერწყევ, ოქროვან ბილიკზე, შეჰყურებს ესმას და უღიმის, უღიმის იმ მიმნდობი, მშვიდი ღიმილით, რითაც სულ თავიდანვე მოაჯადოვა იგი. ესმა იმასაც ამჩნევს, რომ მის პაწიას, ამ საოცარ ბავშვს, სათუთი უმწეობის და სასოების გვერდით, რაღაც სულ სხვა, სრულიად ახლებური გამომეტყველება შეჰმატებია. ესმასთვის დღემდე უცნობი, მუქი ჩრდილები ჩაჰფენია თვალებში, რაც მის სახეს ნაღვლიან იერს აძლევს. თითქოს ბავშვსაც აღარ ჰგავს; ეს მუქი, ნაღვლიანი ჩრდილები ხანმოთეულ ადამიანს ამსგავსებს, რომელმაც გაიარა ადამიანური ცხოვრების, ტანჯვის და მწუხარების ყოველი ბილიკი, იტვირთა

ყველაზე გაუსაძლისი ტკივილი, რაც კი შეიძლება იტვირთოს ძე-ხორციელმა. მოდი ჩემთან, ჩემო სიყვარულო, თორემ წამართმევენ შენს თავს... ამაოდ იწვდის მისკენ ხელებს ესმა. ბავშვი არ იძვრის ადგილიდან, უხმოდ შეჰყურებს ესმას ტკივილნარევი, ნათელი ღიმილით.

მაშინ ესმამ თვითონვე შედგა ფეხი ოქროვან ბილიკზე. ხელებგაწვდილი მიეშურებოდა მისკენ, სწრაფად ადგამდა ნაბიჯებს მერწევ, ოქროვან გზაზე... მაგრამ უცნაური იყო, ერთი გოჯითაც ვერ მიუახლოვდა, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს თავიდანვე ძალიან ახლოს იყო მასთან, სულ ახლოს... და თვით ესმაც დიდი მონდომებით და ძალისხმევით მიილტვოდა მისკენ...

კიდევ უფრო დაატანა თავს ძალა ესმამ, რათა ნაბიჯი უფრო აეჩქარებინა. ახლა იგი კი არ მიდიოდა, მირბოდა იმ ოქროვან ბილიკზე. უფრო სწორად, უდიდესი სურვილი ჰქონდა ამისი, მაგრამ ვერ შეძლო. პირიქით, რაც უფრო მეტი მოინდომა, მით უფრო დაუმძიმდა ნაბიჯი. უკვე სიარულსაც ვეღარ ახერხებდა კიდურები. ტყვიასავით დაუმძიმდა მთელი სხეული, ოდნავადაც ვერ მიიწევდა თავისი სიყვარულისკენ, რომელიც იმავე ადგილას იდგა იმ ოქროსფერ ბილიკზე, ასე ახლობელი და თან მიუწვდომელი. შეჰყურებდა ესმას უმწეო ბავშვის და ხანიერი მოხუცის ერთმანეთში ათქვეფილი, ნაღვლიანი მზერით... თან რა საოცარი ძალით ენთო მის სხეულში გავლილი მზე, სულ უფრო და უფრო მეტი სხივმოსილებით ენთებოდა, კოცონივით გიზგიზებდა. ესმა უკვე თვალსაც ვეღარ უსწორებდა მის ცეცხლოვან ბრიალს... თან ახლოსაც ვერ ეკარებოდა, ვერა და ვერ მიუახლოვდა, თუმცა მეტისმეტი ძალისხმევისგან უკვე კრუნჩხვები უვლიდა ტყვიასავით დამძიმებულ სხეულში...

ბოლოს ერთი ძლიერი შეკრთა,.. და გამოეღვიძა.

ისევ ცეცხლოვანი მზე ბრიალებდა მის თვალებში, ღია ფანჯარაში შემოჭრილიყო მისი ნათელი. წამომხტარი გაერკვა, ისევ სიზმარში ეგონა თავი; „მოდი ჩემთან, ჩემო სიხარულო", ხმამაღლა მოუხმო და მისკენ გაიწოდა ხელები.

[library stamp]

როცა საბოლოოდ გამოერკვა და საწოლს დახედა, იქ ვეღარ დაინახა თავისი პაწია. თვალები მოიფშვნიტა ესმამ, ისევ ხომ არ მძინავსო. ისევ ცარიელი საწოლი დაინახა, ფაქიზად გასწორებული, საფენგადაფენილი, თითქოს არც არავინ წოლილიყო მასში...

* * *

...თავის აღთქმულ ქვეყანას, ზღვას მიაშურა. იქაურობა ახლაც ხალხით იყო გაჭედილი. ყველაფერი ისევ ისეა, თითქოს არაფერი მომხდარა, არაფერი შეცვლილა. მხოლოდ ესმას გვერდით აღარ მობაკუნობს მისი პაწია სიხარული... ის ქალიც ისევ ისე გაწოლილა ჭრელ ფარდაგზე იქ, სადაც ზღვა და ხმელეთი ჰკოცნიან ერთმანეთს. ლურჯი ფერის ფლაკონიდან დაზეთილი თითებით იღებს კრემს და მზემოკიდებულ სხეულზე ისვამს, ისვამს ისე, თითქოს საკუთარ თავს ეფერებაო. რომ შეიძლებოდეს მთელ ზღვასაც ასევე ამოხაპავს და თეძოებზე წაისვამს, ისე რომ ერთ წვეთსაც არ დაუტოვებს არავის...

ესმა მივიდა, თვითონაც მის გვერდით დაწვა სახით ზღვისკენ. ლურჯ, მშვიდ ტალღებს სულ ახლოს გაჰქონდათ დგაფუნი. გრილი წვეთები ჟამიდანჟამს სახეზე ეფრქვეოდათ ორივეს.

— რატომ წამართვი სიხარული...

— მე მეუბნებით? — თავი გაოცებით მოატრიალა ქალმა.

ჰმ, მე მეუბნებით, როგორ გაიკვირვა, აბა, ვის უნდა ვეუბნებოდე.

— არაფერს არ დავიტოვებ, სულ შენი იყოს, რაც გამაჩნია. ოღონდ დამიბრუნე ჩემი საყვარელი პაწია, ჩემი შვილი...

— ხომ არ გაგიჟდი, ჩემთან რა უნ-

და შენს პაწიას, არც კი ვიცოდი, თუ შვილი გყავდა.

— იცოდი, იცოდი... შორიდან გვითვალთვალებდი. იმ დღესაც დაინახე, როცა მზეს მოეფარა ჩემი სიყვარული და მზე არ მომიჩრდილა, დაინახე მასში გაცრილი დიდი, ბრიალა მზე...

— ვთქვათ, დავინახე. მერე რა? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, თითქოს მის წართმევას ვაპირებდი...

— კი არ აპირებდი, წამართვი უკვე...

— რისთვის? რა მიზნით...

— შეგშურდა ჩემი... დავუშვათ, ის ჩემი ღვიძლი შვილი არაა, მის გაჩენაზე ტკივილები არ განმიცდია, მაგრამ ეს გრძნობა, რომლითაც მე იგი მიყვარს, ხომ ჩემში დაიბადა? სიყვარულის დაბადება კი ხორციელ მშობიარობაზე უფრო ადვილი ნუ გეგონება. მე ღვიძლ დედაზე ნაკლებად არ მეკუთვნის ჩემი პაწია. ამ ცის ქვეშ არ არსებობს ტკივილი, რომელზეც უარს ვიტყოდი, ოღონდ ისევ მომაკუთნებდეს ჩემს გვერდით, ოღონდ ისევ შემომცინოს თავისი მიმნდობი, ნათელი ღიმილით. როცა იღიმება, ასე მგონია მთელი სამყარო მე მიცინის მაშინ. ის ხომ ნამდვილი ანგელოზია, მის ჰუჰყიან საფენებს ია-ვარდის სურნელი ასდიოდა, სულაც არ მეზიზღებოდა მათი რეცხვა, პირიქით... ნეტარება იყო ჩემთვის მისი სამსახური. როცა ხელში ვიყვანდი, წონა სრულებითაც არ ჰქონდა, თითქოს ჩიტის ბარტყი დამაფრინდა მკლავზე...

— ნამდვილად გიყია, ეს უბედური. — ჩაილაპარაკა ქალმა და ზიზღით მიაბრუნა თავი.

ესმა გველნაკბენივით შეკრთა, ისეთი გულისგამყინავი სიცივე და აბუჩად აგდები სიძულვილი იგრძნობოდა ამ ნათქვამში. მიხვდა, ამ ქალს სულ არაფრად, ფრჩხილის ნაკვნეტადაც არ ულირდა არც თვითონ, არც მისი პაწია სიყვარული...

— უბედურიო? — წამოიძახა გააფთრებით. — თან გიჟადაც მთვლი, არა? მაგრამ შენ რომ ჩემზე უბედური ხარ, თუ ატყობ ამას? სულ — ნამცეცი, უგულო არსება, რომელიც ამქვეყნად ვერაფერს ამჩნევს საკუთარი ტკივილების გარდა... შენ ხომ მარტო სხეულით არ ხარ ბერწი, შენ სულითაც ბერწი ხარ. შენში არასოდეს არ დაიბადება ისეთი სიყვარული, რომელიც მზეს არ მოგიჩრდილავდა, პირიქით, მასზე მეტიც იქნებოდა სხივმოსილებით. შენ ვერც საკუთარ შვილს გააჩენ, ვერც სხვის შვილს შეიყვარებ. ბერწი სული ვერაფერს შობს, მხოლოდ შური და ბოღმა შეჭამს.

ამის გაგონებაზე ქალმა თავი მოაბრუნა, ესმამ დაინახა, რა დაუნდობელი გაბოროტებით აენთო თვალები. უფრო კი იმან შეაძრწუნა, რომ საკუთარი სახე დაინახა იმ თვალებში არეკლილი, და ეს სახეც ორი წვეთი წყალივით ჰგავდა თვით იმ ქალის სახეს, გამომეტყველებაც კი ერთნაირი ჰქონდათ, მასავით ბოღმით და მძულვარებით იყო დაღმეჭილი და დასახიჩრებული. შეშინებულმა ესმამ თვალები დახუჭა...

— ამბობ შეგშურდაო. — მოლტივით გაისისინა ჰაერში ქალის ხმამ. — მაგრამ შენ... შენ არავისთვის არაფერი არ გშურს, არა? ერთი ამას დამიხედეთ, თავი ანგელოზად და წმინდანად რომ მოაქვს. განა შენ არაფერი არ გენანება სხვისთვის? ისიც კი ვერ აიტანე, შორიდან დამენახა შენი სიხარული, შორიდან მეყურებინა, როგორ ბრიალებდა მის სხეულში გაცრილი მზე. მაშინვე თვალს მოაფარე, დამალე ჩემგან. არადა, რა იცი, როგორ მჭირდებოდა მე თვითონ ის ნათელი ხილვა, შენ ასე უხვად რომ ტკბებოდი. შენ მხოლოდ შენთვის გინდა მზის ნათელი, მისი ყოველი სხივი, გინდა სადმე მყუდრო ადგილას ჩაჰკეტო, რათა არავის თვალი არ მისწვდეს. ერთი მითხარი, ეს რითაა შურზე უკეთესი...

— მერე, მაგისთვის მსჯი ასე მწარედ? — თვალგაუხელელად წაიჩურჩულა ესმამ.

— ...რატომ არ მიჰყევი როცა სინათლის ბილიკზე მიგიხმო? შეგეშინდა,

ვინმეს არ დაენახა შენი სიხარული, მასში გაცრილი საოცრად სხივმფინარი მზე... შენ ვერასოდეს ვერ მიჰყვები მის ნაკვალევს, ვერასოდეს ვერ ივლი იმ სინათლის ბილიკზე. საცოდაობაა მშიშარა ადამიანის სიყვარული...

— გაჩუმდი, წუღარაფერს მეტყვი, — შეეხვეწა ესმა და ხელები აიფარა ყურებზე. მაგრამ ხმა ისევ სისინებდა;

— ...შენ გინდა, მუდამ თვალებში შემოგცეცინებდეს, მაგრამ ის ხომ თვალს მიეფარება ხოლმე ხანდახან. ასე ძალიან რატომ გეშინია სიბნელის... შენ იმ ბუხარს ჰგავხარ, რომელიც იმ წუთშივე ცივდება, როგორც კი ცეცხლი ჩაქრება. მზეს შენთვის სინათლე არ ენანება, მაგრამ შენს სულში ჩაყინული სიცივე და სიცარიელე ბნელად აქცევს მისგან მიღებულ ნათელს. მერე კი თვითონვე იტანჯები, ალარ იცი, ვის დააბრალო საკუთარი უბედურება. მთელი სამყაროს მზეები რომ გაერთიანდნენ ერთ სხივის კონად, ისიც კი ურგებია შენთვის. ვერავინ ვერ გიშველის, ვერავინ...

— გაჩუმდები თუ არა, — წამოიყვირა ესმამ და ხელები [illegible] გაშალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდოდა პირზე აეფარებინა ამ ქალისთვის ხელი, იქნებ როგორმე გაეჩუმებინა.

მხოლოდ გრილი ტალღა გადაევლო ხელებზე...

ესმამ თვალები გაახილა. მის გვერდით ლურჯი, ცარიელი ფლაკონი ეგდო, ზღვის ღელვა საგრძნობლად მომატებულიყო.

ცისკიდურს ვარდისფრად გაჰქონდა ლაელაყი. მზის ბრიალა თვალი დაუბრკოლებლად მიიწრაფვოდა ზღვასთან შესახვედრად. ლაჟვარდოვან ზედაპირზე გაფენილი ოქროვანი ბილიკი ჩვეულებრივზე უარო მეტად იბურცებოდა და ირწეოდა. ესმამ უკან დაიხია. გამოერიდა ზღვის მომძლავრებულ ტალღებს. ამ ოქროვან ბილიკზე სიარული ამჟამად უფრო ძნელი იქნება, ვიდრე სიწყნარის დროს, ფიქრობდა გულში, ჰო, ადვილი სულაც არ იქნება, თუკი საერთოდ შეძლებს ვინმე...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გიორგი გიგაური

ქართველ პოეტს გიორგი გიგაურს დაბადების 60 წელი შეუსრულდა. ჟურნალ „მნათობის" კოლექტივი და სარედაქციო კოლეგია ულოცავს ამ ღირშესანიშნავ თარიღს და უსურვებს შემოქმედებით წარმატებებს.

### უეშმაკო ფიქრი

1.

სამოცი წელი...
და სინანული
ვერ მიღწეულის,
ვერ დაძლეულის,
სტრიქონი სადღაც გადამალული,
გადაკარგული სიტყვა გრძნეული.
ფრთამოტეხილი ლექსის ფართქალი,
რომ უშინდება ამინდს ქარიანს, —
ჩემი ბრალია მდარედ ნათქვამი
და ვერ ნათქვამიც ჩემი ბრალია.

2.

ხან მეგობართა უთვლელი რიგი,
ხან ასკეტივით მარტოსულობა,
ერთი — ზღაპრების გაშლილი წიგნი,
სხვა — გაფიცული თავგასულობას!
ულამაზესი გუმანით ტკბობა,
ან უნაპირო ეჭვის გალია, —
ჩემი ბრალია ყველასთვის ნდობა
და უნდობლობაც ჩემი ბრალია.

3.

ზოგს ბოროტება მარწყვივით შერჩა,
ზოგს კი სიცილიც ექცა ვაებად,
მოსკდა მდუღარე ცრემლები ბეჩავს
და სინანულის ქსელში გაება.
დეე, შემინდონ ცრემლის მძივებმა,
იმათაც, ვინაც ვალში არიან, —
ჩემი ბრალია არ პატიება
და პატიებაც ჩემი ბრალია.

### მე შენით შევძელ

ლექსი მწამდა და დავგეშე შენზე,
როცა გიწამე,
გალაღდა რითმა,
სევდის მოთოკვა მე შენით შევძელ,
გულში ნაღები მე შენით მითქვამს.

სიამის წყარო დავლიე შენით,
ვკრიფე პირიმზე არაგვის პირას,
სიზმრის ახდენას კვლავ შენით ველი.
ამის გარეშე აბა მე ვინ ვარ...

ყვავილებს ბლოსას ვამღერებ შენზე
და დეკით მორთულ როშკის სანახებს,
მათ სულში წვდომა მე შენით შევძელ,
მათი სიმაღლე შენ დამანახვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ზამთარი

ხმელი ფოთლების ორომტრიალში
ყინვის მშვილდ-ისარს ველაქუცები,
დგანან ხეები თვალებწყლიანი,
დავრდომილივით წვანან ქუჩები.

შემოძარცვია ქათიბი ბაღებს,
მთრთოლვარე წიწვებს ჭირხლი
შერთვია,
ვხურავ ფანჯარას,
მძიმე კარს ვაღებ,
ზამთარში შიშველ ფეხით შევდივარ...

## მოგონებათა ჩეროში ვზივარ

მე შენ მიყვარდი მზის თანაბარად,
მეგონე ხატი სალოცავ ნიშის;
მწუხრმა კალთები გადმომაფარა,
საჩუქრად მერგო გესლი და შიში.

უსულგულობის ბურუსმა მძლია
და ჭუჭყიანი თოვლის სიცივემ;
მოგონებათა ჩეროში ვზივარ,
ჩავლილ დღეებზე მწარედ ვიცინი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბელა შალვაშვილი

## კვლავ თექვსმეტი წლისა ხართ...

რომეო და ჯულიეტა, ჯულიეტა-რომეო,
ერთმანეთის ტრფიალით დაიხოცეთ რომელნიც...

კვლავ თექვსმეტი წლისა ხართ, ვერც გახდებით მეტის
და თექვსმეტი წლისანიც ხართ მიჯნურთა მეტრი.

სიყვარული ძველდება, სიყვარული ახლდება
და... ნამდვილი ტრფობისთვის ყველაფერი ახდება.

ისიც კი აგიხდებათ, თუ გასჭვრეტეთ ოცნებით,
ტრფიალისთვის ტრფიალთან ერთად დაიხოცებით.

ამგვარ სიკვდილს მარადი ყოფნის მადლი აცხია,
სიყვარულით სიკვდილი თვით სიკვდილის მარცხია;

თქვენ იმგვარად იცოცხლეთ, გული რაზე დაგწყდებათ,
სიყვარულით სიკვდილი არს სიცოცხლის დაწყება;

ახლა... ვით წარმოიდგენ, გავლილია ეტაპი...
ხნიერია რომეო თავის ჯულიეტათი...

გავლილია თქვენს მერე საუკუნე ხუთი,
ხოლო თქვენი ხსენება არა წყდება წუთით;

არც შეწყდება, ცხადია, იქამომდე, ვიდრე,
ამაქვეყნად სიცოცხლე და სინაზე მკვიდრობს...

კვლავ თექვსმეტი წლისა ხართ, ვერც გახდებით მეტის
და თექვსმეტი წლისანიც ხართ ტრფიალის მეტრი!

## სათნოებას ჰბადებს

სიმწვანეა ირგვლივ გულის გასახარი, —
სიმწვანეში ძლივსღა ვხედავ ატენს,
დგას ასკილი, ვარდის შორი წინაპარი
და მიდამოს სინაზესა ჰმატებს.
არაფერი უჩვეულო არა ხდება, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასკილის ტოტს ანანავებს ქარი;
და ასკილი, ძალზე ცხადად მეჩვენება,
არის უფლის დანთებული კვარი.
არაფერი უჩვეულო არა ხდება,
მაგრამ ყოფნა მიხარია ერთობ...
მით უფრო, რომ ყვავილები — მიწის გზნება
მრავლისმთქმელად მოჰფენია ფერდობს...
და ყოველი არის გულის გასახარი,
ისიც, ქალი რომ მიდენის ბატებს,
რომ ასკილი, ვარდის წყნარი წინაპარი,
დგას და უზღვავ სათნოებას ჰბადებს.

## ვით მოვახერხო

უეცრად შეგხვდი... ძლივსღა მოვასწარ, —
მაღალ სართულებს მივაპყარ თვალი...
და უცებ ვიგრძენ — როგორ მოაწყდა
საფეთქლებს სისხლის მდუღარე ალი.
არ მოველოდი მე ამ შეხვედრას,
არც მოველოდი, არც მზად ვიყავი...
და წამიერი ერთი შეხედვა
დამატყდა როგორც შმაგი გრიგალი.
ვერ მოვემზადე ამ შეხვედრისთვის,
ან კი რა ძალა მომამზადებდა...
ჩანს ფუჭია და ერთობ ბედითი,
ამ დროისთვის რჩევა და ქადაგება
მოულოდნელი და უეცარი
სხვა შეხვედრებიც ხომ კიდევ მელის,
ვით შევიჩერო გულის ღელვანი,
ვით შევუშალო მის ბორგვას ხელი!

## ერთმანეთს ჰგვანან

რასაც ოდითგან ნატრულობს კაცი,
დაბადებითვე დაჰყვება ჩიტებს;

სილაღე, ფრთები, თავისუფლება,
ხავერდი ხმა და... ვინ იცის კიდევ.

კაცს რომ ლხენისთვის მიზეზი უნდა,
არცრა მიზეზი სჭირდებათ ჩიტებს;

თან მათი ჰანგი თვითონ ჩიტების
და ადამის ძის სათქმელსაც იტევს.

ლაღობს მზეწვია, მღერის ნარჩიტა,
მათრობელს უსტვენს შავტუხა შაშვი...

და მიზეზიან-უმიზეზობით
ერთმანეთს ჰგვანან ჩიტი და ბავშვი.

ბავშვივით უძგერთ გულები ჩიტებს,
ჩიტივით უძგერთ გულები ბავშვებს...

ორნივ ერთგვარად ლაღობენ, როცა
აუფეთქდება კვირტები ვაშლებს;

ლალობენ, როცა წინ გადეშლებათ
მინდვრის წარმტაცი, ძვირფასი მზითვი...
და რა კარგია, როცა ერთმანეთს
ძალიან ჰგვანან ბავშვი და ჩიტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## არასგზით შეეფერება

გიორგიწმინდის ბოლოზე
დგას მარტოსული ატამი,
თუმცა... მარტოსული რად ეთქმის,
ამ... ყვავილობაატანილს;
რაც რამ ყვავილობს ალალად
და თანაც ვარდისფერებად,
მარტოსულიო, მის ყოფას
არასგზით შეეფერება.

## სიმაღლის აჩნია კვალი

აი, სიღნაღი, აქედან ისე
წარმტაცი არი ალაზნის ველი,
ვივიწყებ ყველა წუხილის მიზეზს
და სასიმღეროდ მზად არი ყელი.
ცოტა, სულ ცოტა რჩება ცათამდე,
ანდა, იქნება, არცარა რჩება...
და ამ სიმაღლეს, ასე გადამდებს,
ახლავს უთქმელი ღელვა და შვება.
ალბათ, სულ ცოტა რჩება ცათამდე,
მაგრამ წინ მიძევს ალაზნის ველი
და მე ზეცისკენ ცქერაც გადავდე
და ვერც სხვა რამის მოვცდები მზერით;
და მიმიწვდება სადამდეც ყური
და მიმიწვდება სადამდეც თვალი
და მიმიწვდება სადამდეც სული,
ყოველს სიმაღლის აჩნია კვალი...
ოჰ, ეს სიღნაღი! — აქედან ისე
წარმტაცი არი ალაზნის ველი,
ვივიწყებ ყველა წუხილის მიზეზს
და სასიმღეროდ მაღლდება ყელი.

## ის სილამაზეს ემსახურება

ჩემი და მყუდრო მთის ძირას სახლობს,
უვლის ვაზსა და ამრავლებს ვარდებს,
რაც ხარობს წმინდა მარინეს ახლოს,
ყველაფერს მისი სურნელი დასდევს.
ის ოთარაანთ ქვრივის დარია,
მისი ხატია და მისი ცალი,
მას არასოდეს არა სცალია
და შორსაც უჭრის გონების თვალი.
მას არასოდეს არა სცალია,
მაგრამ როს ასგზის დატვირთავს მარტი,
ძალუძს, თუნდ წამით შეავლოს
თვალი, —
ბუნება როგორ გართულა ხატვით.
დაჰყვა სიუხვე და ერთგულება,
ხოლო სიმტკიცე — ყველაზე მეტად,
ის სილამაზეს ემსახურება,
ამიტომ ლამაზ სიზმრებსაც ხედავს;
ჩემი და ლამაზ სიზმრებსა ხედავს
და ცხოვრობს უფრო ლამაზი ცხადით,
რაც ხარობს წმინდა მარინეს ზედა,
იმისი ხელის ატყვია მადლი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ლორთქიფანიძე

# სამი მიძღვნა

## თემურ ქევხიშვილს

შენს გემრიელ ხმას როგორ მოვეშვა,
ჩქეფს სურნელებით გამონახადი.
ხმამ შემიყვანა სულის უბეში,
მერე იქიდან ზეცად ავვარდი.

სიმღერის გულისგული ბრძანდები,
სამი ხმის ძირში სმენად ჩადგები.
ყელზე გაღნება ჰანგის ლანდები,
სიტყვა გაღნება — სულის პერანგი;

გოგიასა, გოგიასა,
ჭავჭავაძე გოგიასა
ერთი მრუდე ვაზი ჰქონდა
ნეკერჩხალზე აგებული;
ისიც თხებმა შეუჭამეს,
დარჩა ის წყალწაღებული.

საუკუნეთა მადლია შენში,
ასწავლი ხმა სად, როგორ ასწიონ.
ბუნება გმართავს უძლიერესად,
მოგვდის ბუნების სათუთი სიო.

აჰა, შეხედე, ველი ვით მრავლობს,
ბოლომდე სვრელს სდევს გლეხი,
ხარ-კავი.
შთამომავლობას არ დაუმალო
ხმა დედამიწის ტანში მბორგავი.

დაწურე ზეცა ვარსკვლავთა სხმული,
გადმოთქეშდება გრძნეული სული.
დაწურე ხევი, კლდეები მკვეთრი,
ხმა გავიგონოთ ცით მონახეთქი.

## გაერთიანებს ორთავეს მძლავრად...

ი. ჭულუხაძეს

შენს ხატვას ვიწყებ სახელის ეშხით,
რა ფაქიზია სახელი წრფელი.
ვარდის ფერს გიცხებს მაისის თვეში
და ვარდი კვნესის მოუწყვეტელი.

გამჭვირვალეა სახელი შენი,
როგორც იისფერ ბლონდში ჩანჩქერი.
მზის მაკრატლითა გამოვჭერ ზეცა,
რომ მოშრიალე კაბა ჩაგეცვა.

მაღალ ზეციურ სხივებით ხარობთ,
ცამ შეგიერთა მშვენების წყაროდ.
შენი ნაკვთები ცახცახა ფოთლის,
თვალები მწველად ჩაგორებული,
ამ თვალებიდან სითბო ამოდის,
ვით კეთილშობილ ფიქრთა კრებული.

ჯერ დამაბნია მწყაზარმა სულმა,
მერე ფერ-ხორცის ხატოვანებამ.

გულმა კი შენი სული ისურვა,
სხვას ყოველივეს თავი ანება.

სულით და ხორცით სიწრფელით ცისკენ
მიექანებით და მაინც ფრთხილად.
სილამაზემ და სიწრფელემ იგრძნეს
და ერთურთის კდემით შეხედეს
ტკბილად!!

გზა გიდევს დიდი მხნეთ და გალობად,
აღდგომის სანთლებს ჩამონაღვენთი.
სილამაზეა ღმერთის წყალობა,
სულის სიწმინდე — კეთილი ღმერთი.

გაერთიანებს ორთავეს მძლავრად,
მათგან ბუნების მადლით მოწყობილს.
შენს სულს უწმინდესს ვკოცნი
თამამად,
შენს სილამაზეს ვკოცნი მორცხვობით.

## რესპუბლიკის საავადმყოფოს ექიმს

ქ. გორგაძეს.

მწამს ექიმად ხარ დაბადებული,
რასაც ვერ მალავს სახე თავადა.
ჩვენს სახლში ვინმე ავად თუ გახდა,
სევდიანები გხმობენ თამამად.

მწერალთა სახლში უყვარხარ ყველას,
თავს სიამაყის გვირგვინი გხურავს.

და გიგზავნიან ალერსს და ხვევნას
სიცოცხლესავით მგზნებარე მკურნალს.

მჯერა, მეორედ ავიდგი ფეხი...
გავიფიქრებ და ელდა მესხმება.
დამლოცე ბარემ: კიდევ რამდენხანს
ჩამოურბინოს მთა-ბარს ფეხებმა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ნიკა ჯამბაზიშვილი

ნიკა ჯამბაზიშვილი სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, უნივერსიტეტის დამთავრებაც კი ვერ მოასწრო. სწავლობდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, პარალელურად მუშაობდა კიდეც, წერდა ლექსებს. ეს ლექსები უშუალობით, გულწრფელობითა და უტყუარი პოეტური ნიჭით არის აღბეჭდილი.

* * *

დღეს მოიწყინა თბილისის ღამემ
და გაზაფხული წვიმით ერთობა,
დაგემშვიდობე. მე წავალ მალე
და შენი ფიქრი სხვას მიენდობა.
მოგონებასთან ერთად გაჰქრება
მტკვრის ნაპირები, მაღალი ლანდი,
თუმც სიყვარული შენი ანთებდა
და გულში ჰქონდა უთქმელი დარდი.
მე არ მინახავს დარდი ამგვარი,
მე შენთან ყოფნა ძლიერ მინდოდა,
მაგრამ ჩამოდგა სულში ავდარი
და მკლავდა ეჭვის უამინდობა.

ნუ მეტყვი მეტჯერ ამ მაცდურ
სიტყვებს,
რომ შენ უჩემოდ მოგეწყინება,
რომ საუკუნოდ მოგეჩვენება
უჩუმარ დღეთა ნელი დინება.
მე მაინც წავალ, თუმცა გარეთ წვიმს
და სევდით თქორავს ზოზინა წამებს,
შენ სცადე, ლანდი ჩემი მოგშორდეს,
დაგემშვიდობე: მე წავალ მალე.
მე წავალ მალე. იქნებ ვერც გნახო,
თუ შენი ფიქრი სხვას მიენდობა.
...თბილისის თავზე ღრუბლები სახლობს
და გაზაფხული წვიმით ერთობა.

* * *

მნიშვნელოვანი პაემანი მაქვს
და შემზადების ჟამი და დროა.
მოვა ქალი და არა უბრალოდ,
სიცოცხლედ ანდა სიკვდილად მოვა.
და სულში ვიღაც დაუკითხავად
იმედის კოშკებს ანგრევს და აგებს.
სიცოცხლე ალბათ მის ღიმილს მოაქვს,
ხოლო სიკვდილი მის შეკრულ ბაგეს.
მნიშვნელოვანი პაემანი მაქვს,
და „ჰოს“ და „არას“ მერყევ წამებში

მე ვემზადები, ემზადებოდნენ
როგორც დუელის წინაღამეში.
არ მეშინია, თუმცა თენდება,
თუმცა მზე ცაზე მალე ამოვა.
მასთან სიცოცხლე არის სამოთხე,
მაგრამ სიკვდილიც სანეტაროა.
მნიშვნელოვანი მაქვს პაემანი —
დუელი (თუმცა არც ჰგავს სრულებით).
სიკვდილ-სიცოცხლის პინაზე ახლა
უიარაღოდ მივეშურები.

* * *

ანგელოსები დე შერჩნენ ზეცას,
ლოცვითაც სხვებმა ბაგე დალარონ,
ძალზე უბრალოდ მიყვარხარ მეც და
მინდა ფიქრებში ვათენ-ვაღამო.

ძალზე უბრალოდ მოგიძღვნი ლექსებს
არ შევადარებ ქვეყნად არავის,
შენ გაზაფხულზე მოხვედი ჩემთან
და მინდა დარჩე ბოლო კარამდის.

რა გითხრა, ფიქრი როგორ გაგანდო?
როგორ ვაპკურო გრძნობა სტრიქონებს?
ძნელია თქმა და გუშინდელ სიზმარს
ვერც გაგიმხელ და ველარც ვიგონებ.

რად გაგიცანი მოკლულმა
რწმენაგამქრალმა და დასეტყვილმა,
ბედნიერება აღარ მწამდა და
შენი გაცნობაც მიტომ მეტკინა.

აღარა მწამდა თვით სიყვარულიც,
მზე და გვირგვინი დედა-ბუნების,
ბედნიერებით თურმე კვდებიან
რწმენაგამქრალნი უბედურებით.

და ახლა აღარც ვინანებ რამეს,
სიკვდილის დადგეს თუნდაც საღამო,
სიყვარულისთვის, რწმენისთვის,
მზისთვის,
მადლობელი ვარ, ზეცავ მაღალო!

• • •

იქნება რაღაც გამართლება სიკვდილსაც ჰქონდეს,
თუმცა ტკივილი დაგვიტოვე გაუხუნარი,
თუმც მოგონების მწარე ლანდი, მოსთქვამს და ჰგოდებს,
თუმცა ბევრს მალავს მამაკაცთა დარდი მდუმარი.

იქნებ მართალიც იყო ბედის უკუღმართობა
რომ შენი მარად ახალგაზრდად ყოფნა არჩია,
რომ არ იცისრა სიმუხთლეთა შენთვის განდობა
და გულით ღიმილს ბოლომდე არ გადაგარჩვია.

რომ იმედები არასოდეს არ დაგკარგვია,
შენ ხომ არასდროს გზიდან უკან არ დაიხევდი,
რომ სული ლალატს ეჭვებით არ დაუდაგია,
რომ სიკვდილამდე სიყვარულის ხიდით მიხვედი.

იქნება რაღაც გამართლება სიკვდილსაც ჰქონდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანული გოცაძე

# და იქმნა ერი

## რომანი

* * *

სპასალარის გასვლის შემდეგ უფროსი ქურუმი შემოვიდა უფლისციხელთან.

მთავარი წამოდგა.

— ახლაღა მითხრა სპასალარმა, რომ ჩემს სანახავად შუაღამისას შეწუხებულხარ. ძლიერ ვცდილობ, მაგრამ წესი და რიგი მაინც ვერ ისწავლეს ჩემმა ქვეშევრდომებმა. მაპატიე, რომ გალოდინე, ბიძაჩემო, თუმცა კი ჩემი ბრალი არ არის.

უფროსი ქურუმი კარგად იცნობდა თავის ძმისწულს. ისიც იცოდა, რომ განგებ ალოდინეს კარებთან, მაგრამ როგორც სხვა დროს, ახლა ისე ძლიერ არ გაბრაზებულა, რადგან უწყოდა, რომ მთავარ დარტყმას სწორედ მისგან მიიღებდა უფლისციხელი ამ ღამით.

სამარასთან ორივე ვაჟი ჰყავდა გაგზავნილი მცირე ლაშქრით, ხოლო მესამე ეზოში უცდიდა. სწორედ მისგან გაიგო ის სასურველი ამბავი, რომლის წყალობით მთელი ღამე მხნედ ათია და ბუნებით ანჩხლი, ახლა მშვიდად იდგა უფლისციხელის წინ.

— იცი, რომ ბერძნების ბატონობის და იბერიაში მათი ღმერთების თაყვანისცემის მომხრე არა ვარ.

— სამარა ქვეყნის ორგულია და მისი მომხრეებიც ორგულებად მიმაჩნია, — არ დაასრულებინა სიტყვა უფლისციხელმა, რომელსაც ბიძის შემართება და სიმშვიდე ცუდად ენიშნა.

— ხშირად მიქადაგნია შენთვის, რომ სწორედ მცხეთის სასახლესთან დამოყვრება იყო იბერიისთვის ყველაზე საჭირო და ჭკვიანური ნაბიჯი, ისეთი, როგორიც უფლისციხელთა ღირსეულ შთამომავალს ეკადრება. ბევრი ვევედრე ღვთაებას შენთვის ჭეშმარიტება ჩაეგონებინა, მაგრამ ამაოდ. თუმცა მაინც არ გაუწირავს უფლისციხელთა მაღალი გვარი და ერთადერთი შენი მემკვიდრისთვის, თუმცა იგი ქალია, სიკეთის კალთა დაუფერთხია. — თქვა და მართლაც დაბნეულ უფლისციხელს გრაგნილი გაუწოდა.

მთავარმა გრაგნილს დახედა და, როცა მასზე სამარას ბეჭედი იცნო, ტახტზე მიაგდო.

— მეგონა მართლაც საქმე გქონდა და იმად ათიე ღამე, შენ კი თურმე ისევ მოციქულობა წამოგიწყია ჩემსა და სამარას შორის. რით ვერ გაიგე, რომ ჩვენი მორიგება არ იქნება. ისიც ვიცი, რისთვისაც გჭირდება ცაროს მორწმუნეობა, ცდილობ გადაიბირო. ახლაც გეუბნები, რომ მას სამარასთან დაქორწინების ნებას არ დავრთავ. ეს არ მოხდება, არასოდეს არ მოხდება!

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 5.

ჩემი ქალიშვილი ქვეყნის ხვალინდელი პატრონის და მეფის ცოლი უნდა გახდეს... წადი და ეს უთხარი შენს მომხრეებს, სამარას და დუდეს...

— ამაოდ მწამებ შენს მტრებთან კავშირს, ეჭვით დაგბნელებია თვალი და შორსმჭვრეტელობაში თავგამოდებულს, ცხვირწინ მომხდარი ვერ დაგინახავს. მთელმა უფლისციხის ქვეყანამ იცის უკვე, რომ ცარო, შენი უარის მიუხედავად, სამარას ცოლი გახდა იმ დროში, რაც შენ ჰირკანიაში აზონის ხლებას და მის წინაშე თავმოდრეკას მოანდომე. შენი ქალიშვილი მცხეთის სასახლის დედოფალი გახდება ხვალზევე!

უფროსი ქურუმი ზეიმობდა...

— სამარამ მეც გამომიგზავნა წიგნი. მთხოვს, შენთან შევარიგო და შევაერთო, მაგრამ შენ როდის მოგისმენია ჩემი კეთილი რჩევა, როდის დაგიგდია ერთხელ ნათქვამი და ამოჩემებული.

— მოვკლავ, ჩემი ხელით მოვკლავ, — დაიღრიალა უფლისციხელმა... კარებს ეცა და ბნელ დერეფანში მთელი ხმით გასძახა: — ცხენი...

— ამაოდ შფოთავ, — კვლავ დინჯად წარმოსთქვა უფროსმა ქურუმმა, — მცხეთის გზები გადაკეტილია, ჩიტიც კი ვერსად გადაფრინდება. გიჯობს, წიგნი წაიკითხო და გონებას მოუხმო.

მთავარმა კბილები გააღრჭიალა და გრაგნილს მისწვდა. „უფლისციხელო! აქამდე მტრად მეგულებოდი და შენი მოსპობა მსურდა. დღეს მოყვრად მიმილიხარ და დიდ პატივსაც მოგაგებ, როგორც მცხეთის ქვეყნის დედოფლის, ცაროს მამასა და აღმზრდელს.

იბერიისა და ქალიშვილის ბედნიერებისათვის გთხოვ, დაივიწყო ძველი წყენა და ჩვენთან ერთად იბრძოლო ბერძნების წინააღმდეგ.

გპირდები, ვიყო შენი მოყვარული და დამფასებელი, ისე, როგორც ეკადრება დაფასება და სიყვარული მცხეთის ქვეყნის დედოფლის მამას.

ველი შენს დალოცვას.

თუ ამ შემონათვალს არ შეასრულებ, მტრად გვიგულე, რადგან შენი ბერძნებთან ხელმეორედ წასვლა[illegible]ური ლალატად მიიჩნევა. მც[illegible]ვარს კი იბერიის ლალატი არავისთვის უპატიებია.

სამარა“.

უფროსი ქურუმი დაკვირვებით უცქერდა, როგორ კითხულობდა უფლისციხელი სამარას მოწერილ წიგნს და ბოლოს, როცა სახეარეული და აჭარხლებული ტახტზე დაეცა და უმწეოდ აქვითინდა, კმაყოფილმა გამოიხურა კარი.

კარებთან ატუზულ არანს და ბათენას ამაყად ჩაუარა. — ახლა მაინც ურჩიეთ, ქკვიანური ნაბიჯი გადადგას თქვენმა მბრძანებელმაო — მიუგდო და დარბაისლური ნაბიჯით გაიარა ბნელი დერეფანი.

* * *

გზაში გაიგო ლეკამ, რომ იბერიაში შესვლის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა და პირდაპირ უფლისციხისკენ აიღო გეზი. გაუკვირდა, დათქმულ ადგილზე მთავარი რომ არ შემოხვდა. ამრეზით მიესალმა მოახლოებულ ბათენას და ნაწყენობაც არ დაფარა უფლისციხელის მიმართ.

— ცუდი ამბავი შეემთხვა მთავარს. მამის დაუკითხავად სამარას გაჰყვა ცარო. დარდისგან და სიბრაზისგან შეუძლოდ გახდა მთავარი. ამას ისიც დაემატა, რომ უფროსი ქურუმი და მისი ვაჟი მოჰკლეს ღამით გზად მიმავლები. გლოვაა გამოცხადებული სამთავროში.

— დიახაც, ცუდი ამბავი დამართნია უფლისციხელს. მაინც მიკვირს, როგორ გაბედა ქალიშვილმა მრისხანე მამის ურჩობა? უფროსი ქურუმის ხელი ხომ არ ერია ამ საქმეშიო? — თვალი მოჭუტა ლეკამ.

— უფროსი ქურუმი მორწმუნე და პირმართალი კაცი იყო. საქვეყნო საქმის განსჯაში რომ არ ეთანხმებოდა თავის ძმისწულს, ეს როდი გვაძლევს უფლებას, მოღალატეობაც დავწამოთ! — უკმაყოფილება ვერ დაჰფარა ბათენამ.

— მოვალე ვარ უფლისციხეში მიკიდე და უფროსი ქურუმის დაკრძალვას დავესწრო. — თქვა ლეკამ. — შეხვედრაც რომ არ ყოფილიყო დათქმული, მაინც უნდა ჩამოვსულიყავი, როგორც ჩანს.

— ჩემი პირადი გაჭირვება არაფერს ცვლისო, შემოგითვალა ჩემმა პატრონმა, — თქვა ბათენამ, — ახლა უფრო მწადია სამარა დაისაჯოსო. თავი ცოცხალი სწორედ იმისთვის დავიტოვე, რომ მისი სამთავროს განადგურებას ვუცქირო და ჩემი ქალიშვილი ისე დავსაჯო, როგორც ურჩსა და თავხედს შეეფერებაო. ხოლო ბიძაჩემს და მის უფროს ვაჟს დასაფლავების ყველა წესს შეუსრულებს მის მაგივრად დანიშნული კლდეკარის გამგებელი!

— როგორც მახსოვს, მემკვიდრე სხვაც ჰყავდა გარდაცვლილს, მასთან ერთად მოკლულის გარდა.

— ორი ვაჟი ჰყავს, მაგრამ ორივე სამარასთანაა წასული. უფლისციხელი მათ სახლობას თავის საზაფხულო აგარაკზე გააგზავნის, ხოლო ადგილმამულს ლირსეულ პატრონს გამოუჩენს.

ლეკას გაელიმა, მიხვდა, რომ უფროსი ქურუმის სიკვდილში უფლისციხელის ხელი ერია, მაგრამ არაფერი უთქვამს.

„საშიში კაცია ეს მთავარი, თუ გამზრდელი ბიძა არ დაინდო, არც მე მომერიდება, ეტყობა ნათესაობა არ სწამს სრულიად. რამე რომ არ მოეწონოს, მეც ისევ გადამაგდებს, როგორც ნახმარ მათრახსო" — გაიფიქრა...

მეორე დილით აზონთან სამოქმედო გეგმა უკვე დაწვრილებით ჰქონდა მოფიქრებული, მასში უფლისციხელის როლი ფრიად მკრთალად და ულიმლამოდ მოსჩანდა.

დილით, გზის განახლებამდე, უფლისციხის სპასალარი და ლეკა ქურუმი იმაზე შეთანხმდნენ, რომ აზონი ახალი მთვარის პირველ დღეს მოადგებოდა კლდეკარს, ხოლო მთავარი და მისი სახლობა მომავალ მბრძანებელს ქვეყნის უმთავრესი დროშით და ქალაქთა გასაღებებით შეხვდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

პირკანიის საზღვარზე ფაზისიდან წამოსული ბერძენი ასისთავი და მისი ამალა დაუბრკოლებლად გაატარეს. მესაზღვრეთა უფროსმა სტუმრები თავად მიაცილა აზონის კარვამდე.

აზონის ახლობელთა შორის ბევრი აშთანის ნაცნობი გამოდგა, რომლებმაც სულ მცირე ხანში აუწყეს მხედართმთავარს კოლხეთის უმდიდრესი ვაჭრის ჩამოსვლა. აზონი უფლისციხელის მსტოვრის მოლოდინში მხოლოდ ნადირობით ჰკლავდა დროს და ფრიად ეამა, როცა გაიგო, რომ კოლხეთიდან ჩამოსულებს მისთვის ულამაზესი ქალი ჰყავდათ ჩამოყვანილი. ქალთა მოყვარული იყო ძლიერ, მაგრამ ალექსანდრეს ყაიდაზე ცხოვრობდა და თავს უფლებას არ აძლევდა ცოლები ომებში ეტარებინა, თავისი ქვეყნის წესის მიხედვით. მას არა მარტო მეფობა, არამედ ალექსანდრესდარი მეომრის სახელის მოპოვებაც სურდა და იმიტომაც იმწარებდა სიცოცხლეს; ხოლო ნადირობა, თუმცა კი ძლიერ უყვარდა და თავიც უპირველეს მონადირედ მოჰქონდა, მის ცხოვრებას მთლიანად მაინც ვერ ავსებდა.

სადილობას მორჩა თუ არა, ბრძანა, კოლხი სტუმრები მომგვარეთო.

აშთანი და ადონ უმცროსი თესალიელ ასისთავთან ერთად გაემართნენ აზონის სადგომისაკენ.

მწვანეში ჩაფლულ, თითქოს საგანგებოდ მომრგვალებულ მინდორზე ლამაზად მოჩანდა წითელი კარავი. მის შესასვლელთან მსახურები და პონტოელი ჯარისკაცები მიმოდიოდნენ.

კარვის წინ დაფენილი ოქროსფერი გრძელი ხალიჩა მარმაშებიან შესასვლელთან თავდებოდა. შესასვლელს ოთხი ჯარისკაცი დარაჯობდა, ბერძენთა ყაიდაზე ჩაცმული და იარაღასხმული.

სტუმრებს ტანდაბალი, მწითური პონტოელი შემოეგება, მიესალმა და კა-

რავში შეუძლვა. აზონი ოდნავ წამოიწია და შემოსულები გულდასმით შეათვალიერა. მცირე ხნის შემდეგ წამოდგა.

საშუალოზე ოდნავ მაღალს, სრულიად წვრილი სხეული და წვეტიანი, გადაპარსული თავი ჰქონდა. მკაცრად მოკუმული ტუჩები თითქოს ჩაჰკარგვოდა გრძელ ნიკაპსა და ცხვირს შორის. მისი ჭროლა თვალების შემოხედვა უნებლიე შიშს იწვევდა.

მწითური პონტოელი, რომელიც სტუმრებთან ერთად აქამდე კარებში იდგა, მიწას განერთხო და ისე მოახსენა შემოსულთა ვინაობა. ადონ უმცროსის გასაკვირად, მსახურის მაგალითს აშთანმაც მიჰბაძა.

აზონმა სომეხ ვაჭარს გაუღიმა და გამჭოლი მზერა ადონს მიაპყრო.

— როცა სხვები თაყვანისცემას დაგასწრებენ, ძველებურ ყაიდაზე თავის დაკვრით და მკერდზე ხელის მიდებით უნდა გამოხატო ერთგულება, რადგან მარჯვენა ხელი ჩემი ფულს იხვეჭს, ხოლო გული მის გაცემას ხელმძღვანელობს! — სთქვა დინჯად ადონ უმცროსმა.

აზონს თვალი არ დაუხამხამებია.

— ბრძნული გამოსავალია. — თქვა ბოლოს. — მართალი გითხრათ, არც მე მომწონს ალექსანდრეს მიერ შემოღებული ეს წესი,ამიტომაც არ ვბრაზდები მათზე, ვინც მას არ იცავს. ბერძნულად კარგად მეტყველებ, მაგრამ იერით არ ჰგავხარ ბერძენს.

— იბერიელი ვაჭარი ვარ. ხელმოცარული და უკანმობრუნებული ათენიდან. დიდმა ხმელთაშორისმა ზღვამ მთელი ჩემი ქონება შთანთქა ამ რამდენიმე თვის წინ. ახლა სამშობლოში ვაპირებდი დაბრუნებას, მაგრამ ფაზისში აშთანმა მეგობრად მიმიღო, ამ ორ თვეში ფულიც ბევრი მაშოვნინა, თანაც იბერიაში თავისი სავაჭრო საქმეების გამგებლად განმაწესა. ხოლო, სანამ იბერიაში შევიდოდე, ჩემს თავს უფლება მივეცი შენ გხლებოდი და ჩემი საჩუქრები და კოლხთა მეფისა და ეგრისის მთავრის დანაპირები გადმომეცა, — ჩამოართვა სიტყვა აშთანმა ადონ უმცროსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კოლხთა მეფეს აკის, დიდ პატივსა ვცემ! — დინჯად წარმოთქვა აზონმა და მწითურს ანიშნა, სტუმრებთან მარტო დამტოვეო,—არც ეგრისის მთავართან ვაპირებ მტრობას, თუმცა კი მთელი ქვეყნის დაპყრობა მიბრძანა ალექსანდრემ.

— კოლხთა მეფემ, რომელიც იბერთა დიდი მთავრის, მცხეთის ქვეყნის მბრძანებლის მეგობარია, გთხოვა მისგან ხუთასი ტალანტი მიიღო.

— სანაცვლოდ რას ითხოვს მეფე აკი?

— ეგრისის მთავარი ამდენივე ტალანტსა და ორას ეგრისულ ბედაურს გპირდება!... — გააგრძელა აშთანმა.

— სანაცვლოდ რაო? — აიმღვრა პონტოელი.

— შენს სამშობლოში ტახტის მოპოვებაში თანადგომას და პონტოელთა მტრების წინააღმდეგ ბრძოლასაც გპირდება.

— სანაცვლო-მეთქი, შენ კი ისევ დაპირებას მისდევ...

— თუ იბერიაში გალაშქრებაზე ხელს აიღებ, ყოველწლიურად ათიათასი ჯარისკაცის სამყოფ სურსათ-სანოვაგესაც შემოგწირავენ იბერებიც...

— მხოლოდ ათიათასისას? — გაიცინა აზონმა.

— შენი ღვთაებების აღმართვას და იბერიელთა სალოცავად მათ დაწესებასაც ფიქრობს სამარა. თუ ძმობას გამიწევს, აზონი უფრო მეტ სარგებელს ნახავს, ვიდრე ქვეყანაში შემოსვლით და ბრძოლით მოიპოვებსო.

— ვაჭრები მეგონეთ, დესპანები ყოფილხართ! — კბილებში გამოსცრა აზონმა.

— ბერძენთა, მეგვიპტელთა და ჩინთა მეფენი ვაჭრებს მხოლოდ ვაჭრებად არასოდეს მიიჩნევდნენ. — თქვა ადონმა, — ასეც არ იყოს, ჩვენ მხოლოდ დანაბარებს გადმოგცემთ. განსჯა და

მოქმედება მუდამ მეფეთა საქმე იყო და იქნება კიდეც!

— ჭკვიანი ჩანხარ და ამიტომაც გკითხავ: რას მირჩევ, როგორც მტერს?

— იბერებთან ბრძოლას და ქვეყანაში დამკვიდრებას, მაგრამ...

— მაგრამ გინდა მითხრა, რომ ჩემი მტერი კი არა, მოყვარე ხარ. ხომ ასეა?

— არც მთლად მასეა საქმე, მოღალატე ვიქნებოდი ჩემი ხალხისა, რომ მიყვარდეს მისი მტერი, თუ მართლა მტერი ხარ... მაგრამ მინდოდა მეთქვა, რომ გრანიკოს გმირს, ჭკვიან, გონიერ მმართველადაც იცნობენ ბერძნები და პონტოელები, ხოლო გონიერი კაცი მოერიდებოდა ბრძოლას იმ დიდი საფასურისთვის, რომელიც უბრძოლველობას მოჰყვება. ხოლო იბერები ძნელად დასამორჩილებელი ხალხია და უცხოთა ბატონობას შეუჩვეველი.

— ფიქრობ, რომ გამარჯვების მერეც ძნელი იქნება მათი დამორჩილება?

— ადონ უმცროსმა თავი დაუქნია.

— დასხედით! — სთქვა მცირე დუმილის მერე აზონმა და სავარძელზე მიუთითა.

ამთანს სიხარულით გაუბრწყინდა თვალები, რადგან მიხვდა, აზონი მართლაც შეაფიქრიანა დაპირებულმა გასამრჯელომ.

— ალექსანდრეს რომ არ ებრძანებინა, არც შევიდოდი იბერიაში. არც სამარასთან მაქვს რაიმე გასაყოფი, თუ იგი დაპირებს ათას ოქროს ტალანტს დაამატებს და ყოველწლიურად 20 ლამაზ ასულს გამომიგზავნის ჩემი საქალების შესავსებად. ამბობენ ლამაზი ქალები ჰყავთ იბერებსო.

— ფრიად ლამაზი, ჩემდა თავად გეტყვი იმასაც, რომ თავად ორმოცდაათ ოქროს ტალანტს გპირდები, ახლა აღმოსავლეთის უმშვენიერეს ასულს გიძღვნი, იგი უცხო თვალივით დაამშვენებს შენს საქალებოს.

აზონს წვრილი თვალები აუციაგდა.

— ქვეყანაში შესვლით მაგის ნახევარსაც ვერ ამოიგებ, რადგან სპარსთა ბატონობამ ძლიერ გაალარიბა იბერია.

— დაუმატა ადონ უმცროსმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სადაც მდინარეებს ოქრო ჩამოაქვთ, იმ ქვეყნის სიღარიბეზე ლაპარაკი უხერხულიცაა.

— ზღაპარია ეს ამბავი, ვიდრე სინამდვილე, ხოლო მხარე, სადაც ბერძნებს ოქროს მდინარეები ეგულებათ, მიუვალ მთებშია შეკეტილი.

— მე არ მითქვამს ჩემი ხალხის, არმენების შესახებაც, — წამოიწყო ისევ ამთანმა. — არც ისინი მოგაკლებენ პატივს, რადგან არმენთა დიდი მთავარი სამარას სიძეა.

— თუ ქალი, შენგან მოყვანილი, ისეთივე მომხიბვლელია, როგორც თქვენი დაპირებები, ამალამ ვიფიქრებ როგორ მოვექცე იბერებს! — სთქვა ბოლოს აზონმა და წამოდგა.

საღამოს, როცა პონტოელმა კოლხი სტუმრების ვახშმად მიწვევა ბრძანა, ამთანმა ინდოელი ტყვე ქალი და მისი მოახლეებიც მიიყვანა აზონთან. ჩიტრინე თეთრ საარში იყო გამოწყობილი, მის მხლებლებს ისეთივე ცისფერი ტანსახვევი ეხვიათ. მარჯვენა მხარზე დამრეცად დაშვებული თხელი ტილოს ქსოვილი კოხტად ეხვეოდა ჩიტრინეს წელს, ოქროს წვრილი ძაფისგან ნაქსოვი გამჭვირვალე, თხელი ბადე შიშველ მარცხენა ძუძუზე ეშვებოდა და მკლავზე ჩამოცმულ თითის სიმსხო ოქროს რგოლს უერთდებოდა. თეძოებამდე დაფენილ თმებში ალაგ-ალაგ ბრწყინავდა ძოწი.

ნელა მოირხეოდა თავაწეული და თვალებანთებული.

პონტოელი ფეხზე წამოუდგა და მიეგება ჩიტრინეს, თავი დაუხარა და უთხრა: — მართლაც აღმოსავლეთის მშვენება ყოფილხარ, როგორც ამთანი მეუბნებოდა.

ჩიტრინემ გაუღიმა და აზონის გამოწვდილ ნერვიულ თხელ ხელზე ფრთხილად დასდო თავისი პატარა მარჯვენა.

— დღეს, ჩემი საპატიო სტუმრებისა და შორეული ინდოეთის ულამაზესი

ასულის პატივსაცემად. დიდი პურობა მიბრძანებიაᲐ! — რიხიანად წარმოთქვა პონტოელმა და მესტუმრეთუფროსს გადახედა.

პურობის დროს აღტაცებულმა აზონმა სამჯერ დაამღერა პონტოური ჰანგები კითარაზე ჩიტრინეს მოსახიბლავად. ქალი პატივს იფერებდა და თან დროდადრო გადახედავდა ალონ უმცროსს, რომელიც ძლივს მალავდა სიბრაზეს.

* * *

გვიან ღამით ალონ უმცროსის და ამთანის სადგომს ერთი ბერძენი მოადგა — ორი დღის შემდეგ იბერთა ქურუმი ლეკა უნდა ეახლოს აზონსო, — ამცნო დამხვდურებს, — ცოტა ხნის წინ კი უფლისციხის მთავარი იყო აზონთან და დამოყვრება, თავისი ქალიშვილის ცოლად შერთვა ხელმეორედ შესთავაზა პონტოელს; მგონი, უბრძოლველადაც დაჰპირდა ქვეყნის დამორჩილებასო. ეშმაკია აზონი, თქვენი საჩუქრები და, რაც მთავარია, ინდოელი ქალი მოეწონა. ამიტომაც იმედი არ დაგიკარგავთ, დათქმულ დროს ელოდება. უცდის, შეასრულებენ თუ არა იბერები დანაპირებს. ბრძოლა დიდად არც ეპრიანება, ალექსანდრეს იმედით ტრაბახობდა უფრო, მაგრამ თუ უბრძოლველად მეფედ დასვამენ, უარს რატომ იტყვის?

ალონი სავარძლიდან წამოიჭრა.

— თქვენი ყურისგდება აქვს დავალებული პონტოელებისთვის. — თუ რამ საეჭვო შეამჩნიოთ, შეიპყარით და მომგვარეთო, — ორთავეზე ბრძანა. არც ინდოელ ქალს ენდო. თავის საჭურისებს გააშიშვლებინა და, როცა დარწმუნდა, რომ იარაღი და საწამლავი არ ჰქონდა, მერე შეიყვანა საწოლში. ისე კი, ძლიერ მოეწონა ქალი. მე მაინც მიკვირს თქვენი გამბედაობაც და უაზრო ხელგაშლილობაც. ან ქალს რად სჩუქნიდით, ან უძვირფასესს თვლებს რად აძლევდით? სიმდიდრე უდიდესი აქვს თავადაც, იბერთა ჯავრი ჰკლავს მხოლოდ.

— ვინა ხარ და რატომ მოხველი ჩვენთან? — შეეკითხა [illegible]ნს.

— იბერთა და კოლ[illegible]ი ვარ. თქვენივე მეგობრის დავალებით გაფრთხილებთ. — თქვა და ალონზე მიუთითა, — ამ ახალგაზრდას მინდა ვუთხრა, რომ იგი ძლიერ გვანებია ერთ ღირსეულ იბერიელ ქურუმს, რომლის შთამომავალიც უნდა იყოს. თუ ლეკასთან ერთად უფლისციხის მთავარიც მოვიდა აზონთან, უცილობლად იცნობს და შეიძლება იბერიამ უაზროდაც დაჰკარგოს მისთვის ყველაზე საჭირო ადამიანიო. — ასე შემოთვალა თქვენმა მეგობარმა. — ხოლო ამთანმა, თვითონ იცის, რა კავშირიც აქვს უფლისციხელთან და მისი ჩამოსვლით რა საფრთხეც ელოდებათ.

— ჩემში ეჭვი არ შეეპარება, მასთან არასოდეს გამიწყვეტია ურთიერთობა, ამ ცოტა ხნის წინათაც გავუგზავნე ჩინეთა ნახელავი ჭურჭელი და ნელსაცხებელი.

— ვეცდები არ შევეფეთო უფლისციხელს, — თქვა ალონ უმცროსმა.

— აზონს გადაწყვეტილი აქვს მთავართან წარგადგინოთ!

— რომ გავიპაროთ? — იკითხა ამთანმა.

— აქ შემოსვლა ადვილია, გაპარვა კი ძნელი, თანაც ეჭვს აიღებს პონტოელი და გაცოფდება. შენც მოგკლავს და შენს ყველა მხლებელსაც, თუმცა ისინი ბერძნები არიან. ხოლო ქალისა ნუ გეფიქრებათ, იგი თქვენს მეგობარს მიაბარეს მოსავლელად.

ალონ უმცროსს უეცრად დაეუფლა ნაცნობი და სანუკვარი განცდა...

„ალდე!... — აკი მთელი დღე ვგრძნობდი შენს სიახლოვეს. გმადლობ ალდე, გმადლობ“... სასოებით გაიფიქრა იმედმოცემულმა და ეს უთხრა მოსულს:

— გადაეცი ჩემს მეგობარს, რომ მადლობას ვუძღვნი გაფრთხილებისათვის, ისიც გაახსენე, რომ თვითონვე მიწინასწარმეტყველა იბერიაში სიცოცხლე, სიბერე და სიკვდილი. უთხარი, რომ ხვალინდელი დღის აღარ მეშინია!

ბერძნის წასვლის შემდეგ კარგა ხანს ხმა არ ამოუღია არც ერთს. ბოლოს აშთანი წამოდგა, ღვინო ჩამოასხა, დალია და მიუბრუნდა ადონს: თუ ეგ ყველაფერი გამოცდა იყო, მაშინ როგრღა მოვიქცეთ?

— არა მგონია. ასეც რომ იყოს, ახლა ვერაფერს შევძლებთ, — უპასუხა, მერე დაფიქრდა და დაუმატა. — არა, არ იყო გამოცდა!

* * *

ორი დღე ისე გავიდა, რომ აზონს თავისი სტუმრები არც მოუკითხავს. მესამე დილით ველზე ბუკის ხმა გაისმა, ჯარი აფუსფუსდა და შუადღისას საბრძოლოდ განემზადა. აზონის კარავი ყველაზე გვიან დაშალეს. თვითონ მხედართმთავარი მწითური პონტოელისა და ინდოელი ქალის თანხლებით გამოვიდა. ჯერ ქალი და მისი მოახლეები ჩასვა ეტლში, შემდეგ კი თვითონ შავ ცხენზე ამხედრდა და პონტოელი ჯარისკაცებით გარსშემორტყმულ ადონსა და აშთანს გადმოსძახა, თქვენი ეტლი უკან მომყვესო!

მცირე მანძილი გაიარეს თუ არა, ადონს ნაცნობი ბერძენი გაუსწორდა, ცხენი შეაჩერა და ჩაილაპარაკა: — უფლისციხელი არ ჩამოსულა, ქალიშვილი გაქცევია სამარასთან. აზონი ფრიად განრისხდა მცხეთის დიდ მთავარზე, — როგორ გაბედა ჩემი საცოლის მისაკუთრება, სამაგალითოდ უნდა დავსაჯო, თვალებს დავთხრი და დავასაჭურისებო — იმუქრება. ველზე შეკრებილ სამარას ლაშქარს გვერდს აუვლის და მცხეთის დედა ციხეს და სასახლეს დაესხმება თავს, რადგან ნახევარი იბერია მოასხა მის წინაშე ლეკა ქურუმმა. ხალხი ღვთის მოვლენილივით შესცქერის აზონს. სამარას გაფრთხილებენ, რომ მთებში გადაიხვეწოს და ხელსაყრელ დროს დაელოდოს. იმასაც ეტყვიან, რომ ველზე შეყრილ ლაშქარშიც ბევრი მოღალატე ჰყავს. უფლისციხელი კლდეკართან დახვდება აზონს. თავს უნდა უშველო. მიმოიხედა ბერძენმა. — ხეობაში საღამოხანს შევალთ, როცა სამ დიდ კლდესთან მიხვალთ, უფლისციხელი მოიმიზეზე და ეტლიდან ჩამოდი. მეეტლე მარტო არ გაგიშვებს, რადგან აზონის ერთგულია და შენი ზედამხედველობა აქვს დავალებული, იმიტომაც ჩაგაბრძანათ ეტლში, რომ გაქცევა ვერ შეძლოთ. მთავარი გზიდან გადასულს თავს ორი მხედარი დაგესხმებათ და იმათ გაჰყევი. ისინი მეეტლეს მოჰკლავენ და აშთანს მსუბუქად დაჭრიან. ტანსაცმლის მდინარეში გადაგდება არ დაგავიწყდეს. თქვენს უკან ჩემი ასეული მოდის. ჩემმა ასეულმა გზაზე დაჭრილი აშთანი, მოკლული მეეტლე და წყალში მოტივტივე შენი სამოსი უნდა ნახოს. უმოკლესი გზით ივლით და ერთი დღით ჩაასწრებ აზონს მცხეთაში. მერე შენ იცი... ამჯერად მეტის გაკეთება არ ხერხდება!

— აშთანი?

— მისი ნუ გედარდება, არ მივატოვებთ!

* * *

როცა დაჭრილი, მკლავის ტკივილით გათანგული აშთანი კლდეკარში აზონის შებრძანებას, უფლისციხელთან მის შეხვედრას უცქეროდა და ლეკას მიმყოლი ხალხის შეძახილებს ისმენდა, ადონ უმცროსზე ფიქრობდა: ბედნიერი ხარ, იბერიის შერცხვენას საკუთარი თვალით რომ ვერ ხედავო.

* * *

შუაღამისას დიდრო სპასალარი მიადგა სამარას პალატის კარს, თუმცა კი ძლიერ ენანებოდა დაღლილი და მთელი დღის მანძილზე მუხლჩაუხრელი პატრონის გაღვიძება, მაგრამ დრო არ ითმენდა, ადონ უმცროსი და მისი ორი მხლებელი უნდა წარედგინა მცხეთის დიდი მთავრისთვის.

მკერდში ჩაიკრა მონატრებული მეგობარი სამარამ. შემოსულებს დაჯდომა შესთავაზა.

— აზონი უკვე შემოვიდა უფლისციხეში, კლდეკარი ალბათ უბრძოლვე-

ლად განვლო, რადგან ლეკა ქურუმი მოუძლოდა წინ იბერებით და საღვთო დროშებით. ცუდი ამბის მომტანი ვარ, მაგრამ ჭირთან შეხვედრას და მის გაძლებას შეჩვეული ხარ, მაინც მინდა ჩემი სიტყვა გითხრა: გაცლას გირჩევ და დროის მოგებას. — აღონს გაუკვირდა, რომ მისი ერთ-ერთი მხლებელი მცხეთის ქვეყნის დიდ მთავარს ტოლივით ელაპარაკებოდა.

— გავეცალო, თავს ვუშველო და ის ხალხი, რომელიც აზონს არ ეახლა, ავაწიოკებინო, დავახოცინო? — წარბი შეჰყარა სამარამ: — შენ ეს მითხარი, დიდი ჯარით მოდის აზონი?

— თუ უფლისციხის სასახლის ლაშქარს არ ჩავთვლით, რომელიც, შენი და ცაროს ქორწინების მიუხედავად, მომხვდურის მხარესაა, ასე ორმოცი ათასი ჯარისკაცი ახლავს!..

— არც თუ ცუდად ყოფილა საქმე!

— შენ ფიქრობ, რომ მტერი მთავარი კარიბჭიდან მოადგება მცხეთას? შენგან შეყრილ ლაშქარს მხარს აუქცევს და დილმიდან მოვა. კახთა გამგებელიც და ჰერეთის მთავარიც უბრძოლველად დანებდებიან, შენს წინაალმდეგ წამოჰყვებიან და გზას ასწავლიან.

სამარა გაფითრდა.

— მცხეთის ჩრდილოეთის გზა მათი იმედით მქონდა დაგდებული, თავს შევაკლავთ და დავიცავთ ქალაქის მოსასვლელებსო, დამპირდა ჰერეთის ბატონი, ნუთუ მიღალატებს?..

— ხოლო სოანეთის სამიათასიანი ლაშქარი ერთი კვირაა უფლისციხელმა შეაჩერა, ამაოდ ელი! — ჩაერია ლაპარაკში აღონის მეორე მხლებელი.

სამარამ დიდროს შეხედა. დიდრომ თვალები დახარა.

— თვალს რატომ მარიდებ, სპასალარო? შენგან რჩევასა და ჭკვიანურ გადაწყვეტილებას ველოდები!... — წამოდგა.

— ჯარის გადმოყვანა გაგვიჭირდება მდინარეზე, რადგან, ერთის გარდა, ყველა ხიდი თვითონვე ჩავშალეთ, რათა მტრისთვის ქალაქში შემოსასვლელი გზა მოგვეჭრა და ბრძოლა ჩვენთვის სასურველ ადგილზე [illegible] მძიმედ წარმოსთქვა სპასალარმა. — უფლისციხელი მსტოვარი ახლაც ამტკიცებს, რომ ჩემი პატრონი მოსაჩვენებლად გაულებს კლდეკარს მტერს და იმ ხეობამდე შემოიტყუებს, სადაც ბრძოლა გაქვთ დათქმულიო, მერე კი თავისი ჯარით, ზურგიდან დაესხმება მასზე მინდობილ აზონსო, გულიც მოუბრუნდა სამარაზე და უთვლის, ქორწილი არ იჩქაროს, გამარჯვების მერე უფრო უპრიანი იქნება მხიარულებაო.

სამარამ ახლა აღონის მხლებლებს გადახედა.

— ტყუის უფლისციხელი. აზონი სურს სიძედ და არა შენ, რადგან შენსკენ მომავალი ბიძამისი და მისი ვაჟი გზაში მოაკვლევინა თავის კაცებს, ეს ამბავი ერთმა უფლისციხელმა ერისკაცმა მაუწყა, მანვე დამაბარა — თავს უშველოს სამარამ, თორემ დედაბუდიანად ამოწყვეტს ჩემი მთავარი, აზონმა რომც დაინდოსო.

— სამარა წამოდგა.

— საომარი მზადყოფნა და მცხეთის ირგვლივ განლაგება მიბრძანებია! ხვალ დილითვე მცხეთას სამმაგი სარტყელი უნდა შემოვარტყათ, რათა მუდმივად ახალ ლაშქართან მოუწიოთ ბრძოლა, ხოლო დურძუკები ზურგიდან დაესხმებიან მტერს ყოველი დაცვის გარღვევის შემდეგ. დედაციხის დასაცავად სასახლის ათასი და მთიელთა იმდენივე მეომარი დარჩება, თუ საქმე გაჭირდა და მტერი ქვეყნის მთავარ სიმაგრემდე მოვიდა, ვიცი, ყველა დაიხოცება და ბერძნებს სიმაგრეს არ დაანებებს.

— ხოლო დანარჩენ ხუთ ათას მთიელს ციხის კედლებთან განვალაგებ! — დაუმატა სპასალარმა.

— ბრძოლას მე ვუხელმძღვანელებ, ქალაქის მარჯვენა შესასვლელს დუდე დაიცავს, ხოლო მარცხენას შენ! — მიუბრუნდა სამარა დიდროს, — დუდე და დიდი დედოფალი გაალვიძე. ქალები და ბავშვები უნდა გავხიზნოთ.

სპასალარი გავიდა.

— მაინც გაცლას გირჩევენ იბერიის მეგობარი ბერძნები! — ნელა წარმოთქვა ადონმა.

— თუ დამარცხება გვიწერია, შერცხვენილ სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობს, იბერიაში უცხო კაცის მეფობა მცხეთის მთავრისთვის სიკვდილზე უარესი იქნება. — მტკიცედ თქვა სამარამ და ადონს შეხედა. — შენც არ დაგინდო ბედისწერამ, საქურუმო მტრის ხელში დაგხვდა. ღალატი რომ არა, რომელიც თან გდევს, გაჩვენებდი ლეკას დასჯას და მოკვდინებას.

— თუ ვარსკვლავთა მჩხიბავს დავუჯერებთ, გამარჯვების ყოველი გზა მოჭრილი აქვს იბერიას ამ ომში! — თვალი გაუსწორა ადონმა სამარას, — ქვეყნისთვის საჭირო კაცებმა უაზროდ არ უნდა გასწირონ სიცოცხლე, რადგან ისინი სწორედ ცოცხლები სჭირდებიან ხალხს და სამშობლოს. კიდევ მოასწრებ მთებში გახიზვნას.

სამარამ თავი გაიქნია და ჩაფიქრდა.

— ქალებსა და ბავშვებს სასახლიდან თქვენ წაიყვანთ, ამაღამვე, განთიადამდე, ხევში ასვლა უნდა მოასწროთ! — უთხრა მცირე ხნის შემდეგ ადონის მხლებლებს. — ახლა წადით, ვინძლო ცოტა მაინც დაისვენოთ გამგზავრებამდე.

ადონი სიყვარულით შესცქეროდა ბავშვობის მეგობარს, უნებლიედ ახსენდებოდა შორეული დღეები, უზრუნველი და ბედნიერებით სავსე. ენანებოდა სამარას გამწარებული სიცოცხლე.

— მოუთმენლად ველოდი შენს ჩამოსვლას. აზონის ბუნებასაც იცნობ და ქვეყნის უბედურების მიზეზსაც კარგად ხედავ. პონტოელის კარზე გაცნობილი ჩვენი კაცები თვითონ დაგაკავშირებენ აშთანთან. ყოველი ზრახვა გეცოდინება აზონისა, აშთანისა და იმ ქალის მეოხებით, რომელიც მას მიჰგვარეთ. ფარნავაზის გადარჩენასა და აღზრდას შენ განდობ მხოლოდ. განსწავლულ, ქვეყნის მოყვარულ კაცად უნდა აღზარდო, ძლიერ, ერთმმართველ მეფედ უნდა აქციო. [illegible] თის დიდი მთავრების [illegible] ნების აღსრულებას, ქართლოსიანთა გაერთიანებას შესძლებს. მეომარიც უნდა იყოს და სარდალიც, ბრძენიც და უბრალო მიწის მაშვრალიც, მკაცრიც და გულალალიც, მტრის მოძულეც და მეგობრის დამფასებელიც, წინაპართა დიდი საქმის გამგრძელებელიც და დამაგვირგვინებელიც. შრომას შეაჩვიე. სიღარიბეში გამოსჭედე მისი ბუნება და, როცა იგრძნობ, რომ შესძლებს მეფობას, ისე მოიქეცი, როგორც მდგომარეობა გიკარნახებდეს. — მშიშედ და მტკიცედ ისმოდა სამარას ყოველი სიტყვა.

— ისე ამბობ, თითქოს უკვე გადაწყვეტილია შენი სამთავროს ბედი! —

— შეძრწუნდა ადონი.

— მხოლოდ ბრიყვი ეძებს გზას ურმის გადაბრუნების მერე... — მწარე ღიმილმა გადაურბინა სამარას სახეზე. —კიდევ ბევრი მაქვს შენთვის სათქმელი, მაგრამ დრო არ ითმენს... ციხის საიდუმლო გვირაბით გაიყვან იბერიის მომავალ მეფეს ამაღამვე და მდინარესთან ჩახვალ. იქ ერთი ქალი დაგხვდება, რომელმაც იცის სად და ვისთან მიიყვანოს ბავშვი ამჯერად. მერე კი, თუ ბედისწერის შენეული წინასწარმეტყველება სწორია თავხევისბერთან აიყვან და იქ გაზრდი, ისე, როგორც ჩვენ ვიზრდებოდით...

— დიდმა ადონმა მიბრძანა, ბრძოლის დროს მეომრად ვქცეულიყავი და მკერდით დამეცვა იბერია, მეც ასე მსურს. ერთგული კაცი, სხვაც გეყოლება, გამზრდელად რომ გამოდგება, ისეთი.

— უფრო დიდ სამსახურს ვერაფრით გაუწევ ქვეყანას. ფარნავაზი შენი ზედამხედველობით უნდა გაზრდილიყო მშვიდობიან დროსაც, ხოლო ახლა ორმაგად საჭირო ხარ მისთვის, რადგან მისი სიცოცხლის შენარჩუნებაც შენზეა. ახლავე უნდა გავიყვანოთ ბიჭი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონ გაგიღებ გვირაბის კარს, რომ შენი სახე ვერავინ ნახოს.

სამარა ჩქარი ნაბიჯით გაემართა ბავშვთა საძინებლისკენ და რამდენიმე წუთში ძილისგან ლოყაღაწითლებული პატარა ფარნავაზი მოუყვანა ადონს.

— მხოლოდ სპარსმა მომვლელმა დაინახა, როგორ მომყავდა ბიჭი, იგი მელადესთან გავგზავნე. სანამ ჩემი რძალი მოვიდოდეს, მანამ უნდა მოასწროთ წასვლა! — გააფრთხილა ადონი, კარადიდან ფუთა გამოიღო და გადასცა.

ბნელი, გრძელი დერეფანი გადაიარეს და პატარა ოთახში შევიდნენ. სამარამ კედელში ფარულად ჩატანებული კარი გამოაღო და სანთელი აანთო. გვირაბში ნესტის სუნი იდგა, ძლიერ ციოდა... რამდენიმე წუთის შემდეგ სასახლის ბაღის გალავანთან ამოვიდნენ.

— ვინ მოდის? — გაისმა ხმა.

— სამარა! — უპასუხა მცხეთის დიდმა მთავარმა.

სიბნელეს მაღალი კაცი გამოეყო.

— იდუმალად შემიყვანე ციხეში, მინდა იარაღის საწყობი შევამოწმო, — უთხრა მოდარაჯეს. — ჩემი მისვლა რომ შეიტყონ, მეციხოვნეებს ძილს დაუფრთხობენ, ბრძოლის წინ კი დასვენებაა საჭირო.

მაღალი კაცი დაწინაურდა.

ციხეში შევიდნენ თუ არა, სამარამ გამცილებელი დაითხოვა...

...მალე ადონი და ფარნავაზი მარტონი დარჩნენ უკუნისა და უცნობი გზის წინაშე.

როცა ფარნავაზის წვრილი მკლავები კისერზე შემოეჭდო და პატარამ თავი მკერდზე მიადო, იგრძნო ადონ უმცროსმა, რომ სამუდამოდ დაუკავშირა განგებამ მისი ბედი ამ ნორჩ სიცოცხლეს, მიხვდა, რომ იმ წუთიდან, როცა სამარასგან სასოებით ჩაიბარა ბავშვი, იბერიის მომავალი ბედის გამგებლობაც იკისრა.

— ვინძლო, შენი ცოდნა და სიცოცხლე ქვეყანას კეთილად მოახმარო! — გაახსენდა ადონ უფროსის [illegible] და ნაბიჯს აუჩქარა.

* * *

დრო მიდიოდა, განთიადი ახლოვდებოდა და თან მოჰქონდა სისხლიანი, შავბნელი დღე იბერიაში.

დილით ბრძოლის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო. სისხლში ცურავდა მცხეთის ქვეყანა. მხოლოდ ქალაქის დედაციხე ებრძოდა მტერს და ფარხმალს არ ჰყრიდა.

სასახლის ეზოში გასახიზნად გამზადებული ბავშვები და ქალები წიოკობდნენ. ისინი არაგვის ხეობიდან მოაბრუნეს უფლისციხელებმა, მხლებლები და გამცილებელი ჯარისკაცები დახოცეს, ხოლო ქალები ურმებზე დაბმული მოიყვანეს უკან.

ამაოდ ეძებდა გახიზნულებში უფლისციხის დიდი მთავარი ცაროს, დიდ დედოფალს და დუდეს სახლობას, შლეგივით დააბიჯებდა ბერძენი ჯარისკაცებით გარშემორტყმული.

* * *

მელადესა და მისი პატარა გოგონების გაპარების შემდეგ, კარგახანს არ ამოუღიათ ხმა ციხის სამთავრო სადგომში მყოფთ. დედოფალს მკაცრად მოეკუმა ტუჩები და აკანკალებული ხელი მკერდზე მიედო, თითქოს ბუდიდან ამოსავარდნად გამზადებული გულის დაკავებას ცდილობსო.

ცარო, გაფითრებული, წელანდელი განშორების სურათით შეძრული, თვალმოუშორებლად შეჰყურებდა სამარას, მისი საქციელის განსჯას ლამობდა. აქ შეკრებილი და ერთი ბედით დაკავშირებული ადამიანებიდან, ვერც ერთს ვერ დასწამებდა მელადეს მცირე სიყვარულს და უპატივცემულობას, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ მაინც თვითონ ესმოდა, ყველაზე უკეთ, ძალად გაპარებული მელადესი.

მუხლმოდრეკილი ევედრებოდა რძალი სამარას, დუდეს უნახავად ნუ გამიშვებო, მაგრამ შეუვალი გამოდგა მის

მიმართ მუდამ კეთილად განწყობილი და მისი მოყვარული მცხეთის დიდი მთავარი, წარბიც კი შეჰყარა და ხმასაც აუწია. ბოლოს ისიც უთხრა, ეს თხოვნა კი არა, ბრძანებააო...

არც დიდ დედოფალს დაუძრავს ენა რძლის სასარგებლოდ, როცა აქვითინებულ, მის კალთაში თავჩარგულ მელადეს ეფერებოდა.

მხოლოდ ცარომ დააპირა სიტყვის თქმა, გოგონები გავატანოთ სპარს მშვენიერს მელადეს მამასთან, თვითონ კი აქვე დავტოვოთ, როგორც მე ვრჩები, ისეო... დააპირა ამის თქმა, მაგრამ ვერ კი გაბედა. სამარას სახეს მიაპყრო მზერა და ულონოდ მიეყრდნო კედელს. მიხვდა, ვერც მისი თხოვნა შეაცვლევინებდა აზრს მცხეთის დიდ მთავარს.

სამარამ თავი ასწია. მძიმედ დაიძრა მისკენ ჭაღარათმიანი, ტანდაბალი ციხისთავი და ათიოდე წუთის წინ ციხეში ისრით გადმოსროლილი მცირე გრაგნილი მიაწოდა.

„ლეკა ქურუმმა საღვთო დროშებით და ქურუმებით დაიარა ჯარის ნაწილები, იქადაგა. დუდესა და დიდროს წინააღმდეგობის მიუხედავად, ბერძნების ერთგულებაზე დაიფიცა იბერები და უბრძანა ბრძოლაში ნუ ჩაებმებითო. რამდენიმე მხლებელი ჩვენმა ერთგულმა კაცებმა მოუკლეს ქურუმს, ხოლო როცა მისი შეპყრობა ბრძანა დიდრომ, თვით ჯარისკაცებმა არ შეასრულეს ბრძანება, ღვთაების „რჩეულზე" ვერავინ გაბედა ხელის აღმართვა...

სპასალარისა და დუდეს ერთგულმა ასიოდე კაცმა თავს გაქცევით უშველა.

მცხეთის დედაციხეს უფლისციხელის მრავალრიცხოვანი ჯარი არტყია, ყველა კუთხე-კუნჭული გამაგრებული აქვთ, მათგან დანდობას ნუ ელოდებით.

ხვალ დილით, გამთენიის ხანს, დიდრო და დუდე, რომლებმაც ხუთასამდე კაცი შეაგროვეს, უეცრად დაესხმებიან თავს უფლისციხელის კარავს და მას და მის მხლებლებს ამოხოცავენ. სამჯერ ასროლილ ცეცხლის ნიშანზე ციხის კარები გამოხსენით, ცხენები და ჩვენი ხალხი იქვე დაგელოდება და თავს უშველეთ.

ბიბლიოთეკა

აზონი უფლისციხის სასახლეში გამაგრდა და ტახტიდან არ გადმოდის..."

სამარამ კითხვა დაამთავრა და გრაგნილი ციხის უფროსს გადასცა.

— როგორმე შეატყობინე ჩვენს მეგობრებს, რომ უფლისციხის დიდ მთავარს ხელი არ ახლონ. ვინც მას სიცოცხლეს მოუსწრაფებს, მტერი იქნება ჩემი! — მკაცრად უთხრა ციხის უფროსს. — ხვალ დიდი ბრძოლა მოგველის. შუაღლემდე უნდა გავუძლოთ, შუადღისას კი მთიულებიც წამოგვეშველებიან. როგორც შეგვატყობინეს, მთელი ხევი დაძრულა მცხეთისკენ. კუხეთის ერისთავიც წამოვა საომრად და ზურგიდან მოადგება ციხეს...

ცარომ ისევ დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ სამარამ თავი გაუქნია და დასამშვიდებლად გაუღიმა.

როცა ყველანი გავიდნენ, ცარო ყელზე შემოეჭდო ქმარს და მის მკერდზე თავმიდებული ატირდა.

— ყველაფერი კარგად იქნება... — ამშვიდებდა სამარა ცოლს და თავისი სიტყვების თვითონვე არ სჯეროდა.

* * *

ვერ მოისვენა უფლისციხის სასახლეში აზონმა, ფიქრებს აყოლილმა მცხეთისკენ დაუყოვნებლივ გამგზავრება ბრძანა, — ბრძოლას მე უნდა ვუხელმძღვანელო, ბებერი მთავრის მორთმეულმა გამარჯვებამ ჩემი ვაჟკაცური სახელი რად უნდა შებღალოსო.

უფლისციხელს აზონის მოახლოება რომ აუწყეს, ისიც უთხრეს, სასახლის ოქროს ტახტიანი დარბაზის გასაღები დაისაკუთრა და იბერიის უძველესი სამთავრო უკვე თავისად მიაჩნია და არა შენს სამფლობელოდო. მწარედ გაეღიმა მთავარს, ცუდად ვუცნივარ პონტოელსო, — გაიფიქრა, მაგრამ ამბის მომტანს ეს უთხრა მხოლოდ: — რად გიკვირს მომავალ მეფეს და მბრძანებელს მთელი ქვეყანა მის საკუთრებად

რომ მიაჩნდესო, — და აზონის შესახვედრად გაემართა.

ესიამოვნა აზონს თავისი მომავალი სამეფო სასახლე რომ დაინახა, მოხიბლა მისმა სიდიადემ და უცნაურმა ხუროთმოძღვრებამ. სასახლის ეზოში შესულმა უფლისციხის მთავართან თითქოს თავი იმართლა: მცხეთის სამხეცეს ქება პონტოშიც გამიგონია, ამიტომ გულმა არ მომითმინა და მის ნახვას დავეშურე, ნადირობას მონატრებულიო. მწითურთან ერთად მიადგა სამხეცეს ჭიშკარს, მონადირეთუხუცესს გულიანად მიესალმა და აიმგზავრა. ენად გაიკრიფა და დიდი ცოდნაც გამოამჟღავნა ნადირთა ბუნების. შუბლგახსნილი, უცნაურად ატაცებული დააბიჯებდა საძგომებს შორის და სიხარულს ვერ ფარავდა, როცა ლომის ბოკვერი დაინახა, გაეღიმა: — ნადირთა მეფის უპირველესი ჯიშის ნაშიერი გყოლიათო, — თქვა.

— ძლიერ მოიწყინა ეს სამი დღეა, საჭმელსაც არ ეკარება, მოისაკლისა მცხეთის დიდი მთავარი!.. — სიმწრით ამოღერღა მონადირეთუხუცესმა.

— ამბობენ, პატარასთან მეგობრობდაო, — ისეთი მოწიწებით წარმოთქვა აზონმა, გეგონებოდათ, სამარა მისთვის ძვირფასი ადამიანი ყოფილიყოს და არა მტერი.

— საუბრით შეიჩვია, — უპასუხა მონადირეთუხუცესმა და აზონი ბოკვერთან შეუშვა. კედლისკენ ისკუპა პატარამ და იქ დაელოდა უცხო კაცის მოახლოებას, უცნაურად გატრუნული. ხოლო, როცა პონტოელმა თავისი გრძელი ხელი მისკენ გაიწოდა და ხორცის ნაჭერი შესთავაზა, გაშმაგებული ეცა ხელზე, გვარიანად ჩაასო კბილები და დაილმუვლა კიდეც. მიიჭრა ხმალამოწვდილი მწითური, აზონმა მწითურს ხელი ჰკრა და მეორე ხელით დრუნჩი დაუჭირა ბოკვერს.

— მე და ეს პატარაც კარგი მეგობრები გავხდებით! — თქვა და სამხეცე დატოვა.

უფლისციხის მთავარი მიუახლოვდა სასახლის ეზოში დაბრუნებულს. შეწუხდა, აზონის სისხლია[illegible] რომ დაინახა, მალამოს მოტანა დაავალა მსახურს და ეს უთხრა პონტოელს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბევრჯერ გავძახეთ სამარას, რომ ამაოდ გვიწევს წინააღმდეგობას, დავპირდით კიდეც, რომ სიცოცხლეს შევუნარჩუნებდით მას და მის დედას, მაგრამ არ ისურვა დანებება, პასუხიც არ გვაღირსა და არც შენი ლანძღვა შეაწყვეტინა ქონგურიდან გადმომდგარ ჯარისკაცსო.

— სამარას იმ პატარა მხეცის მიერ დაღვრილ ჩემს სისხლს ვაზღვევინებ. რამდენიმე საათში ბერძნების ჯარის ნაწილი მოადგება მცხეთას და, თუ არ დამნებდა მთავარი, იბერთა გვამებით ავავსებ ამ ეზოს. მცხეთის სამთავროს სასახლის ყველა წევრს წამებით ამოვხდი სულს, მხოლოდ ლამაზ ქალებს დავინდობ და პატარა გოგონებს არ ვახლებ ხელს.

უფლისციხელი თავდახრილი ისმენდა პონტოელის ლაპარაკს.

— მგონი სამი წლის უნდა იყოს ფარნავაზი?

უფლისციხელი დაემოწმა.

— გასძახეთ ციხეში, თუ სამ საათში ბიჭს არ მომგვრიან, ყველა პატარა ბავშვს თვალებს დავთხრი და ხეებზე გამოვკიდებ, მსურს კარგად დაინახოს სამარამ თავისი ურჩობის შედეგი.

უფლისციხელს ტანში გააჟრჟოლა. — მართალი ყოფილა რომ მეუბნებოდნენ, აზონის ყველაზე საყვარელი სასმელი ადამიანის სისხლიაო, — გაიფიქრა და უპასუხა: — გასახიზნად მიმავალმა ქალებმა ერთხმად აღიარეს, იმ ბავშვებში, ჩვენ რომ გვახლავან, ფარნავაზი არ ურევიაო. მონადირეთუხუცესს გუშინ ცემით სული კინაღამ ამოვართვი, ამათში პატარა მთავარი მართლაც არ არისო. — დაადასტურა. მე კი მგონია, ციხეში არ შეიყვანდა და უეჭველი სიკვდილისთვის არ გაიმეტებდა სამარა ტახტის ერთადერთ მემკვი-

დრეს, ტყუიან ქალები და სასახლეში დარჩენილი რამდენიმე კაცი.

მცირე ხნის შემდეგ, სასახლის სენაკებიდან გამორეკილი ქალების მოთქმა ზეცას სწვდებოდა. უფლისციხის დიდი მთავარი გულაღრენილი, გაბოროტებული იდგა ეზოს კუთხეში და გაფითრებული მისჩერებოდა ამ ამაზრზენ სურათს. რამდენჯერმე ისიც კი გაიფიქრა, მივალ და აზონს სიცოცხლეს მოვუსწრაფებო, მაგრამ სამარას დასჯის სურვილი ყველაფერზე ძლიერი გამოდგა.

ბოლოს, ცემით დალურჯებულ და დასისხლიანებულ ქალთაგან ერთმა თქვა:

— დუდეს შვილების გამზრდელს ჰკითხეთ სად არის ტახტის პატარა მემკვიდრე, მხოლოდ მას ეცოდინება ფარნავაზის ამბავი, ჩვენ ამაოდ გვაწამებთ!

მთელი სასახლე მოჩხრიკეს და ვერსად იპოვეს დუდეს შვილების გამზრდელი. ბოლოს აზონმა ბრძანა: ყველა პატარა ბიჭს თვალები დასთხარეთ და ხეებზე ჩამოკიდეთ, ხოლო, როცა საკუთარ შვილებს თვალდათხრილს და ხეზე ჩამოკონწიალებულებს იხილავთ, შეიძლება მაშინ მაინც გაიხსენოთ, რომელია ამ ბავშვებს შორის ფარნავაზიო.

როცა პატარები ერთად შეაქუჩეს და პონტოელმა ჯალათმა იარაღი მოიმარჯვა, მცხეთის სასახლის სარდაფიდან ქალის განწირული მოთქმა გაისმა. შეძრწუნებული, სახეშეშლილი გამზრდელი მკერდში იკრავდა საკუთარ შვილს და იმტკიცებოდა, სამი დღით ადრე, შუაღამისას, ბინძური უფლისციხელის თავდასხმამდე, ფარნავაზი მოიპარეს და მისი არა ვიცი რაო.

დედას მკერდიდან პატარა ააგლიჯეს და სახელი ჰკითხეს.

— ფარნავაზი მქვია! — გამოაცხადა ამაყად ბავშვმა.

აზონს სიხარულის ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— სტყუის, ბატონო, იჩემებს დიდი მთავრის მემკვიდრის სახელს. ისე კი დუდე ჰქვია, მცხეთის უმცროსი მთავრის პატივსაცემად დავარქვი ეს სახელი!

— რა გქვია, ბიჭო? — ახლა უფლისციხელი შეეკითხა ბავშვს.

— ფარნავაზი. მეფე [illegible] ოქროს ხმალი და თეთრი ცხენი ჩემი იქნება! — დაიჩემა ბიჭმა, — მეორე ფარნავაზი ვერ წამართმევს, რადგან ლომიერი ვიქნები და მე ვაჯობებ!

— მეორე ფარნავაზი ვილაა, — იკითხა აზონმა.

— მთავრის მემკვიდრე.

— ბავშვს თვალები ამოთხარეთ, ხეზე დაკიდეთ, ხოლო დანარჩენი ბავშვები და ეს ქალიც გამოასალმეთ სიცოცხლეს, რადგან არ ამბობს რომელია მცხეთის ტახტის ნამდვილი მემკვიდრე. ისიც სიკვდილს იმსახურებს. — ბრძანა აზონმა და გაბრუნება დააპირა. დღეისთვის თვალების დათხრა და სასახლის მომსახურე ქალების მოკვდინება სრულიად საკმარისად ეჩვენა ლომის ბოკვერის ნაკბენი ხელიდან დაღვრილი სისხლის საფასურად.

— შეჩერდი, უცხოელო! — უკან მოაბრუნა პონტოელი ქალის ხმამ, — არ გეუბნებოდი სიმართლეს, მინდოდა ნამდვილი მეფე შემენარჩუნებინა ქვეყნისთვის, თუ დამპირდები, რომ ამ უდანაშაულო ბავშვებს სიცოცხლეს შეუნარჩუნებ და განუტევებ, გეტყვი, რომელია მათში ფარნავაზი.

აზონი ყურადღებით დააცქერდა ქალს...

— თუ მეტყვი და ეს ქალები დამიდასტურებენ, რომ სწორედ შენს მიერ მითითებული ბიჭი ფარნავაზია, ჩემი მხლებლებისა და ჩემი ერთგული იბერების წინაშე გეუბნები, რომ შენს თხოვნას შევასრულებ...

გამზრდელმა საკუთარი შვილი წინ დაიყენა და ზეცისკენ აღაპყრო ხელები:

— დიდი ღვთაების წყევლა და რისხვა დაატყდეს თავს, ვინც უარყოფს, რომ ამ ბიჭს ჩემი ძუძუ უწოვია, მაცირის რჩეული იყოს ვინც დამაბრალებს, რომ ეს ბიჭი სიცოცხლეზე მეტად არ მიყვარდეს, ფუძის კეთილი თვალი დაუბნელდეს და მიწა ფეხქვეშ ჩაექცეს.

ვინც არ იწამებს, რომ მე მხოლოდ იმიტომ გავიმეტე მისი სიცოცხლე, რომ ეს ოციოდე უმანკო სიცოცხლე და იბერიის მომავალი გადამერჩინა... დიახ, ესაა პატარა ფარნავაზი, დუდეს ვაჟი, მცხეთის დიდი ქვეყნის მთავრის ტახტის ერთადერთი მემკვიდრე. — ესენი, — მიუთითა მიწაზე გართხმულ, სისხლში მოცურავე ქალებზე, — ვერ იმეტებენ მათ ხელში გაზრდილ პატარას, ნუ გაუმტყუნებთ, რადგან დედები არიან და იციან, რა მწარეა შვილის სიკვდილი.

— შენ კი, უფლისციხის დიდო მთავარო! ღვთაების დაწყევლილი იქნები უკუნიდან უკუნისამდე, როგორც სამშობლოს მოღალატე. ღვთაება არ ინებებს შვილის ცრემლები დაეცეს შენს ბილწ ცხედარს. როცა დუდეს და სამარას გააგებინებთ ჩვენს ამბავს, უთხარით რომ ჩვენ განგების ნებით შევეწირეთ იბერიის მომავალი მეფის დიდებისთქო.

ქალი გაჩუმდა.

აზონმა მწითურს რაღაც გადაულაპარაკა. მწითური განწირულთაკენ გამოეშურა ხმალმომარჯვებული და კიდეც გაისმა პატარა ბიჭის კივილი. შვილის თბილი მკერდიდან ამოღებული დანა ახლა დედის ხელითვე ეწვია დედის გულს, რათა სამუდამოდ დაემშვიდებინა.

ქალი და ბავშვი ერთად დაეცნენ მიწაზე. თვით აზონსაც გაუჭირდა მათი ცქერა და ზურგი იბრუნა: — რადგან მემკვიდრე მკვდარია, ბავშვებს და ქალებს თავი გაანებეთ, სადაც სურდეთ იქ წავიდნენო, — ბრძანა.

* * *

შუაღამისას, მცხეთის ციხის ქონგურებში შეაღწია ნადირთა ხმამ. სამარა ვიწრო სარკმელთან მივიდა და სივრცეს გახედა. მცხეთის სასახლის ეზოში ავარდნილი ცეცხლის ალი ზეცისკენ მიისწრაფოდა. იწოდა სამხეცე.

— უკვე შეასრულა ჩემი სიტყვა მონადირეთუხუცესმა, გაუშვა ნადირი, ალბათ ისიც არ დაივიწყს, რომ ვუბრძანე, როგორმე გადაარჩინე ლომის ფეკვერი და შენს ბიჭს დიდ ხევისბერთან აიყვანინე-მეთქი. გაუკვირდება, ალბათ, თავხევისბერს... თუმცა კი ბრძენს როდი უკვირს ამქვეყნიური უცნაურობანი... — გაიფიქრა და ციხის გალავანზე ავიდა.

საცეცხლე ფუთებზე მოკალათებულ მეციხოვნეებს სასახლის მგოსანი ვაჩე შუაში ჩაეყენებინათ და უსმენდნენ: ზარივით რეკდა ღამის სიბნელეში ვაჩეს ტკბილი ხმა.

* * *

იმ ღამეს უფლისციხის სასახლეც ცეცხლს მისცეს პირქუშის მებრძოლებმა, ერთიანად ამოწყვიტეს სასახლის დასაცავად დატოვებული ბერძნები და უფლისციხელები.

უფლისციხის ქვეყნის სპასალარი შეიპყრეს და ძელზე გაკრული მცხეთისკენ წაიმძღვარეს.

პირქუშის ჯარს თანდათან შემოუერთდნენ ლეკა ქურუმთუხუცესის მიერ განტევებული იბერიელი მეომრები, და გამთენიისას საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი გამოემართა ქვეყნის გულისკენ.

ბათენა თავდახრილი მძიმედ მიაბიჯებდა. ამ ქვეყნად ვაჟკაცობასა და ბრძოლაში თავის მეტოქედ მხოლოდ პირქუში მიაჩნდა. ხშირად უოცნებია მასთან პირისპირ, ხმალიხმალ შებმასა და გამარჯვებაზე. ახლა კი შერცხვენილი, იარაღაყრილი, ფეხით მიაბიჯებს ცხენზე ამხედრებული გალიათის წინ და მთიელების დაცინვას ისმენს. სულ მცირე იმედი მაინც ბჟუტავს მის გულში, სულ მცირე, თუ არ მოეჩვენა, რაღაც ანიშნა წელან წელში მოხრილმა მოხუცმა. ბათენამ ასე გაიგო ეს უტყვი ლაპარაკი: — გამხნევდი, განწირული არა ხარ, კიდევ გექნება საშუალება შენი ვაჟკაცობა გამოაჩინოო. ჰაი, დედასა... უფლისციხის მთავარ ჯარს, რომელიც თავისივე ბრძანებით ზადენციხის ირგვლივ განალაგა, ვინმე რომ გა-

აგებინებდეს უფლისციხელთა შერცხვენას და მათი უპირველესი ვაჟკაცის უბედურებას?

მდინარისპირა ველზე შეაჩერა თავისი ლაშქარი და ასე მიმართა პირქუშმა მეომრებს: — ჩვენი ვალია მტერს მტრულად შევხვდეთ და მთიელთა ხმლის ძალა ვაჩვენოთ. მცხეთა ახლოსაა, ერთ-ორ საათში ბრძოლაში უნდა ჩავებათ. ვისაც გული არ გერჩით და ბრძოლის გეშინიათ, წადით, დაგვტოვეთ, ვინც დარჩებით, იცოდეს ყველამ, რომ გაქცეულს თვითონვე მოვკლავ ბოლოს. თანასოფლელთან მცხეთის უძლიერესი მთავარი და სპასალარი შეგვიერთდებიან და დავიძრებით კიდეც...

ლოდინი უფრო დიდხანს დასჭირდათ, ვიდრე დათქმული ჰქონდათ. მკაცრად გაჰყურებდა სივრცეს პირქუში...

მთების კალთებიდან ცხენების ფეხის ხმა და მეომართა ყიჟინაც მოისმა.

პირქუშმა წარბი გახსნა. ბათენამაც ახედა მთის წვერიდან დაშვებულ მეომრებს და მიხვდა, რომ სულ ტყუილად ეუხაროდა მის მეტოქეს ამ ჯარის გამოჩენა.

უფრო გუმანით იგრძნო, ვიდრე შეიცნო, რომ ეს ლაშქარი დიდროსა და დუდეს არ ეკუთვნოდა, თუმცა კი, მცხეთის სასახლის დროშას მოაფრიალებდა ბედაურზე ამხედრებული მეომარი. მალულად გახედა წელში ძოხრილს და ძლივს დაფარა სიხარული.

ელვის სისწრაფით ეშვებოდა ლაშქარი მთიდან. პირქუში დინჯად ელოდა მის მოახლოებას. მთიელები ალტაცებით შესცქეროდნენ მათკენ მომქროლავ „თანამოძმეებს", უხაროდათ სიმრავლე და სიმკვირცხლე მათი.

ერთი საათი გაგრძელდა ბრძოლა. ივერიის მიწამ ოხვრით შეისრუტა ძმის მიერ დაღვრილი ძმის სისხლი და ზეცას შეჰღაღადა თავისი ტკივილი. გვამებით ჩაიხერგა გზა. წითლად შეიღება მდინარე...

ათი უფლისციხელი ჯარისკაცი ძლივს აკავებდა პირქუშს. ბათენამ ერთხანს უცქირა ამ სურათს და ბოლოს მძიმედ ბრძანა: — როცა პირქუშმა უფლისციხის სასახლე გა[illegible], მისი მთავარი ციხე დალაშქრა და დაატყვევა, მთიელები ჩემ ჩაქოლვას აპირებდნენ... ასე თქვა მაშინ გამარჯვებულმა პირქუშმა: — ბათენას ისიც ეყოფა, რომ დამარცხდა, უფრო დიდი სასჯელი ვაჟკაცისთვის არც არსებობსო. მე მას არ მოვკლავ. იმით დავსჯი, რომ ბრძოლის ველზე ძელზე გაკრულს მივიყვან და მის წინ უფლისციხის დანარჩენ ჯარს ამოვწყვეტო. — ახლა მე ასე ვბრძანებ: ნუ მოკლავთ პირქუშს, მხოლოდ მარჯვენა გადაუმტვრიეთ, რათა ახლანდელ ბრძოლაში ჩაბმა ვერ შეძლოს. ხოლო, როცა მთის დასტაქრები დალეწილ ძვლებს გაუმთელებენ, თვითონ ავალ მთაში, რათა იბერიელთა ძველი წესის მიხედვით შევერკინო, მაშინდელი სიკვდილი ორივესთვის სასახელო იქნება...

მერე ლაშქარს მიუბრუნდა ბათენა. თავის ათასისთავს დამარცხებულთა ძეთვალყურეობა და დაჭრილების მოვლა დაავალა, თვითონ კი, პირქუშის ცხენზე ამხედრებული, ტყეს შეესია ლაშქრით, რათა დიდრო და დუდე არ გაეშვა ხელიდან.

სულ ტყუილად შეყოვნდა ტყეში უფლისციხის სპასალარი. დუდესა და დიდროს გზაზევე შეატყობინეს პირქუშის დამარცხების ამბავი და ისინიც მიენდვნენ მთის საცალფეხო ბილიკებს...

თავიანთი არცთუ მრავალრიცხოვანი ლაშქარი დაითხოვეს, რადგან ამ გზაზე ათასს კი არა, ასიოდე უერთგულეს კაცს, რომლებმაც მათთან სიკვდილი არჩიეს შერცხვენილ სიცოცხლეს, გაუჭირდებოდა გადასვლა. თითქმის უიმედოდ მიუყვებოდნენ დედაციხისკენ მიმავალ გზას დიდრო სპასალარი და დუდე.

* * *

მეციხოვნენი ამაოდ ელოდნენ ბრძოლის დაწყების დათქმულ ნიშანს. როცა მზე კარგად ამოიწვერა და დამხმარე ჯარი არ გამოჩნდა, სამარამ სათათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიროდ შეჰყარა ციხის დამცველები.

მუხლზე დაეცნენ მის წინ ცარო და დედოფალი, სთხოვეს: — სიცოცხლე გამოსთხოვე უფლისციხელს, ნუ დააქცევ იბერიას შენი სიკვდილითო.

ღიმილით მიუახლოვდა მისთვის ძვირფას ადამიანებს მცხეთის ქვეყნის დიდი მთავარი, ფეხზე წამოაყენა, გულში ჩაიკრა, ცრემლიანი თვალები დაუკოცნა ორივეს.

— ვთქვი და გავათავე! მთიელთა, კახთა და მცხეთელთა იმედი რომ არ მქონოდა, არც ამდენ ხანს გავჩერდებოდი ციხეში. ვფიქრობდი, უეცრად გავხსნიდი საიდუმლო კარს და მოულოდნელად გავჩნდებოდი ბრძოლის ველზე. მართალი ყოფილა ვარსკვლავთმხჩიბავი, ამ ომში დამარცხება რომ მიწინასწარმეტყველა... მაპატიე, ღვთაების უწმინდესო მსახურო, რომ არ დაგიჯერე და ქვეყანა განსაცდელში ჩავაგდე, — მიუბრუნდა სამარა მცხეთის უფროს ქურუმს. — ხოლო ახლა, როცა ყოველი გზა მოჭრილია და სასახლის გუმბათიდან ჩემთვის თავდადებულ იბერიელთა თავები შემომცქერის, მე სამარას, ქვეყნის მეთაურსა და პატრონს, არ მაქვს უფლება მათი სისხლი არ ავიღო და კურდღელივით ბუნაგიდან გავიპარო, ან სიცოცხლის შენარჩუნება ვთხოვო მათ მკვლელებს. შენ კი, დედაჩემო, — დიდო დედოფალო, და შენც, ჩემო ცოლო — იბერიის მშვენებავ, ახლავე დასტოვებთ ციხეს და სანამ საბრძოლველად კარებს გავხსნიდე, უფლისციხელს ეახლებით. იმედია, ჭალარა, ქვეყნის სამსახურში დაბერებულ დიდ დედოფალზე არ აღმართავს ხელს აზონის მეგობარი...

მკაცრად შეიკრა წარბები დიდმა დედოფალმა:

— ციხეს ყველაზე გვიან მე და ცარო დავტოვებთ! — ისე შეუვალად გამოაცხადა, რომ თვით სამარამაც ვერ შეჰბედა სიტყვა.

უფლისციხის დიდმა მთავარმა წვრილად იცოდა, თუ რა ხდებოდა მცხეთის დედაციხეში. თავისი კაცი ჰყავდა შეპარებული სამარასთან. დიდად გაახარა დიდი დედოფლის სიტყ[illegible] ცარო მისი მეოხებით [illegible]ჩება, კიდეც დავინდობ მის ბებერ სიცოცხლესო, — გადაწყვიტა.

აზონი ცქმუტავდა და წარამარა ეკითხებოდა უფლისციხელს, — რატომ აგვიანებ ბრძოლის დაწყებას, ბერძნული მანქანებიდან გატყორცნილი ქვები ერთ საათში მოუღებს ბოლოს ამ თქვენს ციხესო. სიმშვიდეს სთხოვდა პონტოელს უფლისციხელი და ძლივს იკავებდა ბოლმას და სურვილს — ყელში წვდომოდა ამ უცხოელს, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა ქართლოსიანთა ვაჟკაცობასა და თავგანწირვაზე. მას სურდა, სამარა ცოცხლად ჩაეგდო ხელში. ახლა მცხეთის დიდ მთავარზე მხოლოდ ცაროს გამო და უფლისციხის ტახტთან მუდმივი ქიშპობის გულისთვის კი არ იყო გამწარებული, არამედ უგუნურობისთვის, რადგან ქვეყნის დაღუპვას უკვე სამარას აბრალებდა და არა საკუთარ თავს. ხოლო ქვეყანა რომ განადგურდა და სისხლში ჩაიხრჩო, ამას თვალნათლივ ხედავდა უფლისციხელი.

უნდოდა საქვეყნოდ შეერცხვინა, თავისი ურჩი ქალიშვილის თვალწინ დაესაჯა, თვალები დაეთხარა და დაესაჭურისებინა, როგორც მოღალატეს ეკუთვნოდა.

სასახლის კარიბჭესთან ატეხილმა ჩოჩქოლმა ფიქრებიდან გამოიყვანა უფლისციხელი. საბრძოლველად გამზადებულ ბერძნულ ჯარს გადახედა და აზონს მიუახლოვდა, უნდოდა ეთქვა, დროა დავიწყოთ ციხის აღება, როგორც ჩანს, სამარა შეშინდა და შენთან შერკინებას ერიდებაო. აზონმა წარბი აათამაშა და დაასწრო: შენი ხათრით ვიცდიდი მთელი დილა, სიტყვა არ გავტეხე და სამარას დამარცხება შენ მოგანდე. მაგრამ ვხედავ, შენმა ჯარმა ძლიერ დაიგვიანა და მეტის მოთმენა არც მსურს...

— იბერებმა უნდა იცოდნენ, რომ ბერძნულ ჯართან და მის მხედართმთავარ აზონთან ურჩობა სიკვდილითა და

დამარცხებით მთავრდება! — ბოლო სიტყვები ხმამაღლა წარმოსთქვა აზონმა, მთელი ჯარის გასაგონად.

— ჩვენც დავიღალეთ ლოდინით, მიგვიშვი ციხეზე! — წამოიძახეს ბერძნებმა და აზონის საომარ ბრძანებას დაელოდნენ...

შემოიჭრა შიკრიკი უფლისციხიდან, მუხლებზე დაეცა დიდი მთავრის წინ:

— სასახლე დავიწვეს და იქ დატოვებული ბერძნული ჯარი ამოწყვიტესო, — მოახსენა.

მეორე მოჰყვა პირველს ფეხდაფეხ, — მთიელების ლაშქარი ამოწყვიტა ბათენამ, მერე ტყეში დიდროსა და დუდეს ჯარი ეძია, ბოლოს ერთმა უფლისციხელმა, რომელიც მათთან შეიპყრეს, მიგვასწავლა ის ბილიკი, რომლითაც ისინი მცხეთაში შემოჭრას აპირებდნენ, წინდაწინ დავუარეთ, დუდე მოკლეს, ხოლო დიდრო სულთმობრძავი შეიპყრესო. სადაა, ჩვენი ჯარიც მოადგება მცხეთის კარიბჭესო.

ვერც კი მოასწრო მოსმენილის გააზრება უფლისციხელმა, რომ ციხის ქონგურებიდან სეტყვასავით წამოვიდა ცეცხლოვანი ისრები. ბერძენი ჯარისკაცები, რომლებიც ქვის სასროლ მანქანებს უტრიალებდნენ, ისეთ კვამლში გაეხვივნენ, რომ კარგა ხანს ვერ მოახერხეს საპასუხო გასროლა.

აზონის ბრძანებაზე ბერძენთა ჯარი ციხის კედლებისკენ დაიძრა და თითქოს ზვავი მოწყდაო, ისე წამოვიდა ქვები ზემოდან.

ხოლო, როცა ქვებზე და თანამებრძოლთა გვამებზე გადასული ახალი ნაწილები მიუახლოვდნენ ციხეს, უცებ ჩანჩქერივით დაეშვა ცეცხლოვანი სითხე.

გამწარდა აზონი. ისევ ახალი ძალა გაუშვა ციხისკენ.

შუადღემდე იბრძოდნენ. ბოლოს მაინც მოახერხეს კედლებზე ასვლა უფლისციხელებმა და კიდეც გაიღო ციხის კარები. მცხეთის დიდი მთავარი სიკვდილის შესახვედრად მოიჩქაროდა.

თვით ომის ღმერთს შეშურდებოდა სამარას სიჩაუქე და ვაჟკაცობა[illegible] ეგონათ მასთან მორკინალ ბერძნებს ადამიანს კი არა, ღვთაებას [illegible]ს ვებრძვითო და შეშინებულები გარბოდნენ მისგან...

მხოლოდ უფლისციხელმა იცოდა, რომ სამარა ჩვეულებრივი მოკვდავი იყო და კიდეც დაუმიზნა ისარი... მახვილი მხარში მოხვდა სამარას. მან ისარი მსწრაფლ ამოიძრო და ხმალი შემართა. უფლისციხელი თვალს არ აცილებდა სიძეს და, როცა სამარას ხელიდან ხმალი გაუვარდა, გაიღიმა.

მოწამლულმა ისარმა თავისი საქმე ქმნა.

ტანსაცმელშემოძარცვული გამოათრიეს ციხიდან ცარო, ორი კაცი ძლივს აკავებდა. როცა უფლისციხელის ბრძანებით სამარასთან მიიყვანეს, რათა ქალიშვილი მცხეთის დიდი მთავრის სიკვდილში დარწმუნებულიყო, დაიჩოქა და მოეფერა მის გვამს, შუბლზე მიკრული თმები გადაუწია და მკერდზე შეახო ხელი...

— როგორც შემოგფიცე, ისე მოიქცევა შენი ცარო, გესმის სამარა?! როგორც შემოგფიცე, სწორედ ისე პირნათელი შეგხვდები ზეცაში... ოღონდ გაიგონე, რაც გითხარი, ოღონდ გულნაკლული არ წახვიდე ამ ქვეყნიდან ჩემზე! — ეხვეწებოდა, ცრემლით უნამავდა მკერდს.

მართლაც, გაახილა თვალები სამარამ, ცაროს დასამშვიდებლად, და კიდეც გასძახა უფლისციხელს ერთ-ერთმა ჯარისკაცმა:

— ჯერაც ცოცხალია, მცხეთის დიდი მთავარი!

უფლისციხელმა გამოცდილებით იცოდა, რომ საწამლავი უეჭველად გაჭრიდა და ამაზე არ ნაღვლობდა. იგი ახლა შეფარვით უმზერდა აზონს, რომელიც თითქმის გაოგნებულიც კი შეჰყურებდა ცაროს. ასეთი ლამაზი ქალი, მართლაც, არასოდეს ეხილა პონტოელს, დიდი მწუხარება და ტანჯვა უცხო შარავანდედით მოსავდა ცაროს, ამიტომ თუ იყო, მტერმაც რომ ვერ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშალა საყვარელი ქმრის დატირება.

ბოლოს წამოდგა ცარო და მამას გასძახა:

— ეს ბინძური კაცები მომაშორე, მამაჩემო, მომიახლოვდი, მინდა შენს მკერდზე გამოვიტირო ჩემი დაკარგული ბედნიერება.

არ დაძრულა ადგილიდან უფლისციხელი.

როცა აზონს ცაროს სიტყვები უთარგმნეს, გაიცინა და უთხრა მთავარს:

— მიეახლე იბერიის მომავალ დედოფალს, დაუჩოქე და მორჩილება აღუთქვი, რადგან ხვალ იგი ჩემი ცოლი იქნება.

ძლივს გადაყლაპა ყელში გაჩხერილი ნერწყვი უფლისციხელმა და მძიმედ დაიძრა ქალიშვილისკენ. ხელგაშლილი გამოემართა მისკენ ცარო, გადაეხვია.

— მე და სამარამ გადავწყვიტეთ, მამაჩემო, თუ გონს არ მოეგებოდი, სიკვდილით დაგვესაჯე. სამარას არ დასცალდა თავისი ვალის აღსრულება. ხოლო მე, იბერიის დედოფალმა, ვიტვირთე ეს საქმე...

ბოლო სიტყვები ძლივს ამოსთქვა ცარომ და მამასთან ერთად დაეცა მიწაზე, მის განიერ მკერდზე გაკრული...

როცა მამა-შვილი ერთმანეთს დააცილეს, ნახეს, რომ ცაროს კარგად სცოდნია სად ძგერდა მამის ამაყი გული...

აზონს ცოფმა დარია ხელი. გამხეცებული ეცა სამარას გვამს, შუბის წვერით რამდენიმე იარა მიაყენა და თვალები ამოუთხარა, ხოლო, როცა ხმალი მოითხოვა, რათა ნაკუწ-ნაკუწ აეჭრა მისი სხეული, მწითური მიუახლოვდა და სპარსულად უთხრა, მეფეს ასეთი საქციელი არ ეკადრებაო. ხმალი მიაგდო და ბრძანა: მცხეთის ქვეყნის ორივე მთავარს, დუდეს და სამარას, აგრეთვე, ახალგაზრდა დედოფალს, ცაროს თავები მოჰკვეთეთ და ციხეში სალოცავად დაყუდებულ ბებერ დედოფალს და უფროს ქურუმს მიართვითო.

* * *

ადრიანად აინთო მცხეთის დიდ სასახლეში სანთლები იმ დღეს. ქურუმთუხუცესის, ჰერეთის მთავრისა და პონტოელ მეთაურთა თანხლებით შევიდა აზონი იბერმთავართა უძველეს საბრძანისში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის დროშები დაუფინეს ფეხქვეშ მომხვდურს, და დიდის ამბით დააბრძანეს ტახტზე. მეფობა მიულოცეს და დაუკოცნეს სისხლიანი ფეხები.

დავიწყებოდა ყოველი განსაცდელი პონტოელს, ისიც, რომ ამ ერთი დღის მანძილზე შეშინებულმა მრავალჯერ ინანა ამ მიწაზე შემოჭრა, და აწ ბედნიერმა, მის ფეხებთან განრთხმულ მლიქვნელებს უხვად დაუყარა ოქრო და ძვირფასი თვლები...

მცირე ლხინიც იყო სასახლეში, ხოლო ბერძენ ჯარისკაცებს ნება დართო, იბერიული ღვინით დამთვრალიყვნენ.

— ხვალიდან ყველაფერი შეიცვლება ქვეყანაში. იბერია დიდ სახელმწიფოთა რიგში ჩადგება! — გამოაცხადა რიხით და ქალების შემოყვანა ბრძანა.

გაფითრებული მოუძღოდა აზონის აქალებოს ინდოელი ჩიტრინე.

როცა ქალი მიუახლოვდა, აზონმა უფლისციხიდან წამოღებული სამეფო გვირგვინი გაუწოდა: შენი ლამაზი ხელებით დადგმული გვირგვინი უფრო დამშვენდება, ვიდრე ლეკას მობერებული ხელით ბოძებულიო.

ლეკამ ნერწყვი გადაყლაპა და მორჩილად გაუღიმა. აზონმა მწითურს შეხედა, მიხვდა, რომ კარგად ვერ გამოუვიდა ნათქვამი და გამოასწორა:

— ეს ამ საღამოს გასართობად მოვიგონე. ხვალ კი მთავარი ქურუმი იბერიული წესით მაკურთხებს და ტახტზედაც იგი დამაბრძანებსო.

ჩიტრინემ გვირგვინი ჩამოართვა და ფრთხილად დაადო აზონს თავზე. ძლიერ განიერი გამოდგა იგი აზონის ვიწრო და წვეტიანი თავისთვის, პონტოელის დიდი ყურები რომ არა, ყელზეც ჩამოუცურდებოდა და შეარცხვენდა.

* * *

იმ ბნელ ღამეს მხოლოდ ცასა და შავ ღრუბლებს ესმოდათ დედის მოთქმა. იგი დასტიროდა შვილებს, მკერდში იკრავდა მათ მოჭრილ თავებს და გოდებდა ლალატით გაყიდული ქვეყნის უბედურებაზე. ხოლო, როცა სასახლის უფროსი ქურუმი გულგახეთქილი მის გვერდით დაეცა და სული განუტევა, სათუთად გაახვია მოსასხამში შვილების თავები, ცაროს აბრეშუმივით თმები ყელზე შემოიხვია და [illegible] გალავნისკენ ამავალ [illegible]-ლავანზე ასული ლოცვად დავარდა. იბერიელთა მფარველ უძველეს ღვთაებას გამოსთხოვა ქვეყნის პატრონობა, დაცვა და ბოროტებისგან განწმენდა... მერე წამოდგა, ძვირფასი ტვირთი მკერდზე მიიკრა და დინჯად გადაახტა უსასრულობაში...

## წიგნი მეორე

## გამარჯვება

თავხევისბერმა თვალი გაახილა, ირგვლივ მყოფნი შეათვალიერა და მზერა ადონზე შეაჩერა. ადონი ფეხაკრეფით მიუახლოვდა საწოლს.

— უბრძანე ჭაბუკი მომგვარონ! — ძლივს წარმოსთქვა მომაკვდავმა.

— ფარნავაზი?

თავხევისბერმა თავი გააქნია და ისევ დახუჭა თვალები. სათნოების მსუბუქი შუქი დასტრიალებდა სახეზე, სულთა საუფლოში მიმავალის აღმატებულება მოწიწებულ სიმშვიდეს ამკვიდრებდა მის ირგვლივ.

უჩუმრად შემოვიდა არმაზი და ფეხებთან გაუჩერდა სულთმობრძავს.

ისევ გაახილა თვალი თავხევისბერმა. არმაზისკენ ხელი გაიშვირა და რაღაც ჩაილაპარაკა.

ადონი შეიძრა.

— დიდი დედის სახლში მიმიყვანე, მოვლენილო!

არმაზი მუხლებზე დაეცა, თავით შეეხო თავხევისბერის ფეხებს.

ადონმა ყველა სანთელი ჩააქრო და, როცა დარბაზში მყოფნი ფრთხილად გაიკრიფნენ, კარი გამოიხურა.

* * *

განთიადისას გამოვიდა არმაზი მთიელთა წინაშე. მკლავებზე თავხევისბერის გვამი ესვენა. ხალხმა გზა დაუთმო გამპატიოსნებელს და თვითონაც მიჰყვა მოშორებით.

ცეცხლის გრძელმა ენამ გველივით გაისრიალა ღრუბელთა შორის და ტანძლიერმა მუხამ მკერდით შეისუნთქა ღვთაების სითბო. გმინვა აღმოხდა კავკასიონს.

კლდის ძირთან შეჩერდა არმაზი, წყალგაღმა დარჩენილ ერს მიხედა და ნელ-ნელა ასწია თავს ზემოთ გვამი. ცეცხლის გრძელი ენა ახლა არმაზის ფეხებთან გაიკლაკნა. მთიელები მიწას განერთხნენ. მხოლოდ ადონი გაჰყურებდა კლდის ქარაფებზე აღმა მიმავალ ჭაბუკს და უმაღლეს ღვთაებას მისი მშვიდობით დაბრუნებას სთხოვდა.

გაუჩინარდა არმაზი ღრუბელთა სიძკვრივეში და იგრგვინა ისევ ზეცამ, გრგვინვას ახლა უჩვეულო სიბნელეც მოჰყვა.

ღვთის შიშმა გაჰყინა მთიელთა გულები.

პირქუშმა ხმალი მოიხსნა და ლოცვად დაეცა. ლომკაცის ლოცვა შეისმინეს ღვთაებებმა. მზირამ ვარდისფერი შუქი მოუვლინა მიწას, გაუნათა არმაზს სავალი. თავს შემოევლო კლდის წვერს. გამპატიოსნებელმა ღია ნაპრალში შეაყუდა წმინდა გვამი. დიდი დედის კეთილმა სულმა მიიღო მდუმური

და გაიგონა არმაზმა ღვთაების ამონასუნთქი: იბერია... ფარნავაზ...

ზურგით მიეყრდნო ღვთაების სადგომს... არწივთა საბუდარს გადახედა. დალოცვილ მიწასაც მზირას თვალი დასთამაშებდა. ხელებგაწვდილმა გაიწია ამ შუქისკენ. ვარდისფერი ნათება ახლა მისი თითებიდან ფართე ზოლებად დაიღვარა და გაისმა კიდეც ამირანის მთებში უმაღლესი ღვთაების ნაბრძანები: ჰე, ჰე, იბერიავ... ჰე, ჰე, ბერავ... ფარნავაზ...

მთებმა მთებს გასძახეს და ხალხმა აიტაცა მისი სახელი... ჰე, ჰე, ბერავ... ფარნავაზ...

ადონმა დაინახა, როგორ მიუახლოვდა ფარნავაზი მეხდაცემულ მუხას, მიეფერა მის გახლეჩილ ტანს, მკურნალის რუდუნებით გასინჯა და გაიხარა, სიცოცხლის წვენი საბოლოოდ დაშრეტილი რომ ვერ ნახა მასში. დაუკოცნა ძლიერი ფესვი.

მთიელები გარსშემოერტყნენ თავიანთ ბერას, მასთან ერთად გაიხარეს, გაიცინეს... თავხევისბერის დალოცვად მიიღეს დღევანდელი სასწაული... ქადაგმა პირქუშს მოახსენა, რომ დღეიდან უძლეველი იქნება ბერა, რადგან თავხევისბერმა მისი სახელის მთაში გადმოძახება არმაზს შთააგონაო.

პირქუშმა მკერდში ჩაიკრა ბერა, განიერ მხრის თავებზე ემთხვია და უჩურჩულა: — ჩვენი დროც დამდგარა, ფარნავაზ! — მერე მთიელებს უთხრა, დროა თავხევისბერის სულის მოსახსენებლად მსხვერპლი შევწიროთ სულთა მეუფესო.

მთიელებმა სახლებისკენ იბრუნეს პირი.

ფარნავაზი წამით ჩამორჩა თავის გამზრდელ ხალხს, არმაზს გახედა და, როცა კვლავ ჩაესმა თავისი სახელი, იმედმოცემულმა მადლი შესწირა გამჩენს.

ლოცულობდა კავკასიონის კალთაზე მუხლმოყრილი იბერიის მომავალი მეფე, ვით ერთი მოკვდავი კაცთაგანი, სასოებით ჰკოცნიდა საფიცარ მიწას და ღვთაებებთან ამაღლებულ თანმეზრდილ მეგობარს გაჰყურებდა აღზრდობიდანვე სევდას ნაზიარევი ღიმილით.

* * *

მზირასა და მთოვარეს ერთი ქალიშვილი ჰყავდათ, — მთიები. ქალიშვილს დედის ეშხი და მამის სევდა გამოჰყოლოდა. სილამაზით ყველა ქალღმერთს აღმატებულმა მხოლოდ ერთხელ იგემა სიყვარულის სიტკბო. ეს მაშინ მოხდა, როცა ღვთაებრივი ცეცხლით ხელდამშვენებული ღმერთკაცი იხილა. მამის ეტლს ამოეფარე, რათა მოპარული ცეცხლი მიწაზე უვნებლად მივიტანოო, სთხოვა მაშინ ამირანმა მთიებს. მაშინ ღამის გასაყართან დიდხანს ალოდინა მზირა ქალიშვილმა, ხოლო, როცა ეტლში ჩაბრძანდა და თავის გზას შეუდგა, დაინახა: — ღვთაებრივი ცეცხლი უხვად გიზგიზებდა იბერიის მიწაზე.

შემოქმედმა დასაჯა ამირანიც და მთიებიც. ღმერთკაცი კავკასიონზე მიაჯაჭვა და არწივს უბრძანა მისი გულ-ღვიძლის კორტნა, ხოლო მთიებს სავალი დაუმძიმა და მიწასთან მიახლოება მაშინ დაუწესა, როცა მთელი დღის წამებით დაღლილი, მძინარე ამირანის თავზე გაუმჭვირვალე ჯანღი იწეოდა. იმ დროიდან ცრემლიანი თვალებით დაჰყურებს მთიები ამირანის სატანჯველ ადგილს, ამაოდ ცდილობს სატრფოს ხელმეორედ ხილვას. ქალიშვილის ცრემლებმა ოდნავ მოალბეს უმაღლესის მრისხანე გული, როცა დიდ დედას საუკეთესო შვილი გამოსთხოვა გმირის ტანჯვის სანაცვლოდ. მას შემდეგ გულისფანცქალით მოელის მთიები დედამიწაზე კეთილი ნერგის გახარებას, ამირანის ტანჯვის გამზიარებელი მოკვდავის მოსვლას, რომელიც საკუთარი სურვილით შეეწირება ღვთაებებს და შეუმსუბუქებს ტკივილს მის სატრფოს. მაშინ შემოქმედი არწივს კავკასიონის თოვლიან მწვერვალებზე დაუდებს ბინას, ღმერთკაცის ირგვლივ გამეფებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაჭვის გაჰფანტავს და წმინდა ქალწულის ყოველ დილით შეეძლება თავისი სატრფოს ხილვა. ასე იქნება თუ ამირანის რჩეული ხალხი დიდ დედას არ გაანაწყენებს და ღმერთკაცის დამხსნელის სახელს არ დაივიწყებს.

მთელის მთიები ამირანის ხელშეორედ ხილვას და ამიტომაც მუდამ შეაჩერებს ხოლმე ეტლს კავკასიონის თოვლიან თავზე. ახლაც თვალცრემლიანმიუახლოვდა თავის ბრწყინვალე დედას. მზირამ ცხრა თვალი მიაპყრო, ცხრა სხივი დაუფინა ფეხქვეშ ქალიშვილს, დაამშვიდა.

მერე დინჯად მიეახლა კავკასიონს და, როცა მის კალთებს დახედა, ჯიხვთან ერთად მდინარისაკენ მორბენალი არმაზი იხილა. დაეწია, მიუალერსა, ღვთაებრივი სხივით გაუნათა სული, ლაჟვარდისფერ ფართე თვალებში ჩახედა, და მერე გახარებული დაადგა გზას, რათა ქალიშვილისთვის ამირანის დამხსნელის მოსვლა მიელოცა.

* * *

არმაზი უცქეროდა როგორ ჩამოირბინა სოფლის ბილიკი ლამზირამ, როგორ მიუახლოვდა მდინარის ვერცხლისფერ ზოლს, როგორ დაუყვა ნაპირს ფონის საძებნელად, მერე წყლის ქალღმერთივით, როგორ მსუბუქად გადმოიარა წყალი და ჭალაში შემოვიდა. ნიავი მოაცილებდა ლამზირას. ყვავილები ესალმებოდნენ მშვენიერს, მდინარის ვერცხლისფერი ზოლი ქამრად განასკვოდა წელზე...

მიუახლოვდა. გაუღიმა. სუნთქვა შეეკრა არმაზს.

— ძლიერ სწუხს ალონი შენს გამო. ვერ ამიხსნია, რად მოგვიძულა არმაზმაო, — ამბობს. მეც მიკვირს შენი საქციელი. რა დაგრჩენია ჭალაში იმის ფასი, რომ ყველა მოგვიძულე? — ეუბნებოდა და კი არ უწყრებოდა, ეფერებოდა, უყვავებდა თითქოს. — შენი მეგობარი ვარო, ძრავალჯერ გითქვამს... რით გაპატიო აქამდე ჩემი უნახაობა?

— პომენატრე... გუშინ იქ. ზევით — ხელი გაიშვირა არმაზმა კლდის წვერისკენ. — ღვთაებას [illegible] ლიხე. ვიცოდი, შეისმენდა ჩემს თხოვნას. ახლა გადასახედიდან დაგინახე. მადლობელი ვარ მობრძანებისათვის!

— უცნაური ლაპარაკი იცი... სერთოდაც უცნაური ხარ! — გაეცინა ლამზირას. — ისე მექცევი, თითქოს დედოფალი ვიყო!

— ხარ კიდეც დედოფალი... მინდვრის დედოფალი! — თავი დაუხარა არმაზმა.

— გაჩუმდი! — თითქოს გაუნაწყენდა ლამზირა. — იმ დღეს დედაჩემსაც ეუბნებოდი, ქვეყნად ყველაზე უდიდესი ქალი ხარო. შენსას ვერაფერს გაიგებს კაცი.

— ანათა სწორედაც უდიდესია ქალთა შორის, იმიტომაც რომ ვაჟკაცისა და ერთი დედოფლის მშობელია...

— დიდი ვაჟკაცები არიან ცხვირმოუხოცავი ბლარტები, — გადაიკისკისა ლამზირამ. — შენ იმაზე მიპასუხე, მასეთი მეგობრობა არ მწამს-მეთქი, რომ გითხარი. შენ ჩემი კი არა, აგერ იმ ჯიხვის მეგობარი ხარ, ვხედავ გელოდება...

— სამჯერ გადავარჩინე სიკვდილს. ბოლოს ნაისრალი მოვურჩინე. მაგრამ დაკოჭლდა და ძველებურად ველარ დაქრის ქარაფებზე. შენ მართალი ხარ, — კარგი მეგობრობა იცის ნადირმა.

— არც ადამიანებს შორის ხარ უძეგობროდ. რას გვერჩი? მიზეზი გვითხარი მაინც.

— განა მოგიძულეთ, თქვენმა სიყვარულმა რომ წამლეკა და საკუთარი თავი დამაკარგვინა. სწორედ იმიტომ გამოგერიდეთ, ჭალაში ქოხი ავიშენე და ბუნების დედას მივაშურე დახმარებისთვის.

— დაგეხმარა? — სევდა ჩაუდგა ლამზირას თვალებში.

არმაზმა თავი გააქნია:

— თავად უნდა მოძებნო დაკარგული, — მითხრა. — მე კი როგორ ვიპოვიდი იმას, რაც შენ, ფარნავაზს, ალონს და ყველა სხვას წავირთმევიათ

ჩემთვის, — გაეხუმრა არმაზი. — ვერ ვიპოვე! — დაუმატა მცირე ხნის შემდეგ, — რადგან მთელი დღის რუდუნება ღამის ზმანებების წინ უმწეო და უსუსური ხდება. ერთმანეთში აზელილი სისხლი და ხორცი მელანდება თვალგახელილსაც. ასე მგონია, ცოდვისთვის მსჯის მაღალი ღვთაება... ნუთუ არასდროს მეპატიება იმ ცოფიანი ძაღლის სისხლი, რომელიც შენი უმცროსი ძმის გადასარჩენად დავღვარე?

— ტყეში იმიტომაც დაიდე ბინა, რომ ის უნებლიე ცოდვა გამოგესყიდა?

— თავდაპირველად ასე ვფიქრობდი. მერე მივხვდი, რომ ჩემი საკუთარი სისხლი და ხორცი მაწუხებდა თურმე, მამძიმებდა და სულზეც იგი მაწვა ლოდივით. დავფიქრდი და მივხვდი, რომ მარტო ჩემიც არ არის ის ცოდვა.

ლამზირას გაოცებულ თვალებს შეხედა და გაუღიმა. — რაც ახლა გითხარი, ჩემი საზრუნავია. თვითონვე მოვუვლი, — დაამშვიდა, მხარზე ფრთხილად მოხვია ხელი და წაიყოლია. — საჩუქარი მოგიმზადე. აი, აქ დადექი ზურგით და სანამ არ გეტყვი, არ გაახილო თვალი, — სთხოვა, როცა გორაკი ჩაათავეს.

გაიცინა ლამზირამ.

— თუ არ მენდობი ჩემი ჩიქილით ამიხვიე თვალები!

არმაზი გასცდა მისკენ ზურგით მობრუნებულ ქალს, პატარა ანკარა რუს გადაევლო და მინდორზე დაფენილი ღვიარის ფოთლების აკრეფა დაიწყო.

ორ გორაკს შორის მომწყვდეული მინდორი დერეფანივით სწორ ვაკეს ჰქმნიდა. ლამზირას ფეხებთან იწყებოდა და სადღაც შორს იკარგებოდა.

მცირე ხნის შემდეგ თვითონ შემოაბრუნა ქალი, ალტაცების შეძახილი აღმოხდა ლამზირას.

უთვალავი მინდვრის ყვავილი კეკლუცობდა მის თვალწინ.

— ჩემს ქოხთან მთავრდება ეს მინდორი. მცირეა ჩემი საჩუქარი, მაგრამ მცირეა კაცთა შესაძლებლობაც ამ ქვეყნად. მომიძღვნია ეს მინდორი! დაილოცოს შენი ამ მიწაზე [illegible] თქვა და მოკლე მოსასხამი მოხსნა მხრებიდან ქალს.

სიხარულის ცრემლმა გაიბრწყინა ლამზირას თვალებში. ახლაღა მოაგონდა, რომ მისი დაბადების დღე იყო და მადლიერებით აევსო გული ამ უცნაური ჭაბუკის მიმართ. მიილო მისი ძღვენი და ფეხი შედგა ყვავილთა ხალიჩაზე.

ნიავი ჩურჩულით გადაევლო მინდვრის ყვავილებს, მერე ჩალისფერ თმებში შეეპარა ლამზირას და აათამაშა, ააროკა მის ვიწრო მხრებზე... გაიცინა ლამზირამ, სიყვარულით მოხედა გვერდით მდგარ არმაზს და ნელა დაიძრა. ფრიალებდა მზისფერი ჩიქილა ლამზირას თავზე. შორიდან შემყურეს ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს პატარა ფეხები კი არა, სწორედ ეს ჩიქილა მიაცურებს ქალს, ასე მსუბუქად ყვავილთა თავზეო.

ქოხთან ხელები გაშალა არმაზმა და გამოსტაცა თითქოს ნიავს ქალი, მსუბუქად გადმოიყვანა. ქოხის კარი გამოხსნა.

ქოხში ერთადერთი სამფეხა დაბალი სკამიც ყვავილებით იყო მორთული, მიწაზეც ყვავილების ხალიჩა ეფინა. სკამზე სიცილით დაეშვა მინდვრის დედოფალი და წყალი მოითხოვა.

— ცხრაწყაროდან მოგართმევ, დედოფალო! — დოქს წამოავლო ხელი არმაზმა და მერე შეწუხდა, — ჯამი არა მაქვს, რით დაგალევინო.

პატარა, ვარდისფერ პეშვზე დოქიდან რაკრაკით გადმოღვრილ წყაროს წყალს ქალი სიცილით სვამდა და აღელვებულ ვაჟს მადლობას სწირავდა, ასე გემრიელი არასდროს მჩვენებია წყალიო.

მერე სოფლის ამბებს ჰყვებოდა ლამზირა: არ ვიცი, რად დამდევს ლანდივით პირქუშის ვაჟიკა და შენი ძმობილი ბერაო. თქმით არც ერთი არაფერს მეუბნება, ვაჟიკა იხრავს, ხოლო ბერა თვალებს ისე აბრიალებს, შიშით გული მიქანდებაო... არავინ არაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუბნება. შენ კი ამბობ — ძლიერ ლამაზი ხარო!

იგრძნო არმაზმა, რომ დადგა დრო, საპასუხო სიყვარული მოეთხოვა ლამზირასაგან, ქალიც ელოდა მისგან სათქმელს, მაგრამ ვერაფერი უთხრა. იქ, მთაში დარჩენილი ბიჭების, ბერასა და ვაჟიკას ლალატად მიიჩნია თავისი ახლანდელი გულახდილობა.

— ორივე კარგი ვაჟია. გაგიჭირდება ამორჩევა. — ჩაილაპარაკა უხერხულად.

— მეც ავდგები და მესამეს ავირჩევ! — იმედიანად შესცინა ქალმა.

— ვინ მესამეს? — გული შეუქანდა არმაზს, უცებ გადაავიწყდა, რომ სამეულის წევრი იყო თვითონაც.

— არავის! — უცებ მოსჭრა ლამზირამ და წამოდგა: — ბერას შენნაირი ბუნება რომ ჰქონდეს, შენ კი მისი შემართება და შეუპოვრობა... მოკლედ, ორივე რომ ერთი იყოთ, არ გამიჭირდებოდა, — უცებ წარმოთქვა მრავალგზის ნაფიქრალი და თავადვე შერცხვა...

სევდა კი არა დარდი იწვა მის ფართოდგახელილ თვალებში. იგრძნო არმაზმა, რომ მას არ ეკუთვნოდა ეს დარდი.

— ეს კარგადაა თქვი ლამზირ... მართლაც, ერთი ვართ მე და ბერა... სწორედ რომ ერთი. მე უმისოდ არც ვარგივარ, მისი სიმტკიცე და შეუდრეკლობა მუდამ მჭირდება, როგორც კედელი, როგორც იმედი ჩემი ოცნების ასრულებისთვის... ოღონდ კი, მას ნაკლულებას ნუ დასწამებ. იგი მრთელია და სრულყოფილი... მერე რა ვუყოთ, თუ ახლა მისი ჭაბუკური შემართება და პირდაპირობა უხეშად მოჩანს. გავა დრო, დალვინდება, დაბრძენდება და ნახავ, რომ იგი უსათნოესიც არის და უნაზესიც...

განცვიფრებული შეჰყურებდა ლამზირა ქადაგად დავარდნილ ჭაბუკს და ფიქრობდა: — სულ ტყუილად მეგონა, არმაზსაც ისევე ვუყვარდი, როგორც ბერას და ვაჟიკასო. ძლიერ ეწყინა არმაზისაგან.

— კიდევაც ვგრძნობდი, ყველაზე მეტად ბერა რომ გიყვარდა. — კარისკენ იბრუნა პირი.

— ბერა თავზე მეტად მიყვარს, ხოლო შენ... — დაადევნა სიტყვა.

ლამზირა წამით შედგა.

— ხოლო შენ ღვთაებასავით ამაღლებული ხარ ჩემთვის. — დაასრულა სათქმელი.

— და, სულერთია ვისი ცოლი გავხდები, არა? — არ დაინდო ლამზირამ.

— ღვდოფალთა ცხოვრების წესი ზეცაში წყდება და არა მიწაზე. — დაუხარა თავი.

უცქერდა როგორ მიდიოდა ლამზირა მისგან, მძიმედ მიაბიჯებდა ნაჩუქარ ველზე. ლამაზი ფეხებით უმოწყალოდ სრესდა მინდვრის ყვავილებს და არც იხედებოდა უკან.

მიდიოდა მისი ამქვეყნიური ბედნიერება და უტოვებდა ტკივილს, რომელიც მთელი ცხოვრების გზაზე უნდა ეტარებია.

* * *

მიწაზე გულაღმა მწოლარეს ჯიხვის თბილმა სუნთქვამ გაახელინა თვალი... ერთგული მეგობარი ლოყაზე დაგორებული ცრემლის დამრობას და თითქოს არმაზის დამშვიდებას ლამობდა...

მადლობა უთხრა თანაგრძნობისთვის. გადრეკილ ქედზე ხელი გადაუსვა. გამოიხურა ქოხის კარი და ის იყო ყვავილთა ხალიჩაზე უნდა დაედგა ფეხი, რომ პაწაწა ცისთვალას კვნესა გაიგონა. დაიხარა, ფეხზე წამოაყენა, მოუბოდიშა... მერე სხვებსაც მიხედა. ხოლო, როცა მინდორი მთის წვერიდან ჩამოპარული სიოს მსუბუქ ფრთაზე ისევ მრავალფერად აღაღანდა, წელანდელი წყენაც დაივიწყა და უცებ მოენატრა სოფელი, ლამზირა, ადონი, ფარნავაზი და ყველა, ვინც ასე ძლიერ უყვარდა.

სწრაფად გადაიარა ჭალა და მდინარესთან მისულმა ფარნავაზი დაინახა.

მხრებზე მოეგდო ფარნავაზს მოკლული ირემი და ნადირობის ღმერთივით ამაყად მოაბიჯებდა, ლაღი და მშვენიერი.

თანმეზრდილი შეიცნო. მისკენ გამოეშურა. ნადავლი მიწაზე მიაგდო. ძლიერი მკლავები გაშალა მოსახვევად.

— კარგი გიქნია, ჩვენსკენ რომ გიბრუნებია პირი, — შესცინა, — მალე გამგზავრება მიწევს და ვფიქრობდი, თავის უნახავად რად მიშვებს შორეულ ქვეყანაში-მეთქი. იმ დღესაც, თავხევისბერის დატირების მერე, გელოდი და გამიკვირდა, სოფელში რომ არ დაბრუნდი.

მიეახლა არმაზი, მხარბეჭი დაუკოცნა, ეთაყვანა. გაუკვირდა ფარნავაზს, ჩვეული არ იყო თანმეზრდილისგან თავმოდრეკას.

— სიზმარი ვნახე ამასწინეებზე. სწორედ ამგვარად გიხილე სიზმარში, მთიდან მომავალი, მხარზე ირემგადაგდებული... დიდი დედა მოგაცილებდა და გლოცავდა.

ფარნავაზს გაეღიმა.

— უცნაური კაცი ხარ და სიზმრებიც უცნაური იცი. ლამზირა დავლახდე სანადიროდ მიმავალმა, ტირილით მიუყვებოდა გზას სახლისკენ. რატომ ატირებ იმ ქალს, არ გეშინია შენი ატირებული სხვამ რომ დაამშვიდოს? — გაეხუმრა.

არაფერი უპასუხა არმაზმა, იგრძნო კი, რომ ტყუილად არ წამოიწყო ფარნავაზმა ეს ლაპარაკი.

— აღონი ამბობს, ამალა უნდა გაგაყოლო ანტიოქიაშიო. ხოლო ამალაში ერთი-ორი ლამაზი ქალიც უნდა ერიოსო. რას იტყვი, ლამზირა რომ წავიყვანო?

ყრუ ტკივილმა შეუბოჭა გული.

— მგონი თვითონაც არ იქნება წინააღმდეგი, თუმცა კი არაფერი მითქვამს მისთვის. თავდაპირველად შენთან მსურდა საუბარი. — გააგრძელა ფარნავაზმა.

კვლავ ვერ დასძრა ენა საპასუხოდ.

— ასეც ვიცოდი. შენ ქალის მიწიერ ფასს რას გაიგებ, თვალი მუდამ ადამიანებზე და მათ გრძნობებზე მაღლა გეჭირავს. თუ მართლა იბერიის მეფობა მიწერია, ჩემს სატახტოში ქართლოსიანთა მწყალობელი მზირას ტაძარს ავაგებ, მას ყველა სხვა სალოცავს დავუმორჩილებ და უმთავრეს ქურუმად განგაწესებ, რადგან შენზე ახლობელი და ერთგული არც არავინ მყავს ამ ქვეყანაზე და შენზე უმწიკვლო და კეთილი გულის კაციც არ მეგულება იბერიაში.

— აღონი? — გაუკვირდა და ეწყინა ფარნავაზისგან გამზრდელის დავიწყება.

— აღონი ჩვენზე ორივეზე უმაღლესია, ამიტომაც მისი ბედის გადაწყვეტის უფლებას ჩემს თავს ვერ მივცემ.

* * *

ბანზე ფეხის ხმა გაისმა. აღონი წამოდგა და კარი გამოაღო. არმაზი მამობილის წინ შეჩერდა.

აღონმა ჭაბუკი შეათვალიერა. არმაზმა უხერხულად ჩამოისვა ხელი ჩამოზრდილ წვერზე.

— შუმერთა ქურუმს დამსგავსებიხარ. — გაუღიმა და სტუმრისკენ შებრუნდა.

— ამიტომაც თუ მოიხმო თავხევისბერმა გამპატიოსნებლად — გაიცინა პირქუშმა და წამოიმართა.

არმაზი დევ-კაცის წინ დადგა და მამობილს გახედა.

— პირქუში თუ არ დაჯდება, გვერდს ვერ აუვლი და კვლავ მშიერი დავრჩები.

აღონმა გაიცინა. — მართლაც გაავსო ჩემი უბადრუკი ქოხი, ამ დალოცვილმაო.

პირქუში შეიშმუშნა და ისევ დაეშვა იატაკზე...

— მართალია რომ ამბობენ ტანჩიამ პირქუშს მკლავი გადაუწიაო? — უყვარდა არმაზს ეს გულკეთილი გოლიათი და მისგან გათამამებული, ხანდახან გაკენწლავდა ხოლმე, პირქუშიც ერთხანს ნათქვამს პირდაპირ მიჰყვებოდა და ბრაზდებოდა, ხოლო, როცა გაიაზ-

რებდა, რომ მის მხრებზე გაზრდილმა ბიჭმა გაახუმარა ამხელა კაცი, ისე ახარხარდებოდა, რომ მთები ზანზარს იწყებდნენ.

— პირქუშის დამძლევი ჯერ არ დაბადებულა მთაში! — საცრისოდენა თვალები დაბრიალა.

— რა ვიცი ამ გამოვლაზე ბიჭებს იმას უმტკიცებდა, საციხედ მიტანილი ლოდები მე და ბარჩომ ჩამოვზიდეთ სატეხიდან. ორი ღამე ვეზიდებოდით. ბოლოს პირქუშს მივაწერეთ ეს საქმე. აბა, გმირის სახელს ხომ არ დავუკარგავდით მთასი. მართლა მათ ჩამოზიდეს? მე კი ვიდექი და ვამტკიცებდი, მასე კი არა, ასე იყო-მეთქი...

— ხვალ დილით უკან ავაზიდვინებ ტანჩიას იმ ლოდებს და გაყურებინებთ ყველას, რა ვაჟკაციცაა... დედაკაცის საგებლიდან ვერ წამოუწევია ტანი და მე მეტოლება? ერთხელაც იქნება მუხის ტოტზე ჩამოვკიდებ ფეხებით...

ტანჩია — ენაკვიმატი, მოჩხუბარი, მთიელთა ცნობილი, უსაშველოდ მხარგანიერი და დაბალი კაცი, პირქუშის მეგობარი და დედის ძმისწული იყო.

— ამას თვითონვე გექადნება. თუ ჩემი საგმირო საქმეების მითვისებას არ დაიშლის, საშინელ საქმეს დავმართებო, ხეზე დავკიდებო.

გაცეცხლდა პირქუში და ის იყო უნდა გაჭრილიყო, რომ აღონმა ვერ მოითმინა და გაიცინა.

— ნეტა რომელი ხე გაუძლებს ამის სიმძიმეს! — ძლივს ამოილაპარაკა.

პირქუშმა ჯერ აღონს გადახედა, მერე არმაზს და სანამ ჭაბუკი სამზადში შეასწრებდა, ცალი ხელით დაიჭირა.

აფართხალდა არმაზი მის ხელში.

—გამპატიოსნებლად რომ არ მინდოდე, ტანჩიას ბანზე მოგისროდი აქედან, — თქვა, პირი გახსნა, თვალი აათამაშა, გაიცინა. გულიანად, ალალად...

აღონი უცქერდა გამხიარულებულ პირქუშს და ფიქრობდა: მხოლოდ სიცილის დროს ჩანს პირქუშის ჩვეულებრივი კაცობა და მთიელისთვის დამახასიათებელი გულალალობა. სიცილით გული იჯერა და უცებ მოიწყინა გოლიათმა.

ეროვნული

— ეჰ, სიცილისთვის [illegible]ზარდა ბიჭები, ჩვენ კი ომისთვის დავაფრთიანეთ... ნეტა ჩვენებურებთან მაინც არ მოგვიწიოს ბრძოლა, როგორც მაშინ, იმ შავბნელ დღეს, სამარას დროს.

მთიელებმა იცოდნენ, რომ მათი უპირველესი ვაჟკაცი მშვიდი, წყნარი ცხოვრების მოყვარული იყო და კაცთა კვლას ვერ იტანდა, ვერც ლონიერის მიერ უმწეოს დაჩაგვრას ურიგდებოდა.

— მე მეძახიან უცნაურს, — გაიფიქრა არმაზმა, — უცნაური სწორედ ეს გოლიათია... თავისი უდიდესი ძალის სიკეთისთვის მოხმარება რომ სურს და თავისდაუნებურად მუდამ ბრძოლის ველზე უწევს ყოფნა... თუმცა იარაღს არ ხმარობს თურმე... ჩემი იარაღი ჩემი მკლავის ძალააო ამბობს.

თითქოს მიუხვდა ფიქრს პირქუში, ნიჩაბივით ხელისგულებზე დაიხედა და მერე აღონს მიაპყრო მზერა.

— მარტო ძალღონე არ ქმნის ვაჟკაცს. მართალი, კეთილი გული და საომარი საქმის დიდი ცოდნა, — აი, რა ამშვენებს პირქუშს და კიდევ შეწყალების დიადი გრძნობა. — მიუბრუნდა არმაზს აღონი, — ხოლო, თუ გსურს ხალხმა პირქუშივით შეგიყვაროს, მასავით სამართლიანიც უნდა იყო.

არმაზმა სამზადის კარზე ჩამოშვებული ფარდაგი გადასწია და გავიდა.

— ასეა საქმე და შენგან ველი დასტურს, — გააგრძელა არმაზის მოსვლამდე დაწყებული სიტყვა პირქუშმა. — ვფიქრობ, დროა ჩვენმა ბიჭებმა ფარნავაზის ნამდვილი ვინაობა და სახელი გაიგონ. სხვანაირად შეიძლება ერთმანეთს წაეკიდნენ კიდეც.

აღონმა თავი გააქნია.

— ჩემი ვაჟიკა ბერას მზეს ფიცულობდა, სანამ ლამზირას არ დაადგა თვალი. ძლიერ შეიცვალა ამ ერთ წელში ლამზირა, თითქოს მზის სხივით აივსო. ბიჭებს მის გვერდით სხვა ქალი თვალში არ უჩანთ. არც ჩვენს ქა-

ლებს მოეწონებათ ეს ამბავი. უმეგობროდ დარჩება ანათას გოგო.

— მცირე ასაკისაა ჯერ ლამზირა. თუმც კი მართალი ხარ, ძლიერ დამშვენდა და თითქოს ღვთაებრივი შუქით გაბრწყინდა. მაინც მგონია, ჯერ თავადაც ვერ შეუგნია, რომ ულამაზესია და ამოდ სახილველი, ამიტომაც ნუ დააბრალებ ამპარტავნობას, — წყნარად გაეპასუხა ადონი. — ახლა მას ყველაფერი უხარია, რადგან გულის თანასწორს ეძებს. ფიქრი ერთზე ვერ შეუჩერებია. ნამდვილი გრძნობა ეწვევა და დაადინჯებს. მაინც გავაფრთხილებ ვაჩეს და ანათას, თვალყური ადევნონ ქალიშვილს.

— კარგი იქნება, — დაუდასტურა პირქუშმა და დაუმატა, — მე ის მაწუხებს, რომ ეჭვმა არ დაუბნელოს ვაჟიკას თვალი და ფარნავაზს არ აწყენინოს რაიმე. ქალში მოცილედ მხოლოდ იგი მიაჩნია ჩემს უფროს ვაჟს. ახალგაზრდული სისხლი და ეჭვი ერთმანეთის მეგობრად რომ არ გამოდგება, შენც კარგად იცი. წყალმა არ წაიღოს ამდენი ხნის ნალოლიავები იმედი... ვეტყვი ჩემს ბიჭებს, რომ სამეფო კაცია ბერა.

— სამეფო კაცს მეტი მოეთხოვება, ვიდრე უბრალო მოკვდავს, ხოლო თუ მის გრძნობებში აქედანვე ჩავერიეთ და საკუთარი ნებით მოქმედების საშუალება მოვუსპეთ, გადავეფარეთ და სხვათაგან დათმობას მივაჩვიეთ, დაუდედლდება გული. გულის სიმტკიცე კი ცხოვრების ჭირ-ვარამის მარტოდმარტო გამოვლას მოსდევს. საჭიროდ არ ვცნობ, განდობილთა გარდა, სხვებმაც იცოდნენ ფარნავაზის ვინაობა.

— როდის აგზავნი სელევკთან?

— ამ ერთ თვეში ამოვა ქუჯი. გასამგზავრებლად საჭირო ფულს და ტანისამოსს ამოიტანს კოლხეთიდან. უცხო მეფის კარზე ღირსეულად უნდა წარსდგეს იბერიის მომავალი პატრონი.

პირქუში წამოიმართა.

— ფარნავაზზე თვალი გეჭიროს მაინც. მარტო უყვართ ხეტიალი შენს გაზრდილებს. — ჩაილაპარაკა კარისკენ მიმავალმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ასე ვიზამ. ოღონდ იმას კი გეტყვი, რომ ცუდად გიცვნია შენი უფროსი შვილი. ვაჟიკა ვაჟკაცისათვის შეუფერებელს არას ჩაიდენს. ხოლო თუ ძალის გამოცდაზე მიდგება საქმე, არა მგონია იბერიის სამეფო კაცი იოლი დასაჯაბნი იყოს.

კარამდე მიაცილა სტუმარი და შემობრუნებულს არმაზის თვალების მრისხანებამ სახეზე შეაყინა ღიმილი.

— არც შენ გირჩევ მათ საქმეში ჩარევას. — უთხრა ცოტა ხნის შემდეგ გაზრდილს.

— გისმენდით ამ ორ ჭკვიან, გამოცდილ კაცს და მიკვირდა, — როგორ იოლად გადაწყვიტეთ შვილების ბედი. ლამზირა მისატყუარ ტიკინად წარმოადგინეთ, ვაჟიკა დაუნდობელ მხეცად, რომელსაც პირქუშის აზრით, მხოლოდ ფარნავაზის მეფობა თუ დააწყნარებს, სხვა არაფერი, ხოლო ფარნავაზი ბერჩავ კაცად, რომელსაც საკუთარი სურვილის გარდა არაფერი ამოძრავებს ამ ქვეყნად. დაგავიწყდათ, რომ ჩვენ ყველანი ძმები ვართ, ერთი ცხვრის რძით გაზრდილი ძმები და ერთმანეთი თავზე მეტად გვიყვარს... ლამზირა კი ჩვენი გამთიშველი კი არა, შემაკავშირებელია, რადგან თვითეულისგან მსხვერპლის გაღებას მოითხოვს არა თავისთვის, არამედ ერთმანეთისთვის...

არმაზი უცებ დაცხრა და ტახტზე დაეშვა:

— ნუთუ შენც არ გესმის, რომ ეს ასეა?! — შეეკითხა ბოლოს ადონს.

ადონი გაზრდილის ნათქვამით უფრო მეტს მიხვდა, ვიდრე არმაზი მოელოდა. მიუახლოვდა, უხერხულად გადაუსვა ხელი თმებზე, თვალებში ჩახედა და ეს უთხრა სიამაყით და დანანებით: — როგორ გაზრდილხარ, ბიჭო! როგორ გამფრენიხარ ხელიდან! რა დიდი სიბრძნით აგივსია სული... მე კი ვფიქრობდი, მუდამ საჭირო ვიქნებოდი

შენთვის... იმას უკეთ უცვნიხარ, ვიდრე მე!..

არმაზმა იცოდა, რომ ბოლო სიტყვებში მისი გამზრდელი გარდაცვლილ თავხევისბერს გულისხმობდა.

* * *

— პირქუშსა და ბათენაზე გვიამბე, მამავ, ხომ დაგვპირდი გიამბობთო, — გაისმა ფიცრის ტიხრულის იქეთა მხრიდან ვაჩესა და ანათას უმცროსი ბიჭის ხმა.

მელადემ საქსოვზე მწვანე ძაფი მიამაგრა და კიდევ ერთხელ დახედა ნახელავს.

— ოქროს ხელი აქვს ანათას გოგოს, მეც კი ვერ შევძლებდი ირემი ასე ცოცხლად გამომესახა ნაქსოვზე, — გაიფიქრა და თავისებური გულმოდგინებით შეუდგა მწვანე მინდვრის ამოქსოვას.

ფიცრის ტიხრულის იქეთა მხრიდან ფანდურის ჩხაკუნი მოისმა. ვაჩე პირქუშისა და ბათენას შერკინების ამბავს ამღერებდა საკრავზე...

მელადეს თვალებზე ცრემლი მოადგა და ქსოვა შეაჩერა.

— ერთად რომ ყოფილიყვნენ პირქუში და ბათენა მაშინ, ცოცხალი იქნებოდნენ ახლა დუდეც და სამარაც. — გაიფიქრა, — ჭირში გაძლიერება სცოდნია ადამიანს, თურმე როგორ გავუძელი დუდეს სიკვდილს, ან ჭკუიდან როგორ არ გადავცდი, ფარნავაზი რომ დაკარგული მყავდა ხუთი წელი?

იმ ხუთი წლის გახსენებამ ახლაც გაუყინა გული.

— როდის მოვალო, რა გითხრა ბერამ? — გასძახა ვაჩეს, რომელიც ახლა თავის ვაჟებს იმას უმტკიცებდა, რომ პირქუში ბარში ბათენასთან შესარკინებლად არ ჩასულაო. ბავშვებს მამის ნათქვამის დაჯერება არ სურდათ. — წავიდოდა და დაამარცხებდა, შენ არ გეცოდინება, უჩუმრად წავიდოდა და დაამარცხებდაო, — ჭირვეულობდნენ პატარები.

— საღამოს ამოვალ, დედასაც ვნახავ და კაფიაჩიც გაგეჯიბრებით. — გამოსძახა ვაჩემ.

— კაფიაში ვერ გაჯიბრებით! — ღიმილით გაეპასუხა მელადე, — ბერა კი არა, თვით ტანჩია იჯაბნება შენთან.

დედაც კი ბერას ეძახდა ფარნავაზს სხვათა გასაგონად, განდობილებსაც ამასვე სთხოვდა. დღიდან შვილის გამოჩენისა, შიშის ზაფრა დაჰყვებოდა მელადეს: — აზონმა არ გაიგოს, ცოცხალი რომ არის მცხეთის ტახტის მემკვიდრე და არ მომიკლასო.

იმ დღეს, როცა ფარნავაზის ამბავი პირველად მოუტანეს, სწორედ ვაჩე და ანათა მიადგნენ კარზე სპარსეთში, მამასთან მცხოვრებ მელადეს და ადონის წერილი გადასცეს. მაშინვე შეიყვარეს ეს ორი კეთილი ადამიანი მელადემ და ახლაც, როცა ის და მისი უმცროსი ქალიშვილი, მათი ოჯახის თითქმის წევრებად იქცნენ, უცრემლოდ არ შეუძლია მათთან პირველი შეხვედრის გახსენება.

ადონის ფეხის ხმა იცნო და კარისკენ მიაბრუნა თავი. შემოსულმა დიდხანს ათვალიერა ქალების ნახელავი და ალტაცება ვერ დაფარა.

— მითხრეს დედოფალი სპარსეთს აპირებს გამგზავრებასო, — სთქვა ბოლოს.

— სტუმრობასაც აქვს დასასრული, ორი თვე ჩამოთავდა, რაც მთიელთა მასპინძლობით ვსარგებლობთ მე და ჩემი ქალი. დროა მამის სახლში დავბრუნდე... ბერას წაყვანაც მსურს.

ადონმა არაფერი უპასუხა.

— შიშმა შემიპყრო, ბრძენკაცო, შიშმა. გულმშვიდად არც აქამდე დამიტოვებია ჩემი ვაჟი. სპარსეთში ჩასულს ძილი და მოსვენება მუდამ წართმეული მქონდა, ჩემი უკულმართი ბედის გადამკიდეს. შვილის მონატრული დედისას, მხოლოდ ქალი გაიგებს, თავს კი არ გაცოდებთ. ბერას აღმზრდელებსა და მოამაგეებს, მადლობის მეტი რა მეთქმის ყველას მიმართ... მაგრამ ახლა, როცა ბერა ასე ძლიერად გამოირჩა ტოლ-სწორებისგან და, როცა არმაზმა მისი სახელი მთელ ქვეყანას

გადასძახა, ცუდმა წინათგრძნობამ შემიპყრო... წავიყვან ჭაბუკს, ცოტა ხნით მაინც გავარიდებ აზონის საბრძანებელს... ასე მირჩია ჩემმა მოხუცმა მამამაც. მასაც მოენატრებოდა რამდენიმე წლის უნახავი შვილიშვილი...

— ფარნავაზს თუ უთხარი ეს ყოველივე? — დინჯად ჰკითხა ადონმა.

— პასუხს ვერ ველირსე მისგან. მამშვიდებს: — სულ ტყუილად ღელავო. ვაჩეს ასდევნებია ამასწინეებზე აზონის მიერ აღზევებული კუხთა ახალგაზრდა მთავარი, ლენე. ვაი, თუ ამოვიდნენ აზონის ჯაშუშები მთაშიც...

— ლენე საშიში არ არის. — დაამშვიდა მოსულმა, — რაც შეეხება ჯაშუშების მთაში ამოსვლას, ეს, არც ისე იოლია. შემოსასვლელი იწროები სანდოდ აქვს გამგრებული პირქუშს. მოდარაჯე მთიელებს მიწიდან ამოწვერილი პაწია ყვავილიც არ ეპარებათ, არა თუ კაცი. ასეც არ იყოს, სულ რამდენიმე ადამიანმა ვიცით ბერას ნამდვილი ვინაობა. სწორედ აქ არ ელოდება მას საფრთხე. ისიც უნდა იცოდე, რომ მთიელებისთვის მიცემულ სიტყვას არ გასტეხს აზონი, რადგან იცის, რომ დარუბანდის კარს უფრო სანდო დამცველი, ვიდრე აქაური მებრძოლია, არასოდეს ეყოლება. გადასახადს დროულად ვუხდით და გახსოვს ალბათ, დურძუკებთან ბრძოლაშიც დავეხმარეთ.

— მე შვილის ბედი მაწუხებს, დედა ვარ და მეპატიება, რომ მსურს გავაცილო ჭაბუკი მისი მტრის საბრძანებელს. შენ სიტყვას ვერ გადაუვა, უბრძანე წამომყვეს.

— იბერიის დედოფლის ბაგეთაგან ასეთი რამ არ უნდა ისმოდეს! — მძიმედ ასწია თავი ადონმა.

წარბი შეჰყარა მელადემ:

— თუ სამეფო კაცი მოგიკლეს, მაშინ აღარც მეფე ეყოლება იბერიას!

— ანტიოქიის მეფესთან მიემგზავრება ფარნავაზი ამ მოკლე ხანში. სწორედ ამის საუწყებლად მოვედი შენთან, დედოფალო, — დინჯად წამოდგა ადონი, თითქოს მელადეს ბოლო სიტყვები არც გაეგონოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელადე ულონოდ მიეყრდნო სავარძლის ზურგს.

— ახლა უფრო შორს გინდათ გადამიკარგოთ შვილი? — იკითხა და ცრემლით აევსო თვალები, — იცით ყველამ, რომ ჩემი სიცოცხლის აზრი ფარნავაზია... ისიც იცით, რამდენი ტახჯვა გარდამხდა თავს, მისგან მოშორებულს და მის მონატრულს. დამიდნა გული. მეც გამაყოლე ჩემს შვილს უცხო მხარეში.

ადონმა გრძელი მოსასხამის ჯიბიდან მცირე გრაგნილი ამოიღო.

— როცა საჭიროდ სცნო, მაშინ წააკითხე მელადეს ჩემი და დუდეს დანაბარებიო, ასე მიბრძანა იმ ავბედით ღამეს სამარამ; ვგონებ დადგა დრო მისი ეს სურვილი შევასრულო! — სთქვა და გრაგნილი მელადეს გაუწოდა.

„მცხეთის დედოფალს.

ჩვენს შემდეგ, ეს კაცი იქნება ფარნავაზის გზის მაჩვენებელი და აღმზრდელი. უცხო არ არის, იგი ჩვენი სისხლისთვის, ჩვენი უმცროსი ბიძის, ახალგაზრდობაშივე დაღუპული კაროს შვილია, ჩვენივე უდიდესი წინაპრის დიდი ადონის შვილიშვილი და მისი გაზრდილი. ადონზე უფრო ახლობელი ადამიანი, ჩვენს შემდეგ, არცა ჰყავს პატარას.

ფარნავაზი სამეფოდ მან უნდა გაწვრთნას. ამიტომ ნურასოდეს გადაუდგები მის სურვილს წინ. მას ფიცი აქვს დადებული, რომ ჩვენი დიდი წინაპრების უძველეს ოცნებას განახორციელებინებს ფარნავაზს. ხოლო ფარნავაზი რომ უმაღლესი ღვთაების რჩეული და იბერიის აღმდგენელია, ეს ვარსკვლავებმა აუწყეს ჯერ კიდევ დიდ ადონს.

გლოცავთ. დუდე, სამარა“.

სანთლის ფერმა გადაჰკრა მელადეს სახეზე, აკანკალებული ხელებით მკერდში ჩაიკრა ნაწერი და ყელზე შემოჭდობილი ტკივილი ძლივს ჩაიბრუნა გულში.

— სამეფო წესი უნდა ისწავლოს ფარნავაზმა ანტიოქოსთან. ასეც არ იყოს, სელევკიანთა დიდი იმედი გვაქვს აზონთან ბრძოლაში. იბერიის მეგობარ ქვეყნებსაც სჭირდება იბერიაზე გამავალი გზა, ელინთა სამყაროსთან კავშირი. სურთ, ამ გზას მათი მოკავშირე ეპატრონებოდეს და არა მტერი. ამასთან, მითრიდატეთა დინასტიის აღორძინებაც არ უხარია ანტიოქოსს, მეტოქეს ხედავს მცირე აზიაში, პონტოელთა სახით... უნდა ვისარგებლოთ ახლანდელი მდგომარეობით.

— მეფის კარზე ხომ ეცოდინებათ ვინ არის ბერა?

— არა მგონია ჩვენზე ცუდად შეინახოს ეს საიდუმლო ანტიოქოსმა. იბერიის ტახტის ნამდვილი მემკვიდრე, აზონისა და მითრიდატეს წინააღმდეგ ბრძოლაში, დიდი ძალაა.

— ამისთვის ფარნავაზის გამგზავრება განა აუცილებელია? განა აკლია ჩემს შვილს მეფური თვისებები და განა ცუდად აღზარდეთ იგი? — მაინც არ თმობდა მელადე.

— გაგონილსა და თვალით ნანახს შორის დიდი ზღვარია. ასეც არ იყოს, თვით ანტიოქოსს სურს გაიცნოს ჭაბუკი. ხოლო შენი შიში სრულიად უსაფუძვლოა, რადგან მხლებლები ფარნავაზს კოლხეთის მეფის უკანონო შვილად წარადგენენ... ღვთის ნებით ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც იბერიისთვისაა საჭირო.

— ძნელია დედისთვის იმის დაჯერება, რომ შვილი მას არ ეკუთვნის... — დანანებით ჩაილაპარაკა მელადემ. აღონს შეეცოდა იბერიის გატანჯული დედოფალი.

— არც არავის ეკუთვნის იგი იბერიის გარდა, დედოფალო!

— გული მიტირის მაინც... მებრალება ბიჭი. — ცრემლი ჩამოუგორდა მელადეს ლაწვებზე.

— ამიტომაც, ნუ გიკვირს მისი ახლანდელი ჭაბუკური გატაცება ანათას ქალით, ნურც ნადირობას მოჭარბებული აყოლიება, ნურც ტოლსწორებში შერკინების და საკუთარი ძალის გამოცდის დაუოკებელი სურვილი, ნურც ახალგაზრდული დაუდგრომლობა. [illegible]-ნამ არავინ იცის, რომ იგი სამეფო კაცია, ფარნავაზიც თავისუფალი და შეუზღუდველია თანატოლებთან.

მელადემ თავი დახარა.

— ანათა მაინც გააყოლე, შვილივით გაზარდა ბიჭი.

— ბალღებს მიხედვა უნდა!

— არც ვაჩე?

—ლამზირას გამგზავრებას ვფიქრობ ტანჩიას ცოლთან ერთად, ვნახოთ, იქნებ ვაჩეც გავაყოლო.

* * *

მამაკაცები უკვე კარგა ხანია მისხდომოდნენ ხატობის სუფრას. ერთნახადი არყით ლოცავდნენ და კაფიაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ხატთან კი მხოლოდ ქალები დაეტოვებინათ. დილიდანვე დაწყებული დღესასწაული დასასრულს უახლოვდებოდა. შუადღისას შესაწირი მიერთვა ადგილის დედას, ცხვარ-ძროხა დაიკლა, ქადაგობა მოსმენილ და დამახსოვრებულ იქნა.

უხაროდათ მთიელებს: — ღვთაებამ კეთილად მიიღო ჩვენგან მირთმეული შესაწირი და ცხვარ-ძროხის და ერის გამრავლება გვიწინასწარმეტყველაო.

შებინდებისას მზის ცხრათვალით დაღდაჩნეული ხმიადები მზად იყო და სამი ოჯახბედნიერი ქალი გაისტუმრეს მოპირდაპირე მხარეს აყუდებული კლდისკენ. მთიელთა რწმენით, ამ ციცაბო კლდეში იყო ადგილის დედის, მიწის მფარველი ღვთაების სულის საბრძანებელი. სამი დიდი ხმიადი ადგილის დედას, ანუ როგორც მთიელები ეძახდნენ, აჟაჰარას — იმხარს მიართვეს წარგზავნილებმა, სამი პატარა კი, ძის ლამაზ ასულს, მზირას. საგანგებოდ ამოთხრილ მომცრო ორმოში მოათავსეს წამოღებული ხმიადის ნაწილები და წმინდა სანთლის ნალვენთი დააყარეს ნაკვერჩხალს... სამჯერ მოიყარეს მუხლი წმინდა ადგილთან. ერთმა, შედარებით ხნიერმა ქალმა, გარსშემოუარა

ორმოს, მერე დაიხარა და ძლიერად შე-უბერა ნაკვერჩხალს, სანთელმა წყნა-რად დაიშიშინა და უცებ ავარდა ალი.

გამარჯვებულმა მლოცველებმა დედა ღვთაებას ძეთა სიმრავლე და ძლიერე-ბა შესთხოვეს... შემდეგ დიდის რუდუ-ნებით „დაკრძალეს“ დარჩენილი ხმია-დები, ისევ სამჯერ მოუყარეს მუხლი მწყალობელს და სოფლისკენ იბრუნეს პირი...

შუაღამე მოახლოებული იყო, როცა წარგზავნილები დინჯად მოუახლოვ-დნენ მიწაზე განრთხმულ მათ მომლო-დინე ქალებს... ანათამ პირველმა აწია თავი: — „გაგმარჯვებიყოსთ მიწის სა-ლოცავის ლოცვაო“, — შეაგება სათქ-მელი მოსულებს... „ყველას გაგმარჯ-ვებიყოსთ!“ — უპასუხა შედარებით ხანშიშესულმა და გადაჰკოცნა. წამოი-შალნენ ქალები და თავიანთი სახატო ხმიადები გასტეხეს. დალოცეს ერთმა-ნეთი და ნელ-ნელა წავიდ-წამოვიდნენ სახლებისკენ.

მალე სოფელში სიჩუმე ჩამოწვა. ადონი გვერდში ამოუდგა აშთანს.

— მშვენიერი სახილველია მთიელ ქალთა ეს ჩვეულება... მართლაც არ გვაწყენს მამაკაცებს ქალების ლოცვა და ღვთაებისადმი ჩვენი ძლიერების შევედრება... — სთქვა აშთანმა.

— უძველესია ღვთაების ეს სახე, შუ-მერთა რწმენას ეხმიანება... — მიუგო ადონმა, — ყველა ხალხს ახსოვს თა-ვისი უმთავრესი და უპირველესი ღვთა-ება, — სამყაროს დედა. ქართლოსია-ნებთან იგი ადგილის დედად და მიწის მეუფედ შემორჩა ხსოვნას.

— ინდოელებსაც მიაჩნიათ, თურმე დღემდე, რომ დედაკაცური ძალა წარ-მმართველია.

— და, მაინც მათი უმთავრესი ღვთა-ებაა მრავალსახიანი და წინააღმდეგობა-თა შემცველია...

— ისე ვით სამყარო! — დაუდას-ტურა ადონმა.

— ინდოელთა უზენაესი ღვთაება საკუთარ ბუნებაზე აღმატებული არსთა გამრიგეა. რთულია ჩემთვის ამის გა-გება, უზენაესზე აღმატებული რა უნ-და იყოს? — იკითხა აშთანმა.

— ქმნადობის, დაუსრულებელი გა-ნახლების უდიდესი პროცესი, აი, რას უნდა დაემორჩილოს თვით უზენაესიც კი, — ინდოელთა გაგებით.

— შენი უმაღლესი ღვთაებაც? — შეჩერდა აშთანი.

— უმაღლესი ღვთაება მართლაც უმაღლესია, რადგან იგი თვითონ სი-კეთეა და ამით, დიახაც, აღმატებულია ყველა სხვა ღვთაებაზე. იგი მხოლოდ აშენებს და არ ანგრევს, ინდოელთა უზენაესივით...

— და, მაინც არის ქვეყნად ნგრევა და მუსრვა, არის სიკვდილი და არის აზონიც, — გაეღიმა აშთანს მწარედ.

— იქნება ეს ყოველივე, სანამ ადა-მიანი დიდი სიკეთის მცოდნე და თა-ნამოზიარე არ გახდება.

— მაშ, ბოროტების ღვთაება ყოფი-ლა გამარჯვებული...

— არსებობს მხოლოდ ერთი სიკეთე და მეტი არაფერი, ღვთაების ტოლფა-რდი და მისი არსი, თუ შეიძლება არსი ვუწოდოთ ჩვენი გონებისთვის მიუწვ-დომელს... ხოლო ბოროტება, ანუ სი-კეთის ჩრდილი, თან ახლავს უმაღლე-სის ბრწყინვალებას, როგორც სიძნე-ლე მასთან მოახლოების, მისი წვდო-მის გზაზე.

— არმაზი ეკამათებოდა ჩიტრინეს სწორედ ამ აზრის გამო, აჯობა კიდეც, როგორც გავიგე მათი საუბრიდან...

— არ გკითხე, ვიფიქრე, — თავად მეტყვის-მეთქი. არ მითხარი და უნდა გკითხო: — რატომ დაიდო ამ მთებში ბინა ჩიტრინემ, ან არმაზი როგორღა მოხვდა მის სიახლოვეს?

— ანათამ მიიყვანა ჭაბუკი ჩვენს მე-გობართან. ჩიტრინე და ანათა ხომ დი-დი ხნის ნაცნობები და მოკეთეები არი-ან. ერთმანეთთან კავშირი მერეც არ შეუწყვეტიათ, რაც აზონმა ინდოელი ქალი სასახლიდან გამოისტუმრა.

* * *

მთვარემ გვერდი იცვალა და ნელა დაუყვა ცარგვალს. აშთანმა წყლის გადაღმა, მთის შვერილზე ბუდესავით შეყუჟული ქვაბულისკენ მიუთითა ადონს, საიდანაც მცირე შუქი ილვრებოდა.

— იმ საცალფეხოს მიჰყევი და მიხვალო, — ასწავლა, — შენი დანაბარები შეუცვლელად შესრულდებაო, — დაჰპირდა და გასცილდა.

მიწყდა აშთანის ფეხის ხმა და ადონი მარტო დარჩა წყალთან, მთებთან და მის კალთებზე ჩამოწოლილ ღამესთან. დიდი ხანია ასეთი სიმსუბუქე და სრული განმარტოვების გრძნობა არ დაუფლებია. მდინარის პირთან მისული, უჩვეულო მოლოდინს აყოლილი შეჩერდა, სივრცეს მიაშტერა თვალი. გული ძველებურად შეუქანდა და... ნელა დაიძრნენ მთები მის შესახვედრად, მოეახლნენ, ქედი მოუდრიკეს და ნელავე დაბრუნდნენ ფუძეზე, წყლის ვერცხლისფერ ზოლს დაუთმეს გზა. ახლა მდინარის წყალი აიწია კალაპოტიდან და მთებზე გადაწვა გველივით, ადონის ფეხებთან მორჩილად დახარა მბზინავი თავი. ადონმა ზანტად გაიშვირა ხელი, სურდა მოფერებოდა, მის ღალლილ სულს დახმარებოდა, არ მიიკარა ქვესკნელის ბინადარმა და უცნაურად ატოკდა მთათა წვერზე გადაწოლილი. ისევ დაიძრნენ მთები, მაგრამ ახლა უკვე დასალიერისკენ წავიდნენ ზანტად, წაიყოლეს წყლის აელვარებული ზოლი და შორს, იქ, სადაც ცარგვალს ვერცხლისფერი დინება შეუერთდა, ადონის მივიწყებული ალდე გამოჩნდა...

ალდე! ალდე! — გაისმა ნაცნობი ჩურჩული. ქალი მოისწრაფვოდა ხელგამოწვდილი, მაგრამ უჭირდა მოახლოება, სიმწრით სძლევდა წყლის ძალას, მთის მწვერვალთან გამოჩენილს ჯაბნიდა მორევი, ისევ განაშორებდა ადონს. მიხვდა ადონი, წყალი უარყოფდა ალდეს და მიწას შეჰღაღადა დახსნის ლოცვა...

მიწა შეირხა და კვლავ დაუბრუნა მდინარე კალაპოტს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუახლოვდა... მადლობა უთხრა... მტრედისფრთასავით მსუბუქი ხელი შეახო მხრებზე და წაიყვანა...

თმაგაშლილი მიდიოდა ადონის წინ ალდე. მიჰყვებოდა ადონი, მასთან ყოფნას მონატრებული, უჩველო თრთოლვას აყოლილი, ალვსებული და აპალლებული...

მთის შვერილთან შედგა ალდე. ერთი წამით შეჩერდა მხოლოდ. სევდისგან გამშრალ თვალებში ჩახედა, ჭაღარა თმაზე ნიავივით გადაუსვა ხელი, უცნაურად აკვნესებულ მკერდზე ეამბორა და გაქრა უეცრად.

გამოერკვა ადონი. დამთავრებული იყო გზაწვრილი. ჩიტრინე ელოდა მთის შვერილზე ბუდესავით შეყუჟულ ქვაბულთან.

ქვაბულის შუაში დიდი სანთელი ენთო, მის ირგვლივ სამი ქალი იჯდა ფეხმორთხმული, გარინდებული. თითქოს ვერც შეამჩნიეს ადონის შემოსვლა.

კუთხეში მიდგმულ სახელდახელო ტახტზე ჩამოჯდა ჩიტრინე, გვერდით მოისვა ადონი.

— ღვთაების შეწირული ვიყავი, პირველად რომ შეგხვდი, გახსოვს ალბათ, ამ ქვეყანაზე ყოფნა არ მიხაროდა მაშინ, რადგან საიქიოში გამგზავრებას ვესწრაფვოდი... ღვთაების ნებით, იბერიაში მომიწია ცხოვრება და თანდათან დავინახე, რომ უვიცი ვიყავი და მოუმზადებელი უზენაესთან შეხვედრისთვის.

ძლიერ გამიჭირდა შენთან განშორებაც... მერე აზონმა განმადიდა და მეც ვიგემე ადამიანური კეთილდღეობის მომჯადოებელი ძალა... უნდა გითხრა, რომ იოლი არ ყოფილა პირველობის დათმობა... მაინც, მხოლოდ ის მასულდგმულებდა, რომ ერთგული არ ვიყავი აზონისა და ფარულად ვეხმარებოდი მის წინააღმდეგ შეთქმულებას. შენთვის მოცემული ფიცი კი არასოდეს გამიტეხია. ვცდილობდი იბერიის მპყრო-

ბელის სულის ყველა კუნჭულში ჩაუმძვრალიყავი და შენი საქმისათვის გამოსადეგი ფიქრიც კი მეცნობებინა შენთვის...

— მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. — წყნარად უპასუხა ადონმა.

— ხუთი წელია გამომისტუმრეს სასახლიდან და მეც ჩემს მოახლე ქალებთან ერთად აქ დავიდე ბინა. უზენაესთან შეხვედრაზე დავიწყე ფიქრი. რამდენიმე დღეში ამ მღვიმის კარს ამოჰქოლავენ ეს ქალები და მარტო დამტოვებენ ჯურღმულში...

— ნებივრობას მიჩვეულ სხეულს გაუჭირდება უკუნეთში ყოფნა...

— სამი წელია ამ დღისთვის ვემზადები... მწამს, რომ შევძლებ, როცა არმაზი სინათლეზე გამომიყვანს, გამარჯვებული იქნება იბერია და ფარნავაზიც ამაღლებული...

ადონი უსიამოდ შეირხა.

— არმაზს არ დააბრალო, არც ანათას. ფარნავაზი რომ ცოცხალია, ეს მე წინათაც ვიცოდი, გუმანით ვგრძნობდი.

— არმაზი?...

— ძნელი გზა აქვს გასავლელი არმაზს. სხვათა ცოდვის მზიდველი იქნება... თვითონ ნახავ მის ამაღლებას, რადგან მხოლოდ კაცის თვისებებით არაა იგი შემკული... დაეხმარე მიიღოს ცოდნა, შენი ცოდნისგან განსხვავებული, რადგან ცალმხრივად წარმართული მისი გონება საპირისპიროს ეძიებს და განსჯის შენგან მიღებულს. ნუ შეშინდები. განსჯა შენს სიმართლესთან მოიყვანს ბოლოს და... — და...

— და...

— უზენაესი არ მაძლევს უფლებას მეტი გითხრა. ახლა საამქვეყნოზე: ერიდეთ კახთა მოხუც ერისმთავარს და ეგრისის დედოფალს, პირველი აზონთან ბრძოლისთვის ემზადება და ხელი შეუშალე, ხოლო ეგრისის დედოფალი მტერია, და, რაც მალე მოიცილებთ, უმჯობესია!

— ქუჯი?

— ქუჯის არაფერი დაუშავდება. აშთანი აზონთან დააახლოვე. კონტროლი ჩემს გამო მასზე ეჭვიანობდა. არა მგონია, მისი ჭკუისა და ცოდნის გამოყენება არ ისურვოს ახლა აზონმა.

— მაგაზეც ვიფიქრებ. — მიუგო ადონმა.

ჩიტრინეს გაეღიმა...

— არ გენანება შენი თავი? — მაინც ჰკითხა ბოლოს ადონმა, თუმცა იცოდა, ასეთი კითხვა მკრეხელობა რომ იყო.

— „ჩემს მწუხარებას ვერ დააცხრობს ვერც ამ ქვეყნდ მორჭმული ხელმწიფება და ვერც კაცთა ზედა მეუფება", — გაეღიმა ჩიტრინეს... — უზენაესთან განმარტოება სწყურია ჩემს სულს.

ჩაქრა სანთელი ქვაბულში და უკან სიბნელეში გაისმა ლოცვა. სულებს უხმობდნენ ინდოელი მხევალი ქალები, საიქიოდან. ადონი წამოიწია. ჩიტრინემ ფრთხილად შეახო მკლავზე ხელი და დასვა. თვალები დახუჭა ადონმა, რათა სიბნელეს შეჩვეოდა.

როცა გაახილა, პირდაპირ შავი ორმო დალანდა, პირგაღებული. — შემოსასვლელია. — დაიმშვიდა თავი და უცნაურად შიშატანილი ახლა ამ შავ ორმოს მიაჩერდა მხსნელივით.

ლოცვა მიწყდა და მკვრივ სიჩუმეში ფრთხილი ნაბიჯების ხმა გაისმა. ეცნო ეს ხმაც და ორმოსთან მომდგარი კაციც.

— ნუთუ სამარაა, — წაიჩურჩულა ძლივს.

ნაისრალისგან დარჩენილ იარას გულიდან გადმოღვრილი სისხლი შავად შეხმობოდა. გაუსაძლისს ტკივილს დაელარა სამარას სახე... სიმწრის ნერწყვი გადაყლაპა ადონმა. დამნაშავესავით ულიმოდა სამარა მეგობარს, თითქოს თვალს ვერ უსწორებდა დარცხვენილი.

— სტუმრად მოსულო სულო, უთხარი ადონს რა მოელის, როგორი იქნება

ხვალინდელი დღე იბერიისა, — სასოებით შეევედრა ჩიტრინე.

უცქეროდა ადონი როგორ ალაპარაკდა სამარა. სუროდა მისი ხმის გაგონება, მაგრამ დახშოდა სმენა, სიჩუმეს შენივთებოდა მეგობრის სანატრელი ხმა. მხოლოდ კვნესა, შორეული კვნესა ჩაესმა ბოლოს და დაინახა მკერდზე წაავლო ხელი სამარამ. თვალი დახუჭა ადონმა, ასე უფრო ეიოლებოდა ტკივილის გაძლება, რომელიც თავად იგრძნო მკერდში.

როცა თვალი გაახილა, სანთელი კვლავ ენთო ქვაბულში, ქალები ისე უდრტვინველად უხსდნენ ამ სანთელს გარშემო, თითქოს არაფერი მომხდარიყოს.

მხოლოდ სამი სიტყვის გადმოცემა დამავალა შენთან მოსულმა: — ფარნავაზი, ან-ბანი და არმაზი... — წყნარად წარმოსთქვა ჩიტრინემ.

ადონი მოტრიალდა ქალისკენ...

— არმაზიო? — გაუკვირდა ძლიერ. ჩიტრინემ თავი დაუქნია.

* * *

— არმაზ? ჰაი, არმაზ, — ფარნავაზი მოადგა ჭიშკარს. ადონმა ვიწრო სარკმლიდან გახედა ჭაბუკს.

— ანათასთან წავიდა. ვაჩემ შემოუთვალა, ახალი ლექსები უნდა დავამღერო და მინდა მომისმინოსო.

— მერე მე? — თითქოს იწყინა ფარნავაზმა.

— დილიდან გეძებდა არმაზი, შენი მნახველიც კი ვერავინ ვნახეთ! — გაეპასუხა ადონი.

— მე და ვაუიკა სანადიროდ ვიყავით. ვაუიკამ ჯიხვი მოკლა, მე მხოლოდ არჩვი, ცუდი დღე მქონდა. ახლა არმაზთან მოვედი იმის სათქმელად, რომ მართალი იყო, როცა მარიგებდა: — ვაუიკასთან ერთად სანადიროდ არ წახვიდეო, ცუდი ფეხისაა [illegible]კა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კაცის ცხოვრება ასეთია; ხან გაგიმართლებს, ხან არა. ტყუილად გიფიქრია პირქუშის ვაუკაცზე ცუდი.

— განა არ მიყვარს?! ისიც, არმაზიც, შენც და სუყველა ძლიერ მიყვარხართ... — უჩვეულოდ ატაცებული ჩანდა ფარნავაზი.

ადონმა კიბე ჩამოიარა და მიუახლოვდა გაზრდილს. — შენოდენ სიბრძნეს კი ამქვეყნიური სხვა კაცი ვერც დააგროვებს ვერასდროს. მიხარია, რომ არა მარტო აღმზრდელი, არამედ მაძობილიც და მეგობარიც ხარ... — მკერდზე ემთხვია ადონს.

— ნასვამი ჩანხარ! — გაეღიმა ადონს, პირველად ხედავდა ბახუსით გათამამებულ ფარნავაზს.

— ბიჭებმა ნანადირევი გავიყავით და დავლოცეთ ერთმანეთი!..

— ვაუიკამ რაო?

— რაო ვაუიკამ? ყველგან გამოგყვები, შუა ცეცხლში ჩავდგები შენთვისო...

...მაინც უთქვამს პირქუშს საიდუმლო ვაუიკასთვის, — ეწყინა ადონს. — ოღონდ ლამზირას ვერ დაგითმობო, — გააგრძელა ფარნავაზმა.

გულზე მოეშვა მასწავლებელს.

— მე კი ვიცი, რომ ლამზირას არც მე და არც ვაუიკა არ მოვეწონებით, რადგან ჩვენზე კეთილი და ჩვენზე ბრძენი არმაზი ცხოვრობს ამ ქვეყანაზე... ხა, ხა... — გაიცინა ფარნავაზმა...

— შემოდი სახლში, მოისვენე, შენთან სასაუბროც მაქვს. — გამოხსნა ჭიშკარი ადონმა. — ხვალ დილით კი ადი ანათასთან! დედას დაემშვიდობე! უკან გაბრუნებას აპირებს.

ფარნავაზი ერთხანს ჩუმად იყო, ეტყობა რაღაცას ფიქრობდა, მერე შემოვიდა ეზოში და სწრაფად აირბინა ქვის კიბე.

□გაგრძელება იქნება□

# ნარკვევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირონ ხერგიანი

## იმედის მურყვამები

(ციკლიდან — „დიდი ჩამოვაკება")

* * *

მაინც რა ზებუნებრივი ძალაა, ამ ას ოც კომლიან სოფელს, როგორც ჩვენი წინაპრები იტყოდნენ ხოლმე, კირსა და ქვიშასავით რომ კრავს და განამტკიცებს, შემართავს საერთო მიზნისაკენ? — ვფიქრობდი ნაგებიდან ლემშვანიერასაკენ მიმავალი, — რაშია საიდუმლო?

„ყველაფერი გენიალური ერთ წერტილში მიზანმიმართული ინტენსიური ძალისხმევის შედეგად მიიღწევა"—ერთი სახელმოხვეჭილი მეცნიერის ნათქვამი აქ ნაგებში სამეურნეო ასპარეზზეც საცნაურდებოდა — წინამორბედი დირექტორის მიზან-დასახულებანი კი არ უარყო, საკუთრად აქცია ახალმა ხელმძღვანელმა, ზოგიერთივით არც დეკლარაცია შეუცვლია, პირიქით, მისი გამოცდილების განზოგადებასა და სრულქმნას შეეცადა და ამით თანასოფლელთა განწყობილებას, საზოგადოებრივ ენთუზიაზმს კიდევ მეტი სტაბილურობა და შინაგანი წონასწორობა შესძინა, რაც ასე აუცილებელი იყო შემდგომი წინსვლისათვის. ერთი ნიუანსი, კონკრეტული მაგალითი ვალოდია კახიანის „მემკვიდრეობითი პოლიტიკისადმი" ერთგულებისა: ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, ავთანდილმა პირველი ბინები აზერბაიჯანელებს აუშენა, და ამით ადგილობრივ მაცხოვრებელთა ნდობა და სიყვარული მოიპოვა-მეთქი. მეორე ეტაპზე, როცა საბინაო პრობლემა, ასე თუ ისე, უკვე გადაწყვეტილი იყო და დღის წესრიგში დადგა სოფლის ქუჩებისა და ეზო-გარემოს კეთილმოწყობის საკითხი, ვალოდიამაც — „უკან დაიხია"—გრძნობდა, რომ ბიტუმი ყველას ვერ გასწვდებოდა, თავისი ეზო-კარი ბოლოსთვის მოიტოვა და დღესაც ნაგებელთა ბინების რიგში იმით გამოირჩევა, რომ იქაურობას ლაზათსა და შნოს უკარგავს თავისი თვალშისაცემი „პირველყოფილობით" ანუ კეთილმოუწყობლობით. როცა ამის შესახებ ჩამოვუგდე საუბარი, ეს როგორ მოხდა, დირექტორი დაუჩაგრავთ-მეთქი, ვალოდიამ მიპასუხა:

— ბიტუმი ძალიან ძვირდა, ვგრძნობდი, ყველას ვერ გასწვდებოდა, ამიტომაც ჩემი ჯერი როცა მოვიდა, უარი განვაცხადე, ჯერ სხვების ეზო-ჭიშკარში დავაგოთ, თუ მორჩება, მერეც არ იქნება გვიანი-მეთქი. საგზაო ოსტატებმა გაიკვირვეს — მივყვეთ რიგში, როგორც წესია, სანამდეც გვეყოფაო... მაგრამ მე არ ვქენი, ვალოდია კახიანის ეზოზე „გადავახტუნე"— დირექტორი როა, ისიც ეყოფა-მეთქი — ღიმილით ამბობს ჩემი მასპინძელი,. — მაგრამ „გადადებული — გადაგდებულიო" ზუსტად ისე კი გამოვიდა ბოლოს. თუმცა რა უშავს, საცა აქამდე გამიძლია უასფალტოდ ახლაც მოვითმენ, სამაგიეროდ ამრეზით თითს ვერავინ მოიშვერს ჩემსკენ — აი, შეხედეთ, თავისი გაინაღდა და ჩვენ რაღაში ვენაღვლებითო.

გააჩნია, ვინ როგორ შეხედავს, მაგრამ ასეთი კომპრომისებით უფრო დიდ მიზანს მიაღწევს ადამიანი, ვიდრე სიხარბითა და გაუმაძღრობით, ამ მხრივ ჩემი წინამორბედის ერთგული ვრჩები...

ეს ერთი მაგალითი იმისა, თუ რა გზით აღწევს ახალი დირექტორი თანასოფლელთა ნდობის მოპოვებას. მეორე უკვე ხელმძღვანელის ალღოიანობასა და პროფესიონალიზმში გამოიხატა, ამ შემთხვევაში მხედველობაში მაქვს ვალოდიას, როგორც ინჟინრის კვალიფიციურობა, რის წყალობითაც სასმელი წყლის მწვავე პრობლემა საბოლოოდ იქნა გადაჭრილი ნაგებელთათვის. თუმცა მივყვეთ საქმის მსვლელობას: აქაური მიწა ხირხატიანი და მარილოვანი გამოდგა. წყალი კი, როგორც ვახუშტი ბატონიშვილიც მიანიშნებდა წიგნში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", მწარეა და უგემური, მართალია, სოფელი ჯერ კიდევ ძვე·

---

დასასრული. იხ. „მნათობი", № 5.

ლისძველი არხით მარაგდებოდა წყლით, მაგრამ ახალმშენებლობათა კვალობაზე მისი დეფიციტი თანდათან საგრძნობი ხდებოდა, ამიტომაც ხელმძღვანელობამ მიზნად დაისახა დამოუკიდებელი რეზერვი გამოენახა სასმელი წყლისა. არტეზიული ჭის გათხრა გადაწყვიტეს, ოთხმოც მეტრზე ჩაბურღეს გრუნტი. წყალმა მართლაც ამოხეთქა, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობის იმედი ვერ გაამართლა — წყალი მლაშე და უვარგისი გამოდგა, ფერმაში საქონელს ხოცავდა. ხალხი საგონებელში ჩავარდა, გამოსავალი თითქოს არსაიდან ჩანდა — მართლაც ერთი სოფლისთვის ას კილომეტრიანი არხის გამოყვანა უშველებელ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. სწორედ მაშინ იმარჯვა ვალოდიამ და წამოაყენა წინადადება, რომ ჭაბურღილი, დაახლოებით, ორას მეტრამდე ჩაეღრმავებინათ, იქნებ როგორმე მლაშობნარ ფენებს ჩასცდენოდნენ და წმინდა წყლებში გასულიყვნენ, ამ ექსპერიმენტული იდეის განხორციელება გაცილებით იაფი დაჯდებოდა. მთელმა სოფელმა გამოხატა დაინტერესება, და აი, ჩაყარეს ახალი მილები, ბურღვა გაგრძელდა. ვარაუდმა გაამართლა — წმინდა, ცივციველა წყალმა ამოხეთქა, რამაც ყველას უდიდესი სიხარული მოჰგვარა; მართლაც ხუმრობა საქმე ხომ არ იყო — სოფელს თავისი დამოუკიდებელი წყარო გაუჩნდა, რომელიც გემოვნებით მთისას არაფრით ჩამოუვარდებოდა, ვალოდიამ კი ნდობისა და თანასოფლელთა მადლიერების კიდევ ერთი ბალი ჩაიწერა. მრავალი ასეთი ბალებისაგან შედგებოდა მისი მოღვაწეობა და ერთსულოვნებისა და კონსოლიდაციის, საზოგადოებრივი ცხოვრელმყოფელობისა და აქტიურობის საიდუმლოც სწორედ ამ ბალების ყულაბაში იყო საძებარი:

* * *

— ომიანობის წლებში ალბათ უფრო გაგიჭირდებოდათ, ბუბა სოგრატ. სადარდებელიც მეტი გექნებოდათ...

— სადარდებელზე აკი მოგახსენეთ, ეს ოხერი, გლეხკაცისათვის კარგმა ცხოვრებამ, ცოტა არ იყოს, დააგვიანა. ჩვენსავით მრავალშვილიანი გაჭირვებული ოჯახი კი სვანეთშიაც და ალბათ სხვაგანაც რამდენი იქნებოდა! რა თქმა უნდა, იმ სიდუხჭირეს ომიანობის მძიმე წლები კიდევ უფრო ამძიმებდა. მახსოვს, ჩვენი ოჯახის შემოსავალი თითო შვილზე ორმოცი მანეთი იყო, მაშინდელი ორმოცი მანეთი ახლანდელი ოთხი მანეთია. სხვა ფულადი შემოსავალი, თითქმის, არც ვიცოდით, გარდა სამონაგრო გასამრჯელოსი, ეს კიდევ რახაც ნიშნავს, შენაც კარგად იცი, დაკრავ ფეხს გვიან შემოდგომის პირზე და სამუშაოს საძებნელად კოლხეთში ამოყოფ თავს ზაფხულში ახლა ტვიბერის უღელტეხილით ჩრდილოეთში გადახვალ სათიბად, რომელიმე მეურნეობას გაურიგდები, იქაც ხუთი პირი ტყავი უნდა გადაგძვრეს და აქაც...

ბიბლიოთეკა

მაგრამ, ბუბა ლადალსი, ძველ დროებაზე წუწუნით ვის რა დახლი დასდგომია, რო... ღვთის წყალობით, ავად თუ კარგად, როგორღაც გამოვალწიეთ იმ წეწვა-გლეჯვას... რო ამბობენ — ხოლმე — ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება, მეც ამას ვემხრობი, მთავარია შვილებმაც რომ გამიმართლეს, ჩვენი წვალების საზღაურიც ესა მგონია... როგორ გითხრათ, ზოგი რას გულისხმობს ამ გამართლებაში და ზოგი — რას... მართალია ეს ოხერი, უმაღლესები ვერ დავამთავრებინე, ანდა რითა და რანაირადღა დავამთავრებინებდი, როგორც ამბობენ, მარტო ნიჭიც არ ყოფილა იქ საკმარისი, თორემ გოგონებმა მაინც წარჩინებით დაასრულეს საშუალო სკოლა. მომზადებაც ნდომებია და ამას თურმე დიდი სახსარიც სჭირვებია, მერმე კიდევ ჩააბარებს თუ ვერა, ეგეც არავინ იცის, იქაც კაცი უნდა გყავდესო. მე კიდევ სამიათასი საიდან მექნებოდა, ანდა უმაღლესში ვინ მეტიალებოდა. არც ამათ ავუკლივარ საყვედურებით — მამი, სოფელში წერა-კითხვის მცოდნე არ დარჩენილა, სადმე რო არ ჩაებარებინა, ჩვენ რაღა იმათზე ნაკლები ვართო. იცოდნენ ოჯახის შესაძლებლობა და ღვთის წყალობით, გონიერებაც არ აკლდათ, „კვიცი გვარზე ხტისო" ამ მხრივ — ისინიც, ეტყობა, თავის-ბედს ჩვენსავით შეგუებულნი იყვნენ.

ბუბა სოგრატის აზრით, ვინც რა უნდა თქვას, მშობლები ცოტათი მაინც „თავისწვერა ხალხია". შვილი ახლოს უნდათ რომ ჰყავდეთ, ახლოს არა მხოლოდ ფიზიკურად, სულიერადაც — თანამოზიარედ ჭირისა და ლხინისა, სადარდებლისა. შვილები ყველაზე დიდი ბედნიერებაა ამ ქვეყნად. უმაღლესიც კარგია და სწავლა-განათლებაც, მაგრამ იმას მაინც არაფერი სჯობია, ახალგაზრდას რომ შრომისმოყვარეობა დაებადება, პატიოსნება დაექვება; ერთ ხელობას როგორ ვერ ისწავლის, დღეს კი საქმეს რა გამოლევს, შიმშილითაც არ ამოხდება კაცს სული. სოგრატმა და მისმა მეუღლემ თუ ათი შვილი გამოზარდეს იმ გაჭირვებასა და უმწეობაში, ტაციობასა და განუკითხაობაში, განა ახლა იმაზე გაცილებით უკეთესი პირობები ვერ არი? — სოგრატეს სინანულის ჩრდილი ებურა სახეზე — არი და მეტიც! და ესეც რომ არ იყოს, ეგენი რომ ახერხებენ გამრავლებასა და შვილიერობას — ჩვენი მეზობლები — აზერბაიჯანელებიცა და სომხებიც, ჩვენაც უნდა მივსდიოთ ამ საშვილიშვილო საქმეშიო... — მტკიცედ აცხვნის მოხუცი.

— მე მაგალითად, მგონია, რომ ბევრი შვილი აღზრდის საუკეთესო სკოლაცაა — განა-

გრძობს სოგრატი — ისინი ბავშვობაში სიკეთისა და ურთიერთპატივისცემის, ერთმანეთზე ზრუნვის, სიყვარულისა და გატანის, თანადგომისა და ერთგულების ყადრს სწავლობენ, შეისისხლხორცებენ და ეს ხდება ბუნებრივად თავისთავად, და აღარ სჭირდებათ ამაებზე ჩიჩინი. მე იმითაც ბედნიერი ვარ, რომ მილიციის კარები არ ვიცი რა არის... ნურც მაცოდინა ღმერთმა! ყველა უმაღლესს კი ეს მირჩევნია. რა თქმა უნდა, უარს კი არ ვამბობ უმაღლესზე, ანდა კი არ ვძრახავ ვინც იქით მიიწევს, მაგრამ იმას კი ვგრძნობ, რომ მშრომელი კაციც არანაკლებ საჭიროა ჩვენს ქვეყანაში და რაღა თქმა უნდა საქართველოშიაც... მართლაც და, ყველა ხელმძღვანელი და მბრძანებელი ხომ არ იქნება, საქმეც ხომ ვიღაცამ უნდა აკეთოს, ქვეყანა თავისით კი ვერ აშენდება. ამის აუცილებლობა ნაგებში კიდევ უფრო ვიგრძენი, როცა დავინახე, რა დღეში არიან აქაური მკვიდრნი, რა წელზე ფეხს იდგამენ, რა შრომისა და წვალების ცეცხლს ანთებენ... იმიტომ ხვავის ბარაქაც უდგათ. შრომისმოყვარეობით ბევრი ჩვენებური მაგათთან ვერც მივა...

ერთი რამეც არი, ბუბა ლადალსი, ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, ყველა პატიოსანი ადამიანისათვის და მგონია ქვეყნისა და ხალხისთვისაც განათლებას მაშინ აქვს აზრი, როცა ადამიანი საქვეყნო საქმეს ემსახურება და აი, ავთანდილი, მისი მოადგილე სულიკო ლომიძე და ჩვენი ვალოდია რომ არიან, ამათსავით, საერთო სატკივარი თავისად მიულია. ხალხის საზრუნავი პირად საქმედ უქცევია... თორემ ისე რა ბედენაა განათლებულობა და თანამდებობა, ნიჭი და უნარი მარტოოდენ საკუთარ თავს თუ მოახმარე. პირადი გამდიდრებისათვის გამოიყენე. ტელევიზორში რომ ლამის ყოველ საღამოს გადმოსცემენ ნაირნაირ დანაშაულობებს, ისეთი განთავისუფლებისათვის თავსლაფიც დამისხია... შორს ჩვენგან ასეთი ნასწავლი უფროსობაცა და მათი დამქაშობაც...

* * *

— თქვენთან როგორღა იქნება გამრავლების საქმე? მახსოვს, ამ ორი წლის წინ იყო, ერთ სტატიაში ავთანდილი ხუმრობით ამბობდა — შვილიერობის მხრივაც გვინდა მოწინავენი ვიყოთო... „ეს ჩვენი გეგმა-ვალდებულებაც“ იქნება და „სოციალური შეკვეთაცო“, მას მერმე საკმარისი დრო გამოხდა ნაქადნევის შესამოწმებლად... — ვკითხე ვალოდიას.

— სწორად უთქვამს. მეტი რა გინდა, ფაქტი სახეზეა. — მაგიდაზე გადაშლილი რაღაც დავთრები მოათვალიერა. დირექტორმა — თუ 1984 წელს სოფლის რვაწლიან სკოლაში 50 მოსწავლე გვყავდა, ამჟამად ჩვენთან უკვე საშუალო სკოლა ფუნქციონირებს და იქ 150-ბავშვი სწავლობს... აქვე უნდა ალვნიშნო, რომ ბოლო 25 წლის მანძილზე ამ სოფლიდან უმაღლესში არავინ მოწყობილა, მარტო წელს რამდენიმე ახალგაზრდამ ჩააბარა სხვადასხვა სასწავლებლებში მისაღები გამოცდები...

ხოლო რაც შეეხება ავთანდილის ხუმრობას — „გეგმა-ვალდებულებას“ — უკვე მრავალმა გადააჭარბა, დღეს სოფელში საკმაოდ გვყავს დიდი ოჯახები — მერაბ რატიანი, მაგალითად, ექვსი შვილის მამაა, ასევე ტრისტან მარგიანსაც ექვსი შვილი ჰყავს, იროდი ხარძიანს — ხუთი შვილი, რაჟდენ ჯოხაძე და ბინაგვერ ხარძიანიც ხუთ-ხუთ შვილსა ზრდიან, გოგი მარგიანი — სამი შვილის მამაა... რომელი ერთი ჩამოვთვალო... თანაც ბევრნი ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან, ასე რომ დრო წინა აქვთ და მგონია მიღწეულს არ დასჯერდებიან... ამას მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ — კარგად ვერკვევი ჩვენებური ადამიანის ფსიქოლოგიაში, მის ცხოვრებისეულ ფილოსოფიაში, ყველაზე დიდი სიმდიდრე და ფუფუნება, ბიძია სოგრატისა არ იყოს, მისთვის შვილები იყო, და არის კიდეც, უსწავლელობა-ნასწავლობას დღემდე მაინცდამაინც დიდად არავინ დაგიდევდათ... უმაღლესში ვერ მოეწყობიანო იმის შიშით კაცობაზე უარს არავინ იტყოდა, მთავარია ღირსეული ადამიანები გამოსულიყვნენ — სოფელ-ქვეყანა არ შეერცხვინათ. ძველ დროში უმაღლესები არ იყო, მაგრამ ადამიანები მაინც ამჟღავნებდნენ თავის ბუნებას, პიროვნულ თვისებებს, კეთილშობილებას თუ ბოროტებას, შრომისმოყვარეობას თუ სიზარმაცეს; დღესაც იმისათვის უნდა ვილწოდეთ, რომ კეთილი თვისებები შეისისხლხორცონ ჩვენმა შვილებმა და შვილიშვილებმა, უამისოდ, თუ გინდა ათასი უმაღლესიც დაამთავრებინე, მისგან ხეირი არ გამოდნება და ამისი მოწმე დღეს, სამწუხაროდ, მრავალჯერ გავმხდარვართ, წამხდარ საქმეს კი არაფერი ეშველება... ახალგაზრდებმა უნდა გაითვალისწინონ მამათა შეცდომები...

ასე ფიქრობენ ჩვენებურები. მათ სიამაყეს ჯანსაღი ცხოვრებისეული ფილოსოფია ჰკვებავს. ბევრს უკვირს ხოლმე გლეხკაცის შინაგანი სიამაყე, რომელსაც ჯიბეში შეიძლება გროშიც არ უჭყაოდეს, მაგრამ მას თავისი სიმართლისა სჯერა და ეს მატებს მხნეობას; მართალი კაცი, ნათქვამია, — ქვაზე მაგარიაო. ამიტომაცაა, რომ დიდად არ ეპიტნავება სხვისი სიმდიდრე და ნაარმალი ფუფუნება. შინაგანად გრძნობს, მისი ციხე უფრო მაგარია თუნდაც იმ ოქროს სასახლეზე, ქვიშაზე რომ უდგას საძირკველი.

* * *

— ბიძია სოგრატ, წელან კანტორა ახსენეთ, მაინც რა იყო ასეთი ეგ კანტორა? — კვლავ დავაბრუნე უამურ ფიქრებში ჩემი კეთილი

— მახპინძელი. მას თვალებში გაოცება გამოეხატა. ეტყობა, არ მოელოდა ამ შეკითხვას;

— კანტორა, შვილო, ზემოთაც რო ვთქვი, ცუდი სიზმარივით შემომრჩა და არა მარტო მე, მრავალი ჩვენებური გლეხკაცის მახსოვრობასაც... — ქშენა-ქშენით თითქოს უკანასკნელი მაღლობის დასალაშქრავად ქანს იკრებსო, — მძიმედ დაიწყო მოხუცმა — ყოველწლიურად, ხანდახან წელიწადში ორჯერაც კი — გაზაფხულ-შემოდგომაზე ხის საჭრელად მივყავდი ჯოჯხეთის ტყეებში. ჯოჯხეთი — ხომ იცი, ჩვენებურად — ჯანდაბასა და მოუხავლეთს ნიშნავს, იმიტომაც შეარქვეს ჩვენებურებმა, რო იმაზე მეტი და უარესი თუ არა, ნაკლები როდი იყო...

სასურსათო და სამეურნეო ათასნაირ ბეგარასავით კანტორობას დიდმოხელეების გარდა თავიდან ვერავინ აიცილებდა. მოგწყვიტავდნენ მთელი კვირები ოჯახს, საშინაო საქმეს და იმ უკაცრიელობასა და უდაბურობაში ამოგაყოფინებდნენ თავს. თუმცა, ამოგაყოფინებდნენო რომ ვთქვი, განა მანქანით წაგიყვანდნენ რო... მეტი საქმე არა ჰქონდათ, თვითონ გარჯილიყვნენ ამისათვის, შენც არ მომიკვდე, სულ ფეხით დავჩანჩალებდით იმ სიშორეზე ორ დღეს მაინც ვანდომებდით იქ მისვლას საგზლით პირამდე დატვირთულები, თან საცოდავი ხარებიც მიგვყავდა ტყიდან მორების გამოსაზიდად... ცალკე იმათი ტანჯვაც რომ გამახსენდება ხოლმე, ტანში ჟრუანტელი დამივლის... კაპიკს არავინ გვიხდიდა, საჭმელზეც თვითონვე უნდა გვეზრუნა, ჩასაცმელ-დასახურავზეც. ხშირად მთელი თვე ვუნდებოდით გეგმის შესრულებას, თვითეულ ჩვენთაგანს 150 კუბამეტრამდე ხე-ტყე უნდა დაგვემზადებინა — მოგვეჭრა, დაგვეცურებინა და ენგურისთვის მიგვეცა. ბრიგადილები იქ გველოდებოდნენ, მდინარესთან, იქ იბარებდნენ მორებს, მანამდე, გინდაც ათასი კუბამეტრი მოგეჭრა, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მთავარი იყო, წყალს რამდენს გაატანდი, ესე იგი, „სუფთა წონა", ხოლო იმის დაცურებასა და ჩამოთრევაში სულიც რომ ამოგხდომოდა, ვილას ენაღვლებოდი. თანაც ერთი კაცი, იმოდენა მორებთან რას გახდებოდა, წარმოიდგინე ქიანჭველა ბაყბაყდევს რომ შეერკინოს, ერთმანეთს ვეხმარებოდით და ისა გვშველიდა თორემ ალბათ დღესაც იქ ვიქნებოდით იმ მორების დაცურებაზე... ბუნებრივია, ამასობაში საჭმელიც შემოგვაკლდებოდა, აბა, რამდენი უნდა წაგველო შინიდან რომ მთელი თვე, გინდაც მთელი კვირა გაგვწვდომოდა, მაშინ ბრიგადიდან რამდენიმე კაცს გამოვყოფდით და სურსათ-სანოვაგეზე გავაგზავნიდით სოფელში. მეჭონესავით დაუვლიდა თითოეულის ოჯახს, გამოუტანდნენ, ვისაც რა შეეძლო და ცოტა ხნით კვლავ მოვითქვამდით სულს, მერმე კიდევ სხვების ჯერი დგებოდა, ასე ვენაცვლებოდით ერთმანეთს...

მაგრამ უკვე ვთქვი, ხშირად წელიწადში ორჯერ გვიწევდა კანტორობა-[illegible], [illegible]ხულსა და შემოდგომაზე. ყვე[illegible] მაინც უსახლკარობა იყო, ღია ცის ქვეშ გვეძინა წვიმასა და ქარში დაღლილ-დაქანცულებს, დავიფენდით ნაძვის გამხმარ ტოტებს ლეიბად, მთელი დღე ნაჯახის ქნევისაგან მკლავდაწყვეტილებს ძვალ-სახსარში რომ სიცივე გაგვიჯდებოდა ცალკერძ იმისაგან და ცალკერძ კიდევ ოჯახზე დარდისაგან გული გვეწურებოდა, ვითვლიდით კუბამეტრებს, დღეებს, კვირეებსა და ვოცნებობდით, შინ დაბრუნებაზე, იმ წამზე, როცა ენგურის ბობოქარ ტალღებში უკანასკნელ მორსაც ამოვაყოფინებდით თავს და ერთხელ შევუკურთხავდით ამ დოღრიალა მდინარეს, გაუმაძღარი ხახა რომ მოეშვირა ჩვენთვის და ვერა და ვერ ამოგვეყორა მისი ზღაპრული გველეშაპივით მუცელი... თითქოს მართლა იმისი ბრალი ყოფილიყოს რაიმე...

ჰო, იმას ვამბობდი, განსაკუთრებით შემოდგომობით გვიჭირდა. ნაადრევ თოვლს რომ ჩამოიტანდა, აი, მაშინ გენახათ ჩვენი საცოდაობა. ხშირად თოვლის საბანში გახვეულნი, სიცივისაგან კბილებაკაწკაწებულნი ვიღვიძებდით ხოლმე. ცეცხლს დავანთებდით და ვიდრე გავშრებოდით და გავთბებოდით ამასობაში მთელი დღეც დაგვეკარგებოდა. რამდენჯერ ყოფილა, დათვები რომ დაგვადგომიან თავს, იმათ სუნთქვასა და თათებით ჯმუჯვნას მეც რამდენჯერ გამოვუღვიძებივარ, ისე კი არაფერს გვერჩოდნენ, თითქოს გვაფრთხილებდნენ, თოვლი მოვიდა, არ გაცივდეთო. რო გამოვიღვიძებდით, მშვიდად, ღირსების გრძნობით გაგვეცლებოდნენ, თითქოს მთელს დუნიაზე მარტო იმათ შესტკიოდათ ჩვენზე გული. მართლა, ასეც იყო სინამდვილეში, დათვებს და ოჯახის წევრებს, ნათესავებს თუ ვედარდებოდით, თორემ აბა იმათ ხომ არა, ვინაც ის დაწყევლილი კანტორა მოიგონა და ჩვენდა ჭირად დაამკვიდრა სვანეთში.

ამას დაწვრილებით იმიტომაც ვყვები, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ იცოდეს მაშინდელი სიდუხჭირის ამბავი, მარტო იმის საშინელება კი არ გვტანჯავდა, სხვა სადარდებელიც ბევრი გვქონდა, ერთი მათგანი იყო ეს ჯოჯოხეთის ბეგარა — კანტორობა რომ მოარქვივნეს ჩვენებურებმა... უნდა იცოდნენ ახალგაზრდებმა, ჩვენმა შვილებმა, რომ მიუხედავად იმ გაჭირვებისა, ფარ-ხმალი მაინც არ დაგვიყრია, ქედი არ მოგვიხრია ცხოვრების წინაშე, უკეთურობის გზას არ დავდგომივართ, კაცობის ღირსება არ დაგვიკარგავს... შვილებსაც ვზრდიდით, ვმრავლდებოდით, დღეს კი, საოცარია პირდაპირ, თითქოს ვილაცამ გაგვთვალაო, ათას მიზეზს მივედ-მოვედებით, ვითომ სხვები უკეთეს დღეში იყვნენ, ჩვენსაზე უკეთესი სა-

არსებო პირობები გააჩნდეთ, „მიზეზ-მიზეზ დოს მარილით“, თორემ სად ჩვენი ყოფა და სად ახლანდებური, მესმის, უფროს თაობას რომ ცუდი მაგალითი მოგვეცა ამ მხრივა, ანდა, შთამომავლობით მოგვდგამდეს სიბერწე და ცვედანობა, მაშინ ალბათ უფრო გასაგები იქნებოდა ეგ ყველაფერი, მაგრამ არც ერთი და არც მეორე... არაფერი მაგის მსგავსი! მოიგონეს ყველაფერი ახლანდელებმა.

* * *

ახლა კი, როგორც მეისტორიე იტყოდა, „დაშთომილსა სიტყვასა მიმართ ალვიდეთ“, ლემშვანიერას მივუტრიალდეთ, სოფლის დაბადებას დავკვლიოთ — ამ მხრივ გარდაბანში მარნეულისაზე გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა, შარშანდელი უსახური სიცარიელის ადგილას მოზრდილი სოფლის კონტურები იკვეთება, მომავალი დასახლება დიდი დაბის შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე და ასეც არის სინამდვილეში; აქ მოიყრიან თავს მესტიის რაიონის სხვადასხვა სოფლების მკვიდრნი. ისინი, ტრადიციისამებრ, უბნებად დანაწილდებიან, ორსართულიანი კაპიტალური სახლების გრძელი რიგი სასიამოვნოდ ხვდება თვალს. გამოიკვეთა ქუჩები, მოედნები, ამ ხაოცარი მეტამორფოზის მხილველი იწამებს, თუ რა შესძლებია ადამიანთა მონდომებას, საერთო მიზნისაკენ სწრაფვას. წლებისა და საუკუნეების მანძილზე „ბერქა უეენისაგან“ და მრავალრიცხოვან მტარვალთაგან „მოოხვრილ“... „საჯოგის ჭალისპირეთში“, როგორც ამას ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს, გადაბუგული ველების შუაგულში მართლაც სიცოცხლე ისახება, თითქოს დამწვარ სხეულზე სალი ქსოვილი გადანერგესო.

მაგრამ ერთია ფაქტების ზედაპირული კონსტატაცია.

შევეცადოთ ამ მნიშვნელოვანი ეროვნული პროცესების სიღრმისეულ არსში გარკვევას.

ამ თვალსაზრისით კი ყველა გზა გენმოიჯარადრესთან — საქაგრომშენისაკენ მიემართება. როგორც ზემოთაც ითქვა ამის თაობაზე, სტიქიისაგან დაზარალებული სვანებისათვის ბინათმშენებლობის მიმდინარეობას აღნიშნული ორგანიზაცია მეურვეობს, იგი არის შემსრულებელი, უშუალო ზედამხედველიცა და საბოლოო შედეგზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია. ადგილებზე შექმნილი ვითარება აგრომშენის ლუპის ქვეშ საცნაურდება, ამ მძლავრი სამშენებლო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე დემურ კოვზირიძე გამოცდილი ოპტიკოსის გაწაფულობით აფიქსირებს ჩრდილოვან მხარეებს. ისევე, როგორც სხვა უბნებზე და სხვა რაიონებში, აქაც, გარდაბანშიაც ყოველ წვრილმან-მსხვილმანს სწვდება მისი ფხიზელი თვალი. საამშენებლო-სამონტაჟო და ტექნოლოგიური სამუშაოების უწყვეტი პროცესი, მართალია, მძიმედ, [illegible] მაგრამ მაინც დამაიმედებლად მიმდინარეობს.

ყოველ კვირას ხუთშაბათობით, — ჯანდარის საბჭოთა მეურნეობის შენობაში ეწყობა სამშენებლო შტაბის წევრთა შეკრება; ლემშვანიერას აღორძინებაში დასაქმებული ორგანიზაციებისა და უწყებათა ხელმძღვანელები ერთკვირიანი მუშაობის შედეგებით წარსდგებიან ხელმძღვანელობის წინაშე. ზოგი მსუყე ნადავლით მოდის, ზოგიც ცარიელ-ტარიელი, მხრებჩამოყრილი.

მართლაც, მისასალმებელია აგრომშენის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან უბანს სათავეში ჩაუყენა პატივცემული დემურ კოვზირიძე, ახალგაზრდა ინჟინერი, რომლის შრომითი საქმიანობა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, მისი პროფესიული პირველნათლობა სწორედ გარდაბნის რაიონში მოხდა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დემურმა მცირე ხანს იმუშავა თბილისის სამშენებლო ტრესტში, საიდანაც გარდაბნის სამშენებლო მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში გადაიყვანეს ოსტატად, აქვე დააწინაურეს მთავარ ინჟინრად, მერე — უფროსად, ტრესტის მმართველად, და ბოლოს კი აგრომშენის უფროსის მოადგილედ. ბუნებრივია, დემურს სათუთი ძაფები აკავშირებდა გარდაბნის რაიონთან, საერთოდ, ქვემო ქართლის რეგიონთან; როგორც უბრალო ადამიანს, რიგით მოქალაქეს, გულსა სწვავდა ერთიანი საქართველოს სხეულზე სირსველასავით გაჩენილი დემოგრაფიული თეთრი ლაქები. განსაკუთრებით ამ რეგიონში იგრძნობოდა ეს სისხლნაკლოვანება. საჯოგის ჭალები, სანადირო ადგილები, საირმე და საშველე ახოები და ველები დღეს გაძარცვულნი, უკაცრიელნი, მვედრებელნი ვიშვიშებდნენ, თითქოს შემწეობას ენუკვოდნენ ადამიანებს—მოგვხედეთ და გვიპატრონეთო, ჩვენი წარსული დაგვიბრუნეთ, სული ჩაგვბერეთო... დემურის გულს უკლავდა ჯანდარის ტბასთან მდებარე ულამაზესი დასახლების — ულიანოვკის სევდიანი ისტორია — ერთ დროს იგი ქართული სოფელი იყო, თუმცა რაღა ერთ დროს, სულ რაღაც ოცი-ოცდაათიოდე წლის წინ აქ 400-მდე კომლი ცხოვრობდა, დღეს კი 36-მდე ქართული ოჯახიღა დარჩა. საბედნიეროდ სვანების ჩასახლებამ ამ მხარეში მიგრაციის პროცესს ნირი უცვალა, ასე რომ ეს მოვლენა მრავალმხრივ საყურადღებოდ ეჩვენებოდა. ახალდაფუძვნების, აღორძინების იმედი დამატებითი იმპულსებით აღავსებდა მის ენთუზიაზმსა და მონადინებულობას. ყოველ ჩასვლაზე გული სიხარულით ევსებოდა, რომ საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებული სიცარიელე ზიარჭურჭელივით თანდათან ივსებოდა, მეტისაგან დარ-

ჩეული ჭრილობა შუშდებოდა, პირს იკრავდა...

ალორძინების ამ დიდებულ პანორამას აგვირგვინებდა სოფლის თავში მურყვამის მშენებლობა... ავთანდილ მარგიანის ბიჭები მართლაც არ ხუმრობდნენ... ამ ენთუზიასტების თავგანწირული შრომაც ამძაფრებდა მომთხოვნელობას წარმოებათა ხელმძღვანელებისადმი; მილწეული გულს უხარებდათ აგრომშენის თავმჯდომარეს ბატონ იოსებ ხარატიშვილს, მის მოადგილეს — თენგიზ ჩიკვაიძეს და რალა თქმა უნდა აგრომრეწვის თავმჯდომარეს გურამ მგელაძეს, კიდევ უფრო მეტად რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, სადაც რეგულარულად იხილებოდა მშენებლობის მთლიანი მიმდინარეობა, მაგრამ თავს მაინც ვერ მისცემენ იმის უფლებას რომ ეს ზოგადი შინაგანი კმაყოფილება საჯაროდ გამოეხატათ— რათა თვითდამშვიდებას არ მისცემოდნენ ზოგიერთი ამხანაგები და ტემპი არ შენელებულიყო, კიდევ უფრო მეტი მოწადინება მართებდათ; დემურიც ატყობდა, რომ მშენებლებს ქანცი მქონდათ გამოცლილი, მაგრამ თავზე ხელის გადასმას მაინც არ აპირებდა...

ბატონ დემურისთან სახელდახელო გაცნობის მერმე ჩვენმა საუბარმა კონსტრუქციული ხასიათი მიიღო. ბუნებრივია, იგი მშენებლობის ასპექტით წარიმართა:

— ბატონო დემური, მარნეულის რაიონში დღეის მდგომარეობით მშენებლობის მიმდინარეობა მეტად სავალალოა. ჯანდარაში ამ მხრივ გაცილებით უკეთაა საქმე. და ამის დაუნახაობა, რა თქმა უნდა, უმადურობა იქნებოდა, მაგრამ მილწეულის გუნდრუკის კმევა საქმედ არ უნდა აქციოს კაცმა. ალღოიანმა მეურნემ იცის წარმატებებით გაბრუება და თავდაჯერება დამღუპველი სენია და თუ უნდა რომ მილწეული განამტკიცოს, სპორტული ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, კვლავ შეტევით ტაქტიკას უნდა მიმართოს. უამპირობოდ წინ ვერ წავა კაცი — თავდაცვაზე გადასული მრავალი გუნდი გვინახავს ასე მოულოდნელად ჩაფლავებული. ამ თვალსაზრისით რომ შევაფასოთ გაწეული მუშაობა, აღმოჩნდება, რომ ყველაფერი მთლად რიგზე თურმე ვერ არის. მთელი ძალები ჯერ კიდევ არ არის მობილიზებული, რეზერვების ნაწილი აუმოქმედებელია. საწარმოო პროცესი დახავეწია და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... ამ თავმოუბმელობათა პიკური შედეგი კი გაზლავთ დასახული გეგმების შეუსრულებლობა... აი, მთელ რიგ ამ საკითხებზე გვსურს გვითხრათ ორიოდე სიტყვა.

— გარდაბნის რაიონი ჩვენთვის მართლაც მთავარი სასინჯი ქვაა, სადაც აგრომშენმა — დაზარალებულთათვის ბინათმშენებლობის გენმოიჯარადრე ორგანიზაციამ, თავისი ფხა უნდა გამოიჩინოს. აქ ჩაბმული გვყავს მრავალი ტრესტი და უწყება, რომელთაც განაწილებული აქვთ თავიანთი სამოქმედო უბნები. ესენია: პირველი სამშენებლო ტრესტი (მმართველი — თემურ ჩარკვიანი), მეორე სამშენებლო ტრესტი (დისლოკაციის ადგილი ქ. გურჯაანი (ხელმძღვანელი ვასო კუპატაძე); მეთერთმეტე ტრესტი (უფროსი ჯუმბერ ჭოჭუა); თელავის მეთორმეტე სამშენებლო ტრესტი (უფროსი ივანე ბეჟუაშვილი); მცხეთის რაიონის მეცამეტე სამშენებლო ტრესტი (უფროსი რევაზ არაბული); პირველი სარემონტო ტრესტი (უფროსი ნოდარ ბოკერია); მეოთხე სარემონტო ტრესტი (უფროსი — ბონდო ფაშალიშვილი); საავტომობილო სამინისტროს სამშენებლო სამმართველო, კავკაზელექტრომშენის სამმართველო, ცეკავშირის სამშენებლო უბანი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, კურორტმშენი, თვით ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის კოლექტივი და სხვები...

ჯანდარაში სულ უნდა ავაშენოთ 850 კაპიტალური ბინა. ასევე საყოფაცხოვრებო და კულტურული დანიშნულების მრავალი ობიექტი, გავიყვანოთ კანალიზაცია, მოვაწყოთ ქუჩები, მოედნები, სკვერები, უზრუნველვყოთ ელექტროენერგიით, გაზით, ერთი სიტყვით, შევქმნათ სრულყოფილი სოციალურ-საყოფაცხოვრებო ინფრასტრუქტურა... სოფელი უნდა ფუნქციონირებდეს უზადოდ. ეს კი, მოგეხსენებათ, მეტად რთული, შრომატევადი მაგრამ, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა გახლავთ. გეთანხმებით, რომ მოლოდინი ბოლომდე ვერ გავამართლეთ — მშენებლობის გეგმა ვერ შესრულდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ორგანიზაციულ-სტრუქტურული ხასიათის სამუშაოთა მასშტაბებსა და მთელ ამ მოცულობას პირობითად გეგმიურ მაჩვენებლებში გადავიყვანთ, დამერწმუნებით, რომ მთლიანობაში არც თუ ურიგო შედეგებს მივიღებთ. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ სამშენებლო ტექნიკის ახალ, ჯერეთ აუთვისებელ უბანზე „პერებაზირების" პროცესმა, პირველი ხნულის გავლებამ, უამრავი დრო და ენერგია წაიღო. როგორც ნახეთ, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ტრესტების ნაწილი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან არის აქ გადმოყვანილი, რამაც გეგმიური სამუშაო გრაფიკების დარღვევა, ძალების დაქსაქსვა და ერთგვარი არეულ-დარეულობა გამოიწვია, მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლებმა შექმნილ ექსტრემალურ ვითარებას მალე აუღეს ალღო და მდგომარეობა თანდათან სტაბილური გახდა. ამიერიდან, ვფიქრობთ, საქმე გაცილებით სწრაფად წაიწევს წინ...

თუმცაღა, რაღა თქმა უნდა, კვლავ რჩება ჩვენი დარგისათვის დამახასიათებელი მრავალი დაბრკოლება, რომელთა გადალახვაც მომავალში მოგვიწევს...

* * *

„კვალად იალღუჯის აღმოსავლეთით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტანქალაქი, რომელი არს რუსთავი, ხოლო აწ ნაგები. ესე აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან ციხე-ქალაქი. შემდ-გომაც კი მეფემან თრდატ აღაშენა ეკლესია კეთილი. გორგასალ დასვა აქ ეპისკოპოზი, და იყო... მეფის დავითისამდე. არამედ გამოსვლასა ბერქა ყეენისა მოოხრდა, და აწცა არს ოხერ. ამ ჟამთა ქმნა სახახლე... მეფემან ერეკლემ“... „ნაგების აღმოსავლეთით და სამხრით არს ვე-ლი დიდი ყარაიისა, სავსე ქურციკითა, რომე-ლსა მოინადირებენ მეფენი წლითი-წლად. ხო-ლო მტკვრის კიდეთა—ჭალა დიდი, სავსე ეშ-ვითა, მშველითა, დათვითა, მგლითა და წვრი-ლის ნადირითა. ირემი იმყოფის ჟამად, და ხო-ხობნი — მრავალნი“. — ვახუშტი.

სწორედ აქ, ძველი ყარაიის ველზე, სოფელ ჯანდარის თავში დაყუდებულ გორაზე ბიჭები სვანურ მურყვამს „ასულიერებენ“, ხარაჩოების ვიწრო კვადრატი მაღლა მიიწევს, კოშკი ნათ-ლისსვეტივით შესდგომია ზეცას. მშენებლობა უკვე დასასრულს უახლოვდება, ბიჭები ოცდა-ცამეტი მეტრის სიმაღლეზე, როგორც ოდესღაც მათი წინაპრები, სვენებ-სვენებით ეწიკე-ბიან უშველებელ ლოდებს; სართულიდან სართულზე ძველებური ცალფა კიბეა მიდგმუ-ლი, ადამიანს ისედაც გაუჭირდება იქ აბღა-ტება, ორი კაცი ერთდროულად ვერ იმოძრა-ვებს: არა და ამწეკრანს აქ იმდენჯერ ვინ მოა-შველებდათ, როცა სოფლის მშენებლობაზეც ჭირდა ტექნიკა. ასე რომ თვითონ უნდა ეზიდათ ქვაცა და დუღაბიც;

გვარიანად ცივა, დეკემბრის მიწურულია, ამათ კი ხვითქი გადასდით სახეზე: სიმართლე გითხრათ, მაოცებს ეს საოცარი ენთუზიაზმი.

ავთანდილს უფრო მაშინ მიმართავენ შემწე-ობისათვის, მასალები რომ შემოაკლდებათ, ან სხვა რამ ორგანიზაციული საკითხი იჩენს თავს. სხვა მხრივ, ეს არის მართლაც უცნაური კო-ლექტივი, ამხანაგების, თანამოაზრეთა ერთობა, ბრიგადა, ნადი, მამითადი, ულამი, ასაბია, თუ რაც გინდა უწოდე, თვითმართვადი ორგანიზა-ცია, სადაც ყველაფერი პირად ინიციატივია-ნობასა და საზოგადოებრივ საწყისებზეა დაქ-ვემდებარებული, ეს უფრო შორს მიმავალი ფორმაა იჯარული ბრიგადისა თავისი საზოგა-დოებრივი სულისკვეთებისდა გამო. ისინი, და-სახული მიზნისაკენ ალძრულები, მთამსვლელე-ბივით ბედის ერთ თოკში ჩაბმულან, ეს არის გატანისა და ერთგულების, მხარში დგომისა და შემართებულობის სამაშველო თოკი, რომე-ლიც ნებისმიერ ბაწარზე გამძლისი და ელას-ტიურია, მოქნილი და საიმედოა, ეს ხარაჩოე-ბიც რომ ჩამოიშალოს, ეს ნათლისსვეტიც რომ გადაიქცეს, თოკი სათუთი ერთგულებისა, მა-ინც არ გაწყდება, მაინც არ გაიხევება მურყ-ვამის წახნაგებზე. ასეთ ძმობასა და თანადგო-



მას რაღაც სხვა მადლი აქვს, სხვა ღვთიური ცხოველმყოფელობა მოსავს, სხვა სიყვარულით არის იგი გასინათებული, ყველაფერი ეს კი მათ საქმეს ბარაქასა და ლხინს მატებს, მათ ნამოქმედარს სიკეთით აღავსებს, თვითონაც ამ სიკეთის თანაზიარნი ხდებიან, თითქოს ფიზი-კურადაც კი გრძნობენ, როგორ ელვრებათ ნე-ტარი სითბო, როცა გვიან საღამოს შინ მისუ-ლები, თავიანთ დროებით ბინებში, საერთო საცხოვრებლის შთაბეჭდილებას რომ ახდენს მნახველზე, რკინის საწოლებზე მიდებენ თავს, ამ წუთიერი სიმარტოვის ჟამს შემოდგომაზე ღვინის ქვევრივით ისვება დაღლილი სხეული. რაღაც სიამოვნების მადლით. შეიძლება ვერც გითხრან, რა მადლია იგი. მიწის მადლია, ცი-სა და საერთოდ ბუნებისა და ქვეყნისა, თუ ამ გაზრიოკებული ველების მადლია, წინაპართა სისხლით შერუეულ ბორცვაკების თუ აწ გაუდაბურებულ და ოდესღაც კი მწვანედ მო-ხასხასე მინდვრებისა და ლაღად მოშრიალე მცენარეულით დაბურული ყარაიის ველისა. მადლი ისტორიის აღორძინებისა, ამ „ბერქა-ყეენებისა“ და სხვადასხვა ჯურის დამპყრობე-ლთაგან ნაოხარ მიწაზე სიცოცხლის დამკვიდ-რებისა. ერთი სიტყვით, რაღაც ამაღლებული და ღვთიური განცდა ეუფლებოდათ ამ ბიჭებს, ისეთივე, მორწმუნეს რომ ეუფლება ეკლესი-აში გალობისას. ეს გრძნობა მათში აღძრავდა დამატებით იმპულსებს, ავიწყებდათ დაღ-ლილობას, ალამაღლებდათ ანგარებიანობისა და სიხარბის მაცდურ ფიქრზე; ინათებდა თუ არა, კვლავ ჯან-ღონით ალსავსენი, „მხნენი და გულზვიადნი“, წეროთა გუნდივით ერთ რიგზე ჩაწალიკებულნი გამოუდგებოდნენ ბილიკს დე-ვის გორისაკენ. უკვე სვანურადაც რომ თარგ-მნეს და შეარქვეს კიდევაც ყურთასმენა — „დავა ზუგისაკენ“. სადაც ოცნებასავით იხსამ-და ფრთებს მათი ჩანაფიქრი — მშობლიური, სისხლისმიერი ნათესავივით ახლობელი, სახ-ლიკაცივით განუყრელი და საიმედო — სვა-ნური მურყვამი. ბავშვობიდან მოყოლებული ამ მურყვამების ტევრში იზრდებოდნენ, მთებ-სა და მწვერვალებთან, ტყეებსა და მდინარე-ებთან ერთად ესენიც გარემომცველი ბუნების განუყრელ დეკორაციად აღიქმებოდა მათ მიერ და თანშეზრდილი მეგობრებივით ეძნელებოდათ ხუიმათოდ ყოფნა. სვანეთში არსებობდა მო-არული ნათქვამი, სამონაგროდ წასულ სვანს რომ მკითხეს: ყველაზე მეტად ვინ მოგენატ-რაო და — მშობლები, ცოლ-შვილი, და-ძმე-ბი... და ჩვენი საგვარეულო მურყვამებიო — ახლობლებთან ერთად კოშკებიც მოიხსენია. ამ ხუმრობაში მართლა იყო ჭეშმარიტების მარცვალი.

შემოქმედის სიხარული მოაცილებდათ „დავა ზუგისაკენ“, სადაც თვითონ იყვნენ „მომღერ-ლებიცა და მოცეკვავენიც“ — არქიტექტორი არ დასჭირვებიათ კოშკის მშენებლობისას, არც

გეოლოგიური დასკვნა მისი საძირკვლის ჩახშობისას, არც მრჩეველი-სპეციალისტი კოშკების დარგში, ამ შვიდი-რვა საუკუნის შეხვენების მერმე მათში კვლავ გაიღვიძა კოშკების მშენებელი წინაპრის ნიჭმა, ალღომ და ანდე-გუმანმა. და აი, ახლა ისინი იმ ხალხური არქიტექტურის მშვენიერ ძეგლს უდგამდნენ სულს, ერთ ციხე-კოშკს მატებდნენ საქართველოს მიწას, მის კულტურას; ქვეშეცნეულად გრძნობდნენ ისინი იმ სიამოვნებასა თუ უცნაურ აღმაფრენას ხელოვანი რომ განიცდის შემოქმედებითი მუშაობის პროცესში.

ელბერტ მარგველანი, ვალერ ავალიანი, ერმენტო მარგველანი (სამივე გამოცდილი მშენებელი ნაგებიდან), ვატი, კირილე, იროდი ხარძიანები, ვალოდია მარგიანი, გურიელ ნავერიანი, ბასნი შამფრიანი, ფრიდონ ჯამღელიანი, თენგიზ გოშთელიანი... ესენი არიან ამ კოშკის სულისჩამდგმელნი, კირითხურონი თუ ქვითხურონი, მებათქაშენი თუ დამხმარე მუშები, დურგლები და კალატოზები — ყველაფერი ეზერხებოდათ, ყველაფერს ართმევდნენ თავს. ესენი შეადგენდნენ ძირითად ბირთვს მშენებლობისა. მათთან საქმიანობენ ამ სოფლის მკვიდრნიც. ძალიან ემადლიერებიან ისინი ელდარ ალიევს — ავღანეთში გამობრძმედილ ახალგაზრდას, სამგზის დაჭრილსა და სასწაულებრივად გადარჩენილს, ელდარი ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენზეა წარდგენილი. ასევე ამ სოფლის მკვიდრს — კომკავშირის კომიტეტის მდივანს ილგამ ჩოფურიოვს, ექსტრემალურ ვითარებაში დამხმარე მუშებით რომ უზრუნველყოფდა ობიექტს. როგორც ითქვა, ამ მშენებლობაში დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდა მთელი სოფელი, ადგილობრივი მოსახლეობა, ამ მშენებლებს ედგა მხარში მძღოლი თემურ კუსრაშვილიც, ყველანი საზოგადოებრივ საწყისებზე შესდგომოდნენ ამ მნიშვნელოვან წამოწყებას...

* * *

მშენებლობის დარგი მართლაც მყინვარივითაა ნაირნაირი მიზეზის ნაპრალებით მოფენილი, ეს უწყებრივი ბარიერებით, ეს ტექნოლოგიური თავმოუბმელობით, სამშენებლო მასალების დეფიციტი და უხარისხობა, მუშახელის ნაკლებობა, არასაკმარისი ტექნიკური და მატერიალური სიმძლავრეები და კიდევ, ვინ მოსთვლის, რამდენი რამე ელობება თქვენს საქმიანობას. მაგრამ როცა ჩამორჩენაზე ვსაუბრობთ, როგორც არასასურველ მოვლენაზე, მხედველობაში გვაქვს ერთნაირი ვითარების, გნებავთ მშენებლობაში მონაწილე ყველა ტრესტისა და უწყებებისათვის „საერთო გასაჭირის ფაქტორი", — როგორ მოხდა, რომ თანაბარ ვითარებაში ერთმა უკეთ გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას, მეორემ კი ვერა? მართლაც და, ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები ხომ საერთოა მთელი დარგისათვის? მაშასადამე ერთი უკეთ სძლევდა სიძნელეებს, მეორე კი... [illegible] კიდევ სხვა მიზეზები, რომლებიც [illegible] არასახარბიელო ვითარებაშიც კი დიდ გავლენას ახდენენ საერთო შედეგებზე. ალბათ, უნდა ვიფიქროთ, რომ პირველ რიგში, ეს არის ხელმძღვანელთა უნარიანობა და საერთოდაც მთელი კოლექტივის ინიციატივიანობა, მოწადინებულობა, საქმის გულთან მიტანა, და, რაც მთავარია, პროფესიული მოქნილობა და სიმარჯვე.

— ბატონო დემურ, თქვენ ზემოთ ახსენეთ მოწინავე ტრესტები და უწყებები... აი, მაგალითად, ავტოტრანსპორტის სამინისტრო, პირველი ტრესტის ორი სამმართველო, I სამშენებლო ტრესტი, რომელთაც თემურ ჩარკვიანი, ჯონი ჯოხაძე და ამირან ქადაძე ხელმძღვანელობენ, ასევე საკუთრივ ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის სამშენებლო უბანი... გამოდის, რომ ამ უწყებათა ხელმძღვანელები სხვებზე მარჯვედ სძლევენ დაბრკოლებებს...

— ჩემის აზრით, ეს შეფერხებანი უფრო ტექნიკური ხასიათისაა და მათ უფრო შემთხვევითობის ელფერი დაჰკრავს; აღნიშნული ტრესტები, ისევე, როგორც მთელი რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაცია, ფსიქოლოგიურად და ტექნიკურად შეუმზადებელნი აღმოჩნდნენ შექმნილი რთული ვითარებისათვის, რამაც მიმდინარე საწარმოო გეგმების გაორმაგება და არსებული ტექნიკურ-მატერიალური სიმძლავრეებისა და მუშა-ხელის სხვადასხვა ფრონტებზე დაქსაქსვა გამოიწვია. მათთვის ხომ ეს მშენებლობა ზეგეგმიური დატვირთვაა, სინამდვილეში, როგორც უკვე მივანიშნეთ, მიმდინარე გეგმები არავის მოუხსნია ამ უწყებებისათვის, არც კორექცია გაუკეთებია ვინმეს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ ზოგიერთ მათგანს ისედაც დიდი მოცულობის სამუშაო ჰქონდა შესასრულებელი, ჩვენთვის მთელი სისრულით წარმოჩნდება რეალურ პრობლემათა მთელი სპექტრი. ასე რომ დამატებითი რეზერვების გამოძებნა მთელ რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაგალითად, ამ მოწინავეთა შორის გვხვდება ისეთებიც, რომელთაც ნაკლებად დაძაბული გეგმები ჰქონდათ. ასე, რომ აქ დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობით გამოწვეულ ჩამორჩენასთან ნამდვილად არა გვაქვს საქმე, ამაში აგროშშენის ხელმძღვანელობა, და არა მარტო ჩვენ, მგონია, რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც, დარწმუნებულია, ყოველ სიახლეს შეჩვევა უნდა, ახალი სიტუაცია შესაბამის ადაპტაციას ითხოვს, მარტო სპორტსმენებს კი არ სჭირდებათ აკლიმატიზაცია. ჩვენი სფეროც არაა ამ მხრივ გამონაკლისი. როგორც უკვე ითქვა, უახლოეს ხანში ყველაფერი გამოსწორდება, ამაში ღრმად და ვართ დარწმუნებული.

— უნდა ვიფიქროთ, რომ თქვენი გადამდები

ოპტიმიზმი შექმნილი მდგომარეობის ყოვლისმომცველი შეფასებიდან მომდინარეობს, ბუნებრივია, უნახეროდ ნაპერწკალი ვერ გაჩნდებოდა...

— საერთოდ ამაღლებული განწყობილების მიზეზი მრავალნაირი შეიძლება იყოს — ამ შემთხვევაში იგი მომდინარეობს იმ გენერალური გეგმის სარწმუნოობიდან, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ უახლოეს ხანში მთელი სამშენებლო საწარმოო ძალების მობილიზებისა და ამოქმედებისათვის. შეიძლება ჩვენი ოპტიმიზმის საფუძველი ადამიანურ ასპექტშიაც იყოს საძებარი. როგორც უკვე ითქვა ამის თაობაზე, გარდაბნის რაიონთან ბევრი რამ მაკავშირებს, მრავალი ობიექტი მაქვს აქ აშენებული. აქ დაიწყო ჩემი პროფესიული ნათლობა. ბევრ კოლექტივთან მქონია საქმე, მაგრამ ასეთი ვითარება დღეს რომ სუფევს ჯანდარაში და საერთოდაც მთელი რესპუბლიკის მასშტაბით დაზარალებულთათვის განკუთვნილ ბინათმშენებლობებზე, ჯერ არ შემხვედრია. ადამიანებმა თითქოს გადაიყარეს ჩვეული სიზანტე, ზერელობა, მოჩვენებითობა, ანგარებიანი დამოკიდებულება საზოგადოებრივი საქმისადმი, თვალთმაქცობა და მისთანანი, ამ ბოლო ხანს რომ დაიბუდა მრავალი ობივატელის ხასიათში, თავიდან მოიშორეს ზედმეტი ბალასტი და ერთ მშვენიერ დღეს ასე მოულოდნელად მთელი თავისი სიალალით, წრფელი უშურველობით, ნამდვილი თავდადებულობით წარმოჩნდნენ. მოხდა რაღაც სასწაულებრივი მეტამორფოზა, დაბრუნება პირველქმნილ სიწმიდესა და პატიოსნებაში, უკანდახევა მამაპაპური უშურველობისაკენ, სინამდვილეში კი სასარგებლო ნახტომი მომავლისაკენ, წინსვლისაკენ...

ახლა შტაბის თათბირებზე, ხუთშაბათობით რომ ვაწყობთ ჯანდარაში, ტრესტის ხელმძღვანელები, სამმართველოების მესვეურნი კარს რომ შემოაღებენ ხოლმე, უმალვე შეატყობ თითოეულ მათგანს, ვის რა გამოსაჩენი პირი აქვს; ჩვენს საქმეში, მოგეხსენებათ, თვალთმაქცობით შორს ვერ წავა კაცი და არც მეგულება ვინმე, რომ გულთან არ მიეტანოს საერთო გაჭირვება. პირიქით, წარმატებათა თუ წარუმატებლობათა კვალობაზე ეს მათი გამომეტყველება და განწყობილებათა ცვალებადობა მიმანიშნებელია თითოეული მათგანის მაღალმოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა, პროფესიონალური შეგნებულობისა. მართალია, ხშირად არ გვეძლევა მაღლამი ჩვენი შინაგანი მადლიერების გამოხატვის საშუალება, რადგანაც გეგმების შესრულება და ემოციურობა შორი-შორსა დგას ერთმანეთისაგან, მაგრამ გულში კი რამდენჯერ მიფიქრია, თურმე არც ისე წამხდარი ყოფილა-მეთქი ჩვენი საქმე, ერთი შეხედვით რომ შეიძლება მოეჩვენოს ადამიანს: აქ პირველად ვნახე თვალზე მომდგარი სიხარულის ცრემლიც — და ბავშვივით აშკარად გამოხატული დანაშაულის გრძნობაც — ობიექტური თუ არაობიექტური მიზეზების გამო დროებითი წარუმატებლობით გამოწვეული. ჩვენს საქმეში კი, თქვენი ბრძანებისა არ იყოს, ამ მიზეზებს, სამწუხაროდ, რა გამოლევს...

* * *

საღამო ჟამია, გარეშემოს ვერცხლის ბინდი ეფინება. ბიჭებიც ნელ-ნელა ეშვებიან ძირს, კიბეებს ერთმანეთის მიყოლებით მოუყვებიან, თითქოს კონვეიერი უკან დაატრიალესო, ძირს ჩამოსვლისთანავე აქეთკენ გამოეცლებიან მურყვამს, რათა შორიდან შეათვალიერონ თავიანთი ნახელავი, აბა, თუ იმატა სიმაღლეშიო. ცოტა ხნის მერე, კერძო საუბარში ვალერი ავალიანი მშენებელთა საიდუმლოს გამანდობს — ამ ერთი წუთის გულისათვის აღარ უნდათ ხოლმე კოშკიდან ძირს ჩამოსვლა, რომ საღამოს თავიანთი მთელი დღის ნამუშევარს ერთბაშად შეავლონ თვალი და გული გაახარონო. ვალერი ავალიანი სათითაოდ მაცნობს ბიჭებს. რამდენ დასანანია, რომ ჩვენ არ გვეძლევა საშუალება თითოეული მათგანის გულისთქმაში ჩაღრმავებისა, მათი სულის სარკეში ჩახედვისა, ხასიათებში გაცნობიერებისა, თუნდაც ფრაგმენტული პორტრეტის მოხაზვისა — ჩვენი მივლინების საქმიანი ხასიათი გამორიცხავს ბელეტრისტულ პასაჟებს, ლირიკულ გადახვევებს, ყოველშემთხვევაში, ითხოვს კონსტრუქციულ დამოკიდებულებას მოვლენებისადმი, არა და ამათი სამყარო, მართლაც რაღაც ბედად გადარჩენილ, სასწაულებრივად შემონახულ ისტორიულ რეალიასავით, სიმღერის ჰანგივით თუ ანტიკვარული ნივთივით ითხოვდა მისათუთებას, სკრუპულოზურ შესწავლასა და განზოგადებას, მეცნიერულ კვლევას, და ასევე, რადა თქმა უნდა, მხატვრულ ასახვას, რადგანაც ეს უშურველი განწყობილება, ეს ალალმართლობა, უანგარობა მართლაც რომ ქარ-წვიმებისა თუ მტარვალთა ხელყოფისაგან იავარქმნილი და შელახული იმ წარსულის ნივთიერი ძეგლებივით იმსახურებდა მოფრთხილებასა და რესტავრაციას, იმდენად იშვიათობად ქცეულა ჩვენი ცხოვრებისათვის, ჟამთამდინარებას ერთიან მოუსრავს და იავარუქმნია მრავალი კეთილი თვისებათაგანი ადამიანისა და იმ პირველქმნილი მშვენიერებისაგან ასე უმოწყალოდ გაძარცვული და წართმეული ბედის ანაბარა დაუგდია იგი გაუმაძღრობის, ფლიდობისა და თვალთმაქცობის შარაგზაზე. ამ ფონზე ესენი რაღაც სასწაულებრივად გადარჩენილებს ჰგავდნენ, თითქოს სხვა კიდობანში ყოფილიყვნენ თავშეფარებულნი და რაღაც ბედად გამოაღწიესო იმ ბიბლიური ჯოჯოხეთიდან.

იქნება ვაზვიადებდე კიდევაც, მაგრამ ამ ცივსა და ნესტიან დეკემბრის საღამოს, როცა კაცობრიობის მეტი წილი თბილ ოთახებში

მოგუზგუზე ბუხრებთან მიმსხდარიყო და მორიგი სატელევიზიო შოუს, ტელეხიდის, ილუზიონის ცქერით ნეტარებდა, გნებავთ, დღეობაზე თუ სადმე სხვაგან ახარებდნენ სულს, ესენი აქ, უცნაური ენთუზიაზმით აღძრულნი, ქვებსა და ლოდებს ეჯაჯგურებოდნენ, დუღაბს ურევდნენ, მურყვამს ქონგურებს უქარგავდნენ, ოჯახს, მშობლებსა და ცოლ-შვილს მოწყვეტილნი (მართალია, დროებით, მაგრამ მაინც) უსასყიდლოდ ირჯებოდნენ, ცდილობდნენ, რომ ბარაქა დაეტყოთ ნაშრომისათვის, რათა, სალამოისხანს, ძირს რომ დაეშვებოდნენ ხარაჩოებიდან, ამ ერთ დღეში ამაღლებული კედლების ცქერით გული გაეხარებინათ და დაღლილობა გაექარვებინათ.

ყველაფერი ეს, როგორც უკვე ითქვა, შესწავლას და დაკვირვებას იმსახურებდა, მაგრამ კონსტრუქციულობის პრინციპი ზღუდავდა ჩემს სურვილს, რადგანაც სტიქიით დაზარალებულთა ბარად დამკვიდრების პროცესთან დაკავშირებული საკითხების წრე მკარნახობდა სათქმელს... მაგრამ, თავს მაინც უფლება მივეცი მცირედი დისონანსი შემეტანა წინასწარ მოფიქრებულ სიუჟეტში. ასე შედგა ჩემი სახელდახელო საუბარი კოშკის მშენებლებთან:

— რამდენადაც ვიცი, თქვენ ძირითადად ბინების მშენებლობაზე ხართ დაკავებულნი. სად უფრო ძნელია — იქა თუ აქ? — ვკითხე კალის ყოფილ მკვიდრს კირილე ხარძიანს.

— რა თქმა უნდა, ჩვენი მთავარი საქმე ბინების მშენებლობაა — ამბობს იგი — იმაზეც ვართ აქ ჩამოსულნი, სახლსა და კუთხეს მოწყვეტილები. მომავალი დასახლების გაშენებაში პირადადაც გვსურს მივიღოთ მონაწილეობა, რაც შეეხება კოშკის მშენებლობას, ეს, ასე ვთქვათ, ზეგეგმიური გახლავთ. კომპლექსის დირექტორმა შემოგვთავაზა იდეა და ჩვენაც ყველამ მხარი დავუჭირეთ. რატომ მივიტანეთ გულთან ყველამ ეგ საქმე, ახლაც ვერ აგიხსნით ბოლომდე. ვერც სხვები გეტყვიან, არის ზოგიერთი ჭეშმარიტება, რომელსაც სიტყვებით ვერ გამოხატავ, ვერც გაშიფრავ და ჩამოაყალიბებ. გუმანის ძალითღა შეიგრძნობს მას ადამიანი; ჩვენაც ასე განვეწყვეთ ამ იდეისადმი. ერთი რამე კი ყველასათვის ნათელია, რომ ყანა უნდა შემოღობო, თუ გინდა საქონელმა არ გააპარტახოს, სახლი უნდა გადახურო, წვიმა არ ჩამოგივიდეს, ვენახს — მეველე უნდა, სვანური მურყვამი და საცხოვრებელი კომპლექსი სოფლის მშვენებად, მეზირად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთიანი საქართველოს მფარველ ანგელოზად გვესახება...

ქვიტკირის საყდარსა და ეკლესიას გუმბათი აგვირგვინებს. მამულს კი...

ამასთან დაკავშირებით ერთი კარგი ლექსი გამახსენდა, ლექსი კი არა ფშაური კაფიაა, თუმცა სულ ერთი არ არი?

— არკი გითხარი, იმედო,
მალედაც გატეხს თათ[illegible]
— ნიადაგ გამტეხს, კა[illegible]
ქვიტკირ არ მიდგას, საყდარიო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე რომ საყდარი და ციხე-გალავანი ყოველთვის შვენოდა და შველოდა ქვეყანას, გაშარავებული ეზო-კარი და მამული იმის ნიშანი იყო — რომ მისი პატრონი „გატეხა“ მოსრა და გაანიავა მტერმა და დუშმანმა...

* * *

ავთოსთვის ამ უშველებელი მეურნეობის ხელმძღვანელობა და ახალსოფლის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები და საზრუნავები ერთმანეთისაგან განუყოფელია, თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ორივე საქმეს. მეცხოველეობის კომპლექსის ბაზაზე აღმოცენდა ეს იდეაცა და სოფელიც. ერთმა განაპირობა მეორე. მალე კი მეურნეობა სიკეთის მოსავალს მოიმკიდა — უკუგება რეალურად ესახება დირექტორს. საჯოგე ქალებში კიდევ უფრო მომრავლდება საქონელი. მწყემსი და მიმხედავი სანთლით საძებარი აღარ იქნება. სამი ათასამდე ადამიანი იცხოვრებს ლემშვანიერაში — სამი ათასამდე ქვეყნის ბედ-იღბლის გულთან მიმტანი ადამიანი, მეტწილად ახალგაზრდობა...

— უნდა ვიფიქროთ, რომ მალე იჩენს თავს საბინაო პრობლემა. როგორ გესახება სოფლის გაფართოების პერსპექტივა? — ვკითხეთ ავთანდილს.

— ნაგები — მზიანეთი — ლემშვენიერა — დევის ხევის გაყოლებაზე უდაბნომდე გაგრძელებული ახალდასახლება თუ კომპლექსი უნდა შეიქმნას და ეს სასაზღვრო ნახევარწრედი ერთ მტკიცე ჯაჭვში გაერთიანდეს. ამას თუ მოვესწარი, ვიფიქრებ, უშინაარსოდ არ მიცხოვრიამეთქი. — ღრმად ჩაფიქრებული მეუბნება ავთანდილი — ეს ფუჭსიტყვაობა და მოსაჩვენებლად ნათქვამი არ გეგონოს — მე ამ არარსებული სოფლების სახელებიც კი შევარჩიე, მაგრამ ჯერ ეს საიდუმლოა...

მხოლოდ ამისათვის საჭიროა გამრავლება... რუსთაველის გამზირის ზეკვით არაფერი გამოვა. არც ერთი-ორი შვილით ეშველება ჩვენს საქმეს, სხვათა შორის, არცა ხუთი შვილით, თუ კი ისინი მოსიყვარულე მშობლებმა პატიოსან შრომაში არ დააკვალიანეს, და სამშობლოს სიყვარულის გრძნობა არ დაანათლეს... ჩვენთან ყველა პირობაა ასეთი დაკვალიანებისათვის, რადგანაც აქ ადამიანებს ცოტა დრო აქვთ ფუჭ თეორეტიკოსობისა და სხვათა მომწოდებლობისათვის, საქმეში არიან ჩაბმულნი, საკუთარ ბოსტანს თოხნიან და მარგლავენ, და რომ ამბობენ ხოლმე — რასაც სთესვენ, იმასვე იმკიან. ამიტომაც ცდილობენ სიკეთის თესლი მოაბნიონ ამ ცოდვილ დედამიწაზე... ვურჩევ ყველას, რომ ორიენტაცია ამისკენ აიღონ...

— თქვენი კომპლექსის წარმატებებზე რას გვეტყვით? ნაგებურმა ყისმათმა ხომ არ მიგატოვათ აქა?

— კომპლექსი ერთ-ერთი უმსხვილესია რესპუბლიკაში: 22 ათასამდე მსხვილფეხა რქოსანი საქონელი სუქდება. 1986 წელს, ესე იგი, ამ მეურნეობაში ჩვენს მოსვლამდე მეურნეობამ 387 ტონა ხორცი ჩააბარა სახელმწიფოს. წლევანდელმა „მოსავალმა" კი 4300 ტონას გადააჭარბა, რაც მთავარია, ეს წარმატება ზედმეტი დანახარჯების გარეშეა მიღწეული. ისევე, როგორც ნაგებში, საქმისადმი ალალმა დამოკიდებულებამ აქაც კეთილი ნაყოფი გამოიღო — რომ არ ყოფილიყო პირველი კვარტალის ჩავარდნა, როცა კომპლექსმა გეგმიურ წარმოებას 420 ტონაზე მეტი ხორცი დააკლო (ჩვენ მეორე კვარტალის დასაწყისიდან გადმოგვიყვანეს მეურნეობაში) კიდევ უკეთესი მაჩვენებლები გვექნებოდა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ნაცვლად ადრე მიღწეული 580 გრამი სადღეღამისო წონამატისა, ამჟამად ექვსას გრამს გადავაჭარბეთ...

— როგორ ახსნიდით თქვენს წარმატებებს? კვების რაციონის გაუმჯობესებით, ტექნოლოგიური ციკლების სრულყოფით, თუ?..

— რა თქმა უნდა, არც ერთს არ გამოვრიცხავ და ამ მხრივ ცოტა მუშაობა როდი გავწიეთ ახალმა ხელმძღვანელობამ, მაგრამ მთავარი მაინც სხვა მგონია... კერძოდ, ის, რომ ადამიანებმა მიერთგულეს. თორემ საქონელს ერთმანეთისაგან მალულად თითო მუჭი კომბინირებული საკვებიც რომ აწაპნოს მომვლელმა პერსონალმა, ბუნებრივია, აქაური მაერით ვერ დასუქდება... აქ დასკვნა ერთია — მთელმა კოლექტივმა ახლობელი ადამიანივით მიმიღო. ამან კი საქმეშიც იჩინა თავი... სვანეთში ამბობენ ხოლმე — საქონელს მრეში მზერა ალუბებს, მოფერება — ასუქებსო. ღრმად მწამს, რომ ასეა...

ნათქვამისა არ იყოს, — „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო". ამოდენა საქმეში ინკოგნიტოდ რას გავხდებოდი, მხარში რომ არ ამომდგომოდნენ შინაურნიცა და „გარეულებიცა"... ამას პირობითად ვამბობ, თორემ ესენიცა და ისინიც — ყველანი მშვენივრად მიცნობდნენ, ჯერ პარტიის რაიკომიდან, მერმე კი ნაგებიდანაც... ასე, რომ ერთი ფუთი მარილი უკვე შეჭმული გვქონდა. აი, ჯერ ადგილობრივებს ჩამოვთვლი, დიდად მადლიერი ვარ ამათი... ესენი არიან სასუქი განყოფილების ბრიგადირები — ზელიმხან ორუჯევი, მამედ მამედოვი, ნიაზი აგაბალაევი, ასევე კომპლექსის მმართველი ავთანდილ ბრეგაძე, ნოდარ ხვედელიძე და სხვები... ჩვენებურებიდან კი ზოგიერთზე უკვე გვქონდა საუბარი და იმათ აღარ შევეხები. აი, მაგალითად, შოთა გვარმიანს გამოვყოფდი. იგი პროფესიით ინჟინერ-ენერგეტიკოსია. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ყოფილი ლენინური სტიპენდიანტი სტუდენტი, ჯერ გარდაბნის პარტიის რაიკომის ინსტრუქტორად მუშაობდა, შემდეგ [illegible] მთავარი ინჟინრის მოადგილედ, ამჟამად ჩვენთან არის და ასკაციან პარტიულ კომიტეტს ხელმძღვანელობს: პარტიის გარდაბნის რაიკომის ინსტრუქტორი ნაგებელი ლევან ხარძიანი, ჩვენი ყველა წამოწყების სულის ჩამდგმელია. ლევანმაც წარჩინებით დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგ რაღაც შეფერხებას ჰქონდა ადგილი, ნაგებში მუშაობდა მეღორეობის ფერმის ღამის ოპერატორად. ჩემთან დავაწინაურე მიდროინჟინრად, თავი გამოიჩინა საქმეში, უმალვე რაიკომში გადაიყვანეს. გარკვეული ღვაწლი მიუძღვის ავთანდილს გენადი ჯოხაძის „აღმოჩენაშიაც", იგი ეკონომისტად მუშაობდა ნაგებში, კოლექტივმა, რომელსაც იმჟამად ავთანდილი ხელმძღვანელობდა ნდობა გამოუცხადა და მალე იგი გამარჯვების საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დააწინაურეს.

* * *

— მაგრამ ერთია სურვილი და მეორე მისი ხორცშესხმა, ფლობა მშენებლობის ხელოვნებისა. — ვაგრძელებ საუბარს ბიჭებთან — კოშკი ხომ საბძელი არ არის, ანდა სიმინდის ნალია, რომ სახელდახელოდ ჩააქოხო, ის კი არა ასეთ რთულ საქმეში სპეციალისტიც შეიძლება შეცდეს...

ელბერტ მარგველანი:

— მე ასე მჯერა „როცა გული გულობს ქადა ორივე ხელით იჭმევა" ამ ნათქვამისა არ იყოს, ყველაზე რთულ საქმეშიაც კი გულიანობასა და მოწადინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ჩვენი ერთსულოვნება და საქმისადმი პასუხისმგებლობა ისეთი დუღაბია, რომ ამ მურყვამს საუკუნო არტახებით შეკრავს, ღრმადა ვართ დარწმუნებული, მას ნაბზარი არასოდეს გაუჩნდება.

მართალია, პროფესიონალი მშენებლები არა ვართ, და მით უმეტეს — კოშკის მშენებლობის სპეციალისტები, მაგრამ თუ გაგვიჭირდა, ინჟინრებიც გვყვანან აქ, და ასევე ნაგების მურყვამის ოსტატებიც ჩვენთან არიან, მათი გამოცდილება დიდ სამსახურს გვიწევს. ბოლოს და ბოლოს ჩვენი წინაპრებიც სამუშაო ნახაზებისა და გაანგარიშებების გარეშე აშენებდნენ იმ დუხჭირ დროში უშველებელ მურყვამებს თანაც ურთულეს რელიეფზე, მაგრამ მათი ნახელავი კვლავაც უამრავ თანამედროვე საინჟინრო ქმნილებას მოინელებს. საქმეში გულსა დებდნენ, გუმანიც არ ღალატობდათ, ალბათ, წარსულის გამოცდილებასაც იყენებდნენ, იმიტომაც არის, რომ ზოგიერთ მურყვამს, ძალიანაც რომ მოისურვოს ადამიანმა, ფიჩხად ვერ გააგდებინებ... მართალია, იყო შემთხვე-

ვები, როცა საძირკველმა უღალატა, დუღაბის უხარისხობით რომ დაბზარულიყო, ეგ კი არავის სმენია. ის კი არა, მტერმა რომ დაუშინა ზარბაზნები იმითაც კი ვერაფერი დააკლო, მერმე ლალუმებით შეულეწა ლიბო და ეგრე ლაჩრულად წამოაყუდა ხალდეს ბუმბერაზები.

* * *

ერმენტო მარგველანიც ეთანხმება ამხანაგს, კოშკის მშენებლობამ ჩვენს არსებობას მეტი შინაარსი და აზრი შესძინაო — ამბობს იგი. იმ დღიდან მოყოლებული სოფლის მშენებლობაზეც უფრო ხალისიანად ვმუშაობთ, სვანეთის მონატრების ტკივილიც გაგვინელდაო თითქოს. მართალია, სად სვანეთის ბუნება და სად აქაური, მაგრამ პირობითობას მაინც ვერ გამორიცხავს ადამიანი თავისი მსოფლმხედველობიდან — ამ კოშკმა კი ლეშვანიერას გვირგვინი დაადგა, სვანური, მშობლიური — ქართული იერი შესძინა. ყველა ისეთმა გრძნობამ მოიცვა, თითქოს ახალ სვანეთს ვაშენებდეთ, ოღონდ ამჯერად ქვეყნის სხვა კიდეში, იქ, სადაც ჩვენთვის მეტი გასაქანი, მეტი თავისუფლება და სიხალვათე იქნება, სადაც მხრის გაშლის მეტი საშუალება მოგვეცემა და ჩვენს ენერგიასა და ძალისხმევას ქვეყნის სამსახურს უფრო სრულყოფილად მოვახმართ.

ახალ სვანეთს ვაშენებთ, იქ, სადაც ეს ქვეყნისათვის უფრო სარგო და აუცილებელია. ასეც არის, ამის შეგრძნებამ გაგვიიოლა მდგომარეობა, გაამართლა სვანების აყრა მშობლიური ადგილებიდან... აზრი მისცა მათ საქმიანობას, მართლაც და მარტო ის ხომ არა კმარა, ადამიანმა მუცელი ამოიყოროს, ჯიბეში ბლომად ფული ჩაიჭუჭკოს, მთელი სიცოცხლე მატერიალურად და ეკონომიკურად უზრუნველყოფილმა თოქალთოზე მიდოს თავი და ერთი გემრიელი ხვრინვა ამოუშვას, ქვეყნისთვის კი თავი არ შეიწუხოს. დღეს ბევრი ადგას ამ პრინციპს, მაგრამ, მგონია, მწარედ სცდებიან ისინი, ეს თოქალთო და ეს გემრიელი ფშვინვა, მოჭარბებული ძილქუში და უძრაობა უფრო დამღუპველი მგონია სინამდვილეში, ვიდრე სარგო და გამოსადეგი...

მალე ჩვენი კომპლექსი, ორიგინალური კულტურული ცენტრი სვანური დასახლების სიმბოლოდ იქცევა... დარწმუნებული ვარ სხვებიც მოგვბაძავენ, მეტსაც ვიტყვი — ასეთი მოდერნიზებული ცენტრები ნამდვილად ყველა სოფელს დაამშვენებდა — მეუბნება ერმენტო.

* * *

შოთა გვარმიანთან—ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსის პარტბიუროს მდივანთან, ავთანდილ მარგიანის „მარჯვენა ხელთან“, ასევე, რა თქმა უნდა, ლეშვანიერას მშენებლობის ასპექტით წარიმართა ჩემი საუბარი:

— ჩვენ კომპლექსს სამას ორმოცდაათი სახლიდან ოცის აშენება ერგო — აღარაფერს ვამბობ კულტურული ცენტრის მშენებლობაზე, რასაც საზოგადოებრივ საწყისებზე ვახორციელებთ. არა და მთელი კომპლექსის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა, რთული რელიეფის გათვალისწინებით, მილიონ მანეთს მიაღწევს. მეურნეობას, მოგეხსენებათ, თავისი გამოკვეთილი პროფილი გააჩნია. — ჩვენი ამოცანაა მეხორცული პირუტყვის გამოზრდა, გასუქება და რეალიზაცია, მშენებლობა, როგორც ეს ავთანდილმაც აღნიშნა, ჩვენთვის მეტად უცხო ხილი რამ გახლდათ, არც ფონდები გვქონდა ხამისო, არც ტექნიკური აღჭურვილობა, და ბუნებრივია, არც გამოცდილება. მაგრამ რადგანაც საქმე უშუალოდ ჩვენი სოფლის აღორძინებას ეხებოდა და მეურნეობის სამომავლო ინტერესებსაც მოიცავდა, ჩვენაც სიამოვნებით ჩავებით ამ საქმეში, კომპლექსის დირექტორის მოადგილემ მშენებლობის დარგში ომარ პატარაიამ, ინჟინერმა ჯემალ ხარძიანმა, შეუძლებელი მოიმოქმედეს. დღეის მდგომარეობით ლეშვანიერას მშენებლობაზე დასაქმებულ მრავალ ტრესტს და უწყებას შორის ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებლები გაგვაჩნია. ფონდით კუთვნილი სამშენებლო მასალების მხოლოდ თხუთმეტი პროცენტი გვაქვს მიღებული, მაგრამ სამუშაო კი მთელი მოცულობის სამოცდაათი პროცენტია შესრულებული. პარადოქსული ვითარებაა, გეთანხმებით, მაგრამ არ იფიქროთ, რაიმეს მიფუჩეჩებითა და ზერელე დამოკიდებულებით ვაღწევდეთ ამას, სწორედ რომ პირიქით, დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის გულთან მიტანას, ასევე „ადგილობრივი მწევრის ფაქტორსაც“, სწორედ ამ შემთხვევას ეხადაგება ანდაზა — „ვინც მიდიოდა ფქვავდაო...“ — ჩვენ არ დაგვიტოვებია მცირედი რეზერვიც კი რომ ამ საქმეში არ დაგვებანდებინა... და ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც — ავტორიტეტის ფაქტორი! დიახ, ავტორიტეტის ფაქტორს ხშირად ჯეროვნად ვერ აფასებენ ხოლმე...

როგორც პარტორგმა, ჩვენი კომპლექსის ხელმძღვანელობის სახელით მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო მშენებლობაზე დასაქმებული მუშები, ლეშვენიერას მომავალი მობინადრეები: ამრიდონ ქოჩქიანი, ალექსანდრე გიგანი, გურამ და ამირან ხერგიანები, მაიზერ ფილფანი, პარმენ მერლანი, ვაჟა ნიგურიანი და მრავალი სხვა...

* * *

თავისი ცხოვრებისეული პოზიცია ვატი ხარძიანმაც გაგვიზიარა:

—შეიძლება ეკონომიკურად და მატერიალურად ძალიან გიჭირდეს ადამიანს, მაგრამ სიამაყე ანაზღაურებდეს ყველაფერს, — თქვა მან — სიამაყე იმისა, რომ ფუჭად არ გაგიტარებია წუთისოფელი. საძოვრად და გასადევრად არ

გაგიხდია შენი ქვეყანა... ჩვენაც ამ აზრს ვადგავართ.

ვაჟა მართალი იყო. ჩვენი წინაპრებიც ასე მოუყვებოდნენ ცხოვრების ლედელუდეს, იმიტომაც იყო, რომ ყოველთვის სიკეთისა და კეთილშობილების ათინათი დასთამაშებდათ, უამინდობასა და სიცივეშიაც კი მზის სხივებით იყო მათი სახეები გაცისკროვნებული და გაქათქათებული... მათ ჭალარასაც სულ სხვა ფერი დაჰკრავდა, წკრიალა ვერცხლისფერი; ალალად, პატიოსნად გამოვლილ ცხოვრებას თავისი ნიშატი დაეტყო მათი სიტყვა-პასუხისთვისაც, ღირსებისა და თავმოყვარეობის მათეული გრძნობა დღეს იშვიათობად ქცეულა, ფულის სიხარბე და ეშმაკობა, ათასნაირი გაიძვერობა სხვა ემოციებს ალძრავს, სხვა ხასიათს აყალიბებს ადამიანში, გარეგნობასაც უცვლის და თმის ფერსაც, საუბრის სიმწყობრესაც და საქციელსაც... დღევანდელობის ყველაზე დიდ ნაკლად აი, იმ მახვშების, მუჯვრიანი ტკბილმოუბარი მოხუცების, ქვეყნის საქმეზე გულშემატკივარი ბრძენკაცების ნაკლულოვნება მიმაჩნია, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ეს ბიჭები იმათ ხსოვნას უკვდავყოფდნენ და ამით საკუთარ თავში ღირსეულ წინაპარს, კოშკების მშენებლსა და მამულის გულიან მსახურს ზრდიდნენ.

* * *

აქვე ცხოვრობენ და მეურნეობაში ავთოსთან მუშაობენ მესტიის რაიონის ყოფილი მკვიდრნი — ჟორდან ქელიძე, სოგრატ ნიჟარაძე, მურმან ნიჟარაძე, მარლენ გუგუსიანი, კირილე ჩხეტიანი და სხვები... ასე, რომ ლემშვანიერა, ყოფილი ჯანდარა, უკვე ფუნქციონირებს! ჯერ სოფელი არ გაშენებულა, ხალხი არ ჩასახლებულა, მაგრამ ხალხმრავლობაა და სიცოცხლის ნიშანწყალი მაინც იგრძნობა, იმდენად დიდია აქ ადამიანთა ლტოლვა...

— სხვათა შორის პირველი ახალი ოჯახებიც შეიქმნა უკვე — ამბობს ავთანდილი — და უცნაურ დამთხვევათა რიგს განეკუთვნება, ალბათ, ამაზე რომ თქვენ გიხდებათ წერა — თქვენმა მოგვარეებმა პირველებმა გაჰრეს აქ საქორწინო ლენტი — გურამ ხერგიანმა ავალიანების გოგო მოიტაცა. სხვათა შორის, გურამს სხვებმაც მიბაძეს და, არ ვიცი, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ უკვე სამი მოტაცება გვქონდა — მაიზერ ფილფანმა კაკრიაშვილებს მოსტაცა ქალიშვილი, კაკრიაშვილებიც არ დარჩენილან ვალში, მათაც უმალვე „შეივსეს დანაკლისი", ოლონდ — გვიდანების ხარჯზე! ბუნებრივია, ეს მოვლენა ჩვენში მოწონებასა და მხარდაჭერას ვერ იმსახურებს, მაგრამ ამ ბოლო დროს, როგორც წესი, გაურლა გოგოს მალული თანხმობით ხდება და ძალადობისა და უპატივცემულობის ტრადიციულ ელემენტებს გამორიცხავს, ამდენად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ასეთი თანამედროვე ვითომ ტაცობა წარსულის უარყოფითი გადმონაშთების ფონზე... ნაკლებად გვაღელვებს ხოლმე. ერთი, რამეც არის დღეს როცა ჩვენი ახალგაზრდობა დაოჯახების საკითხშიც, ცოტა არ იყოს, ინერტული გახდა, ასეთი ვნებათაღელვა, სწრაფვა დამკვიდრებისაკენ სასიამოვნო სიმპტომადაც კი გვესახება... დაოჯახებისადმი ასეთი ლტოლვა ნეტავი გადაედებოდეს ჩვენს ბიჭებსა და ქალიშვილებს...

რესპუბლიკაში მრავლად არსებული დემოგრაფიული სიცარიელეები რომ შეივსოს ამისათვის აუცილებელია მტკიცე ოჯახის შექმნა, მშობლიურ მიწაზე დამკვიდრება და გამრავლება... ზემოთ პერსპექტიული სოფლები რომ ვახსენე, სწორედ ახალგაზრდებისათვისა მაქვს გათვალისწინებული. სოფლების აშენება კი ჩვენზე იყოს... მურყვამებითაც დავამშვენებთ... სხვა რაიონში დამკვიდრებულთაც ვურჩევ — ყველამ აიშენოს ასეთი კულტურული ცენტრები. თუ უნდათ ჩემს ბიჭებსაც მივაბმარ... სერიოზულად გეუბნები... უმურყვამოდ სოფელი, სიმართლე გითხრა, ვრა მწამს... ყველა საქმეს მოთავეობა უნდა თორემ, აბა, ერთი მოვიწადინოთ, მგონია, უშბასაც კი ავაგებთ... მაგრამ, მოგეხსენებათ, ვაჟასი არ იყოს, ცხოვრება მხოლოდ მზვარე და პირმზითი როდია, — ჩვენთანაც, ამ უთოვლო ქვეყანაში ერთხელ უკვე დაიქუხა სიკვდილის ზვავმა — დიდებული კაცი, 72 წლის მიტანებული, ათი შვილის მამა ნარიმან ხარძიანი დაიღუპა. ასე რომ პირველი საფლავიც გაიჭრა. აი, ზემოთ, გორაკზე დავმარხეთ... სვანური ზარითა და მოთქმა-ტირილით გავისტუმრეთ... ყველა გაოცებული იყო ისეთი პატივისცემა მივაგეთ...

ასე რომ სიკვდილი და სიცოცხლე კვლავ ძველებურად ბულრაობენ... ჯერჯერობით სიცოცხლე ჯაბნის სიკვდილსა და ღმერთმა ნუ ქნას, რომ პირიქით იყოს... მაგრამ თუ მაინც გარდუვალია იგი, მაშინ ბუბა ნარიმანივით ათი შვილი მაინც უნდა დაარჩინო დამტირებლად, ანდა სხვა რამ სიკეთე მოიმოქმედო ისეთი, პირნათლად რომ ჩაგესვლებოდეს წინაპართა ქვეყანაში...

ავთოს ნათქვამმა მეგობარი პოეტის, ტარიელ ჩარქსელიანის ლექსის სტრიქონები გამახსენა:

„სიცოცხლე უნდა ქარიშხალს ჰგავდეს,
მეხის გავარდნას ჰგავდეს სიკვდილი,
მტერიცა გყავდეს, მოყვარეც გყავდეს,
მხოლოდ არც ერთთან ჰამო სირცხვილი.
სიცოცხლე უნდა სიმღერას ჰგავდეს,
ვიდრემდე გულის შეწყდება ფეთქვა,
და თუ ცხოვრებას ვერ გაუმკლავდე,
უნდა თქვა მაინც, რაც უნდა გეთქვა.

ჭეშმარიტად! რაკი გალევაა, კაცურად უნდა გალიო წუთისოფელი.

* * *

ვალერ ავალიანს უკვე ვიცნობთ ნაგებიდან. სამი წელია, რაც იქ ცხოვრობს და მუშაობს მშენებელ-ინჟინრად. ბუნებრივია, მის სიტყვას აქ მეტი ფასი აქვს, რაც არ უნდა იყოს, სამშენებლო საქმის პროფესიონალია. თანაც სხვების თანაბრად ნაგებური გამოცდილებაც შველის. იქაური მურყვამის, ერთ-ერთი შემოქმედი ვალერიც არის. კრიტიკულ ვითარებაში ვალერის წინადადებამ დიდი როლი ითამაშა მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად. საქმე ეხებოდა სამშენებლო ქვის პრობლემას — საიდან უნდა მოემარაგებინათ ასობით კუბმეტრი სამშენებლო მასალა? სვანეთი მეტისმეტად შორს იყო, რომ იქიდან ჩამოეზიდათ, არა და ბლოკითა და აგურით ნაგები კოშკი რა უნდა ყოფილიყო. შორეული იმიტაციალა იქნებოდა სვანური მურყვამისა. მათ კი სურდათ ყველა ნიშნითა და პარამეტრით ზუსტად სვანური მურყვამი აეშენებინათ და არა მისი ბუტაფორიული ასლი, ისეთი — თბილისში, რიყეზე რომ ააშენეს მუყაოსაგან, იმის საცოდაობით გული რომ გეწურება ადამიანს. ასე, რომ ქვაც გამძლისი უნდოდა, მაგარი, მძიმე, ხაოიანი, ერთი სიტყვით, გრანიტისა, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, ფიქალისა მაინც — სვანეთში მეტი წილი კოშკებისა ენგურის ქვისაგან — გრანიტისაგან იყო ნაშენი, გამონაკლისს უშგულისა და ზოგიერთი სხვა სოფლის ერთიოროლა კოშკიდა შეადგენდა, სადაც მეტწილად ფიქალი იყო გამოყენებული. და სწორედ მაშინ ვალერს ერთი იდეა გაუჩნდა — რა იქნებოდა რომ სამშენებლო ქვა გუდამაყრიდან ჩამოეტანათ? თავისი მონადირეული გატაცება დაეხმარა — ახსოვდა, რომ აქ ბლომად მოიპოვებოდა სამშენებლო მასალა. მრავალი მიტოვებული და დანგრეული გომურიც ეგულებოდა, ხავსმოდებული, ნაშალი ლოდებით იყო მინდვრები მოფენილი, რაც იქაურობას თუ არ აუშნოვებდა, არც რამეს მატებდა, ფუჭად ადგილს იბევებდა, მინდორს ქანჩახის იერს სძენდა, აუდაბურებდა. გუდამაყარი სვანეთთან შედარებით ერთი ხელის გაწვდენაზე იყო, იდეა ავთანდილს გაუზიარა, ის კი თავის მხრივ ტრანსპორტირების ორგანიზაციას ჩაუდგა სათავეში.

— მართალია, ნაგებში საქმეები, თავზე გადაგვდის. ჯერ კიდევ დაგვრჩა ბინებით დასაკმაყოფილებელთა ერთი კონტიგენტი, და რომ იტყვიან, სულსა ვლაფავთ, ვიდრე ამ პრობლემას ბოლომდე გადავჭრიდეთ. მაგრამ, შაბათკვირაობით მაინც. რა საქმე უნდა გამოჩნდეს ისეთი, რომ აქეთ არ გამოგვიწიოს გულმა — ლემშვანიერასაკენ, ამ ბიჭებთან. რომ იტყვიან ხოლმე — „ქინქვლის ძალაც კარგიაო", სხვა თუ არაფერი, სიმრავლეში მაინც მოვემატები, ასეთ საქმეს უხდება ხალხმრავლობა და ერთიამული, ხალისიანი ატმოსფერო... ხუმრობასა და მეგობრულ გადაძახილ-გადმოძახილში დრო შეუმჩნევლად გადის, დაღლილობაც არ იგრძნობა. მეორე დღესაც მოუხარია ადამიანს ხაქმეზე. აქ იკვეთება ახალი ურთიერთობა, ახალი ნაცნობობა, მეგობრობა, სიყვარული... ფაქტიურად ხომ ყველაფერი თავიდან იწყება, ძველი ნაცნობები, ამხანაგები და საერთოდ ჩვეული წრე დავიწროვდა, ახალმოსახლეობა ყველაფრის თავიდან ალორძინებას, თავიდან დაწყებას გულისხმობს... ამ მხრივ ჩვენი საქმიანობა დიდად მნიშვნელოვანია, რადგანაც შრომაში და საქმეში ყველაზე სრულად ვლინდება ადამიანის შესაძლებლობანი, მისი თვისებები, ხასიათი და კაცურკაცობა... ეს არის საწურთნო სკოლა, და ვინც იმას გაივლის, მგონია, ნაკლებად გაუჭირდება ცხოვრებაში... სკოლა ცხოვრებისა, სკოლა არჩევანისა — ჩამოაყალიბა თავისი აზრი ვალერიმ.

* * *

მართლაც და ვალერის თქმისა არ იყოს, როგორც ყოველთვის, ცხოვრება ჩვენს წინაშე წამოჭრის კითხვას — რომელ გზას აირჩევ და გაჰყვები — ზენას თუ ქვენას? შრომისა და გარჯისას, პატიოსანი ცხოვრებისას თუ უსაქმურობისა და ღროისტარებისას, ფლანგვისა თუ ფუქსავატობისას? სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ჩვენს სინამდვილეში ერთის მხრივ ნაღდი, ჭეშმარიტი, ქვეყნისათვის სარგო და მეორეს მხრივ მოჩვენებითი, ზედაპირული, ფორმალური და საზიანო, ისეა ერთმანეთში ბოზალოყივით ანთქლეული, კაცი ვერ გაიგებს — რომელი სად იწყება და სად მთავრდება. პატიოსანი კაცის დონეზე, თუ უკეთ არა, შეუძლია იცხოვროს ფუქსავატმა და მიდეგამაც, ასეთი უსამართლო ნიველირება კი პრესტიჟს ულახავს სიწრფელესა და სიალალეს და მით უფრო ჭირს ცთუნებებთან გამკლავება. ამ ბიჭებმა კი დაძლიეს იგი, თორემ ჯერჯერობით ყველანი ახალგაზრდები და სიცოცხლით ალსავსენი არიან, დაძლიეს და რუსთაველის პროსპექტზე უქმად ყიალს საქმესთან ჭიდილი ამჯობინეს. მავანი იტყვის, თავისთვის ირჯებიან, სხვისთვის ხომ არაო, მაგათი საქმეც ეგ არისო. ეს კი მართალია, სათავისოდაც ირჯებიან, მაგრამ ამავე დროს საჩვენოდაც, საქვეყნოდაც საქმობენ, ამათ შრომაში პირადული ნაკლებია, ზოგადეროვნული, საქვეყნო კი გაცილებით მეტი. ყველამ რომ პირადულს თუნდაც მცირედი საქვეყნოც მიუმატოს, მაშინ შინაურსა თუ გარეშეს მეტი რიდი და კრძალვა შეექმნება ჩვენი. ამიერიმიერსაც უფრო დაეტყობა სიმწყობრე-სისუფთავე, წესრიგიანობა და სილამაზე, თორემ ასე რაღა გამოვიდა — მელა თავის სოროსკენ ეწიკება რასაც მოიხელთებს, ტურა — თავისკენ, მგელი და სხვა ნადირიც მსუქან დუმას ჩასჭარაჯებიან, რაღაში ენაღვლებათ ქვეყნის

გაჭირვება. თითქოს ერთი გამაერთიანებელი აზ-რი აღარ ბოგინობს, რომ ყველა ერთიან საქვეყ-ნო მიზანს დაუქვემდებაროს, საერთო ამოცა-ნას დაუმორჩილოს... ყველაფერი თითქოს ისეა, დიდი ილია რომ ამბობდა:

„თავადის აზრი — სათავადოა, აზნაურის — საა-ზნაურო, გლეხის — საგლეხო, ვაჭრისა — სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველები არიან ერის თესლზედ ამოსულნი? თავადის აზრი აზნაურს არ უხდება, აზნაურისა — თავადსა, ორივესი გლეხსა..."

ათასი სხვადასხვაფერი ნაკადული იწრიტე-ბა ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „რაოდენადაც ერთმანეთზედ შორს ვალს, ეგოდენ დაუძლურდების"...

სამწუხაროდ, რომ ამ მხრივ დიდად მაინც-დამაინც არაფერი შეცვლილა ილიას მერმე — გედის, კიბორჩხალასი და ქარიყლაპიას ისტო-რია კვლავაც მეორდება და აუძლურებს ერის ინტელექტუალურ-ეკონომიკურ პოტენციალს, მისი „გაწევის ძალას"...

* * *

— ამჟამად მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმ-დინარეობს გარდაქმნისა და დაჩქარების მნიშ-ვნელოვანი პროცესი... თქვენთან როგორაა ამ მხრივ საქმე... უწევენ ტალღები ნაპირს? — ვეკითხები ავთანდილს.

— მე ასე მგონია, რომ გარდაქმნა პირველ რიგში გულისხმობს პასუხისმგებლობას მინ-დობილი საქმისადმი, ალალ მუშაობას, მიღ-წევებს... ამ საკითხებზე უკვე გვქონდა საუბა-რი და მეტად აღარ შევჩერდები, მაგრამ გა-რდაქმნა მესმის ასევე ფიზიკური მნიშვნელო-ბითაც. ასე რომ ლემშვანიერას უსათუოდ გა-რდავქმნით, კულტურულ ცენტრსაც დავამშვე-ნებთ, იქვე მოზრდილ ტბას გავაშენებთ... ხა-ლხურ დღეობებს, კრებებსა და დღესასწაუ-ლებს გავმართავთ... ნაგებურზე უკეთეს ახალ „ლემს" შევაკეთრინებთ და ჰულიშობას აქაც ავაღორძინებთ, რათა ვაჟკაცები პაექრობაში გამოიწრთონ, მგლის მუხლი მოიბან, კაჟივით გული მოიცენ, ვინცობაა, რამე იყოს არავის დაეჩაგვრინონ ცხოვრებაში... სახოფლო ყრი-ლობებსაც ამ მურყვამთან ჩავატარებთ... სა-ჭირბოროტო საკითხებს ძველებურად სამსჯავ-როზე გამოვიტანთ, დემოკრატიულად, ხმის უმ-რავლესობით გადავჭრით, თუ საჭირო იქნა, „ამინითაც" დავადასტურებთ ჩვენს ერთობას საქვეყნოსასიკეთო საქმეში.., სიყვარულის, სი-ლალის მანგები მოეფინება გარემოს, ვაჟკაცე-ბი ფერხულს დაუვლიან, დავიშლებით, რათა კვლავ მოგვენატროს ერთმანეთის ნახვა, რათა საქმეს კიდევ მეტის ერთგულებით მოვეკი-დოთ...

ვეცდებით ავაღორძინოთ ყველა დიდებული ტრადიცია და შევუფარდოთ იგი დღევანდე-ლობის მოთხოვნებსა და სულისკვეთებას...

წინ პუშკინისაკენო... — თანამედროვე მწე-რლების დევიზისა არ იყოს, ჩვენც წინ ვივლით წარსულის მდიდარი მემკვიდრეობის [illegible]-ძინებლად, თანამედროვეობის [illegible]-ბლად... ეს იქნება ჩვენი გარდაქმნა, ჩვენი საი-მედო ექსპერიმენტი...

* * *

კირილე ხარძიანს შარშანდელმა ზამთარმა მძიმე განსაცდელი მოუვლინა. მის სულზე მტარვალთა ურდოებივით გადიშლიგინეს ზვა-ვებმა. ჭერაც ვერ გამორკვეულა ბოლომდე იმ ზმანებებიდან, ელდას დაუბურავს მისი არსებობა. მართალია, პირადად მისი ოჯახი, როგორღაც სასწაულზე გადაურჩა, მაგრამ და და ოთხი დისშვილი კი იმსხვერპლა სტიქიამ...

— კალის სოფელ ვიჩნაშში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ზვავი ჭერ არავის სმენოდა. ღა-მის თორმეტი საათი იქნებოდა, მეზობლის ბიჭი იყო რაღაც საქმეზე ჩვენსას გადმოსული და ის გავაცილე. ის იყო, ეზოდან გამოვედით, რომ კავკასიონის მხარეს უეცრად მეხივით დაიქუხა, ფერდობიდან რაღაც თეთრი ურჩ-ხულივით წამოიგრაგნა და ჩვენსკენ წამოვი-და. ქარმა წაგვაბანცალა და გაგვარიდა იქაუ-რობას, თორემ, ალბათ, ველარც გადავურჩე-ბოდით მთიდან მოვარდნილ ზვავს, ჩვენი სახ-ლი კი სულ ნანგრევებად აქცია. ეტყობა, ღვთისაგან არ გვეწერა მთლად გადაშენება, სწორედ იმჟამად ჩემი მეუღლე მესტიის საა-ვადმყოფოში მშობიარობდა, რახან მარტო ვი-ყავი შინ, შვილებიც ნათესავის — იროდი ხა-რძიანისას მყავდა. ასე ბედზე გადავრჩით სიკ-ვდილსა და ამოწყდომას. მართალია, სახლი კი დაგვენგრა მაგრამ იმას ვილა ჩიოდა, ცოცხალ ადამიანს ჩვენს დროში იმდენად არაფერი გა-უჭირდებოდა...

მაგრამ თურმე უარესი წინ გველოდა. ცხრა დღის მერმე გავიგეთ, რომ სწორედ იმ საღა-მოს, ჩვენი სახლი რომ დაანგრია ზვავმა, უშ-გულში ჩემი სიძის ოჯახსაც დასცემია ის წყე-ული. დასცემია და ხუთი შვილიდან ოთხი გა-უტანია, ჩემი დაც იმან იმსხვერპლა. მაშინ მი-მოსვლა ჭირდა, ამიტომაც გავიგეთ ასე გვიან ეგ უბედურება... ახლა ჩემი სიძე ვალერი ჭე-ლიძე აქ არის, ერთად ვიშუშებთ იარებს, თუ ამას მოშუშება ჰქვია და საერთოდ შეიძლება ასეთი რამ... მივხედევთ ამ ცხოვრებას, ეს ბიჭე-ბი გვამხნევებენ და გვშველიან, მურყვამებმა ბევრი სახლი იხსნეს სვანეთში, ბევრი გადა-არჩინეს, თვითონ კი ძვრა ვერ უყო ვერც ზვა-ვმა და ვერც მეწყერმა, და ახლა აქ რო ვაშე-ნებთ, ლემშვანიერაში, სვანეთიდან საკმაოდ შორს, ასე მგონია, ჩვენს საერთო მადლიერე-ბას გამოვხატავთ მათ მიმართ და ნიშნად ამ მადლიერებისა გოლიათ სვანურ კოშკებს ვუკ-ვდავყოფთ, წინაპარ კირით-ხუროთ ხსოვნასაც ვადიდებთ. ამისი შეგრძნება შინაგანად გვამა-

ლლებს, გვამხნევებს, ჩვენს მოქმედებას აზრსა და შინაარსს სძენს... ისეთი შეგრძნება გეუფლება ადამიანს, თითქოს ბასიანზე იბრძოდე, ანდა ცოტნე დადიანივით საქვეყნო საქმისათვის ირჯებოდე. რა თქმა უნდა, მშვენივრად მესმის, რომ ვაზვიადებ, მაგრამ ისიც მჯერა, რომ ასეთი გაზვიადებით ზიანს არავის დავმართებ, იმდენიც არაფერი დაშავდება... პირიქით, სჯობია ეგონოს ადამიანს საქვეყნო საქმეს ვადგევარო ვიდრე უკეთურობას ჩადიოდეს.

— ავთანდილ, კოშკი უკვე დამთავრდა, ახლა საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას შეუდგებით. დავუშვათ, და მომავალი შემოდგომისთვის ისიც მოათავეთ, სოფელიც კეთილმოეწყო, რაღა რჩება კიდევ?

— სოფელს ათასი რამ სჭირდება. აი, ერთ ციცქნა ნაგებში რამდენი რამე დავაარსეთ და გავხსენით — რაიონსაც კი დაენატრება. როგორც იცით, ჩამოვაყალიბეთ სიმღერის გუნდი, ბავშვთა ცეკვის წრე, მომღერალ ქალთა გუნდი, ხალხური საკრავების შემსწავლელი წრე, დავაარსეთ ჭადრაკის სახახლე, ძიუდოს დარბაზი, ბიბლიოთეკა, პიონერთა სახლი, კინოთეატრი... ვფიქრობთ, აქაც ისევე როგორც ნაგებში უშუალოდ კოშკის სართულებზე განვალაგოთ მიზნობრივი სტენდები, მოვაწყოთ მუდმივმოქმედი გამოფენები სვანეთის ისტორიისა და თანამედროვეობის ამსახველი მასალებით, ცალკე დარბაზი დაეთმობა სტიქიისაგან დაღუპულთა სტენდს, ასევე მოვაწყობთ გმირულად დაღუპული აზერბაიჯანელი ჭარისკაცის მამედოვის ცხოვრებისადმი მიძღვნილ კუთხეს... რითაც ხაზს გავუსვამთ ქართველი კაცისათვის ოდითგან დამახასიათებელ ინტერნაციონალურ სულისკვეთებას, ძმობისა და მეგობრობისადმი სათუთ დამოკიდებულებას. კოშკის ბოლო სართულზე მოვაწყობთ ღია შუშაბანდს — მინიატურულ ფუნიკულიორს — აქიდან ხომ თვალწარმტაცი პანორამა იშლება. სამხრეთ საქართველოს ოდესღაც ნადირ-ფრინველით სავსე, სიცოცხლით აერიამულებული პანორამა... იმ კოშკის სიმაღლიდან უფრო კარგადა ჩანს „ადამიანთა მიწა", ჩვენი საფიქრალ-საზრუნავი, ხვალინდელი დღის გახაკეთებელი, მურყვამი ადამიანს მარტო ფიზიკურად კი არ ამაღლებს, არამედ სულიერადაც ავსებს და ასპეტაკებს. ჩემი სურვილია, რომ ადამიანები ავიდნენ მურყვამზე და იქიდან მოავლონ თვალი მშობლიურ ხანახებს, მიწიერი გრძნობებისაგან განთავისუფლებულებმა ოცნების თვალით გადახედონ სამხრეთულ პანორამას, თითქოს გაუცხოვებულს, ტკივილიანს, დერეფანივით განფენილს, შორეულსა და მით უფრო ახლობელს და კეთილი ნატვრა ინატრონ, რწმენა არსებობს ასეთი — თუ გინდა რამე ინატრო, კოშკზე უნდა ახვიდე და იქ ჩაუთქვა, უსათუოდ აგისრულდება. რა თქმა უნდა, კეთილი ნატვრა მაქვს მხედველობაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

თენგიზ გოშთელიანიც ჩვეულებრივი ენთუზიასტია. მესტიაში გაიზარდა, მერე თბილისში ცხოვრობდა, თბილისიდან აქეთ გამოუწია გულმა, ერთ დროს, არც ისე დიდი ხნის წინ, თავის თანატოლებთან რუსთაველზე სეირნობაზეც არ ამბობდა უარს, რა თქმა უნდა, თავისუფალ დროს, მაგრამ თანდათან იგრძნო, რომ ასფალტის ზეკვა მისი საქმე და მოწოდება არ იყო. პრაქტიკულ, საქვეყნოდ სარგო ასპარეზს ესწრაფვოდა მისი სული, სადაც მეტი გასაქანი და თავისუფლება ექნებოდა. და აი სოფლის თავკაცის დაძახილზე, მყის მიატოვა „თბილი ადგილი" და ლემშვანიერაში ამოყო თავი. აქ მოვიდა ამ ბიჭებთან, თავისი ამხანაგიც თემურ კუსრაშვილიც ასე ვთქვათ, „გამოიტყუა", ისიც დააინტერესებს ამ უცნაურმა ადამიანებმა — ასე შეხმატკბილებულად რომ შრომობდნენ, დღე და ღამეს ასწორებდნენ, ეშმაკმა უწყის, რისი მაქნისი კოშკისა თუ რაღაც მურყვამის მშენებლობაზე. თავიდან ასე ეჩვენებოდა თემურის, ახალგაზრდა კაცისთვის ჩვეულ სტერეოტიპულ აზროვნებას ვერ აეხსნა — თუ რაში მდგომარეობდა უანგარო, უფასო, უკაპიკო შრომის საიდუმლო. რა თავში იხლიდნენ მუქთ ოფლისღვრას, როცა ქვეყანა ფულის შოვნაზე იყო გადასული? მაგრამ მალე თანდათან გაიფანტა გაურკვევლობის ბურუსი და აღმოაჩინა მამაპაპური სიალალის პირველსაწყისი, ანკარა წყაროსწყალივით სუფთა და უმანკო გრძნობა სიკეთის ქმნადობისა... თურმე კიდევ იყო იგი შემორჩენილი ადამიანებში...

ავთომ თანდათან იწამა, რომ ასეც, ალალი ცხოვრების წესითაც შეიძლებოდა თავის გატანა და საბოლოო ჯამში, არავინ უწყოდა, ვინ უფრო მოიგებდა. პატიოსანი — ღარიბი თუ მდიდარი — ბალიშებსა და კედლებში ჩატენილი მილიონებით, ვითომ უმწიკვლო ადამიანი — ვთქვათ, მავანი ბანკის მმართველი, ვთქვათ, დიდი ობიექტის ინჟინერი, ვთქვათ, ბუღალტერი, მაღაზიის გამგე, მავანი მილიციის უფროს-უმცროსი თუ პროკურორი და მისი თანაშემწეები, ათასი ჯურის საქმოსნები და მატყუარები, მავანი გამომძიებლები, მავანი თანამდებობის პირნი, ქურდები და ყაჩაღები... იწამა და მას მერმე უფრო ხშირად მოუწევდა აქ გული, დღესაც ამ ქარიან და ცივ დღეს იგი კოშკის მშენებლებთან აღმოვაჩინე...

— თენგიზ, მესტიელი კაცი როგორ ეგუები აქაურობას? მაინც რა გრძნობას განიცდი, როცა წარმოიდგენ რომ იმ მთებიდან უეცრად აქ ამოყავი თავი ამ სამხრეთის დასიცხულ ველზე? ვიცი დასიცხული ზუსტად არ გამო-

ხატავს სათქმელს, მაგრამ კონტრასტის ხაზგასასმელად ასე სჯობია... — ვეკითხები თენგიზ გოშთელიანს.

— შემგუებლობა ეტყობა ფსიქოლოგიური ხასიათის თვისება უფრო ვიდრე იმუნოლოგიური — თქვა თენგიზმა — დარწმუნებული ვარ, ეს ბიჭები რომ არ იყვნენ აქ, ბადრაგითაც ვერავინ წამომიყვანდა დევის გორაზე და ისიც დუღაბის საზელად... მაგრამ მოყვასის ფაქტორი, მეგობრობის გრძნობა ისეთი მნიშვნელოვანია, რომ მოწყენილობისა და დაღლილობის ნატამალიც კი უცხოა ჩვენთვის. აქ უნდა ვეძებოთ, ამ ბიჭების საზოგადოებრივი შემართებულობის საიდუმლოც — ერთმანეთს შევამხნევებთ და ვავსებთ, ვშველით, ვეხმარებით. ადამიანთა ერთობას დიდი ძალა გააჩნია, ამიტომაც ესწრაფვოდნენ ისინი ყოველთვის შეკავშირებას და სიახლოვეს. მართალია, დღეს ცხოვრებამ გათიშა თითქოს ისინი, უფრო სწორად ეკონომიკურმა სიხარბემ მათში წარმოშვა ეგოცენტრიზმი, ჩვენი ერთობა ამ ტენდენციის საწინააღმდეგო მოვლენაა, ერთგვარი განსაწმენდელივითაა მსურველებისათვის...

ხოლო რაც შეეხება ჩვენს განცდებს, ისეთი გრძნობა მაქვს ხოლმე, თითქოს მესტიაში დაბდერის წარაფიდან დავეშვი თხილამურებით, როგორც ბავშვობაში და აქ ამოვყავი თავი ამ უკიდეგანო მინდორზე, სადაც არც თოვლია და არც საციგურაო წარაფები... სწრაფდაშვებისათვის. ერთი რაღაც დამთავრდა, დაიწყო მეორე ალმართი, მეორე ეტაპი, ჩვენ ახლა თითქოს სამშობლოს დიდი მთაგრეხილის მისადგომებში ვფუსფუსებთ და ვესწრაფვით ამაღლებას მის კალთებზე...

* * *

— ავთანდილ, თქვენი ენთუზიაზმის საიდუმლოზე რას გვეტყოდით? რა ჰკვებავს და ასაზრდოებს მას, რითი სულდგმულობს? და არა მარტო თქვენი, ამ ბიჭებისაც — ახლა რომ ჩამოთვალეთ, ან იქნებ ეს თანდაყოლილი გამონაკლისი თვისებათაგანია?

— ჩემის აზრით, ყოველგვარი ენთუზიაზმი ზოგადადამიანური კატეგორიაა — იგი შრომის შედეგის თანამგზავრია. მახსოვს, სვანეთში მხვნელ-მთესველს, ყოველთვის კვალში ედგა ხოლმე გულყვითელა ჩიტი [illegible] მუთნაფოოლს რომ ვეძ[illegible] ბელტის გადაბრუნება და ისიც იქ გაჩნდებოდა ხოლმე... ენთუზიაზმიც მუთნაფოოლივით, პირველივე შედეგთან იჩენს თავს და მერმე სულ შენთან არის მთელი სიცოცხლე... შედეგში მარტო მატერიალურ რეალობას როდი ვგულისხმობ, ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია მორალური და სულიერი ხასიათის წახალისება... ადამიანის შრომის დაფასება, აღიარება, თუ კი იმსახურებს, ერთი სიტყვით, შემჩნევა...

ამას წინათ ერთ ხალხმრავალ აუდიტორიაში სიტყვით გამოსვლისას ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ამხანაგმა ჯუმბერ პატიაშვილმა დამსწრეთ მოუწოდა — ნაგებელების მაგალითი გადაიღეთო... — ჩემთვის ეს დიდი სტიმული იყო. ამ ორიოდე სიტყვამ იმოქმედა, რწმენა ჩამინერგა, იმედით აღმავსო...

ჩვენი ხელმძღვანელობის მაგალითზე ვცდილობ — ამ ბიჭებსაც არ გავუმტყუნდე. ეს კი მათში დადებით იმპულსებს ბადებს, ანალოგიურ ემოციებს აღძრავს... სასიყვარულოდ, საერთგულოდ განაწყობს...

ღრმად ვარ დარწმუნებული, სადაც ეს ოქროს პროპორცია არ არის დაცული, იმ კოლექტივში წესრიგი არასოდეს არ იქნება, არც წესრიგი და არც წარმატება...

იქ ოქროს ჩიტი — მუთნაფოოლი არ მოფრინდება...

ვერც იმედისა და თავისუფლების მურყვამი აშენდება...

ბიბლია გვასწავლის: „ხოლო ლეღვისაგან ისწავლეთ იგავი ესე: რა ჟამს იგი რტონი მისნი დაჩჩუიან და გამოვალან ფურცელნი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხული“...

ჩვენც მანდა ვართ... მიწის სუნთქვას მიყურადებულთ წუთითაც არ გვტოვებს შეგრძნება და რწმენა იმისა, რომ ახლო არს სამშობლოს ნანატრი ზაფხული... ახლადგადაბრუნებული ბელტების მსუყე ოხშივრით გაჟღენთილი, მუთნაფოოლების გუნდებით დაგვირისტებული... სიცოცხლითა და ხალისით აზმაურებული... ზაფხული მომავალი ზაფხულებისა...

# კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ეროვნული

ლადო სულაბერიძე

# ღუთისოფელს კაცად შერჩა გოლომდე

(შტრიხები პორტრეტისათვის)

1.

გზებმა დალალა, დაქანცა, — შორეულმაც, აქაურმაც, ჩვენმა გზებმა. არ ეტყობოდა დაქანცულობა და დაღლა, გარეგნულად ვერასოდეს შეამჩნევდით, არ იმჩნევდა, იხტიბარს არ იტეხდა. გზაზე ლამენათევს, დილით შინაც თავს რომ წადგომოდი, საძილე ოთახისკენ არც გაიხედავდა, წამოგყვებოდა, საცა გინდოდა, — დასახმარებლად, ვინმესთან სიტყვის შესაწევად, გამოსასარჩლებლად. ქანცგაწყვეტილი იყო, მაინც არ დაგამაღლებდა, არ შემოგაგებებდა, მაცალე, კაცო, აღარ ძალმიძს, გამოვიძინო მაინცაო.

შორეული ამერიკიდან რომ ჩამოფრენილიყო, ტრაპთან თუ დახვდებოდით, როგორც კი მშობლიურ მიწას ფეხს დაადგამდა და ეტყოდი, ესა და ეს აუდიტორია გელოდება, — სულერთი იყო დიდთა თუ პატარათა, მუშათა თუ ინტელიგენტთა, — წამობრძანდი, პატივი დაგვდეო, ლექსები წაგვიკითხეო, ყურს მიუგდებდა თანამემამულეთა თხოვნას, გაჰყვებოდა, შედგებოდა ტრიბუნაზე და ისეთი მგზნებარებითა და გატაცებით მოჰყვებოდა ამერიკაში მიღებულ შთაბეჭდილებებს, მერე ლექსებსაც წაიკითხავდა, არსადაც არ ყოფილიყოს, თითქოს ამხელა გზა არც კი გამოევლოს, და ახალგამოძინებულივით სალსალამათი, მხნე ყოფილიყოს.

არა, სულ ასე არა. ამას ვვარაუდობ, შეიძლება უცაბედად ასედაც მომხდარიყო, თორემ ისე ნაუცბათევად არ გამოგყვებოდა ლექსების წასაკითხად. კარგად იცოდა ლექსისა და პოეტის ფასი, განსაკუთრებით ქართული ლექსისა და ქართველი პოეტისა. იმიტომ კი არა, რომ პატივმოყვარე იყო უკიდურესად, — კი იყო, როგორ არ იყო, პატივმოყვარეც იყო, ხანდახან შელახული პატივმოყვარეობისა გამო აღშფოთებულა კიდეც, საჯაროთაც გაუმჟღავნებია წყენა, — ჰო, მარტოოდენ ამიტომ კი არ წაჰყვებოდა ნაუცბათევად მიმპატიჟებელს, არამედ იმიტომ, რომ ჩინებულად უწყოდა, ქართველ პოეტს არ შეშვენის განუკითხავად წანწალი და მოუმზადებლად წარდგომა მკითხველთა და მსმენელთა წინაშე.

პოეტი კი არა, მგოსანიო, ასე გაიძახოდა მუდამ.

მე ვარ ამის მოწმე, ზოგი დაურეკავდა, ბატონო იოსებ, დღეს ჩვენს საზოგადოებას თქვენთან შეხვედრა სურს და პატივი დაგვდეთ, გვესტუმრეთო. კი არ გალანძღავდა, კი არ გაუჯავრდებოდა, შეფუცხუნდებოდა, ამას მე ვამჩნევდი, ტელეფონით მოლაპარაკე კი არა, კითხავდა სახელსა და გვარს, მერე, შე კაი კაცოო, — ან ქალბატონოო, — ამდენიხნის ნაცნობობა გვაკავშირებს ჩვენ და ნუთუ ერთიორი დღით ადრე ვერ მაცნობე, მოვემზადებოდი, აბა, ასე როგორ მოვიდეო. უარს ეტყოდა. არ იცნობდა, არც არასოდეს უნახავს, მაგრამ მაინც ეტყოდა, ამდენიხნის ნაცნობები ვართო.

მაგრამ, თუ რამე გიჭირდა, თუ ხელის წაშველებას თხოვდი, მაშინ კი იმწუთშივე გაგყვებოდა, საცა გინდოდა. ტელეფონი თუ საკმარისი იყო, ტელეფონით გაგიწევდა შუამდგომლობას. გულისყურით უსმენდნენ, ნაცნობები, უცნობები, მინისტრები, პატარა უწყებათა დირექტორები, რაიკომები, ალმასკომები. ვინ არა და ვინ არა. ჯერ მოკითხვა-მოკითხვის საუბარს გაუბამდა, მიიახლოვებდა, კარგ გუნება-განწყობილებას შეუქმნიდა, ის, ვისთვისაც ელაპარაკებოდა, იქვე იჯდა, გული ელეოდა, ჩემზე როდის ეტყვის რამესო. ეს კი არ ჩქარობდა — ზოგთან საქვეყნო საქმეები გაახსენდებოდა, ზოგთან სა-

მწერლობო საქმეებზე საუბარში ჩაითრევდნენ, ზოგთან რაღაც მოაგონდებოდა და იმას მიალამაზ-მოალამაზებდა, მე შენ გეტყვი, დაიბნეოდა, აერეოდა სათქმელი, სიტყვა შეუჩერდებოდა, თუ მოსაუბრე გაუგრძელებდა სიტყვას, მოთმინებით უსმენდა, ერთი ნერვიც არ შეერხეოდა მოუთმენლობისა, სიფიცხისა, სიბრაზისა. მე მუდამჟამს მიკვირდა, როგორ ითმენ, რა ნერვები გაქვს ასეთი, ერთი ყურმილი რო ხელთა გაქვს, მეორესაც წაეტანები, არც ერთითა ხარ გაბეზრებული და არც მეორით, წამდაუწუმ მოდიან კაბინეტში, შინ, გზა-გზა გაჩერებენ, სულ ტელეფონებზე ხარ ჩამოკიდებული, გელიან, გიცდიან, შენ კი ათასი სხვა საქმეც გაქვს, როგორ უძლებ, როგორ ითმენ-მეთქი, ვეუბნებოდი, ხანდახან მე თვითონ გაბეზრებული, მოთმინებადაკარგული, როცა მასთან შევიდოდი და ორიოდე სიტყვის თქმას ერთი საათი ვანდომებდი — ხან ერთი დაურეკავდა, ხან მეორე, მოკლედ კი არ მოუჭრიდა სიტყვას, გაიხარებდა, გალაღდებოდა, ორიოდე სიტყვითვე უნდა ეპასუხნა ჩემთვის და გამოვბრუნდებოდი, გამოვიდოდი კაბინეტიდან, არა, შევჩერდებოდი ფეხზე მდგომარე, სიტყვის ცეცხლი რო წაეკიდებოდა, ჩამოვჯდებოდი იქვე სკამზე და, წარმოიდგინეთ, დამავიწყდებოდა ჩემი სათქმელიცა, მისი პასუხიცა, ვუსმენდი მის ქაქანსაც, ფერებასაც, დაყვავებასაც, ხანგამოშვებით ცხარე კამათსაც ტელეფონით ვიღაცასთან, რაღაცისა გამო. სხვას ელაპარაკებოდა, ყურმილში ჩასძახოდა და მე შემომცქეროდა, ხან წარბებშეკრული, ხან გაბადრული, ხან ოფიციალური ტონით, ხან შინაურულად, ღმობიერად მოლაპარაკე.

— როგორა ხარ, ბიჭო. — ან ძმობილო, ან სახელით მიმართავდა, — დაგვიძველდა შეხვედრა... როგორა გაქვთ მანდ საქმე, ხომ არაფერი გიჭირთ... აბა, აბა, მახსოვს, რა დამავიწყებს... კარგი ხალხი ხართ, კარგი... დამიძახეთ, კაცო, გეახლებით... გუშინწინ ჩამოვფრინდი... ეგვიპტე მოვიარე... თურქეთში ჩვენებურები ვნახე... ბევრი ახალი სათქმელი მაქვს... მო, ლექსებიც, ლექსებიც... მაშ, მაშ!.. შენი იოსებ ნონეშვილი მუდამ მზად არის... მიხმეთ, როცა გენებოთ, ოღონდ ერთი კვირით ადრე გამაფრთხილეთ... ახლა ერთი კაი კაცი მოვა შენთან, ჩემი ნათესავი, — ან მეგობარიო, ესა და ესაო, ისა და ისაო, — ჩემი ბარათით გეახლება და მოუსმინე. ვიცი, უარით არ გამოისტუმრებ... აბა, კარგა იყავი, კარგა, მეზობელო...

რა მეზობელი, რის მეზობელი, რა ბიჭი, რის ძმობილი, თავის დღეში არ უნახავს, არ იცნობს, მთხოვნელმა უთხრა მისი სახელი და გვარი, თანამდებობა და სამუშაო ადგილი. ის კი იცნობს, — ამის იმედით იყო ყოველთვის, ვინ უნდა იყოს ისეთი, არ იცნობდეს, თუ პირადად არა, ან არ გაეგონოს, ან არ წაეკითხოს მისი ლექსები, ან სადმე შეხვედრაზე არ ენახოს, ამის დიდი იმედი ჰქონდა მუდამ და ამიტომაც ასე შინაურულად გაუბამდა თავიდანვე საუბარს [illegible] ჰოდა, ის კი იცნობს, ვისაც ტელეფონით ელაპარაკება, აკი უთხრა კიდეც, ჩვენთან რო შეხვედრა გქონდათო, არ გვავიწყდებაო, ახლაც გატაცებით იგონებენ ჩემი უწყების თანამშრომლებიო.

აბა, რა გულით ეტყოდა უარს ის კაცი იმას, ვინც იოსების ბარათით მიაკითხავდა. იშვიათად გაცრუებია ვინმესთან შუამდგომლობა.

ამიტომაც იყო, საცა კი მოღვაწეობდა, მისი კაბინეტი მუდამ სავსე იყო უცნობებით, ნაცნობებით, ხანდაზმულებით, ახალგაზრდებით. უფრო მეტ ხანს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად მუშაობდა, ყოველდღე ვხედავდი, თვითონ იყო თუ არა, მის კაბინეტში ისხდნენ, ელოდნენ, ზოგს წინა დღით დაიბარებდა, ამა და ამ საათზე მოდიო, მაგრამ შინიდან ადრევე გამოსული შეიგვიანებდა, ხან სად შეაჩერებდნენ, ხან თვითონ შეყოვნდებოდა სადმე და იყო მუდმივი ლოდინი. თუმცა ყველა მომლოდინეს სჯეროდა, რომ მოვიდოდა და არ დაივიწყებდა, რომ ელოდნენ...

არ დაივიწყებდა.

მუდამ ახსოვდა, რომ კარგი სიტყვის სათქმელად ელოდნენ.

სულ მუდამ ვეჩიჩინებოდი, თავი დაზოგე, დრო დაზოგე, ლექსები გაქვს დასაწერი, ამას მოცალეობა სჭირდება-მეთქი.

ის მაინც თავისას განაგრძობდა. განა არ მეთანხმებოდა, განა იმის კმაყოფილი იყო, რაც უკვე შეექმნა, ილტვოდა, ეძებდა, იწვოდა, მაგრამ თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას ვერ ელეოდა, ეს იყო მისი ადამიანური და შემოქმედებითი სტიქია, ამ სტიქიის ტალღებს აეტაცებინა და თავს ველარ აღწევდა.

აკი ამავე ტალღამ დასცა მოულოდნელად შუაგზაზე. თითქოს სხვაგვარი სიკვდილი მას არც დაშვენდებოდა!

როცა ახალ ლექსს დაწერდა, ზეიმობდა. გაიბადრებოდა, ჩვენსკენ მოიჩქაროდა. მოვიდოდა თუ არა, მყისვე კაბინეტში მიხმობდა, მომისმინე, ახალი ლექსიო, — ნიშნისმოგებით იმასაც მეუბნებოდა, არა, კი არ მეუბნებოდა, უსიტყვოდ მიმანიშნებდა, სულ რო ჩამჩიჩინებ ცოტას წერ, დროს სხვა რამეებს ახარჯავო, აი ხო დავწერეო, — კოსტუმის ჯიბიდან ამოიღებდა უსწორმასწოროდ დაკეცილ ქაღალდებს, ან სულ მუდამ იღლიაში რომ ჰქონდა ამოჩრილი, იმ თხელი საქაღალდიდან (ღმერთმა უწყოდა, შიგ რა ქაღალდი არა ჰქონდა), გადაარჩევდა, ძლივს მიაგნებდა ხელნაწერს, პირველ პირს, შავად ნაწერს, არასოდეს რო გადაწერილი არა ჰქონდა, წაჩხაპნილ-წამოჩხაპნილს, გაკრული ხელით, დიდი ასოებით ნაწერს, ქაღალდზე ზოგი სტრიქონი დამრეცად, დაღუნულად გამოიყურებოდა, სხვას გაუჭირდებოდა ამნაირი ხელ-

ნაწერის წაკითხვა. თვითონ კი დაიწყებდა და თავისებური აზარტით ჩაიკითხავდა, ხან ქაღალდს დასცქეროდა, ხან მე მიყურებდა და ზეპირად წარმოთქვამდა, აგზნებული, გაჩახჩახებული, თითქოს მის სიცოცხლეში ესესაა პირველად დაეწეროს ლექსი და გაოცებულიყოს, გახარებულიყოს. შენს რეაქციას აკვირდებოდა კითხვის პროცესში და იმით ამოწმებდა ახალ ლექსს.

მერე სხვებსაც წაუკითხავდა. ამჟერად იმით ცოცხლობდა, სულდგმულობდა. ამ დროს უცხოც რომ სტუმრებოდა, იმასაც წაუკითხავდა. ასე, რომ იმ დღეს ნახევარმა თბილისმა იცოდა, ახალი ლექსი რომ დაწერა.

ხვალ აქა და აქ უნდა გამოვიდე, ამისთვის დავწერე საგანგებოდ, როგორიაო? მიზანს აიჩემებდა, გარკვევით ხედავდა მიზანს და ყველა სტრიქონს, — ხანდახან ბევრი იყო ეს საგანგებო სტრიქონები, — ისარივით მიზნისაკენ უმარჯვებდა, რა თქმა უნდა, ისე, როგორც ომებში ყველა ისარი მიზანს არ ხვდება, მისი სტრიქონებიც ან ვერ აღწევდნენ მიზნამდე, ან ცდებოდნენ მას, მაგრამ უეჭველად გამოერეოდა, ამდაგვარ ლექსებშიც უეჭველად გამოერეოდა ორი-სამი სტრიქონი, რომელიც სნაიპერული იყო. შიგ გულში ხვდებოდა მიზანს, აჩქროლებდა სისხლს, აღაგზნებდა განწყობილებას ქართველი კაცისას, დიახ, უპირველეს ყოვლისა — ქართველი კაცისას...

ცოტანი ვართ,
მაგრამ ღმერთმა
გაგვაჩინა ქართველებად.

წამოიძახა ამდაგვარ ლექსში ერთხელ თბილისის ასიათასიან სტადიონზე გამართულ ალლუმზე, — ამ სტადიონზე არც კი ყოფილა, არ ესწრებოდა ფეხბურთსა და სხვა სპორტულ შეჯიბრებებს, ახლა თითქმის პირველად იყო აქ დიდ სახალხო სპორტულ ზეიმზე. აქუხდა ასიათასი მოზეიმით გაჭედილი იარუსები სტადიონისა, შენივთდა ოვაცია, პოეტის სტრიქონებმა ფრთა შეისხა, ლექსმა სასურველ მიზანს მიაღწია და ამოდენა აუდიტორიას გული შეუთრთოლა.

მავანთა და მავანთ არ მოსწონდათ, ქირდავდნენ, კიცხავდნენ, — რა თქმა უნდა, ზურგს უკან, სალონ-სალონ, ქუჩა ქუჩა, ჩურჩულ-ჩურჩულ, ჭორა-ჭორაობით, — რა ერთთავად ტრიბუნებთან არის მომდგარიო, რა ხმის ჩახლეჩამდე კითხულობს ლექსებსო, როგორ არის დახარბებული ტაშსო, რა არის, სულ ამდენი უცხო ხალხი რო აზვევია თავს მწერალთა სასახლის კაბინეტშიო.

მერე, ბოლო წლებში, ზოგიერთმა პოეტმაც დაიწყო ლექსებში მინიშნებებით ბოლმიანი ქირდვა, რა პოეტის საქმეა ესტრადებზე ქაქანიო, ტაშების მოკრეფაო და სხვა მისთანანი. ვის გულისხმობდნენ? რასაკვირველია იოსებს, მხოლოდ იოსებს, რადგან იმას იმჟამად ყველაზე მეტი ტაში ჰქონდა „მოგ[illegible]ვილი“. ღიზიანდებოდნენ ამის გამო. ავიწყდებოდათ, რომ ტაში ყველაზე უკეთესს პოეტს კი არ ნიშნავს, წამიერი აფეთქება, ემოციური რეაქცია არის აუდიტორიისა, რომელიც ლექსმაც და ავტორის მიერ თავისებურად წაკითხვამაც გამოიწვია. წაკითხვა უნდა ლექსს, თავისებურად წაკითხვა. გამორჩეული დეკლამატორი არ იყო ჩვენი დიდი გალაკტიონი, მაგრამ მის მიერ წაკითხულ „მთაწმინდის მთვარეს“ შეედრება რამე?! რა აღფრთოვანებას იწვევდა, რა ტაშის გრიალი ატყდებოდა ხოლმე! წარმოიდგინეთ, დიდ გალაკტიონსაც უყვარდა ტრიბუნებთან მოდგომა, საღამოებსა და შეხვედრებს ხანდახან თავისი სცენარითაც აწყობდა. მანერულიც იყო — მიადგებოდა ტრიბუნას, ხელთ თავისი ლექსების ტომი ეკავა, მიმართავდა აუდიტორიას და იტყოდა, ამხანაგებო, აი, ნებისმიერად გადავშლი ამ წიგნს და რაც შემხვდება, იმას წაგიკითხავთო — სულმუდამ „მთაწმინდის მთვარე“, „დროშები ჩქარა“, ან რომელიმე ამორჩეული ლექსი შეხვდებოდა ხოლმე გადაშლილ ფურცლებზე, სიამოვნებდა ქართული ლექსის ჯადოქარს ტაშიცა და ოვაციაც.

იცოდა იოსებმა ლექსის თავისებურად წაკითხვა. ეს ყველას არ ეხერხება, ეს, თავადაც იციან და ამიტომაც ერიდებიან საჯაროდ გამოსვლებს, ნურავინ შეეცდება მიმტკიცოს, იმიტომ არ გამოდიან, არ თვლიან ამას სერიოზული პოეტის საქმედ, არ სურთ ტაშები და ოვაციებიო. ტყუიან ამის მამტკიცებელნი. არ არსებობს ნორმალური პოეტი, რომელსაც აღიარება არ სიამოვნებდეს, არ შურდეს კეთილშობილურად იმ პოეტისა, რომელსაც მის მიერ ჩინებულად წაკითხული ლექსის გამო აუდიტორია ტაშით შეხვდება. ხშირად ხდება, გამოვა პოეტი, ამოიღებს ჯიბიდან ქაღალდს, მოირგებს სათვალეს, ჩააჩერდება ქაღალდს და ასე კითხულობს თავის ლექსს, გზადაგზა ენაც ებორკება, ხელახლა გაიმეორებს იმავე სიტყვას და, რა თქმა უნდა, ამგვარი კითხვის გამო მშვენიერი ლექსიც ჰკარგავს თავის ფეროვნებას. იოსები იშვიათად ჩაიხედავდა ხოლმე ლექსის კითხვისას ხელნაწერში. ზეპირად, შთამბეჭდავად და შთამაგონებლად წარმოთქვამდა ლექსებს. ამიტომ კოლეგები ერიდებოდნენ კიდეც მასთან ერთად საჯაროდ გამოსვლას.

ერთხელ მწერალმა ბორის ჩხეიძემ თავის მშობლიურ სოფელში — ამაშუკეთში მიგვიწვია, ჩვენს შორის გახლდათ პოეტი ალიო მირცხულავა. სოფლის კლუბში გაიმართა პოეზიის საღამო. იოსები ცალკე წამოვიდა თბილისიდან და შეაგვიანდა. უკვე სცენაზე ვისხედით, ის-ის იყო, უნდა დაგვეწყო, უცებ კულისებიდან ღიმილ-ღიმილ ენერგიულად შემოვიდა, წინ, აუ-

დიტორიისაკენ და გვერდი-გვერდ სალამის ნიშნად თავის ქნევით. ატყდა დარბაზში ტაშის ქუხილი. დაცხრა დარბაზი და პირველი სიტყვა ბორის ჩხეიძეს მისცეს, რომელმაც აუდიტორიას წარუდგინა ჩვენი თავი. სანამ ის სიტყვას დაამთავრებდა, ალიო ადგა და შეუმჩნევლად კულისებში გავიდა. არ მივაქციეთ ამას ყურადღება. სალამო ჩინებულად წარიმართა. ალიო აღარ დაბრუნებულა. დამთავრდა შეხვედრა და შეშფოთებულებმა მივიძიეთ-მოვიძიეთ. გზაზე ერთმა ქალმა გვითხრა, მაგდაგვარმა კაცმა ავტობუსი გააჩერა, შიგ ჩაჯდა და წავიდაო.

ამაყი იყო ალიო, ავადმყოფურად თავმოყვარე. ამ მეტად გულისხმიერსა და წმინდა, აუმღვრეველი ბუნების კაცს ეს ადამიანური სისუსტე ემჩნეოდა ხოლმე. მაშინაც იჩინა თავი ამ სისუსტემ. იოსების კუთვნილმა ტაშმა გააგულისა და შეუმჩნევლად გაერიდა.

სხვაც ბევრი იყო ასეთი, ალიო არ კიცხავდა, არ ქაქანებდა, არ აძაგებდა უმცროს კოლეგას, სხვანი თავს ვერ იკავებდნენ, გულისწყრომას აშკარად აცხადებდნენ, უფროსებიც, თანატოლებიც, უმცროსებიც.

ორიოდე წლის წინ იოსებზე დაწერილ პატარა ლექსში შევეცადე ამის საპასუხო აზრი გამომეთქვა:

შენ აღარა ხარ... არ გივიწყებენ...
შენ ლექსი დაგრჩა წრიდან გასვლისას.
რას იზამ,
შურზე წერდა ზოგი-ზოგი
და თვითვე შურდა შენი ტაშისა.
წერდნენ, რომ კრეფდი ტაშის ყვავილებს,
შენ არ ეძებდი ყვავილს ნასხვისარს.
შეფარვით წერდნენ... შენს კუბოს მერე
შეუდგა მხრები ქართველ ხალხისა.
რას იზამ, შურზე წერდა ზოგ-ზოგი
და თვითვე შურდა შენი ტაშისა.
შენ აღარა ხარ.. შენ ტაშიც დაგრჩა,
შენ ლექსიც დაგრჩა წრიდან გასვლისას.

2.

ყოველივე ამას, — ხალხთან შეხვედრების სიყვარულს, საჯაროდ ლექსების კითხვას, რუსთაველზე ჩავლისას ნაცნობსა და უცნობთან მისალმებას (აქაოდა, შემხედეთ, ყველა მიცნობს, ყველა მესალმებაო) — ნაკლად უთვლიდნენ. ეს რა ნაკლი იყო?! მერე რა, თუ ჩემზე უკეთესად ლექსს წაიკითხავდა, თავს უფრო მოაწონებდა მკითხველსა და მაყურებელს?! ტაშსაც თუ ჩემზე მეტს დაიმსახურებდა?! ქართულ ლექსს ქომაგობდა საერთოდ, ქართულ ლექსს აწონებდა ხალხს, პოეტის ღირსებას ამაღლებდა, არა მარტო თავისას, საერთოდ ქართველი პოეტისას. რა არის ამაში ცუდი?! რატომ უთვლიდნენ ამას ნაკლად?! ან იმაში რა იყო ცუდი, ქუჩებში თუ საკრებულოებში ყველას რო ესალმებოდა, აბა, როგორ?! ქალაქელები არ ვაგდებთ არაფრად მამაპაპათა მისალმების ტრადიციას, თორემ სოფლებში დღესაც ასეა, გზად ყველა ესალმება ერთმანეთს, გამარჯობა-გაგიმარჯოს გადაძახებ-გადმოძახებით ხვდებიან და შორდებიან ერთმანეთს გზად მიმავალი უცნობებიც კი, — მით უფრო პოეტი, იგი უნდა მიესალმოს ყველას, პოეტს უნდა ესალმებოდეს ყველა, ამას ახსენებდა ის ყოველ ნაბიჯზე უცნობსა და ნაცნობს.

ეს რა ნაკლია პოეტისა?! ნაკლი და უარყოფითი თვისებები იოსებს თავისივე ჰყოფნიდა, განა მამა აბრამის ბატკანი იყო, განა არა სცოდავდა. სცოდავდა და კაი გვარიანადაც სცოდავდა ხანდახან. ყურადღებითა და პატივისცემით გალაღებულს მოუჭარბდებოდა ხოლმე პატივმოყვარეობა. ამ დროს ხანდახან ამხანაგი, მეგობარიც ავიწყდებოდა, — ემოციური იყო, რაღაცა უცებ გააფიცხებდა და მორჩა, ზომიერებას კარგავდა. თუმცა ამ წყენას გულში არ ჩაიდებდა, თან არ გაიყოლებდა, წუთიერი იყო, იქვე მიუჩუმდებოდა, შეიძლება ენანა კიდეც, რატო ავჩქარდიო.

სიცოცხლის ბოლო წლებში ყვარელში ილიაობაზე იყო სხვა მწერლებთან ერთად. ხალხმრავალ მიტინგზე მწერლებიდან პირველი სიტყვა რევაზ მარგიანს მისცეს. როცა რევაზი მიკროფონთან ლაპარაკობდა, ზურგსუკან მდგარი იოსების სიტყვები შემოესმა, — რაიკომის მდივანს გადაულაპარაკა იოსებმა, — მე მწერალთა კავშირის მდივანი ვარ, პირველად სიტყვა ჩემთვის უნდა მოგეცაო. რევაზს ძლივს შეუკავებია თავი, — მერე მითხრა მე ეს,— რევაზმაც იცოდა გაფიცხება და, რა თქმა უნდა, წყენია, კინაღამ შეუწყვეტია სიტყვა. დაამთავრა თუ არა სიტყვა, რევაზი ცივად გასცლია იქაურობას, ჩამჯდარა თავის მანქანაში და გულგასიებული გამობრუნებულა თბილისისაკენ.

ნაკლი ჰქონდა, ამგვარიც, სხვაც, მაგრამ საბოროტოდ განზრახული სხვათა საზიანოდ გამიზნული ქცევა არ ახასიათებდა. მიამიტობითა და გულუბრყვილობითაც მოსდიოდა ხანდახან, ხან უეცარი აფეთქებით ისეთი რამ, რაც ჩვენ არ მოგვწონდა. მართალია, რევაზ მარგიანი გააგულისა ზურგს უკან ნათქვამმა მეგობრის სიტყვებმა, მაგრამ მალე გადაუარა ამ წყენამ, შტერია და, აბა, რა უნდა უყოო, ამბობდა ხელჩაქნევით რევაზი. რა თქმა უნდა, შტერიაო, რომ ამბობდა, ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობას კი არა, უფრო გულუბრყვილოაო, ამას გულისხმობდა.

ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ უნაწყენდე-

ბოდნენ, არაფერ შუაში არ იყო, არა დუშავე-ბია რა და მაინც უჯავრდებოდნენ.

ერთი დირექტორი ჰყავდა ერთხელ ჩვენს დიდ სახელმწიფო გამომცემლობას, პარტიულ სამუშაოდან გადაყენებული კაცი, წიგნიერე-ბისა მაინცდამაინც არა ეტყობოდა რა და ყვე-ლას გასაოცრად ვებერთელა გამომცემლობის დირექტორად დანიშნეს.

ერთხელ ჩვენი გამოჩენილი მწერალი, პო-ლიკარპე კაკაბაძე შევიდა მასთან, ტრაგედიე-ბი გამოსცა და, რა თქმა უნდა, ანაზღაურება ისე მოითხოვა, როგორც პოეტური ნაწარმოე-ბისა. კი მისცეს, მაგრამ მინიმუმი. დირექტორ-თან ამიტომ შევიდა და მაღალი ნიხრის ჰონო-რარი მოსთხოვა. დირექტორი გაოცდა და უპა-სუხა მხცოვან მწერალს, სტრიქონში ორი მა-ნეთი მე ზოგჯერ იოსებ ნონეშვილისათვისაც კი მიჭირსო. გაგიჟებულა პოლიკარპე კაკაბაძე, ვინაა იოსებ ნონეშვილიო, ეს რა მკადრაო და მისი კაბინეტიდან გამოსული დიდხანს აუგად იხსენიებდა პოეტს.

აქვე გავიხსენებ: ახალი ჩამოსული ვიყავი ციმბირიდან, პირველი წიგნი გამოდიოდა ჩემი ამავე გამომცემლობაში. ჰონორარის მინიმუმი მომიზღეს. რა თქმა უნდა, გული დამწყვიტა ამ ამბავმა. იოსები შემხვდა გამომცემლობაში, შევჩივლე მას, ასე და ასე მიპირებენ-მეთქი. მაშინვე შებრუნდა. იმ დირექტორთან შევიდა, ენად გაკრეფილა ჩემი ქებით, ჩემზე უკეთესი პოეტიაო, ასეც უთქვამს და დაურწმუნებია დირექტორი. ამის შემდეგ საშუალო ნიხრის ღირსი გამხადეს.

პოლიკარპე კაკაბაძის ამბავი რომ გაიგო, იოსები ხუმრობდა ხოლმე, მაგ ყვარყვარეს, მაგასა, ეთქვა ჩემთვის, მე გაუკეთებდი უმაღ-ლეს ჰონორარსაო.

თავისი ნაკლი ჰყოფნიდა-მეთქი, ვთქვი და კვლავ ვიმეორებ, როგორც ადამიანსა და რო-გორც შემოქმედს. ყმაწვილობიდან ლირიკოსი პოეტი იყო, ამით მიიქცია ყურადღება, სანამ ლექსების ბეჭდვას დაიწყებდა ჟურნალ-გაზე-თებში, ამითვე ხიბლავდა თანატოლებს და ახალგაზრდობაში საკმაოდ პოპულარულიც იყო. მეტწილად ორ-სამ სტუდენტ გოგონას-თან დაინახავდით ხოლმე, იდგა მათ შორის უნივერსიტეტის აუდიტორიაში, დერეფანში, ეზოში, ქუჩაში, სტუდენტთა ქალაქის მიდამო-ებში და უკითხავდა მათ ლექსებს, მარტო სა-კუთარ ლექსებს კი არა, თავისი საყვარელი ქართველი პოეტების ლექსებსაც, სხვათა ლე-ქსებიც შერჩეული ჰქონდა, საკმაოდ გემოვნე-ბიანად იცოდა შერჩევა და ზეპირად იცოდა ისინი. გამხდარ-გამხდარი, — ამის გამო თანა-ტოლმა პოეტმა ფუნაგორისტებმა ერთხელ ქინძისთავაც კი შეარქვეს — მერე და მერე ჩაცმა-დახურვის ტრფიალიც კი გახდა. მაშინ კი, სტუდენტობისას წლების განმავლობაში ერთი შარვალ-კოსტუმი ეცვა გაცრეცილი, გახუნებული, მაგრამ მაინც თავმომწონედ იდგა თაყვანისმცემელ გოგონათა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენითაობელების" კომ[illegible]-რად მას შემდეგ შეუერთდა, როცა ჟურნალ „ჩვენ თაობაში" მისი ლექსების გამოქვეყნება დაიწყო. ეს მოხდა 1988 წელს და მალე თავისი გა-მორჩეული ადგილიც დაიმკვიდრა ორმოციანი წლების უკვე საქვეყნოდ აღიარებული თანა-ტოლი პოეტების გვერდით. თუმცა ლადო ასა-თიანის, რევაზ მარგიანისა და გაბრიელ ჯაბუ-შანურის ბობღმურმა ტალღებმა ვერ აიყო-ლიეს, მაგრამ ამიერიდან მათი პოეტური ბიო-გრაფიის განუყოფელი ნაწილი გახდა. კარდა-ნახელი ჭაბუკი კახეთისა და ვაზის მგალობელი იყო, ოღონდ ღვინოში თავდავიწყება ბუნებრივ თვისებად არ გამოჰყვა. შემდეგ და შემდეგ, უკვე საკმაოდ წლებმოყრილი და სახელგა-ნთქმული, წვეულებებსა და ნადიმებზე სასურ-ველი თამადაც ყოფილა, ისე, რომ ღვინის სმა-ში არავის გაჯიბრებია, სადღეგრძელოებს მომ-ხიბლავად წარმოთქვამდა, სუფრის წევრებს ღვინის სმის ხასიათზე მოიყვანდა, თვითონ კი ჰიქას ან ემთხვეოდა, ან ნახევრამდე გამოსცლი-და მხოლოდ. ხანდახან კი, თავიც გაუწირავს, შექმნილა ხოლმე სუფრასთან ასეთი მდგომა-რეობა, კაი გვარიანადაც შეღვინებულა, მაგ-რამ სიმთვრალეს ვერასოდეს შეამჩნევდით. მაშინ კი ყმაწვილობისას, თანატოლმა მეგო-ბარმა პოეტებმა ღვინოში ვერ აიყოლიეს.

უცბად გავრცელდა იოსებ ნონეშვილის ლი-რიკული სტრიქონები. სხვა იყო „კრწანისის ყაყაჩოები", „მირანგულა", „სხვა არაფერი არ მინდა ახლა" „აონი", „ორწყალი" და ბევრი სხვა ლექსი „ჩვენი თაობელებისა", სხვანაირი იყო იოსების ლექსებიც. ორმოციანი წლების ამ თაობის დიდი თვისება ის იყო, ერთმანეთს არა ჰგავდნენ, თვითმყოფადნი იყვნენ... ამ ყმა-წვილი პოეტების ლექსებს ზეპირად გაიძახო-და დიდი თუ პატარა, უმაღლეს სასწავლებლე-ბსა თუ ფაბრიკა-ქარხნებში, მთასა თუ ბარში, ელიტარულ სალონებსა და რუსთაველის პროს-პექტზე.

იმდროინდელ მკითხველებს კარგად ახსოვთ იოსებ ნონეშვილის მთარული სტრიქონები:

„ნუ გაიკვირვებთ,
როგორც ჰაფიზი
ამ ყვავილებში ვარ ჩამარხული
და აიასების გულში ნაფიცი
ჩემშიც გუგუნებს ეს გაზაფხული".

„მხოლოდ იცოდე, იცოდე მხოლოდ,
თუ ქებით უფრო გადაირევი,
ეგ სილამაზე დაგღუპავს ბოლოს,
როგორც დალუპა რქებმა ირემი".

„გახსოვს, ქუჩებში მხედრებოდი მკაცრად,
ხან გესლიანად მაყრიდი სიცილს,
მეგონა ქალი ჩრდილია კაცის,
მისდევ და მიტომ მიგირბის ისიც“.

„დაღამდა, თითქოს ცაზე დასცალეს
ლალის მტევნებით სავსე კალათა...
ადგა სილნალი თამადასავით
და სივრცეს თვალი გადაახათა“.

„კავკასიონის მწვერვალს ჰკიდია
ცა-ვარსკვლავების კრიალოსანი“.
„რას გიყურებ?..
სურთ ამ თვალებს უმეცართ,
შეგამჩნიონ ნაკლიცა და მშვენებაც,
თორემ, თუკი
შემიყვარდი უეცრად,
ყველაფერი კარგად მომეჩვენება“.

„მე მუდამ ვფიქრობ: დღეს ჩემი ლექსი,
მკერდში რომ დიდხანს ბიოგავს წვალებით,
როგორ გახდება ხელიდან ხელში,
ხელიდან ხელში საგოგმანები...
როგორ გახდება ასე ურიცხვი
ხალხის ოჩეული ჰანგი ადვილად,
როცა პატარა გოგოს გულიც კი
ვერ იქნა, ვეღარ მოინადირა“.

„და განა დამინდო?! არაფერს ჩამორჩა,
იხმარა ათასი ხერხი და მახენი,
ამხადა მკერდი და ზედ გულზე ამომჭრა,
ზედ გულზე ამოჭრა თავისი სახელი“.

ეს ჯერ კიდევ პოეტური ოსტატობის დასაწყისია, რომელიც მერე და მერე უფრო მეტ ელვარებას მიიღებს მის ლექსში. ჯერჯერობით ამ ლექსებში გულწრფელობა და სამყაროს მართალი აღქმა გვიზიდავს. პოეტურ „მე“-სთან საგანთა და მოვლენათა პირდაპირ, უშუალო შეხებასა ვგრძნობთ და ლექსის ლირიკული თრთოლვა გვეძლება. პირველივე ნაბიჯებიდან აწვალებს ახალგაზრდა პოეტს ფიქრი „ხელიდან ხელში საგოგმანები“ ლექსის შექმნაზე. შემოქმედების არც თუ ისე გრძელ გზაზე მართლაც შეიქმნა ისეთი ლექსები, როგორიცაა „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“, „ინდიელი გოგონას ლოცვა, პერუში გაგონილი“, „შენ არა გაქვს მეფის გვარი“, „ჩუქურთმის მჭრელის ეპიტაფია“, „დედა“, „შემოდგომა თბილისში“ და სხვ.

სამწუხაროდ, ამგვარ ლექსებთან ერთად ასეთი ლექსებიც შეიქმნა რომლებშიც ლირიკული ნაკადი შენელდა და პათეტიკური, მომწოდებლური, ხმამაღალი ტონები მომძლავრდა. ამის გამო ლექსს საზოგადო ჟღერადობა კი შეემატა, მაგრამ გაფერმკრთალდა მისი მხატვრული სამოსელი. როცა თვითონ პოეტი კითხულობდა ტრიბუნებიდან ამდაგვარ ლექსებს, მათი შემოქმედების ძალა საკ[illegible] მაგრამ როცა ჩვენ, მკითხველები [illegible] მყუდრო სამყოფელში ჩავიკითხავდით მათ, თვალში გვეცემოდა კომპოზიციური არასრულყოფილება, ჭარბსიტყვაობა (რაც მისთვის ადრე არ იყო დამახასიათებელი), პოეტური სალებავების სიმკრთალე და დიდ შთაბეჭდილებასაც აღარ ახდენდა.

ომის წლებში მოეძალა პოეტს აწეული ტონი. ამას მოითხოვდა მაშინდელი საზოგადოებრივი მოვლენები და საერთოდ გაბატონებული პანეგირიკულ-ოდური მოტივები. ომის შემდეგ თვითონაც აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაიწყო და ძნელი შეიქმნა საერთო ფერხულში თავის შეკავება. ეს არა მარტო იოსებ ნონეშვილმა ვერ შეძლო, არამედ მის თანატოლებსა და უფროსი თაობის უმრავლესობასაც სძლია ამ ცდუნებამ. ცდუნება იყო ეს თუ ძალმიტანება?! მე უფრო ძალმიტანება მგონია. დროისა და გარემოებათა ძალმიტანება. შინაგანი ხმა და განწყობილება კი არ მჟღავნდებოდა ამგვარი ხასიათის ლექსებსა და პოემებში, — მე ამჯერად მხოლოდ პოეზიას ვგულისხმობ, — არამედ, ხშირ შემთხვევაში, საწინააღმდეგო ეფექტები, გარედან თავსმოხვეული უხილავი ძალა იწვევდა მათ შექმნას. ამის ნათელსაყოფად მრავალთაშორის ერთი მაგალითიც კმარა: ლექსების წიგნს თუ წინ არ უძღოდა ლექსები ბელადებზე, გამომცემლობები თავს იკავებდნენ მათ გამოცემაზე.

ახლა, ახალი თაობების ზოგიერთი წარმომადგენელი თითს იქნევს, თავი უნდა შეგეკავებინათ, არ უნდა აჰყოლოდით იმ ფერხულს, რომელსაც გულით არ გინდოდათ აჰყოლოდით.

ახლა იოლია, აქედან, სულ სხვა გარემოებათა გადასახედიდან თითის ქნევა და მინიშნებებით იმაზე ქადილი, აი, ჩვენ კი არ ავყევით, არც ავყვებოდითო.

ახლა თითის ქნევა, კი არ არის საჭირო, დაფიქრებით დაკვირვება და ღრმა ანალიზი, —არა მარტო ობიექტური, არამედ უბრალოდ ადამიანურიც კი იმ მოვლენებისა, რომელთა მსგავსიც კაცობრიობის ისტორიის გრძელ გზაზე არცერთ ხალხსა და ქვეყანას არ დასტეხია თავსა.

მადლობა ღმერთს, რომ ამაზე ახლა თავისუფლად ვლაპარაკობთ.

აჩქარებით ამგვარი განსჯის დროს შეიძლება ნაბან წყალს ბავშვიც გადავაყოლოთ.

ამ ამბების ანალიზისას კრიტერიუმად ერთი რამ უნდა იქნეს გათვალისწინებული: ეს იყო მაშინდელი ბრწყინვალე ქართველი პოეტების შეცდომა, მაგრამ ამავე დროს, ეს მათი სულიერი ტრაგედია იყო.

ტრაგედიის შედეგებს კი დიდი სიფრთხილით უნდა აწონ-დაწონა.

თუ ეს არ გავითვალისწინეთ, გაგვიჭირდება გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, ვალერიან გაფრინდაშვილის, სიმონ ჩიქოვანისა და იოსებ ნონეშვილის თაობათა შემოქმედებითი პორტრეტების ნამდვილი სურათის წარმოჩენა.

ჩემს წერილებში რამდენჯერმე აღვნიშნე და აქაც მინდა გავიმეორო: როცა საუკუნის ლიტერატურული ცხოვრების ამ მტკივნეულ საკითხებს ვეხებით, არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, ამავე დროს პანეგირიკული-ოდური პოეზიის მოძალების დროს, იმავე ავტორების მიერ შეიქმნა ქართული პოეზიის შედევრები, ჩვენი კლასიკური პოეზიის საგანძურს რომ მიემატა.

ამ საკითხს რომ ვეხები, რასაკვირველია, მე არ ვგულისხმობ ფსევდომწერლებს, რომელთა რაოდენობა იმ დროსაც ურიცხვი იყო...

ამგვარ ქარ-ცეცხლშია გამოვლილი იოსებ ნონეშვილიც და ის ლირიკული ნაკადი, თბილი და უშუალო, რაც მის ჭაბუკობისდროინდელ ლექსებს აგრე მიმზიდველს ხდიდა, დღეს ოდნავ შეიმღვრა, ოდნავ კი არა, კარგა გვარიანადაც, მაგრამ მაინც მის პოეტურ სიტყვას შემოქმედების ძალა მთლიანად არ დაუკარგავს იმგვარ ლექსებშიც კი, როგორიც იყო ყამირის ლექსები, „მამავ ძვირფასო“ და სხვა მისთანანი. ამ ბოლო ხანს ისიც გამოირკვა, რომ მაინცდამაინც დიდად საზოტბო არც ყამირი ყოფილა, არც „მამა ძვირფასი“ ყოფილა ასე გულსაკლავად დასატირებელი, მაგრამ მაშინ იყო რაღაც ხილული თუ უხილავი ძალა, რომელიც გაიძულებდა დაგეჯერებინა ამ მოვლენებისა, რწმენა გქონოდა მათი, ხშირ შემთხვევაში. გულწრფელი რწმენა... შორეულ ციმბირში ქართველი ბიჭები გატეხილი ყამირის ხნულებში ბორკილებს პოულობენ და პოეტი გულისშემძვრელ აზრს მიაწოდებს მათ, „ბიჭო, იქნებ პაპა იყო შენი“-ო, ეს ის ქართველი პაპაა, რომელიც სამშობლოდან გააციმბირეს და რომელიც ბორკილებით ამ შორეულ მიწაში ჩარჩა სამუდამოდ. მაგრამ ხანდახან ამგვარ ლირიკულ ნაკადს პუბლიცისტური სათქმელი მოეძალება და მაშინ პოეტური მეტაფორა თუ ჰიპერბოლა ყალბ სახეს ღებულობს: „შენც რომ მიწაზე დაცემული გვენახე, მზეო, ნუ გეწყინება, აგრე ძლიერ არ ვინაღვლებდით“, წერს პოეტი „მამავ ძვირფასოში“. ეს არ უნდა ითქვას ქართულ ლექსში რუსთაველზედაც კი და თუ რუსთაველზე ვერ ვიტყვით, მაშინ ასე არცერთი ჩვენი თანამედროვე მომაკვდავი არ უნდა დავიტიროთ. ყალბია ეს სტრიქონები, მოგონილი, მეტი ეფექტისთვის მოხმობილი.

ეს ერთ-ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი იყო მაშინ ქართული პოეზიისა, ვიმეორებ, მხოლოდ ერთ-ერთი ნიშანი და არა მისი მაგისტრალური ნიშან-თვისება. მე პირადად, გული მტკივა „ყივჩაღის პაემანის“, „ნინოწმინდის ღამის“, „ნინო ჭავჭავაძისა“ და „ოლეს“ ავტორს რა დიდი პოეტური ენერგია აქვს დახარჯული პოემის „ბავშვობა და ყრმობას“-ს შესაქმნელად. გული მტკივა იმის გამო, რომ ის რამდენიმე ათეული წელია არც პოეტის კრებულებში იბეჭდება და არც ცალკე წიგნად გამოსულა იმიტომ, რომ სტალინს ეძღვნება. არადა, გიორგი ლეონიძის პოეტური სტიქიის საუკეთესო გამოხატულებაა ეს პოემა. როგორი მიმზიდველი ფერებით ჩახჩახებს მის სტრიქონებში ქართლის პეიზაჟები და ფოლკლორი, ისტორია და ხალხის ხასიათი. „პირს გამოავლეს მერცხალი, ენაჭიკჭიკა გამოვა“ და სხვა მისთანანი ლაღად, პოეტური სიტყვის სრულყოფილი ელვარებით იხატება ძეობისა და ბავშვის ზრდის გრანდიოზული სურათი. ეს პოემა პოეტის სულიერი ტრაგედიის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა და ორმოციანი წლების პოეზიას გულისხმიერი, ობიექტური შესწავლა უნდა...

მოგვიანებით, **1960** წელს დაწერილ ლექსში — „შორეულ გზებზე“ იოსებ ნონეშვილს გულისტკივილით აღმოხდა:

„ჩვენ, როგორც ბავშვებს, გვარიდებდნენ ცდუნებას მრავალს...
შიშობდნენ, ვაჰ თუ, ვერ გაგვეგო კარგი და ცუდი...
არ აგვრეოდა სხვა ქვეყნებში თვალები ავად,
არ შეგვერცხვინა, მათის აზრით, ნამუსის ქუდი...
და ახლა, ასაკმიღწეულად ჩაგვთვალეს ალბათ,
თუ გსურთ წადითო, გაიარეთ, ქვეყანა ნახეთ.
თან დაგვარიგეს როგორ უნდა მოვიქცეთ კარგად,
რომ ხალხს ვუჩვენოთ, როგორც გვითხრეს, ჩვენ ჩვენი სახე.
გვირჩიეს: წვერი გავიპარსოთ ჩვენ ყოველ დილით,
კარგი ტონია, დავიჭიროთ ჩანგალი მარცხნივ.
კაპიტალისტთან საუბარში სჯობს ვიყოთ ფრთხილი,
არ მოგვივიდეს უცხოეთში პატარა მარცხიც...
ბოლოს, შევავსეთ ანკეტები, წესია როგორც,
გაფორმდა ვიზაც, აჰა, უკვე მოგვცეს საშვები.

...ო, არ შეგარცხვენთ! დარიგება გვაკმარეთ ოღონდ...
ო, არ შეგარცხვენთ! ღმერთო ჩემო, არ ვართ ბავშვები!"

ოცდაათიან-ორმოციანი წლების ინერცია გრძელდება და მოთმინებადაკარგული პოეტი ამბობდა „იმათი აზრის" წინააღმდეგ. გარს „შემოვლებულ კედლებში" ამდენი „დარიგებებით" თავგაბეზრებული, საზოგადოების საერთო წუხილს გამოთქვამს მისთვის დამახასიათებელი ლირიკული თრთოლვით და მართალი განწყობილება, გვეუფლება, ლექსის პუბლიცისტური პათოსი ნამდვილი პოეზიის თვისებას იძენს და ჩვენც მასთან ერთად აღმოგვხდება: „გვაკმარეთ დარიგება", „არ ვართ ბავშვები".

დაცხრა პოეტის გარშემო ატეხილი ვნებათა ღელვა;. რა თქმა უნდა, ტაშიც დაცხრა, რადგან პოეტსა და მკითხველს შორის ცოცხალი კონტაქტები შეწყდა. ახლა უფრო დინჯად და ფიქრიანად ჩავცქერით მის ლექსებს, ვიძენთ მის წიგნებს, ეს უკვე მერამდენედ, თვალს ვავლებთ ჩვენთვის კარგად ნაცნობ ლექსებს, უფრო ნათლად ვხედავთ მათ შუქ-ჩრდილებს. გულახდილად ვლაპარაკობთ ამ შუქ-ჩრდილებზე და რაც დრო გადის, უფრო და უფრო ნათელი ხდება — იოსებ ნონეშვილი დააკლდა თანამედროვეებს როგორც პოეტი და როგორც პიროვნება. არ სჭირდება მის აჩრდილს გაზვიადებულ და გამოგონილ კვარცხლბეკზე შედგომა, ის ადგილი, რაც მან ქართულ პოეზიაში დაიმკვიდრა, მუდამ იოსებ ნონეშვილის იქნება და მას დრო-ჟამის ვერანაირი მტვერი ვერ დაფარავს...

3.

გაზვიადებას კი მივეჩვიეთ, ცოცხლებისაც, მკვდრებისაც, თითქოს ვპატრონობთ, თითქოს მეგობრულ ვალს ვიხდით მათ წინაშე და, ხშირ შემთხვევაში, ვკარგავთ ზომიერებას, რის გამოც უხერხულ მდგომარეობაში ვაყენებთ განსაკუთრებით იმათ, რომელნიც ცოცხალთა შორის უკვე აღარ არიან. ზოგნი ახალგაზრდობაშივე ტრაგიკულად დაიღუპნენ ომში, ან მძიმე სენს ველარ გაუძლეს, ანდა ბუნების სტიქიას ემსხვერპლნენ. რა თქმა უნდა, უნდა ვილაპარაკოთ მათს შემოქმედებაზე, მოვიგონოთ ისინი, საკადრისი ადგილი მოვუნახოთ დღევანდელ ლიტერატურაში და მათზე ნამდვილი და ობიექტური აზრი დავუტოვოთ მომავალ თაობებს. ნუ შევეცდებით, ხელოვნურად გავაზვიადოთ მათი ლიტერატურული ღირსებანი.

დრო ულმობელია.

ხელოვნურად არის გაზვიადებული საშუალო სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს პროექტში იოსებ ნონეშვილის თაობების რამდენიმე პოეტის შემოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმა ჩემმა მეგობარმა მწერალმა მწერალთა სასახლის ტრიბუნიდან განაცხადა, სევერიან ისიანის პოეზია ქართული კლასიკური პოეზიის კუთვნილებააო.

მე ვიცნობდი მათ, ჩემი ამხანაგები იყვნენ, თავმოყვარენიც იყვნენ და ამაყნიც, ქებაც უხაროდათ და მტკივნეულად განიცდიდნენ კრიტიკულ შენიშვნებსაც, მაგრამ მათ ძალიან კარგად იცოდნენ თავიანთი ადგილი ქართულ პოეტურ სამყაროში. საკმაო ღირსებები გააჩნიათ და როგორც უკვე აღვნიშნე, ხელოვნურ გაზვიადებას არ საჭიროებენ. მაგრამ მათი ღირსებების მიჩქმალვაც არ უნდა ვიკადროთ, ხანდახან ხომ ამის ცდასაც ვხედავთ აქა-იქ!

ამას წინათ ლადო ასათიანის საიუბილეო საღამო ჩატარდა ფილარმონიის დიდ დარბაზში. ლ. ასათიანი ორმოციანი წლების პოეტური თაობის, ეგრეთწოდებული „ჩვენითაობელების" ის ბედნიერი წარმომადგენელია, რომელმაც სიჭაბუკეშივე შეძლო ქართულ თანამედროვე პოეზიაში ერთგვარად სრულყოფილი პოეტური ფიგურა გამხდარიყო. ხალხმაც ღირსეულად შეიყვარა მისი მგზნებარე სტრიქონები. რაც დრო გადის, კიდევ უფრო ღრმავდება და ძლიერდება მისდამი ინტერესი და სიყვარული. ეს უდაოა და ამაზე დღეს ორი აზრი არ არსებობს. მაგრამ შემატებს მას რამეს გაზვიადებული შეფასება?!

ამავე საღამოზე სიტყვით გამოვიდა მურმან ლებანიძე. მან განაცხადა, ლადო ასათიანის ლექსის „სალალობოს" გვერდით ამოდგომას აკაკის „განთიადიც" კი არ იუკადრისებდაო. „სალალობო" რომ ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია და ნამდვილად „ასათიანური", ამაში ჩვენ ყველანი კარგა ხანია შევთანხმდით. თუ „განთიადს" არ დავუყენებთ გვერდით, მაშინ მისი ღირსება მართლაც გვხიბლავს, მაგრამ თუ „განთიადს" შევადარებთ, ამ მშვენიერი ლექსის ღირსება, ამ შემთხვევაში, პირიქით, უდაოდ გაფერმკრთალდება.

ჯერ ერთი, საერთოდ უნდა გადავეჩვიოთ ამგვარ პარალელებს.

მეორეც ის, რომ ღვთაებრივი აკაკის „განთიადი" ჩვენთვის მხოლოდ ლექსი არ არის. იგი პოეტური სრულყოფილებაა, ქართული ენით გამოხატული. „განთიადი" მეცხრამეტე საუკუნიდან ეროვნულ დროშასავით გვაქვს აღმართული და ჩვენი სულიერი თრთოლვის ერთგვარ ხატს წარმოადგენს. არა მგონია მსოფლიოში ბევრს გაეხადოს ლექსი ეროვნულ ხატად ისე, როგორც ქართველმა ხალხმა „განთიადი" გაიხადა.

შესაძლოა (მეშინია, ამას რომ ვამბობ), მარ-

თლაც გვქონდეს თითო-ოროლა უკეთესი ლექსი, მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ შეძლებს, გააკეთოს ის, რის გაკეთებაც ქართველი ხალხისათვის შეძლო „განთიადმა"...

ნუ შევეხებით მას იოლად.

ამგვარმა პარალელებმა, საეჭვოა, რაიმე სიკეთე მოგვიტანოს.

ნუ შევბედავთ „განთიადს" ასე იოლად!

4.

იოსებ ნონეშვილზე როცა ფიქრობ, ძალაუნებურად ქართული თანამედროვე პოეზიის საერთო ავკარგიანობაზე ფიქრიც მოგეძალება. სისხლხორცეულად იყო პოეტი ჩართული ცოცხალ ლიტერატურულ პროცესებში. ცხოვრებისა და ყოფის ზოგიერთ ცდუნებაზეც არ ამბობდა უარს — რიგიანად ჩაცმა-დახურვაც უყვარდა ყმაწვილობაში თითქმის ერთ შარვალში გაზრდილს, რიგიანი სახლ-კარიც გაიჩინა, ლამაზ ქალებთან გაშიკებას თავი ვერ მიანება სიკვდილამდე — მაგრამ არაკაცური ქცევა არასოდეს უკადრებია... არც საზოგადოებაში, არც ოჯახში, არც თავისთავთან მარტოდმარტო დარჩენილს პოეზიის გარეშე ერთი წუთითაც არ უარსებია. თუ რამ ნაკლს ვამჩნევდით, ეგაც ამ უსაზღვრო გატაცების გამო ხდებოდა...

იმერეთში, ერთ-ერთ შეხვედრაზე, რომელიც მრავალშვილიან დედებს მიეძღვნა, იოსები მხურვალედ მიესალმა მათ და მგზნებარედ მოუწოდა ქართველ ქალებს, მრავალშვილიანი დედებისათვის მიებაძათ. შეხვედრის შემდეგ ერთი მათგანი გაეხუმრა იოსებს, — ხალხს კი მოუწოდებ, მაგრამ შენ რომ მხოლოდ ერთი ბიჭი გყავსო?! იოსები არ დაიბნა, თავისებურად ყელი შემართა ოდნავ შეჭაღარავებული მანდილოსნის წინაშე და მთრთოლვარე ხმით წარმოსთქვა:

მასწავლებელი — ღამე უძილო,
ნორჩებზე ფიქრი დაუშრობელი.
მასწავლებელი — ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.

გარს მოჯარულმა დედებმა და მასპინძლებმა ტაში შემოჰკრეს, ცხრა შვილის დედა კი, რომელიც აგრე შეესიტყვა პოეტს, მხურვალედ გადაეხვია მას.

ისეთი პატრიოტი პოეტისათვის, როგორიც იოსებია, მართლაც რომ სასაყვედურო იყო, რაკი ერთი შვილის მეტი არა ჰყავდა. მაგრამ რამდენი დედის სამადლობელო სიტყვა ხვდა მას წილად, რამდენი ბავშვის გული გაათბო მისმა პოეტურმა სიტყვამ, რამდენი ჭაბუკი აღანთო სამშობლოს სიყვარულით პოეტის ელვარე სტრიქონებმა!

განა რომელი ქართველი ჭაბუკი, ან რომელი მამულიშვილი წაიკითხავს გულგრილად ი. ნონეშვილის ბოლოდროინდელ ლექსს „ინდიელი გოგონას ლოცვა, პერუში გაგონილი"?! ეს გულშიჩამწვდომი ღაღადისია მშობლიური ენის სიყვარულით გათანგული ადამიანისა, იმ ადამიანისა, რომლის ენასა და მამულს საფრთხე ემუქრება. ნელ-ნელა ქრებიან ინდიელი ტომები, შეშფოთებულია გოგონა, რომლის სულსაც „წვეთ-წვეთობით ავსებს უცხო სულის ცდუნებანი".

რაგინდ კარგი იყოს, მე სხვას არ ვინდომებ,
რაგინდ კარგი იყოს, სხვას არ ვინატრებდი..
ჩემგან მამა-პაპის სულს ნუ გამოდევნი,
ღმერთო, დამიტოვე ენა წინაპრების.

ქართველი პოეტის ყურადღება მიპყრობილია ინდიელი გოგონას ვედრებისაკენ, რადგან გულისნადებსაც ეხმიანება იგი. ინდიელი გოგონას ენით თვითონ პოეტი ევედრება განგებას: „ღმერთო, ნუ წაართმევ ჩემს ხალხს დედა ენას!"

იოსებ ნონეშვილის სიჭაბუკის დროინდელ ლექსებში დადებული ანკარა სათავე ლირიკული ნაკადისა შემდეგ და შემდეგ ოდნავ შეიმღვრა პათეტიკური ტონებით, რადგან პოეტის პიროვნება მრავალფეროვანმა საზოგადოებრივმა საქმეებმა გაიტაცა.

იოსები — რედაქტორი გაზეთისა და ჟურნალების.

იოსები — დეპუტატი.

იოსები — მშვიდობის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

იოსები — მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის მდივანი.

იოსები — მწერალთა კავშირის მდივანი და ამავე დროს უცხოეთის კომისიის კურატორი.

იოსები — სხვადასხვა კომისიების, სარედაქციო საბჭოებისა და კოლეგიების წევრი.

ათეული წლების განმავლობაში ერთდროულად რამდენიმე მოვალეობას ასრულებდა და, ამავე დროს, სრულიად საქართველოს გზებზე იყო მუდამ გაკრული მშობელ ხალხთან შესახვედრად.

ამდენი საქმითა და პოეზიით თავდავიწყებამდე გატაცებულს ბევრი მოფერებაცა და ბევრი წყენაც უგემნია, მაგრამ არასოდეს გადიდგულებულა, არცა წყენათა გამო შემდრკალა. სიცოცხლის ბოლო წლებში ძალიან ვაწყენინეთ, რუსთაველის პრემიაც არ ვალირსეთ, ამან მართლაც ჩაუკლა ბავშვურად სათუთი გული, მაგრამ თავისი ერთ-ერთი მოზრდილი წიგნი ერთსტროფიანი ლექსით დაამთავრა და ამით ჭირთა შიგან გაძლების მისეული მრწამსი გაგვიმხილა:

„ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი...
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე,
თურმე ესეც გმირობაა დიდი“.

ი. ნონეშვილმა სწორედ ამ შეგნებით იცხოვრა და ილვაწა. ავადმყოფობით დაუძლურებული ლოგინში მწოლარე არ მომკვდარა. მწოლარე ავადმყოფი არც მინახავს ის არასოდეს. მისი საავადმყოფო ფურცლები ექიმებს არასოდეს შეუვსიათ. გრიპსაცა და სიცხიანობას ისე მოილევდა, წამალს არ გაეკარებოდა.

გზებმა დალალა, დაქანცა. ნაცნობ-უცნობებზე ზრუნვამ, ათასნაირმა საზოგადო საქმემ პოეზიით შეპყრობილი გული უეცრად გაუბზარა და მხოლოდ მაშინ მიესვენა ერთი კვირით საავადმყოფოს საწოლზე.

ველარაფერი უშველეს წამლებმა და ექიმებმა.

ერთი კვირა მისი ცხედარი აცრემლებული ხალხის ზღვაზე ესვენა. ვეებერთელა რიგში მდგარი დიდი და პატარა ნელ-ნელა უახლოვდებოდა პოეტის კუბოს. რამდენიმე დღე არ შეწყვეტილა ხალხის სამგლოვიარო დინება, ათასების გული მოენადირებინა ალალი პოეტური სიტყვითა და კაცური საქმეებით.

რუსთაველის თეატრის ფოიეში მხრები შეუყენეს კოლეგებმა და ქართველმა ახალგაზრდებმა იოსებ ნონეშვილის კუბოს. პროცესიამ აავსო რუსთაველის პროსპექტი. კატაფალკაზე არ დაასვენეს, აგრეთვე მხრებზე შემართული მიიტანეს პოეტის ნეშტი დიდუბემდე.

საუკუნო განსასვენებელი დაუმკვიდრეს იქ და საკუთარ გულებში.

18 აპრილი 1988 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ნატროშვილი

# ახალი სული ჩაუდგა

გიორგი ლეონიძის პოეზიაში ასი მტრედი ერთად დალუღუნებს იავნანას... ათასი ხმლით გადაუკუწავთ ქეთევან დედოფლის სხეული და ათასი ელვის სინათლედ გადაქცეულა მისი სახება... ათასი გაზაფხულის ვარდებს პირზე იყრის თბილისი, ათი ათასი სანთელი აჩახჩახებულა მთაწმინდაზე, დედაქალაქის ერთი შემოხედვა ათი ათას სევდას უქარვებს პოეტს და მასვე ელოდება ათი ათასი ჩანჩქრის ბლავილი, რათა სამყაროს უკვდავი მშვენიერება დამაჯერებელ ეკვივალენტად აამეტყველოს მოკვდავთა ენით.

თითქოს ათეულები ეცოტავებოდა, ასი და ათასი ტრიალებდა მის სათვალავში.

„მღეროდნენ როგორც დიდი წვიმები და ვრინველები ათასხმიანი“, — ძველი საქართველოს პოეტებზე უთქვამს, მაგრამ განა ავტოპორტრეტსაც არ მოგვაგონებს?!

მკითხველი უმალვე მიხვდება გიორგი ლეონიძის ხელწერას, ორიოდე სტრიქონიც რომ მოხვდეს თვალში. კითხულობ მსუყე ფერებით გავარვარებულ, მოჯარული მეტაფორებით დაბურულ ლექსებს და გინდა შესძახო: არავის შეეშლება, ათასში გამოგარჩევენ, ეს მხოლოდ შენ ხარ და შენი თავი შენად გეყუდნის!

„მშობელ მიწაში მიდგას ფესვები, როგორც წყალში დგას წნორის ძირები“, — ეს სიტყვები მყვირალა დეკლარაცია როდი გახლავთ, არამედ უაღრესად ზუსტი შეფასებაა საკუთარი შემოქმედების მრწამსისა, სულისკვეთებისა. ძველი ქართული მწერლობის და ხალხური პოეზიის მწვერვალები საუკუნეთა მანძილზე მოხვეჭილი წმიდათაწმიდა თოვლის ნაყურს აპკურებდნენ მეოცე საუკუნის პოეტის კალამს.

გურამ ასათიანი ხაზგასმით აღნიშნავდა ამ დაუშრეტელ წყაროთა ზემოქმედებას გიორგი ლეონიძის პოეტურ სიტყვაზე და დასძენდა: „ძნელია დღეს საქართველოში მეორე პოეტის დასახელება, რომლის შემოქმედება ამ მხრივ უფრო ორგანულად იყოს შესისხლხორცებული ჩვენი წარსული ცხოვრების მემკვიდრეობასთან“.

არსებობს სტრიქონები, თავისი ორიგინალობითა და სითამამით პირველი შეხვედრისთანავე რომ მოახდენენ წარუშლელ შთაბეჭდილებას და მერე მრავალ უკეთეს სტრიქონსაც გადაწონიან. ველარაფერი გააქარწყლებს იმ უცნაურ ეფექტს, რომელიც ანალიზისა და განსჯის იარაღს ჩამოგართმევს და შიშველი ემოციების ტყვეობაში გტოვებს.

„რა საჭიროა ლექსისთვის ტაში? ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა“. ეს ბრჭყვიალა ჰიპერბოლა მოგნუსხავს თავისი გაუგონარი გამბედაობით. თითქოს მოგზაურმა შინაურულად ჩაუკრა თვალი თვალშეუწვდომელ მწვერვალს. ნუთუ წამითაც არ აუკანკალდა კალამი პოეტს, როდესაც უმაღლესი პოეზიის მეტრად აღიარებულ სახელს ჩასჭიდა ხელი და სახელოვანთა შორის სახელოვანის უცხო სამოსელი გაუნაწილა უსახელოთა ჯარს? სად დაიკარგა მისი მეცნიერული სიფხიზლე და სიფრთხილე, რომელიც ყოველთვის თან ახლდა ძველი ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის კვლევის ჟამს? ნუთუ ჰოჰმანმა არ შეიპყრო მისი ალღო და გემოვნება, ნუთუ არ გაუელვა თავში შიშმა,ვაითუ ვინმეს გაეცინოს ამ სტრიქონების წაკითხვისას, ვაითუ ვინმეს პატრიოტულ ბაქიბუქად მოეჩვენოს ესოდენ უპრეცედენტო განცხადება და მკრეხელობად ჩამოართვასო? რა თქმა უნდა, არავინ ჭკუათამყოფელი არ მოითხოვს პოეზიისაგან მეცნიერული კვალიფიკაციების აკურატულობას, მაგრამ პოეტურ სილაღესაც ხომ მოეპოვება პირობითად დაწესებული საზღვრები თუ შინაგანი ცენზურა.

ძნელია ზედმიწევნით ამოიცნო შემოქმედებითი პროცესის მდინარება, აღნუსხო ყოველი ლაბირინთი, რომელიც გაუვლია პოეტის მუზას მზის სინათლეზე ლექსის გამოსატანად, ძნე-

ლია ჩასწვდე ფიქრისა და მისი განხორციელების ურთულეს ნიუანსებს, შეუცდომლად დაადგინოს, თუ როდის სძლევს ლოგიკა პოეზიას ანდა როდის უკუაგდებს პოეზია ლოგიკას, რათა შეუცნობელ სივრცეში გაშალოს ფრთები.

ეგებ იოლად გარითმვის ცდუნებამ იხმო ქართველი პოეტის ლექსში იტალიელი გენიოსის სახელი? მაგრამ ამგვარი ვარაუდი, სხვას რომ თავი დავანებოთ, საიდუმლოების ამომხსნელ გასაღებადაც არ გამოდგება, ვინაიდან სახელს როდი გაუჩენია პოეტის აზრი, თვით აზრი მოითხოვდა საგულვებელი ცნების ყველაზე წარჩინებულ სახელს, ყველაზე მჭევრმეტყველ განახიერებას. ცხადია, დანტემ მარტოოდენ ეტალონის როლი ითამაშა პოეტისეული ჩანაფიქრის ხორცშესხმაში. ალბათ, ყველაზე ტკბილხმიანი და შესაფერი სიტყვა აღმოჩნდა სათქმელის გამოსახატავად.

იქნებ ვაჭარბებ და გამადიდებელი შუშით დავყურებ იმას, რაც შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს და მარტივ პოეტურ ჰიპერბოლად უნდა მოინათლოს. იქნებ არავითარი ღრმა აზრი და არავითარი საიდუმლოება არ იმალება ლამაზად მოქნეულ ფრაზაში?

მაგრამ ვინც ყოფილა ფშავ-ხევსურეთსა თუ თუშეთში, ვისაც მოუსმენია ექსპრომტად წარმოთქმული ლექსები, ვისაც ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყარო რეალურად არსებულ ქვეყნად მიუჩნევია, რომელიც მხოლოდ სივრცესა ან დროში არის დაშორებული ჩვენს ყოველდღიურ ყოფიერებას, მისთვის მოულოდნელი არ იქნება ლეონიძისეული ჰიპერბოლა, ნაკლებად გააკვირვებს მაღლა ატყორცნა ფიქრისა, არც მოსწრებულ სიტყვად ჩაუთვლის და არც ეროვნული „განდიდების მანიის" პაროქსიზმად.

ზემოთქმული ჰიპერბოლის შესაწყნარებლად საკმარისია თუნდაც დღევანდელი, ცოცხალი შთაბეჭდილებანი. მაგრამ იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ მოგვეპოვება ძვირფასი საგანძური —ქართული ხალხური პოეზიის ფურცლები, ცალკეულ მოლექსეთა თუ მრავალ თაობათა შთაგონების ნაყოფი, რომლებიც საუკუნეთა ქარავანს გამოჰყოლიან, გზაში დახვეწილან, ჩვენს დრომდე მოუღწევიათ და, წარსულის ოფიციალურ მემატიანეთაგან განსხვავებით, შთამომავლობისათვის მოუტანიათ უბრალო ადამიანთა ნაფიქრალიც, გადაქცეული ლექსებად სიკვდილსა და სიცოცხლეზე, სიყვარულსა და მტრობაზე, მაშინ კი ნამდვილად აღარ შეგვაცბუნებს ქართველი პოეტის უჩვეულოდ თამამი სიტყვები.

ჰიპერბოლა ხომ რაიმე მოვლენის გაზვიადებული წარმოსახვაა, მოხმობილი იმ მიზნით, რათა სინამდვილე უფრო მკაფიოდ გამოხატოს. ზემოთ დამოწმებულ ჰიპერბოლასაც, მისი ავტორის დარად, მშობელ მიწაში უდგას ფესვები, უნიადაგობას ვერ დასწამებ. იგი შეიცავს ჭეშმარიტების გარკვეულ დოზას. ამას დაადასტურებს ყველა, ვინც კარგად იცნობს ქართული ხალხური პოეზიის შედევრებს. ოღონდ რომელი ერთი გავიხსენოთ, რომ არგუმენტის ძალა მივანიჭოთ და პოეტის ჰიპერბოლისათვის მხარდაჭერა ვთხოვოთ?

ამ ლექსებიდან თითო-ოროლა სტრიქონიც რომ გადმოვწეროთ, ალბათ, ერთი პაწია კრებული შეგვრჩება ხელში და სადაური ქაღალდი გაუძლებს ციტატების კრებულს? და მაინც, სახელდახელოდ, ნაჩქარევად მოგადგება პირზე დაუვიწყარი სტრიქონები.

აგერ, მშობელ დედაზე ნათქვამი: „დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, ამიტომ გვტანჯავს გამჩენი, სულ მუდამ გვაცოდვილებსა".

ახლა ვეფხვის დედაზე ნათქვამი: „ხან იფიქრებდა, უდედოდ გაზდა̂ ვინა თქვა შვილისა? იქნება ვეფხვის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა"...

ახლა სიყვარულზე ნათქვამი: „შირაქის ველზე მივდივარ, უკან მაბრუნებს ქარიო, წინ შემეყარა პეპელა, წითლად უჩანდა მხარიო, საყვარლის კაბას ვამსგავსე, ღმერთო, დამწერე ჯვარიო".

ახლა სიკვდილზე ნათქვამი: „გავექცე, სად უნდ წავიდე, ცხენიც რო მყვანდეს ჩქარიო? შავება? არ დაამინებს ჩემი ფრანგული ხმალიო; ვიტირა? არ შამიბრალებს, არ იცის ცოდვა-ბრალიო; ვეხვეწა? არ გაიგონებს, უნდა იხმაროს ძალიო".

მოსისხლე მტერზე ნათქვამი: „საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლერწამი ზღვის პირისაო. გაუშალეს ხალიჩები, ზურაბ ზედ დაბძანდისაო. აუყვავებენ სუფრასა: ზურაბ, შეაქე ხილსაო! გილალატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო".

ისევ სიყვარულზე: „ვერცხლისამც თასად მაქცია, რო ღვინით აგევსებოდი, დაფერილი მქნა წითლადა, შემსვამდი, შაგერგებოდი".

ეგებ სულეთის ციკლსაც გადავავლოთ თვალი, რადგან პოეტს მაინცდამაინც დანტეს აჩრდილი შეუწუხებია ქართველ მოლექსეთა შესამკობად. ამჯერად მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო თუშეთში ჩაწერილ ლექსზე, რომელიც საგანგებოდ გამორჩეული მგონია. ცხადია, გიორგი ლეონიძის მიერ ნათქვამი „ყველა ხევსური" მხოლოდ კონკრეტულ ეთნონიმს არ გულისხმობს და გაცილებით ფართო მნიშვნელობას შეიცავს, ყველა მთიელის ერთგვარ სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ —ეგებ ალუდა ქეთელაურისა და გველის მჭამელის წყალობით, ეგებ მათი ტრადიციულად ნაგულისხმევი ელიტარულობის გამო, რასაც თვითონაც უსვამენ ხაზს შესაშური თვითრწმენითა და თავმოწონებით („ხევსურო, ხმალი გალაღებს, მშაველო — ენა გრძელიო", ანდა: „ხევსურე-

თშია, ზურაბო, ვერ იქამ ერისთობასა“). ასეა თუ ისე, ამ შემთხვევაში რამ გაყო ერთიმეორისგან ხევსურეთი და თუშეთი?!

აღნიშნული ლექსი, ვგონებ, ვერ დაიტრაბახებს თავისი პოპულარობით მკითხველთა ფართო წრეებში და ურიგო არ იქნებოდა მისი გახსენება.

„სამზეოს დაკლებულები სულეთსა გროვდებიანო“, — ასე იწყება ლექსი. შემდეგი სტრიქონები მეტნაკლებად გაჭრილ კალაპოტს მიჰყვება. მაგრამ შუამდე რომ მიხვალ, უეცრად მოგჭრის თვალს მაღალი პოეზია:

სულეთში წვრილი ბალღები
დედებსა ეძებდნიანო,
მოატანს საღამოს ხანი,
აქა-იქ ღონდებიანო,
ძუძუ რომ მოაგონდებათ,
თითებსა იწოვიანო,
ჩაეხვევიან სხვითა მუხლთ:
დედაო, პური გვშიანო;
. ხელსა ჰკრენ, გადააგდებენ,
ჩვენ განა დედებ გვქვიანო?!
სამზეოს დედის ტირილი
შვილს წვიმად გაჩენდნიანო,
დადიან დასველებულებ,
სამოს ვერ გაიშრიანო.

მართლაც რომ შემაძრწუნებელი სტრიქონებია, თითქოს ნათელმხილველის სული ჩაესახა მოლექსეს და მარადიული უკუნეთის ფარდა ჩამოაგლეჯინა. რაოდენ მწარე, მაგრამ ამავე დროს ზუსტი და შეუვალი სიმართლეა ნათქვამი ამ უბრალო სიტყვებით. ხალხური პოეზია წარბშეუხრელად უსწორებს თვალს სასტიკ სინამდვილეს და გვარწმუნებს, რომ დედის ცრემლი, თუნდაც ვეება მდინარედ დაიძრას, იმ ქვეყნად წასულ შვილს ალერსად როდი მოევლინება. ცრემლი წვიმად გადაქცეულა და იმქვეყნიური ობლები ტანისამოსს ველარ იშრობენ. მოლექსემ უნუგეშო სიმართლე ამჯობინა მანუგეშებელ სიცრუეს.

გიორგი ლეონიძეს, საქართველოს ისტორიასა და ქართულ ფოლკლორზე შეყვარებულ პოეტს, ჩვენი წარსულის მცოდნესა და მკვლევარს, შეუძლებელია, არ სცოდნოდა ანდა დავიწყებოდა ეს ლექსი. ვინ იცის, სწორედ ამ შემზარავმა სტრიქონებმა ათქმევინა ზემოხსენებული ჰიპერბოლა.

„რა საჭიროა ლექსისთვის ტაში? ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა“...

აკაკი შანიძე თავის წიგნის („ქართული ხალხური პოეზია, I. ხევსურული“) შესავალში ჩამოთვლიდა რა ხალხურ ლექსებს, „რომელთაც უეჭველია დიდი მხატვრული შემოქმედების ბეჭედი აზის“, ოქროსმაძიებლის კანონიერი სიამაყით შენიშნავდა: „ერთი ვიკითხოთ: ზემორე ჩამოთვლილ ლექსთაგან რომელია ნაკლები ვეფხისტყაოსნის რომელიმე ტაეპზე, ან ვაჟას პოემების რომელიც გნებავთ [illegible]

მეცნიერის გულდასმით [illegible] მოსაზრება თითქმის სიტყვასიტყვით დაემთხვა პოეტის ექსპრესიულ პარადოქსს.

...გურამ ასათიანი წერდა, რომ გიორგი ლეონიძის ლექსს ქართული ხალხური პოეზიის სათავეებთან განსაკუთრებით აახლოებს „მკაფიოდ გამოხატული ჰეროიკული პათოსი, რომელიც ღრმად შეესიტყვება როგორც ჩვენი მშობლიური მიწა-წყლის ზვიად სილამაზეს, ისე მის მკვიდრთა დიდბუნებოვან ხასიათსაც და მთელი ჩვენი ისტორიის გმირულ სულს“.

ქართველ ფოლკლორისტებს, ცხადია, მხედველობიდან არ გამორჩებოდათ გიორგი ლეონიძის პოეზიაში ხალხური შემოქმედების ანარეკლის მიკვლევა. ქსენია სიხარულიძემ სპეციალური წერილიც უძღვნა ამ საკითხს. სადაც, სხვათა შორის, მიუთითებს, რომ გიორგი ლეონიძის ცნობილი ლექსი „არ დაიდარდო, დედაო...“ ენათესავება ხევსურულ „ხმით ნატირალებს“ და იმოწმებს კიდეც ორ ნიმუშს. აი, პირველი მათგანი: „მზეო, დადეგ და დაგვიანდი, მზე სდგეხარ უკენობისაო, ვიყრებით დედაშვილობითაო, მამშვიდობებენ ბერდიასაო“ (ჩაწერილია მელანო ბალიაურისა და ნიკო მაკალათიას მიერ ხევსურეთის სოფელ ბლოში, 1936 წელს, სანდუა გიგაურისაგან. მეორე ტექსტი, ჩაწერილი სოფელ ახიელში, იმავე წელს, თითქმის იდენტურია პირველისა. ტექსტები გამოქვეყნებულია 1940 წელს, კრებულში „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“). ქსენია სიხარულიძის განმარტებით, გულმოკლული დედის მოთქმა დაკრძალვის წესს ასახავს. დედა ემუდარება მზეს, გვიან ჩავიდეს, რადგან მიცვალებულს მზის ჩასვლისას მარხავენ.

გიორგი ლეონიძისეული „დღეო, გადიდდი, გადიდდი, შვილი ეურება დედასა!“ მართლაც შეიძლება მივამსგავსოთ დამოწმებულ ტექსტს, თუმცა აუცილებელი არაა, რომ მაინცდამაინც 1940 წელს გამოქვეყნებული ხევსურული „ხმით ნატირალი“ გამხდარიყო პოეტის შთაგონების წყარო. მიხეილ ჩიქოვანის სიტყვით, მზისადმი მიმართვა, თხოვნა გვიან ჩასვლის შესახებ მიცვალებულთან გამოთხოვებისას, ხშირად გვხვდება ხალხურ პოეზიაში.

საფიქრებელია, რომ „არ დაიდარდო, დედაო...“ უფრო მეტად „დალაის“ უნდა ენათესავებოდეს და ეხმიანებოდეს.

თუშეთში გავრცელებული „დალაი“ წარმოადგენს დაღუპული ვაჟკაცის გლოვას. როგორც სერგი მაკალათია გადმოგვცემს, თუშეთში „დალაობა“ იმართება მიცვალებულის წლისთავზე. საამისოდ იხარშება ლუდი, ცხვება პური, იკვლება საკლავი და იწვევენ მთელ სოფელს. „დალაობის“ დღეს მიცვალებულის ნიშანს გარეთ დაასვენებენ. ნიშანზე გაშლილია

მიცვალებულის ტანისამოსი, წინდები, ჩითები, თამბაქოს ქისა, ქვამარილი, ხელადა არყით და სხვ. ნიშანს დედაკაცები მოუსხდებიან და იწყება დატირება. შემდეგ გამოდის ხუთი მამაკაცი. „დალაის“ მთქმელი შემჯდარა მიცვალებულის ცხენზე, რომელიც შავი საფენითაა დათალხული და ზედ ხურჯინი ჰკიდია, მოდალავე მხედარი სევდიანი კილოთი იწყებს მიცვალებულის ქებას, სხვები კი მონოტონურად აძლევენ ბანს: და-ლა... და-ლა... სერგი მაკალათიას სიტყვით, ჭირისუფალი, დედა იქნება თუ და, მწარედ მოთქვამს და მთელი ეს სურათი ქმნის მწუხარების მძიმე შთაბეჭდილებას.

დალაი თქვით, დალაი, მხედრებო,
ძნელი არს დალაობაო!
ბრალი ხარ ბოსელაიძევ, შენი
ულამქროდ სიკვდილი, დალაი...
დედან გტირიან შეილობით, დანი
ძმობითა გტირიან...
ეგ შენი დედა ბეჩავი სანთლებურ
ჩამოდნებოდეს, დალაი...
ეგ შენი ცოლი ბეჩავი სურო ვით
ექანებოდეს, დალაი...
შენი გვარისა ქალ-ზალი შავით
რო იმოსებოდეს,
შენი ცხენი და აბჯარი ლაშქარს არ
იხარჯებოდეს! დალაი...

(დამოწმებულია სერგი მაკალათიას მიერ ჩაწერილი ტექსტიდან).

გიორგი ლეონიძემ „დალაის“ შინაარსიდან მხოლოდ ერთი ფრაგმენტი აამეტყველა თავის ლექსში (რა თქმა უნდა, შეცვლილი სახით). მაგრამ მთავარი ის გახლავთ, რომ მან „დალაის“ ფორმა გარდაქმნა. თუშური გლოვის სიმღერა შეაზავა ძველებურ ეპიტაფიასთან, რადგანაც მისი ლექსის დაბადება, უპირველეს ყოვლისა, საფლავის ქვის ნახვით იყო შთაგონებული. ლექსის ეპიგრაფში პოეტი გვაუწყებს: „1948 წ. ნოემბერს, ტამანის ნახევარკუნძულზე ვინახული უცნობი ქართველი მეომრის საფლავი. ლევანი რქმეოდა“.

სავსებით ბუნებრივია, რომ პოეტის კალამქვეშ დაიბადა ეპიტაფიის დარად დაწერილი ლექსი (დათარიღებულია 1944 წლით).

„ღიმილის ბიჭი ვიყავი, ბეჭზედ არწივი მეხატა, ცხრამეტი წლისა შევსრულდი, ოცი არ გადამეხადა“. — განა სწორედ ასე არ გვამცნობენ თავიანთ ასაკს ეპიტაფიის „ავტორები“?

ეპიტაფიად გარდასახული დატირება გაცილებით შთამბეჭდავი გახდა. მისი ფსიქოლოგიური ეფექტი მკითხველსა თუ მსმენელზე საგრძნობლად გაიზარდა.

თუკი „დალაის“ მთქმელი თავისი სიტყვებით გადმოსცემს იმ გულისტკივილს, დამსწრეს რომ უჩნდება დაღუპული ვაჟკაცის დედის დანახვაზე („ეგ შენი დედა ბეჩავი სანთლებურ ჩამოდნებოდეს“), გიორგი ლეონიძის ლექსში [illegible] დაღუპული იღებს ხმას და ამ ქვეყნიდან წასული მიმართავს მშობელს: „არ დაიდარდო, დედაო, ნუ მიეცემი სევდასა“. მკვდარი ანუგეშებს და ამხნევებს ცოცხალს!

„დალაის“ ერთ-ერთ ვარიანტში დაღუპულს შეახსენებენ მის მოქალაქეობრივ ვალსაც: „გაიღვიძე, გულადო, განა არ გესმის ხმა საომარი ბუკისა? ნუთუ აღარ ძალგიძს, ცხენს მოახტე და ქარქაშიდან ხმალი ამოიწვადო?“ გიორგი ლეონიძის ლექსში თითქოს პასუხია გაცემული შეკითხვის ფორმით გამოთქმულ მოწოდებაზე: „თუ გაუჭირდა სამშობლოს, კვლავ ცეცხლით დავიდაგებით, ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს, ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით“. არც ეს მოტივია უცხო ხალხური პოეზიისათვის. ზემოთ დამოწმებულ სტრიქონებს აშკარად ეხმიანება ერთი სტროფი ხალხური ლექსიდან, შავეთის სურათს რომ გვიხატავს: „გვერდით გვიბავის ცხენები, დაყაჯრულები ლაგმითა, თუ სადმ ხმა გატყდეს, იძახონ, იქ წავალთ ცხენით, საგზლითა“. მაგრამ ზოგჯერ, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმქვეყნიური ამაოების განჭვრეტაც გამოკრთება მოლექსის ნათქვამში: „რად უნდა მოშავეთეთა სამკლავე, საფუხარია? მეც ჩამყვა სამარეშია, მაგრამ ვერ მოვიხმარია! დანგრეულიყო საფლავი, ჩამოდიოდა წყალია“. ამგვარი რეალისტური მიდგომა მკვეთრად უპირისპირდება სულეთის შესახებ შექმნილი ლექსების ერთსულოვან სულისკვეთებას და დღევანდელი იერი უფრო დამკრავს, თუმცა გასულ საუკუნეშია ჩაწერილი.

„დალაის“ ტექსტში მიცვალებულს იმ ქვეყნად გაშლილი სუფრა ელოდება, მეღვინეები აწვდიან სასმელით სავსე ვერცხლის თუნგებს. გიორგი ლეონიძის ლექსში ცხრა ძმა (ხერხეულიძე?) ეგებება დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველ მეომარს: „დაჭრილს, დამძრალს და გზადაღლილს დამხურეს მუზარადები“.

ფაქტიურად, დამთხვევა „არ დაიდარდო, დედაო...“-სა და „დალაის“ შორის თვალნათლივ შეიმჩნევა მხოლოდ იმ სტრიქონებში, სადაც დაღუპული ქართველი მეომარი ითხოვს:

მტერთან ჩემ სიკვდილს ნუ იტყვით,
დამალეთ ჩემი სამარი,
თუ მტერმა გკითხოთ, უთხარით,
კრემლშია, სტალინთან არი!
და თუ სტალინმა მიკითხოს,
უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი,
იქ ვდგევარ, სადაც ნათობენ
სტალინის მამა-პაპანი!

ხოლო „დალაის“ ტექსტში ვკითხულობთ:

კახეთში კახნი გიკითხვენ:
„არს ქისტეთს დიჩინსთანაო“,

დირინიანთა გიკითხვენ:
„არს ქალაქს, ჯარებს ყრისაო“, დალაი...
ქალაქს კითხულობს ბატონი:
„წასულა უფალთანაო“. დალაი...

ცოტა არ იყოს, გაუგებარია, თუ რატომ უნდა დაუმალონ თუში გმირის სიკვდილი კახეთის მოსახლეობას? ანალოგიურ შეუსაბამობას ვხვდებით აგრეთვე სხვა ვარიანტში, სადაც ლეკებს ეუბნებიან: კახეთში, ბატონთან არისო; ხოლო მეფე რომ მოიკითხავს, მოახსენებენ: ქისტეთში არისო (ან მეფეს რატომ უმალავენ?) და მხოლოდ „სწორებს“ უმხელენ სიმართლეს: უფალთან წავიდაო.

უფრო გამართულად გამოიყურება ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ა. ზისერმანის მიერ ჩაწერილი ვარიანტი, სადაც ხაზგასმულია ის აზრი, რომ გმირის სიკვდილი მტრებმა არ უნდა შეიტყონ. გიორგი ლეონიძე, შესაძლოა, იცნობდა სწორედ ამ ვარიანტს, რომელიც გამოქვეყნებულია თვით ა. ზისერმანის წიგნში „ოცდახუთი წელი კავკასიაში“ (სანქტ-პეტერბურგი, 1879).

დასახელებულ ტექსტში ჩვენთვის საინტერესო ფრაგმენტს გაცილებით ლოგიკური და ბუნებრივი სახე აქვს: „არა, ჩვენ არ გავახმაურებთ შენს სიკვდილს და არ გავახარებთ ჩვენს მტრებს. იკითხავენ შენს ამბავს ლეკები და ვიტყვით: ქისტეთშია. იკითხავენ ქისტები და ვეტყვით: კახეთშია, მეფესთან არის. იკითხავს მეფე და ვეტყვით: ის იქაა, უფალთან“.

გიორგი ლეონიძისეული „მტერთან ჩემ სიკვდილს ნუ იტყვით“, რა თქმა უნდა, ა. ზისერმანის მიერ ჩაწერილი ვარიანტის ტექსტს უფრო შეესიტყვება.

მეოცე საუკუნის ქართველმა პოეტმა თუშურ „დალაის“ ახალი სული ჩაუდგა, ახალი ხორცი შეასხა, ახალი სიცოცხლე აჩუქა. თითქოს ხელმეორედ დაიბადა „დალაი“, თითქოს ღირსეული და ნანატრი მემკვიდრე შეეძინა. მთიდან ბარში ჩამოვიდა და ქვეყნის ერთი კუთხისთვის ნიშანდობლივი მოტივი მთელი საქართველოს გასაგონად აჟღერდა, მთელი ქართველი ხალხის საყვარელ ლექსად და სიმღერად იქცა, რომელსაც სიკვდილი აღარ უწერია. ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში შემოიჭრა, მრავალთა და მრავალთა ვარამი იტვირთა. მარტივი ცნებანი იდუმალი ელფერით აღჭურვა, პირქუში სინამდვილე რაღაც ძალზე ნაცნობი, მაგრამ თითქმის დავიწყებული მელოდიის ხხივით გაათბო. ყოველი ჭირისუფალი უკვე თავისად მიითვლიდა ამ ლექსს; ეგონა, რომ მთელი ქვეყანა იზიარებდა მის გლოვას, მოურჩენელი ტკივილის წამლად თანაგრძნობას უცხადებდა.

პოეტმა თავისი უცდომელი გუმანით მიაგნო სხვებისთვის თითქოსდა უხილავ განძს და ყველას ამცნო მისი არსებობა. „დალაი“ მშვენივრად იცოდნენ საქართველოს მთაში, არც წიგნებში გამოქვეყნება აკლდა, რადგან რუსულადაც იყო თარგმნილი. და მაინც სწორედ ახალი სიცოცხლე, უფრო დიდი აუდიტორია სჭირდებოდა.

„დალაი“, მეტნაკლებად, რეალისტური შემოქმედების დაღით არის აღბეჭდილი მიუხედავად იმისა, რომ ცოცხლები ელაპარაკებიან მკვდარს, რომელსაც გაშლილი სუფრა ელოდება სულეთში. ხოლო გიორგი ლეონიძის ლექსში, ეპიტაფიის ტრადიციისამებრ, მკვდარი გველაპარაკება ცოცხლებს, თითქოს იმ ქვეყნიდან გვაწვდენდეს ხმას. ლექსი უფრო ამაღლებული და პათეტიკური გამოჩნდა რეალისტური დეტალებით შემოსილი „დალაის“ ფონზე.

პოეტი დაუინებით ეძებდა მადანს მშობლიური ისტორიისა და ფოლკლორის წიაღში. ეძებდა და წააწყდა. მოიპოვა, შეისისხლხორცა, გადაამღერა (ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით!), მონოტონურ გლოვის ზარს არტახები შეხსნა, თანამედროვე ლექსის დინამიკა შესძინა.

რაოდენ ძალისხმევას მოითხოვს — ხელახლა აბრიალო თითქმის მიმქრალი და მინავლებული. ძიების გზა მძიმეა და ძნელი, მაგრამ ერთხელაც, პოლონელი პოეტის ნორვიდისა არ იყოს, აელვარდება ფერფლში ალმასი, როგორც ნიშანი გამარჯვებისა.

გიორგი ლეონიძის სიყვარული ხალხური პოეზიისადმი ცალმხრივი არ ყოფილა. 1946 წელს, ქსენია სიხარულიძეს ხევსურეთში ჩაუწერია ხალხური ვარიანტები გიორგი ლეონიძის ორი ლექსისა („არ დაიდარდო, დედაო...“ და „შინმოუსვლელო, სადა ხარ?“). გიორგი კალანდაძის სიტყვით, აღნიშნული ფაქტი რომ შეუტყვია, პოეტს აღტაცებით უთქვამს: „ჩემთვის ეს არის უმაღლესი ჯილდო“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ომისდროინდელი ქართული ლექსებიდან გიორგი ლეონიძის „არ დაიდარდო, დედაო...“ ყველაზე პოპულარული ლექსი გახდა და მხარში ამოუდგა ირაკლი აბაშიძის „კაპიტან ბუხაიძეს“. ორივე ლექსი წარმოადგენს ქართველი მეომრის ეპიტაფიას. ერთი მათგანი, რეალურად არსებული პიროვნება, კავკასიონის მისადგომებთან დაიღუპა („ბალყარეთის მთებში ვწევარ“), ხოლო მეორე, უცნობი ქართველი ჯარისკაცი — საქართველოდან კიდევ უფრო შორს, ტამანის ნახევარკუნძულზე. ორივეს ერთნაირი ბედი ხვდა წილად, მაგრამ კაპიტანი ბუხაიძე, ალბათ, სწორედ კაპიტნობის გამო, თავის ეპიტაფიაში მხოლოდ სამშობლოზე ფიქრობს, ხოლო რიგით ჯარისკაცს ლევანს სამშობლოსთან ერთად ახსენდება მშობელი დედაც.

კაპიტან ბუხაიძის ეპიტაფიას უფრო საზეიმოიერი ახასიათებს. ლექსის ლაკონიური სტრიქონები მოგვაგონებს სპარტელთა სახელგანთქმუ-

ლი მეფისა და მისი სამასი მეომრის ეპიტაფიას („მგზავრო, როდესაც ჩახვალ სპარტას....“). ასეთივე სიამაყეა ჩაქსოვილი კაპიტან ბუხაიძის სიტყვებში: „ვინც დამხედოთ, გადაეცით საქართველოს მთებს და ველებს“.

„კაპიტანი ბუხაიძე“ ქართველი მეომრის უკვდავების ჰიმნია. პოეტმა თითქოს წინაპართა თაობების მაგივრად გვამცნო მათი ნაფიქრალ-სათქმელი და დიდი ანდერძი მომავალი თაობების გასაგონად. ირაკლი აბაშიძის დიდებულ ლექსს, ალბათ, ოფიცრის ეპიტაფია უნდა ვუწოდოთ. მართლაც სამხედრო ბრძანებასავით ჟღერს კაპიტან ბუხაიძის გამოსათხოვარი: „და ვუბარებ ყველა ქართველს...“ გიორგი ლეონიძის „არ დაიდარდო, დედაო...“ ჯარისკაცის ეპიტაფიას უფრო ჰგავს. ლირიკული ნაკადი მძლავრად ერწყმის პატრიოტულ მოტივს. ჯარისკაცი, უპირველეს ყოვლისა, დედას მიმართავს და ამშვიდებს, ანუგეშებს, ლამობს შეუმსუბუქოს უკურნებელი დარდი („ნუ დაიდარდებ, დედაო, მწარე სიკვდილის სევდასა“).

„არ დაიდარდო, დედაო...“ ერთგვარი გაგრძელებაა „კაპიტანი ბუხაიძისა“. რა სათქმელიც დააკლდა ირაკლი აბაშიძის გმირს, თითქოსდა რომ ეჩოთირა თავისი ინტიმური გრძნობის საქვეყნოდ გამომჟღავნება, სწორედ ის შეავსო გულუხვად გიორგი ლეონიძის ლექსის გმირმა. კაპიტან ბუხაიძის სათქმელიც თქვა, დედამისსაც მიაწვდინა ხმა.

აღნიშნული განსხვავების გარდა თვალში გვეცემათ ძალზე მნიშვნელოვანი მსგავსება. „მე სიცოცხლეს ხელმეორედ შევწირავდი მშობელ მხარეს“, — ამბობს კაპიტანი ბუხაიძე და რიგითი ჯარისკაცი ლევანი კვერს უკრავს: „თუ გაუჭირდა სამშობლოს, კვლავ ცეცხლით დავიდაგებით“. ტყუპი ძმების დევიზივით ამეტყველებულა ექვმიუტანელი გამოვლინება ძველი საქართველოს სულისა.

ასე აღორძინდა თანამედროვე ქართულ პოეზიაში ეპიტაფიის თითქმის მივიწყებული ჟანრი. თვით ცხოვრებამ იხმო იგი, როგორც დაუანგებული გორდა — დაობებული ქარქაშიდან. დიდი ომის ტრაგედია ავანსცენაზე გამოსულ პოეტთა მოკარნახის როლს ასრულებდა.

...ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა: „პირველი პირით თქმა და ნაღვაწის ჩამოთვლა დამახასიათებელი არის ჩვენი საეპიტაფიო შემოქმედებისათვის. ჩვენს განკარგულებაში არის ათასზე მეტი ეპიტაფია, გადმოწერილი სხვადასხვა სოფლის საფლავის ქვებიდან, და ძალიან საინტერესო სურათი იშლება. მთელი ეს კოლექცია სრულიად გარკვეულად გვათქმევინებს, რომ ჩვენი ეპიტაფიები ყოველთვის მიცვალებულის პირით გველაპარაკება და ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს მოცემული“.

მიცვალებულის გლოვა-დატირება არც მთას დავიწყებია და არც ბარს, მაგრამ პირველი პირით ნათქვამი ეპიტაფია გაქრობის გზაზე დამდგარა, განსაკუთრებით — ქალაქად. ჩვენს დროში, როგორც იტყვიან, მოდიდან გამოსულა, თითქოსდა სამოსელს წარმოადგენდეს. უბრალო საფლავის ქვაზე ამოკვეთილი ეპიტაფია, რომელიც ყველა სოციალურ ფენაში იყო გავრცელებული, ეტყობა, თან გადაჰყვა საფლავის უბრალოებას და სისადავეს. მედიდურ და სოლიდურ აკლდამებს, ალბათ, აღარ შეეფერებათ, რომ მიცვალებულის პირით აუწყონ გამვლელს გულუბრყვილოდ ნათქვამი ამბავი მისი ცხოვრებისა და შენდობა სთხოვონ. მეტყველი ეპიტაფიის ნაცვლად — გულცივი, თითქმის დამუნჯებული წარწერები. ისინი არც შენდობას გვთხოვენ და არც არაფერს გვაუწყებენ.

დავუბრუნდეთ გიორგი ლეონიძის ლექსს. უცნობი ქართველი მეომრის საფლავი ვნახეო, ასე აღნიშნავს პოეტი თავისი შთაგონების წყაროს ეპიგრაფში და დასძენს, სახელად ლევანი რქმეოდაო.

საფლავების მეტს რას ნახავდა ომგადახდილ ტამანის ნახევარკუნძულზე (თუ ნებისმიერ მსგავს ადგილას), მაგრამ ძალაუნებურად ეჭვი შეგეპარება, მართლა „ლევანი“ ამოიკითხა საფლავის ქვაზე თუ უცნობ ქართველ ჯარისკაცს თვითონ დაარქვა ამორჩეული სახელი? ძნელი დასაჯერებელია, რომ პოეტს ტამანის ნახევარკუნძულზე ერთადერთი ქართული საფლავი შეხვდა და მაინცდამაინც „ლევანი“ ეწერა იმ საფლავის ქვაზე. საოცარი დამთხვევაა თუ უწყინარი მისტიფიკაცია? ახლა ვინღა გაგვცემს პასუხს დასმულ კითხვაზე. პოეტი ამ ქვეყნად აღარ არის და ეს პაწია საიდუმლოებაც სამარეში ჩაუტანია. ეჭვის ჭია კი დაჟინებით ფეთქავს: მართლა „ლევანი“ ამოიკითხა საფლავის ქვაზე და ბრწყინვალე ეპიტაფიად გალექსა თუ პოეტის ცნობიერებაში მთვლემარე ფაქტმა გამოიწვია ეპიტაფიის „ავტორის“ მონათვლა?

ვინ იცის, მეხსიერების არცთუ შორეული სიღრმიდან ეგებ ამოტივტივდა ტრაგედია ღვიძლი ძმისა, რომელსაც სწორედ ლევანი ერქვა სახელად. გულში ჩამარხულმა ტკივილმა სასწაულებრივ მიაგნო ერთადერთ გამოსავალს. საქვეყნო ტკივილის ზღვას შეუერთდა, სახალხო ტკივილში გაითქვიფა, არსებობის უფლება მოიპოვა. ტკივილის წყარომ თითქოს ამოხვრიტა მდუმარების კლდე, ამოხვრიტა და ამოწანწკარდა. ტაბუდადებული ფაქტი მორცხვად და მალულად გამოკრთა ლექსში. მხოლოდ შენიღბულს შესწევდა გამოღწევა დღის სინათლეზე. „მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“, — შეეძლო გაემეორებინა რუსთველის უკვდავი სიტყვები მეოცე საუკუნის ქართველ პოეტს.

ათიოდე წლით ადრე, გიორგი ლეონიძემ, როგორც ძველი ქართული მწერლობის მკვლე-

ვარმა, გარკვეული შრომა გასწია „ვეფხისტყაოსნის“ XVII საუკუნის ერთი ხელნაწერის ბოლოში დართული გალექსილი ანდერძის საიდუმლოების ამოსაცნობად. მან აღადგინა თავდაპირველი ტექსტიდან ამოთხეკილი სახელი ვინმე ზაზა ციციშვილისა, რომელიც მოკლულ იქნა არა ყიზილბაშებთან ომში, არა ბრძოლის ველზე მიღებულ ჭრილობათაგან, არამედ მშვიდობიან დროს, ქართველი მეფის ბრძანებით, „განდიდებისა და ამაყობის“ გამო. უსამართლოდ მოკლულ ფეოდალს ესეც არ აკმარეს, მისი ქონების კონფისკაცია მოახდინეს და მისივე დაკვეთით ძვირფასად შემკული „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერიც ახალი პატრონის ხელში აღმოჩნდა. მერე ზაზას სახელის გაქრობაც მოინდომეს და იოსებ ტფილელის მიერ გალექსილ ანდერძში, რომელიც სწორედ ხელნაწერის დამკვეთისა და პატრონის ხოტბას შეიცავდა („ვაქებ კაცს ბრძენსა, ჭკვით სავსეს, სარდალ სახლთხუცეს ზაზასა...“) ამოფხეკილ იქნა სახელი „დამნაშავისა“. ლექსის სტრიქონი გადაკეთდა და არაბუნებრივი სახე მიიღო. უდანაშაულოდ დასჯილს სამი საუკუნის შემდეგ გამოექომაგა ქართველი პოეტი და მკვლევარი, ვისი რეკომენდაციითაც რუსთველის პოემის აღნიშნულ ხელნაწერს ეწოდა „ზაზასეული“ ხელნაწერი.

იდგა 1885 წელი... და არ უწყოდა გიორგი ლეონიძემ, რომ ზაზა ციციშვილის ხვედრი ელოდა ლევან ლეონიძეს, ცნობილ ზოოტექნიკოსს, „მესაქონლეობის ლექსიკონის“ ავტორს, ქართველი პოეტების მეგობარს.

...საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გავრცელებულია ძალზე შთამბეჭდავი რიტუალი: პანაშვიდზე სამძიმრით მისული შავსამოსიანი დედაკაცი თავისი მიცვალებულის სურათს მიიტანს ხოლმე, გვერდით ამოუყენებს ახალგარდაცვლილის სურათს და ეხვეწება, იმ ქვეყნად რომ მიხვალ, ნუ დაიზარებ, მავანი და მავანი მოინახულეო, გაიგე, როგორ არიან, ხომ არაფერი უჭირთო. ერთი სიტყვით, მოკითხვას აბარებს თავისიანებთან. იგი მოთქვამს და დასტირის, „სხვის მკვდართან“ ერთად, „თავის მკვდარს“. ამიტომაც, ღმერთო შემცოდე, უფრო გულწრფელი და ძალდაუტანებელი უნდა იყოს მისი ცრემლები — საკუთარი მწუხარება, შერწყმული მოყვასის გლოვასთან.

რატომღაც ასე ვფიქრობ, რომ გიორგი ლეონიძემ თავის შემოქმედებით ქურაში გადაადნო აღნიშნული რიტუალის შინაარსი. ხმამაღლა ითქვა, თუნდაც „შეფარვით“, აკრძალული სახელი პოეტის ძმისა. სამარადისო დავიწყების სახელით რომ იყო დადაღული. უსახელო სიკვდილით მკვდარმა თითქოს გაიზიარა ომში დაღუპულთა უკეთესი ხვედრი — სახელოვანი სა[illegible] ოპტიმისტურმა ტრაგედიამ [illegible]ხსნა პოეტს, რათა ადრინდელი (არაოპტიმისტური) ტრაგედიის მსხვერპლიც დაეტირებინა, გულში ჩამარხული ვარამის ერთი წვეთი მაინც ეთქვა. ომმა კანონიერი უფლებანი მიანიჭა დარდსა და გლოვას, იატაკქვეშეთიდან გამოიყვანა.

სხვაგვარად ვერ გააჟღერებდა გამოუთქმელ ტკივილს. საძრახისსა და აკრძალულს იმდროინდელი ადათ-წესების თანახმად. დაკარგული ძმის სახელი დაარქვა სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპულ უცნობ ქართველ ჭარისკაცს და ამით მოიხადა თავისი ადამიანური ვალი — ძმას, უსაფლავოსა და სახელამოშანთულს, უზარმაზარ საძმო საფლავში მიუჩინა თავშესაფარი, საქვეყნოდ აღიარებული ეპიტაფიის წილიც არგუნა. სახელის გაცოცხლებაც რაღაცას ნიშნავდა. გაახსენდებოდა სულიერი ძმისა და მეგობრის, ღვიძლი ძმის მსგავსად გამქრალი პოეტის სიტყვებიც: „ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი სინდისით აღარ მოეთხოვება“... ქეშმარიტად!

თურმე ხევსურული ტრადიციით, როცა ჭირისუფალნი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, სამშობლოში ვერ ჩამოასვენებენ ახლობელი ადამიანის ცხედარს, სადღაც უპატრონოდ ჩაფლულსა თუ ყვავ-ყორნების ლუკმად მიგდებულს, თავიანთ სასაფლაოზე მოუზომავენ საფლავს, ოღონდ მიწას როდი ამოთხრიან, მხოლოდ ზემოდან შემოხაზავენ საფლავის არეს ბარით ან თოხით.

ამ ხევსურულ ტრადიციას მაგონებს გიორგი ლეონიძის ლექსის ფარული მოტივი. თუკი შეესაბამება სინამდვილეს ზემოთ გამოთქმული ვარაუდი, რომელიც არასოდეს მომსვლია თავში მანამდე, ვიდრე წინამდებარე წერილს ჩავუჯდებოდი, ვარაუდის ავკარგიანობა კი, დაე, მკითხველმა განსაჯოს! და თუ არ ირწმუნებს, დიდსულოვნად მომიტევოს მტკიცება იმისა, რასაც უტყუარი საბუთებით, ალბათ, ვერ დავამტკიცებ...

ღმერთმა დალოცოს პოეზია, შეუძლებელს რომ გახდის შესაძლებლად, წარმოუდგენელს — წარმოსადგენად, აკრძალულს — დასაშვებად; მკვდარს რომ აალაპარაკებს ცოცხალთა გასამხნევებლად და, რაც მთავარია, ჩვეულებრივ მკითხველს გადააქცევს პოეტად, რომელსაც თავის სიცოცხლეში ლექსი არ დაუწერია.

გქონდეს ნიჭი იმისა, რომ გაგახაროს და გაგაბედნიეროს ლექსმა, ესეც კმარა იმისათვის, რათა მადლობა უთხრა გამჩენს, რომელმაც წუთისოფლის ეკლიან გზაზე მიმავალ ადამიანებს მალამოდ მოუვლინა პოეზია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაკობ ახუაშვილი

# ეთნიკური პროცესები გარისის მიწაზე

ადამიანთა გადასახლება რეგიონის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ მნიშვნელოვან სოციალურ და დემოგრაფიულ ხასიათს ატარებს. მთიდან ბარში ჩამოსული ოჯახების სულადობა მკვეთრად ეცემა. მოგვიანებით შეინიშნება მოსახლეობის ურბანიზაცია, სოფლების ხარჯზე ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებების ზრდა, გადმოსახლებული, ახალ გარემოსთან შეგუების მიზნით, გვარის თავდაპირველ მოდელს იცვლის (ბერიძე) ბერიძეშვილი, წიკლაური (წიკლაურიშვილი), წითელაური (წითელაშვილი), წამალაძე (წამალაშვილი), კედელაძე (კედელაშვილი), კეკელიძე (კეკელაშვილი...). ცალკეულ შემთხვევებში, ძველისძველი ბინადარნი უცხო ტომის ხალხებში ითქვიფებიან.

გარისის წარსული და დღევანდელი ყოფა საგულისხმო მასალას იძლევა არა მარტო მიგრაციის ისტორიის, არამედ ეთნიკური პროცესების სრული სურათის წარმოსაჩენადაც.

ხალხთმცოდნეობითი და საისტორიო წყაროები, XVIII-XIX საუკუნეებში ჩატარებული მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალები, საოჯახო სიები, სტატისტიკური მონაცემები, საეკლესიო ჩანაწერები საშუალებას იძლევიან ხალხთა მიგრაციის სახეების დადგენისა. კერძოდ XIX ს-ის 60-იანი წლებიდან გარისისკენ მთიულებისა და ოსების გადმოსვლა-დასახლება. ქართველები (მთიულები) ძირითადად მდინარე ვერეს გაყოლებით, დიდგორის მიმართულებით, ოსები კი გარისის ჩრდილო-დასავლეთით არსებულ ყოფილ ქართულ ნასოფლარებზე მკვიდრდებიან. პირველნი ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ეთნიკური წარმომობის არიან, მათ ერთმანეთისგან განასხვავებს ბუნებრივი გარემო, ეკონომიკური და მისგან გამომდინარე სოციალურ-კულტურული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ცხოვრების უკეთესი პირობები აქვთ. მეორენი, აქ მოსვლისას, მეტნაკლებად ფლობენ დამხვდურთა ენას, მაგრამ განსხვავდებიან წეს-ჩვეულებებით, კულტურით, ყოფა-ცხოვრებით...

. კვლევის რეგიონში გვხვდება მიგრაციის ყველა სახეობა. აქ საქმე გვაქვს, როგორც რაიონის სოფლებს შორის გლეხობის მოძრაობასთან, ისე, საქართველოს კუთხეებიდან (შიდა ქართლი, კახეთი, იმერეთი) და სხვა ქვეყნებიდან უცხო ტომის ხალხების გადმოსახლებასთან. საქართველოს სოფლებში ყმა-გლეხთა შიდა მოძრაობის პროცესს განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიეცა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ (1864 წ.).

XIX საუკუნეში, გარისის ნაოხარ და მტრისგან იავარქმნილ მიწაზე, შიდა ქართლიდან, კახეთიდან, იმერეთიდან, მთიულეთ-გუდამაყრის ხეობიდან დიდძალი ხალხი გადმოდის, ბევრი სოფელი ალორძინდა, გაიზარდა. მაგალითად, 1823 წელს, მუხათში, ამ სოფლის წმინდა გიორგის საეკლესიო გლეხებად მოიხსენიებიან თავად დადიანის მიერ იმერეთიდან ოჯახებით ჩამოსახლებული დავით გეორგაშვილი, ბერო კახასძე სონიაშვილი (იგივე სვანაძე, 254. 1. 803. ფურ. 6). გორის მაზრის სოფ. წერონისიდან 1878 წ. დიდენაგეთში გადმოდიან ალექსი გიგოლის ძე ჟამიერაშვილი და მისი ვაჟი გივი (254. 3. 115. 186. ფურ. 189-220). 1867 წელს კოდიდან ამავე სოფელში გადადის იასე ნონიაშვილი და მისი ვაჟი ზაქარია (იქვე); გორის მაზრის სოფ. თამარაშენიდან (დღევ. ცხინვალი). 1823 წელს აქვე გადმოდის ყმა-გლეხი, ეროვნებით ოსი, გიორგი თედეშვილი, რომელიც თავადმა მიჩაგდოვმა გიორგი ბარათოვს აჩუქა. ენრიკო ბეკურაშვილი (იგივე ემანტოშვილი) ოჯახით გადმოდის თელავის მაზრის სოფ. საგარეჯოდან, იმავე წელს ქალაქ თელავიდან გადმოდიან დათუა დალაქიშვილი (ვაჟიშვილებით — ბაღია, დათია, სოლომონი, მიხეილი, ალექსანდრე); თევდორე გზირიშ-

ვილი (იგივე იმრავლეშვილი), გადმოდის გორის მაზრის სოფელ ქვახვრელიდან; სოსია დომელაშვილი, ძმა ნინია, დედა ბარბარე — თელავის მაზრიდან (254, 1, 802, 1823 წ. ფურ. 5-18).

გოგია ზაზიაშვილის (იგივე ფეიქრიშვილის) ძმა ნინია ტატიაშვილი მრავალრიცხოვანი ოჯახით — დისშვილი გოგია (ქიტესა), მეუღლე ბარბარე, გოგიას ძმები დავითი, იოსები, სიხარულა, ქიტესას ვაჟი მიხეილი, დედა ანნა — გადმოდიან ტფილისის მაზრის სოფ. მარტყოფიდან; დავით ინაშვილი, გორის მაზრის სოფ. მეჯვრისხევიდან; ტეტია (გოგია) პატიაშვილი, მეუღლე ნინო, ვაჟი, გიორგი, ქალიშვილი ნინო, დათია პატიაშვილი მეუღლე ანნა, ვაჟი ივანე გადმოდიან თელავის მაზრის სოფ. კარდანახიდან (გურჯაანის რ-ნი). ამავე წელს საეკლესიო ჩანაწერებით, „ვარდისუბანს (შავსაყდარი) მცხოვრებელს ტეტია კარდანახელს დაებადა ქალიშვილი მარიამი. განათლა ბორბალოს სოფლის ღვთისმშობლის მიცვალების შტატის ეკლესიის მღვდელმა მიტროფანე ჭონქაძემ. მიმქმელად მოიხსენიება ვინმე ფარსადანი“ (489, 6, 1-ბ, № 27, ფურ. 100)( „ვარდისუბანს მცხოვრებელს კარდანეხელს დათიას (იგულისხმება პატიაშვილი დათია, ი. ა.) დაებადა ქალი ბარბარე, მონათლა მიტროფანე ჭონქაძემ, მიმქმელი იყო ბერძენი ნიკოლა“ (489, 6, 1-ბ, № 27, ფურ. 100). გარისის მიწაზე უცხო ტომთა გადმოსახლება XIX საუკუნეში დაიწყო, მანამდე აქ არსებული 200-ზე მეტი სოფელი მხოლოდ ქართული იყო. ამჟამად მიგრაცია აღარ შეინიშნება. პირიქითაც ხდება. სომხებით დასახლებული სოფლებიდან (დაღეთი, დურნუკი, სამღერეთი, სამშვილდე) მოსახლეობა კლებულობს, რომელთა ძირითადი ნაწილი გადავიდა ქალაქში, მცირე ნაწილი კი, საშუალო და სპეციალური სკოლების დამთავრების შემდეგ, სასწავლებლად მიდიან სომხეთში, უმაღლეს განათლებას ღებულობენ და ზოგიერთი იქვე რჩება. ასი წლის მანძილზე (1886-1986 წ.წ.) სურათი ასეთნაირად წარმოგვიდგება: დაღეთ ხაჩინში იყო 306 კომლი (1698 მოსახლე), სამღერეთში — 27 კომლი (211 მოსახლე), დურნუკში — 92 კომლი (596 მოსახლე), სამშვილდეში — 110 კომლი (681 მოსახლე)( 1986 წლისათვის შესაბამისად დაღეთ ხაჩინში არის 128 კომლი (316 სულით), მოაკლდა 128 ოჯახი (1377 სული), სამღერეთში კომლთა რაოდენობა სამჯერ გაიზარდა, მაგრამ სულადობა არ მომატებია, დურნუკში დარჩა 55 კომლი, მოსახლეობა შემცირდა 503 კაცით და ა. შ.[1]

გარისის მიწაზე უცხო ტომთაგან ყველაზე ადრე გერმანელები სახლდებიან. გერმანული კოლონიის სოფ. ასურეთის მიწაზე გაჩენა ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკის გატარების განხორციელებას ისახავდა მიზნად.

საქართველოს კოლონიზაციის აუცილებლობის წმინდა ეკონომიკური მხარე ის იყო, რომ რუსეთი ცდილობდა ამიერკავკასია თავის ნედლეულის წყაროდ ექცია. ამისათვის კი საჭირო იყო აქ ჰყოლოდა საიმედო დასაყრდენი ძალა. რუს კოლონისტთა ჩამოსახლების რამდენიმე ცდა უშედეგოდ დამთავრდა. აქცენტი უცხოელ კოლონიზატორებზე გადაიტანეს. იმპერატორი ალექსანდრე I 1801 წელს საქართველოში რუსი ჯარების სარდალ გენერალ-ლეიტენანტ კ. თ. კნორინგისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ რესკრიპტში წერდა: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოში საზღვარგარეთიდან უპირატესად ქრისტიანი კოლონიზატორების მოზიდვას“.[2]

თავის მხრივ, როგორც რუსები, ისე გერმანიაში შერჩეული „აგიტატორები“ საქართველოში წამოსასვლელად აგულიანებდნენ შოტლანდიის კოლონიის გერმანულ ოჯახებს, მათ საქართველოს ედემის ბაღნარად უხატავდნენ, ჩასჩიჩინებდნენ უარი არ ეთქვათ ბუნებრივად მდიდარ მხარეზე, სადაც შრომითა და გარჯით შეეძლოთ ფუფუნებაში ეცხოვრათ და საკუთარი ბედით ტკბობას მისცემოდნენ.

...მართლაც, გერმანელთა მესამე, უფრო მოზრდილი ჯგუფი — 65 ოჯახი (807 სული) დასახლდა თბილისიდან 28 კმ დაშორებით მდ. ასურეთის მიდამოებში. გერმანელთა ამ ახალშენს ელისაბედტალი ეწოდა. კოლონია 1918 წლის 19 ნოემბერს დაარსდა, საეკლესიო კალენდარი კი ამ რიცხვში ელისაბედის სახელს მოიხსენიებს.

ცარიზმის კოლონიური რეჟიმის განხორციელება, საქართველოს მიწაზე რუსული სამხედრო ნაწილების ჩაყენებით დაიწყო. მეფის მთავრობა ცდილობდა რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებასა და, ამ გზით საქართველოში საიმედო დასაყრდენის შექმნას.

XIX საუკუნის ოციანი წლების დამლევს, თურქებისა და სხვათა თარეშისა და დაპყრობითი გეგმების ალსაკვეთად, მეფის მთავრობას საქართველოში დიდი რაოდენობით ჰყავდა ჯარი და საჭირო იყო მათი სხვადასხვა კუთხეში დაბანაკება-მოწყობა.

1820 წელს მეფის მთავრობამ გადაწყვიტა ჯარი ისეთ ადგილებში ჩაეყენებინა, სადაც ზაფხული გრილი და ზამთარი ნაკლებად ცივი იქნებოდა, სადაც, სამხედრო სწავლებასთან ერთად, დაისვენებდა და ჯანმრთელობასაც აღიდგენდა. თანაც მუდმივად სამყოფი ადგილიდან საზღვარი ახლოს უნდა ყოფილიყო, რისი გამონახვაც საქართველოში იოლი იყო.

ცარიზმის მესვეურებმა კარგად იცოდნენ, რომ ძველად ქართველები პლაცდარმად იყენებდნენ კოჯორს, მანგლისსა და დღევანდელ

თეთრი წყაროსაც. მთავრობის გადაწყვეტილებით, გარისის ნასოფლარზე, დღევანდელ თეთრიწყაროში შემდგომში („ბელი-კლიუჩი"), 1820 წელს, მუდმივად დასაბანაკებლად გადაყვანილ იქნა „მეგრელთა ეგერის" პოლკი (თუმცა პოლკის პირად შემადგენლობაში ქართველებიდან არავინ იყო თავისი შტაბით). მოგვიანებით აქ გაჩნდა რუსული დასახლებანი „სლობოდკა" და „პოსელენიე".

1824 წელს მანგლისში ერევნის გრენდარეთა პოლკი გადაიყვანეს და მანგლისსა და პრიუტში (ორბეთი) გაჩნდა რუსული დასახლებები.

1860-იან წლებში აქ მკვიდრდებიან ქართველები (მთიულები), ბერძნები და სომხები. მთიულები ვერეს ანუ „სკვირეთის" ხეობის გაყოლებაზე სახლდებიან. ვერეს ხეობაში ვახუშტი ბატონიშვილი ასახელებს შემდეგ სოფლებს: აკურისი, ბეთანია, ნახშირის გორი, წულელეთი, ღვევი, წვერი, ვანათი, დრე, შავთა.[3] ბოლო დრომდე ვერეს ხეობაში შედიოდა: ბაგები, წყნეთი, ნახშირგორი, მსხალდიდი, ახალდაბა, ბეთანია, კვერეთი, ორბეთი (პრიუტი) იგივე ძვ. მამისდაბა, პანტიანი, ახალი ზირბითი, ძველი ზირბითი, ღვევი, ზემო წყლულეთი, ქვემო წყლულეთი, ვანათი, დრე, შუა წყლულეთი, წვერი, ლასტის ციხე, მეორე შამთა, მესამე შამთა, აკურისი.[4] ამ სოფლებიდან ზოგიერთი ისტორიის კუთვნილებად იქცა.

ვერეს ხეობის სათავიდან წყნეთამდე თავდაპირველი მოსახლეობა აღარ ჩანს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ადგილობრივ მკვიდრთა ერთი ნაწილი ამოწყდა, დანარჩენნი კი საიმედო ადგილებში დასახლდნენ. რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულ სოფლებში: შავმთაში, ღვევში, ვანთაში, დრეში, წვერში, წყლულეთში, ზირბითში, ორბეთში... ძირითად მოსახლეობას შეადგენს მთიულეთიდან და გუდამაყრიდან გადმოსახლებული მთიელები და თითოოროლა ქართლის სოფლებიდან ამოსული ოჯახები, ორბეთში კი ცხოვრობენ, როგორც მთიულეთიდან და ქართლის სოფლებიდან გადმოხვეწილი ხალხი, ასევე მეცხრამეტე საუკუნეში დასახლებული რუსებიც.

დღეს აქ მცხოვრები წ ი კ ლ ა უ რ ე ბ ი და ბ ე ქ ა უ რ ე ბ ი, თავიანთ თავს გუდამაყრის სოფ. მაქართიდან მოსულებად თვლიან და პირიმზე ფუძის ანგელოზის ყმებად აცხადებენ თავს, როგორც გუდამაყრელნი, ისე აქ გადმოსულები იტყვიან, წიკლაურები და ბექაურები ერთი „გვარის ხალხი" ვართო, და ძმების „ბექასა" და „წიქასაგან" წარმოსდგაო. ხშირად გაიგონებთ ასეთ საუბარს:

„— აქ, გუდამაყარში, არის ოთხი გორის კაცი: ერთი — ბექაური, მეორე წიკლაური, მესამე — აფციაური, მეოთხე — ჩოხელი. როგორ შაიძლებოდა, ბექაური წიკლაურის ქალს ითხოვდა და წიკლაური ბექაურისას/ მამრელა უთხოვია, ბიძაისავ!

— სუ ადრევა, აი აკოს [illegible] ეხლა, ქევსურები ვართ, იქი[illegible]ნი. მას აქათ იქნება ათი მამა. ბექაი და წიკლაი ძმანი ყოფილან. ვერ ჩახვდომიან ერთმანეთსა. მერმე ძაღლი გაუკვეთია, შუა გაულია: ერთურთში ქალი გვერგოსო".[5]

ამავე ხეობაში მცხოვრები აფციაურებიც გუდამაყრიდან გადმოსულებად და სოფელ ცხვედიათის მკვიდრად თვლიან თავს. ჩოხელები „ჩოხიდან", ხოლო ბურდულები მლეთიდან წარმოსულებად ითვლებიან.[6]

ამ კუთხეში მთიელთა გადმოსვლის ერთ-ერთი მიზეზი მიწის ნაკლებობა და ცარიზმის აუტანელი პოლიტიკა იყო. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ფართო მასშტაბით დაიწყო სამხედრო გზის გეგმიანი შეკეთება და გაფართოება, რაც მძიმე ტვირთად დააწვა დარიალისა და არაგვის ხეობის მთიელებს. მთიელთა ხვეწნა-მუდარამ, აჯანყებამ, საჩივრებმა შედეგი არ გამოიღო.

ცხოვრების აუტანელმა პირობებმა, მიწის უკმარობამ, არაადამიანურმა მოპყრობამ აიძულა მთიული და მოხევე მიეტოვებინათ დედულეთი და სხვაგან გადახვეწილიყვნენ. მოხევეთა ნაწილი კავკავში (დღევ. ორჯონიკიძე) გადავიდა. იქ მამები თუ ქვის მთლელობასა და ასასობას მისდევდნენ, შინ დარჩენილი პატარა ბალღები უსაქმურად დაწანწალებდნენ, ზაფხულობით მთელი დღე თერგის პირას ეყარნენ. ასეთი საქციელი სახელს უტეხდა მოხევეს.[7] სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ უმიწაწყლო მოხევე კავკავში კი აღარ მიდიოდა, არამედ გეზს მანგლისისა თუ ქსნის ხეობისკენ იღებდა; აქ მამულს შოულობდა, პატიოსანი შრომითა და ჯაფით გაჰქონდა თავი.

ცარიზმის პოლიტიკის მთლიანი ჯაჭვის ერთ რგოლს ოსმანთა იმპერიიდან კავკასიაში ბერძენთა და სომეხთა ორგანიზებულად გადმოყვანა და თურქეთის მოსაზღვრე რაიონებში ჩასახლება წარმოადგენდა. აქ ისინი რუსთა ურთგულესი წინამავალი რაზმი უნდა ყოფილიყო. კავკასიაში (მათ შორის, საქართველოში) ბერძენთა გადმოსახლების საქმეს ხელმძღვანელობდა 1810 წელს სპეციალურად შექმნილი „კავკასიაში თურქეთიდან ქრისტიანთა გადმოსახლების კომიტეტი", რომელიც მცირე აზიაში სასურველი საქმიანობის შედეგების მისაღებად ძირითადად სასულიერო პირებს იყენებდა. ბერძენთა დიდი ჯგუფი (120 ოჯახი) 1818 წელს ჩამოიყვანეს და დროებით ქართულ ნაქალაქარ წინწყაროს მიწაზე გააჩერეს. აქ მხოლოდ რამდენიმე მგზავრობით მოქანცული და დაუძლურებული ოჯახი დარჩა, სხვები კი გადაიყვანეს და დღევანდელ წალკის ტერიტორიაზე ქართულ ნასოფლარებზე დაასახლეს. გაჩნდა

სოფლები: ახალიკი, ბაშკოი, გერეკი, ლაქა (რეხა), ნარდევანი, სანამერი, თაკ-კილისი, ბადიკი, შიპეკი. ამჟამად სოფ. წინწყაროში მცხოვრები ბერძნების ძირითადი ნაწილი 1855 წელსაა ჩამოსული.8 კავკასიის მთავარმართებელ მ. ვორონცოვის მითითებით, 1854 წელს ჩატარებული აღწერით, წინწყარო მართლმადიდებელი ქართველებითაა დასახლებული".9 თურქეთიდან ბერძნული წარმოშობის ხიზნების მოსვლა საქართველოში არა თუ XIX ს-ში, არამედ XX საუკუნის 30-იან წლებამდე არ წყდება. მიგრაცია განსაკუთრებით 1853-1856 წ.წ.-ის ყირიმისა და 1877-78 წ.წ.-ის რუსეთ-თურქეთის ომების პერიოდში გაძლიერდა. თეთრწყაროში ირაგაში ბერძნები 1865 წელს,10 ჯიგრაშენში კი 1872 წელს დასახლდნენ. ამავე პერიოდს მიეკუთვნება რეგიონში სომხებითა და ოსებით დასახლებული სოფლების დურნუკის, დალეთის, სამშვილდის, სამღერეთის, დმანისის, ზემო ახალშენის, ქვემო ახალშენის, ქვემო ახკალაფის, წყნარი აბანოს, ფიტარეთის, მენქალისის, ნავთიანის, ზემო ჰინჰრიანისა და სხვ.გაჩენა.

გარისსა და თრიალეთში დასახლებული სოფლების მიწები ეკუთვნოდათ მემამულეებს: ბარათაშვილებს, ყაფლანიშვილებს, ორბელიანებს, აბაშიშვილებს, აბულფათიშვილებს, აფხაზიშვილებს, თაყაშვილებს, თუმანიშვილებს, იოთამიშვილებს, ვარაზიშვილებს, , გილაქიშვილებს ელიოზიშვილებს, ზაზუნაშვილბს, თარხნიშვილებს, თულაშვილებს, მალალაშვილებს, მერაბიშვილებს, საგინაშვილებს, საჩინოსშვილებს, სოლოღაშვილებს, ზურაბიშვილებს, ასლანიშვილებს, უსუფბეგაშვილებს, ყორღანაშვილებს, შალიკაშვილებს, ციციშვილებს, შარაშიძეებს, ჯავახიშვილებს, რასაც ადასტურებს „გადმოსახლებულთა კომიტეტის" მიერ შედგენილი და რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილი უწყება, ასევე „მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში" (11, 12, 13, 14) და ზემოთ მოხსენიებული კამერალური აღწერის მასალები.

XIX საუკუნეში, რუსეთის იმპერიის თაოსნობით, საქართველოში რამდენჯერმე ჩატარდა მოსახლეობის აღწერა, რომელთა მიზანს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გარკვევა შეადგენდა.

საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ საოჯახო სიების დედნების მეცნიერული დამუშავება და შესწავლა მართლაცდა, როგორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს,15 აქტუალურია.

საქართველოში უცხო ტომთა შემოხიზვნა და დასახლება ადრეულ ხანაშიც ხდებოდა, მაგრამ განსაკუთრებით აქტიური ხასიათი დავით აღმაშენებლის მეფობის წლებში მიიღო. მეფემ ქვეყნის ცენტრალიზაცია მოახდინა. ამ მნიშვნელოვანი საქმის განმტკიცებისათვის საჭირო იყო მუდმივი სამხედრო სამსახური, რისთვისაც „ჩრდილო კავკასიიდან 40000 ყივჩაღი გადმოასახლა, ნაწილი ჩაასახლა აღმოსავლეთ საქართველოში, თურქ-სელჩუკთა შემოსევების შედეგად გაპარტახებულ შიდა ქართლში, ჩრდილო სომხითში, ჰერეთში, საქართველოს საზღვაო-სანაპირო ზოლში, მათ მოვალეობას სახელმწიფო საზღვრის გამაგრება შეადგენდა".16

„...დავით აღმაშენებლის ქართულ სამხედრო ლაშქარში გაერთიანებული იყვნენ ყივჩაღები, ოსები, ლეკები და ქურთი დაქირავებული მოლაშქრენი".17 საქართველოს ქალაქებში მრავალი იყო არაქართული, კერძოდ მუსულმანური, ებრაული და სომხურ-გრიგორიანული მოსახლეობა.

ქართველების მხარდამხარ სომხები ცხოვრობდნენ შიდა ქართლში (მცხეთა, დუშეთი, მუხრანი, ქანდა, ახალგორი, უფლისციხე, ქვახვრელი, გორი, კარალეთი, ტყვიავი, ძევერა, ატენი, სურამი, კავთისხევი, ყარალაჯი, ახალქალაქი, ატოცი, ცხინვალი, ვაყა, ალი, ნაბახტევი და სხვ.) წყაროები მოწმობენ, რომ სომხები დუშეთში 1760 წელს, 1761 წელს ახალგორში, 1770 წელს სილნალსა და ბოლნისში, 1793 წ. თელავში ჩასახლებულან.18 გარისის მიწაზე სომხური ელემენტი უკვე ჩნდება XVIII საუკუნის II ნახევარში კოდაში, ხოლო XIX საუკუნის ბოლოს სოფლებში: არდისუბანში, ვაშლოვანში. 1854 წლის აღწერით, გარისის მიწაზე სომხებითა და ქართველებით დასახლებულ სოფლებს შორის მოიხსენიება მხოლოდ ვაშლოვანი და ვანეთი".19

1886 წელს სომეხ-გრიგორიანთა რიცხვი საგრძნობლად იზრდება სოფლებში, სადაც ტერტერა გამოჩნდა, სომხური ეკლესია გაჩნდა, ქართველ მღვდელთან ერთად წირვა-ლოცვას ატარებდა და მრევლიც გაიჩინა. მიუხედავად სომხური და ქართული ეკლესიების განსხვავებისა, რაღაც სასწაულით მაინც ქართველები სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიას ეტანებოდნენ. რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებდა. საგულისხმოა გ. მაისურაძის წიგნში მოტანილი საინტერესო საბუთი, რომელიც წარმოადგენს ქალაქის ვაჭარ-ხელოსნებისადმი მიმართულ მეფე ერეკლეს ბრძანებას, სადაც ნათქვამია: „ვინც ქართლისა და კახეთის აღებ-მიცემის კაცნი არიან, დუქნის პატრონი, ქართველი, სომეხი, ფრანგი, თათარი, ჰურია, რა მილეთის კაციც არ უნდა იყოს, მათს ბაღალს ვიყაბულებთ".20 საქმე ეხება, სამხედრო ბეგარაში გაწვევისას, სანაცვლო დაქირავებული კაცის გაგზავნას. ჩა-

მოსახლებულ სომხებზე მიწების გაცემა, სახელმწიფოს მიერ გარკვეული დახმარება და სხვა. მრავალი შეღავათი. მაჰმადიანური სამყარო სომხურ ეკლესიას არ ავიწროებდა, ქართველთათვის ერთგვარ სატყუარას წარმოადგენდა, რასაც ღარიბი გლეხობა თუ ღარიბი ქართველი მოქალაქენი ადვილად ეტანებოდნენ. ამ ნიადაგზე ბევრი ქართველი ღებულობს გრიგორიანობას და სომხად ეწერება. გასომხება გარისის სოფლებსაც, — კოდას, მუხათს, ერტისს, ვაშლოვანს, ბოგვს, ენაგეთს, არდისუბანს, დიდენაგეთს, დიდ და პატარა თონეთს — შეეხო.

XIX ს-ის მეორე ნახევარში, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, მრავალი ქართველი მებატონის მამული სომეხ დიდვაჭრებს უვარდება ხელში. ხშირად ჩასახლებული გლეხები ახალი მებატონის სარწმუნოებასაც ღებულობდნენ.[21] დიდ თონეთში ცხოვრობდნენ ასლამაზაშვილები. მანამდე ქართველებს ჰქონდათ გვარი ლამაზაშვილი. გვარის პატრონები ყოფით, წეს-ჩვეულებებითა და კულტურის ყველა ნიშნით ქართველები არიან, სომხურ ყოფასთან საერთო არაფერი აქვთ. მათი მშობლიური ენა ქართულია. ისტორიულ დოკუმენტებში გვარი ასლამაზაშვილი გვხვდება 1615 წ. Sd 854),[22] 1689 წ. Hd 767, 1782 წ. (Sd 2987) და შემდეგ წლებში. ამ სომხური ეთნოსისადმი მიკუთვნებულ გვარსახელს აქვს მეორე, მესამე და მეოთხე ვარიანტიც. ასეთი გვარები ამ მხარის მცხოვრებთათვის ჩვეულებრივი მოვლენაა. აღწერაში ფრჩხილებში მითითებული მეორე გვარსახელები ОН—Же ადრინდელ გვარებს წარმოადგენენ. „მეორე.. გვარით პიროვნების მოხსენიება დამახასიათებელი იყო XIX საუკუნის თითქმის ყველა კამერალური აღწერისათვის, რა თქმა უნდა, თუ ასეთი მეორე (ანუ ძველი) გვარსახელი ჰქონდათ". დღევანდელ თეთრიწყაროს რაიონის სოფ. დიდ თონეთში მცხოვრებ ასლამაზაშვილებს ჰქონდათ შტო-გვარები — ზურაბაშვილი (1738 წ. 245, 20/33); ფეიქრიშვილი (254-3-1608); რამაზაშვილი (254-3 — ფურ. 82-146). კოდაში ზოგიერთ სხვა გვართან ერთად დოლმაზაშვილები (რუსული გაფორმებით დოლმაზოვი) სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებაზე მოქცევის შემდეგ სომხებად არიან აღიარებული.[23] დოლმაზაშვილთა ადრინდელი გვარი შანშიაშვილია. მისი ხუთი ვაჟიდან შუათანამ, სახელად დოლმაზამ, ამ კუთხის ყველა დავის მოწმემ და მოსამართლემ, აწარმოა გვარი დოლმაზაშვილი. დოლმაზაშვილ-შანშიაშვილთა შტოგვარებია: პაპიაშვილი, გოგიბაშვილი, მარტუილოზაშვილი, გლახაშვილი (იგივე დოლმაზაშვილი): შვილები მათე, იაგორა, მიწათმოქმედი, ქართველი, მართლმადიდებელი (254, 1, 2043, 1843 წ. ფურ. 275). ბუდახაშვილი (მოგვიანებით ბუდალოვი) უძველესი და ცნობილი გვარია.[24] ბუდახაშვილების ყმა-გლეხს ყიდულობენ თუმანიშვილები (1859 წ. აპრილის 6).[25] ბეჟან და პაპუა ბუდახაშვილებს სოფ. ეშვის-წყაროს ყიდულობენ ბარათაშვილები და თაყაშვილები.[26] ვაშლოვანში დემეტრე ეშიკაღაბაშის ყმად 1781 წ. მოიხსენიებიან ბეჟია და როსტომ ბუდახაშვილები.[27] სოფ. წყალსაყურს მცხოვრები ბუდახაშვილები 1823 წლის კამერული აღწერით, დავით გარეჯის მონასტრის გლეხები არიან (254, 1, 801, ფურ. 12-23). ტფილისის მაზრის სოფ. წალასყურში მცხოვრები აბრამა გიორგის ძე ბუდახაშვილი, მართმალიდებლისა სარწმუნოებისა, ქართველი, ქორწინდება ფარცხისში მცხოვრებ პავლე ადოლაშვილის ასულ მაგდალინაზე და ჯვარს იწერს დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში. ჯვარი დასწერა და გვირგვინი დაულოცა მღვდელმა ზაქარია ბარნოვმა, პრიჩეტნიკია ილია თეთრაძე".[28] ორი და მეტი გვარი გააჩნდათ: აზრუმელაშვილს იგივე ნურიკაშვილი, ალთუნაშვილი (ოქროაშვილი, მინასაშვილი), ამურველაშვილი (ოქროსაშვილი, ერწველაშვილი, ერწოული), ასლანიშვილი (ადამაშვილი), ასლუაშვილი (ზურაბაშვილი), ვარდანაშვილი (ბაჯიაშვილი), ბერაშვილი (ფეიქრიშვილი), პაპაშვილი (გობრიშვილი), გრიგორაშვილი (მესტვირიშვილი), გულასპაშვილი (გურასპაშვილი), დემურაშვილი (თოროსაშვილი), დესპოზიშვილი (საგინაშვილი), ერასტიშვილი (რევაზიშვილი), თვაური (დოლენჯაშვილი, ჯაჯანაშვილი), თუმანიშვილი (ბეყანიშვილი, თაყაშვილი), ინათობელი (მახარობლიძე), პაპალაშვილი (ლაპიაშვილი), კაციაშვილი (ადამაშვილი), ლარაძე (პაატაშვილი), მაჭკალაშვილი (ბეგნაზარაშვილი), მიკირტუმაშვილი (ზურაბიშვილი, სოფ. კოდაში), ნაზარაშვილი (ყვაველაშვილი, პოჩიკაშვილი), რევაზიშვილი (ქაიხოსროშვილი, ბეყანისშვილი, ერასტისშვილი, გივისშვილი), სააკაძე (თარხნიშვილი, ალიყულაშვილი), საგინაშვილი (ფარემუზაშვილი, ინდოშვილი, ზურაბიშვილი), სამხარაული (მეხინაშვილი), სეხნიაშვილი (ჯინჭველაშვილი), სელიპანაშვილი (ფარემუზაშვილი), სომხიშვილი (ელიაზარაშვილი), სტეფანაშვილი (კუპაძე), სულხანიშვილი (ქრისტესი-

აშვილი), ტატიაშვილი (ტატუაშვილი), ქაიხოსროშვილი (თავადიშვილი), ქიტილაშვილი (დემეტრაშვილი), ყორღანაშვილი, (როინიშვილი, როსტომაშვილი, არდაზდიანიშვილი, მერაბიშვილი, ავდროზანაშვილი), შერმაზანაშვილი (მარქარაშვილი, მოლოდინაშვილი, მენაბდიშვილი (გორში), შიოშვილი (ხუხაძე, წამალაშვილი), ციციშვილი (ბაადურისშვილი, სარდლიშვილი, ნოდარისშვილი, რამისშვილი, პაპუნაშვილი, ზაალიშვილი), ხატიაშვილი, (აზატაშვილი), ხოსიტაშვილი (ჯიმშიტაშვილი), ხუდავერდაშვილი (პერილიხაშვილი, ფერშანაშვილი, ფერიხანაშვილი) და სხვ.

ჩვენი დაკვირვებითაც ხშირად ეთნოგრაფიული მასალა (გადმოცემა) გვარის სადაურობა-წარმომავლობის შესახებ და დოკუმენტური მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა. თაობებიდან თაობას გადაეცემა მრავალი საინტერესო, როგორც გვარტომეულობის, ისე წინაპართა ხელობა-საქმიანობაზე. სოფ. მუხათში ბაჯიაშვილთა უფროსმა თაობამ იცოდა, რომ ვარდანაშვილები იყვნენ და თავიანთი რძლის, სახელოვანი გმირი ქალის, ანა-ბაჯის შემდეგ ბაჯიაშვილები გახდნენ. დიდ თონეთში მცხოვრებ ასლამაზაშვილებს დღესაც ფეიქრიანთ ეძახიან, სოფ. ჯორჯიაშვილში მცხოვრებ დავიდოვებს გურგენაანთ ეძახიან. დაბადების წიგნის ჩანაწერებით, დადგინდა, რომ მათი წინაპარი გურგენ დავითაშვილი, მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ქართველი ყოფილა.

XIX საუკუნე გარისელთა ცხოვრებაში ახალი ეტაპია. სოფლებს მომრავლების საშუალება მიეცათ. გარისში ამ დროს მიმდინარეობს მეზობელი რეგიონებიდან უმიწაწყლო გლეხების გადმოსვლა და დამკვიდრება. ბატონ-ყმობა ხელფეხს უხსნის ქვემო ქართლის მოსახლეობის შინაგან მიგრაციებს. ნათქვამის საილუსტრაციოდ ზოგიერთი მაგალითის აღნიშვნაც კმარა.

კოდა 1721 წელს ვახუშტი ბატონიშვილის აღწერაში არ მოხვედრილა იმის გამო, რომ აქ მცხოვრებნი აღარ ყოფილან. სოფლის ხელახალი ლონისძიება XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება, 1781 წლის აღწერაში პირდაპირაა მითითებული, თუ რომელი გვარის კაცი რომელი სოფლიდანაა მოსული.

ამჟამად სოფ. კოდაში მცხოვრებლებზე საკმაო მასალას იძლევა 1781 წლის აღწერის სიები.[29] აღორძინებულ სოფელში საცხოვრებლად მოსულან შემდეგი სოფლებიდან: ხოპისი, ბოგვი, ნახიდური (დღევ. არაფლო, მარნეულის რ-ნი), ეგრისი (დიდი და პატარა ეგრისი, ყარაბულახში), აქედან გვარი ყარაბუდახისშვილი, [illegible] ქციაში. ბევრეთი (სოფ. მეოთხე სადროშოსი), ტნუსი (სოფ. დბანისში), ძველი ქვეში, საკარა (საკარისები, საკარი, ორი სოფ. დმანისში), წიფორი (სოფ. დბანისში), ანდრია (სოფ. ქციაში), ქვეში, ლოუბანი, სალორისი (სოფ. ალგეთში), ანდიკა (სოფ. დბანისში), ერტისი.[30]

ამ აღწერის მონაცემებით, ქართველი დიაკონის დავითიასთან ერთად მოიხსენიება ტერფილიპე და ტერგრიქოლა. 1828 წელს კოდაში ქართველი მღვდლის იაკობ აბრამიშვილის გვერდით, მოიხსენიება ტერარაქელა სარქისიანი. კამერალური აღწერის ჩანაწერების სიზუსტეს ადასტურებს მღვდელი ტერდავიდოვი. ქართულ საყდართან ერთად, სოფელში სომხურმა ეკლესიამ XX საუკუნის 30-იან წლებამდე იარსება. თითქმის საუკუნე ნახევრიანმა „მოლვაწეობამ“ უკვალოდ არ ჩაიარა. უცხო ძირზე (არაბ. თურქ. სპარს.) დაშენებული ბევრი გვარი სომხურ-გრიგორიაანულ სარწმუნოების მქონედ და სომხად მოინათლა, მათ შორის, თვით ჯავახიშვილი, გულასპაშვილი, დათაშვილი, ყვაველაშვილი, კაციაშვილი, ყულიაშვილი, მეკოკიშვილი, დიმიტრაშვილი, კედელაშვილი, ბეჟანიშვილი, პაპაშვილი, პატაშვილი... ძამუნაშვილი, ჩიტუაშვილი, კაკალაშვილი...

აღნიშნულ გვარებთან ერთად, სოფელში მოიხსენიებიან ბასილაშვილი, გოგინასშვილი, ახვსიაშვილი, დესპოტაშვლი, ბარნაველი (ბარნოვი), ბაგრატიშვილი, მჭედლისშვილი, ირემაშვილი, დავითაშვილი, სეხნიაშვლი, ავგაროზაშვილი, ზაქარასშვილი, ნეგულაშვილი, ლუარსაბასშვილი, ბოჩოლასშვილი, რევაზასშვილი, ძმანაშვილი, სულხანაშვილი, ყელბერაშვილი და სხვ. კოდა ქართველი თავადებისა და აზნაურების სამფლობელო სოფელია, დაარსებულია ქართული სოფლების ხარჯზე, სომხური ელემენტის ჩასახლებაზე მასალებში მინიშნებანი არ არსებობს (გარდა XII საუკ. როცა აქ დავით აღმაშენებელმა ორი კომლი ჩაასახლა). კამერალური აღწერის მონაცემებთა მიხედვით, კი 1878 წელს სომხურ კომლთა შორის აღრიცხულია 21, ხოლო 1886 წ. — 84.

ეთნოგრაფ ნ. ვოლკოვას 1976 წელს დმანისის რაიონის სოფ. ვარდისუბანში ასეთი საინტერესო მასალა აქვს აღნიშნული: ვარდისუბანში ცხოვრობენ ქართველები და სომხები. სომხები ეწერებიან მინასიანცებად, მიქაელიანებად, ავაქიანებად და მარქარიანებად, რაც პასპორტშიც უწერიათ. მათი მშობლიური ენა ქართულია. ყოფითი წესჩვეულებებითა და კუ-

ლტურის ყველა ნიშნით ქართველები არიან, სომხურ ყოფასთან არაფერი აკავშირებთ. თითქოს ისეთი სურათი იქმნებოდა, რომ სომხების ქართველებთან ასიმილაციას უნდა ჰქონოდა ადგილი, სინამდვილეში კი ეს ასე არ არისო, წერს ნ. ვოლკოვა. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ წარმოშობით ქართველები არიან და აქ ასიოდე წლის წინ მოსულან სხვადასხვა რაიონებიდანო. ასე, მაგ., მინასიანებისა და მიქაელიანების წინაპრები დილმელი თეთრაძეები ყოფილან, რომლებიც დილმიდან სამი თაობის წინ გადასულან. მარქაროვების წინაპარნი გორელი მენაბდიშვილები ყოფილან, მარქაროვებს ვარდისუბანში ახლაც მენაბდიანთ ეძახიან და არა მარქაროვებს. აქაურებს კარგად ახსოვთ, თუ როგორ გადააკეთა ადგილობრივმა სომეხმა მემამულემ ქართველებს ქართული გვარები სომხურად.[31] ლამბარაშვილი 1908 წ. გადაკეთდა ქანდურამიანცად, აკუაშვილი — გევორგიან ოკონცად, შ. კვაშიშვილი — რუბენ ფაშიკიანცად (1916, 13/IX), ივანე უურაშვილი (ოჰანეზ ნასყიდიანცად (1912, 5/X, 254, აღწ. 3, წიგ. 2); დონდუა დონდაროვად, გიორგაძე, გრიგორიანცად, ხიმშიაშვილები, ძვ. თავადები, ცხოვრობდნენ ქვედა აჭარაში გათათრების გამო ზოგიერთი მათი გვარისა ქართლსა და კახეთში გადმოსახლებულა. ერთ-ერთ მათგანს სიმონი რქმევია. აქედან გაჩენილა გვარი სიმონიშვილები. თელავში მცხოვრები სიმონიშვილები XVIII ს. დაკავშირებიან გრიგორიანობას და სიმონოვად წოდებულან. ერთი მეტივიშვილი (ბორჯომის მხრიდან ჭობისხეველები), დაკავშირებია გრიგორიანობას და მეტივეანცად მონათლულა, დღევანდელი სომეხი ხუბლაროვები მეგრელი ხუბლარიების შთამომავალნი არიან. ჭიპაშვილის გვარი გადმოსახლებულა XVIII ს. იმერეთიდან, მათგან ნაწილი სომხურ რჯულზე გადავიდა და ჭიპიანცად იწოდა. აბულაძეები (ჯავახეთში არის მთა აბული) ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ამათგან რამდენიმე წევრი დაკავშირებია გრიგორიანობას და გვარი გადააკეთებიათ აბოლოვ-აბულიანცად და სომხობენ. გველესიანი ქართული გვარია (ქართველი მოღვაწე და გაზეთ „ალორძინების" რედაქტორს გრ. გველესიანს „ნორდარში" გველესიანცი უწოდეს). გულაშვილი (ივანე გულაშვილი) შემდეგ გადაკეთდა ივანგულათ, ივანგულოვად, დღევ. ივანგულოვები. მამულაშვილი (მამულოვი), ლაშქარაშვილი (ლაშქაროვი), წამალაშვილი (წამალიანცი) და ა. შ.[32]

ქართველთა გასომხების შემთხვევები განსაკუთრებით მომრავლდა და შესამჩნევი გახდა მას შემდეგ, რაც 1881 წ. 19 იანვარს საქართველოში სომხურ სასულიერო საქმეთა მართვისათვის არქიეპისკოპოსად ომანეს დაინიშნა (254, 1, 1217, 1802-1849 წწ. ფურ. 50); ქ. გ. ბასილაშვილი გადაკეთდა ქ. გ. ბასილიანცად (254, 8, № 8921, საქმე 485, 1911-1912 წწ.) გ. მდივნიშვილი ჯერ გახადეს დივანოვად, შემდეგ მდივანიანცად (254, 8923, № 502); ყაითმაზაშვილი (თავადი), ყაითმაზოვად (254, 8947, № 158, 1911 წ.); ჩილინგარაშვილი[33] (ჩილინგაროვი, ჩილინგარიანცად), მინასაშვილი (მინასოვი, მინასიანცად) (254, 9058, № 349, 1912 წ.). იმავე საქმეებში ვკითხულობთ:

«Об исправлении отчества и фамилии Манташева Г. И. он же Леван Иванович Замашвили (Манташев) на Манташянц» (254, 9090, № 13, 1911, 30/I); «...Об установлении происхождения племянника Лалиашвили З. О. на Георгия Лалянц» (254, 9117, № 79, 1911); об исправлении по камерального описанию возраста сына Пашашвили Ш. К. (Пашикянц Рубена)»; «Об исправлении имен и фамилии Ивана (он же Ованез) Курашвили (он же Насхидянц) и о выдаче ему паспорт» (254, 9252, № 415, 1912—1913, 12/X); Об исправлении фамилии Джавахишвили на фамилии Джавахянц» (254, 9265, № 492, 1912—1913); «...Зубиашвили на Зубянц» (259, 9309, № 289, 1912); «...Георгий Габриелович Кочиашвили он же Шахназаров (254, 9333, № 349, 1912); «...Вано Гарибашвили (Гарибов)» (254, 9385, № 387, 1912, 13/IX); «...Зурабишвили (Зурабов, Зурабянц)

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

დასკვნისათვის კვლავ დავესესხოთ ნ. ვოლკოვას. ბერძნებთან დაკავშირებით იგი წერს: „საქართველოში თურქეთიდან 100-150 წლის წინათ გადმოსახლებულმა ბერძნებმა (მათი სოფლები არსებობს წალკისა და თეთრი წყაროს რაიონებში, აჭარასა და აფხაზეთში), ქართველ მოსახლეობასთან მნიშვნელოვანი კონტაქტების გამო, დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ენა, ეთნიკური ნიშნები, კავკასიაში გადმოსახლებამდე მათში გავრცელებული ტრადიციული კულტურის ელემენტები".[34] თუ არა მხოლოდ ხელოვნურად თავს მოხვეული სომხურ-გრიგორიანული სარწმუნოება, მრავალ ჭირვარამგამოვლილი კაცი, საკუთარი სამშობლოსთან მეზობლად მცხოვრები, ნაკლებად დასაჯერებელია, რომ ასე მოკლე ხნის მანძილზე დაივიწყებდა მშობლიურ ენას და სხვა ენას შეითვისებდა.

გარისის მიწაზე ზოგიერთ სოფელში მცხოვრებთა ერთი ნაწილი უწინ თავის სომხობას მხოლოდ იმაში გამოხატავდა, რომ მათი ოჯახის რომელიმე წევრი ეგუებოდა იმას, რომ სომეხ ტერტერას ტრადიციული სომხური სახელი (იაკობის ნაცვლად აკოფა, იოანეს ნაცვლად ოჰანეზა, გიორგის ნაცვლად გეურქა (გეო), გრიგოლის ნაცვლად გრიქურა, არუთინას, არუთენას ნაცვლად არუთინა (თუმცა არუთინა თურქულია) და სხვ. დაერქმია.

ვინც კი კამერალური აღწერის დავთრებს თავიდან ბოლომდე თვალს გადაავლებს, შემდეგ საეკლესიო ჩანაწერებს შეადარებს, დაინახავს, რომ მსგავსი სურათი შეინიშნება იმ სოფლებში, რომელთაც, გარკვეული მოსაზრებით, სომეხი მღვდელ-ტერტერა ემსახურებოდა. გრიგორიანული საყდარი ქართული ეკლესიისგან ერთგვარად განზე იდგა, რასაც სომხური მოსახლეობა და სომხური მღვდელმსახურება, როგორც ერთგვარ ფარს მოხერხებულად იყენებდა და ქართულ სოფელში, სადაც კი ერთი სომეხი (მოსომხო ელემენტი) იყო, თავისი საყდრის ფილიალს აარსებდა.

დღევანდელი თეთრიწყაროს სოფლებში კოდა, დიდი თონეთი, პატარა თონეთი — მოგვიანებით ალ. ნეველის, წმიდა გიორგის, ღვთისმშობლის ეკლესიებთან ერთად, სომხური საყდრებიც არსებობდა. რა თქმა უნდა, სომხური საყდარი ეცდებოდა და ყოველმხრივ მოწადინებული იქნებოდა, რათა საკუთარი მრევლი ჰყოლოდა, რაშიაც რუსეთის იმპერიაც ზურგს უმაგრებდა.

XIX საუკუნეს გარისელები წერა-კითხვის უცოდინარობით შეხვდნენ. თითზე ჩამოითვლებიან ისეთები, ვინც ხელმოწერა იცოდა. ვასილ ბარნოვის, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პაპა და მამა ამ კუთხის მღვდლები იყვნენ. ზაქარია ბარნოვი და პრიჩეტნიკი ილია თეთრაძე დიდი ენაგეთის წმიდა გიორგის ეკლესიის სამწყსოს განაგებდნენ. იგი წარმოდგენილი იყო სოფლებით (საკუთრივ დიდიენაგეთი, პატარა ენაგეთი, ვარდისუბანი (მოგვიანებით შავსაყდარი), სალირაშენი, ბოგვი, ფარცხისი, გოლთეთი, მაწევანი). „მეტრიჩესკი" წიგნებში, თანამედროვე ენით მოსახლეობის მოქალაქეობრივი ჩანაწერებში იმის გამო, რომ აღნიშნულმა პირებმა წერა-კითხვა არ იცოდნენ, მათ მაგიერ ვინმე მღვდელი იაკობ ავალიანი აწერდა ხელს.

როგორც ზემოთ ითქვა, ხშირად ერთი და იგივე გვარის წარმომადგენლებს ქართულ თუ სომხურ ეთნიკურ ფენას მიაკუთვნებენ. სოფ. ვაშლოვანში, 1888 წ. გიორგი სომხიშვილი გრაფაში «Какую веру исповедуют», უწერია «Армяно-григорянский» ტომი. ჩამომავლობა მითითებულია სომეხი, ხოლო გრაფაში «Язык домашний» შინაურული, სალაპარაკო ენა ქართულია. იქვე ეფრემ სომხიშვილს უწერია მართლმადიდებელი, ქართველი (254, 8, 1611, [illegible] ერთი ძმა ზაქარია სომხი[illegible]ლია, ხოლო მეორე იაგორ სომხიშვილი, სომეხი; იქვე ალექსი სიმონის ძე სომხიშვილი არის ქართველი, მართლმადიდებელი. სომხიშვილების მეორე გვარია ელიაზარაშვილი. ყველგან ქართველებად და მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონეთ მოიხსენიებიან[35] რევაზიშვილები (რუსული გაფორმებით, რევაზოვი) სომხადაა რეგისტრირებული; თუმცა ისინი ქართველ ჩამომავალნი არიან. მათი შტო-გვარებია: ქაიხოსროშვილი, ბეჟანისშვილი, ერასტიშვილი, გივისშვილი. აკოფაშვილი, ქართული გვარია. ეს უკანასკნელი ნაწარმოებია სახელიდან იაკობი. ზოგჯერ ამ გვარის მქონე სომხადაა აღიარებული. სოფ. ბორბალოში მცხ. აკოფაშვილების წინაპარია იაკობ ვარსიმაშვილი. „იაგორ აკოფის ძე აკოფოვი და ამირან იოსების ძე აკოფაშვილი სარწმუნოებით მართლმადიდებლები და ტომით ქართველები არიან" (254, 3, 1608, უწ. № 708, 1886 წ. ფ. 1-29). ჩანაწერთა „სიზუსტეს" სომეხი ტერტერა ადასტურებს. ყორღანაშვილი ქართველ აზნაურთა ცნობილი გვარია. ყმა-მამულები ჰქონდათ ალგეთის ციხიაში, მოქრისში, ფიცხისში, შავთაში (დღევ. შამთა), აკურისში, უკან დალეთს და სხვ. ყორღანაშვილთა შტო-გვარებს წარმოადგენდა არდაზდიაშვილი (ყორღანაშვილთა წინაპრები) მერაბისშვილი, ავდროზანაშვილი, როინაშვილი. ყორღანაშვილი შიოშ იყო ბაქარ მეფის მემამულე, ცხოვრობდა და ყმები ჰყავდა ალგეთში.[36] დღესაც ყორღანაშვილები რუსული გაფორმებით, ყორღანოვად და სომხად არიან ჩაწერილნი. ნონია მეწისქვილეშვილი, შვილი პავლე, მეუღლე რიმსიმე, ქალიშვილი მართა, ანტონი, გიორგი, პეტრე, მათე, დავით მეწისქვილეშვილი, მეუღლე ანნა 1881 წლ. აღწ. ჩაწერილი არიან სომხებად (254, 1, 1242, 1881) წ.).

ვახტანგ და გიორგი ფეიქრიშვილები 1878 წლ. აღწ. დიდ თონეთში სომხურ ეთნოსისათვის მიუკუთვნებიათ (254, 8, 127, აღწ. 319, ფურ. 175-209). ასევე სოსია (იოსებ) მარცვალაძე პატარა თონეთში სომხურ ეთნოსზეა მიწერილი (245, 8, 127, აღწ. 320, 1873 წ. ფურ. 218-244).

ასეთივე ბედი ეწიათ გვარებს — მირზაშვილს, ავალიშვილს, ალხაზიშვილს, ბარათაშვილს, დალაქიშვილს, თეთრუაშვილს, მაჩაბლიშვილს, მაჩაბელს, კოხტაშვილს, მამაცაშვილს, როსტომიშვილს, ათაბეგოვს (ძველი გვარი ჯაყელია).

ზურაბიშვილს, ალიხანაშვილს, ახლანიშვილს, მაჭკალაშვილს (დღევ. მაჭკალოვი), ელიზბარაშვილს, ნადირაძეს, ალნიაშვილს, აბუაშვილს და სხვ.

საგულისხმოა აკაკი ბაქრაძის სტატია „ყურადღება მივაქციოთ".[37] სწორედ ისტორიული განვითარების იმ ეტაპზე, როცა ეროვნება და სარწმუნოებრივი ალმსარებლობა გაიგივდა, როცა მეფის ხელისუფლებამ მოწყალების კალთა გადააფარა საქართველოში ჩამოსახლებულ ბერძნებს, წინწყაროში ოდითგანვე მცხოვრები თუ აკლება-აოხრების შემდეგ კვლავ უკან მობრუნებული, ეკონომიკურად სუსტი და სულიერად დაკნინებული მკვიდრი ქართველი იმდენადაა არაქათგამოცლილი, რომ მიგრანტთა გავლენაში ექცევა და ბერძენი ხდება.

ცნობილია, რომ წინწყარო (ადრე სამებრეო) მცირე ქალაქი იყო ალგეთში, ვახუშტის აღწერით, „საბარათაშვილოში ბატონის დედოფლის სახასო ქალაქი",[38] დასტურლამალით დედოფლის იქაური ხოდაბუნი უნდა დაემუშავებია 23 სოფელს: აბელიას, ენაგეთის ახალშენს, გოლეთს, დვალთას, ენაგეთს, ერწოს, ეცოს, ირდასუბანს, კარას, კრეფას, კობალას, მაწევანს, ართამუას, ოშეთს, ცხვრისს, სალირაშენს, ფაცხისს, ფუტრევს, ჩხიკვთას, ცოვრეთს, წინვეახს, წრუთას. 1721 წლ. აღწ. წინწყაროში მოიხსენიებიან: მამასახლისი ბირთველა, ძმები ბერუა, ზალია, ძმისწულები ავთანდილა, მანუჩარა, ქოროღლიშვილი, ბასიაშვილი, ჯავახიშვილი, ხოციკაშვილი, ხიზანიშვილი, მაზმნიშვილი, ვარძელაშვილი, ბატატაშვილი, დათიაშვილი, ქვახარშაშვილი, მელიქაშვილი, სუთიაშვილი, ბატაშვილი, ჩუაშვილი, ელისაშვილი...[39] 1822 წლის ვზვდებით გვარებს: აზარიაშვილი, თანიძე, ბესალაშვილი, ლაზარეშვილი, აბრამიშვილი, ელეფთეისშვილი, იოსებაშვილი, ამირაშვილი, ნიკოლაშვილი, ვასილისშვილი პეტრესშვილი, მიხეილისშვილი, (თევდორესშვილი), ესტატესშვილი, თომასშვილი, პავლიაშვილი (პავლესშვილი), სვიმონიშვილი, გიორგიშვილი, ქართველიშვილი, სტეფანისშვილი, (489, 6, 1-ბ, 1822 წ.) 1822-1855 წლებში ჩნდება გვარები კალაძე, არდიშვილი, ხოსტანაშვილი, ბარათოვი, ანანიაშვილი, ფერიაშვილი, გოგოლაშვილი, სეფიაშვილი, ახლანიშვილი, ახლამაზაშვილი და სხვ.

1873 წლ. აღწერით, ქართული გვარები იცვლება, ხოლო მათი მფლობელები (გრაფით „ტომი, ჩამომავლობა") ბერძნები ხდებიან: თევდორაშვილი გახდა (თევდოროღლი) 1886 წლიდან დღემდე ფ[illegible]მაზანიშვილი, მაზმ[illegible]მაზმულოვი, მურადაშვილი (მურადოღლი), მურადოვი, ფერიაშვილი (ფერიოღლი), კარაქლიევი, ახლანიშვილი, ახლანოვი, ახლამაზაშვილი, ახლამაზოვი, აივაზაშვილი, აივაზოვი, ქოქიაშვილი, ქოქინოვი, ხამოჯაგაშვილი (ხამოჯაგოვი), ზილფიევი, კალაძე, (კალაიჩოგლი), კალაიჩევი, ბარათაშვილი (დანაჩიევი), ბარათოვი, მირზაშვილი (მირზა-ოღლი), მირზოევი, არიდაშვილი/არდიშვილი (არდაოღლი), არუდოვი, თათარაშვილი (თათაროღლი), თათაროვი, პეტრიაშვილი (პეტრეოღლი), დიმოევი, ლაზარიაშვილი (ლაზაროღლი), ლაზარიდი, მერაბიშვილი, (მარაბოღლი), მარაბიევი, ფალავანდიშვილი (ფალავანოღლი), პაფლევანოვი, ფარაჯა(ნა)შვილი (ფარაჯაოღლი), ფარაჯანოვი, გაბაშვილი (გაბაოღლი), ბიჭიაშვილი, ბიდჟოევი, ქართველიშვილი (გურჯიევი) და სხვ.[40]

სიცხადისათვის საინტერესო იქნებოდა ე. წ. ბერძნების რამდენიმე ოჯახის გენეალოგიის გაცნობა, თურქეთიდან გადმოსული ბერძნები: პაპუნოვი ხარლამპი, მეუღლე მირაფორა, შვილები პოლიხრონი, სოფა, სავა, პანაგიოტი; ვასილიევი გიორგი, მეუღლე ანასტასია, შვილები: სავა, პარფენა, მირაფორა, ევსტაფი, მეუღლე არხონცა. ერთ-ერთი გაბერძნებული ოჯახის — თევდორაშვილის შემადგენლობა: იორდანე იოსების ძე თევდოროვი (თევდორაშვილი), ძმა ვარლამი, შვილები იორდანე, სოლომონი, ისიდორე; ვარლამის შვილები — იოსები, პავლე, მინადორა. სხვათა შორის, შემონახული საარქივო მასალა შესაძლებლობას გვაძლევს თვალი გავადევნოთ თუ, თვალსა და ხელს შუა, ქართველი კაცი საკუთარსავე მიწაზე როგორ კარგავდა გვარს და როგორ ერთმეოდა სალაპარაკო ენა.

1878 წლის აღწერის ჯამში ქართველად მოიხსენიება 4 ოჯახი, 1886 წლის აღწერამ ისინიც ბერძნად „გააფორმა". გრაფაში — „ტომი, ჩამომავლობა", კვალის დაფარვის მიზნით, აღნიშნულია: „გლეხური ჩამომავლობის". წმინდა ქართული გვარით დღეს წინწყაროში ცხოვრობენ და ბერძნობას აღიარებენ გვარები: ბარათაშვილები (ბარათოვები), საკალიძეები, კეკელაშვილები, თოფურიძეები (254, 1, ფურ. 246-259, 1855 წ.; 254, 8, № 356, ფურ. 191-240, 1987 წ.).

კითხვაზე, თუ რამ მიიყვანა ჩვენი წინაპარი ამ ყოფამდე, ნაწილობრივ პასუხად გამოდგება ფ. ბოდენშტეტი, რომელიც 1847 წელს წერდა:

„ქართველი უზრუნველია, სახვალიოდ არა ჰფიქრობს, დიდს ფასს არა სდებს მიწიერს მოსახვეჭსა, არა აქვს დაუძინებელი წყურვილი მოხვეჭისა, ამიტომაც, ვაჭრობა განსაკუთრებით სომხის ხელშია, სამაგიეროდ, ქართველები ყველაზე უფრო ზნეობიანნი, ყველაზე უფრო პატიოსანნი კაცნი არიან ამ მხარეში. სტუმართმოყვრობა დიდი იციან, როგორც სხვა კავკასიელთაც; ერთგულნი არიან, როგორც მათნი ხმალნი, სწრაფნი და მარდნი — როგორც მათნი ტაიჭნი, ვაჟკაცნი ომში, შინ თავაზიანნი და საამურნი“.[41] ამას უნდა დაემატოს მსოფლიოს ყველა მეცნიერის გაკვირვება, თუ ამ პატარა საქრისტიანო ქვეყანამ, ამ ერთმა მუჭა ერმა როგორ გაუძლო იმდენს ბრძოლას ბარბაროსებთან. „ერთობ მხნე, თავგანწირული და მამაცი ეს ერი რომ არ ყოფილიყო, ქართველობა, ისე შეუძლებელი იქნებ[illegible] ფრანგი მეცნიერი, ალმოსავ[illegible] ლორიე.

ვფიქრობთ, დროა ყოველივეს თავისი სახელი ეწოდოს, თუმცა დიდი ილიასი არ იყოს „მხილება არაფრად ეპაშნიკება ავის მქნელს, მაგრამ ეს როდია იმის საბუთი, რომ თვალი დავიბრმავოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ, ენა მოვიჭრათ, როცა ეს სიავე ჩვენვე თავში გვცემს, ჩვენს არარაობას, ჩვენდასამარცხვინოდ, საქვეყნოდ ჰლალადობს. საფუძვლიანი და საბუთიანი სიბოროტისა და სიავის მხილება საჭიროა და აუცილებელი...

...საბუთიანს, მართალს მხილებას, თუნდა მთელი ერისას, გონიერი ერი მადლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთითა“.[42]

## გამოყენებული ლიტერატურა


1. Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейнных списков 1886 г. Тифл. 1893 г.

თეთრი წყაროს რაიონის რაისაბჭოს ალმასკომთან არსებული სტატისტიკური განყოფილების ცნობა.

2. Акты, Т. VI, ч. I, 302, стр. 248-240.

3 ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1941, გვ. 49.

4 იქვე, გვ. 197.

5 ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ. 1961, გვ. 80.

6 ჯ. სონღულაშვილი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ. 1964 წ. გვ. 131.

7 სასოფლო გაზეთი, 1889 წ. № 123.

8. Кавказский календарь, Тиф. 1855 г. стр. 313 .

9 საქართველოს სსრ ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი, ფონდი 254, 1, 1855 წ. ფურ. 246-259. (შემდეგ ყველგან ტექსტში 254-1 — ან 3 და ა. შ.).

10 254-3-3-1637, 1873 წ. ფურ. 51-166.

11 55-38 — ფურ. 15-16.

12 ბატონიშვილი ვახუშტი, მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, ექვ. თაყაიშვილის რედაქციით, თბ. 1907 წ.

13 ias. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი მე-XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. I და II, თბ. 1935 წ.

14 იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწ. III და IV, თბ. 1938 წ.

15 რ. თოფჩიშვილი, XIX ს. მოსახლეობის აღწერის მასალები საქართველოს ეთნოისტორიისა და სოციალური ყოფის შესახებ, ჟურ. „მნათობი“, 1987 წ. № 12, გვ. 158.

16 იქვე, 158.

17 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979 წ., გვ. 227.

18 იქვე, გვ. 228.

19 იხ. გ. ჯალაბაძე, ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში, შიდა ქართლი, თბ. 1987, გვ. 14.

20. Кавказский календарь... стр. 309-315.

21 გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1982 წ. გვ. 291.

22 ლ. მელიქსეთბეგი, ვსარგებლობთ გ. ჯალაბაძის ნაშრომიდან „ეთნიკური პროცესები შიდა ქართლში. გვ. 16.

23 კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი (შემდეგ ყველგან ტექსტში, Hd 3054, Sd 767 და ა. შ.).

24 დოლმაზაშვილთა გვარის ძირი, დოლმაზ, დონმაზ (თურქ. „დაუბრუნებელი“) „აუვსებელი“.

25 ბუდახ (აზერბ. თურქ. ტოტი, ყლორტი). საქ. სახ. ბუდახა, მოიხსენიება 1536 წ. ბარათაანთ გაყრის წიგნში. ნ. სარგის კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, I, 1924 წ.

26 საქართველოს სიძველენი, ექვ. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. III, 1926. გვ. 554.

27 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, XV-XVIII სს. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1949, გვ. 68.

28 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები, ტ. I, თბ. 1967 წ. გვ. 166 და სხვ. (შემდეგ ყველგან ტექსტში).

29 საქართველოს სსრ ცენტრალური სახ. საისტორიო არქივი ფონდი 489, აღწ. 9, თეთრიწყარო 1 (შემდეგ ყველგან ტექსტში 9, 6 და ა. შ.).

30 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

31 Н. Г. Вольков, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

32 შავშელი, ქართველი გრიგორიანები, თბ. 1907 წ.

33 ჩილინგაროვის ძველი გვარი ვარდიძე ყოფილა („ჩილინგარი“, თურქ. ზეინკალი) ნ. რ. თოფჩიშვ. „მნათობი“, გვ. 165.

34 Н. Г. Волкова, იქვე, გვ. 20.

35 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, XV-XIX სს. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1953, გვ. 257.

36 იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ნაწ. III და IV, თბ. 1938, გვ. 471-472.

37 გაზ. „თბილისი“, 21 დეკემბერი, 1987 წ.

38 ვახუშტი, მასალანი... გვ. 101.

39 იქვე, 101-103.

40 წინწყაროში ამჟამად მცხ. ბერძნები თურქეთიდან (ანატოლიიდან და გიუმიშხანიდან) გადმოვიდნენ, რომლებსაც გვარები თურქულ ყაიდაზე ჰქონდათ შეცვლილი და „ოღლი“-თ ბოლოვდებოდა. შდრ. ქართ. გვარის „შვილი“.

41 ფ. ბოდენშტეტი „კავკასიის ერნი“, მიუნხენი, 1847 წ. გვ. 202-203.

42 ილია ჭავჭავაძე, ტ. II, 1941 წ. გვ. 447 (სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ მიბჩუანი

# სანიგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძველი ხანის ეთნიკური რუკა იმდენად ჭრელია, რომ ძნელია ზუსტად განისაზღვროს ანტიკური ხანის წყაროებში დასახელებულ ზოგიერთ ტომთა თუ ხალხთა ეთნიკური ვინაობის საკითხი. თუმცა აღნიშნულ რეგიონში ეთნონიმთა სიმრავლე შესაძლოა სულაც არ გულისხმობდეს ეთნიკურ მრავალგვარობას. ყოველ შემთხვევაში, ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებისადმი მიუკერძოებელი, სწორი პოზიციიდან მიდგომა, ამასთანავე, ადგილობრივი მასალის უცხოურთან შედარება და მისი სწორი ანალიზი პრობლემის მეცნიერულ გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

ერ-ერთ ასეთ რთულ პრობლემას წარმოადგენს სანიგების ეთნიკური ვინაობის საკითხი.

სანიგების ეთნიკური ვინაობის გარკვევის საკითხში არსებობს სამი ძირითადი მოსაზრება. კერძოდ, მკვლევართა ერთი ნაწილი მათ სვანებად მიიჩნევს (ი. ორბელი, დ. გულია, გ. მელიქიშვილი). გ. მელიქიშვილი ჰენიოხებში სვანებს გულისხმობს, ს ა ნ ი გ ტერმინი კი ჰ ე ნ ი ო ხ ეთნონიმიდან მომდინარედ მიაჩნია; მეორე მოსაზრებით სანიგები ზ ა ნ ე ბ ი ა (ნ. მარი, ს. ჯანაშია და სხვ.) მესამე კონცეფციით სანიგები ს ა ძ ე ბ ი უნდა იყონ (დიაჩკოვ-ტარასოვი, ზ. ანჩაბაძე). მოკლედ შევეხებით იმას, თუ რა უდევთ საფუძვლად ამ მოსაზრებებს.

როგორც ს. ჯანაშია შენიშნავდა, დღევანდელ აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზთა განსახლებას წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობის არსებობა სვანებისა და მეგრელ-ჭანების სახით (ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., 1959, 15). ს. ჯანაშია ზ ა ნ, წ ა ნ, ს ა ნ ტერმინებს ერთი ძირიდან მომდინარედ მიიჩნევდა. საგულისხმოა ისიც, რომ იპოლიტე კიპრელი (III ს.) სანებს სანიგებთან აიგივებს. იგივეს იმეორებს III-IV სს. მოღვაწე ევსევი კესარიელი (გეორგიკა, I ,თბ., 1961, 32).

ეს არის ძირითადი ამოსავალი სანიგთა ზანური წარმომავლობის სავარაუდოდ.

გადაჭარბებულად გვეჩვენება ზ. ანჩაბაძის აზრი, თითქოს სანიგთა მეგრულ-ჭანურ თეორიას რეალური საფუძველი არ გააჩნდეს (**З. В. Анчабадзе, история и культура древней Абхазии, М., 1964, ст. 173**). იგი იგივეს იმეორებს 1976 წ. რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში „აფხაზი ხალხის ეთნიკური ისტორიის ნარკვევები" (გვ. 34-36). ზ ა ნ, ჭ ა ნ, წ ა ნ ტერმინთა ერთი ძირიდან წარმომავლობა ქართველური ენების ბუნების გათვალისწინებით სწორედ რომ არ არის საფუძველს მოკლებული. უფრო მეტიც, ამ ძირს უნდა ეკუთვნოდეს ს ვ ა ნ ტერმინიც. აქ გასარკვევია მხოლოდ ის, თუ როდის იყვნენ სანები (სანიგები) სვანურენოვანნი და როდიდან ზანურენოვანნი. უფრო სწორად, იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ანტიკური ხანის (I-II სს.) ავტორები (პლინიუსი, არიანე, მემნონი) სანიგებს ასახელებენ სადღაც, დღევანდელ სოხუმსა და ადლერს შორის, ისინი ზანურ ეთნიკურ წრეს ეკუთვნოდნენ თუ სვანურს?

თუ პ. ინგოროყვას მიერ ინტერპრეტირებული ტოპონიმების მიხედვით ვიმსჯელებთ, მათ მეცნიერი ძირითადად ქართული ფუძე-ენის მეშვეობით ხსნის, ზანური კი მწირად აქვს წარმოდგენილი, სვანური საერთოდ დაკვირვების მიღმა რჩება, მაშინ, როცა დასავლეთ შავიზღვისპირა ზოლში ათეულობით გეოგრაფიული სახელის ამოცნობა შესაძლებელია სვანური ენის მეშვეობით.

ასე მაგალითად:

გ ა გ რ ა — უნდა მომდინარეობდეს სვანური სიტყვიდან „გაკრა", რაც ნიგვზნარს ნიშნავს;

ბ ა ჩ ა და ჩ ი რ ხ ა — სოფლებია ოთხარის სასოფლო საბჭოში (გუდაუთის რაიონი). „ბაჩა" სვანურად უბრალოდ ქვას ჰქვია, ხოლო

„ჩირხა“ — თეთრი ბროლის ქვას. ბაჩა და ჩირხა მთის ფერდობზე გაშენებული სოფლებია, მათთვის ეს სახელები სავსებით შესაფერისია;

ლ ე ჩ ქ ო ფ ი — სოხუმის ერთ უბანს ჰქვია. იგი სვანურად ჭაობიან ადგილს აღნიშნავს. ახალი დასახლების გაჩენამდე ლეჩქოფი მართლაც ითვლებოდა ჭაობიან ადგილად;

ტ ყ უ ბ უ ნ ი — სოხუმის აღმოსავლეთით მდებარე ადგილს ეწოდება. ჩანს ტოპონიმი მომდინარეობს სვანური სიტყვისაგან „ტყუბულ“ (სოკო). შესაძლოა იგივე წარმოშობისაა „ტყიბული“.

მ ე რ ხ ე უ ლ ი — სოფელია გულრიფშის რაიონში. „მერხელ“ სვანურად „ჭინჭარს“ ჰქვია. ჭინჭარი მერხეულში დღესაც ფართოდ გავრცელებული მცენარეა.

ტ ა მ ი შ — სვანურად უმოსავლო ადგილს ნიშნავს, ხოლო ლ ა ბ რ ა — საკლებ, ანუ ასაკლებ ადგილს (ორივე სოფელი ოჩამჩირის რაიონშია) და სხვ.

ამგვარად, კატეგორიული განცხადება, რომ ჰენიოხებსა თუ სანიგებში არ შეიძლება სვანური ტომებიც ვიგულისხმოთ, რადგან მათი განსახლების ტერიტორიაზე სვანური წარმოშობის ტოპონიმები არ გვხვდება, სინამდვილეს არ შეეფერება.

რა შეიძლება ითქვას სანიგების საძებთან მიმართების საკითხში? თუ ანტიკური ხანის სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ზანური ტომების გავრცელებას ჰქონდა ადგილი, სამაგიეროდ, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის შავიზღვისპირეთში უფრო სვანურ და ჩერქეზულ-ადიღეურ ტომთა განსახლების უპირატესობა შეიმჩნევა. მაგრამ დროის ყველა მონაკვეთში მათი ასეთი სიზუსტით განლაგების დასაბუთება ძნელია, რადგან საწინააღმდეგო არგუმენტებიც არსებობენ. მაინც სანიგების საძებთან დაკავშირება ეჭვის საფუძველს უფრო იძლევა, ვიდრე რწმენის, და აი, რატომ:

ჯერ ერთი, არ არსებობს არც ერთი წერილობითი, არც ერთი უცხოური თუ ადგილობრივი ავტორის ცნობა ანტიკურ ხანაში დღევანდელ ბიჭვინთასა და ადლერს შორის საძების განსახლების შესახებ. საერთოდ, ასეთი სახელწოდების ტომი ანტიკური ხანის წყაროებში არ ფიგურირებს;

მეორე — ფონეტიკური თვალსაზრისით სანიგ-საძი ტერმინების იდენტურობა დაუსაბუთებელია;

მესამე — ძიგები (ჯიქები), რომლებიც, წყაროების მიხედვით, ახ. წ. პირველ საუკუნეში ჩნდებიან დაახლოებით ადლერ-სოჭის რაიონში, ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებულად ითვლებიან (Т. А. Меликишвили, К истории древней Грузии. Тб., 1959, с. 45, 55,82...). მათ აქ ჩამოსახლებამდე ანტიკური ხანის ავტორები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში იხსენიებენ სანებს, სანიკებს, მოსინიკებს (მოსხინეებს).

შედარებით უფრო რეალური [illegible] მოეპოვება სანიგების ერთ-ერთ სვანურ ტომად აღიარების ვერსიას.

საგულისხმოა, რომ სანიგები I-II საუკუნეებში ფიქსირდებიან იქ, სადაც ცოტა ხნის წინ უცხოელი ავტორები ჰენიოხებს ასახელებენ, ე. ი. ადლერსა და ბიჭვინთას შორის. ამან განაპირობა ის თვალსაზრისიც, რომ სანიგები და ჰენიოხები ერთი და იგივე ეთნიკური ერთეულია. უფრო მეტიც, ტერმინი „სანგი“ ჰენიოხი-დან ნაწარმოებ ეთნონიმად მიიჩნიეს (გ. მელიქიშვილი). ლოგიკურად ეს თითქოს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ „ჰენიოხი“ ადგილობრივი წარმოშობის ტერმინი არ უნდა იყოს. შესაძლოა იგი უცხოელთა მიერაა შერქმეული რომელიმე ადგილობრივი ეთნოპოლიტიკური გაერთიანებისათვის.

მაგრამ „ჰენიოხ“ ტერმინი თუ მაინც და მაინც ადგილობრივი წარმოშობისაა, მაშინ მისი ახსნა შესაძლებელი უნდა იყოს რომელიმე ადგილობრივი — ქართველური ენის მეშვეობით. ჩვენი აზრით, ასეთ შესაძლებლობას მხოლოდ სვანური ენა იძლევა. სვანურად „ჰელ“ ჰქვია „ცეცხლის ძლიერ გამონაშუქს“, ცეცხლის ელვარებას, ძლიერ გამოსხივებას. საგულისხმოა, რომ ბერძნულში ჰ ე ლ ი ო ს ი მზეს, მზის ღვთაებას, მზის ელვარებას გულისხმობს. ხომ არ არის ურთიერთკავშირში ეს ორი სიტყვა, რომელთაგანაც შეიძლება მომდინარეობდეს ჰ ე ნ ი ო ხ ი, რომელიც კავკასიური სამყაროსათვის ცნობილი სუფიქსი „ხი“-თი გაფორმდა (შდ. ტაოხი, კოლხი, დიაოხი, სანიხი...)? თუ ჰელ-ჰელიოს ტერმინიდან ეთნონიმი ჰ ე ნ ი ო ხ ი წარსდგა, მაშინ ლ მორფემა შეცვლილია ნ ბგერით, რაც ადვილად შესაძლებელია, ხოლო ფუძე-სიტყვამ დაიმატა დაბოლოება „ოხი“ (შდრ. ტა-ოხი, დია-ოხი).

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სვანურად „ჰელ“ ქართულ „ალს“ (ალი) არ ნიშნავს. ამ უკანასკნელის სვანური შესატყვისი „მლამ“.

თუ სვანური ჰ ე ლ ბერძნული ჰ ე ლ ი ო ს ი ს გავლენითაა გაჩენილი, ან ორივე მომდინარეობს რომელიღაც მესამე ენობრივი სამყაროდან, მაშინ აქედან მიღებული სახელწოდება ჰ ე ლ ი ო ხ ი||ჰ ე ნ ი ო ხ ი სხივოსანს, მზიურს, ხოლო ჰენიოხეთი — მზიანეთს, მზის ქვეყანას უნდა ნიშნავდეს. ნიშანდობლივია, რომ ჰომეროსის პოემებში დასახელებულია კუნძული „აიაია“, საიდანაც მზე ამოდის („სადაც ჰელიოსი აღმასვლას იწყებს“). ჰომეროსის აიაია-ში მკვლევართა აზრით აია-კოლხეთი იგულისხმება. მახლობელი აღმოსავლეთისა და მცირე აზიის ხალხების წარმოდგენაში აია ცისა და დედამიწის, მზისა და სინათლის, ან კიდევ მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ღვთაებად

ითვლებოდა. დროთა განმავლობაში აია თავის ფუნქციებს იცვლიდა.

საყურადღებოა, რომ აია სვანეთშიც მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ქალღვთაებად ითვლებოდა და წელიწადში ერთხელ, ივლისის თვეში, მასთან დაკავშირებული რიტუალიც სრულდებოდა. ამასთან დაკავშირებით გ. ჩიტაია წერს: „კვირა ითვლებოდა მიწის ღვთაების დღედ, რაც კარგად ჩანს სვანური სიტყვათშეხამებისაგან აია — მიშლადელ, რომელიც აიას კვირა დღეს აღნიშნავს, სადაც აია მიწათმოქმედების ღვთაების სახელია“ («Вопросы этнографии Кавказа», Тб., 1952, с. 103).

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ, ძველი ბერძნული ტრადიციის მიხედვით, კოლხეთში თავდაპირველ მოსახლეობად ჰენიოხები არიან მიჩნეული, რომ ისინი ფაზისში (დღევ. ფოთში) მილეტელ მოახალშენეთა მოღწევამდე ცხოვრობდნენ (ე. ი. ძვ. წ. VI ს-მდე). ასეთ ცნობას იძლევა V-IV სს. მოღვაწე ჰელანიკე მიტილენელი.

წყაროების მიხედვით ჰენიოხები ერთდროულად მოიხსენიებიან როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ, ისე ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე დასახლებულ რეგიონში გვხვდებიან აგრეთვე სანები (სამხრეთში) და სანიგები (ჩრდილოეთში). ესეც შეიძლება იმის დასტურია, რომ ჰენიოხებში მართლაც სანები (სანიგები) იგულისხმებიან.

ბერძნული ტრადიციის თანახმად, ჰენიოხების წინაპარი იყო დიოსკურების მეეტლე რეკასი. ეს ფაქტი ბევრის მეტყველია და იგი შეიძლება სათავეს იღებდეს ძველი მცირე აზიის სინამდვილეში, როცა უნდა მომხდარიყო ინდოე-ევროპულ და ქართულ ფუძე-ენების დაშლა, ხალხთა მიგრაციების დაწყება. შესაძლოა ამაზე მიგვანიშნებდეს ხარაქს პერგამონელის (II-III სს.) გადმოცემა იმის შესახებ, რომ ჰენიოხები და ძიგები პელაზგთა ჩამომავლები არიანო (აკ. ურუშაძე, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში, თბ., 1964, 447-448) და სხვ.

როგორც ცნობილია, მეგრელ-ჭანები თავიანთ თავს მარგალს (მეგრელს) უწოდებენ. ამ სატომო სახელით არიან ისინი ცნობილი ქართებისათვისაც. სვანები კი მათ დღემდე ეძახიან ზანებს („ზანარ“). სვანებისთვის უცხოა ტერმინი მეგრელი. ზანები რომ მეგრელთა წინაპრებს ეწოდებოდათ, ამას ტოპონიმიკური მასალაც ადასტურებს (შდ. ზანა — ცხაკაიას რ-ნში, ზანავი — ადიგენის რაიონში, ზანავი — ბორჯომის რ-ნში და ა. შ.). თვით სახელწოდება ლაზიკა-ს თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ლაზანიკა (ლა-ზან-ი-კა), სადაც ფუძე — სიტყვაა ზან, ხოლო ლა — პრეფიქსი სვანურია და ქართული სა-ს ბადალია. ლაზანიკა სვანურად ნიშნავს საზანოს (ე. ი. სამეგრელოს, დღევანდელი ქართული გაგებით, ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, 405).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანებისათვის ასევე უცხოა ტერმინი „კოლხი“. „მეგრელი“ სვანთა გაგებაში დამამცირებელი სახელია, რასაც ვერ ვიტყვით ეთნონიმზე ზანარ (ზანები). ამასთანავე, ისმება კითხვა, თუ ქართები უძველესი დროიდან იცნობდნენ ზანებს, რატომ ეს სახელი არ შემორჩა მათ მეხსიერებას, ან სვანურში რატომ ვერ გაიკაფა გზა ტერმინებმა კოლხი და მეგრელი (ეგრისელი)? სხვათა შორის „მეგრე“ სვანურად „მსხვილს“ ნიშნავს (შდრ. „მაკროს“ — ბერძნ. „დიდი“, „გრძელი“). თუმცა ეს ფაქტი ამ კითხვის პასუხად არ გამოდგება. მართალია, „მეგრელ“ ტერმინის წარმომავლობის თაობაზე გამოთქმულია მოსაზრებები, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის ზუსტი პასუხი დასმულ კითხვაზე.

რამდენადაც ძვ. ბერძნულში შ და ზ ბგერები არ არსებობს, ამიტომ საფიქრებელია, რომ მათ მიერ ნახმარი სანი (სანები, სანიგები) ერთ შემთხვევაში გულისხმობს ზანებს (ზანი), ხოლო მეორე შემთხვევაში (შანებს, შოანებს (სვანებს, სოანებს, სავნებს). ძველი ბერძენი ავტორების მიერ შ და ზ ბგერების ნაცვლად ს-ს ხმარება ქმნის იმ გაუგებრობას თუ რომელ სანებში შეიძლება ვიგულისხმოთ ზანები და რომელში სვანები.

მართალია, სტრაბონი წერს სოანებს, რაც შოანებს (სვანებს) გულისხმობს, მაგრამ პტოლემაიოსი წერს სანნო-კოლხებს. აქ მკვლევარები სანებში სვანებს გულისხმობენ და ა. შ. ე. ი. სანი ერთ შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც ზანი (ა. ჩიქობავა), ხოლო მეორე შემთხვევაში, როგორც შანი (სვანი). აქედან მუშან (სვანურად — „სვანი“).

სხვათა შორის სვანურ-მეგრული შ ქართულშიც ს-დ გადადის (სვან, შვან, მეგრ. შოან, ქართ. სვანეთი; სვან. აშირ, მეგრ. ოში, ქართ. ასი და სხვ.). ამიტომაც ფეოდალურ საქართველოს წიაღში წარმოშობილ გვარებს სანაია, სანიკიძე, სანაძე... თავში ქართული ს უზით ზ-სა და შ-ს მაგივრად (არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ გვარი „შანიძე“ ადგილობრივი შანი (-სანი) ეთნონიმისაგან მომდინარეობდეს).

X-XI სს. ერთ-ერთი სვანური ხატის წარწერაში: „ერთობილნი სანნი და ხევი ლატალისა“ (იხ. ქვემოთ), ცხადია, იგულისხმებიან „ერთობილნი სვანნი“ და სვანეთის ერთ-ერთი თემი ლატალი, სადაც ინახებოდა ეს ხატი (შდრ. სანნოკოლხოი — პტოლემაიოსის). საქმე ისაა, რომ ეს წარწერა ქართული მართლწერის ნორმების პრინციპს იცავს.

ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ აზრს, თი-

თქოს ბერძნულ „სანნ-ში“ თავკიდური ბგერა ს-დ უნდა იკითხებოდეს (ს. ჯანაშია...)

მესამე შემთხვევაში „სანი“ გაგებული უნდა იქნას, როგორც ჭანი (ს. ყაუხჩიშვილი).

ამგვარად, სანებში უნდა იგულისხმებოდნენ ზანები, ჭანები და სვანები.

ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტსაც, რომ ანტიკური ხანის ბერძენი და რომაელი ავტორები კოლხებსა და სანებს (სანიგებს) ერთდროულად, ერთმანეთის პარალელურად იხსენიებენ. კოლხებში ძირითადად ზანური ტომები იგულისხმებიან. თუ ეს ასეა, მაშინ სანები კოლხები არ არიან, ე. ი. მათში შანები იგულისხმებიან (ე. ი. სვანური წარმოებით „მუ-შანები“).

როგორც ზემოთაც მივუთითეთ, ანტიკური ხანის (I-II სს.) ავტორები (პლინიუსი, მემნონი, არიანე) სანიგებს ათავსებენ სადღაც, დღევანდელ ბიჭვინთასა და ადლერს შორის, სადაც სვანთა ეთნიკური ერთეულის განსახლება წერილობითი წყაროებითაც აშკარად დასტურდება. ასე, მაგალითად: ახ. წ. II ს. ავტორი, ცნობილი გეოგრაფოსი კლავდიოს პტოლემაიოსი დღევანდელ გაგრის სექტორში ასახელებს „სუანნოკოლხებს“ (მსკი, ნაკვ. 32, თბ., 1955, 44).

აღნიშნულის გამო თ. ყაუხჩიშვილი წერს: „ცალკე დგას სუანოკოლხების საკითხი, რომელთაც მხოლოდ პტოლემაიოსი ასახელებს დაახლ. ჰენიოხებსა და მდ. კორაქსს (ბზიფს) შორის, ე .ი. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. დაახლოებით ამავე ადგილას არიანეს და სხვა ავტორებს სანიგები ჰყავთ ხსენებული. თვით სახელწოდება „სუანოკოლხები“ აშკარად ორი, ჩვენთვის ნაცნობი სახელისაგან შედგება — „სუანი“ (სვანი) — ზოგ მკვლევარს უჩნდება სურვილი ამ სიტყვაში სან — ძირი დაინახოს — და „კოლხი“. პაპე და გ. მელიქიშვილი მაგ., მეორე კომპონენტს სრულიად უარყოფენ და „სუანნოკოლხებს“ აიგივებენ „სვანებთან“... მე პირადად ეს ორმაგი სახელები ასე მესმის: „სუანოკოლხები“ ნიშნავს კოლხს სვანს, ე. ი. იმ სვანს, რომელიც კოლხია, ე. ი. ტომით სვანია, მაგრამ ცხოვრობს იმ ტერიტორიაზე, რომელიც კოლხიდაში შედის“ (თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976, გვ. 161).

ვფიქრობთ, რომ თ. ყაუხჩიშვილი მართალია. ამაზე შემდეგი ფაქტიც მეტყველებს, კერძოდ, ახ. წ. VII ს. „სომხეთის გეოგრაფიაში“ დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ სადღაც, ადლერსა და ბიჭვინთას შორის, აბაზებთან ერთად მოსახლეობენ სვანები:

«Между булгарами и Понтийским морем населяют племена гашков и кутов, и (затем) с у а н и до приморского города Питиунта народа абазов» (ЖМНП, март, 1883, 29).

აქ საყურადღებოა ისიც, რომ ავტორი ხალხების ჩამოთვლას მოჰყვება დასავლეთიდან. გამოდის, რომ სუანები ცხოვრობენ არა ბიჭვინთაში, არამედ მის დასავლეთით, ე. ი. იქ, სადაც ფიქსირდებიან ჯერ ჰენიოხები და შემდეგ სანიგები.

თვით ტოპონიმი გ ა გ რ ა, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, მომდინარეობს სვანური სიტყვიდან გ ა კ რ ა, რაც ნიგვზნარს ნიშნავს. ეს სახელწოდება სავსებით შეეფერება ამ ადგილს. უფრო ზუსტი განმარტება ამ ტოპონიმისა ჯერჯერობით არ მოგვეპოვება.

XVIII ს. მოგზაური ევლია ჩელები გაგრას „კაკრას“ უწოდებს, რაც სვანურ „გაკრას“-თან კიდევ უფრო ახლოს დგას (ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თბ., 1978, 70).

ამგვარად, ზემოთ დასახელებული ორი წერილობითი წყარო, რომლებიც II-VII საუკუნეებს ეკუთვნიან, სვანთა რომელიღაც ეთნიკურ ჯგუფს ასახელებს სანიგთა განსახლების ტერიტორიაზე, რაც ერთხელ კიდევ განამტკიცებს სანიგების სვანურობის აღიარებულ თეორიას.

აფხაზეთის სახალხო პოეტი, მწერალი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე დ. გულია, რომელმაც 1925 წელს გამოაქვეყნა „აფხაზეთის ისტორია“ ორ ნაწილად, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერდა შემდეგს:

«Санны (саниги, суани, нынешные сваны), родственное племя абасгов, до р. Хр., долгое время и после р. ХР. жили около Диоскурии, т, е. в Абхазии, в нынешнем Гумистинском уезде, между абасгами с восточной стороны, и зиками с западной стороны» (Д. Гулиа, Собр. Соч.., Т. 6, с. 100—101).

ალბათ ეთნონიმ ჯიქი-დან უნდა იყოს ნაწარმოები სვანური სიტყვა „ლე-ჯიქე“ (ჩაფსკვნილი), სადაც ლე, სვანურში მაწარმოებელი პრეფიქსია. ეს ფაქტი ოდესღაც სვანთა და ჯიქთა ტერიტორიულად ახლომეზობლობის მაუწყებელია, რის შესახებაც სწორად შენიშნავს დ. გულია.

საყურადღებოა დ. გულიას მსჯელობა ტერმინ შვან-შოან-ის თაობაზეც. დ. გულიას სიტყვით, უბიხურად (აფხაზთა მონათესავე ტომი იყო) სიტყვა აშე ოე ზღვას ჰქვია. აფხაზები სვანებს უწოდებენ აშოანს (აშოუას), რომლის ძირიც უნდა იყოს უბიხური აშეოე. ამგვარად, ასკვნის დ. გულია, სვანი (აშუა) უბიხურად ნიშნავსო ზღვის ადამიანს, ზღვისპირელს. დ. გულიას სიტყვით, იგივე ტერმინს ხმარობენ აფხაზები აბაზინელების აღსანიშნავადაც.

«И действительно, оба эти народа в древности жили на берегу моря» (там же, с. 102).

მართალაც, ანტიკური ხანის ავტორების

ცნობებში, აბაზები, რომელთა იმიერკავკასია-ში გადასვლას ადგილი ჰქონდა XIII-XVIII სს. Е. Н. Данилова, Абазины, М., 1984, с. 21. იხსენიება აფხაზეთის ზღვისპირეთში.

ამასთან დაკავშირებით ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ VII ს. „სომხეთის გეოგრაფიაში" ადლერსა და ბიჭვინთას შორის მცხოვრებ ხალხებს შორის დასახლებული არიან სვანები, მაგრამ არ იხსენიებიან სანიგები, რაც, ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ სანიგებში თავიდანვე იგულისხმებოდნენ სვანები.

ფუძე-სიტყვა სანი, როგორც ზემოთაც მივუთითეთ, რომ შანი შეიძლება იყოს (აქედან მუშანი — სვანი), ამაზე მიგვანიშნებს ზემოთ ნახსენები სვანეთის ერთ-ერთი საეკლესიო საბუთი, კერძოდ ლაშილის (სოფელია ლატალში) მთავარანგელოზის ხატის წარწერა, რომელსაც დ. ბაქრაძე X-XI სს-ით ათარიღებს. ამ ხატზე ყოფილა ასეთი წარწერა: „...ერთობილნი სანნი და ხევი ლატალისა და ალაშენე მაშენებელი შენი სოფელი ლაშილი" (Д. Бакрадзе, ЗКОР ГО, т. 76,1864, с.86). „ერთობლივი სანნი და ხევი ლატალისა" ცხადია ნიშნავს: „ერთობილნი სვანნი და ხევი ლატალისა". ეს ფაქტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ სვანთა სანნად აღნიშვნის ტრადიცია ძველთაგანვე არსებულა.

ბერძნული წყაროების სანი ტერმინის კანონზომიერი მეგრული წარმოებაა შონი (სვანი). როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეგრულში ქართულ-ბერძნული ს შ-დ გადადის, ხოლო ა—ო-დ (მაგ.: ასი-ოში, სმა-შვა და სხვ.).

აფხაზეთში სანი იწარმოა ფორმით ა-შან-უა (სვანი).

სანი-გი, სანი-კი, სანი-ხი, ისეთივე წარმოებისაა, როგორც აბას-ხი, აბაზ-გი, ბასხი, ბასიანი. როგორც ვხედავთ, სუფიქსები გი, ხი, კი და ან ერთმანეთს ცვლიან, ე. ი. შინაარსობრივი თვალსაზრისით ისინი ერთმანეთის იდენტური არიან. აღსანიშნავია, რომ ან სუფიქსი დღემდე შემორჩა სვანეთში.

რამდენადაც გი, ხი, კი სუფიქსების შეცვლა ან-ით დასტურდება, მაშინ შესაძლოა სანიგი-ს სახენაცვალი ფორმა იყოს სანიანი, იგივე სვანური შანიანი (მეგრ. შონი), ანუ მუ-შანიანი (ე. ი. სვანელი, წარმოშობით შანი — შონი — სვანი). ამ შემთხვევაში შანიან ტერმინმა ჩვეულებრივ დაიმატა სვანურისათვის დამახასიათებელი მაწარმოებელი სუფიქსი მუ/მე, მი (შდმ. სვან. მე ზან-მეგრელი, მუშან — სვანი მიირცხელ-არცხელელი. არცხელი სოფელია სვანეთში).

ანალოგიური წარმოებისად უნდა მივიჩნიოთ ბერძენი ავტორების მიერ ოდნავ ტრანსფორმირებული მოსინიკი (მუშანიკი — მუშანიანი, რადგან კი-ან-ს) და მისიმიანი (მიშიმიანი), სადაც, მართალია, კი-ს ნაცვლად უკვე — ან ქართველური სუფიქსი გვაქვს, მაგრამ ფუძე „სიმი" სან (შან)-ის დამახინჯებულ ფორმას წარმოადგენს. ამ ფუძე-სიტყვის დამახინჯების მიზეზიც სწორედ იმაში უნდა ვეძიოთ, რომ იგი ადგილობრივი, ქართული (სვანური) წარმოშობისაა.

და ბერძნებმა იგი თავიანთი ენის ნორმებს დაუმორჩილეს, რის შემდეგაც მუშანიანი მისიმიანად აწარმოეს. ანალოგიურ ვითარებასთან გვაქვს საქმე მოსინიკის ბერძნული წარმოების შემთხვევაშიც.

ამგვარად, თვით ის ფაქტი, რომ I-II სს. უცხოელი ავტორები — პლინიუსი, არიანე, მემნონი ადლერსა და სოხუმს შორის ასახელებენ სანიგებს, ხოლო მათი თანამედროვე კლავდიოს პტოლემაიოსი სანიგების ნაცვლად ხმარობს ტერმინს „საუნნოკოლხებს", ამასთანავე, VII საუკუნის „სომხეთის გეოგრაფიაში" აღნიშნულ ტერიტორიაზე სანიგების ნაცვლად ისევ სვანები რომ არიან დასახელებული, ჩვენი აზრით, სანიგთა სვანური წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოჩა ჯაფარიძე

# ქართველთა ერთი ეკლესიის შესახებ ეგვიპტეში

შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, როგორც ცნობილია, მრავალი ქართული ეკლესია და მონასტერი არსებობდა. ეს სავანეები სინას მთაზე, პალესტინასა და ანტიოქიაში ქართული კულტურის მძლავრ კერებსაც წარმოადგენდნენ.

ქართველთა მოღვაწეობა დადასტურებულია ეგვიპტეშიც. ეროვნებით ქართველად არის მიჩნეული ცნობილი ბიზანტიელი მწერალი ევაგრე პონტოელი, რომელიც IV ს-ში ცხოვრობდა ეგვიპტეში. ქართული ტრადიციით V საუკუნეში პეტრე იბერს აუგია ეკლესია ეგვიპტის უდაბნოში. ადრეულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება ქართული ტიპის ეკლესია, რომელიც თებეს ნეკროპოლზე გათხარა პროფ. მონერე დე ვილარმა.

სხვა რაიმე მითითება ეგვიპტეში ქართული ეკლესია-მონასტრების არსებობის შესახებ მკვლევარებს არ მოეპოვებათ. ამდენად, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს XIV საუკუნის ეგვიპტელი ისტორიკოსის საიფ ად-დინ აბუ ბაქრ იბნ აბდ ალლაჰ იბნ აიბაქ ად-დავადარის ერთი ცნობა, რომელიც სწორედ ამ საკითხს ეხება.

მოკლედ იბნ ად-დავადარის შესახებ. მისი დაბადებისა და გარდაცვალების წლები უცნობია. მაგრამ ვიცით, რომ ის იყო ეგვიპტის სულტნის ნასირ ად-დინ მუჰამმად იბნ კალავუნის (1294-1295, 1299-1309, 1309-1340) თანამედროვე. მისი მოხელე და კავშირი ჰქონდა საფოსტო სამსახურთან (6, 744).

იბნ ად-დავადარის ეკუთვნის ცხრატომიანი ისტორია „ქანზ ად-დურარ ვა ჯამი ალ-ღურარ" („მარგალიტების განძი და რჩეული კრებული"), რომელიც 1309-1336 წლებში დაიწერა. ამ თხზულების პუბლიკაცია 1960 წ. დაიწყო გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტმა ქ. კაიროში. გამოიცა „ქანზ ად-დურარის" ის ნაწილები, რომლებშიც მოთხრობილია ეგვიპტის ფატიმიანთა, აიუბიანთა და მამლუქთა ისტორია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თხზულების უკანასკნელი, IX ტომი, რომელიც სულტან ნასირ ად-დინ მუჰამმადის მოღვაწეობას ეძღვნება. იბნ ად-დავადარი თვითმხილველი და მომსწრე იყო ამ ტომში აღწერილი ამბებისა. ის სარგებლობდა თანამედროვეთა სანდო ინფორმაციითა და სახელმწიფო დოკუმენტებით, რაც ზრდის მისი ნაშრომის, როგორც ისტორიული წყაროს, ღირებულებას.

იბნ ად-დავადარის თხზულების უკანასკნელი ტომი საყურადღებოა XIV საუკუნის I მეოთხედის ეგვიპტე-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიისთვისაც. არაბი ისტორიკოსი რამდენჯერმე ასახელებს ქართველებს (ა ლ-ქ უ რ ჯ), ეხება ქართველთა ელჩობას ეგვიპტეში 1311-12 წ. და ქართველთა მონაწილეობას ეგვიპტის წინააღმდეგ მონღოლთა ლაშქრობაში 1312-1313 წწ. (რაც სპეციალურად შეისწავლა დ. გოჩოლეიშვილმა). გარდა ამისა, იბნ ად-დავადარი იხსენიებს, აგრეთვე, ქართველთა ეკლესიას ეგვიპტეში, რომლის დასანგრევადაც სულტან ნასირ ად-დინ მუჰამმადის სპეციალური ბრძანება გამოსულა.

იბნ ად-დავადარი მოგვითხრობს, რომ 1321 წელს კაიროსა და მის მიმდებარე ფუსტატში, რომელიც ეგვიპტის დედაქალაქი იყო 969 წლამდე „გაჩნდა საშინელი ხანძარი. ეს იყო ქრისტიანთა ნამოქმედარი და მისი მიზეზი (კი გახდა) ის, რომ გამოიცა მაღალი ბრძანება (ა ლ-მ ა რ ს უ მ ა შ-შ ა რ ი ფ), რათა დაენგრიათ ქართველთა ეკლესია (ქ ა ნ ი ს ა თ ა ლ-ქ უ რ ჯ), რომელიც ცნობილი იყო ა ლ - ჰ ა მ რ ა ს სახელით. მდაბიო ხალხი თავს დაესხა დასანგრევად რამდენიმე ეკლესიას. ესენია; აზ-ზუჰრის, წმ. მინას, შვიდი წყაროს, მწვრთნელთა, ბარჯავანის უბნის, რამლა ალ-ჰუსაინიას და კაიროს ეკლესიები. სულ შვიდი ეკლესია. მდაბიოებმა დაანგრიეს ისინი და ძლიერ გაძარცვეს. (ამის საპასუხოდ) ქრისტიანებმა დაიწყეს ცეც-

ხლის გაჩენა მისრსა (ფუსტატში, გ. ჯ.) და კაიროში, სხვადასხვა ადგილზე" (3. 306).

1821 წლის ანტიქრისტიანულმა გამოსვლებმა და ქრისტიანული მოსახლეობის მღელვარებამ დიდი მსხვერპლი და მატერიალური ზარალი გამოიწვია ქვეყანაში. მაგრამ იბნ ად-დავადარი ყოველივე ამის შესახებ უაღრესად მოკლედ მოგვითხრობს. უფრო ვრცლად და დაწვრილებით გადმოგვცემს ამ ამბებს XV საუკუნის ეგვიპტელი ისტორიკოსი ალ-მაკრიზი. მისი ცნობით ანტიქრისტიანული გამოსვლები დაიწყო კაიროს ერთ-ერთ უბანში წყალსაცავის მშენებლობის დროს. მშენებლობის ზონაში მოყვა აზ-ზუჰრის ეკლესია. 1821 წ. 8 მაისს, პარასკევს, როცა ეგვიპტის ხელისუფალნი კაიროს საკრებულო მეჩეთში ლოცულობდნენ, მდაბიო ხალხი თავს დაესხა ამ ეკლესიას, დაარბია და გაძარცვა ის. ამის შემდეგ, კაიროში, ფუსტატში, ალექსანდრიასა და ეგვიპტის სხვა ქალაქებში მუსლიმებმა თითქმის ერთდროულად დაარბიეს ქრისტიანთა სხვა სავანეებიც (1, ტ. IV, 426; 2, 216-220). ალ-მაკრიზის თანახმად, სულტნის ხელისუფლებამ ამის შესახებ თითქოსდა არაფერი იცოდა და ანტიქრისტიანული გამოსვლები მდაბიოთა ინიციატივით დაიწყო. მაგრამ იბნ ად-დავადარის ზემომოტანილი მოკლე ცნობა საწინააღმდეგოს მეტყველებს. ის ბრძანება, რომელიც ქართველთა ეკლესიის დასანგრევად გამოიცა, მოწმობს, რომ 1821 წლის ანტიქრისტიანული გამოსვლები სულტნის მიერ იყო სანქცირებული.

იბნ ად-დავადარის ცნობაში ჩვენთვის მთავარი და საყურადღებოა ქართველთა ეკლესიის მოხსენიება. სამწუხაროდ, არაბი ისტორიკოსის თხზულებაში ეს ეკლესია მხოლოდ ერთხელ არის დასახელებული და არ ჩანს, სად მდებარეობდა ის, კაიროში თუ ფუსტატში, ანდა შესრულდა თუ არა სულტნის ბრძანება მისი დანგრევის თაობაზე. დანგრეულ ეკლესიათა შორის ის აღარ იხსენიება. მაგრამ იბნ ად-დავადარი აღნიშნავს, რომ ქართველთა ეკლესია ცნობილი იყო ალ-ჰამრას სახელით. ეს მითითება კი საშუალებას გვაძლევს, რომ მის შესახებ დამატებითი ცნობები სხვა არაბულ წყაროებში მოვიძიოთ.

აბუ სალიჰ ალ-არმანი, რომელმაც XIII საის დასაწყისში დაგვიტოვა დიდი ნაშრომი ეგვიპტის ეკლესია-მონასტრების შესახებ, მიუთითებს, რომ ალ-ჰამრა აშენებული იყო ფუსტატში (4, 87-88). ალ-მარკიზის თანახმად, ის მდებარეობდა ალ-ჰამრა ად-დუნიას უბანში (1, ტ. 111, 188), რომელიც ქრისტიანებით დასახლებულ ალ-ჰამრას დიდ რაიონში შედიოდა (1, ტ. II, 60, 79-80).

აბუ სალიჰ ალ-არმანის ცნობით ალ-ჰამრას ეკლესია იგივე წმ. გიორგის ეკლესიაა. XI საუკუნეში ის საკმაოდ დანგრეული ყოფილა და განუახლებიათ ფატიმიანი ხალიფას ალ-მუსთანსირის (1086-1094) დროს (3, 87-88, 97). წმ. გიორგის ამ ეკლესიას (ქ ა ნ [illegible] ჯ) იხსენიებს იბნ დუკმაკიც (XIV—XV ს.), რომელიც კიდევ უფრო აზუსტებს მის ადგილმდებარეობას. ეს ეკლესია ფუსტატში აშენებული იყო კაიროს არხის დასავლეთით, ნილოსთან, ბუსთან ას-სუქქარას (სუქარას ბაღის) მახლობლად (5, 108). მინიშნება ამის თაობაზე აქვს აბუ სალიჰსაც, ხოლო ალ-მაკრიზი ერთ შემთხვევაში ალ-ჰამრას ბუსთან ას-სუქქარას ეკლესიასაც კი უწოდებს (2, 216).

ზემოდასახელებულ ეგვიპტელ ავტორთა შორის იბნ ად-დავადარი ერთადერთია, რომელიც ალ-ჰამრას ქართველთა ეკლესიას უწოდებს. მისი ამ ცნობის ჭეშმარიტებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გაგვაჩნია. „ქანზ ად-დურარის" ერთადერთი შემონახული ნუსხა, რომელიც სტამბოლში თოფქაფის ბიბლიოთეკაში ინახება, ავტორის ხელით არის დაწერილი. იბნ ად-დავადარიმ კარგად იცოდა ვინ იყვნენ ქართველები, მომსწრე იყო 1821 წლის ამბებისა და წაკითხული ექნებოდა სულტნის ბრძანებაც.

აშკარაა, რომ 1821 წლისათვის ალ-ჰამრას ეკლესია ფუსტატში ქართველებს ეკუთვნოდათ. მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ის უეჭველად ქართველებმა ააშენეს. იმ მცირერიცხოვანი ცნობებიდან, რომლებიც ალ. ჰამრას შესახებ არსებობს, ჩანს, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული XIII საუკუნის დასაწყისამდე (როცა წერდა აბუ სალიჰ ალ-არმანი) ის კოპტების (იაკობიტების) ხელთ იყო. მაგრამ ცნობილია ისიც, რომ ხელისუფალთა მიერ ეკლესიების დახურვა, ერთი რელიგიური თემისთვის მათი ჩამორთმევა და მეორესთვის გადაცემა, არც თუ იშვიათად ხდებოდა ეგვიპტესა და სირია-პალესტინაში. შესაძლებელია, რომ ალ-ჰამრას ეკლესია ქართველებს გადაეცა XIII საუკუნის პირველ ნახევარში, როცა საქართველოსა და აიუბიანთა ეგვიპტეს შორის კარგი ურთიერთობები არსებობდა. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო XIV საუკუნის დასაწყისშიც, როცა ქართველებმა დაიხსნეს იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. აღსანიშნავია, რომ როცა 1810 წ. კაიროში ჯვრის მონასტრის დახსნის მისიით ჩავიდნენ საქართველოსა და ბიზანტიის ელჩები, სულტნის ხელისუფლებამ დაადგინა, რომ მათთვის გაეხსნათ და გადაეცათ ორი ეკლესია: მელქიტებისა (ე. ი. მართლმადიდებლებისა) — ფუსტატში და იაკობიტებისა — კაიროში (2, 90). ამ ცნობაში, რომელიც ალ-მაკრიზის ეკუთვნის, სამწუხაროდ, ეკლესიების სახელები აღნიშნული არ არის.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ალ-ჰამრა, რომელიც ითვლებოდა „ქრისტიანთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და უმდიდრეს ეკ-

ლესიად" (2, 217), 1821 წლის ანტიქრისტიანული გამოსვლების დროს დაინგრა (2, 217; 1, ტ. IV, 426, 488). თითქმის მთლიანად განადგურდა ამავე დასახელების — ალ-ჰამრას ქრისტიანული უბანიც. მართალია, მომდევნო ხანებში მოხერხდა ზოგიერთი ეკლესიის (მაგ. წმ. მინას) აღდგენა, მაგრამ ალ-ჰამრა, იგივე ქართველთა ეკლესია არ აღუდგ[illegible] საუკუნის I ნახევარში მის ადგილზე [illegible] ალ-აჯამის ზავია (სუფიების სავანე) იყო აშენებული (1, ტ. III, 188).

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ალ-მაკრიზი, ქითაბ ალ-მავაიზ ვა-ლ-ითიბარ ბი-ზიქრ ალ-ხიტატ ვა-ლ-ასარ, ტ. II, მისრ, 1825, ტ. III, მისრ, 1825, ტ. IV, მისრ, 1826.

2. ალ-მაკრიზი, ქითაბ ას-სულუქ ლი-მარიფათ დუვალ ალ-მულუქ, მ. მ. ზიადას რედ., ტ. II, ნაწ. I, ალ-კაჰირა, 1971.

3. Die Chronik des Ibn ad-Dawadari: Neunter Teil: Der Bericht über den Sultan al-Malik an-Nasir Muhammad ibn Qalaun. Hrsg. H. R. Roemer. Kairo. 1960.

4. The Churches and Monasteries of Egypt and Some Neighbouring Countries Attracted to Abu Salih the Armenian. Tr. from the Original Arabic by T. A. Evetts. Oxford. 1895.

5. Ibn Dukmak. Description de l'Égypte. Le Caire, 1893.

6. B. Lewis. Ibn al-Dawadari. The Encyclopaedia of Islam. New. Ed. vol. III.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ხიდაშელი

# საბჭოთა არმიის ოფიცრის ჩანაწერები

...მატარებელი სავსე იყო სამხედრო პირებით, ბაქანი გამცილებლებით. ფრონტზე მიმავლების სევდიანი სიმღერა ისმოდა —

Прощай любимый город,
Уходим завтра в море...

ათასეული კილომეტრები, რომლებიც გავიარეთ — განთავისუფლებული მტრისაგან — ჯერ კიდევ ნანგრევებით იყო დაფარული.

ქალაქი ლვოვი პირველი ევროპული ქალაქი იყო, რომელიც მე ვიხილე. ეს ქალაქი მეფის დროსაც არ ყოფილა რუსეთის ფარგლებში, 1918 წელს მსოფლიო ომის დამთავრებისა და ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, ლვოვი პოლონეთს გადაეცა, ხოლო 1939 წელს უკრაინის შემადგენლობაში შევიდა.

ქალაქ ლვოვიდან უნგრეთში გასვლა ვერ მოვახერხეთ — ბენდერას ჯარები აქ აქტიურად მოქმედებდნენ და მთელ ეშელონებს აფეთქებდნენ. ორი დღე დავრჩით ამ ქალაქში. აფორიაქებულ, მძიმე ბრძოლებგადატანილ, მაგრამ მაინც მშვენიერ ევროპის ქალაქებს ისეთი სიხარბით ვათვალიერებ, როგორც მოწყურებული და ნაშიმშილარი. ვგრძნობ, რომ მხოლოდ ომს შეეძლო მოეცა ჩემთვის საზღვარგარეთ ყოფნის შესაძლებლობა და მთელი ძალით ვისუნთქავ აქაურ ჰაერს.

აღტაცებით ვათვალიერებ ლვოვის მშვენიერ ქუჩებს, პარკებსა და სასაფლაოს, რომელიც არაჩვეულებრივადაა მოვლილი საშინელი ომის ამ მძიმე დღეებშიც კი. მიცკევიჩის ძეგლი, ცნობილი და საამაყო პოლონელი პოეტის, რომლის მოტივები, როგორც სკოლის გაკვეთილებიდან მახსენდება, ენათესავება ბარათაშვილის რომანტიკულ სულისკვეთებას. ქალაქი დიდი ზომის კათოლიკური კასტიოლებითაა ცნობილი. ეკლესია ხანშიშესული მლოცველებით იყო სავსე და შუახნის სიმპათიური პასტორი მიღიმოდა, ჩემი სადაურობა რომ გაიგო.

ლვოვიდან უკან დაგვაბრუნეს და გადავწყვიტეთ უნგრეთში რუმინეთის გავლით ჩავსულიყავით.

...კიევი არ მენახა, მაგრამ ბევრი მქონდა გაგონილი „მწვანეთში ჩაფლულ ქალაქზე", დნეპრზე —

Реве да стоне днiпр широкий,

„კრეშჩატიკზე", ვლადიმირის გორაზე.

ამჯერად პარკებიც განადგურებულია საარტილერიო თუ საავიაციო დაბომბვის გამო, „კრეშჩატიკიც". ამ ქუჩის ერთი მხარე საერთოდ მოსწორებულია მიწის პირამდე.

...პირველი რუმინული ქალაქი, სადაც ჩვენი მატარებელი შეჩერდა და ღამის გათევა მოგვიხდა — იასაა, ძველი ქალაქი — ჩვენ კულტურასთან დაკავშირებული ანთიმოზ ივერიელისა და ბესიკის მეშვეობით. რამდენიმე ოფიცერმა ერთი შუახნის ქალის ოჯახში გავათენეთ. დიასახლისმა „მამალიგა" (ღომს რუმინულადაც თურმე ასე ჰქვია) მოგვიხარშა. რუსული ლაპარაკი არ იცის და მუნჯური ჟესტებით ვაგებინებთ ერთმანეთს.

რუსულ ენაში გაცნობიერება რომ დაგვიმტკიცოს, ეს სიმპათიური და დარბაისელი ქალი რუსულ სიტყვებს კაჭკაჭივით უაზროდ იმეორებს, რაც ჩვენს მხიარულ ღიმილს და ხშირად ხარხარს იწვევს, ეს რუსული სიტყვები უწმაწური სიტყვებია, რომლებიც მისთვის რუს ჯარისკაცებს უსწავლებიათ და, რაღა თქმა უნდა, მათი მნიშვნელობა არ აუხსნიათ.

რუმინელებსა და ჩვენს შორის რაღაც მსგავსება შევამჩნიე — გარეგნულადაც, ჩაცმულობითაც და ხასიათითაც. რუმინელ გლეხებს უხეში ქსოვილისაგან შეკერილი პალტოები აცვიათ, თავზე ცხვრის ტყავის მაღალი, წოწოლა ქუდები ახურავთ.

რკინიგზის სადგურზე წითელქუდიანი მო-

დასასრული. იხ. „მნათობი", № 5.

სამსახურე ვიღაცას ელაპარაკებოდა, ხელების ისეთი ქნევით და ტემპერამენტით, რომ თავი ქართულ სადგურებზე მეგონა.

ბუქარესტი დიდი, ევროპული ქალაქია, ძველი და ახალი არქიტექტურით. მეფის სასახლის წინ, სადაც ახლახან ახალგაზრდა მიხაი იჯდა, ამერიკული საელჩოს შენობა დგას, ახალი, სადა, მაგრამ ძალიან ლამაზი სტილით აგებული (რომლითაც ჩვენში შენობებს არ აშენებენ, ან თუ აშენებენ, ძალიან იშვიათ შემთხვევაში). ქალაქის ამგვარ ფონზე, ქუჩებში თუნუქის სპეციალური დანიშნულების ლუმელები დგას, რომლებშიც სახელდახელოდ ბატი-ბუტი, ნამდვილი, ჩვენებური ბატი-ბუტი იხალება და ქალალდის პატარა პარკუჭებში იყიდება.

ქალაქში ამ დღეებში (1945 წლის იანვარში) საზეიმო ვითარება სუფევდა. ახალმა ხელისუფლებამ, უფრო სწორად, საბჭოთა სარდლობამ, უნგრეთის ტერიტორიის ნაწილი (ტრანსილვანია) რუმინეთს გადასცა. ქალაქი სავსეა საზეიმო პლაკატებით — გეოგრაფიული კონტურებით შემოხაზული ტრანსილვანიის თავზე ამომავალი მზე და სტალინის გამოსახულება, რომლებიც ტრანსილვანიას სხივებს აფრქვევენ.

სამ წელზე მეტია ომი მძვინვარებს, ყველა სასოწარკვეთილებითაა მოცული და ხალხი სულიერ შვებას ეძიებს — ვინ რელიგიაში (გაჭედილია ხალხით ეკლესიები), ვინ წუთიერ სიამოვნებაში და მისკენ ანგარიშმიუცემელ სწრაფვაში.

ბუქარესტში ჩემი კომანდის ახალგაზრდა ოფიცრებმა რუსი მეზღვაური გამაცნეს — აუარებელი ფული აქვს და ყოველ საღამოს პირველხარისხოვან რესტორანში ატარებს დროს. რა თქმა უნდა, დროს ტარებას პარტნიორი სჭირდება და მეზღვაური არსად არაა ახალგაზრდა მოხდენილ პატარა ტანის ქალის, ავიაციის ლეიტენანტის გარეშე. მთელი საღამო ერთად ცეკვავენ სასტუმროს რესტორანში; ცეკვითა და სასმელით დამთვრალნი ადიან საკუთარ ნომერში, რომ სიცოცხლითა და სიყვარულით თრობა იქ განაგრძონ.

ვინაა ეს მეზღვაური ან ეს ლეიტენანტი ქალი, რა უნდათ აქ, მრისხანე ომის პირობებში, როდესაც ფრონტზე ასეულები და ათასეულები იღუპებიან? — არ ვიცი. ერთი წუთით გული შურის გრძნობით ივსება!

აი, ასე უნდა ცხოვრება. ასეთი კაცი სხვებზე მეტს აიტანს და ყველა პირობებში გამონახავს მხიარულებისა და ტკბობის საშუალებას. მისთვის მხოლოდ დღევანდელი დღე და ეს, აი, ეს წუთი არსებობს! მაგრამ — ვინ იცის?! იქნებ სწორედ დღევანდელმა მძვინვარე პირობებმა და ხვალინდელ დღეზე მჭმუნვარე ფიქრებმა დააყენა ამ გზაზე, აიძულა დღევანდელ დღეს, ამ საათებს და ამ წუთებს გამოგლიჯოს სიხარული, სიყვარული („ერთი ლუკმა სიყვარული") და სიამოვნება: „მასუი ღვინო, ლონიო, შენთან ხელითა ვარდისა ფერი შენისა ლაწუისა მსგავსი, შენისა პირისაებრ სუიანი! ამისა უამესი ჟამი აღარ ეგების... რა ვიცით ხვალისა წინამდებარე? მოედ, რომელ თავისა კერძი სიხარულისა ნაწილი ავიღოთ დღეს".

მე ჩემი ფიქრები მაქვს, ჩემი განცდები და გზა ცხოვრებისა, თითქოს ბედისწერით განსაზღვრული. არ ვიცი — რა მელის, საით და რა გზით წამიყვანს ჩემი ვარსკვლავი, მაგრამ არა მგონია, რომ ამ მეზღვაურის გზა ჩემი გზა იქნება.

...პირველი კლასის ვაგონები გაპარტახებულია. რბილ სკამებზე და საზურგეებზე გადაკრული ქსოვილები ჩამოდლეძილი, საპარსი დანებით ამოჭრილი. ერთი რუმინელი ყრუდ ისვრის ფრაზას:

— ამ ქსოვილებისაგან „სოლდატები პარტიანკებს" იკეთებენ!

მაგარ, ფრანგული ფირმის ვაგონებს ჯერ კიდევ შერჩენიათ სახე და იერი. „ჩვენი ძმის" შეხედულებით ერთი დიდი ნაკლი აქვთ — საწოლი ადგილები არაა და შეუჩვეველი მგზავრისათვის ძნელი ასატანია.

ერთ სადგურზე ჩვენი ჯარების სერჟანტი ამოვიდა და ახალგაზრდა მშვენიერი რუმინელი ქალი ამოიყვანა, დიდი შავი თვალებითა და გრძელი, ჩამოშლილი თმებით. ჩემი კომანდის ოფიცრებმა სცადეს მასთან გამოლაპარაკება, მაგრამ სერჟანტი ისეთი „გააფთრებით" იცავდა, რომ ახლო ვერავინ გაეკარა. ვერ გავიგე რა როლს ასრულებდა სერჟანტი — ქალს იცავდა ჩვენგან, თუ ჩვენ ქალისაგან?

მატარებელი მიჰქროდა, მის მონოტონურ ხმაურში წამთვლიმა და ჩამეძინა.

დილით მატარებელი ვიწრო ხეობაში შევიდა და ხმაურმა გამაღვიძა: თვალწინ საოცარი, ჩემი გამოცდილებისათვის სრულიად უჩვეულო სანახაობა წარმომიდგა: მაღალი მთების ხეობაში „ჩაჭედილი" დიდი, ფართო დუნაი, იმდენად ფართო, რომ მის კუნძულებზე საკმაოდ დიდი სოფლებია მოთავსებული — წითელი კრამიტით გადახურული სახლებით, ბაღებით, ბოსტნებით და ირგვლივ, ნაპირებზე გამობმული ნავებით, რომლებიც მათთვის ხმელეთთან დაკავშირების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს.

ჩემი ქვეყნის შვილს და ნევის ნაპირებზე ნაცხოვრებს, არც დიდი მთები უნდა მაკვირვებდეს და არც დიდი, მდორე მდინარე, მაგრამ მათი შეხამება, არასოდეს არ მენახა, და, ვფიქრობ, რომ ეს საერთოდ იშვიათი სანახაობა იყო.

მეორე დღეს, გათენებისას, ჯერ კიდევ სიბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელეში, ჩვენი მატარებელი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მოხვდა, სულ მცირე ხნით. მატარებელი რომ გაჩერდა, სადგური არ ჩანდა, სამუდამოდ გაუგებარი დარჩა ჩემთვის მისი სახელწოდება. მაგრამ, არსად, ევროპის არცერთ ქვეყანაში არ მიგრძვნია ისეთი სითბო, სიყვარული და გულითადობა, რამდენიც ამ პატარა ტერიტორიაზე და მისი მოსახლეობის მხრივ.

ამ შუაღამისას, ახალგაზრდა თუ ხანში შესული ქალები და ბავშვები მორბოდნენ ჩვენი ვაგონისაკენ. მოჰქონდათ კვერცხები, მოხარშული ქათმები, პური. ვისაც რა შეეძლო, და რა ჰქონდა სახლში.

გვეხვეოდნენ, გვკოცნიდნენ, ლოცულობდნენ ჩვენს მზეს და სწყევლიდნენ გერმანელებს. სწყევლიდნენ მათ დამპყრობლებს, ქვეყნის ამწიოკებლებს, მათი მამების, შვილებისა და ქმრების დამტყვევებლებს, მკვლელებს, დამხვრეტლებს.

ეს იყო ნამდვილი, უშუალო, გატანჯული ხალხის გულებიდან ამომხდარი განცდები, დიდი სიხარული და აღფრთოვანება იუგოსლავიის განთავისუფლებისა და მათი განმათავისუფლებლის მიმართ.

## მე, არტილერიის ოფიცერი

...შევედით უნგრეთის ტერიტორიაზე.

პირველი ქალაქი, სადაც გაჩერება მოგვიხდა, სეგედი იყო, მდინარე ტისაზე. ქალაქის შუაში დიდი, ცაში ატყორცნილი ტაძარი დგას. მიუხედავად თებერვლის ბოლო რიცხვებისა — მზიანი, თბილი დარია და მთელი ქალაქი ყვავილების თაიგულებით არის სავსე. ყვავილები პირველი, დიდი შთაბეჭდილებაა ტაძართან ერთად, რადგან მე არც ამ ზომის ტაძარი მინახავს, და არც ამდენი ყვავილი ქალაქში.

უნგრეთში გერმანულად ყველა ლაპარაკობს, განსაკუთრებით საშუალო ასაკს გადაცილებულები. ვახერხებ მათთან საუბარს და მათი ნათქვამიც მესმის. ტრამვაიში ერთ უნგრელს ყვითელ ყდაში ჩასმული წიგნი ეჭირა ხელში — ლევ ტოლსტოის რომანი, აქაურ ენაზე თარგმნილი. მისგან შევიტყვე, რომ უნგრეთში სხვა ტოლსტოისაც იცნობენ klein ტოლსტოის, თანამედროვე რუს პროზაიკოსს, რომელსაც მე ჯერ კიდევ ლენინგრადში ვიცნობდი და მოსმენილი მქონდა მისი მოხსენება „პეტრე დიდის“ შესახებ.

სანამ ბატარეამდე მივიდოდი და ჰაუბიცების ოცეულს ჩავიბარებდი, პოლკის შტაბში უნდა გამოვცხადებულიყავი. მეორე „საბრძოლო ნათლობა“, აზოვის ზღვის შემდეგ, აქ მივიღე. ცაში, სულ დაბლა „მესერშმიტი“ გამოჩნდა, დაგვბომბა და ტყვიამფრქვევები დაგვიშინა. ტყვიამფრქვევების, ბომბებისა და ჩალეწილი მინების ხმაური ერთმანეთში აირია. უეცარმა თავდასხმამ პანიკა გამოიწვია.

— ბუნკერისაკენ, ყველა ბუნკერისაკენ! — გაისმა შტაბის უფროსის ხმა და ბუნკერისაკენ გაიქცა.

...ბალატონის მიდამოებში ვართ, ხაზზე სიმშვიდეა. ვცხოვრობთ მოწინააღმდეგის დატოვებულ ბლინდაჟებში. ჩვენც და ჩვენი ქვემეხებიც მზადყოფნის მდგომარეობაში ვიმყოფებით. ბლინდაჟებში თბილა, სათბობი საკმარისი გვაქვს, თუ გამოილია, ღუმელის გახურება დენთითაც შეიძლება.

ბუქარესტიდან უნგრეთამდე ფრონტის ხაზზე ერთი სიმღერა ისმის

**— На позицию девушка провожала бойца...**

მაგრამ აქ მისი შინაარსი შეცვლილია ფრონტის უშუალო განცდათა გავლენით და ჯარისკაცის განწყობილების შესატყვისად. „მხატვრული სინამდვილე“ აქ ბევრად უფრო ახლოა რეალობასთან: ომიდან დაბრუნებულ, დასახიჩრებულ ჯარისკაცს ცოლი (სატრფო) გულცივად ხვდება და სახლშიც არ ღებულობს.

**— Ковыляй понемножечку, про меня позабудь!**

ჯარისკაცი ფარაჯის უბეს გადაიხსნის და ქალი ორდენებით სავსე მკერდს დაინახავს. უმალ იცვლება დამოკიდებულება კაცისადმი, რომლის სახლში მიღებაც არ უნდოდათ. ჯარისკაცის გული სიამაყის გრძნობით ივსება, მაგრამ მის სახეზე ზიზღის ღიმილია აღბეჭდილი, სტოვებს ცოლს და მიდის თავისი გზით.

...ამ ღამეს მოსალოდნელია ტანკების თავდასხმა. ჩვენი მსხვილკალიბრიანი ჰაუბიცები ათეულ კილომეტრებზე სწვდებიან მიზანს, ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც მიზანი არ ჩანს. მაგრამ ძალიან ძნელია მძიმელულიანი და მოუქნელი მართვის მოწყობილობით აღჭურვილი იარაღის გამოყენება ტანკის წინააღმდეგ და სატანკო შტურმის მოსაგერიებლად.

ბატარეის პირად შემადგენლობაში შეშფოთებაა. ბატარეის მეთაური, მაღალი, შავგვრემანი, გამხდარი მაიორი სათვალთვალო პუნქტზე იმყოფება, ჩვენგან სამი-ოთხი კილომეტრის დაცილებით. არა და, მისი აქ ყოფნა, მოსალოდნელი მძიმე განსაცდელის დროს, ყველაზე უფრო მეტადაა საჭირო. მაიორი არავის უნახავს მოთმინებიდან გამოსული, ან ზედმეტად აღელვებული. მაგრამ ყოველთვის დინჯი და დაფიქრებული, გონიერი და საზრისიანი, დამამშვიდებლად მოქმედებს მებრძოლებზე.

შებინდდება თუ არა, მთელი ბატარეია მზადაა იმისათვის, რომ ტანკების თავდასხმას დახვდეს და ელის ამ მძიმე წუთებს. ბატარეის უფროსის მოვალეობას მეთაურის მოადგილე ასრულებს. ყოველ საღამოს ერთი და იგივე სურათი მეორდება: ჩვენ ტანკების თავდასხმის მოლოდინში ვართ. ის მოირბენს ჩვენთან, სი-

ტყვას წარმოთქვამს, „გაგვამხნევებს“, მე მომიბრუნდება:

— ამხანაგო ლეიტენანტო! იმედი მაქვს არ შეარცხვენ საბჭოთა ინტელიგენტის სახელს! — და... გაუჩინარდება.

მებრძოლებს ღიმილი გადაჰკრავთ სახეზე, ზოგს უშუალო და გულუბრყვილო, ზოგს — სიმწარე ნარევი.

— სად წავიდა?

— ბუჩქებში!

ერთ დღეს პისტოლეტის გასროლის ხმა შემომესმა თხრილიდან, სადაც მორიგე ტელეფონისტი ზის და ბატარეის მეთაურთან არის დაკავშირებული. გავიქეცი მიწურისაკენ, იქ მეთაურის მოადგილე დამხვდა.

— პისტოლეტი გამივარდა შემთხვევით! — ხელში გერმანული „კოლტი“ ეჭირა.

— მაგას არ გეკითხები.

— აბა, რას?

— სად გარბიხარ და იმალები საღამოობით, გგონია ჯარისკაცების გასამხნევებლად ლაქლაქია საკმარისი?

— აჰა, მივხვდი. მაგრამ მე ვიცი, რასაც ვაკეთებ, შენ ჩემი შენიშვნის უფლება არა გაქვს, ხომ იცი, რომ ამას წესდება გიკრძალავს! თუ ძალიან გინდა, წადი და დამასმინე. ისე კი, თუ გულწრფელი საუბარი გსურს, გავიდეთ თხრილიდან — ტელეფონისტზე მიმანიშნა, როგორც ჩვენი საუბრის არა სასურველ მოწმეზე.

— იცი რა, მე ჩემს თავს უფრო ვუფრთხილდები, რადგან მეტი სარგებლობა მომაქვს, ვიდრე...

— თავს ყველა უნდა უფრთხილდებოდეს, ომის მოგება სხვაგვარად არ შეიძლება. მაგრამ „ვიდრე“ ვის, აზრი რატომ არ დაამთავრე?

— ვიდრე მაგათ.

— ვის მაგათ? ვინც ქვემეხთან მთელი ღამე დგას და ტანკების თავდასხმას პირისპირ უნდა შეხვდეს?

— ჰო!

— ესე იგი — მეც. მეც ხომ აქა ვდგავარ!

— არა, შენზე არ ვლაპარაკობ. სხვებზე ვამბობ. ეგენი ბევრნი არიან და შემცვლელს ყოველთვის იპოვი. ჩემი და ჩემისთანის შეცვლაა ძნელი, ზოგჯერ შეუძლებელიც!

ჩვენი დიალოგი უეცრად მოსულმა ბრძანებამ შეწყვიტა — ბატარეის განლაგების ადგილი სასწრაფოდ უნდა შეგვეცვალა.

## Meinem überalles geliebtenem Mann!

შესანიშნავი დარია, მზიანი, თბილი, მოალერსე.

კაცობრიობამ დიდი ხანია განსაზღვრა ის, რაც თავისთავად არსებობს, ადამიანს ბუნებისაგან აქვს ნაწყალობევი და მზად ხვდება მისი გაჩენის პირველივე დღიდან, იმისგან, რაც ადამიანმა შექმნა გარემოზე ზემოქმედებისა და საკუთარი ცხოვრების გან-კარგებისათვის, გან-საზღვრა და თავისი სახელით [illegible]

ამ შესანიშნავ დღეს [illegible] სიკეთეს, „კულტურაა“ გამძვინვარებული, გააფთრებული, გაბოროტებული, ტანკებით, ქვემეხებით, ავტომატებით შეიარაღებული.

მინდვრები და გზატკეცილები გვამებითაა მოფენილი.

საშინელი, გულის შემზარავი გრძნობა გეუფლება, ავტომძღოლის გვერდით რომ ზიხარ და „სტუდებეკერი“ გვამს გადაუვლის, ანდა ტანკების მუხლუხები გვამებს რომ ძვლებისა და კუნთების უფორმო მასად აქცევს. მაგრამ ომს თავისი „ლოგიკა“ აქვს — დრო ბრძოლების წარმატების უდიდესი ფაქტორია და გზის აქცევაზე არავინ ფიქრობს.

კოლონა შეჩერდა, ჩვენც შევჩერდით.

ჯარისკაცები ავტომანქანებიდან გადმოცვივდნენ. გვამებს მიესივნენ. მე ვდგავარ, ვუყური, დასჯით ვემუქრები, მაგრამ შედეგს ვერ ვაღწევ.

გზის პირად კიუვეტში გვამი გდია. იქვე უბიდან ამოყრილი წერილები და ფოტოსურათებია დაბნეული. ის, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო, მაგრამ ვინც საათს და ბეჭედს ეძებდა, მისთვის ღირებულებას არ წარმოადგენდა.

ახალგაზრდა, სულ ახალგაზრდა სახე. ტყვია ზურგში ჰქონდა მოხვედრილი და მკერდში გამოსული. ვინ იცის — რა ფიქრები უტრიალებდა თავში, რას ფიქრობდა, ახლა რომ აქ უსულოდ გდია. რა ოცნებებით ცხოვრობდა და რა ცხოვრება გაიარა, სანამ აქ, უნგრეთის ველებზე, ამ მზით სავსე დღეს სიცოხლის დასასრულს არ შეეყრებოდა და, შემთხვევით რომ გზაზე დაცემულიყო და არა გზის პირას, ავტომანქანა ან ტანკი გადაუვლიდა და ძვლებისა და კუნთების გროვად აქცევდა.

დავილუნე, წერილებსა და ფოტოსურათებს დავხედე; ერთი ფოტოსურათი ავიღე ხელში. ახალგაზრდა ქალი პატარა, ყვავილნარში ჩაფლული სახლის ფონზე. ფოტოსურათი ზურგზე წარწერით: **Meinem überalles geliebtenem Mann!**

„იუბერალეს გელიბტენ“ — ყველაზე დიდი, ყველაზე ამაღლებული და ნაზი სიყვარულის გამომხატველი შესიტყვებაა და მისი ზუსტი გადმოცემა ალბათ ისევე ძნელია, როგორც ქართული „გენაცვალესი“.

ოფიციალურ გერმანულ აზროვნებაში, ჯერ კიდევ ფაშიზმამდე, ასეთი სიყვარულის საგნად სამშობლო — „ფატერლანდი“ (ილიას სიტყვახმარებაში მამული) იყო აღიარებული. ეს „ფატერლანდი“ გერმანიას ნიშნავდა. როგორც მახსოვს, უკვე იმპერატორ ვილჰელმისდროინდელ ჰიმნში ისმოდა — „დოიჩლანდ, დოიჩლანდ იუბერალეს...“ ჰიტლერის გერმანიამ

ახალი შინაარსი ჩასდო „დოიჩლანდის“ წარმოდგენაში და გერმანია ფაშისტურ გერმანიად აქცია, მაგრამ მისი „სიყვარული დუბერალეს“ — უცვლელად დატოვა.

ამ ქალის გული არ აჰყოლია ოფიციალურ პროპაგანდას და მისი უმაღლესი და უნაზესი სიყვარულის საგნად ქმარი დარჩენილა, ახალგაზრდა კაცი, რომელთან სიხარული ალბათ ვერც მოასწრო. მათი ბედნიერება ომმა შეწყვიტა და მოსიყვარულე მეუღლე სასოებით ელოდა ქმრის დაბრუნებას. ის ახლა ჩენს წინ წევს, ტყვიით მკერდგაგლეჯილი და გაძარცული, და მე უკანასკნელი ადამიანი ვარ, მის სახეს და ჯერ კიდევ გაუხრწნელ სხეულს რომ დაჰყურებს და ხედავს.

შორი-ახლო ეკლესიები მოჩანდა. უნგრელები კათოლიკები არიან და რელიგიას ღრმადა აქვს ფესვები გადგმული მთელი თავისი რიტუალით. ეკლესიები კი სდუმან. დღევანდელ ქარცეცხლში, რომელიც ამ მიდამოებმა გადაიტანა, არც მღვდელმსახურებისათვის იცლის ვინმე, არც რიტუალისათვის და არც ზარების რეკვისათვის. ზარები სდუმს, თუმცა სამრეკლოებზე ჰკიდია და აზრად არავის მოსვლია მათი ჩამოხსნა.

სურათი გადასაგდებად ვერ გავიმეტე და უბეში ჩავიდე.

დიდხანს დავცქეროდი ფოტოსურათს.

ამდენი უბედურებით, ამდენი დაღვრილი სისხლით, ჩვენი თუ გერმანელი გვამებით გამოწვეული განცდები, აღძრული გრძნობები, თითქოს ამ სურათში იყო განივთებული და უშუალო მზერისა და შეხების საგნად ქცეული. სხვა ყველაფერი, რაც „ჩემი“ იყო და ჩემზე იყო — ქვემეხებითა და ავტომატებით დაწყებული პისტოლეტითა და ჩექმებით დამთავრებული, ტანსაცმელი კი, რელიეფის ფერით შენიღბული, სისხლის ღვრისა და მკვლელობისათვის იყო განკუთვნილი.

...ოჰ, გული, გული! ისევ შემომიტია ტკივილმა და იმედიანად ვიყურები ექთანისაკენ, ახალგაზრდა ესტონელი ტომასკენ. და უცბად მეჩვენება, რომ ტომა მიაგავს იმ გერმანელ ქალს, რომლის სურათი უბით ვატარე.

ფიქრები მერევა, ველარ ვაცოცხლებ წარსულის ფაქტებს. — რა იქნა ეს სურათი? სად დაიკარგა, როდის დაიკარგა...

...საკონტროლო პუნქტი მდ. დუნაის ნაპირზე. პუნქტის უფროსმა, სერჟანტმა საბუთები გამისინჯა, რამდენჯერმე ამხედ-დამხედა და... გზის გაგრძელების უფლება აღარ მომცა.

— საღამოს ჩემი შემცვლელი მოვა. თქვენ მე წამომყვებით, უფროსთან მიგიყვანთ. ის გადაწყვეტს თქვენ საკითხს!

მე ვიცი, რომ რაღაც გაუგებრობაა ჩემი საბუთები სრულ წესრიგშია. ეჭვი არ მეპარება, რომ უფროსი ამ სერჟანტზე ჭკვიანი აღმოჩნდება და ხვალ დილიდანვე მე მშვიდობიანად გავაგრძელებ გზას. ეს [illegible] უნდა იყოს, მაგრამ... ხომ ხდება, ([illegible] ხდება!), რაც და როგორც არ უნდა ხდებოდეს. თუ საქმე ჩემს დაპატიმრებამდე მივიდა, თუნდაც ერთი ღამით, თუნდაც რამდენიმე საათით, გაჩხრეკა არ ამცდება. უეცრად ეს სურათი გამახსენდა და ჩემი მჩხრეკელების სახეები წარმომიდგა, რომლებიც საბჭოთა ოფიცრის უბეში ახალგაზრდა გერმანელი ქალის სურათს აღმოაჩენენ! ამოვიღე სურათი, დავხიე და ისე გადავყარე, რომ არავის დაენახა.

## გაუცხოვება დედამიწასთან

...ბალატონის ტბის მიდამოებში ვართ.

ბალატონ-კენეში და ბალატონ-ალმაძი შესანიშნავი საკურორტო ადგილებია ამ ტბის ნაპირებზე, ბორცვის ფერდობებზე გაშენებული და აყვავებული აპრილის თვეში. ბაღები წითლად, ყვითლად და თეთრად ყვავის და სურნელება იფრქვევა. ტბიდან გრილი ნიავი მოქრის.

...ეშელონი სოფელთან შეჩერდა. მანქანებიდან ჩამოვედით, მუხლები გავშალეთ. ერთ ოჯახში შევედი, მასპინძლები მხვდებიან, სკამი მომიდგეს. ახალგაზრდა და შუა ხნის მამაკაცები არ ჩანან, ჯარში არიან გაწვეულები შვილებიც, ქმრებიც, ძმებიც და მამებიც.

ერთ-ერთი მებრძოლი საჩქაროდ მიხმობს და გარეთ გამოვდივარ. სარდლობის შტაბიდან მოსული მაცნე ჩემი ქვეგანაყოფის წინ დგას და ზეპირად მაძლევს განკარგულებას:

— ვიწყებთ მარშს. გზა დანაღმულია. ნაბრძანებია — ჩვენი მანქანა დადგეს კოლონის თავში და ზვეროს ნაღმების კვალი. მე მევალება — გამოვყო ერთ-ერთი მებრძოლი, დავსვა მანქანის წინა ბორბლის ფრთაზე და ველოდო მის სიგნალს სახიფათო კვალის პირველივე შემჩნევის შემთხვევაში!

მოვბრუნდი ბრძანების შესასრულებლად. მთელი ოცეული თავჩაღუნული დგას, მე არავინ მიყურებს. ყველაფერი ნათელია — სიფრთხილე და გონივრული მოქმედება აუცილებელია საომარი მოქმედების დროს, მრავალ მებრძოლს გადაარჩენს დაღუპვისაგან, მაგრამ ყველას კარგად ესმის, რომ „სიგნალი“ იმ მებრძოლის ავარდნა იქნება ჰაერში და მისი ნაწილებად გაბნევა, რომელსაც ეხლა ხელს დავადებ.

ერთი წუთით შევყოვნდი. ვიგრძენი, რომ ჩემგან მეთაური არ გამოვიდოდა, განკარგულება გავეცი ყველანი მანქანებში ჩამსხდარიყვნენ. კოლონა დაიძრა. მე პირველი მანქანის კაბინაში ვზივარ მძღოლის გვერდით და მთელი ყურადღების დაძაბვით დავყურებ მანქანის წინ გაშლილ შარას, განსაკუთრებით — გზატკეცილზე აღბეჭდილ ნაკვალევს ბორბლებისა.

დანაღმული გზის გავლა საშინელი წუთებია, ზოგჯერ საათები, ბრძოლის ველზე. აქ სიკვდილი პირისპირ არ გეჯახება, მიწის სიღრმეშია ჩაფლული და შენიღბული, ქვეწარმავალივით გეპარება, გაყურჩებული გდევს უკან. ფეხი ჰაერში შეშდება და მიწაზე დაშვება „აღარ უნდა". არაადამიანური ძალაა საჭირო, რომ საკუთარი კიდური დაიმორჩილო და მიწაზე დაადგა.

დრო ჩერდება, ყველაფერი იყინება ირგვლივ, მიწაც, ცის გუმბათიც, იყინება, როგორც ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ზამთრის სუსხიან ღამეებში. დედამიწა აღარაა დ ე დ ა-მიწა, ბერძნული მითოლოგიის გეა, გიგანტ ანთეოსის მშობელი, რომელიც თავის ძეს სიცოცხლეს ანიჭებს და მკერდზე ფეხის ყოველი მიკარების დროს ახალ და ახალ ძალას მატებს. ამ მითის ადგილს რეალური, ცოცხალი, შემზარავი სინამდვილე იკავებს. დედამიწაზე დგომა სიცოცხლისა და სიძლიერის წყარო აღარაა, სიკვდილის მომასწავებელია, სხეულის ნაფლეთებად დაგლეჯის მომასწავებელი. მანქანის ბორბლების ბრუნვა უხილავი ძაფებით უკავშირდება ჩემი და მძღოლის ნერვულ სისტემას და მძღოლი სიფრთხილით, უჩვეულო დაძაბულობით და ოსტატობით მართავს მანქანას.

...გუშინ ახალი დაჭრილები მოიყვანეს, ერთი მათგანი ჩვენთან, მძიმე ავადმყოფებთან, დააწვინეს. მისმა გამოჩენამ განსაკუთრებული რეაქცია გამოიწვია. ავადმყოფი შტაბის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი აღმოჩნდა.

საღამოს პალატაში საუბარი დიდხანს გაგრძელდა, შუაღამე გადასული იყო, სინათლე რომ ჩააქრეს.

მე და ახალი ავადმყოფი ისე ვწევართ პატარა ზომის ოთახში, რომ ჩვენი ბალიშები ერთმანეთს ეხება.

დიდხანს ველარ დავიძინე.

არ ეძინა ჩემს მეზობელსაც.

ღამის სამი-ოთხი საათი იქნებოდა, ხვრინვის მაგვარი ხმები რომ ჩამესმა ყურში და შეშფოთებულმა გავიფიქრე — დაიკარგა ჩემი სიმშვიდე და მოსვენება-მეთქი.

უეცრად ჩართულმა სინათლემ და ექიმისა და ექთნის აჩქარებულმა სიარულმა გამომაფხიზლა. ჩემს მეზობელ ავადმყოფს ცნობა მთლად დაკარგული ჰქონდა და ხრიალებდა, ხრიალებდა საშინელი, განწირული უიმედო ხმით. მორიგე ექიმი თავს ადგა და ღონიერი მკლავებით გულ-მკერდს უზელდა, ხელოვნური სუნთქვის საშუალებით უნდოდა ავადმყოფის გადარჩენა.

ეს იყო ნამდვილი ბრძოლა სიკვდილის წინააღმდეგ, რომელიც სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა და აი, ამ სამი საათის განმავლობაში ჩემს წინაშე ისეთი სურათი წარმოიქმნა, რომ აღარ ვიცოდი — რომელი უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა, ავადმყოფი [illegible] ქიმი, რომელსაც ადამიანის [illegible] სახეზე ოფლი ჩამოსდიოდა, და მეჩვენებოდა, რომ სადაცაა თავად ექიმი დაკარგავდა ცნობიერებას და დავარდებოდა. ეს ბრძოლა სიკვდილთან უშედეგოდ დამთავრდა. ჯერ გათენებული არ იყო, რომ ხრიალი თანდათან შენელდა და ბოლოს სულ შეწყდა. საწოლი ავადმყოფიანად (თუ მას კიდევ ავადმყოფი ერქვა!) გაიტანეს ოთახიდან.

## სასოწარკვეთილების ზეგანი

...ომში ერთი დიდი კანონი მოქმედებს — საშინელი, დაუნდობელი, გულის შემზარავი და სულის შემძვრელი — სიკვდილი. მასობრივი სიკვდილი ადამიანებისა და არა მხოლოდ ადამიანებისა. იხოცება ყოველი სულდგმული, ყოველივე ცოცხალი — პირუტყვი, მწერი, ფრინველი, მცენარეები. სიკვდილს აქ არა აქვს კანონზომიერება, ან აქვს და მას ადამიანის გონება ვერა სწვდება და თვალი ვერა ხედავს.

ამიტომ, ალბათ არ არსებობს პირობები და ადგილი,, რომელიც ამზომად უწყობდეს ხელს ადამიანში ფატალისტური შეგნების განმტკიცებას, როგორც ომი. ვდგევართ ქვემეხის გვერდით რამდენიმე კაცი. ძლიერი ცეცხლია მოწინააღმდეგის მხრიდან. ერთი დაეცა თავისქალა ახდილი, მეორე — ფეხში დაჭრილი, მესამე — ხელში. შენ დგეხარ, დგეხარ უვნებლიე. ანდა მიდიხარ დანაღმულ გზაზე. ერთი აფეთქდა, მეორე, მესამე — შენ უვნებლად გაიარე და განაგრძობ გზასაც და სიცოცხლესაც.

ფატალისტური განწყობილებანი ფრონტიდან ზურგშიც გამომყვა და მეჩვენება, აქაც, ჰოსპიტალშიც მოქმედებს. მაგრამ ბოლომდე არა მწამს ადამიანის ბედის წინასწარგანსაზღვრულობა და თუ მე ომის ქარცეცხლს გადავურჩი და სახლში დავბრუნდი, ეს ბედისწერით არ იქნება გამოწვეული.

ჩვენგან სულ ახლოს ბრძოლები წარმოებს, საკმაოდ მძიმე. მსროლელ (ფეხოსან) ნაწილებს ჩვენი ავიაცია და არტილერია ეხმარება. ჩვენი თვითმფრინავების ყოველი გამოჩენა სიხარულია და იმედის ჩამნერგავი, არა მხოლოდ იმათთვის, ვინც ამ ბრძოლებშია ჩართული, ჩვენთვისაც! განსაკუთრებული სიხარული მაშინ დგება, როცა ჩვენი გვარდიული ნაწილები გვეხმარებიან თავიანთი სასწაულებრივი იარაღით, რომელსაც „კატიუშები" შეარქვეს და მთელი ფრონტი ამ სახელს უწოდებს.

...მზიანი, თბილი დარები გრძელდება, ბუნება თითქოს ცდილობს ადამიანებს ადამიანობა მაოგონოს და თავის თავს დაუბრუნოს. ომს კი თავისი „გზა" აქვს და ამ გზით მიდის

— სისხლის ღვრა გრძელდება, გერმანელებმა მოახერხეს ჩვენი ჯარების შეჩერება და ბრძოლებმა კიდევ უფრო გაფთრებული ხასიათი მიიღო.

ჩვენმა ბატარეამ დილიდანვე დაიკავა პოზიცია. ოთხი ქვემეხი დგას ლულების სამიზნე მიმართულებით. დილიდანვე დავიწყეთ სანგრების თხრა, მაგრამ ისეთი კლდოვანი გრუნტია, ნიჩბებსა და წერაქვებს პირები დაუჩლუნგდა, ჩვენ ძალა გამოგველია, მაგრამ სანგრის სიღრმეში თავის ჩამალვისა და სხეულის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილის დაფარვის საშუალება თუ მექნება. არა და, ყოველ წუთსაა მოსალოდნელი ცეცხლის გახსნა მოწინააღმდეგის მხრივ.

წინ გაშლილი ტაფობია, ზეგანი, რომლის იქით, დაბლობში მსროლელი ნაწილების ჯარისკაცები იბრძვიან. მიზანი არა ჩანს, მისი ადგილმდებარეობა და ორიენტირები რუკების მიხედვით ვიცით. მოჩანს ტაფობის წინა ხაზი, საიდანაც დროდადრო ჩვენი დაჭრილი ჯარისკაცები ბრუნდებიან, მომღიმარი, ბედნიერი სახეებით, მხოლოდ ჭრილობით რომ გადარჩნენ.

ჩანს, მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმაა მოსალოდნელი — ჩვენს უკან მთელი ხაზი საზენიტო არტილერიის ქვემეხებს უჭირავთ. ტაფობს იქით მწვავე ბრძოლა მიმდინარეობს.

წინ ბატარეის მეთაური მაიორი დგას და ბრძოლის წინა ხაზს ბინოკლით გაჰყურებს. ცეცხლი მისი ბრძანების მიხედვით გაიხსნება, და კორექტირებაც მისი განკარგულების მიხედვით იწარმოებს. მისი მოადგილე შორიახლოს დარბის და მაიორს თვალს არ აცილებს. რას ფიქრობს ის, არ ვიცი. ჩვენთვის მაიორის აქ ყოფნა დიდი იმედია, ჩემთვისაც და მთელი პირადი შემადგენლობისათვისაც.

ბრძოლა გერმანელების საჰაერო თავდასხმით დაიწყო, რასაც „ფეხდაფეხ“ მსხვილკალიბრიანი საარტილერიო ცეცხლი მოჰყვა. ჰაერში მოწინააღმდეგის თვითმფრინავები დაჰქრიან, ყუმბარები ცვივა და ფეთქდება ტყეში, ჩვენგან სულ მცირე მანძილის დაშორებით. ბრძოლის ველი ყუმბარების „ძაბრებით“ იფარება, ჰაერში მიწა და კლდოვანი გრუნტის ნაგლეჯები ცვივა, ხის ტოტები ილეწება, ხეები წვება, ცეცხლი ჩნდება და ტყეს ხანძარი ედება.

ტყეში შეფარებული ჩვენი სტუდებეკერები განადგურებულია ყუმბარების პირდაპირი მოხვედრით.

ისმის ყვირილი, შეძახილები, გმინვა, რომელსაც საზენიტო არტილერიის ხმაური ახშობს. არ ნელდება არტილერიის სროლა, ძლიერი, სწრაფი ცეცხლია გახსნილი. მტრის ბომბდამშენები ასრულებენ საბრძოლო ამოცანას, ცოტა ხნით გვცილდებიან, რომ წრე შემოუარონ, ცაში კამარა შეჰკრან და ისევ დაგვესხან თავს.

ჩემი სანგრის ბრუსტვერზე მსხვილკალიბრიანი ყუმბარა დაერჭო, მაგრამ... აი, ბედი, „ბოლვანკა“ აღმოჩნდა, საქარხნო წუნი — ყუმბარის მხოლოდ კორპუსი, ამაფეთქებელი ნივთიერებით დაუტენავი. ასეთი წუნის რიცხვი მატულობს ომის მიწურულში. მოწინააღმდეგეს აღარა აქვს აღარც ყუმბარების იმედი, აღარც მათი დამზადების თავი, და, ალბათ, აღარც მათი გამოყენების სურვილი.

ყუმბარა არ აფეთქდა, მხოლოდ მიწა შეირყა ჩვენს წინ და კლდის ნაგლეჯები დაეცა ჩვენს უკან. სიკვდილი აგვცდა აუცილებელი, გარდუვალი სიკვდილი — მტრის ქვემეხის ლულა ბოლომდე მომზადებული, „ხარისხიანი“ ყუმბარით რომ ყოფილიყო გატენილი იმ წუთს, იმ წამს, დროის იმ უმცირეს მონაკვეთში, როდესაც გერმანული ქვემეხის კლიტე ამუშავდა და ყუმბარა ჩემი სანგრის მიმართულებით წამოვიდა.

ტაფობის წინა ხაზიდან მომავალი დაჭრილები აღარ ჩანან. რა ხდება ტაფობის იქით გაშლილ დაბლობში, არავინ იცის. არც იცის და არც ამაზე ფიქრის დროა. საფიქრებელი ჩვენი ბატარეიაა, ჩვენ, ჩვენი მებრძოლები. აქედან გაჰყავთ დაჭრილები, აქ ისმის ახლა კვნესა და გმინვა, აქაა დაგუბებული მწუხარება და გულის ვარამი.

საღამოს ბრძოლა შენელდა და, შეიძლება ითქვას, შეწყდა. „შეიძლება ითქვას“ იმიტომ, რომ ფრონტზე ამგვარ გამოთქმებს პირობითი და მხოლოდ პირობითი მნიშვნელობა აქვთ.

დაიღუპა ბატარეის მეთაური, მაიორი. დაიღუპა მეორე ოცეულის მეთაური — ლეიტენანტი და მრავალი რიგითი ჯარისკაცი. მაიორი ტყეში გადმოვასვენეთ და დავმარხეთ, ზოგს მიწა იქვე — ბრძოლის ველზევე მივაყარეთ. დაჭრილების ნაწილი სანნაწილში გაიყვანეს, მძიმედ დაჭრილები — სანბატალიონში. დანარჩენები — გადარჩენილები და „ბედნიერები“ — ტყეში გავედით.

ეს იყო საშინელი დღე, ისეთი, როგორიც არ ახსოვთ არც „სტაჟიან“ მებრძოლებს, მოქმედ არმიაში რომ დიდი ხანია იმყოფებიან, და არა ერთ და ორ ბრძოლაში მიუღიათ მონაწილეობა. იმდენად მძიმე და აუტანელი, რომ სარდლობამ გადაწყვიტა ბატარეის გადარჩენილი პირადი შემადგენლობა რამდენიმე დღით დასასვენებლად გაეყვანა და ბრძოლის ხაზიდან მოეცილებინა.

...წამოიშალა მოგონებები აზოვის ზღვაზე გატარებული დღეებისა, პირველი „საბრძოლო ნათლობისა“, სიცოცხლისადმი სწრაფვისა და სიცოცხლის რწმენისა, ფიქრები სულზე, რომელიც „კბილით მეჭირა“ და კბილით უნდა მეჭიროს, სანამ ან ეს კოშმარი არ დამთავრდება, ან მე არ მოვთავდები! მაგრამ მეჩვენება, რომ სისუსტე მეპარება და ის ძალა აღარა მაქვს, რომელიც ომის დასაწყისში მქონდა.

სრულ სასოწარკვეთილებამდე ვარ მისული. აქამდე ნანახი და განცდილი მკრთალ მოგონებად მეჩვენება იმასთან შედარებით, რაც დღეს ვნახე და რაც დღეს გადამხდა.

გზაზე გაუბედურებული, გაპარტახებული შენობები მხვდება, დანგრეული ადრე, თუ დღევანდელი დაბომბვის დროს. ნაწილი შენობებისა აქოთებულია, ნაწილი ჯერ ხელუხლებელი.

ერთ სამსართულიან შენობასთან, ალბათ რომელიმე მდიდრის, ან, შეიძლება, ფერმერის სასახლესთან, შევჩერდი. შენობის ორი კუთხე ჩამონგრეულია ყუმბარებისაგან, ფანჯრების მინები — ჩალეწილი, კედლები და კარი — დაცხრილული ტყვიებით. ეზოში ბარგი და ავეჯი ყრია — როიალი, კარადები წიგნებით, გორკა — ძვირფასი ფაიფურისა და ფაიანსის ჭურჭლით; სერვანტები, სავარძლები... გორკის თაროზე პატარა ფაიფურის ქანდაკება შევამჩნიე — ძაღლისაგან შეშინებული პატარა გოგონა, წითელ ტანსაცმელში. გამოქცეულა, ფანრის სვეტზე მოუსწრია აცოცება, მაგრამ თეთრი ყურშა წამოსწევია და კაბის ბოლოსთვის ჩაუვლია კბილები. ამ მოხდენილმა ნივთმა დალი მომაგონა, ავიღე და ჯიბეში ჩავიდე.

აქვე ზედა სართულიდან გადმოყრილი წიგნები, ნახატები, სურათები, გაზეთების ნაგლეჯებია დახვავებული. შევჩერდი, ამ გროვას დავხედე და მცირე ზომის ფერად ნახატს მოვკარი თვალი — მგონი კალენდრის ფურცელს — ღვთისმშობლის გამოსახულებას, ჩვილი იესოთი ხელში. რენესანსის ეპოქის ნახატს მაგონებს, მაგრამ მხატვრის სახელი ვერ გამიხსენებია და არც სურათს აწერია. ეტყობა, გამომცემელი ფიქრობდა, რომ ლოცვისა და ლალადისისათვის მხატვრის ვინაობას მნიშვნელობა არა აქვს.

დავყურებ ამ სურათს და ელენეს ლოცვა მაგონდება, საყვარელი ძმის, ტურბინის მძიმე ავადმყოფობისა და უიმედობის წუთებში რომ ღვთისმშობლის ხატს ევედრებოდა: „შენი იმედილა მაქვს უბიწო ქალწულო, მხოლოდ შენი, შეევედრე შენს ძეს, შეევედრე ღმერთს, რომ მოახდინოს სასწაული... დედაო-მხსნელო, შეევედრე მას, აი ისიც, შენთვის ხომ ეს ძნელი არაა, შეგვიბრალე".

ჩემში რაღაცა გრძნობები იღვიძებს, შესაძლებელია წინაპრების, არც თუ შორეული წინაპრების გენები და ელენეს სიტყვებს ჩურჩულით ვიმეორებ, გულში ვიმეორებ, რომ ჩემს იქით არსად წავიდეს და არავინ გაიგონოს.

...მესამე დღეა ვისვენებთ, დაცილებულნი ბრძოლის ველსა და ადამიანების ხოცვა-ჟლეტას.

სიცოცხლისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი დღეა მძიმე ავადმყოფების ოთახიდან გამომიყვანეს და ადგომისა და სიარულის ნება მომცეს. მგონი ერთხელ კიდევ ვუბრუნდები სიცოცხლეს, საკმაოდ ხანში შესული, „ჭირნახული", მაგრამ სიცოცხლის წყურვილშეუნელებელი. ჩვენი აქაური პატარა „ხომალდის" მგზავრთაგან, ვინც აქ, ჰოსპიტალის ოთახში ებრძოდა სიკვდილს, ნაწილი გაირიყა და ხმელეთზე ფეხი ველარ დადგა. მათ შორის ისიც, რომლის განწირულმა სუნთქვამ შუაღამისას გამომაღვიძა და ექიმი რომ კინაღამ თავად შეეწირა მის გადარჩენას.

დღეს ექთანი ტომა შემოვიდა ჩემს პალატაში და გულითადად გამომემშვიდობა.

— მე ორი კვირით სხვა ჰოსპიტალში გადავდივარ და თქვენ კი ამ დროს უკვე გაწერილი იქნებით.

მე კი უკვე გაწერილი ვიქნები!

ერთი სიტყვით, „მეც ხელახლად დავიბადე", მაგრამ არა აზოვის ზღვაში, როგორც თავის მოსაკლავად პისტოლეტმომარჯვებული კახელი მეთაური, არამედ ერთ-ერთ საავადმყოფოში, რომელიც ახლა ჰოსპიტლად არის გადაკეთებული.

...ბუდაპეშტი განთავისუფლებულია. რამდენიმე დღის წინ ამ ქალაქში მწვავე, გააფთრებული ბრძოლები წარმოებდა, ხშირად — შენობისა, სართულებისა და ოთახებისათვისაც კი. ომი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ გახიზნული მოსახლეობა თავის სახლებს უბრუნდება და იშუშებს ომით მიყენებულ ტკივილებს. ქალაქის მისადგომი გზატკეცილები სავსეა ცხენიანი ურმებით, ხელურმებითა და ურიკებით, რომლებზედაც სახელდახელოდ წამოღებული ბარგი აწყვია. ყველა ფეხით მიემართება, მხოლოდ ავადმყოფი მოხუცები და ჩვილი ბავშვები სხედან ურმებზე.

ქალაქში აღარც ერთი ხიდი აღარაა, დანგრეულია ბუდაპეშტის ულამაზესი, მსოფლიოში განთქმული ხიდები, რომლებიც მე ბავშვობიდან მახსოვს და გეოგრაფიის სახელმძღვანელოებსა თუ ფერად ალბომებში მინახავს.

ქალაქი დუნაის ორივე მხარეზეა გაშენებული და ამ ნაწილებს ერთადერთი ხის ხიდი აერთიანებს.

ბუდა მდინარის მარჯვენა, მთაგორიან ნაპირზეა, პეშტი — მარცხენა — ვაკეზე. ორივე ნაწილის არქიტექტურა ბუნებრივ პირობებთანაა შეხამებული. ბუდას ნაგებობანი, შუა საუკუნეების ციხე-კოშკები, ბორცვებზეა აღმართული და თითქოს მათ ბუნებრივ დასრულებას წარმოადგენენ.

პარლამენტის შენობა, ჩანს, გადაურჩა დანგრევას, მისი ფასადი დაუსახიჩრებელია და შე-

ნარჩუნებული აქვს მშვენიერი იერი. შენობასთან ახალგაზრდა უნგრელი შემხვდა, კომუნისტია და მომავალი გაზეთის რედაქტორად დაუნიშნავთ, პარლამენტის შენობაში გამოუყვიათ ოთახები რედაქციისათვის.

ოთახები ჯერ დაულაგებელი იყო. იატაკი — მოფენილი ხორტისდროინდელი ჟურნალებითა და გაზეთებით. ცარცის საუკეთესო ქაღალდზე დაბეჭდილი ილუსტრაციები წარმოდგენას მაძლევს ქვეყნის ყოფაზე. მაოცებს ხალხური ანსამბლების, მომღერლებისა და მოცეკვავეების სიმრავლე და მრავალფეროვნება. ეტყობა, ხალხური შემოქმედებით გატაცება საერთო მოვლენა იყო პირველი მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.

...1945 წლის აპრილის დასაწყისია. ომი დასასრულს უახლოვდება. მე ერთი ფრონტიდან მეორეზე მივემგზავრები, უნგრეთიდან ბალტიისპირეთში. გზად პოლონეთში ვარ, პირველად ამ ქვეყანაში. ომი ჯერ არ დამთავრებულა და ცხოვრების პირობები ძალიან ძნელია. მეჩვენება, რომ პოლონეთში მარხს თავისი მახვილი განსაკუთრებული სიმკაცრით მოუქნევია. ყოველ შემთხვევაში, რუმინეთსა და უნგრეთთან შედარებით, სადაც მე მომიხდა ბრძოლებში მონაწილეობა.

რკინიგზის სადგურებზე მეტი მოუწესრიგებლობაა და ჭუჭყი; საოცარი სიძვირეა და საყოველთაო გაჭირვება.

მატარებელში ორი ლეიტენანტი გავიცანი, ახლად შექმნილი პოლონური ჯარიდან, რომელსაც Воиско Польско ეწოდება. ეს ჯარი საბჭოთა მხარეზე იბრძვის და ლეიტენანტების ფორმაც ჩვენი მსგავსი აცვიათ.

ვიცოდი, რომ პოლონელები მუსიკალური ხალხია, მაგრამ მაინც მაოცებს მათი სიმღერები, უფრო მეტად სიმღერის სიყვარული და გავრცელების სიღრმე ხალხის ფენებში. მღერის ყველა, მთელი ვაგონი, შეიძლება მთელი მატარებელი. საკმარისია ვინმემ სიმღერა წამოიწყოს, რომ ყველა აჰყვეს — დიდი და პატარა, ბავშვები, ახალგაზრდები, მოხუცები, ქალები თუ კაცები. მათ შორის ჩემი ნაცნობი ლეიტენანტებიც.

მღერიან ერთად, საოცარი ჰარმონიულობით. მაგრამ ამჟამად მხოლოდ ნაღვლიანი, ხმადაბალი, კაეშნით მოცული მელოდიები ისმის. თითქოს აქ და ახლა პირველად ვიხილე და განვიცადე საყოველთაო მწუხარება, რომლითაც მთელი ხალხია მოცული.

მატარებელი ლიუბლინს უახლოვდებოდა. უეცრად სიმღერა შეწყდა და მგზავრების თვალები ცრემლებით აივსო. მატარებელში გამოუთქმელი სევდა ჩამოწვა, რომელიც განსაკუთრებით ხანშიშესული მგზავრების გამომეტყველებაზე აღიბეჭდა. მატარებლიდან თავისებური, ჩემი წარმოდგენით — უცნაური ნაგებობის კონტურები გამოჩნდა.

— რა ხდება? — ვეკითხები პოლონელ ლეიტენანტებს.

— ეს მაიდანეკის მიდამოებია! ხომ გაგიგიათ — რა არის მაიდანეკი?

მატარებელში დაგვიღამდა. ვაგონში სანთლები ბჟუტავდა და მკრთალ სინათლეს აფენდა. ერთ-ერთ სადგურზე ახალგაზრდა ქალი ამოვიდა, თეთრი ქაღალდის გრაგნილი თაროზე შემოდო, ხელჩანთა ფეხთით დაიდო და ჩემს წინ დაჯდა. დიდხანს ვისხედით პირისპირ, დიდხანს ვუყურებდი მის მაღალ ყელს, ფართო ქუთუთოებს, გამოხედვას სიმძიმისა და დარდის ბეჭედს რომ აჽდევს, და მხრებამდე ჩამოშლილ თმას, ვარცხნილობას, როგორსაც ჩვენში არავინ ატარებს. მწუხარებით ნახევარი მსოფლიოა მოცული, მაგრამ მეჩვენება, რომ ამ ქალის გულში რაღაც დიდი, გამოუნელებელი ნაღველია დაგუბებული და ჩემში თანალმობისა და თანაგრძნობის ჩვეულებრივი, ადამიანური განცდები იღვიძებს.

მე მისი არაფერი ვიცი და მან ჩემი. იცის მხოლოდ, რომ საბჭოთა ოფიცერი ვარ. ამისი ცოდნა არც ისე ძნელია. ისიც არ ვიცი — მტრად მღებულობს თუ მოყვრად? საოცარი სურვილი მიპყრობს, — უჩვეულო ამ აფორიაქებული, გამძვინვარებული და გააფთრებული პირობებისათვის — გავიგო, ვინაა, საიდან მოდის და სად მიდის; ჰყავს ვინმე მახლობელი, თუ მწირად დადის ქვეყანაზე! მაგრამ — როგორ გავიგო, მან რუსული არ იცის, მე — მათი ენა. სამიოდე სიტყვა, რომელიც შევიძინე ამ ქვეყანაში ყოფნის ორი დღის მანძილზე, საკმარისი არაა საუბრისათვის. ან რა უფლება და საფუძველი მაქვს ასეთი კითხვებით მივმართო სრულიად უცნობ ქალს. ან, ვინ იცის — რა ჭრილობებს გაუხსნის ჩემი კითხვები და რა გუნებაზე დააყენებს!

— პანა? — ვეკითხები და ვგრძნობ, რომ პირველივე კითხვა ტლანქი და უხეში გამომივიდა.

— პანი! (ქალი ვარ!).

ვუყურებ და ვფიქრობ, სულ ამ ქალზე ვფიქრობ. აღარ არსებობს ჩემს ცნობიერებაში აღარც უნგრეთის გზატკეცილებზე მოფენილი გვამები, აღარც ტანკების მუხლუხებით გასრესილი ადამიანები, არც მოკლული და გაძარცული გერმანელის სხეული და მისი მეუღლის ფოტოსურათი უნაზესი წარწერით. არსებობს მხოლოდ ღრმა მწუხარებით მოცული პოლონელი ქალი, ჩემს ვაგონში, მოპირდაპირე სკამზე.

გარეთ წვიმამ წამოუშინულა, მე ოცნებამ წამიღო.

...ჩვენ ორივენი ერთ ქალაქში მივემგზავრებით. რამდენიმე საათი კიდევ ერთად ვიქნებით, ამ ხნის განმავლობაში იქნებ რაიმე გავაგებინო და მისიც რაიმე შევიტყო. მატარებლიდან ერ-

თად ჩამოვალთ, სახლამდე მივაცილებ. ალბათ მეტყვის — სახლში შემოდითო. არა, ალბათ, კი არა, აუცილებლად მეტყვის. აბა ასე ხომ არ მიმატოვებს ბედის აბანარად ამ უცხო ქალაქში, შუა ღამისას და ასეთ წვიმაში, რომელმაც, თითქოს ჩემს ბედად, კიდევ უფრო იმატა.

ადამიანური ყოფის ყოველდღიურობა თავისას გაიტანს, — ორივენი დაღლილები ვართ და გვშია. მე ზურგჩანთიდან საჭმელს ამოვიღებ — ამერიკულ სასურსათო პაკეტებს, ხორცის კონსერვებს. ხორცი დიდი ხანია სანატრელად იქცა სამოქალაქო მოსახლეობისათვის. საოცრად მაღალი ფასის მიუხედავად (ბოთლი — ათასი ზლოტი!), „გარილკაც“ შევიძინე და ნახევარი ბოთლია კიდევ დარჩენილი... „მასუი ღვინო, ლონეო, შენითა ხელითა ვარდისა ფერი, შენისა ლაწუისა მსგავსი...“ და ა. შ. და ა. შ. გაივლის ალბათ მორიდების გრძნობა და მახლობელი ადამიანები გავხდებით, თუნდაც ცოტა ხნით, რომელიც წარუშლელი დარჩება ჩემს ცხოვრებაში. ქალი გადამიხსნის თავის გულს, ფიქრებს, ამდენი ხნის დარდსა და ვარამს.

...ომი რომ დაიწყო — მამა დაუხვრიტეს, როგორც პატრიოტი და პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი. ძმები და ქმარი ჯარში გაიწვიეს და დიდი ხანია მათი არაფერი იცის. ქალს ხელზე მოხუცი დედა და პატარა ბავშვი დარჩა. ერთ დღეს, რომ სამუშაოდან დაბრუნდა, სახლი დანგრეული დახვდა, დანგრეული საჰაერო თავდასხმის გამო. ამ თავდასხმამ დედა და ბავშვიც იმსხვერპლა და ასე დარჩა ეს სიმპათიური, ფართოქუთუთოებიანი, მაღალყელიანი, თმაჩამოშვებული და დიდი მწუხარებით მოცული ქალი მარტოდმარტო.

ნათქვამი და ნაამბობი ქალში შვებას იწვევს, ჩემში — კიდევ უფრო ძლიერდება თანაგრძნობა და თანალმობა და სხვ.

უეცრად მატარებელი შეინჯღრა, მკვეთრად დამუხრუჭებული მატარებლის ხმაურმა გამომაფხიზლა და შორეულ ფიქრებსა და ოცნებაში წასული რეალურ სინამდვილეში დამაბრუნა.

...ეხლა, ამ ამბავს როცა ვიხსენებ, ვფიქრობ, რომ ნოველა ასე იწერება. და ასე იქმნება, რასაც „მხატვრული სინამდვილე“ ჰქვია. მხატვრული სინამდვილე ყოველთვის ცხოვრებით არის ნაკარნახევი, ყველაზე უფრო აბსტრაქტული ხელოვნების შემთხვევაშიც, მაგრამ ყოველ ცოცხლად განცდილ ფაქტზე ათასგვარი ნოველა შეიძლება დაიწეროს და იმდენივე „მხატვრული სინამდვილე“ შეიქმნას, იმდენი, რამდენი მწერალიც არსებობს ქვეყანაზე. იმისდა მიხედვით — ვინაა მწერალი, როგორია მისი იდეოლოგია, შეხედულება ცხოვრებასა და მხატვრულ სიმართლეზე, „სოციალურ დაკვეთაზე“. როგორი იდეალებით არის გატენილი მწერლის თავი, ან, ასეც ხდება, როგორი იდეალებია „ჩატენილი“ მის თავში. რამდენადაა დაცლილი თვისებებისაგან, რომელთა მთლიანობას პიროვნება ეწოდება. როგორ ძგერს მისი გული და მოქმედებს ჭკუა. თუ არც გული ძგერს და არც ჭკუა მოქმედებს და მხოლოდ ერთი, ერთადერთი, — „ასე უნდა“ და „ასეა საჭირო“ მოქმედებს.

...უეცრად დამუხრუჭებული მატარებლის ხმაურმა სინამდვილეში დამაბრუნა.

ჩვენ ისევ პირისპირ ვსხედვართ მკრთალი სინათლით განათებულ ვაგონში. დრო კი გარბის და მალე, სულ მალე მატარებელი გაჩერდება და ჩემს ოცნებას ბოლო მოეღება.

ქალაქში შესვლამდე მატარებელი რამდენიმე წუთით შეჩერდა. გარეთ წვიმს, ნახევრად ჩაბნელებულ ბაქანზე, წვიმის წვეთებით დაღარულ მინებს იქით, მგზავრები ირევიან. ავდექი, სარკმელთან მივედი და ბაქანს გავხედე — ეს ქალაქის გარეუბანია, სადაც მგზავრთა ნაწილი ჩამოდის მატარებლიდან.

უეცრად „ჩემს“ პოლონელ ქალს მოვკარი თვალი. ჩქარი, ენერგიული ნაბიჯით შევიდა სადგურის დარბაზში და გაუჩინარდა. ეს იყო და ეს. ჩემს მეხსიერებას სამუდამოდ შემორჩა ახალგაზრდა პოლონელი ქალი, მაღალი ყელით, ფართო ქუთუთოებით, მხრებამდე ჩამოშლილი თმით და დიდი, ადამიანური, ღრმად განცდილი დარდით — მიუხედავად იმისა, რა კონკრეტული მიზეზით იყო ეს დარდი გამოწვეული.

## ზავი, მშვიდობა და ლაინე

ზავმა ბალტიისპირეთში მომისწრო, კურლიანდიაში.

ჩვენი ჯარები უკვე ბერლინის მისადგომებში იბრძოდა, ლატვიის ეს ნაწილი კი ისე იყო გამაგრებული — რამდენიმე არმიის თავმოყრა გახდა საჭირო მისი შტურმისა და განთავისუფლებისათვის.

ჩვენს არმიას ცენტრალური პოზიცია ეჭირა.

რვა მაისს ფრონტის შტაბში უკანასკნელი სამხედრო თათბირი იყო დანიშნული. არმიის სარდალი, არმიის შტაბის რამდენიმე პირი და მე— გავემგზავრეთ ფრონტის შტაბში, რომელიც ჩვენგან 120 კილომეტრის დაშორებით იმყოფებოდა ზურგში.

არმიის სარდლები და შტაბების მუშაკები თათბირზე შევიდნენ, ჩვენ, ადიუტანტებს, მძღოლებს, პირადი დაცვის მებრძოლებს ერთი დიდი ოთახი მოგვიჩინეს. თათბირი გაგრძელდა, შუაღამე გადავიდა და გვეჩვენება, რომ თათბირს დასასრული აღარ ექნება. ძილს ველარ ვიკავებთ, სკამებზე „ვუყინთავთ“ და აქა-იქ ხვრინვის ხმაც გაისმა.

და უცბად და მოულოდნელად, სამ თუ ოთხ საათზე რადიო-რეპროდუქტორების ხმამ გამო-

გვაფხიზლა. ხმამ, რომელსაც ყოველი ცალკეული მებრძოლი, ფრონტებზე მყოფი თუ ზურგში დარჩენილი, მთელი კაცობრიობა, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა ელოდა ოთხი წელიწადი... გაუთავებელი, გულისა და სულის წამლები 1416 დღე.

წლობით დაგუბებული სევდა, ნაღველი და მწუხარება სიხარულის ერთიან ნიაღვრად იქცა და ყველა მოიცვა. ოთახში გარედან ყიჟინა, თოფებისა და პისტოლეტების სროლის ხმები შემოიჭრა. ისროდა ყველა, ვისაც იარაღი ჰქონდა, მაგრამ, პირველად ოთხი წლის მანძილზე, ისროდა — უსისხლოდ, ჰაერში, ცარიელ სივრცეში და ისროდა თავისი დიდი, დაუოკებელი სიხარულის გამოსახატავად.

მთელი გზა, ფრონტის შტაბიდან ჩვენამდე, ფრონტის გასწვრივ გადიოდა, და ცარიელი სივრცისკენ მიმართული ლულების ცეცხლით იყო გაჩირაღდნებული. ეს იყო სალუტი, ნამდვილი სალუტი, უშუალოდ გულებიდან ამომხდარი სალუტი, ყოველგვარი მზადებისა და საგანგებო ბრძანების გარეშე.

იწყებოდა ახალი ხანა ქვეყნისა და ჩემს პირად ცხოვრებაში.

ამ შესანიშნავი გაზაფხულის პირზე ყოველ დღეს სინათლე ემატებოდა, მზე დედამიწას მეტსა და მეტს სითბოს აფრქვევდა. თბებოდა დედამიწაც და ადამიანთა გულებიც.

და, აი, მე ცოცხალი ვარ. დავდივარ და ვუმზერ მზეს და ვარსკვლავებს, ვთბები მზისა და ადამიანთა სითბოთი. მეც ვარსებობ და „ჩემი სამყაროც“ — კიდევ უფრო გაფართოვებული, ახალი მოვლენებით, ახალი ადამიანებით და ახალი განცდებით შევსებული.

ჯერ კიდევ ომამდე ჭრილობამიყენებული ჩემი სულის ნაწილი ყველგან იყო დარჩენილი — აზოვის ზღვაზეც, „აქსინიას ხატაშიც“, გერმანელი ქალის ფოტოსურათშიც და მის ნაზ წარწერაშიც, დანაღმულ გზაზეც, სასოწარკვეთილების ზეგანზეც... მაგრამ სიცოცხლის ძალამ ახალი სიძლიერით იფეთქა, გულში სიხარული ჩადგა, და დიდი ხნის განცდილი მწუხარება, განსაცდელი და გასაჭირი თითქოს ჩაინთქა დროის მარადიულ მსვლელობაში.

...ლაინე პირველად ორი თვის წინ ვნახე, ომი ჯერ დამთავრებული არ იყო. ის გამოჩნდა ჩვენი ორსართულიანი კოტეჯის მახლობლად, რომელშიც სარდალი ცხოვრობდა და საგანგებოდ იყო დაცული. მოულოდნელად პირისპირ შევხვდით ერთმანეთს. გაოცებულმა შემომხედა. დაიბნა. მის თვალებში შიშის გრძნობა გამოიხატა. შევეცადე დამემშვიდებინა.

— ნუ გეშინიათ, ჩემგან არავითარი საფრთხე არ მოგელით!

— ჰოო, მართლა? შემიძლია თქვენი სიტყვები დავიჯერო? — თვალები გაუბრწყინდა და განაგრძო ისე, რომ პასუხისათვის არ დაუცდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცით, ეს ჩვენი სახლია, და გულმა გამომიწია აქეთ!

— თქვენი სახლი?! ეხლა სადა ცხოვრობთ?

— სადა?! თუ გინდათ გიჩვენებთ.

მთავარი ქუჩა გავიარეთ, პატარა მინდორი გადავკვეთეთ და გრძელ, ერთსართულიან შენობასთან შევჩერდით, რომელიც ადრე გლეხური საბძელი უნდა ყოფილიყო.

შვიდი-რვა წლის ბიჭი (როგორც შემდეგ გავიგე — ლაინეს უმცროსი ძმა) ეზოში თამაშობდა. შენობის შიგნით შუახნის სიმპათიური ქალი და ქალიშვილი (ლაინეს დედა და მომდევნო და) რაღაც მარცვლეულ მცენარეს არჩევდნენ.

ლაინეს მამა, ესტონეთიდან ლატვიაში გადმოსახლებული ფაბრიკანტი ხუთი წლის წინათ დააპატიმრეს, ფაბრიკა ჩამოართვეს. ოჯახი აქ გადმოსახლდა. ომის დროს ეს კოტეჯიც გაათავისუფლებინეს და მთელი ოჯახი ამ სოფლის ერთმა გლეხმა შეიფარა. ეხლა დედა და უმცროსი შვილები მასპინძელს ეხმარებიან სოფლის მეურნეობაში, ლაინე მახლობელ დაბაში მსახურობს, და ასე ირჩენენ თავს.

— არ გიძნელდებათ სასოფლო-სამეურნეო საქმის კეთება?

პასუხს ლაინეს დედა მაძლევს.

— არა. ჩვენ ულმანისის დროს, ძალიან კარგი წესი გვქონდა. ჩვენი ქვეყანა პატარა, მაგრამ განვითარებული მრეწველობის ქვეყანა იყო, სასოფლო-სამეურნეო მუშახელის ნაკლებობას განიცდიდა. ამიტომ სპეციალური კანონი არსებობდა — ყოველი მოსწავლე, მათ შორის ქალაქის მცხოვრებიც, ვალდებული იყო საზაფხულო არდადეგების ნაწილი სოფლის მეურნეობის სამუშაოებზე გაეტარებინა. ამ წესის გამო ყოველმა ჩვენთაგანმა იცის სოფლის სამუშაოები, ბავშვობიდანვე ვართ შეჩვეულნი.

—თქვენ აქ საკუთარი მეურნეობაც გექნებოდათ და თქვენი ბავშვები ალბათ თქვენთანვე მუშაობდნენ.

— არა, ეს დაუშვებელი იყო კანონით. საკუთარ ოჯახებში ბავშვები ისე არ იმუშავებდნენ, როგორც უნდა ემუშავათ.

— ვინ იყო ულმანისი?

— აბა როგორ გითხრათ! არ ვიცი თქვენს ენაზე ამას რა ჰქვია. ვიცი, რომ მის დროს...

..— ქალმა შეწყვიტა წინადადება.

— რა, მის დროს?

— არ ვიცი, არ ვიცი. ხომ ხედავთ, რუსული ლაპარაკი მიჭირს, შესაფერის სიტყვებს ვერ ვპოულობ.

ლაინემ გამომაცილა. ვგრძნობდი, რომ ჩემი საუბარი დედამისთან უფრო დაკითხვას ჰგავდა და გულში უსიამოვნო ფიქრები ამეშალა. ფიქრები, რომლებმაც შეიძლება საკუთარი თავი შეგაძულოს. მაგრამ ვგრძნობდი, ლაინეზე ამ

საუბარს მძიმე შთაბეჭდილება არ დაუტოვებია. ლაინემ რაღაცის თქმა დააპირა და უცბად შეწყვიტა.

— თქვი, რა გინდა?

— არ შეიძლება, ერთხელ სახლში შემიყვანოთ! შემახედოთ, სულ ცოტა ხნით.

— არ ვიცი, ვნახოთ!

რამდენჯერმე ლაინესთან მანქანით გავიარე და დაბიდან, სადაც მსახურობდა, სახლში ჩამოვიყვანე. ჩემი მისვლა ყოველთვის უხაროდა, სამოქალაქო ტრანსპორტი ცუდად მუშაობდა და სახლში დაბრუნება დიდ წვალებასა და დროს კარგვასთან იყო დაკავშირებული.

...ერთხელ ლაინემ გზაზე მანქანა შემაჩერებინა და მაღაზიაში შევიდა. მაღაზიიდან რომ გამოვიდა, ხელში მუყაოს მომცრო კოლოფი ეჭირა, რომელზედაც რაღაც ეწერა და პატარა, ჩვილი ბავშვი იყო დახატული, მომღიმარი და ლაღი გამომეტყველებით. ლაინემ კითხვა არ დამაცალა.

— ეს ბავშვისათვის. იცით, მე ბავშვი მყავს, სულ პატარა, ჯერ წლისაც არ არის!

— გათხოვილი ხარ? რატომ აქამდე არ მითხარი?

— არა, გათხოვილი არა ვარ, მაგრამ ბავშვი მყავს.

— ბავშვის მამა ჯარშია?

— არ ვიცი, სადაა. მგონი აღარც არსებობს ამ ქვეყნად. აღარც ჩემს გულში არსებობს. არა.. .მან ჩემს გულში უფრო ადრე შესწყვიტა არსებობა, ვიდრე ფიზიკურად აღარ იქნებოდა. და საერთოდ — ლაინე ცოტა ხანს შეჩერდა — მას გულში არცა ჰქონია ადგილი!

ჩემთვის ეს სიტყვები მოულოდნელი იყო. უფრო მეტიც — რატომღაც სავსებით წარმოუდგენელი. ნათელი გახდა, რომ ახალი სიცოცხლე ლაინეს ბავშვის სახით დედისათვის უბედური შემთხვევის შედეგი უნდა ყოფილიყო, შემთხვევის, რომლის მსგავსი არა ერთი მოხდებოდა ხანგრძლივი ომის მანძილზე.

ამ საყოველთაო სიხარულისა და ბედნიერების ატმოსფეროში ლაინეზე და მის ბავშვზე ფიქრს ველარ ვიცილებდი.

## ღრუბლები მოწმენდილ ცაზე

ომის დამთავრების შემდეგ მთელი ჩემი არსების მომცველი გრძნობა სახლში, თბილისში დაბრუნების სურვილი იყო, და თუმცა დაბრუნება ლაინეს გარეშე ვეღარ წარმომედგინა. ლტოლვა სახლისაკენ ამის გამო ოდნავ არ შენელებულა. პირიქით, ლაინემ და მასთან სიახლოვემ თითქოს გააძლიერა კიდეც ფიქრები თბილისზე, მშვიდ ცხოვრებაზე, რა თქმა უნდა, ლაინესთან ერთად.

გავიდა კიდევ ორი კვირა. ჩემი დემობილიზაცია გვიანდებოდა — არ იყო [illegible] ფერისი ბრძანება იმ კატეგორიის [illegible] ზურგში დაბრუნების შესახებ, რომელსაც მე ვეკუთვნოდი. გადიოდა დღეები ლაინესთან ურთიერთობაში, მასთან შეხვედრებს არც ვმალავდი და არც ვერიდებოდი.

მაგრამ სარდალიც, მისი საცხოვრებელი კოტეჯიც, რომელშიც მე, სარდალთან ერთად ვცხოვრობდი (და ადრე ლაინეს ოჯახი ცხოვრობდა), საგანგებო მეთვალყურეობაში იმყოფებოდა და ასეთ პირობებში, ცხადია, ჩემი ურთიერთობა ლაინესთან შეუმჩნეველი არ დარჩებოდა...

დამიბარეს, გამაფრთხილეს და ლაინესთან ურთიერთობის შეწყვეტა მიბრძანეს, ყველაფერი მოკლედ და გასაგებად იყო ნათქვამი.

მდგომარეობას ის ართულებდა, რომ ჩვენი არმიის ტერიტორიაზე ომის დამთავრების შემდეგაც გრძელდებოდა ცალკეული, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები. მოსახლეობის პატარ-პატარა ჯგუფები ტყეებში გაიხიზნა და შეიარაღებული წინააღმდეგობა დაიწყო.

მათი ლიკვიდაცია დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენდა, მაგრამ დაბურულ ტყეებში მოქმედების დიდ სიფრთხილეს და ცოცხალი ძალის ახალ მობილიზაციას მოითხოვდა და ისიც ისეთ პირობებში, როდესაც მებრძოლთა მოთმინება საბოლოოდ ამოიწურა და ათასეულ კილომეტრებზე გადაჭიმულ ფრონტის ხაზზე მშვიდობა დამყარდა.

...გუშინ მე და სარდალი დაქვემდებარებულ დივიზიებში გავემგზავრეთ, საინსპექციო მიზნით. ახლად გაშლილ კარვებში ჯარისკაცები ისვენებდნენ. კარვებში ფიცრული ტახტები დაედგათ, ლეიბის პირები თივით გაევსოთ და გაეშალათ.

თბილი, მზიანი დარი იდგა. ჯარისკაცები გარეთ იყვნენ გამოსულები. ზოგი ლილებს იკერებდა, ზოგი რეცხავდა, ტანსაცმელს ისუფთავებდა. სარდალს თავისი ადრინდელი ჯარისკაცული ცხოვრება გაახსენდა, კარვები დაათვალიერა, ზეწრების სისუფთავე შეამოწმა. სამზარეულოში შევიდა, საკვების მომზადების პირობები არ მოეწონა, გაჯავრდა, მზარეულს უყვირა და მანქანაში დაბრუნდა.

...დივიზიის შტაბში მეთაური თავის ოთახში იჯდა და ტყვედ ჩავარდნილი გერმანელი გენერლის დაკითხვას აწარმოებდა. საუბარს გერმანული არმიის თარჯიმანი, ესტონელი, ყოფილი არქიტექტორი თარგმნიდა.

სარდლისათვის გერმანელ ტყვესთან შეხვედრა მოულოდნელი იყო. სახეზე სიბრაზემ გადაჰკრა...

გერმანელმა ტყვემ სარდლის გამეხებულ თვა-

ლებს თვალი ველარ გაუსწორა და აღელვებულმა ერთი ფრაზა ძლივს წარმოსთქვა.

— მე ადრე დავრწმუნდი, რომ ომი წავაგეთ. კაპიტულაციას დიდიხანია ვფიქრობდი, მაგრამ ვერ მოვახერხე.

სარდალს თვალები აენთო და ჩვენი დივიზიის მეთაურს მიუბრუნდა:

— სცრუობს, არ დაუჯეროთ! ტყვედ ჩავარდნას ერთი ცხვირსახოცი ეყოფოდა, ამოეღო და ნიშანი მოეცა!

თარჯიმანმა რომ ეს ფრაზა გერმანელს უთარგმნა, მის სახეზე ღიმილი აღიბეჭდა, დაკარგული სითამამე დაუბრუნდა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო:

— აი, დახედეთ. ჩვენი ცხვირსახოცი ტყვედ ჩავარდნისათვის არ გამოდგება. და იმ იმედით, რომ თარჯიმანი შემდეგ სიტყვებს აღარ გადაუთარგმნიდა, დაამატა — მათ სხვა დანიშნულება აქვთ!

(გერმანული ჯარების მთელ პირად შემადგენლობას ერთნაირი, ხელოვნური ქსოვილისაგან შეკერილი ცხვირსახოცები ჰქონდა, მორუხომომწვანო ფერის. ჩანს, გერმანელთა არმიების უმაღლესმა სარდლობამ ადრევე გაითვალისწინა თეთრი ფერის ცხვირსახოცების კაპიტულაციისათავის გამოყენების შესაძლებლობა).

სახლში რომ დავბრუნდით, სარდალს ჩემი პირადი უსიამოვნების ამბავი გავანდე. მან შემომხედა, ჩაფიქრდა და დახმარება აღმითქვა.

## ისევ ლაინე

...მე და ლაინე თივის ბულულის ძირში ვწევართ და იმ საბძელს ვუყურებთ, სადაც მის ოჯახს ბინა დაუდვია.

ლაინე პოლონელი ქალი არ არის, რომელიც მატარებელში შემთხვევით შემხვდა და ნახევრად მაინც ჩემი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა, მნიშვნელოვან წილად ჩემი „შეთხზული" იყო. ლაინე ცოცხალი სინამდვილეა, თავად სიცოცხლეა, მოულოდნელად შემოჭრილი ჩემს ცხოვრებაში. ეხლა ის ჩემს გვერდით წევს, ცას უყურებს და სუნთქავს, სიყვარულსა და სითბოს ასხივებს გაზაფხულის ამ გრილ დღეს.

— ლაინე, გაგიგია რამე ჩემი ქვეყნის შესახებ?

ძალიან ცოტა. ვიცი, რომ იქ ძალიან მაღალი მთებია და ძალიან თბილი ზღვა. ჩვენი ზღვა არვარგა, ცივია და თხელი. დიდ ხანს უნდა იარო ამ ცივ წყალში, ცურვა რომ მოახერხო.

— არ გინდა, თბილ ზღვაში ბანაობა?

ლაინე მიხვდა ჩემი შეკითხვის აზრს, მაგრამ ლაპარაკი გააგრძელა.

— ჰო, ისიც ვიცი, რომ პატარაა, ჩემი ქვეყნის მსგავსად, მაგრამ წარსულში მდიდარი კულტურა ჰქონია. მამას ლიტერატურა ძალიან უყვარდა. ერთხელ, ომის წინ, როდესაც წიგნი მოიტანა, მოსკოვში გამოცემული. წიგნს მკრთალი მიხაკისფერი ტყავის ყდა [illegible] რომ ეს წიგნი თქვენებურ[illegible]სულად ნათარგმნი (ლაინემ არ იცოდა, რომ ეს წიგნი ერთი თვის წინ მათ სახლში ვიპოვე და შევინახე, როგორც ძვირფასი სამხედრო ნადავლი).

— რატომ კითხვაზე პასუხს არ მაძლევ?

ლაინე ცოტა ხანს შეფიქრდა.

— ხომ გითხარით, რომ მე ბავშვი მყავს!

ჩემთვის ეს სიტყვები მოულოდნელი აღარ იყო, მაგრამ, რაც დრო გადიოდა, უფრო მეტად ვივსებოდი გრძნობით, რომელსაც თანაგრძნობა და თანალმობა ემატებოდა და უფრო მეტად მწვავდებოდა.

— იცი რა, მე მინდა, რომ ის ბავშვი ჩემიც იყოს. — უცბად დალი წარმომიდგა თვალ წინ და ღიმილით დავამატე — მე უკვე მყავს ბავშვი და მინდა, რომ შენი ბავშვიც ჩემი იყოს, მერორე იქნება, ბიჭია თუ გოგო?

— ბიჭია.

— ჰოდა, ქალ-ვაჟი მეყოლება.

ლაინეს თვალებში ეშმაკური ღიმილი ჩაუდგა.

— ჯარიდან სახლში რომ წახვალ, თან გაგატანო?

— არა, ასე არ მინდა, სხვაგვარად მინდა, ოღონდ იცოდე, რომ ძალიან მინდა! მე და შენ ერთად წავალთ და ბავშვსაც თან წავიყვანთ!

ლაინემ თივის ბულულს იქით გაიხედა, სადაც დედამისი და და-ძმანი სახლიდან გამოსულიყვნენ და კარის წინ ისხდნენ.

ლაინე სატელეფონო სადგურზე მუშაობდა და ყოველ მეოთხე დღეს მორიგეობდა. ომის დამთავრების შემდეგ მისი მორიგეობის დღეებში განთავისუფლება ჩემთვის სიძნელეს აღარ წარმოადგენდა.

ნელ-ნელა ახლო გავიცანი და შევეჩვიე. ამ ქალში საოცარი ჰარმონიულობით იყო გაერთიანებული გარეგანი მშვენიერება ინტელექტსა და მწარე ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. მასთან საუბარი სიამოვნებასაც იწვევდა და განცვიფრებასაც — აზრთა სიღრმისა და დაკვირვების სიფართოვის გამო, რომელსაც ის იჩენდა. მის წილ ბედმა იმდენი უბედურება გაიღო, საკმარისზე მეტი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მისი მსმენელისა და მაყურებლის სული შეძრულიყო.

გულახდილობამ და გულწრფელობამ, რომელსაც ლაინე ჩემთან საუბრების დროს იჩენდა, მაფიქრებინა რომ ის ჩემს სულში იჯდა და რაღაც ჯადოსნური, ჩემთვის და მისთვის მიუწვდომელი უნარის მეშვეობით ჩემს სახეზე კითხულობდა: „ჩემი ცხოვრება კი ისე აეწყო, რომ სიყვარულის განცდას ყოველთვის სდევდა

თანალმობა, სიყვარულის განცდა არ არსებობ-და თანალმობის გარეშე და თანალმობა თვად შეიცავდა სიყვარულს; ჩემი ცხოვრება სავსეა ასეთი ადამიანებით, რომლებიც ყოველთვის თანალმობას იწვევდნენ და „ჩემს სამყაროში“ სწორედ ისინი შეადგენენ დიდ უმრავლესობას“.

ასე იყო თუ ისე, ცხადი გახდა, რომ ლაინე ნამდვილად შემოიჭრა „ჩემს სამყაროში“, შემოიჭრა მყარად და საოცარი ძალით.

ლაინესთან ახლო ყოფნა და საუბარი თავდაპირველად სასიამოვნო წუთები და საათები იყო. შემდეგ შინაგან მოთხოვნილებად იქცა; ბოლოს კი ნათელი გახდა, რომ იმ დღეებში, როდესაც ის არ მორიგეობდა და ველარ ვხვდებოდი, საშინელ მოწყენილობას განვიცდიდი.

დავდიოდი ხან ფეხით, ხან მანქანით, ზოგჯერ ჯიშიანი ფაშატით, რომელიც სარდალმა დივიზიის მეთაურისაგან საჩუქრად მიიღო გერმანელების კაპიტულაციის შემდეგ მოპოვებული ნადავლიდან. მჭმუნვარე ფიქრები იცვლებოდა ლექსებითა და მელოდიებით, რომლებიც ღრმად იყო ჩამარხული ჩემს ცნობიერებაში და დიდი ხანია ფერფლით იყო დაფარული. ვგრძნობდი, რომ მათი ამოტივტივება შემთხვევითი არ ხდებოდა.

— ეს მგონი ჩემს ახლანდელ განწყობილებას შეესაბამება... — ვუთხარი ერთხელ ლაინეს.

— მერედა რა?! განა ეს კარგი არაა?! ძალიან კარგია, ძალიან — და მის სახეზე მწუხარების გამჭვირვალე ფარდა აისახა:

— მე თავი დაბერებულად მიმაჩნია და ასე მგონია, რომ ჩემი გული სამუდამოდაა დახშული მსგავსი განწყობილებისათვის!

ამის ატანა აღარ შეიძლებოდა, ლაინეს სიტყვებმა მთელი არსება შემირყია.

## ისევ ღრუბლები

გუშინ სალამოს სარდალმა გამომიძახა.

სარდალს ბავშვობიდანვე ვიცნობდი და მისი რთული ცხოვრებაც და არმიაში გატარებული წლებიც კარგად ვიცოდი.

სამსახური წითელ არმიაში დაიწყო რიგით ჯარისკაცად. შემდეგ უმცროს მეთაურთა სკოლა, ე. წ. ЗПШ (ამიერ-კავკასიის ქვეითი სამსახურის სკოლა) დაამთავრა თბილისში. სამეთაურო სასწავლებელში სწავლობდა, დაამთავრა ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაც და ომი რომ დაიწყო ერთ-ერთი ფრონტის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსად მსახურობდა პოლკოვნიკის წოდებით.

მთელი მისი სამსახური არმიაში ზეალმავალი გზით მიდიოდა და ომის პირობებში მისი სტრატეგიული ნიჭი კიდევ უფრო მეტად გამოვლინდა. ომი არმიის სარდლის თანამდებობით დაამთავრა — გენერალ-ლეიტენანტის წოდებით.

მას ყველაფერი საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა და მთელი თავისი ძალითა და ცოდნით ამ ხელისუფლებას, ემსახურებოდა; გულწრფელად და მთელი შეგნებით.

ორჯერ მძიმე ჭრილობაც ჰქონდა მიღებული, ერთხელ ფინეთთან ომში, მეორედ ამ ომში, 1943 წელს.

განვლილმა რთულმა ცხოვრებამ და არმიაში გატარებულმა სამსახურმა მას მტკიცე ნებისყოფა ჩამოუყალიბა, მაგრამ მისი კეთილი ბუნება არ შეუცვლია.

ჩემი გამოძახება საგანგებო გარემოებით იყო გამოწვეული.

ორი დღის წინ, ტყეში გახიზნული რამდენიმე ჯგუფი შეუპყრიათ და სათანადო ორგანოებისათვის გადაუციათ. ერთ-ერთ აქტიურად მოქმედ ჯგუფში ლაინეს მამა პეტრუს ტ-ე აღმოჩენილა.

ყველაფერი ნათელი გახდა. ლაინესთან ჩემს ურთიერთობას ველარაფერი უშველიდა და ერთადერთი გზა — ლაინეს მიტოვება იყო.

...ვზივარ ოთხკედელს შუა ჩემს მაგიდასთან, ისევ მარტო და ისევ „მიტოვებული“. „ძნელია ცხოვრება...“ არა მცილდება მოგონებები ინექციებსა და „შეშხაპუნებებზე“ ტვინსა და ცნობიერებაში. ეს არ შეიძლება, ის — კი; ასე არ უნდა, ისე კი; ასეა საჭირო, ისე — არა; ამ შემთხვევაში საჭიროა ლაპარაკი, იმ შემთხვევაში — არა; აქ საჭიროა დადუმება, იქ კი — არა, პირიქით, საჭიროა ყვირილი, ხმამაღალი ძახილი.

ჩემი შეგნება კი არ ეტევა ამ ნომრებსა და შეგონებების ჩარჩოებში, და როდესაც ვფიქრობ, რომ საჭიროა ძახილი, ხმამაღლა ყვირილ, იქ თურმე დადუმებაა საჭირო. როდესაც მე ვფიქრობ, რომ აი, ამ შემთხვევაში უნდა ასე, იქ თურმე ასე არ უნდა. მე რომ რაღაც მინდა, ვიღაც თურმე სწორედ ისე ფიქრობს, რომ ასე საერთოდ არ უნდა.

საოცარი, აქამდე სრულიად უცნობი და უჩვეულო გრძნობა დამჩემდა. მივილტვი, თითქოს ჩემდა უნებურად, იმ შენობისაკენ, სადაც ლაინე, მისი დედა და და-ძმა ცხოვრობენ და სადაც სიცოცხლის გაათკეცებული სურვილი ჩამესახა,

იდგა შუადღე, ვამბობდი, დაო,  
მინდა ალერსი,  
ჩანდა საყდარი და სასაფლაო  
პეტრე-პავლესი.

...დავდივარ და ვფიქრობ. ფიქრები ტვინს მიხვრეტს, მაგრამ პასუხს ვერა ვღებულობ აფორიაქებულ და „აჯანყებულ“ კითხვებზე. იქნებ აქაც „ასე უნდა“ და „ისე არ უნდა“ მოქმედებს და, როგორც ჩემი ცხოვრების უმეტეს შემთხვევაში, მოქმედებს სულის შემხუთავად. ანდა იქნებ სწორედ ჩემი ცხოვრების ამ სასიხარულო

დღეებში ვერ ვიარე შეგონების მიხედვით — „აქეთ — არა, აქით — ჰო!“ ანდა „ეს არა, ის — ჰო“.

...აპრილში მაიაკოვსკის თვითმკვლელობიდან 15 წელი შესრულდა და მაგონდება ჩემი ცხოვრების დრო, როდესაც ის ჩემი დიდი გატაცების პოეტი იყო. და არა იმის გამო, რისთვისაც მას „ეპოქა ადიდებდა“, საყვარელი პოეტი ადამიანურ გრძნობათა იმ მოზღვავების გამო, რომელიც მის პოეზიაში ვულკანივით ჩქეფდა.

Версты улиц взаимахами шагов мну.
Куда уйду я, этот ад тая!
Какому небесному Гофману
выдумалась ты, прокллтая?!

ანდა

«Приду в четыре» — сказала Мария.
Восемь.
Девять,
Десять......
Упал двенадцатый час,
Как с плахи голова казненного.

და მით უფრო ღრმა იყო ჭრილობა, რომელიც მისი სიცოცხლის ტრაგიკულმა დასასრულმა გამოიწვია ჩემსა და ბევრი ჩემისთანას გულში.

საკმაო დრომ გაიარა მას შემდეგ, აღტაცებით რომ ვკითხულობდი მის სიცოცხლის განმამტკიცებელ სტრიქონებს —

Иду красивый, двадцатидвухлетний

და კიდევ უფრო მეტი მღელვარებით მისს

Куда уйду я, этот ад тая!

ჩემს ეხლანდელ სულიერ მდგომარეობას პოეტის სხვა სტრიქონები უფრო მეტად შეეფერება, სტრიქონები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, მთელი სიცოცხლე მდევდა თან და განსაკუთრებული სიმწვავით ეხლა განვიცდი:

Но я
себя
смирял
становясь
на горло
собственной строчке.

მაიაკოვსკის ეს სტრიქონებიც „ასე უნდა“ და „ასეა საჭიროს“ ტყვეობაში ყოფნითაა განსაზღვრული და მისი სიცოცხლის დასასრულიც ამგვარი ფსიქოლოგიური განწყობილებით ნაკარნახევი. სულიერი კოლიზიით, გაორებით „საკუთარ სიმღერასა“ და „ასეა საჭიროს“ შორის, რომელიც იმ სიმღერის საკუთარი ფეხით გასრესას უკარნახებდა. და მეც, მგონი, აღარაფერი მეტი არ დამრჩენია, გარდა ჩემს სულში „ამღერებულ“ განცდებზე ფეხის დადგმისა და გასრესისა.

## ეპილოგი

აქ გაჩერება აღარ შემეძლო. სარდლისაგან შევბულება ავიღე, მსუბუქი მანქანა „ოპელ ვანდეოერო“ (სამხედრო ნადავლი!) ვას[illegible] მგზავრება გადავწყვიტე, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ოღონდ მოშორებით ამ [illegible]საგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამოს რიგის სანახებში ვიყავი, ცნობილ კურორტზე, რომელსაც რიგის ზღვისპირი ეწოდება და 10 კილომეტრის მანძილზე მშვენიერი, ორსართულიანი, ყვავილნარებში ჩაფლული, მწკრივად ნაგები კოტეჯებია განლაგებული.

ეს ის ზღვაა, „თხელი და ცივი“, როგორც მას ლაინე ახასიათებდა, და სადაც ომის წინ ლაინეს ოჯახი ყოველ წელს ზაფხულის ნაწილს ატარებდა.

ერთი ოთახი ვიქირავე და იქ დავსახლდი. რამდენი ხნით — მეც არ ვიცოდი — რამდენ ხანსაც საშუალება მომეცემოდა და რამდენ ხანსაც გავძლებდი. კოტეჯების ნაწილი სამხედრო პირებს ეჭირათ. ზღვის პირის კურორტზე დიდი მოძრაობა იყო. შეუწყვეტელ მოძრაობასა და მისვლა-მოსვლაში იყვნენ არა მხოლოდ ადგილობრივი მცხოვრებლები, ყველა ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც საბჭოთა არმიის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ. უმთავრესად კი — ესტონელები, ლიტველები, ლატვიელები და რუსები.

აივანზე ტრიალა სავარძელი მედგა, ვიჯექი და ვტრიალებდი, ვტრიალებდი შეუწყვეტლივ, ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით, პირით მიმართული ხან ზღვისკენ, ხან გზატკეცილისაკენ, რომელზედაც ავტომანქანები დაქროდა, ჩვენები, თუ უკვე სამხედრო ნადავლადქცეული გერმანული ლიმუზინები. მეჩვენებოდა, რომ ამგვარი მოძრაობა ფიქრებისა და განცდების დაძაბულობას აყუჩებდა.

დღეში სამჯერ მეზობელ კოტეჯში გადავდიოდი და იქ ვსაუზმობდი, ვსადილობდი და ვვახშმობდი. აქ საოჯახო მეურნეობას ხანშიშესული დიასახლისის ქალიშვილი განაგებდა და მეც ის მემსახურებოდა. მეორე დღესვე ვიცოდი ამ გულგახსნილი და ლაპარაკის მოყვარული ქალისაგან, რომ მას სისტემატურად უხდებოდა მგზავრობა რიგაში. რომ ომის წლებში ასეთი მგზავრობა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული და ეხლა, „მადლობა ღმერთს“, ადვილად ახერხებს. „მადლობა ღმერთს“ იმიტომ, რომ დასნეულებულია, მისი ავადმყოფობა „ონკოლოგიასთან არის დაკავშირებული“ და სისტემატური დაკვირვება და სერიოზული მკურნალობა სჭირდება.

ვიცოდი ისიც, რომ 28 წლისაა, სამი წლის წინ გარდაეცვალა „ძალიან საყვარელი მამა“, მოხუცი დედის გარდა, ჰყავს 7 წლის ბავშვი, გოგონა, რომელიც ამჟამად დროებით მამიდასთანაა. ვიცოდი ისიც, რომ მისმა მეუღლემ „არ მოინდომა ავადმყოფ ცოლთან ცხოვრება“. ოჯახი მიატოვა ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე და ლენინგრადში გადასახლდა.

გადიოდა დრო.

ამგვარი საუბრების მოსმენა თითქოს მავიწყებდა საკუთარ ფიქრებს, ხოლო მისი წუწუნი საკუთარი ბედის, თუ უბედობის თემაზე, მიქარვებდა სულიერ ტკივილებს. მაგრამ ეს ერთფეროვნება მომაბეზრებელი გახდა და მანქანით სიარული დავიწყე. ჯერ მცირე მანძილებზე, შემდეგ მოშორებითაც, მდინარისაკენ, სადაც, როგორც გავიგე, სანადირო ადგილები ყოფილა და ომის წინ აქ რიგიდან მონადირეები დადიოდნენ.

განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრიდა მანქანით სიარული ისარივით გაჭიმულ გზაზე, სადაც მაღალ სიჩქარეზე „მიშვებულ“ მანქანაში საჭესთან ჯდომა, სულ ერთი თვის წინ განცდილ გრძნობებს იწვევდა, გრძნობებს სიცოცხლესა და სიკვდილს შორის მოქანავე ადამიანისა.

რამდენჯერმე ვიყავი რიგაშიც.

სასტუმროს რესტორანში ჯაზი უკრავდა და ლატვიური ანსამბლი მღეროდა. ომგადახდილი და მოსვენებული სამხედრო პირები ცეკვავდნენ, ცეკვავდნენ თავდავიწყებით, მთელი „სულით და გულით“. ცეკვავდნენ ერთმანეთთანაც და ადგილობრივ ახალგაზრდა ქალიშვილებთან, რომლებიც ისე არიან გაწაფული უახლეს დასავლურ ცეკვებში, რომ უცხოელებისაგან ვერ გამოარჩევ. თუმცა დასავლური კოლორიტი ბალტიისპირეთში ყოველთვის ჩვეულებრივი იყო.

გავიდა კიდევ დრო. დაბრუნების ვადა ახლოვდებოდა და რიგის ზღვისპირზე „ჩამოტანილი“ განცდები და ფიქრები კი არ შემინელდა, უფრო გამიმწვავდა. და კვლავ — „ასე არა, ისე ჰო“ — მთელი სიცოცხლე რომ თანა მსდევს და მოსვენებას არ მაძლევს. დაბრუნება კი აუცილებელია და აქაც — „ასეა საჭირო“.

ვბრუნდები. საჭესთან მარტო ვზივარ, იმავე ფიქრებით დამძიმებული, რომლებითაც აქეთ მოვემგზავრებოდი.

— რა ვქნა, რა მოვიმოქმედო?!

ხანდახან მეჩვენება, რომ ცხოვრება ავანტურისტი და გაქნილი პოლიტიკოსივით მებრძვის. ჯერ ყველა „გამომაცალა ხელიდან“, ვინც მიყვარდა, ვისი იმედიც მქონდა, ან ვისთვისაც უნდა მეცხოვრა. მამა, შემდეგ დედა, უფროსი დაძმანი, მეუღლე, მეგობრები. დავრჩი მარტო, მარტოდმარტო, საკუთარი თავის ანაბარა, რამდენი უბედურების გადამტანი თავის ანაბარა და ახლა პირდაპირ მიტევს, მიტევს თავისი დაუნდობელი და უკომპრომისო „ასეა საჭირო“-თი!

მანქანა დიდი სისწრაფით მიმყავს, მაგრამ მაინც ვახერხებ გზას თვალი მოვწყვიტო და მდინარის, ფართო ველისა და ბორცვებისაკენ გავიხედო.

ამიფორიაქდა სული, წამოიშალა გრძნობები, ფიქრები და განცდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარული ხომ კონკრეტული „[illegible]ბი“ გრძნობაა, „აი ამის“, „სწორედ აი ამის“ და სხვა არაფრის მიმართ აღძრული გრძნობა. სულ ერთია — რა იქნება ეს „აი ეს“ — ჩემი მთები, ველები, ჩემი მდინარეები და მწვერვალები, ჩემი ხალხი, მშობლები, შვილები, ყოველივე ის, სადამდისაც ფიქრიც მიდის და გულიც მიჰყვება.

და მეც ასე განვიცდი ამ გრძნობას და ყოველივე, რასაც ვხედავ და მაგონდება, ისეთი სიძლიერითაა შემოჭრილი „ჩემს სამყაროში“ და ისე ღრმადა აქვს გადგმული ფესვები, რომ ჩემია, ჩემი და მათ გარეშე თითქოს არსებობაც ვერ წარმომიდგენია.

მაგრამ ყოველ „მინდას“ თავისი „უნდა“ სდევს თან, ყოველ სურვილს — თავისი „მარეგულირებელი“ და ეს „უნდა“, ისევე როგორც ჩემი ცხოვრების უმრავლეს შემთხვევებში, აუტანელი სიმძიმით მაწვება გულზე.

აი ახლაც, მანქანაში რომ ვზივარ, ნორმაზე გადაჭარბებული სიჩქარით მივქრივარ (აქაც ვარღვევ ამ „უნდა!“-ს) და გვერდის სარკმლიდან ქარი იჭრება თმებში, ფეხდაფეხ მომყვებიან ყოველგვარი „ასე არა, ისე — ჰო“, „ასე არ შეიძლება, ისე — კი“, და შემოსევიან ჩემს სულსა და გულს, ყოველი მხრიდან, შიგნიდან თუ გარედან, შინაურებისა თუ გარეულებისაგან, შემოსევიან, როგორც ძველ, საძირკველმორყეულ სახლში დაბუდებული ტარაკანების ფარა.

და მე ერთი, ერთადერთი გამოსავალიღა მრჩება, სადამდისაც ხელი არავის მიუწვდება, აღარავის აღარავითარი ძალა აღარა აქვს. ერთადერთი არე მოქმედებისა, სადაც მე შეუზღუდველი თავის — უფალი ვარ.

— ფეხი უნდა დავადგა ჩემს გრძნობებსა და განცდებს, „ჩემს სიმღერას“, დავადგა ფეხი და გავსრისო!

— ფეხი უნდა დავადგა, — ვფიქრობ და ანგარიშმიუცემლად ვაჭერ ფეხს აქსელიზატორის პედალს.

მანქანა მიჰქრის, გზატკეცილი ბორბლებს ეხვევა, სპიდომეტრის ისარი მიიწევს ზევით და ზევით!

ლარივით გაჭიმული გზატკეცილის ბოლოს, სადღაც მოშორებით ბოძი გამოჩნდა ნიშანსვეტით და ვგრძნობ, რომ ისლაა ჩემი ცხოვრების ნიშანსვეტი და ამ ნიშანსვეტისაკენა ვარ ნიმართული.

— ცოტაც, ცოტაც და მანქანა შეასკდება ბოძს. აი ისე, როგორც დილით, ასადგომი რომ ხარ და ადგომა გიჭირს და უცბად, თითქოს სურვილის წინააღმდეგ, რაღაცა უცნაური და ამოუცნობი ძალის კარნახით წამოდგები. წამოდგები თითქოს შენი სურვილის წინააღმდეგ, ან ამ სურვილისაგან დამოუკიდებლად.

მანქანა მიჭრის, ბოძი ახლოვდება. ცოტაც, სულ ცოტაც და... ყველაფერი რიგზე იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 98-55-11, მთ. პ/მგ მდივნის — 98-55-18 და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17; 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 22. 04. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. 06. 88 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4$X12, ქაღალდის ფორმატი 70X108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 16,58.

უე 09358. ტირაჟი 30.000. შეკვ. 1101. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

ფასი 80 კაპ.

ნ 14/117

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ